

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი  
იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეოთხე  
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

27 ოქტომბერი, 2016, გორი, საქართველო

სამეცნიერო კონფერენციის მასალები



**GORI STATE TEACHING UNIVERSITY**  
Educational Scientific Center of the Georgian Language and Literature  
**The Fourth International Scientific Conference**  
**Dedicated to Iakob Gogebashvili**

October 27, 2016, Gori, Georgia

ARTICLES OF THE CONFERENCE

წინამდებარე კრებული მოიცავს 2016 წლის 27 ოქტომბერს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებს.

#### **საორგანიზაციო კომიტეტი:**

- **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ქეთევან ბარბაქაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ანა იმნაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, კომიტეტის წევრი
- **ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი

#### **პროგრამული კომიტეტი:**

- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ავთანდილ არაბული**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ვაჟა შენგელია**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მანანა მიქაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მამია ფაღავა**, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **როინ ჭიკაძე**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **სოსო სიგუა**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ქეთევან ჭკუასელი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **რეუვენ ენოხი**, არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი), პროფესორი, კომიტეტის წევრი

#### **სარედაქციო კოლეგია:**

- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **ავთანდილ არაბული**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **რეუვენ ენოხი**, არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი), პროფესორი

The presented collection covers the articles of the Fourth International Scientific Conference after Iakob Gogebashvili held by the Educational-Scientific Center of the Georgian Language and Literature on October 27, 2016 at Gori State Teaching University.

#### **ORGANIZATION COMMITTEE:**

- **Giorgi Sosiashvili**, Rector Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Head of Administration, Associate Professor, Member of Committee
- **Aleksandre Mghebrishvili**, Gori State Teaching University, Deputy Rector, Professor, Member of Committee
- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature, Professor, Member of Committee
- **Ketevan Barbakadze**, Gori State Teaching University, Dean of Faculty of Humanities, Associate Professor, Member of Committee
- **Ana Imnadze**, Gori State Teaching University, Gori State Teaching University, Head of Strategic Development, International and Public Relations Service, Member of Committee
- **Levan Midodashvili**, Gori State Teaching University, Head of Quality Assurance Service, Professor, Member of Committee

#### **PROGRAME COMMITTEE:**

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Professor, Member of Committee
- **Avtandil Arabuli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor, Member of Committee
- **Vazha Shengelia**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor, Member of Committee
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor, Member of Committee
- **Manana Mikadze**, Akaki Tsereteli State University, Professor, Member of Committee
- **Mamia Paghava**, Batumi Shota Rustaveli State University, Professor, Member of Committee
- **Roin Chikadze**, Iakob Gogebashvili Telavi State University, Associate Professor, Member of Committee
- **Soso Sigua**, Gori State Teaching University, Associate Professor, Member of Committee
- **Ketevan Chkuaseli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor, Member of Committee
- **Reuven Enokh**, Ariel University (Israel), Professor, Member of Committee

#### **EDITORIAL BOARD:**

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Professor
- **Avtandil Arabuli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor
- **Reuven Enokh**, Ariel University (Israel), Professor

ISBN 978-9941-27-623-1

დანიშნულება



განმამხატვრელი  
საბჭომბელი

თბილისი, რეზაშვილის 7; მონ.: 551 95 31 90

# შინაარსი CONTENTS

## ენათმეცნიერება Linguistics

- ავთანდილ არაბული - იაკობ გოგებაშვილი და  $S_2O_3$  პირის ნიშანთა მართლწერის საკითხი – 7  
Avtandil Arabuli - JACOB GOGEBASHVILI AND THE ISSUE OF SPELLING  $S_2O_3$  PERSON MARKERS – 7
- ვიანორ ახალაია - ზანურის კილოკავებად დაყოფისა და შესწავლის ისტორიის საკითხები – 12  
Vianor Akhalaia - THE RELATIONS OF THE ZANI SUBDIALECTS AND FOR THE HISTORY OF THEIR STUDYING – 12
- თეა ბურჭულაძე - ნანათესაობითარ მსაზღვრელთა შესიტყვების საკითხისათვის – 18  
Tea Burchuladze - ON THE ISSUE OF THE SYNTAGM OF NON-ADHERENTS IN THE POSSESSIVE CASE – 18
- გიორგი გოგოლაშვილი - პრეფიქსიანი ვნებითის II სერიის არქაული ფორმები ქართულ დიალექტებში – 20  
Giorgi Gogolashvili - ARCHAIC FORMS OF SERIES II OF PASSIVE WITH PREFIX IN GEORGIAN DIALECTS – 20
- რეუვენ ენოხი, თამარ ლომთაძე - ქართველ ებრაელთა მეტყველების ვარიანტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში – 25  
Reuven Enokh, Tamar Lomtadze - SPEECH VARIETIES OF THE GEORGIAN JEWS IN DIFFERENT REGIONS OF GEORGIA – 25
- მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა - „სიცილის“ კონცეპტი ქართველურში – 28  
Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgharkava - CONCEPT „LAUGHTER“ IN KARTVELIAN LANGUAGES – 28
- იგორ კეკელია, იზოლდა რუსაძე - ჩხერიმელის ხეობის ტოპონიმიიდან – 32  
Igor Kekelia, Izolda Rusadze - FROM THE TOPONYMY OF CHKHRIMELI VALLEY – 32
- იგორ კეკელია, კახაბერ კებულაძე - ვარიანის ტოპონიმი – 36  
Igor Kekelia, Kakhaber Kebutadze - TOPONYMY OF VARIANI – 36
- სოფიო კეკუა - -ვა დაბოლოებიანი გვარსახელები შუა საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლებში – 44  
Sopio Kekua - NAMES ENDING WITH - ვა /VA/ IN THE MEDIEVAL GEORGIAN LEGAL DOCUMENTS – 44
- მარიამ კობერიძე - ზურაბ შარაშენიძე ფერეიდნელი „გურჯების“ მეტყველების შესახებ – 49  
Mariam Koberidze - ZURAB SHARASHENIDZE ABOUT THE SPEECH OF FERAYDAN „GEORGIANS“ – 49
- მანანა მიქაძე - სახელთა წარმოქმნა ოტია იოსელიანის ნოველებში – 53  
Manana Mikadze - WORD DERIVATION IN OTIA IOSELIANI'S NOVELS – 53
- ნიკოლოზ ოთინაშვილი - ლექსიკის ტერმინოლოგიური ძიებანი: სილითი, მტილიანა, ლიპი, წუნარი, ლიხვა – 62  
Nikoloz Otinashvili - TERMINOLOGY SEARCH OF VOCABULARY: SILITI, MTILIANA, LIPI, TSUNARI AND LIKHVA – 62
- ნანა სულავა - რუსულენოვანი ლექსიკისათვის სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიში – 66  
Nana Sulava - RUSSIAN VOCABULARY IN SENAKI MUNICIPALITY TOPONYMY – 66
- როინ ჭიკაძე - საგრამატიკო თვალსაწიერი იაკობ გოგებაშვილისა – 69  
Roin Chikadze - IAKOB GOGEBASHVILI'S GRAMMATIC POINT OF VIEW – 69
- ელენე ხოჯევანიშვილი - რეფლექსიები ესმა ონიანის პოეზიის ენაზე (ფერთა სიმბოლიკა) – 72  
Elene Khojevanishvili - REFLEXES IN ESMA ONIANI'S POETRY (COLOR SYMBOLS) – 72

## ლიტერატურათმცოდნეობა Literature Studies

ირინე არჯევანიძე - ქრისტიანული იდეალი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში – 76

Irine Arjevanidze - *THE CHRISTIAN IDEAL IN WORKS OF NODAR DUMBADZE* – 76

თამარ გოგოლაძე - ეგნატე ნინოშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ისტორიისთვის (იაკობ გოგებაშვილი) – 80

Tamar Gogoladze - *FOR THE HISTORY OF EPISTOLARY HERITAGE OF EGNATE NINOSHVILI (IAKOB GOGEBASHVILI)* – 80

ნინო ვახანია - იაკობ გოგებაშვილი - პროფესიონალი მწერალი – 84

Nino Vakhania - *PROFESSIONAL WRITER - JACOB GOGEBASHVILI* – 84

ანა იმნაძე - აფხაზეთის ომის თემა აფხაზი მწერლების შემოქმედებაში – 88

Ana Imnadze - *ABKHAZETI WAR THEME IN THE WORKS OF ABKHAZIAN WRITERS* – 88

ნანა კუცია, მარინე ტურავა - ძველქართული პროზის ჟანრული რეფლექსია ქართულ კრიტიკაში – 92

Nana Kutsia, Marine Turava - *REFLECTION OF GENRE PECULIARITIES OF AN ANCIENT GEORGIAN LITERATURE IN GEORGIAN CRITICISM* – 92

მარიამ მარჯანიშვილი - ქართული ენისა და აზრის ქობაგი – 95

Mariam Marjanishvili - *THE SUPPORTER OF GEORGIAN LANGUAGE AND THOUGHT* – 95

მაია მელანაშვილი - პიკარესკა - გენეზისი, ევოლუცია და ჟანრული თავისებურებანი – 99

Maia Melanashvili - *PICARESQUE – GENESIS, EVOLUTION AND GENRE PECULIARITIES* – 99

ციალა მესხია - მარადისობის ტვირთით (რენე კალანდიას ფილოსოფიური ლირიკა) – 103

Tsiala Meskhia - *WITH BURDEN OF ETERNITY (RENE KALANDIA'S PHILOSOPHICAL LYRICS)* – 103

მურად მთვარელიძე - „დავითის კმნანი“, თუ „შოთას მუზა“? – 108

Murad Mtvarelidze - *“DAVIT'S LYRE” OR “SHOTA'S MUSE”?* – 108

ტიტე მოსია - რუსთაველის მიჯნურობის თეორიის ინტერპრეტაციებიდან – 112

Tite Mosia - *FROM THE INTERPRETATIONS OF RURSTAVELI'S ROMANCE THEORY* – 112

ნელი პეტრიაშვილი - მტრის ხატის პერსონიფიკაცია ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში – 118

Neli Petriashvili - *THE PERSONIFICATION OF THE ENEMY ICON IN THE HAGIOGRAPHIC LITERATURE* – 118

სოსო სიგუა - ელინოფილური კრიტიციზმი ქართულ მწერლობაში (XI ს.) – 124

Soso Sigua - *HELLENOPHILE CRITICISM IN THE GEORGIAN LITERATURE (XI CENTURY)* – 124

ნათია სიხარულიძე - გალაკტიონ ტაბიძის „ინესა“ და ლეგენდა ინეს დე კასტროს შესახებ – 126

Natia Sikharulidze - *GALAKTION TABIDZE'S POEM „INESA“ AND THE LEGEND ABOUT INES DE CASTRO* – 126

მარინე ცერცვაძე - საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის სამეგობრო ხიდის საკითხი ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში – 128

Marine Tsertsvadze - *GEORGIA AS A FRIENDSHIP BRIDGE AMONG THE NORTH-CAUCASUS HIGHLANDERS IN THE GEORGIAN LITERATURE TEXTS* – 128

მარინა ხანჯალიაშვილი - სამონასტრო და საერო ეთიკის საკითხები სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიებში – 131

Marina Khanjaliashvili - *MONASTIC AND SECULAR ETHIC PROBLEMS IN SULKHAN SABA ORBELIANIS'S HOMILLIES* – 131

ნანა ჯალაღონია - ირონია, როგორც კულტურის საბაზისო ცნება – 136

Nana Jalaghonia - *THE IRONY, AS A BASIC CONCEPT OF CULTURE* – 136

გულნარა ჯიოშვილი - აკაკის თანამშრომლობა იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ – 142

Gulnara Jioshvili - *COOPERATION OF AKAKI IN THE “DEDAENA”(MOTHER LANGUAGE) OF IAKOB GOGEBASHVILI* – 142

## პედაგოგიკა Pedagogics

**ჯამბუ ავალიანი** - ორი სასწავლო საგნის - ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების ზოგიერთი ასპექტი სკოლაში – 146

**Jambu Avaliani** - *SOME ASPECTS OF INTEGRATED TEACHING IN TWO SUBJECTS- GEORGIAN LANGUAGE AND GEORGIAN LITERATURE* – 146

**ციური ბაკრადე** - ზნეობრივი აღზრდის ქცევის მოტივები და პედაგოგიური საშუალებანი – 150

**Tsiuri Bakradze** - *PATTERNS OF MORAL EDUCATIONAL BEHAVIOUR AND TEACHING FACILITIES* – 150

**მაია გოგიჩაიშვილი** - აკადემიური კონკურსების როლი და მნიშვნელობა განათლებაში – 153

**Maia Gogichaishvili** - *THE ROLE AND IMPORTANCE OF ACADEMIC COMPETITIONS IN THE EDUCATION SPHERE* – 153

**რუსუდან ფიფია, ბროლისა წულაია** - განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების თანამედროვე პროცესში – 158

**Rusudan Pipia, Brolisa Tsulaia** - *THE IMPORTANCE OF THE DEVELOPMENTAL EVALUATION IN THE MODERN PROCESS OF LEARNING AND TEACHING* – 158

**პაატა ქურდაძე** - მოთხოვნები სახელმძღვანელოებისადმი იაკობ გოგებაშვილის მიხედვით – 163

**Paata Kurdadze** - *REQUIREMENTS TO THE TEXTBOOKS ACCORDING TO IAKOB GOGEBASHVILI* – 163

**მედეა ღლონტი** - „დედა ენის“ ფუნქციური იგავთმეტყველება – 166

**Medea Ghlonti** - *THE FUNCTIONAL ALLEGORICAL SPEECH OF “DEDA ENA”* – 166

**ფატიმა შოთაევი, მაია გოგიჩაიშვილი** - მსგავსების და განსხვავების გამოვლენა - როგორც თანამედროვე სწავლების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი – 172

**Patima Shotaevi, Maia Gogichaishvili** - *ELICITATION OF SIMILARITIES AND DIFFERENCES - AS ONE OF THE EFFECTIVE METHODS OF MODERN TEACHING* – 172

**ჯულიეტა ძაძუა** - კვლავ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკაზე – 176

**Julietta Dzadzua** - *STILL ABOUT IAKOB GOGEBASHVILI PEDAGOGY* – 176

**მარინე წიკლაური** - გოგებაშვილის მეთოდოლოგიური სწავლანი („ბუნების კარის“ წინათქმისათვის) – 179

**Marine Tsiklauri** - *THE METHODOLOGICAL TEACHING OF IAKOB GOGEBASHVILI (INTRODUCTION OF A SCHOOL-BOOK “BUNEBIS KARI”)* – 179

**ნელი ჭამპურიძე, მეგი ბიბილური** - სკოლის დემოკრატიზაციის პროცესის ხელშემწყობი ფაქტორები და მათი განხორციელების გზები – 184

**Neli Champuridze, Megi Bibiluri** - *SUPPORTING FACTORS OF THE PROCESS OF SCHOOL DEMOCRATIZATION AND THE MEANS OF THEIR IMPLEMENTATION* – 184

**ნათელა ხინჩაგაშვილი, ნინო მარქაროვი, ნინო ილურიძე** - თამაში როგორც რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდი (რუსულ ენაზე) – 187

**Natela Khinchagashvili, Nino Markarovi, Nino Iluridze** - *THE GAME AS THE METHOD OF LEARNING RUSSIAN AS FOREIGN LANGUAGE (in Russian)* – 187

**მამუკა ჯოლბორდი** - ფსიქოლოგიური ცოდნის ელემენტები „ქართლის ცხოვრებაში“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაჲს“ მაგალითზე) – 190

**Mamuka Jolbordi** - *ELEMENTS OF PSYCHOLOGICAL KNOWLEDGE IN THE “LIFE OF KARTLI” (ON THE EXAMPLE OF QUEEN TAMAR'S HISTORIAN)* – 190

# ენათმეცნიერება Linguistics

ავთანდილ არაბული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას  
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## იაკობ გოგებაშვილი და №2 პირის ნიშანთა მართლწერის საკითხი

როდესაც კლასიკოსთა ენობრივ მემკვიდრეობასა და ენობრივ ნორმებთან მის მიმართებაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ნორმატიული გრამატიკა და ლექსიკონები, არანაირი ფორმით არ იყო შემუშავებული სალიტერატურო ენის ნორმები; არც დედაქალაქის სამეტყველო კულტურას ჰქონდა ესოდენ დიდი გავლენა სალიტერატურო ენის განვითარებაზე... და, ამიტომაც, ყოველი კლასიკოსი მწერალი საკუთარ მწიგნობრულ კულტურასა და ცოცხალ სამეტყველო ჩვევებს ემყარებოდა. ამიტომაც იყო, რომ არსებითად ყველა ყველას უსწორებდა „ქართულს“, ყოველი კალმოსანი საკუთარი სამრეკლოდან რეკავდა ეროვნული ენის სიწმინდის დაცვის ზარს და, საზომის არარსებობის პირობებში, თითოეული მართალიც იყო საკუთარი პოზიციიდან...

იაკობ გოგებაშვილს ამ მხრივ მართლაც გამორჩეული ადგილი უჭირავს, რადგან ის არა მხოლოდ შემოქმედებითი პრაქტიკით გამოხატავდა საკუთარ ენობრივ გამოცდილებას, არამედ, საკუთარი აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობით, ფაქტობრივ განსაზღვრავდა კიდევ გარკვეულ ნორმატიულ კანონებს მწიგნობრული ენის იმდროინდელ მოთხოვნათა თვალსაზრისით. იგი სრულიად გამოკვეთილად გამოხატავდა ამ ამბიციას:

*“ჩემი მართლწერა... მიმაჩნია ქართულ ლიტერატურულ მართლწერად, რომელსაც მისდევდნენ ბოლოს დრომდე საზოგადოდ ქართველი მწერლები იმერნი და ამერნი, ყველა ჩვენებური პერიოდული გამოცემანი აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსა” (გოგებ. 4. 456).*

ჩვენ მიერ მონიშნული ადგილები კარგად წარმოაჩენს განაცხადის დიაპაზონს: ავტორი საკუთარ ენობრივ პრაქტიკას სახავს „ქართულ ლიტერატურულ მართლწერად“, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, დასავლელ და აღმოსავლელ მწერალთა გამოცდილებას, ხოლო მეორე მხრივ, პერიოდულ გამოცემათა იმდროინდელ ენობრივ ვითარებას, ასევე, საქართველოს რეგიონების გათვალისწინებით. ამ უკანასკნელი მომენტის ხაზგასმა განსაკუთრებული ნიშანია მწიგნობრული ენის განვითარების ახალი პერიოდისა.

სწორედ იმის გამო, რომ ჩვენ რეალურად არა გვაქვს თანადროული ნორმატიული სტანდარტი, რომელთანაც შევაჯერებდით კლასიკოსთა ენობრივ მემკვიდრეობას (ამიტომაც მას თანამედროვე ენობრივი ნორმებით ვაფასებთ ხოლმე), მნიშვნელოვანი ამოცანაა დამოუკიდებლად აღიწეროს თითოეული კლასიკოსის ენობრივი პრაქტიკა; მით უფრო ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს პრაქტიკა გარკვეულ გრამატიკულ შეხედულებებს ემყარება და მას შესაბამისი ნორმატიული პრეტენზიაც აქვს.

ერთ-ერთი ურთულესი უბანი ამ თვალსაზრისით, სამწიგნობრო ენის თითქმის მთელი ისტორიის განმავლობაში, არის ზმნის პირიანობის, კერძოდ კი - მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნების გამოვლენის გრამატიკული (მორფონოლოგიური) კანონზომიერება და ნორმატიული წესები. შორს რომ აღარ წავიდეთ, ჩვენი უახლოესი პერიოდიც კი აშკარად წარმოაჩენს არაერთგვაროვან დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. ორი მაგალითი:

ა) აკაკი შანშიძის სასკოლო გრამატიკაში დასაშვებად იყო მიჩნეული მე-2 სუბიექტური პირის ნიშნების გამოყენება (ჰ-ბედავ, და-ს-ძრავ...), ხოლო ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ამ პოზიციას ნულოვანი ალომორფი იჯდა (ასეთივე არაერთგვაროვნება იყო თავად ენათმეცნიერთა პრაქტიკაშიც კი).

ბ) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომეულში რეგულარულია მე-3 ობიექტური პირის ნიშნის გამოტოვება რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა მესამე სერიის ფორმებში; მაგ.: ამოეფარება-ა (ამოეფარა, **ამოფარებია**) - შდრ. შდრ. ი. გოგებაშვილის პრაქტიკა ამ თვალსაზრისით.

მე-19 საუკუნის კალმოსანთა ლიტერატურული მემკვიდრეობა, ცხადია, ამ მხრივ მეტად არაერთგვაროვან სურათს წარმოგვიდგენს. ამ შემთხვევაშიც ყველაზე უფრო საყურადღებოა სამი გამორჩეული ავტორის - ილიას, აკაკისა და იაკობის - ენობრივი პრაქტიკა. მათ შორის კი, როგორც ითქვა, განსაკუთრებული ღირებულება აქვს იაკობ გოგებაშვილი პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით.

იაკობ გოგებაშვილის მრავალფეროვან თხზულებათა მიზნობრივი გაცნობის შედეგად ზოგადი შთაბეჭდილება ისეთია, რომ იგი ძირითადად სწორად ასახავს მწიგნობრული ენის მოთხოვნებს პირის ნიშანთა გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ შთაბეჭდილებას განაპირობებს რამდენიმე არსებითი მომენტი:

1. იაკობ გოგებაშვილი არსებითად ადეკვატურად ასახავს იმ ტენდენციას, რაც აღნიშნული ეპოქისათვის გამოკვეთილია მე-2 სუბიექტური პირის ნიშნის გამოვლენის თვალსაზრისით და რაც გულისხმობს ამ ნიშნის ალომორფების მიდრეკილებას გაქრობისაკენ. იაკობის ენაში გვხვდება როგორც ამ ნიშნის ნულოვანი გამოვლენა, ასევე მისი დაცვა ისეთ მორფოლოგიურ პოზიციებში, რომელიც საკმაოდ დიდხანს (არსებითად - დღემდე) აღმოჩნდა სტაბილური. შდრ.:

„ - ჩინებული კაცი **ყოფილხარ**, ივანე!“

„ - რას **დამძარებულხართო?** - ჰკითხა.“

„ - რას **გაჩუმებულხარ**, ნათლიავ?“

„ქონის მაგივრად კატას **გამოთხრი**...“

„რად **წაწალებ** და რად **დათხოულობ?** - ჰკითხა სანდრომ.“

„როცა გაიზრდები, მაშინ ადვილად **მიხვდები**.“

„რა იყო მიზეზი, რომ ლერწმოვანიდგან შენი ნებით **გამოხვედი?**“

„შუაგულ კვერცხში რას **ჰხედავ**, რას ამჩნევ?“

„დროა, შინისკენ **ჰქნათ** პირი და თქვენი ბინა **მონახოთ!**“

„რა ეს **ჰქმენ**, კაცო?...“ „**ბრძანდებით**.“

„ვინ ხარ შენ, რად და როგორ **მოჰკალი** ჩაღატარ-ნოინი?“

2. ფაქტობრივ თანამედროვე ნორმის ფარგლებშია მე-3 ირიბობიექტური პირის ნიშნის გამოვლენა, მით უფრო, როდესაც სამპირიანი ზმნების შესაბამისი ფორმები დაჩნდება:

„**სტყორცნა** ისარი და შიგ გულში გაურჭო...“

„რომ გაუჭირა საქმე ცხვარმა, სიღარიბემ **სთხოვა**...“

„ბოლოს მიცვივდნენ თავიანთ დედასთან, რძე საჩქაროდ **გამოსწოვეს**“.

„**მისცვივდნენ** ყმაწვილს, გადაეხვივნენ“.

„ცალი ხელი მაგრად **ჩასჭიდა**“.

„უცებ **გამოჰკრა** ჯოხს ბაწარი...“

„გზა **დაჰკარგოდათ**...“

„შოთას დედ-მამა ბავშვობის დროსვე **დაჰხოვეია**“.

„ჩვენს სასიყვარულო პოეტს სახელად **რქმევია** საალერსო სახელი „შოთა“ და სხვ.

3. საერთო სტატისტიკური სურათი ისეთია, რომ ის აშკარად პირის ნიშანთა მართებული გამოყენების ფონს ქმნის. ეს სურათი პირიანობის სხვადასხვა კონფიგურაციისათვის, მხოლოდ ფორმათა დამოწმებით, აქვე იქნება წარმოდგენილი. მანამდე კი მიზანშეწონილია სანიმუშო ილუსტრირება დარღვევათა ორი სახისა - პირის ნიშანთა მეტობისა და კლებისა.

ა) პირის ნიშანთა ჭარბი გამოყენება ხშირია ერთპირიანსა (რომლებშიც ობიექტური პირი გამორიცხულია) და ორპირიან გარდამავალ ზმნებში (რომელთა ობიექტი პირდაპირია და, შესაბამისად, ფორმალური ზმნური გამოხატულება არა აქვს). ამ დარღვევების ძირითადი მაპროვოცირებელი, როგორც ჩანს, არის ის სამეტყველო ჩვევა, რომელიც ქართულ დიალექტს უკავშირდება. ნიმუშები:

„ძველს დროში სწორედ ამ ადგილას **ჰყვოდა** კარგა მოზრდილი სოფელი“.

„...ძლიერ უძღურდებოდა ჩვენი ქვეყანა, გარეშე მტრების სათელავად **ჰხდებოდა**“.

„როცა უთხრეს ეს ამბავი, საშინლად **შესწუხდა** და **სთქვა**: უთუოდ ქალი მომტაცა...“

„**სცდილობდა**, როგორმე გაექარებინა მისი ნაღველი“.

„ზოგმა მათგანმა სიცოცხლე **დასდო** მამულისათვის“.

„ან მეფემ უნდა **დასდოს** თავი ერისათვის...“

„**სტოვებდნენ** უსაქმლოდ და უსასმლოდ“.

„...ღმერთი ამისთანა სინდისის პატრონს არ **გასწირავს**“.

„... მეორე კი უდო-უდროდ **ჰლევეს** თავის ღატაკს სულს მდიდარს სასახლეში“.



„ის ურჯულო შემოესევა ჩემს სამეფოს, **გადასწავს** სოფლებსა და ქალაქებს“.

„ავიდა მცხეთაში, **გადასწვა** ეს ძველი დედაქალაქი“.

„აილო ციხე და **ამოსწვია** მასში მდგარი მონგოლთა ჯარი“.

„მალე სრულად **გასწმინდა** ჩვენმა მეფემ თავისი სამფლობელო ურწმუნოთაგან“.

„ძუძუმწოვარს ბავშვებსაც კი კალოებზე **ჰყრიდა**“.

ბ) უფრო მოულოდნელია პირის ნიშნის კლება იქ, სადაც მისი გამოყენება სავალდებულოა. ასეთი შემთხვევები მეტად იშვიათია და მათი გამოვლენა, ალბათ, ავტორის შეგნებულ სიფრთხილეს უნდა მივაწეროთ:

„დედ-მამას მასზე **ამოდიოდა** მზე და გაგიჟებით უყვარდა“.

„თუ თათრების ნებას **დაყვებოდა**, მეფეს დაატყვევებდნენ...“

ახლა კი შეგვიძლია თვალი გავადევნოთ პირიან ფორმათა ერთგვარ ფარდობით სურათს:

ერთპირიანი		
მართებული	მეტობა	კლება
გადმოხტა გაზრდილიყო გამოჩნდა, გაჩნდნენ, გაჩნდა განქრა გახდა (ვერას), გახდნენ გახტა დაბინავდნენ დადექ! დაფრთხა დნებოდა დღესასწაულობდა მატულობს მოქმედებს სუფევდა ფიქრობდეს ფრინავდა შეკრთა შეფიქრიანდნენ შეჩოჩქოლდა შეძრწუნდნენ ჩაძვრნენ ცხოვრობს, ცხოვრობდა ცურავდა (ოფლში) ჰკნებოდა ხარობდა ზრუნავდა დაცუნცულებდი (სუბ.2) ბრძანდებით (2)	ჰყვოდა ჰმოწმოზდნენ (შენობანი) ჰხარობდა გაჰქრნენ მოჰკურცხლა ჰხდებოდა (სათელავად) მოჰქუხდა  სჩანდა, სჩანან სტიროდა სცოცხლობდა შესწუხდა მოსტყუვდა სცდილობდა სტიროდა (ხშირად) სწუხან სცურავდა (სისხლში) სტკებოდა, სტკებოდნენ სცდილობდნენ (იმას) სძევს სცხოვრობდნენ, სცხოვრობენ ვსცდები	
ორპირიანი (გრდუვ.)		
სწორი	მეტ	ნაკლები
ჰქვია ჰყავდა დაჰყვა, გამოჰყვა, შეჰყვა მიჰყავს ჰქონდა მიჰყავს მიჰქონდათ გამოჰქონდათ  ამოჰფარებოდა ჰგონებდა	მიჰმართა შეჰხარის, შეჰხაროდა, შეჰხაროდნენ სჩადიოდა	<b>ამოდიოდა</b> (მასზე მზე) (თუ თათრების ნებას) <b>დაყვებოდა</b>

<p>დასცემოდნენ</p> <p>მისდევდა</p> <p>მოსწყდა (მას)</p> <p>სძლია</p> <p>სდიოდა</p> <p>დასდიოდა (თავს)</p> <p>დასძახოდა</p> <p>შესცქეროდა</p> <p>დასთანხმდა</p> <p>ასცდა, ასცდებოდა</p> <p>მისცვივდნენ</p> <p>შესდგომოდნენ</p> <p>მოსდევდა</p> <p>დასდგომოდა (გზას)</p> <p>მისცემოდა</p> <p>გადმოსცვივდა</p> <p>გამოსწია</p> <p>მოსწონდა</p> <p>წასთვლიმა (იოთამსაც)</p> <p>მოსდიოდათ (ომი)</p> <p>სჭირდა</p> <p>სწეოდნენ (გულის წადილს)</p> <p>სძულდა</p> <p>სწყუროდათ</p> <p>შერჩენოდა, დარჩებოდა</p> <p>(თვალი ზედ), დარჩებოდა</p> <p>(მემკვიდრე)</p> <p>მივარდა</p> <p>დამღეროდა</p> <p>დამსგავსებოდა</p> <p>გადმოსკდა (ცრემლი), წასკდა</p> <p>დასხმოდნენ</p> <p>მოშორდა</p> <p>დახვედრიათ</p> <p>ხმარობდა (ხერხს)</p> <p>ღალატობდა</p> <p>მოშივნოდა</p> <p>გრძნობს, გრძნობდა</p> <p>(დადლილობას)</p>	<p>ჰგრძნობდა</p>	
ორპირიანი (გრდმ)		
სწორი	მეტე	ნაკლები
<p>ხდიდა (ბავშვად)</p> <p>გახადა (მკრთალი)</p> <p>გაბედოს</p> <p>შეხედა</p> <p>შექმნა (კივილი)</p> <p>გაგზავნა</p> <p>სვამდა</p> <p>ჟლეტდა, გაჟლეტს</p> <p>ნახავს</p> <p>დამღერა</p> <p>გახადა</p>	<p>ჰფარავს</p> <p>ჰკარგავდა (იმედს),</p> <p>დაჰკარგა, დაჰკარგეს</p> <p>ჰყოფს, ჰყოფენ, ჰყოფდა</p> <p>გაჰყო</p> <p>ჰქმნა (ჰქმნა პირი უკან)</p> <p>დაჰკარგოს</p> <p>ჰფენს (გარშემო ღებენას)</p> <p>ჰხდიდნენ (სამყოფად)</p> <p>შეჰქმნეს (ოჯახი)</p> <p>უარჰყევს</p>	

ჟღერდა დასცა (მიწაზე) სცადა გამოსცა	გადასწყვიტეს შესცვლიდა სთქვა სჭამდა (თვალეზით) გასჭრა (ლონემ) დასთმობდა შესძრა შესძლო შესწყვიტა (ცემა) (წესად) დასდეს წარმოსთქვა აწვალეს, <b>სტანჯეს</b> , ბოლოს <b>მოჰკლეს</b> , დაჩეხეს და გადააგდეს	
სამპირიანი		
სწორი	მეტი	ნაკლები
ჰკითხა, გამოჰკითხეს ჰკრა (დეზი) შეჰფიცა  მისცა, მისცე, მისცემდა სთხოვა შესძახა მოსტაცონ სტაცა შესძღვნა შესწამა (ღალატი)  გახადა (ტანთ)		

ამგვარად, ზოგადი სურათის მიხედვით, იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა ძირითადად ასახავს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ახალ ტენდენციას. ძირითადი (ხშირად გამოვლენილი) ზმნური ფორმების სწორად გამოყენების გამო მისი ენა არსებითად ნორმატიულ შთაბეჭდილებას ქმნის.

ამავე დროს, მისთვის დამახასიათებელია პირის ნიშანთა ჭარბი გამოყენება (მეტობა) და არა კლება, რასაც უთუოდ განაპირობებს, ერთი მხრივ, მისი ფართო განსწავლულობა ძველ ქართულ მწერლობაში, ხოლო მეორე მხრივ - მშობლიური ქართლური დიალექტისმიერი მემკვიდრეობითი ჩვევები.

ამასვე უნდა უკავშირდებოდეს ემპირიულად გამოვლენილი გარკვეული კანონზომიერება: დარღვევა მეტია ერთპირიანებში და პირდაპირპროპორციულად იკლებს პირიანობის ზრდასთან ერთად. ეს სურათი უთუოდ საპირისპირო კანონზომიერებას გვიჩვენებდა იმ შემთხვევაში, თუკი მწერლის ენისთვის პირის ნიშნების კლება იქნებოდა დამახასიათებელი.

#### ლიტერატურა:

- ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
- ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920.
- ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. 1, მორფოლოგია, მე-5-6 კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1976.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1-8, თბ., 1950-1964.
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1, თბ., 1970.

*Avtandil Arabuli*  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics*  
**JACOB GOGEBASHVILI AND THE ISSUE OF SPELLING S<sub>2</sub>O<sub>3</sub> PERSON MARKERS**  
**RESUME**

According to the general picture of using person markers Jacob Gogebashvili's literary legacy mainly reflects a new trend in the development of the Georgian literary language. Due to the correct use of key verb forms the writer's language gives essentially normative impression. At the same time it is characterized by the excessive use of person markers that is certainly conditioned, on the one hand, by the writer's wide knowledge in the old Georgian literary works and on the other hand, by the native Kartlian dialectal hereditary habits.

ვიანორ ახალაია  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ზანურის კილოკავებად დაყოფისა და შესწავლის ისტორიის საკითხები**

ზანური (კოლხური) ენა მდიდარია კილოებით და კილოკავებით, რომელთა შესახებ ცნობებს, ჩანაწერებს ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვთ. პირველად ჯანური და მეგრული სიტყვები ჩაიწერა თურქმა მოგზაურმა ევლია-ჩელებმა, რომელიც საქართველოში იყო XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში. შემდეგ მეგრული ლექსიკა ფიქსირებულია იმავე საუკუნეში აკად. ი. გიულდენშტედტის მიერ, რომელიც რუსეთის საიმპერატორო აკადემიაში მოღვაწეობდა და 1771-72 წლებში საქართველოში იმყოფებოდა. (მონაცემები აღებულია წიგნიდან: ვიანორ ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2004).

ი. კლაპორტი პირველი იყო, ვინც ყურადღება მიაქცია ჯანურში (ლაზურში) ენობრივ-ლექსიკურ სხვაობებს და ორი დიალექტი - ქემერული და ხოფური გამოყო, ხოლო ტრაპიზონული დიალექტის არსებობის შესახებ მიაჩნდა.

საგანგებოდ გახაზავდა ი. ყიფშიძე: „ყველაზე ფასეული, რაც მის შრომაშია, ესაა მის მიერ ჩაწერილ ფრაზაში მოხვედრილი ენებითი გვარის სრული ფორმა მხ. რიცხვის მესამე პირისა, როგორცაა, მაგალითად, რენ (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 36-37). ი. ყიფშიძე აქვე მიუთითებს ი. კლაპორტის სხვა შრომაზე (ი. კლაფროთი, 1829, გვ.157).

ჯანურის პირველი გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნის გეორგ როზენს (გ. როზენი, 1845); იგი ათინურ კილოკავს ემყარება. მისი ინფორმატორი იბრაჰიმ-ეფენდი ათინელი ყოფილა, მედრესეში ნასწავლი და ამიტომაც „გ. როზენს შეეძლო ჩანაწერის სისწორე შეემოწმებინა... ამიტომაც ჯანურ მასალას გ. როზენი არაბული ანბანით იწერდა... არაბულად ჩაწერილს ლათინური ტრანსკრიფცია ახლავს“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 143; დაყოფა ავტორისაა-ვ.ა.). თვით მეგრული გრამატიკის ჩინებული ავტორი ი. ყიფშიძე გ. როზენის მიერ დაწერილ მეგრულის მცირე ნარკვევზე (გ. როზენი, 1846) წერდა: „იგი პირველად შეეცადა მოეცა მეგრული ენის გრამატიკის ნარკვევი. მართალია, ამჟამად ამ გრამატიკას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თავისი დროისათვის ის უნდა ჩაითვალოს საკმაოდ წარმატებულ შრომად: (ი. ყიფშიძე, 1914, გვ.37).

ამ შრომის ერთ-ერთი ღირსებაა ისიც, რომ გროზენი ერთმანეთს უდარებდა მეგრულ და სათანადო ქართულ სიტყვებს, რითაც ავტორი „ამ ენათა შედარებითი ფონეტიკის პირველ ცდას გვაძლევს, რასაც შემდგომ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. ცაგარელმა“. - შენიშნავს ი. ყიფშიძე (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 37; დაყოფა ჩვენი - ვ. ა.).

რ. ერკეტის „კავკასიური ძირის ენებში“ (რ. ერკეტი, 1895), გარკვეული სიტყვები (სულ 545) თარგმნილია სხვადასხვა კავკასიურ ენაზე, მათ შორის ჯანურსა (ლაზურსა) და მეგრულ დიალექტებზე; გამოკვლევის მეორე ნაწილში მოცემულია სათანადო ენების ფრაზათა თარგმანი და მოკლე გრამატიკული მიმოხილვები (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 224-225). „რაც რომ სიტყვაა, ან საეჭვოა, ან არადა გაუგებრობა,“ -

შენიშნავს ნ. მარი რ. ერკეტისეულ ჭანურ მასალაზე (ნ. მარი, 1910, გვ. XXIV), არაფერს ამბობს იმ „გრამატიკულ შენიშვნებზე“, რომელიც ჭანურსა და მეგრულს ეხება.

შენიშნავთ, რომ პირველი ავტორები აკვირდებიან, სწავლობენ და საუბრობენ ქართველური ენების ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებზე, დიალექტურ, კილოკავურ სხვაობებზე, მიმოიხილავენ ამა თუ იმ კილოკავის ზოგ გრამატიკულ ფორმას, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ და გავითვალისწინებთ ენათა შესწავლის მაშინდელ არსებულ დონეს, საკვლევი მასალის სიმწირეს და საჭირო მეთოდოლოგიის უქონლობას, მათ შრომებს დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ასეთია საერთო სურათი ზანური (კოლხური) ენის მეცნიერული კვლევის პირველი ეტაპისა, რაც ძირითადად ტექსტებისა და ლექსიკური მასალის შეგროვებასა და პუბლიკაციაში გამოიხატა.

ი. ყიფშიძე აღნიშნავდა, „მეგრული ენის შესწავლაში ა. ცაგარლის შრომები ეპოქას ჰქმნისო“ (ი. ყიფშიძე, 1914, გვ.37). მართლაც, ა. ცაგარელმა თავის „მეგრულის ეტიუდებში“ (ა. ცაგარელი, 1880) „პირველმა მოგვცა მეგრული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები). იწერდა რა ქართული ანბანით მეგრულ ტექსტებს, მან, პირველმა იხმარა ე, ჯ, ნიშნები სპეციალურად მეგრულის ბგერებისათვის. „ეტიუდების“ მეორე ნაწილი შეიცავს მეგრული ენის ფონეტიკის შესწავლის ცდას“ (ი. ყიფშიძე, 1914, გვ.37-38). არნ. ჩიქობავა კი შენიშნავდა, რომ „ალ. ცაგარელის მეგრული ტექსტების სახით პირველად არის ჩაწერილი ქართველურ ენათა მასალა საენათმეცნიერო მიზნით... შინაარსის მიხედვით ტექსტები ნაირნაირია: ზღაპრები, ხალხური ლექსები, ანდაზები და ხალხური თქმები შეადგენს ძირითად ნაწილს (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 312-313).

ალ. ცაგარელთან ყველა ტექსტი თარგმნილია ქართულად და იქვეა სათანადო ახსნა-განმარტება.

ალ. ცაგარელის აღნიშნულ შრომებს წინ უსწრებდა მისივე „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“ (რომელიც ლითოგრაფიულად დაიბეჭდა 1872 წ. (ალ. ცაგარელი, 1872), ხოლო სტამბურად მოგვიანებით, 1957 წ. თსუ-ის შრომათა ტ. 67-ის დანართის სახით, ა. შანიძის რედაქციით, სადაც ზანურ მასალას სათანადო ადგილი ეთმობა.

პ. ჭარაიამ ვრცელი რეცენზია ქართულ ენაზე მიუძღვნა ალ. ცაგარელის „მეგრულ ეტიუდებს“ და, თავის მხრივ, ზანური ენის მეგრული დიალექტის ფონეტიკისა და მორფოლოგიური წყობის საკითხები წარმოადგინა (პ. ჭარაია, 1895).

პრ. აჭარიანის „ეტიუდები ლაზური ენის შესახებ“ (პრ. აჭარიანი, 1899) დაფუძნებულია მის წინამორბედ მკვლევართა მასალებზე, ნაწილობრივ კი თვით მის მიერაა შეგროვებული. შრომა კომპილაციური ხასიათისაა და „მას ეტყობა ყველა დადებითი და უარყოფითი წინამორბედებისაო“, - წერდა ნ. მარი (ნ. მარი, 1910, გვ. XXIV). თუმცა პრ. აჭარიანის შრომა, ჩანს მას ეხმარებოდა: ნ. მარი პრ. აჭარიანის ლექსიკურ მასალასა და ჩაწერილ ტექსტებს ამოწმებდა, ავსებდა მათ და იმავდროულად ახალსაც იწერდა, რაც მთავარია, ნ. მარს პრ. აჭარიანის შრომის საფუძველზე, „... ჯერ კიდევ გამგზავრებამდე შეუმუშავებია ჭანური ენის გრამატიკის საერთო სქემა და ამის წყალობით ჩამოსულა ლაზეთში გარკვეულად მომზადებული“ (ნ. მარი, 1919, გვ. XXVII). მიუხედავად ამისა ნ. მარი ერთგვარად სკეპტიკურად, თვითკრიტიკით უცქერის თავის ნაშრომს, რაკი წერს, რომ „ჩვენი ჭანური ძიებანი ადგილზე იყო ხანმოკლე და გარდაუვალად ზედაპირული“ (ნ. მარი, 1910, გვ. XXII). არადა, ნ. მარის „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა“ ჭანურის, „...ლექსიკას საკმაო სისრულით ასახავს და ზუსტად თარგმნის, საგრამატიკო სისტემა იგივეა, რაც „ძირითად ტაბულებში“ გვქონდა: სემიტურ ენათა სტრუქტურის პრინციპებს ემყარება, და მაინც, „ჭანურის გრამატიკა“ ნ. მარის ერთი საუკეთესო შრომათაგანია: მასალა, თუმცა უკმარი, მაგრამ სანდო, გრამატიკული მიმოხილვა უფრო სრული და ზუსტი, ვინემ ჭანურის შესახებ მანამდე არსებულ ლიტერატურაში (გ. როზენის და პრ. აჭარიანის შრომებში)“ (ა. ჩიქობავა, 1965, გვ. 342), სხვაგანაც არნ. ჩიქობავა საგანგებოდ აღნიშნავდა: „აკად. ნ. მარის „ჭანური ენის გრამატიკა“... ავტორის საენათმეცნიერო შრომათა შორის საუკეთესო პოზიტიურ გამოკვლევას წარმოადგენს“ (არნ. ჩიქობავა, 1939, გვ. XXII).

ნ. მარის „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა“ ეყრდნობოდა 1909 წ. ადგილზე მის მიერ შეკრებილ ჭანურის მასალას თურქეთის ლაზისტანში - ჯერ ვიწეში, შემდეგ არქაბსა და ბოლოს ხოფაში (ნ. მარი, 1910, გვ. XVI-XX). იგი იმავდროულად აკვირდებოდა ადგილობრივ მცხოვრებ ჭანთა ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესებსა და სხვა (ნ. მარი, 1910, გვ. 547-570, 607-632).

ჭანურის „ადმოსავლეთ კილოკავის განსაკუთრებული თქმაა ჩხალური“, - წერდა ნ. მარი (ნ. მარი, 1910, გვ. XVII) და იქვე სქოლიოში მიუთითებდა: „უფრო ზუსტი ცნობები რომაა ჩხალურ ჭანურზე, მე ამაში დავალებული ვარ ი. ყიფშიძისაგან, რომელმაც ახლახან დაასრულა ჩემს მიერ დავალებული ლინგვისტური ექსკურსია რუსეთის ლაზისტანში“ (ნ. მარი, 1910, გვ. XVII, სქოლიო I). მართლაც 1911წ. გამოქვეყნდა ი. ყიფშიძის „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ“ (ი. ყიფშიძე, 1911) - „სოლიდური ლინგვისტური ნაშრომი“ (კ. დანელია, 1994, გვ. 6), რომელშიც „არა მარტო... პირველად იყო მოცემული ჩხალური თქმის ვრცელი დახასიათება, არამედ წარმოდგენილი იყო არქაბული კილოკავის ტექსტები

ზღაპრული ჟანრისა (კ. დანელია, 1985, გვ. 29-30); უფრო ადრე, 1939 წ. ამის თაობაზე არნ. ჩიქობავა შენიშნავდა: ი. ყიფშიძის ჩხალური კილოკავის პროზაულ ტექსტებში „...სულ ხუთიოდე სტრიქონი თია ჩხალური (ესაა: II და III, გვ. 9-10), დანარჩენი არქაბელისაგანა ჩაწერილი და, რამდენადაც ვიცი, პირველი ჭანური ზღაპრებია. ამით ცხადი გახდა, რომ ჭანურ ფოლკლორში ცხოვრობს ის ჟანრი, რომელსაც ზღაპარი ეწოდება“ (არნ. ჩიქობავა, 1939., გვ. XXI). ესაა ახალი ენობრივი ფაქტების გამოვლენა, რითაც ჭანურის შესწავლა, ბუნებრივია, წინ მიდიოდა.

1914 წ. ი. ყიფშიძის მიერ გამოცემული „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“ (ი. ყიფშიძე, 1914) იქმნებოდა 1909-12 წლებში სამეგრელოში მოწყობილ სამეცნიერო მივლინებათა დროს შეგროვილი ენობრივი მასალის ბაზაზე. „ი. ყიფშიძის ვრცელი მონოგრაფია, მიუხედავად შეუფერებელი პრინციპებისა, რაც მას საფუძვლად უდევს, დღემდის რჩება მეგრულის სრულ მიმოხილვად“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 345). ამ კაპიტალურ ნაშრომზე (როგორც მას უწოდებდა კ. დანელია. იხ. დანელია 1994, გვ. 6) თანდართულ „ქრესტომათიაში“ პროზის ნიმუშებიცაა (გვ. 205-311) და პოეზიისაც (გვ. 312-380). ანდაზები, გამონათქვამები, გამოცანები, შელოცვები, ცრურწმენები (გვ. 390-392) - სამურზაყანო - ზუგდიდურისა და სენაკური კილოკავების მიხედვით. შემდეგაა „მეგრულ-რუსული ლექსიკონი“ (გვ. 395-628).

1917 წ. ი. ყიფშიძე კვლავ მივლინებითაა ლაზისტანში: მოიპოვა ძვირფასი ტექსტები, რომლის გადარჩენილი ნაწილი არნ. ჩიქობავას რედაქტორობით გამოიცა 1939 წ. ი. ყიფშიძის „ჭანური ტექსტების“ სახით. ჩაწერილ ტექსტებში ჭანურის სამივე კილოკავია წარმოდგენილი (ი. ყიფშიძე, 1939): ხოფური (გვ. 1-24); ვიწურ-არქაბული ტექსტები (გვ. 25-54), ვიწური ტექსტები (გვ. 55-70); ათინური (გვ. 71-93). იმ პირობებში, როცა ჭანურში „დღეების, თვეების, რიცხვითი რიგითი ჭანური სახელები სამეზარო გამხდარა, წელიწადის ნაწილთა ლაზური სახელები აღარავინ იცის“, ...და, როცა „მთელი სიმწვავით იზადება აუცილებლობა ყოველი ჭანური სიტყვის, ყოველი ჭანური ფორმის აღწერისა და ფიქსაციისა“ (არნ. ჩიქობავა, 1929, გვ. VII; დაყოფა ავტორისა), „ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილი ტექსტები ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობისაა“ (არნ. ჩიქობავა, 1939, გვ. XXIV).

ჭანური ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა ჩვენში თუ უცხოეთში. რაც მთავარია, გაკეთდა კარგი საქმე - შეგროვდა ჭანურის დიალექტური მასალა. 1929 წ. გამოდის არნ. ჩიქობავას „ჭანური ტექსტები“ (არნ. ჩიქობავა, 1929), რომლის „წინასიტყვაობაში“ შეკრებილი მასალის ნაირგვარობაზე ნათქვამია: „ხოფური კილოკავის დამახასიათებელ ტექსტებიდან სარფის თქმას უჭირავს 160 გვ., აზლილურსა და საკუთრივ ხოფურს 6 გვ.; მასალა შემდეგნაირად არის დალაგებული: თავში მოდის ხოჯა ნუსრედინის თავისებური ოხუნჯობანი (გვ. 1-13), ჭანურ წრემიც ეს ანეგდოტები იშვიათი პოპულარობით სარგებლობენ; შემდეგ ყოველნაირი „ჰექაბები“ (115 გვერდამდე): აქ ბევრი რამ არის ნათარგმნი (ჩვეულებრივ შემოკლებით) ქართული და თურქული საკითხავი წიგნებიდან (მათ შორის იაკ. გოგებაშვილის „იავნანამ რა ქნა“, 3-46) და თითქოს ყველგან წიგნური წარმოშობისაა, გარდა თავგადასავლებისა. 115 გვერდიდან 161 გვერდამდე მოცემულია უმთავრესად ეთნოგრაფიულ-ისტორიული ხასიათის მასალა: გადმოცემანი წინანდელი გეოგრაფიული ნომენკლატურის შესახებ, თქმულებანი ისტორიული შინაარსის, ზნე-ჩვეულებანი...“ (არნ. ჩიქობავა, 1929, გვ. IX).

1936 წ. გამოიცა არნ. ჩიქობავას კაპიტალური ნაშრომი „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ (არნ. ჩიქობავა, 1936), რომელიც წინასიტყვაობათა (გვ. XVI-XIX) და ორი ნაწილისაგან შედგება: ნაწილი პირველი, ჭანურის გრამატიკული ანალიზი (გვ. 3-189) და ნაწილი მეორე, ჭანური ტექსტები (გვ. 1-138). ტექსტები შეიცავს ვიწურ-არქაბულისა (1-86) და ათინური კილოკავის (გვ. 87-138) ნიმუშებს; დამატების სახით მოცემულია ხოფური ტექსტები (გვ. 139-151); „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ „გრამატიკულ მოვლენათა გარკვევისას უპირატესად ჩვენს მიერ ჩაწერილ ტექსტებს ვემყარებოდით“ ..., მაგრამ „ჭანური მეტყველების სრულ სურათის მისაღებად ეს ტექსტები ოდნავადაც არ კმარა“. თუმცა ამ გამოკვლევაში 300 გვერდზე მოცულობის ტექსტია, „როდესაც ჭანურის მკვლევარები 50-ოდე გვერდის მასალას ემყარებოდნენ“ (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. XVI). ისიცაა აღსანიშნავი, რომ აქ გამოქვეყნებული ტექსტების მცირე ნაწილი ს. ჯიქიას მიერაა ჩაწერილი, რაზედაც სათანადოდ მითითებულია.

გ. დიუმეზილს თავისი ტექსტების ორივე ნაკვეთი (გ. დიუმეზილი, 1937; გ. დიუმეზილი, 1967) „...სტამბოლში აქვს ჩაწერილი ორი პირისაგან, ორივე არქაბელისაგან“, - მიუთითებს ი. ასათიანი (ი. ასათიანი, 1974, გვ. 5), მესამე კი მოგვიანებით იბეჭდება ქართველოლოგიურ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ (გ. დიუმეზილი, 1972).

1938 წ. ქვეყნდება ს. ჟღენტის „ჭანური ტექსტები (ს. ჟღენტი, 1938), სადაც არქაბული მეტყველების ნიმუშებია წარმოდგენილი, რომელსაც ახლავს ავტორისავე შედგენილი „ლექსიკონი“ (გვ. 177-219), სადაც შედგენილია „...თანდართული ტექსტებიდან ამოკრეფილი მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც არ შესულა შრომებში: აკად. ნ. მარისა: „ლაზური (ჭანური) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ“

და პროფ. ი. ყიფშიძის: „დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ“, აგრეთვე შევიტანეთ ის სიტყვებიც, რომლებიც აკად. ნ. მარისა და პროფ. ი. ყიფშიძის შრომებში გვხვდება, მაგრამ ჩვენს მიერ შეკრებილ ტექსტებში აქვთ განსხვავებული მნიშვნელობა ან ფორმა“ (ს. ჟღენტის, 1938, გვ. 177).

არნ. ჩიქობავას, ს. ჟღენტისა და ს. ჯიქიას მიერ შეკრებილ ჭანურის მასალას არ ახლავს სათანადო ქართული თარგმანი, თუმცა არნ. ჩიქობავას „ჭანურის გრამატიკული ანალიზის“ (არნ. ჩიქობავა, 1936) გრამატიკულ მიმოხილვაში ჭანურის (აგრეთვე, მეგრულის) მასალა სათანადოდ ქართულადაა ნათარგმნი. ასევე არნ. ჩიქობავასავე „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (არნ. ჩიქობავა, 1938) - სათანადო ფრაზები ჭანურისა თუ მეგრულისა თარგმნილია ქართულად.

1920 წ. მეგრული ტექსტები გამოსცა შ. ბერიძემ (შ. ბერიძე, 1920); 1921-1933 წლებში მ. ხუბუა ოთხგზის იყო მივლინებული მეგრული მასალის შესაგროვებლად, უმთავრესად ამ დროს მოძიებულ მასალას ეყრდნობოდა მისი „მეგრული ტექსტები“ (მ. ხუბუა, 1937), რომელშიც პროზაული მასალა 1-307 გვ., ხოლო პოეზიის ნიმუშებს ეთმობა 308-361 გვ.

1967 წ. რუსულ ენაზე დაიბეჭდა ა. კიზირიას „ზანური ენა“ (ა. კიზირია, 1967). რომელშიც საუბარია ზანურის დიალექტურ დიფერენციაზე, მისი შესწავლის მოკლე ისტორიაზე, თან ერთვის თითო მცირე ტექსტი ჭანურისა და მეგრულისა, შესრულებული ქართული ანბანით, ლათინური ტრანსკრიფციითა და სათანადო რუსული თარგმანით.

1972 წ. დაისტამბა გ. კარტოზიას „ლაზური ტექსტები“ (გ. კარტოზია, 1972). ამ წიგნში „წარმოდგენილია ლაზურის ორი კილოკავის - ხოფურისა და ვიწურ - არქაზულის მასალა. რაც შეეხება ათინურს, ჩემ მიერ ჩაწერილი ათინური ტექსტები ქართული თარგმანით ცალკე დაიბეჭდა (ჟურნალი „მაცნე“, 1970, №4, გვ. 213-232) და აქ არ შემიტანია, წიგნში არ შევიდა აგრეთვე სარფში ჩაწერილი რვა ზღაპარი, რომელიც ცალკე დაიბეჭდა ქართული თარგმანითურთ (ქართული ლიტერატურის საკითხები, თბილისი, 1968, 132-178),“ - წერს ავტორი თავის „წინასიტყვაობაში“ (გ. კარტოზია, 1972, გვ. 6). ამ წიგნშია თავმოყრილი ავტორის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ჭანთა მეტყველების ნიმუშები, რომლის ჩაწერას ავტორი 1961 წლიდან აწარმოებდა (გ. კარტოზია, 1993, გვ. 368).

ორიოდე წლის შემდეგ გადმოცემული ი. ასათიანის „ჭანური (ლაზური) ტექსტები“ (ი. ასათიანი, 1974) გამომცემლობას 1970 წ. გადასცემია, „მაგრამ მისი დაბეჭდვა ტექნიკური მიზეზების გამო მხოლოდ ახლა (1974 წელს) გახდა შესაძლებელი. ამასობაში, 1972 წელს, გამოქვეყნდა გ. კარტოზიას „ლაზური ტექსტები“, ბუნებრივია, ამ შრომის გამოყენება ჩვენ ვერ მოგვიხერხდაო“, - დასძენს ავტორი (ი. ასათიანი, 1974, 16, სქოლიო 16). ი. ასათიანის „ჭანურ (ლაზურ) ტექსტებს“ ახლავს „თარგმანი კომენტარით“ (ქართულად), რითაც აღნიშნული წიგნი გამოყენების თვალსაზრისით გამოირჩევა.

1993 წელს გამოვიდა გ. კარტოზიას „ლაზური ტექსტები, II“, რომელშიც თავმოყრილია ავტორის მიერ ადგილზე, თურქეთში (ავტორი 1990-1992 წლებში ოთხჯერ ყოფილა თურქეთში). შეგროვილი მასალა ანურის სამივე კილოკავისა, სადაც „ხუთივე ლაზური პროვინციის ორმოცდაათამდე სოფლის მკვიდრთა მეტყველებაა ფიქსირებული“ (გ. კარტოზია, 1993, გვ. 368-359); ამავე წიგნში შეტანილია დამატებით ის 28 ტექსტი, რაც ავტორს თავის პირველ წიგნში არ შეუტანია (გ. კარტოზია, 1993, გვ. 369).

გ. კარტოზიას „ლაზური ტექსტების“ ორივე წიგნი ერთნაირი აგებულებისაა: პირველ ნაწილში პროზაული ტექსტებია, მეორეში კი - ლექსები, გამოცანები, ანდაზები.

მეგრული და ჭანური ანდაზები, შეგონებანი და სიტყვის მასალა არის შეტანილი რ. შეროზიასა და ო. მემიშიშის წიგნში „ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები“ (რ. შეროზია, ო. მემიშიში, 1994), რომელშიც შესულია შემდგენლების მიერ „საველე სამუშაოების დროს მოძიებულიცა და ადრე გამოქვეყნებულიც. მათ შორისაა ალ. ცაგარელის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, თ. სახოკიას, არნ. ჩიქობავას, გ. კარტოზიას, ა. ცანავას, ტ. გუდავას და კ. დანელიას მიერ გამოცემულ ტექსტებსა თუ ნაშრომებში დაბეჭდილი ნიმუშები“ (რ. შეროზია, ო. მემიშიში, 1994, გვ. 5).

უფრო ადრე კი ლაზი ავტორების - მ. ვანილიშისა და ა. თანდილაგას ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევში რამდენიმე პროზაული ტექსტია მოყვანილი, ერთვის პოეზიის ნიმუშები (მ. ვანილინი, ა. თანდილაგა, 1964).

ნ. ქუთელიას მიებანი ჭანურის ფონემატური სტრუქტურის სფეროში შემაჯამებელია მისსავე მონოგრაფიაში „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა“, თბილისის სახ. უნივერს. გამომცემლობა, 2005. მასვე ეკუთვნის საყურადღებო „ლაზური ფოლკლორი“, რომელიც ავტორმა ცალკე წიგნად დაბეჭდა (ნ. ქუთელია, 1982).

სამოცდაათიანი წლებიდან იბეჭდება მეგრული ტექსტებიც. 1971 წელს კ. სამუშია აქვეყნებს მეგრული ლექსების კრებულს (კ. სამუშია, 1971), 1975 წელს კი ტ. გუდავა ა. ცანავასთან ერთად გამოსაცემად ამზადებს, წინასიტყვაობასა და გამოკვლევას ურთავს მეგრული პოეზიის ნიმუშებს (ტ. გუდავა, ა. ცანავა, 1975); ხოლო 1991 წლისათვის მეგრული ზღაპრებისა და სხვა ჭანრის ნიმუშების ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კორნელი დანელიამ და

აპოლონ ცანავამ (კ. დანელია, ა. ცანავა, 1991). ამ ორივე ფუნდამენტური სახის მონოგრაფიაში თავმოყრილია მეგრული დიალექტის (თავისი კილოკავებითურთ) მდიდარი მასალა ქართული თარგმანით, რაც აადვილებს როგორც მის საენათმეცნიერო მოხმარებას, ასევე, საზოგადოდ, ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვისაც აინტერესებს ქართული ფოლკლორი.

ს. ჟღენტამ მონოგრაფიულად დაამუშავა ჭანურის ფონეტიკა (ს. ჟღენტი, 1953). 1980 წელს გამოვიდა ნ. კიზირიას ექსპერიმენტული სახის გამოკვლევა ჭანურის ბგერით შემადგენლობაზე (ნ. კიზირია, 1980), ხოლო ანალოგიური ხასიათის შრომა მეგრულის დიალექტზე გამოსცა ნ. იმნაძემ (ნ. იმნაძე, 1981).

2005 წელს დაიბეჭდა გ. კარტოზიას მონოგრაფია „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“, რომელშიც გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლაზური დამოუკიდებელი ენაა, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით. (ამაზე მოგვიანებით). მიუხედავად ამისა, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ მასში დაფიქსირებულია არა ერთი საინტერესო ფაქტი ლაზურის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის თუ სინტაქსის სფეროდან (კარტოზია, 2005).

მეგრულის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა 2010 წელს გამოცემული მონოგრაფია „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (ავტორები: კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია), სადაც შედარებით სრულად არის გადმოცემული მეგრულში ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სინტაქსის ძირითადი საკითხები.

2015 წელს გამოვიდა ზანური მორფოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის სოლიდური ნაშრომი „ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია“. როგორც ვნახეთ, ზანურის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი სტრუქტურის და ისტორიის მრავალი საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვდა დაზუსტებასა და გაღრმავებულ კვლევას. ამ წიგნის შექმნა უდავოდ ამ მხრივ წინგადადგმული ნაბიჯია. (ქირია, უზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, 2015)

ზანური ლექსიკის შესწავლასა და ლექსიკონებზე ცალკე უნდა აღინიშნოს ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონები.

ზანური ენის ლექსიკონების შედგენას დიდი ამაგი დასდეს: პ. ჭარაიამ, „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, თბ., 1997; გ. ელიავამ, „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, თბ., 1997; ი. ბექალიშვიმ და პ. უზუნჰასან-იოღლიმ, ლაზურ-თურქული ნენაფუნა, სტამბული, 1999; ასევე ირფან ალექსივას მონაწილეობით გამოვიდა „დიდი ლაზური ნენაფუნა, 2007; ალი თანდილაევამ შექმნა და გამოსაცემად მოამზადა მ. ჩუხუამ „ლაზური ლექსიკონი“, 2013; „მეგრულ-ქართული“ ლექსიკონი ოთხი მოზრდილი ტომი გამოსცა ოთარ ქაჯაიამ 2001-2009 წ. ასევე „მეგრული ლექსიკონი“ 2010 წ. ალიო ქობალიამ.

როგორც ვხედავთ, მეცნიერული დახასიათება და დაყოფა მეგრული კილოკავებისა მოცემული აქვს ი. ყიფშიძეს, ხოლო ჭანურისა - ნ. მარის. იგი ჭანურს საერთოდ ორ კილოდ ჰყოფდა: აღმოსავლურ (ხოფური) და დასავლურ (ათინური, ვიწური, არქაბული) კილოებად. თუმცა მათ მეგრული და ჭანური ორ ენად მიაჩნდათ, ისე როგორც ზოგიერთ მკვლევარს დღეს.

ა. ჩიქობავამ 1936 წელს გამოცემულ „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ უამრავ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ზუსტად გაარკვია ჭანურისა და მეგრულის ურთიერთობა: ფონეტიკური სისტემის, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით „ჭანური და მეგრული ორი კილოა ერთი ენისა, ზანურისა; ეს ორი კილო ერთმანეთთან ისევე ახლოს დგას, როგორც გურული და ხევსურული კილო ქართულისა, და კიდევ უფრო ახლოს, ვინემ ლენტეხური და ბალსქვემოური კილოები სვანურისა“ (ა. ჩიქობავა, 2008, 909).

მეგრულში გამოიყოფა ორი კილოკავი: სენაკური და ზუგდიდურ-სამურზაყანული. სენაკურში გამოყოფენ მარტვილურ-ბანძურ თქმას, ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანულში-ჯვარულ თქმას. ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება, ვიწურ-არქაბულის მსგავსად, დანარჩენ ლაზურ დიალექტებსაც, შემადგენელ კილოკავთა სახელწოდებების მიხედვით, ათინურ-ართაშენული და ხოფურ-ჩხალური ვუწოდოთ. ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ მეგრული ენის კილოკავთა აღნიშვნის დროსაც: ზუგდიდურ-სამურზაყანულისა და სენაკურის ნაცვლად, ზუგდიდურ-სამურზაყანულსა და სენაკურ-მარტვილურზე უნდა გვქონდეს საუბარი (გ. კარტოზია, 2005, 4).

ა. შანიძე აღნიშნული ტერმინების ნაცვლად ამჯობინებს „ჩრდილო-დასავლურს“ ზუგდიდურ-სამურზაყანულისათვის და „სამხრეთ-აღმოსავლურს“ - სენაკურ-მარტვილურისათვის (მარგველაშვილი, 1988, 194. იხ. სქოლიო), ზოგი მკვლევრისათვის კი უფრო მოსახერხებელია მხოლოდ „აღმოსავლური“ და „დასავლური“ (გიგინეია, 1958, 459; დანელია, 2006, 32; კარტოზია 2008, 92). ამასთან საყურადღებოა, რომ ხობი და ჩხოროწყუ ითვლება დიალექტებს შორის გადამავალ არეალად, რის გამოც მეტყველებაში ხშირად დასტურდება ორივე დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმები, ამიტომაც ამ არეალის აღსანიშნავად გვხვდება ტერმინი „ცენტრალური“ (ხუბუა, 1937, VIII; დანელია 2006, 32), რომელიც კარგად ასახავს იმ ინტერფერენციულ მოვლენებს, რომლებიც დამახასიათებელია მარგინალებისათვის (კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია, 2010, 31).



მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყნულ და სენაკურ-მარტვილურ კილოზე მოლაპარაკეთ ერთმანეთთა კომუნიკაცია არ უჭირთ. მათ შორის სხვაობა უპირატესად ფონეტიკის დონეზე, ასევე, ბრუნვის, პირის, რიცხვის ნიშნების მორფემებსა და ლექსიკას შორის ვლინდება. მიუხედავად ამისა, დაშორებული კუთხის მეგრელები კარგად უგებენ ერთმანეთს.

ჭანურის კილოვანთა შორის განსხვავებას ქმნის ყ- ბგერის ვითარება, ხოფურისათვის მყოფადის, თურმეობითების წარმოება, -უფ/-იფ თემის ნიშანი ნაცვლად ათინურ-ვიწურ-არქაბული - უმ/-ომ-ისა, ზოგიერთი ლექსიკური ერთეული და სხვა. ათინურ-ართაშენულისთვის: მყოფადის წარმოება, III სერიის მწკრივები, მოთხრობითისა და მიცემითის დასუსტება, ჩვენებითი ნაცვალსახელების აგებულება, ვიწურ-არქაბულისთვის: I სუბიექტური პირის ზ ნიშანი (ნაცვლად ვ-სი), ჩვენებითი ნაცვალსახელების აგებულება და ლექსიკა, რომელიც ყველაზე უკეთ დაუცავს ამ კილოვანს.

ზანურ დიალექტებში მკვეთრად გამოვლენილი ფონეტიკური დაპირისპირება უნდა ასახავდეს ზანურის ადრინდელ დაყოფას ორ დიალექტურ არეალად, პირობითად, - ჩრდილოურ და სამხრულ კილოებად, ან, თუ ერთ-ერთ განმასხვავებელ ფონეტიკურ ნიშანს ავიღებთ საფუძვლად, ი-დიალექტად და უ-დიალექტად. ჩრდილოური დიალექტი (ანუ ი-დიალექტი), როგორც ჩანს, დღევანდელი მეგრულისა და ლაზურის ხოფურ-ჩახალური კილოს მეტყველებას მოიცავდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ საერთო წინაპარს წარმოადგენდა: სამხრული დიალექტი (უ-დიალექტი) ლაზურის დასავლურ დიალექტებს - ათინურ-ართაშენულისა და ვიწურ-არქაბულს - მოიცავდა. აღმოსავლურქართული (ქართების) ტომის მიერ ზანური ენის ტერიტორიული გახლეჩის შედეგად (ამის შესახებ იხ. ჯავახიშვილი 1913, 56-57; Гамкрелидзе, Иванов 1984...., 1881) ხოფურ-ჩახალური, რომელიც მეგრულთან ერთად ერთ კილოს ქმნიდა, დაშორდა მას, უშუალო მეზობლებს - ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულს - მიეკედლა და მათთან საერთო მრავალი მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური სიახლე განივითარა. (კარტოზია, 2005, 10). თუმცა არსებობს ამაზე განსხვავებული მოსაზრებაც (იხ. ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, 2015, 67).

#### ლიტერატურა:

1. ვ. ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2004.
2. გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი, 2005.
3. გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი, 2010.
4. ჯ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია, თბილისი, 2015.
5. არნ. ჩიქობავა, შრომები, III, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 2008.

*Vianor Akhalaia*

*Gori State Teaching University*

### **THE RELATIONS OF THE ZANI SUBDIALECTS AND FOR THE HISTORY OF THEIR STUDYING RESUME**

Mingrealian and Chanuri (Lazurian) are the dialects of the Zanuri (Colchis) language. Their studying and their subdialect division have a long history.

We consider that, Senakuri-Martvilian must be allocated together with Zugdidian-Samurzakanaulian from the Mingrealian and Vitsur-Arkabuli, Atinur-Artashenuli and Khofur-Chakhaturi must be allocated from Chanuri (Lazurian). Phonological, morphological, syntactic and lexical peculiarities make differences between these subdialects.

## **ნანათესაობითარ მსაზღვრელთა შესიტყვების საკითხისათვის**

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად გამოყოფილ ერთგვარ სუბსტანტიურგანსაზღვრებთან წინადადებათა გვერდით გვხვდება ისეთი წინადადებებიც, რომლებშიც სუბსტანტიური განსაზღვრებები ერთგვარი წევრები არ არის: „ეს მოხდა რომელიღაც **თანამშრომლის ბავშვის დაბადების** დღეზე“ (ფანჯ.); „ოთარ **რამიშვილის ცვლის უფროსობის** დროს გეგმას წელიწადში სამჯერ თუ შეასრულებდნენ“ (ფანჯ.); „მათი **თუჯის ზარბაზნების ლულების** ცქერას არაფერი მერჩია“. მართალია, აქ ყველა განსაზღვრება მართულია ნათესაობით ბრუნვაში, მაგრამ ისინი ერთმანეთს თანწყობით არ უკავშირდებიან და არც ერთსა და იმავე ნიშან-თვისებას (სემანტიკურ მიმართებას) გამოხატავენ. მეტყველებისას ასეთ წევრთა შორის ინტონაცია განსხვავებულია – არ გვაქვს ე. წ. ჩამოთვლის ინტონაცია. ამიტომაცაა, რომ მათ შორის არ დაისმის ხოლმე კავშირი და, რომელიც შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებს შორის ყოველთვის შეიძლება ვიხმაროთ [ბურჭულაძე 1999 : 22]. ასეთ წინადადებებში სუბსტანტიური განსაზღვრებები **ურთიერთგანმსაზღვრელნი** არიან. მაგ.: **დღეს განსაზღვრავს დაბადების, დაბადების – ბავშვის, ბავშვის – თანამშრომლის, თანამშრომლის – დღე** და ა. შ. აქ ესენი საზღვრულის (დღე-ს) უშუალო განსაზღვრებები კი არ არიან, არამედ **ურთიერთგანმსაზღვრელი** წევრები არიან. მაშასადამე, აქ გვაქვს მართულ მსაზღვრელთა რიგი. ამდენად, დასახელებული წინადადებებიც მარტივია და არა შერწყმული.

ძველ ქართულში გვქონდა სამმსაზღვრელიანი ნიმუშებიც [კალაძე 1961:112-116], თუმცა უფრო ბუნებრივია ორმსაზღვრელიანი კონსტრუქციები. ახალ ქართულშიც ჩვეულებრივია ორმსაზღვრელიანი წინადადებები, მაგრამ არც თუ იშვიათად გვხვდება სამმსაზღვრელიანი კონსტრუქციებიც: „ექსპერიმენტული **ფილმების სტუდიის უფროსის** მოსაცდელში სამი კაცი იდგა“ (ფანჯ.); „**იუგოსლავიის თერმოატომგულის ინსტიტუტის** ოთხი თანამშრომელი მეგატონზე მუშაობის დროს რადიაციული გამოსხივების შედეგად დაავადდა სისხლის გათეთრებით“ (ფანჯ.).

შესაძლებელია სამმსაზღვრელიანი კონსტრუქციების გავრცობა და ოთხ, ხუთ და ა. შ. მსაზღვრელიანი ნიმუშების მიღება: **უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურის** დასახელება; **უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურის დასახელების საკითხის** დასმა; ეს არაა ურთიერთგანმსაზღვრელ კონსტრუქციათა ჭერი, რადგან შესაძლებელია ამ სახის ფრაზათა გავრცობაც: ივ. **ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებულების შესრულების** საკითხი. რა თქმა უნდა, ასეთ წინადადებებს გამოყენების თავისი არე აქვს, რაც სტილისტიკურადაა შეპირობებული. როგორც წესი, ამგვარი კონსტრუქციები ძირითადად დაწესებულებათა დასახელებებსა თუ ოფიციალურ-საქმიან ქაღალდებში გვხვდება.

ჩვენ ამჯერად ყურადღებას შევაჩერეთ ამგვარ მარტივ წინადადებებში შესიტყვებათა გამოყოფის საკითხზე – შესაძლებელია თუ არა შესიტყვებების გამოყოფა და რა სახის სინტაქსური კავშირი არის მათ შორის.

ზოგადად, წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდება. ხოლო წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია [კვაჭაძე 1996 :10]. მიჩნეულია, რომ წინადადების ორი წევრი ქმნის ერთ სიტყვათა შეკავშირებას, ანუ ერთ სინტაქსურ ერთეულს. ასეთ ერთეულს წყვილი ჰქვია. მას სხვაგვარად **სინტაგმას** ეძახიან [კვაჭაძე 1996 : 16]. არნ. ჩიქობავას შესიტყვებათა შესახებ ასეთი დასკვნა აქვს გამოტანილი: „შესიტყვება გულისხმობს სულ მცირე ორ სიტყვას. შესიტყვება არ არის სიტყვათა უბრალო წყება: შესიტყვება ისეთ სიტყვათა წყებაა, რომელნიც ერთმანეთთან გარკვეულს დამოკიდებულებაში იმყოფებიან; ეს დამოკიდებულებაა, სიტყვათა რიგს რომ შესიტყვებად ხდის“. შესიტყვების შესწავლა გულისხმობს იმის გაანალიზებას, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაა მათ შორის. საკითხის ამ თვალსაზრისით განხილვა კი ნიშნავს იმის გამორკვევას, თუ რა როლს თამაშობს ესა თუ ის სიტყვა ამ დამოკიდებულებაში [ჩიქობავა 2010 : 94].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ სახელმა სახელი შეიძლება მართოს ბრუნვაში და ამავე დროს მართოს არა მარტო არს. სახელი (ან არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი სხვა სახელები), არამედ სახელმწიფიც. ამასთანავე, **მმართველი** სახელი შეიძლება **მართულიც** გახდეს. „კაცის

მოკვლის ამბავი პაპას თავზარსა სცემს“ – წინადადების მაგალითზე შენიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, **კაცის და მოკვლის** ორივე ნათესაობით ბრუნვაშია, მათ შორის არა შეთანხმება, არამედ მართვაა – „**კაცის** ნათესაობითში დგას იმიტომ, რომ ის მართულია **მოკვლის** მიერ“ [კვაჭაძე 1996 : 22-23].

ჩვენ მიერ მოყვანილ წინადადებებში შესიტყვებების გამოყოფის საკითხს ერთი მაგალითის მიხედვით წარმოვადგენთ: „**უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურის დასახელების საკითხის დასმა აუცილებელია**“. სხვა მარტივ წინადადებათა მსგავსად, სადაც რამდენი წევრიცაა წინადადებაში, იმდენი სინტაგმა გამოიყოფა ერთის გამოკლებით, აქ ვერ გამოვყოფთ შესიტყვებებს. ცხადია, გამოიყოფა მხოლოდ შემდეგი:

1. საკითხის დასმა
2. დასმა აუცილებელია

მოყვანილ შესიტყვებებში, პირველსა და მეორეშიც, მართვა გვაქვს. პირველში სახელსა და სახელს შორისაა მართვა, ხოლო მეორეში – სახელსა და სახელზმნას შორის. ორივე შემთხვევაში სუბორდინაციასთან გვაქვს საქმე.

რა ვითარებაა წინადადების სხვა წევრებთან მიმართებით? ისინი (უნივერსიტეტის, რექტორის, კანდიდატურის, დასახელების) წინადადების წევრები კი არიან, მაგრამ ვერ ქმნიან ერთმანეთთან შესიტყვებას, გარდა ბოლო წევრისა, რომელიც სახელობითში დასმულ სახელზმნას ან ზმნას უკავშირდება. აქ, ცხადია, დადგება საკითხიც წინადადებაში წყვილთა რაოდენობის გამოყოფის აქამდე არსებული წესის გადასინჯვისა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასახელებულ წინადადებებში ყველა სიტყვა წევრია, წინადადებაც მარტივია, მაგრამ ვერ ქმნიან შესიტყვებებს. შესაძლოა არსებულ წესს დაემატოს მითითება: „**მარტივ წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენიც წევრია ერთის გამოკლებით. მაგრამ თუ წინადადებაში ურთიერთგანმსაზღვრელი წევრები გვხვდება, მაშინ ისინი ვერ შექმნიან შესიტყვებებს**“. მაშასადამე, ცალკე ვერ იქმნება მაგალითად შემდეგი ფორმები:

1. უნივერსიტეტის რექტორის
2. რექტორის კანდიდატურის
3. კანდიდატურის დასახელების
4. დასახელების საკითხის

როგორც აღვნიშნეთ, ისინი **ურთიერთგანმსაზღვრელი წევრები** არიან, ერთმანეთს განსაზღვრავენ და ფორმალურად მუდამ ნათესაობით ბრუნვაში დგანან. ისინი ერთმანეთს შინაარსობრივად და გრამატიკულად კი მიემართებიან, მაგრამ შესიტყვებას ვერ ქმნიან (გარდა ბოლო წევრისა).

ანტონ კიზირია სამართლიანად შენიშნავდა, რომ რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ცნება სინტაგმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს გრამატიკული ერთიანობის გამოსახატავად, მცდარია. ამ თეორიის საფუძველზე, ეს წევრი შეიძლება იყოს მარტივია და გავრცობილიც. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს „**სინტაქსურ ჯგუფს**“ [კიზირია 1954 : 211]. ამის მიხედვით ვიღებთ მონაკვეთებს და არა შესიტყვებებს. „**სინტაქსური ჯგუფი**“ უცხოა სინტაქსისათვის: წინადადებაში ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებულია ორი სიტყვა და არა სიტყვათა მთელი კომპლექსი, რომელიც ასეთ ჯგუფს ედება საფუძვლად. „**სინტაქსური ჯგუფი** არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სინტაგმას [კიზირია 1954 : 212].

დასახელებულ კონსტრუქციებშიც სწორედ სინტაქსური ჯგუფები გვაქვს და არა შესიტყვებები. აქ ერთიანი აზრია, ერთიანი მიმართება და ცხადია, ვერც მთლიან წინადადებას გამოვყოფთ შესიტყვებად. მაგალითად, ასე – **უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურის დასახელების საკითხის დასმა**. ესე იგი, ამგვარ წინადადებებში ვერ გამოვყოფთ შესიტყვებებს.

როგორ დგას საკითხი **თანიანი მრავლობითის** შემთხვევაში? როგორც ცნობილია, დასახელებებსა და სახელწოდებებში ხშირად სწორედ თანიანი მრავლობითის ფორმა გამოიყენება: მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კავშირი, ბავშვთა სახლი, მხატვართა კავშირი, კომპოზიტორთა სახლი და ა. შ. ვფიქრობთ, აქაც ანალოგიური ვითარება გვაქვს. **თანიანი მრავლობითი** თავისთავად ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა და ზემოთ მოყვანილ წინადადებათა ანალოგიურია – ცალკე აღებულ თანიანი მრავლობითის ფორმასთან გამოიყოფა შესიტყვება მაგ.: მეცნიერებათა აკადემია აცხადებს, მწერალთა კავშირმა განაცხადა, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა დახატეს, მხატვართა კავშირს გაუკეთებია, კომპოზიტორთა სახლმა შეიცვალა ადგილი...

1. მეცნიერებათა აკადემია
2. აკადემია აცხადებს  
ან
1. მწერალთა კავშირმა
2. კავშირმა განაცხადა

ორივე შემთხვევაში მათ შორის სინტაქსური კავშირი მართვაა, მაგრამ თუ მას ახლავს კიდევ ნათესაობითში დასმული განმსაზღვრელი წევრი, შესიტყვება არ გამოიყოფა. მაგალითად, **მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის განცხადების** საფუძველზე კომისიამ მუშაობა დაიწყო. აქაც მთლიანი მიმართება გვაქვს ერთ საერთო წევრთან, სინტაქსური ჯგუფი იქმნება და არა შესიტყვება.

მაშასადამე, ნათესაობითში წარმოდგენილ **ურთიერთგანმსაზღვრელიან** მარტივ წინადადებებში არ გამოიყოფა შესიტყვებები სხვა მარტივი წინადადების მსგავსად, რადგან ისინი მთლიანობაში ქმნიან ურთიერთგანმსაზღვრელ წევრებს, ვიღებთ მონაკვეთებს და არა შესიტყვებებს.

#### ლიტერატურა:

1. ბურჭულაძე, 2002 – თ. ბურჭულაძე, ერთგვარ განსაზღვრებათა გაგებისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბილისი
2. კალაძე, 1961 – ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი
3. კვაჭაძე, 1996 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი
4. კიზირია, 1954 – ა. კიზირია, სინტაგმის საკითხისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 53, თბილისი
5. ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, შენიშვნები შესიტყვების შესახებ, შრომები, II, თბილისი

**Tea Burchuladze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics*

#### ON THE ISSUE OF THE SYNTAGM OF NON-ADHERENTS IN THE POSSESSIVE CASE RESUME

In the Georgian language there are sentences in which substantive attributes are not alike members. In such cases all the attributes are governed in the possessive case but they do not connect to each other by the coordination and even do not have the same peculiarities (semantic relations). They are not direct attributes of an antecedent but they are **inter-attributive** members. So, we have a cluster of the governed attributes, e.g. *universitetis rektoris kandidaturis dasakhelebis sakitkhis dasma*. In the simple sentences containing inter-attributes in the possessive case syntagms are not separated like in other sentences because they create inter-attributive members as a whole. Thus, we get sections and not syntagms. It is possible to add the existing rule the following explanation: “a number of pairs in a simple sentence is one less than a number of the members. If a sentence includes inter-attributive members, they cannot produce syntagms”.

**გიორგი გოგოლაშვილი**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

#### პრეფიქსიანი ვნებითის II სერიის არქაული ფორმები ქართულ დიალექტებში

ქართული ენის რამდენიმე დიალექტში — ქართლურში, კახურში, ფერეიდნულში, მესხურში, აჭარულში (უპირატესად ზემოაჭარულში), რაჭულის გოლოლურ თქმაში მეორე სერიაში პრეფიქსიანი ვნებითების საყრდენი ფუძე სუბიექტის მრავლობით რიცხვში **ენ(ან)** სუფიქსით რთულდება:

და-ვი-ზარდ-ენ-ი-თ	შე-ე-ხვეწ-ენ-ი-თ
და-ი-ზარდ-ენ-ი-თ	შე-ე-ხვეწ-ენ-ი-თ
და-ი-ზარდ-ნ-ენ	შე-ე-ხვეწ-ნ-ენ

და-ვ-ი/ე-მალ-ენ-ი-თ

და-ი/ე-მალ-ენ-ი-თ

და-ი/ე-მალ-ნ-ენ

ფერეიდნულსა და გლოლურში სხვაობს მესამე პირის ფორმა:

შე-ვ-ი-ყარ-ენ-ი-თ

ვ-ი-ყვ-ენ-ი-თ

შე-ი-ყარ-ენ-ი-თ

ი-ყვ-ენ-ი-თ

შე-ი-ყარ-ნ-ეს...

ი-ყვ-ნ-ეს...

ეს ფაქტები დასახელებულ დიალექტებში სისტემურ ხასიათს ატარებს. მხოლოდითი სუბიექტის შემთხვევაში პარადიგმა რაიმე თავისებურებებს არ ავლენს:

და-ვ-ი-კარგ-ე

შდრ.:

და-ვ-იკარგ-ენ-ი-თ

და-ი-კარგ-ე

და-იკარგ-ენ-ი-თ

და-ი-კარგ-ა

და-იკარგ-ნ-ენ/ეს

ნ(>ენ) სუფიქსი თავს იჩენს ამ დიალექტებში || კავშირებითის ფორმებშიც:

და-ვ-ი/ე-მალ-ნ-ე-თ

და-ი/ე-მალ-ნ-ე-თ

და-ი/ე-მალ-ნ-ე-ნ

ფორმობრივად III პირის ფორმა ემთხვევა წყვეტილის III პირის ფორმას (და-ი/ე-მალ-ნ-ენ); სხვაობა გვაქვს გლოლურში (და-ი/ე-მალ-ნ-ეს და და-ი/ე-მალ-ნ-ე-ნ).

ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, მაგრამ კვალიფიკაციის დროს საკმაოდ ფრთხილობენ: ზი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითები ნამყო ძირითადის მრავლობითი რიცხვის ფორმებში **-ენ→ნ** სუფიქსს დაირთავენ“ (ზ. ჯორბენაძე). აქ ამ სუფიქსის რაობაზე არაფერია თქმული. თუმცა ჩვეულებრივ მას განიხილავენ ძველი ქართულის ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითი ნიშნის ნაშთად...

თავისთავად **დავიზარდენით** ტიპის ფორმათა ანალიზი მრავალ საინტერესო კითხვას გასცემს პასუხს როგორც ენის ისტორიის, ისე დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

მოგვიწევს ვრცელი ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

1929 წელს არნ. ჩიქობავამ გამოაქვეყნა ნაშრომი ჰრით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული ობიექტი ძველს ქართულში? დასკვნა ასეთია: მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში MO-ი, რომელი პირისაც უნდა იყოს იგი, თანაბრად აღინიშნება **-ენ//ნ** ფორმანტით; პირის განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს. ის ფაქტი, რომ **-ენ** სუბიექტური მესამე პირის აღმნიშვნელადაც გვევლინება ზმნაში (აწმყოში), ავტორის აზრით, ჰარის ნაშთი იმ მდგომარეობისა, როდესაც MS-ისა და MO-ის ფორმანტები არ განირჩეოდნენ, ერთისა და იმავე ფორმანტით შეიძლება აღნიშნულიყო, როგორც ერთი, ისე მეორე. მოგვიანო პერიოდის ნაშრომში ავტორი ასეთ თვალსაზრისს გვთავაზობს: ზუახლესი ობიექტის რიცხვის (მრავლობითის) აღნიშვნა ძველ ქართულს გარდამავალ ზმნაში (ყვ-ნ-ა საქმენი, ვყვ-ენ-ი-თ, ჰყვ-ენ-ი-თ, ყვ-ნ-ეს საქმენი...) კლასოვანი უღლების ნაშთია ძველ ქართულში (ჩიქობავა, 1979). მიუხედავად ამგვარი დასკვნისა, დღევანდელ საენათმეცნიერო ლიტერატურაში **-ენ/ნ** ჩვეულებრივ განიხილება პირისა და რიცხვის ნიშანთა სისტემაში და იწოდება **პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად**; მით უმეტეს, რომ იგი მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტსაც მიემართება ვნებითი გვარის ზმნებში (და-ვ-ი-ზარდ-ენ-ი-თ). გარდა ამისა, ჩვენი აზრით, სახელმძღვანელოებსა და სახელმძღვანელოთა ტიპის გამოცემებში ამ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობა არ შეესაბამება მორფოლოგიური ანალიზის პრინციპებს...

როგორც ითქვა, ძველ ქართულში || სერიაში მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი (სახელობითში დასმული) ობიექტის მრავლობითობა აღინიშნება **-ენ (<ნ)** სუფიქსით:

და-ვ-ხატ-ე მე იგი,

მე იგინი და-ვ-ხატ-ენ

და-ხატ-ე შენ იგი,

შენ იგინი და-ხატ-ენ

და-ხატ-ა მან იგი,	მან იგინი და-ხატ- <b>ნ</b> -ა
და-ვ-ხატ-ე-თ ჩუენ იგი,	ჩვენ იგინი და-ვ-ხატ- <b>ენ</b> -ი-თ
და-ხატ-ე-თ თქუენ იგი,	ქვენ იგინი და-ხატ- <b>ენ</b> -ი-თ
და-ხატ-ეს მათ იგი,	მათ იგინი და-ხატ- <b>ნ</b> -ეს

**-ენ / -ნ** მოქმედი აფიქსი ჩანს; მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა პირდაპირი ობიექტი სახელობითშია და არა მიცემითში. **ობიექტის სახელობითში ყოფნა აუცილებელი პირობაა -ენ(ნ) სუფიქსის გამოვლენისათვის.**

წარმოდგენილ პარადიგმაში პირდაპირი ობიექტი მესამე პირია და, როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში მისი მრავლობითობა **-ენ(ნ)** სუფიქსით გამოიხატება. აგლუტინაციის პრინციპი თითქმის არ ირღვევა: სუბიექტის პირი და რიცხვი დამოუკიდებელი აფიქსებით აღინიშნება, მრავლობითში დასმული ობიექტის რიცხვი — სხვა აფიქსით.

ვითარება რთულდება, როცა პარადიგმაში პირდაპირი ობიექტი I და II პირებია:

და-მ-ხატ-ა მან მე,	მან ჩუენ და-გუ-ხატ- <b>ნ</b> -ა
და-გ-ხატ-ა მან შენ,	მან თქუენ და-გ-ხატ- <b>ნ</b> -ა-თ
და-მ-ხატ-ე შენ მე,	შენ ჩუენ და-გუ-ხატ- <b>ენ</b>
და-გ-ხატ-ე მე შენ,	მე თქუენ და-გ-ხატ- <b>ენ</b> -ი-თ

რა არის **-ენ(-ნ)** სუფიქსი, რისი მორფოლოგიური ნიშანია? იგი ფორმაში მრავლობითში დასმულ I ან II პირის პირდაპირ ობიექტს მიემართება. მაგრამ მრავლობითობა ამ პირებისა ზმნაში ისედაც გამოხატულია: I პირის შემთხვევაში **გუ-** პრეფიქსით (ან **მ-** პრეფიქსით), II პირის შემთხვევაში — **-თ** სუფიქსით. თითქოსდა ორმაგი გამოხატვა ხდება მრავლობითობისა. თუ ეს ასეა, მაშინ ერთ-ერთი ჭარბია; ასეც განიხილება (ჭარბი მორფოლოგიური ნიშანი — თ. უთურგაძე).

სრულ პარადიგმაში იცვლება სუბიექტი და ობიექტი, შესაბამისად, იცვლება სუბიექტისა და ობიექტის პირისა და რიცხვის ნიშნები; უცვლელი რჩება **-ენ** სუფიქსი. ცხადია, პარადიგმაში უცვლელი მორფემა იმის ნიშანი შეიძლება იყოს, რაც ამ პარადიგმისათვის შინაარსობრივად უცვლელია. რა არის ის, რაც არ იცვლება, რისი ნიშანია **-ენ?** კითხვაზე პასუხის გაცემამდე ერთ საკითხსაც მივაპყრობთ ყურადღებას — გავიხსენოთ პრეფიქსიანი ვნებითების წყვეტილის პარადიგმა:

და-ვ-ი-ხატ-ე მე,	ჩუენ და-ვ-ი-ხატ- <b>ენ</b> -ი-თ
და-ი-ხატ-ე შენ,	თქუენ და-ი-ხატ- <b>ენ</b> -ი-თ
და-ი-ხატ-ა იგი,	იგინი და-ი-ხატ- <b>ნ</b> -ეს

ამ პარადიგმაში სუბიექტის პირიცა და რიცხვიც შესაბამისი აფიქსებით არის გამოხატული. რა არის **-ენ(-ნ)** სუფიქსი, რომელიც გამოვლინდება მხოლოდ მეორე სერიაში (იმ სერიაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია!)? რისი ნიშანია იგი?

ტრადიციული განმარტება ასეთია: ზვნებითი გვარის ზმნა მოქმედებითი გვარის მობრუნებული (კონვერსიული) სახეა. მოქმ. გვარის II სერიის მწკრივებში ორ-ორი ფორმა აქვთ: ერთი პირდაპირი ობიექტის მხოლობითში შეწყობისას. ზმნის გადაყვანისას ვნებითში პირდაპირ-ობიექტური სუბი-

ექტური ხდება. ამიტომ ამ სუბიექტურ პირს მრავლობითის ნიშანი **-ენ** მოქმედებითიდან ვნებითში გადაჰყვება (შანიძე, 1976). ეს თვალსაზრისი თითქმის საყოველთაოდ გაზიარებულია. განსხვავებულ კვალიფიკაციას აძლევს **-ენ** სუფიქსს ზ. სარჯველაძე: ჰპრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა მეორე სერიაში გამოვლინდება სუბიექტის მრავლობითობის ამსახველი **-ენ(-ნ)** სუფიქსი. **-ენ** გვაქვს წყვეტილის პირველსა და მეორე პირებში, მეორე ბრძანებითის პირში, **-ნ** მეორე სერიის დანარჩენ ფორმებში (სარჯველაძე, 1997). თუმცა ეს თვალსაზრისი ავტორს არ განუვრცია, არც დამატებითი მსჯელობა ახლავს. ფაქტია, **-ენ(-ნ)** სუფიქსი აქ კვალიფიცირებულია სუბიექტის ნიშნად ყველა პირისათვის (!); იმავე სუბიექტის პირისა და რიცხვის ნიშნები ფორმაში სხვა რომ არის, ამაზე არაფერია თქმული...

ჩვენთვის არ არის დამაჯერებელი მოქმედი აფიქსის პარადიგმიდან პარადიგმაში გადაყვლა ფუნქციის გარეშე: როგორც აღვნიშნეთ, გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ვნებითში **-ენ** სუფიქსს თავისი ფუნქცია არ გააჩნია. არც ის არის სარწმუნო, სამივე სუბიექტურ პირს ერთი და იგივე ნიშანი აქვსო...

გვერდიგვერდ დავსვათ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა **-ენ(-ნ)** სუფიქსიანი პარადიგმები და განვაგრძოთ მსჯელობა:

მან <b>ჩუენ</b> და-გ-ხატ-ნ-ა	}	და-ვ-იხატ-ენ-ი-თ <b>ჩუენ</b>
შენ <b>ჩუენ</b> და-გ-უ-ხატ-ენ		
მან <b>თქუენ</b> და-გ-ხატ-ნ-ა-თ	}	და-იხატ-ენ-ი-თ <b>თქუენ</b>
მე <b>თქუენ</b> და-გ-ხატ-ენ-ი-თ		
მან <b>იგინი</b> და-ხატ-ნ-ა		და-იხატ-ნ-ეს <b>იგინი</b>

ორივე რიგის პარადიგმაში საერთოა **-ენ(-ნ)** სუფიქსი. კითხვას ასე ვსვამთ: რა არის საერთო ამ პარადიგმებში, რისი ნიშანიც შეიძლება იყოს საერთო მორფოლოგიური ოდენობა **-ენ(-ნ)**? პასუხი: წარმოდგენილ პარადიგმებში საერთო არის **სახელობითში დასმული პირი**, რომელიც ერთ შემთხვევაში **სუბიექტია** (ვნებითი გვარის ზმნებთან), მეორე შემთხვევაში — **პირდაპირი ობიექტი** (მოქმედებითი გვარის ზმნებთან). ზოგადად მსახელობითში დასმული პირი არ არის მორფოლოგიური ცნება, ამიტომ მორფოლოგიური ელემენტი (**-ენ/ -ნ**) ვერ იქნება ამგვარი ცნების აღმნიშვნელი; მით უმეტეს, ზმნაში წარმოდგენილ სუბიექტურ თუ ობიექტურ პირებს თავიანთი მაწარმოებელი აქვთ პირისა თუ რიცხვისა. ამიტომაც იქნა კვალიფიცირებული **-ენ/ -ნ** სუფიქსი ჭარბად. მაგრამ მორფოლოგიური ელემენტი ჭარბად შეიძლება მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, თუ მას თავისი მორფოლოგიური ფუნქცია გამოეცლება; იმთავითვე ჭარბი ელემენტი ენაში არ არსებობს; ვიმეორებთ: აფიქსი ან ფუნქციას კარგავს, ანდა ჩვენ ვერ მივაგენით, ჩვენ ვერ გავარკვეით, რისი ნიშანია იგი.

როგორც ვხედავთ, მორფოლოგიურად **-ენ/ნ** სუფიქსი ძველ ქართულში უკვე ჭარბია და ამიტომაც იკარგება (I-II პირებში), ანდა ხდება მისი რეინტერპრეტაცია (III პირში):

და-ვ-ი-ხატ-ენ-ი-თ	→	და-ვ-ი-ხატ-ე-თ
და-ი-ხატ-ენ-ი-თ	→	და-ი-ხატ-ე-თ
და-ი-ხატ-ნ-ეს	→	და-ი-ხატ-ნ-ენ → და-ი-ხატ-ნენ

ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე **-ენ/ -ნ** მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ჩანს; ეს ფუნქცია ეკარგება და იქცევა ჭარბად. რისი ნიშანი შეიძლება ყოფილიყო ეს სუფიქსი ადრეულ ეტაპზე? რისი ნაშთი შეიძლება იყოს იგი ძველ ქართულში?

ყურადღება მივაქციოთ კლასოვანი უღლების ენებში ზმნაში კლასის გამოხატვის პრინციპს. მაგალითისთვის განვიხილავთ ხუნძური ენის ზმნას.

ხუნძური ენა, როგორც იბერიულ-კავკასიური ენა, კლასიკური ნიმუშია კლასოვანი უღლების ენისა. ზმნის ფორმაში აღინიშნება მხოლოდ ერთი კლასი. თუ ზმნა გარდაუვალია, აღინიშნება სუბიექტის კლასი, თუ ზმნა გარდამავალია, აღინიშნება ობიექტის კლასი.

და კიდევ ერთი არსებითი რამ: მსავესებით იგივე ვითარებაა ზმნის მრავლობითის აღნიშვნის მხრივაც: **გარდაუვალ ზმნაში აღინიშნება მრავლობითი რიცხვი რეალური სუბიექტისა; გარდამავალში — რეალური ობიექტისა**.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის რიცხვი, იქნება ის სუბიექტი თუ ობიექტი, ყოველთვის აღინიშნება ზმნაში**.

ისევ ვსვამთ კითხვებს: რა ხდება ქართულის შემთხვევაში? რას გამოხატავს ზემოგანხილული **-ენ/ -ნ** სუფიქსი? პასუხი: **-ენ/ -ნ** სუფიქსი გამოხატავს სახელობითში დასმული პირის მრავლობითობას იმ სერიაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია: გარდამავალ ზმნასთან ეს არის პირდაპირი ობიექტი, გარდაუვალ ზმნასთან — სუბიექტი. ფაქტია: **კლასოვან ენაში კლასისა და რიცხვის გამოხატვის პრინციპი იდენტურია ძველ ქართულში -ენ/ -ნ სუფიქსის გამოყენების წესისა**.

დასკვნა: **ძველ ქართულში -ენ/ -ნ სუფიქსი ოდინდელი კლასოვანი უღლების ნაშთია**. ფუნქციური თვალსაზრისით ამ დროისათვის პირის ნიშანთა სისტემაში იგი ჭარბია, თუმცა გამოვლენის ოდინდელ პრინციპს სრულად იცავს.

გავიხსენოთ: იბერიულ-კავკასიურ ენებში კლასოვანი უღლება წინ უსწრებდა პიროვან უღლებას; იყო ზმნის ფორმაცვალების ადრეული საფეხური: მქართულში (ქართველურ ენებში) კლასოვანი უღვლილება შეიცვალა პიროვანი უღვლილებით (ანდულაძე). ზმნასა და სახელში კლასოვანი უღლების არაერთი კვალი დადასტურდა (ჯავახიშვილი, ჩიქობავა, თოფურია...). ზოდინდელი კლასონიშნებს ახლა მრავალი ფუნქცია აქვს დაკისრებული ენებში (ანდულაძე), მოხდა მათი რეინტერპრეტაცია, ანდა დაიკარგა. როგორც ჩანს, **-ენ/ -ნ** სუფიქსს მორფოლოგიური ფუნქცია კლასოვანი უღლების საფეხურზე ჰქონდა; პიროვანი უღლების სისტემაში იგი ჭარბი აღმოჩნდა და ამიტომაც დაიკარგა (III პირის შემთხვევაში პირის ნიშანს მიუერთდა).

როგორც ითქვა, საკითხის ამდაგვარი გააზრება უადრესად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქართული ენის ისტორიისათვის და, მეორე მხრივ, ქართული დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

**დავიზარდენით** ტიპის ფორმათა დადასტურება ქართულ დიალექტებში მორფოლოგიური არქაიზმის საინტერესო გამოვლენაა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ძირითადად ვნებითის პარადიგმაში გვაქვს და არა მოქმედებითისაში, იმის დასტური უნდა იყოს, რომ ძველ ქართულშივე მოქმედებითიდან ვნებითში გადაყოლილად არ უნდა იქნეს მიჩნეული და, შესაბამისად, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად გააზრებული...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პარადიგმის უძველესი სახე (როცა III პირის ფორმაში **-ეს** სუფიქსია — და-ი-მალ-**ნ-ეს** ისინი) ფერეიდნულსა და რაჭულის გლოლურ თქმაშია შემორჩენილი; კახურსა და ქართლურში პარადიგმის განვითარების მომდევნო ეტაპის ვარაინტია წარმოდგენილი (III პირის ფორმაში **-ენ** სუფიქსი და-ი-მალ-**ნ-ენ** ისინი). ეს ფაქტი სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის სუფიქსთა ფუნქციების გადანაწილებასთანაა დაკავშირებული...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიალექტებში, რომლებშიც წყვეტილში **დავიზარდენით** ტიპის ფორმებია შემორჩენილი, **-ნ(>-ენ)** ფორმანტი II კავშირებითში იჩენს თავს. ესეც არქაული მოვლენის ასახვაა თანამედროვე დიალექტებში...

როგორც ვთქვით, ძველი ქართულის ვითარება სრული სახით რაჭული ენის გლოლურმა თქმამ შემოგვინახა: ერთი მხრივ ესაა **და-ი-მალ-ნ-ეს** ტიპის ფორმები ვნებითი გვარის ზმნებისა და, მეორე მხრივ, მოქმედებითი გვარის ზმნებთან **-ენ** სუფიქსი II სერიაში: შენ ისინი ნახ-**ენ**, და-ი-ჭირ-**ენ**, და-ტოვ-**ენ**... მან ისინი ნახ-**ნ-ა**, და-ი-ჭირ-**ნ-ა**, გამო-ყარ-**ნ-ა** და ა. შ. ასე რომ, ყველაზე არქაული ვითარება სწორედ გლოლურშია შემორჩენილი...

#### ლიტერატურა:

ანდულაძე ნ., კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1965.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), თბ., 2010.



სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

უთურგაიძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ., ცერცვაძე ი., ხუნძური ენა, თბ., 1965.

ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1978.

ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

**Giorgi Gogolashvili**

*Gori State Teaching University*

## **ARCHAIC FORMS OF SERIES II OF PASSIVE WITH PREFIX IN GEORGIAN DIALECTS RESUME**

In some Georgian dialects - Kartlian, Kakhetian, Fereidianian, Meskhetian, Acharian (mainly in Upper Acharian) and Glolur speech of Rachian the basic stem of Series II forms of the Passive with a prefix becomes compound by adding the suffix **en(>n)** in the plural of a subject. In old Georgian along with the forms of the passive voice the said suffix occurred even in the paradigm of the active voice (this situation have been preserved in Khevsurian):

man <b>Cuen</b> da-gv-xat-n-a	da-v-i-xat-en-i-T- <b>Cuen</b>
Sen <b>Cuenda</b> -gu-xat-en	
man <b>Tquen</b> da-g-xat-n-aT	da-i-xat-en-i-T <b>Tquen</b>
me <b>Tquen</b> da-g-xat-en-i-T	
man <b>igini</b> da-xat-n-a	da-i-xat-n-es <b>igini</b>

The presented paradigms have **a person in the nominative case** in common that in one case is **a subject** (with the verbs in the passive voice) while in the second case it is **a direct object** (with the verbs in the active voice).

Based on the data of the Caucasian mountain languages having the class conjugation we conclude that **in old Georgian the suffix -en/-n is a remain of the ancient class conjugation**. In terms of functioning it is excessive in the system of person markers in old Georgian but it completely follows the ancient principle of expression. The current situation in the nowadays dialects is a reflection of the said situation.

**რეზუმენი ენობი**

არიელის უნივერსიტეტი, ისრაელი

**თამარ ლომთაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

## **ქართველ ებრაელთა მეტყველების ვარიანტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში**

საენათმეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ქართველ ებრაელთა თემი გამორჩეულია თავისი ხანგრძლივი ისტორიითა და გარემომცველი კულტურის ენის უწყვეტი გამოყენებით. საქართველოში ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია შეიძლება შეფასდეს, როგორც ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური უმცირესობის ადგილობრივ, დომინანტურ მოსახლეობასთან ხანგრძლივი და წარმატებული თანაარსებობა (გიპერტი 2006).

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლა თავის დროზე, საბჭოთა რეჟიმში, თითქმის არ მომხდარა. ამ პერიოდში

ფრაგმენტული სახე აქვს მათი ისტორიისა თუ ეთნოგრაფიის საკითხების კვლევას, რასაც თითო-ორი ლინგვისტური ხასიათის შრომაც მოჰყვა, მაგრამ ენობრივი ფენომენის შესწავლის ისტორია, ძირითადად მაინც 90-იანი წლებიდან უნდა დავიწყოთ. არადა, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, ხოლო შემდეგ 90-იან წლებში ქართველი ებრაელების ყველაზე დიდი ნაწილი ისრაელს (დაახლოებით 120 000) დაუბრუნდა საცხოვრებლად. სხვა დისპორული თემები ცხოვრობენ აგრეთვე ნიუ-იორკში, მოსკოვში, ვენასა და ანტვერპენში, სადაც ახალგაზრდა თაობა ქართულ ენას იშვიათად სწავლობს. მართალია ბილინგვური სიტუაცია თავის კვალს ამჩნევს საქართველოში აღზრდილი თაობის მეტყველებასაც, მაგრამ ებრაელთათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფორმები საზღვარგარეთ უფროსი თაობის წარმომადგენლებმა უკეთ შემოინახეს, ვიდრე საქართველოში.

იმ მცირე ლინგვისტური გამოკვლევების მიხედვით, რომლებიც არსებობენ საქართველოსა თუ ისრაელში, ქართველ ებრაელებს დავიწყებული ჰქონდათ თავიანთი ენა, საურთიერთო ენად საქართველოში იყენებდნენ ქართულს, ხოლო ლოცვის ენად - ებრაულს.

სამწუხაროდ, სტატისტიკური აღწერები, თუ რამდენმა ებრაელმა იცოდა ებრაული, არა გვაქვს. მაგრამ ფაქტი ერთია: ებრაული ენა საქართველოში არასოდეს მომკვდარა. იგი მუდმივად გამოიყენებოდა სიმბოლური ფუნქციით. ებრაელები ერთმანეთთან ურთიერთობისას ცდილობდნენ გამოეყენებინათ ებრაიზმები, რომლებიც საკმაო რაოდენობით იყო შემორჩენილი არა მხოლოდ ლოცვებში, არამედ ყოველდღიურ ადათ-წესებში, ტრადიციებში, ვაჭრობაში და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც განსაკუთრებულია მდგომარეობა იმაში, რომ რელიგიური ფაქტორი იყო ცენტრალური ორი მხრივ. პირველი: იმ ხანგრძლივი დროის მანძილზე, როცა ენამ შეწყვიტა არსებობა, რელიგიამ მისცა მას თავშესაფარი და მეორე, ებრაული სახელმწიფოს განვითარება გულისხმობდა ენისა და რელიგიის შეწყვილებას (ჯონ ედვარდცი, 2009). ამიტომ ებრაულის რეკონსტრუქციისათვის საქართველოში შემორჩენილ სეფარდულ ფორმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ებრაელები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოსახლეობდნენ. ისინი ქმნიდნენ კომპაქტურ დასახლებებს. მათი სულიერი და კულტურული ცენტრი გახლდათ ქუთაისი.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გამოიყოფა მოვლენები, რომლებიც ახასიათებთ ყველა კუთხეში მცხოვრებ ებრაელებს. მათ პირობითად შეიძლება საერთოებრაული მოვლენები ვუწოდოთ. მაგალითად, ებრაელთა მეტყველებაში გამოვლენილია ერთეულები, რომლებშიც კულტურულად ფასეული ინფორმაცია განხორციელებულია მნიშვნელობის დენოტაციურ ასპექტში (ესაა სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ მატერიალური კულტურის რეალიებს) და ერთეულები, რომლებშიც კულტურულად ფასეული ინფორმაცია გამოიხატება მნიშვნელობის კონოტაციურ ასპექტში. სამყაროს აღქმისა და შემეცნების პროცესს თან ახლავს ადამიანის შეგრძნებები, განცდები, წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ემოციები, რაც გამოსჭვივის სიტყვებში, ფრაზებში, რომლებსაც ქმნის კონკრეტული სოციალური. სწორედ ამიტომ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული ებრაიზმები, ფრაზეოლოგიზმები, ზოგი ფონეტიკური და გრამატიკული მოვლენაც კი (მაგალითად ინტონაცია, გრძელი ხმოვნები, სახელებზე -ე-ს დართვა, მიცემითი ნიშნის დაკარგვა, ზმნებში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა...) საერთოენობრივია და საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ებრაელისათვის იყო დამახასიათებელი.

სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგადაა ცნობილი, რომ საქართველო მდიდარია ტერიტორიული დიალექტებით. ამიტომ ებრაელთა მეტყველებაზე გავლენას ახდენდა როგორც ქართული სალიტერატურო ენა, ასევე ის დიალექტური ერთეული, რომელი კუთხის მცხოვრებლებიც იყვნენ ისინი. სწორედ ამიტომ ებრაელთა მეტყველებაში, დიალექტების შესაბამისად, თავს იჩენდა გეოგრაფიული სხვაობები, მაგ., სამეგრელოს საზღვრების გასწვრივ იყო სხვა გავლენები, ვიდრე აჭარის, ან თუნდაც სამცხე-ჯავახეთის, ან შიდა ქართლის ან ურბანული ზონების ებრაელთა მეტყველებაში. ამიტომაც, ებრაელთა იმ სპეციფიკურ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც მხოლოდ ებრაელებს ახასიათებთ, ემატება იმ დიალექტური არეალის დამახასიათებელი მოვლენები, რომელი კუთხის წარმომადგენლებიც არიან. მაგალითად, ებრაელთა მეტყველებაში გავრცელებული ყველაზე ხშირი მოხმარების სიტყვა დაგენაცვლე, დასავლეთ საქართველოს იმ რეგიონებში, რომლებშიც და-დე ასიმილაციური პროცესია გავრცელებული, წარმოითქმის დეგენაცვლე. შეიძლება ითქვას, რომ ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესები ანალოგიურია მათი განსახლების ადგილებში გავრცელებული პროცესებისა.

გარდა ამისა, ებრაელთა მეტყველებაში დაჩნდება მოვლენები, რომლებიც დასტურდება მხოლოდ ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებ ებრაელებთან და არ არის დამახასიათებელი არც იმ კუთხისათვის, რომელშიც ცხოვრობენ და არც სხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელებისათვის. სწორედ ასეთი მოვლენები ქმნიან ვარიანტულ სხვაობებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ებრაელებთან.

გამომდინარე იქედან, რომ ტექსტები და მონაცემთა ბაზები, რომელთა საფუძველზეც ებრაელთა მეტყველებას ვიკვლევთ, საკმაოდ ცოტაა და ისიც უმეტესად ქუთაისში ან სამეგრელოშია ჩაწერილი,

ამიტომ ამ მესამე ჯგუფის მასალა ყველაზე მცირეა, რადგან ახალციხელი, ბათუმელი, კახელი და ა. შ. ებრაელთა მეტყველებრივი ნიმუშები თითქმის არა გვაქვს. ანკეტური წესით გამოკითხვისას კი, ებრაელებს მხოლოდ მცირე ნაწილი ახსენდებოდათ ამგვარი განსხვავებული სიტყვებისა თუ მოვლენებისა. მაგალითად, საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს ჰქონდათ ე. წ. ბეს გაცვლის ტრადიცია. ამ დროს გოგოს მშობლები მიდიოდნენ სასიძოს ოჯახში და ხდებოდა შეთანხმება ქორწილის თაობაზე, მზითის მიცემასა და ა. შ. წესის თანახმად, ამ დროს მიჰქონდათ საფუარზე დამზადებული ნამცხვარი, რომლის ჭამაც აღნიშნული რიტუალის დროს არ შეიძლებოდა. რაჭასა და ლეჩხუმში ამ ნამცხვარს შაქრიპურს, იმერეთში, ახალციხესა და სურამში შაქრისპურს, ხოლო კულაშში განსხვავებულად, საუჭმელოს ეძახდნენ. თუ ადამიანი გამოიყენებდა ტერმინს „საუჭმელო“, ეჭვგარეშე იყო, რომ იგი კულაშელი ებრაელი გახლდათ.

ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა რაჭველ ებრაელებთან, რომლებიც პურისა ან სხვა გამომცხვარის მნიშვნელობით იყენებდნენ სიტყვას „გოროხები“.

ქუთაისელი ებრაელები ხელის სამაჯურის მნიშვნელობით გამოიყენებდნენ ტერმინს „ხარხარი“.

პირის ნაცვალსახელის ებრაელებთან გავრცელებული ფორმა ისი, შეიძლება ითქვას, საერთოებრაულია. სამაგიეროდ ისი ფორმა არ გამოიყენებოდა როცა ნაცვალსახელი ჩვენების ფუნქციით გამოიყენებოდა. მაგალითად, იტყოდნენ, მოვიდა ისი?, მაგრამ არ გამოიყენებდნენ ისი წიგნი მომაწოდე ფორმას. ცხინვალელ ებრაელებთან ყოველთვის პირისა და ჩვენების შემთხვევაში გამოიყენებოდა ისი.

დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებთან ხშირი იყო ავ-ამ თემის ნიშნის გადაბგერება. ახალციხელებთან დასტურდებოდა ავ-ოზ ფორმა. მაგალითად, შფოთავს - შფოთობს. ასევე ახალციხელებთან დაჩნდებოდა -ოზ-ამ: ფიქრობს-ფიქრამს.

კულაშელ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება ძ-ზ მონაცვლეობა. მაგ., მოზებნე, ბიზია და სხვა.

ზოგჯერ წარმოშობის ადგილზე მიგვანიშნებდნენ ებრაული გვარებიც: მაგალითად, ცხინვალსა და გორში გვხვდებოდა გვარი მამისთვალოვი. საერთოდ, ებრაელებთან არის ორი გამორჩეული გვარი ქოენი და ლევი, რომლებსაც ლოცვების წაკითხვის დროს განსაკუთრებული უფლებები აქვთ. სწორედ ლევის შთამომავლები არიან მამისთვალოვები. ახალციხელი ებრაელების გვარები იყო ასტანჯელაშვილი, ეხისკელაშვილი და სხვა. აქვე გვხვდებოდა მაღალანთ ტიპის წარმოება, რაც მაღალაშვილების გვარზე მიუთითებდა. მართალია, ამ ტიპის წარმოება გავრცელებულია ქართულის სხვადასხვა დიალექტში, მაგრამ ებრაელებთან, სხვა კუთხეში ასეთი წარმოება არ გვხვდებოდა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველება გახლავთ ქართული ენის ნაირსახეობა, მაგრამ მთლიანად არ ემთხვევა ქართული ენის არც ერთ დიალექტს. ის წარმოადგენს სხვადასხვა დიალექტში პოვნიერი ფონეტიკური და გრამატიკული ფორმების კონგლომერატს შეზავებულს ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებით. აღნიშნული მოვლენები იმდენად სისტემური ხასიათისა იყო, რომ, შეგვიძლია ვთქვათ, სარწმუნოებასთან და ადათ-წესებთან ერთად, ებრაელთა იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი იყო ენა (თ. ლომთაძე, 2005).

#### ლიტერატურა:

ი. გიპერტი - წმინდა ნინოს ცხოვრება: განსხვავებულ წყაროთა კვალი, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, თბილისი 2006.

John Edwards, Language and Identity, Cambridge, 2009.

თ. ლომთაძე, ქუთაისური ქართული, ქუთაისი, 2005

**Reuven Enoch**

*Ariel University, Israel*

**Tamar Lomtadze**

*Akaki Tsereteli State University, Georgia*

## **SPEECH VARIETIES OF THE GEORGIAN JEWS IN DIFFERENT REGIONS OF GEORGIA RESUME**

Although there are too few speech samples of the Jews living in Georgia, the analysis of the available materials enables us to identify linguistic phenomena generally characteristic to the speech of all Jews living in different parts of Georgia. They can be called common Jewish phenomena.

Georgia is rich in territorial dialects. So the Jews' speech was influenced not only by standard Georgian language but as well by the dialect spoken in the region residents of which they were. Hence, the Jews' speech was

characterized by geographical differences depending on local dialects they were influenced by: e. g., the influences on the Jews' speech varied along the borders of Samegrelo, Adjara, Samtskhe-Javakheti, Shida Kartli or urban areas. Therefore, uniquely Jewish linguistic phenomena were supplemented by the elements adopted from local dialects.

In addition, in the Jews' speech are found some phenomena/elements that can be traced only in the speech of the Jews living in a certain region but are characteristic neither to local regional dialect nor to the speech of the Jews living in other regions. These very elements produce speech varieties of the Georgian Jews residing in different parts of Georgia.

მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### „სიცილის“ კონცეპტი ქართველურში

კონცეპტი აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხის სემანტიკური წარმონაქმნია. ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა ქართველური ენების – სვანურის, მეგრულის, ლაზურის შესწავლა და ენობრივი მონაცემები;

„სიცილის“ კონცეპტი ქართველურში საინტერესო მასალას იძლევა შედარებით ფორმატში კვლევის თვალსაზრისით. როგორც ცნობილია სიცილი შეიძლება იყოს: უხმო, ხმიანი, მაღალი... რასაც მოწმობს სულხან-საბას მიერ სიცილის განმარტება: „განყოფანი სიცილისანი ესე არს: ღიმილი არს სიცილი სიმშვიდით, უხმო, ბაგეთა ოდენ შეეცოზოდეს; სიცილი არს მცირედ ხმიანი და მდაბალი; კაშკაში არს სიცილი მაღალი და მოხდენილი; კასკასი არს სიცილი მაღალი და წვრილი; რახრახი არს სიცილი მაღალი და უხეში; თქართქარი არს სიცილი მრავალთაგან შეხმობილი; ღინცილი არს სიცილი მიწვივ უწყესო, ხოლო ფრუსტუნი ვის არა ენებოს სიცილის 151 გამოჩენა და ერთს საცინელს საქმეზედ წარსცინოს და მაღად დაიდუმოს.“

„სიცილის“ კონცეპტის გამაერთიანებელი ლექსიკური ერთეულები, როგორც ეს ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონშია წარმოდგენილი, განეკუთვნება საერთო ქართველურიდან მომდინარე ძირითად ლექსიკურ ბირთვს და იძლევა ფონეტიკურ-ეტიმოლოგიურ შესატყვისობებს სამივე ქართველურ ენაში:

ქართ. ცინ- გან-ცინ-ებ-ა; ი-ცინ-ის...

სვან. ცნ-/ც- ლი-ცნ-ალ „სიცილი“... (ფენრ. სარჯვ. 582)

ქართ. სიც- სიც-ილ-ი

მეგრ. ძიც-/ძც- ძც-ა/გო-ძიც-ინ-ი „სიცილი“...

ლაზ. ძიც-/დიც- ო-ძიც-ინ-უ/ო-დიც-ინ-უ/ძიც-ინ-ი „სიცილი“ (ფენრ. სარჯვ. 616)

სიცილის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში აერთიანებს შემდეგ ლექსემებს:

ლიცუნალ „სიცილი“; მეცუნალ „მოცინარი, გაცინებული“; იცუნალ „იცინის“ – ხეცუნალ „დასცინის“; ლიცუ „დაცინა“; ლიქუნალ „გაცინება, მრავალჯერადად სიცილი“; იქუი „იცინის“; იქუნალ „დიდხანს იცინის“; მექუნალ „გაცინებული“; ლექუნალ „სასაცილო, გასაცინებელი“; ლიმლქუმელ „გაღიმება“; იმლქუმელ „იღიმება“, მემლქუმელ „ის, ვინც იღიმება, გამღიმებელი“;

ლემლქუმელ „გასაღიმებელი“; ლიკრკნი „კისკისი“; კრკნი „კისკისებს“; მკრკნი „მოკისკისე“; ლეკრკნი „საკისკისო“; ლიყრთნი „ხარხარებს“; ხაჩა „იცინის“, მამ ლახჩონ „არ ესიამოვნა; მუქუ ესასდ „გაეღიმა“...

მადილუ ესერ ხარ ღერბათუ, იმჟა ლექუნალ ლოხოდა „მადლიმც ჰქონია ღმერთს, რაკილა სამხიარულო, სასაცილო („გასაცინებელი“) მოგვცა“.

სიცილის კონცეპტთან სემანტიკურად აახლოა ასევე სიხარულის კონცეპტის გამაერთიანებელი შემდეგი ლექსიკური ჯგუფი: **ხიად/ ხიადჟლ** „სიხარული, სიხარულო“, **მახად** „სიხარული, მიხარია, მილოცვა“, **ლახიადჟლ** „გახარება“, **ლახიადჟლ**, **სასიხარულო** „სიხარული“, **ლიხადე** „გახარება“, **ლიხირჟლ** „მიხარულება“, **ხირჟლ** „მიხარული“, **ლახადე** „გახარებულო“, **ლახადე** „მისახარებელი“, **მახადე** „გამახარებელი“, **ლახად** „სასიხარულო“, **ქამახენე** „მიმხარებელი“, **ქა ლახენე** „მისახარებელი“, **ჟი ლახირჟლ** „გამხიარულებული“, **უხადა** „გაუხარელი, გაუხარებელი“, **უხადალა** „უსიხარულო“, **უხირჟლა** „გაუმხიარულებელი“...

**ლაქიანაჟი** მირანგულს დეც ლაფარდ ხალონ ი გიმ ლაზელჟლ „გაცინებისას მირანგულა ცას ეწეოდა ხოლმე (ცა დასახურად ეცოტავებოდა და დედამიწა სასიარულოდ)“.

საინტერესოა ასახული სიცილისა და მასთან უახლოესი – სიხარულის კონცეპტი სვანური ენის ქრესტომათიაში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სალექსიკონო გამოცემებში (ა. ლიპარტელიანი, სვანური ლექსიკონი, ვ. თოფურია, მ. ქალდანი სვანური ლექსიკონი) სიცილის ამსახველი ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე ძალზე მწირი სახითაა წარმოდგენილი.

ჟეინტჟენა ლახიადჟლჟლ სგვეზნა ჩუ ლჰრაყე ხად მეზგა... (სვან. ენ. ქრესტ. 1978:37) „ძეობის ლხინის სუფრისთვის („სიხარულობისთვის“) მოსახლეს, ოჯახს წინასწარ ჰქონდა არაყი გამოხდილი“.

ფედიჟ მეზგალ ი მეზგარარ შიმდ ჰედენდახ მახად ლჰქვსგთე (სვან. ენ. ქრესტ. 1978:37) „ახლო მოსახლეები, მეზობლები და მოძმეები ხელად მოდიოდნენ მოსალოცად („სიხარულის სათქმელად“).

ლაზე ჟეინტ ხეთვრლდა, ეჩქას შიმტ ქორთე ღვრდახ ეშხვი მგხენად ი ქა ხახენახ ქორშარს ჟეინტი ლითვეს (სვან. ენ. ქრესტ. 1978:37) „როცა ვაჟი (ბიჭი) დაიბადებოდა, მამინ ხელად ერთი მახარობლად გაიქცეოდა შინ და ახარებდა ოჯახის წევრებს ძეობას (ბიჭის დაბადებას).

**სიცილის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე მეგრულში აერთიანებს შემდეგ ლექსემებს:**

**მიცა, მიცუა, მიცინი - სიცილი, გაცინება.**

მიცა გურიში წამალი რენია (ხალხ. სიბრ., 1, გვ. 171) - „სიცილი გულის წამალი არისო.“ დიაკონს მიცაჟ ვა მაკინენჟ. (ი. ყიფშ., გვ. 9) - „დიაკონმა სიცილი ვერ შეიკავა“.

ბრელი მიცას ბრელი ნგარა მოყუნცია. (ხალხ. სიბრ., 1, გვ. 20) - „ბევრ სიცილს ბევრი ტირილი მოჰყვებაო.“

თისხი გიმიცინუდას. (ენგური, გვ. 247) - „იმდენი გეცინოს“.

ართი იმიცანცჟ-და, დუც გამიცანცია. (ხალხ. სიბრ., 1, გვ. 10) - „ერთი თუ იცინის, თავს დასცინისო“.

**გემიცა, გემიცინი, გომიცანს - დაცივნა.**

თინეფი ითამუ გემიცას მიპირენა. (ყაზაყ., 11.03.1930, გვ. 1) - „ისინი ვითომ დაცივნას გვიპირებენ“.

გიდელს ონტუდუ დო ღვარღვალი გეთმიადიცენდუ. (ი. ყიფშ., გვ. 180) - „გიდელს ცეცხლი ეკიდა და სახელური დასცინოდა“.

ლაგუჯის ხე ვედინაჩანუენი, თეში ვეგაიმიცავა. (თ. სახოკ., გვ. 251) - „ხალთა-გუდაში სანამ ხელი არ ჩაყო, ისე არ დასცინოო“.

დინდარიშა ვეშინარტებენია დო ღარიბიშა ვეგიმიცინენია. (ხალხ. სიბრ., 1, გვ. 18) - „მდიდარზე არ შეიძლება შენატრება და ღარიბზე არ შეიძლება დაცივნა“.

**გინაპიცებუ - დანაცინი.**

კოც გინაპიცებუ -- თოლიშ სიჯღარუეში მეტი-- ირფელი ართუნია. (ხალხ. სიბრ., 1, გვ. 28) - „კაცს დანაცინი -- თვალის სიჭრელის მეტი -- ყველაფერი მოუბრუნდებაო“.

**გომიცა, გომიცინი, გომიცინაფა, გომიცინელი - გაცივნა, გაცინებული.**

გომიცინი ინეფიში ძვირასჟ იყირდჟ. (ი. ყიფშ., გვ. 72) - „იმათი გაცივნა იშვიათად (ძვირად) იქნებოდა“.

**საგამიცო, საგომიცო, სამიცო - დასაცინი, სასაცილო.**

სქანიცალი ბრელი მიძირჟ საგამიცოთ ხანტჟდგნი. (მასალ., გვ. 45) - „შენისთანა ბევრი მინახავს, სასაცილოდ რომ ეხატა“.

საგომიცოთ რე ჩქინი საქმე - „დასაცინადაა ჩვენი საქმე“.

თენა ვარენიაო სამიცო? (მ. ხუბ., გვ. 177) - „ეს არ არისო სასაცილო?“

**მიცებული - გაცინებული. მიცებულო - გაცინებულად**

ბონდო ბოში მიცებულო ახუტოლუ ლურცია. (კ. სამუშ., ქპს, გვ. 112) - „ბონდო ბიჭი (პირ)მცინარი ჩაეხუტება ძილსაო“.

**მიცა-მიცათ - სიცილ-სიცილით.**

აშო მიცა-მიცათ მოჰუნდესია, ვიშო ნგარათ ვერაჟუა. (ხალხ. სიბრ., 1, გვ. 67) - „აქეთ სიცილ-სიცილით მოჰყავდათო, იქით ტირილით ვერ გარეკესო“.

**ხიჩინი, იხიჩინანს** -სიცილი კბილების ჩენით.

ირო იხიჩინანს - „მუდამ იცინის კბილების ჩენით“.

**გომგიდგინაფა, გიომგიდგინანს** - ძალად გაცინება, უგულოდ გაცინება კბილების გამოჩენით.

კიბირი გაამგიდგინუ, ათე ამბე ქუწიინი. (კ. სამუშ., ქხპს, გვ. 109) - „ძალით გაიცინა (კბილების გამოჩენით), ეს ამბავი რომ ვუთხარი.“

**ტკვარჩალი/ტკარჩალი** - ქალების გულიანი სიცილი, ტკარცალი, ტკრციალი, კისკისი.

ოსურეფიში ტკარჩალი ისიმე - „ქალების კისკისი ისმის“.

ეშაფრთინი, ვრაკვალე, გომაფრთინი - ვტკარჩალე. (ქხს, 1, გვ. 13) - „რომ ავედი, ვიტატანე, რომ ჩამოვედი - ვიტკრციალე“.

ძლაბეფი აშატკარჩალანა. (ქხს, 2, გვ. 587) - „გოგონები ტკარცალებენ“.

**ხვიჩინი, ხვიჩინაფილი /გოხვიჩინაფილი, ხვიჩინუა იხვიჩინანს** - გაბადრული. გაბადვრა, მხიარული გამოხედვა, ციმციმი, კიაფი.

ბჟაქ ქედუჟყჳ ქეჟანას გეხვიჩინი. (ყაზაყ., 01.05.1931, გვ. 3) - „მზემ დაუწყო ქვეყანას (ხევიდან) დაციმციმება“.

გოხვიჩინაფილი სახეთი ქომორთუ - „გაბადრული სახით მოვიდა“.

სახეთ გილეხვიჩინა, ვარდიში გური ფულირი გაფუ. (ქხს, 1, გვ. 75) - „სახით გაბადრული დადიხარ, ვარდის გული დამალული გაქვს“.

შორც მურიცხო ოხვიჩინა. (კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. 21) - „შორს ვარსკვლავად ციმციმებ“.

**ხარხაში, ხარხაჩი, ხორხოში, ხარხაცი** - ხორხოცი, ხარხარი, ხმამაღალი, გულიანი სიცილი, ქიგებგონი მიცა-ხარხაში. (ყაზაყ., 6.06.1930, გვ. 3) - „გავიგონე სიცილ-ხარხარი“.

ორე ბირა დო ხარხაში. (ყაზაყ., 11.04.31, გვ. 3) - „არის სიმღერა და ხარხარი“.

გოხარხაჟუ გემუანას. - „გადაიხარხარა გემრიელად“.

**ხარხალი** - ხმამაღლა სიცილი, ხარხარი.

**კარკაცი , კარკაცუა , კარკაცანს** -- კისკისი, ხმამაღალი, გადაჭარბებული სიცილი.

დუცუ გიმოკარკაცანც ფორონჯი ცა. (კ.სამუშ., ქხპს, გვ. 117) - „თავზე დამკისკისებს ფოროჯიცა“.

**ფრაზეოლოგიზმები:**

მუჟო თოლი უმიცანს: ი. ყიფშ., გვ. 136 -- „თვალი როგორ უცინის“.

თოლეფი გაფუ გომიცელი: მასალ., გვ. 93 - „თვალები გაქვს მოცინარი“.

**სიცილის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე ლაზურში აერთიანებს შემდეგ ლექსემებს:**

ლაზურშიც, ისევე როგორც მეგრულში, ქართველური ძირი მიც/დიც/მიწ გამოიყენება. მიცა/დიცინი/მიცინი - „სიცილი“; ნასესხებია გჟულმა - (თურქ. gülmek) „სიცილი“;

სიცილის სხვადასხვა ნიუანსების გამოსახატავად გვხვდება შემდეგი ლექსემები:

**გოტაკუ** - სიცილი სხვის გასადიზიანებლად, დაცინვა;

**გოჯიჯილუ** - კბილების გამოჩენით, ღრძილებამდე სიცილი, გაღმეჭა;

**ოხარხალუ** - ხარხარი (თანდ.);

**ოხენჩქელუ, ხრენჭკუა** - სიცილისას კბილების გამოჩენა; მოხენჭკუ კბილების გადმოყრა სიცილისას;

**დიცა** - ღიმილი; ომიცუ - გაღიმება, გაცინება; ელამიციწუ - გაღიმება, ღიმილი;

**მოხეჩელუ, მოხენჭკუ** - კბილების გამოჩენა, გაღიმება;

**გამანგალუ** - ზურგზე დაცემა სიცილისაგან;

**ოხირხინუ, ოქირქინუ, ჭიხინაფა** - კისკისი;

**ფრაზები:**

მიცათენ დოღურუ - სიცილით მოკვდა;

ჯიჯილეფე გუსთვუნ/გოუსთვუნ/გუსტვუნ/გოუსტვუნ - დაედრიჭება;

ჯიჯილეფე გოტაკუ - დაკრიჭა

მაგ.: **პანდა მიცინეი ტათ!** (ჩიქობ., 63), „მუდამ გაცინებული იყავით!“

**ოხოშე იდუ-ში, ბოზოქ მიცინეი ნეკნა ქოგუნწკუ.** (დიუმეზ., 52) „სახლში რომ მივიდა, ქალიშვილმა სიცილით კარი გაუღო“.

**მემეტიქ იმიცუ დო:** „ე, უღნოსე! აა, მა არ ხე ნცას გემიკლიმუნ, აოქსე ოხოზუმქტა-ნა წკარის

**გეღამტი**“. (დიუმეზ., 24) „მემეტმა გაიცინა და: “ჰე, უჭკუოო! ერთი ხელი ცაზე მიკიდია, თორემ მე რომ გავუშვა, წყალში ჩაეფლობი“.“

დივი არ ქელიძეც დო ნეკნას ხე მონთხუ. (დიუმეზ., 65) „დევა ერთი ჩაიცინა და კარსხელი მოკიდა.“

ხუალა ჭუტა ელუბიძინუ. (დიუმეზ., 64) „მხოლოდ ცოტა გაუდიმა“.

ბჟიქ ელიძინუ დო: „სი მუ გაშქურინეტას-მა“ (დიუმეზ., 84) „ბიჭმა გაიდიმა და: „შენ ნუ გეშინაო“.

ბადიქ იზმოჯე ნა ძირმეტეს-თერი ელაძიძინერი ქოჯანტუ (ასათ. 391) „მოხუცი, თითქოს სიზმარს ხედავსო, გადიმებული იწვა“.

ჯიჯილეფე გუსთუ... „იძიცამს“-მა... (ასათ., 203) „გაედრიჭა (ღრძილები გამოაჩინა)... „იცინისო“.

დივიქ ჯიჯილეფ გოტაკუდორტუნ დო იძიცამტუ (დიუმეზ. 32) „დევა ღრძილები დაკრიჭა და იცინოდა“.

ტუა ძიცათენ დოღურუ (კარტოზია, 181). „კინაღამ სიცილით მოკვდა“.

სიცილის კონცეპტის შედარებით ფორმატში შესწავლის თვალსაზრისით უადრესად საინტერესო აღმოჩნდა ქართველურ ენათა მონაცემები; როგორც ვ. ჰუმბოლტი აღნიშნავდა, ენების კვლევა მსოფლიო ისტორიის გათვალისწინებით აჩვენებს, რომ ენა, თავისი ბუნებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, სამყაროში ყველაზე უმაღლესისა და უმშვენიერესის წარმომშობია. მათი ბედის მრავალფეროვნების მიხედვით შეგვიძლია ისინი განვსხვავოთ, განვსაზღვროთ მათი ხასიათი, მიზეზები მათ აგებულებაში ვეძიოთ და მათი ისტორიული ღირებულება განვსაზღვროთ.

#### ლიტერატურა:

1. ასათიანი - ი. ასათიანი, „ლაზური ლექსიკონი“, თბ., 2012.
2. დიუმეზილი - ჟ. დიუმეზილი, „ლაზური ზღაპრები და გადმოცემები“ (მ. ბუკია, ლექსიკონი), თბ., 2009.
3. თანდილავა - ა. თანდილავა, „ლაზური ლექსიკონი“, თბ., 2013.
4. 5. იაკობიძე - ნ. იაკობიძე, ემოციის აღმნიშვნელ აბსტრაქტულ სახელთა სემანტიკა ქართულსა და გერმანულ ენებში, თბ., 2015.
6. მარი - Н. Марр, „Грамматика чанского (лазского) языка“, С-Пб, 1910.
7. რამიშვილი - გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით“ თბ., 1995.
8. სამუშია - კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, (მეგრული ნიმუშების მიხედვით), თბ., 1979.
9. სვანური ენის ქრესტომათია, თბ., 1978;
10. ქაჯაია I-II - ო. ქაჯაია, „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, I-IV ტომები, თბილისი, 2001-2006.
11. ჩიქობავა I - არნ. ჩიქობავა, „ჭანური ტექსტები“, ტფ., 1929.
12. ჩიქობავა II - არნ. ჩიქობავა, „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, 1936.
13. ჩუბუა - მ. ჩუბუა, „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი შედარებითი ლექსიკონი“, თბ., 2000-2003.
14. ყიფშიძე - ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
15. ხუბუა - მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.
16. ფეინრიხი, სარჯველაძე - ჰაინც ფეინრიხი, ზურაბ სარჯველაძე „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, თბ., 2000.

**Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgarkava**  
*Sokhumi State University*  
**CONCEPT „LAUGHTER“ IN KARTVELIAN LANGUAGES**  
**RESUME**

Each nation has its own linguistic world view. Language defines not only world outlook, but also the ethno-national awareness.

Concept belongs to national-linguistic perception, it is the unity of language and thought. The concepts of Laughter, dream, fright, sorrow..., of course, are fundamentally studied and analysed in the literary standard of Georgian. In relation to the concept of Laughter, the linguistic data of the Kartvelian Languages- Megrelian, Laz, Svan are very compelling. As it was found out on the basis of the data comparison between the texts in Megrelian, Laz, Svan issued 100 years ago and modern speech, the Kartvelian Languages contain very rich and diverse material with reference to the vocabulary of the concept of Laughter. This information about Svan, Megrelian and Laz is interesting regarding the structure and the models of word-formation, etymologies and semantic nuances as well.

According to the preliminary research in connection to the literary standard of the Georgian language together with the general typology, interesting semantic nuances are clearly seen.

## ჩხერიმელის ხეობის ტოპონიმიდან

ბაბი პატარა სოფელია ზემო იმერეთში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის ჩრდილოეთ მთისწინეთზე, მდ. ჩხერიმელის მარცხენა ნაპირას, ზ. დ. 520 მ-ზე. ხარაგაულს 16 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრს - სოფელ მოლითს - 5 კმ-ით. აღმოსავლეთით სოფ. დეისი ესაზღვრება, სამხრეთით - ჭარტალი, ჩრდილოეთით - სოფ. ქვები, დასავლეთით - მოსაკიდელი და ვახანისწყალი. სოფელი მოიხსენიება 1658-1660 წლებით დათარიღებულ იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის სიგელში (ქსე, II, 1977: 119).

XIX ს-ის 80-90-იანი წლებისათვის არსებობდა ბეჟათუბნის სოფლის საზოგადოება, მასში შემავალი სამი სოფლით: მოლითი, ჭარტალი და ზვარე (*Землевладение, 1893: 55*). ამ ჩამონათვალში სოფ. ბაბი არ ჩანს. რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული კავკასიის მხარის კომლობრივი აღწერის მონაცემების მიხედვით ბეჟათუბნის სოფლის საზოგადოებაში 12 სოფელი შედის. ესენია: ბაბი, ბეჟათუბანი, გოლათუბანი, დეისი, ზვარე, ქვები, მოლითი, ნებოძირი, ფონა, წიფა მეორე, ჭარტალი და ჩდილი. ბაბი 38-კომლიანი სოფელი ყოფილა. მ. შ. 130 სული კაცი იყო, 128 სული - ქალი. სულ სახლობდა 259 სული (*Сводъ... 1893*). სოფელში არსებობდა საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლის შესახებ გაზეთი „ივერია“ 1894 წლის 23 აგვისტოს წერდა: „ბეჟათუბნის საზოგადოებაში შეიდასი კომლი მცხოვრებია, ამოდენა საზოგადოებას არ ჰქონდა აქამომდე არც ერთი ხეირიანად გამართული სასწავლებელი. ერთადერთი სოფლის - ბაბის სამრევლო სასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებდა აქაური მოზარდი თაობის სწავლის წყურვილს... წელს თიბათევში ბოქაულის თანდასწრებით საზოგადოებამ გადაწყვიტა დაარსებული იქნას ბეჟათუბნის საზოგადოებაში სამინისტრო უწყების სასწავლებელი“ (#180).

1961 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მოლითის სასოფლო საბჭო აერთიანებს შემდეგ სოფლებს: საკუთრივ მოლითს, ნებოძირს, ჭარტალს, ბეჟათუბანს, ბაბს, ქვებს, დეისს, ზვარეს, წუნისს და ჩრდილს (*დაყოფა, 1961: 75*). 2014 წლის მონაცემებით ბაბი მოლითის საკრებულოში შემავალი სოფელია (*ვეფხვაძე, 2014: 5*). ბორში დამოწმებულია გვარები: ბარბაქაძე, გლუნჩაძე, თათარაშვილი, კვირიკაშვილი, მჭედლიძე, ფცქიალაძე, ქურციკიძე, წითელაშვილი, ხუსკივაძე...

სოფლის ტოპონიმური მასალა სხვადასხვა დროსაა ჩაწერილი, რაც იწახება თსუ-ის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არქივში.

1968 წელს მარინა ფცქიალაძეს მასალა ჩაუწერია შემდეგი რესპოდენტებისაგან: ევდოკია სიმონის ასული ფცქიალაძე, 103 წ.; სინო ანტონის ძე ფცქიალაძე, 93 წ.; გულნაზ და ზურაბ ტალახაძეები; იზოლდა ცუცქირიძე.

1974 წლის ივლისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის თანამშრომლის - იზა ბაქრაძის რესპოდენტები იყვნენ: ვახტანგ ირაკლის ძე ბარბაქაძე, 45 წ.; მიხეილ დიმიტრის ძე მჭედლიძე, 67 წ. ბაბის ტოპონიმური მასალის გადამოწმება და შევსება ჩვენ მიერ განხორციელდა 2016 წლის 13-14 სექტემბერს. სტატიაში ტოპონიმთა ნუსხას წარმოვადგენთ საერთო ანბანის რიგზე.

ბაბში გვხვდება ქართული -ებ სუფიქსით გაფორმებული მიკროტოპონიმები: **დღოწები, ვარდონები, გვრიმლები, კენაქედები, კალოსერები, ნასახტრები** და სხვ. ასევე ფართოდ არის გავრცელებული ტოპონიმთა სა- პრეფიქსიანი წარმოებაც. მაგალითად, **სათემო, სათიხე, საკანაფე, სამჭედური, საწყამუთო...** პარალელური ფორმებიწარმოდგენილია ტოპონიმებში: **ბაბის წმინდა გიორგი/წმინდა გიორგი კოდისწყაროსა, ბლისა/ბლისას ტყე, გორი(ს)ჯვარი/გოლურჯვარი/გორჯუა, ოთხზიარები/ოთხზიარი, ჭყოტიურა/ჭყოტურები** და ა. შ. ნა- პრეფიქსი ფიგურირებს ტოპონიმებში: **ნაგუთი, ნადიკვარი, ნავენახარი, პავლეს ნაქერალი** და სხვ.

აკაკიას მორევი - მორევი.

არკადიას ნავენახარი - სახნავ-სათესი. ეკუთვნოდა მღვდელ არკადის.

**ბაბის წმინდა გიორგი/წმინდა გიორგი კოდისწყაროსა** - ნაეკლესიარი. ბაბის წმ. გიორგის ეკლესია, მ. კეზევაძის ცნობით, აგებულია ქვით. კურთხევის წელია 1815 (*კეზევაძე, 2008: 8*). აქ სხვადასხვა დროს მღვდელთმსახურებას აღასრულებდნენ: გიორგი ადამის ძე ინასარიძე (1812-1851 წლებში), ექვთიმე გიორგის ძე ინასარიძე (1851-(1856), სიმონ ნიკოლოზის ძე ბეზიაშვილი (1862-1867 წლებში), რომანოზ მარკოზის ძე დევანოსიძე (1867-1873), იოსებ ხახუტას ძე ტაბატაძე (1875-1881), დომენტი იოანეს ძე რამინაშვილი (1882-1883), იოსებ შიოს ძე გორგაძე (1883-1907), არტემონ დავითის ძე გორგაძე (1907-1917)



(იქვე: 47). გიორგი ინასარიძე ამასთანავე 1812-1859 წლებში მოღვაწეობდა მარელისის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიაში. გარდაიცვალა 1859 წლის 20 აგვისტოს. აქვე 1851-1893 წლებში მოღვაწეობდა მისი შვილი ექვთიმე (იქვე: 87). 1862 წელს სიმონ ბეზიაშვილი გადასულა ვახანის წმ. გიორგის ეკლესიაში (იქვე: 68). ჩხერის ღმრთისმშობლის შობის ეკლესიაში 1879 წლიდან 1917 წლამდე მოღვაწეობდა რომანოზ დეკანოზიძე, რომელიც გარდაცვლილა 1919 წლის 31 იანვარს (იქვე: 141). იოსებ ტაბატაძე ბაბს გარდა, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ვანის ღმრთისმშობლის შობის (1881-1911), საღანძილის ღმრთისმშობლის შობის (1858-1875), ჩხერის წმ. გიორგის ეკლესიებში (?-(1863) (იქვე: 65, 113, 142). დომენტი რამინაშვილი მოღვაწეობდა ამაშუკეთისა (1883-1902) და უბისის წმ. გიორგის ეკლესიებში (1902-1917) (იქვე: 44, 123). იოსებ შიოს ძე გორგაძე მოღვაწეობდა ამაშუკეთშიც (1882-1883) (იქვე: 44).

### ტოპონიმთა ნუსხა

**ბარბაქაძეების უბანი** - უბანი.

**ბარბაქაძეების წყარო** - წყარო ბარბაქაძეების უბანში.

**ბლისა/ზლისას ტყე** - ტყე, საძოვარი. მწარე ბალი იზრდება.

**ბლისას ტყე** - იხ. ბლისა.

**გადასავალი/პლათორმა** - იხ.

**გადაღმართი** - ნავენახევი, ყანები ბორცვზე, სოფლის გადაღმა, გორას იქით. ამიტომ ეწოდება გადაღმართი.

**გადაღმართის დასახლება** - უბანი.

**გვრიმლები** - ყანები.

**გლახა წყარო** - წყარო.

**გორგაძის ვენახი** - ერქვა ხეხილის ბაღს.

**გორი(ს)ჯვარი//გოლურჯვარი//გორჯუა** - გორაკი, ნაეკლესიარი. მაღლობზე ყოფილა საყდარი. ერთხელ აღდგომა საღამოს ამ საყდარში რაღაც განათებული სხეული ჩაშვებულა. მეორე დღეს საყდარში უნახავთ წმ. გიორგის ხატი და ჯვარი გორისა. სამი დღე გაუტარებია ხატს ამ საყდარში. ერთ ღამეს კი ამოფრენილა და სადღაც დაკარგულა. ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერ უპოვნიათ. ხატის მძებნელ ბერს სოფლის გადაღმა ტყეში ჩასძინებია. გაღვიძებულს შუქი უნახავს. ბერი შუქს მიჰყოლია და მისულა სამ ტყუპ მუხასთან, რომლის ფულუროშიც ხატი ესვენა. მეორე დღეს ხატი გამოუსვენებიათ და წინანდელ ადგილას დაუსვენებიათ. ხალხის თვალწინ ხატი ნელა აცურებულა, ასულა მაღლა - ღრუბლებში და დაკარგულა. ჯვარი იქვე დარჩენილა. ამ ადგილას გათლილი ქვაა, რომელიც თითქოს ვიღაცის საფლავზეა დადებული“ (რესპ. ევდოკია სიმონის ასული ფცქიალაძე).

**გოლურჯვარი** - იხ. გორი(ს)ჯვარი//გორჯუა.

**გორჯუა** - იხ. გორი(ს)ჯვარი//გოლურჯვარი.

**გმელმინდორი** - ყანა.

**დიდახო** - ფერდობი, საძოვარი. წარმოადგენს საზღვარს სოფ. ბაბსა და ქვებს შორის.

**დობილო** - დამრეცკალთებიანი ბორცვი, საძოვარი.

**დღოწები** - ფერდობი, საძოვარი.

**ვარდონები** - ჩირგვნარით დაფარული ფერდობი, საძოვარი. ამ ადგილის შესახებ არსებობს შემდეგი თქმულება: „აქ ცხოვრობდა ერთი კაცი, ცოლთან და ძალიან ლამაზ გოგონასთან ერთად. შვილი დედას ძალიან უყვარდა, მაგრამ სიყვარულს არ აგრძნობინებდა. გოგონას ვარდო ერქვა. ვარდო შვიდი წლისა იყო, როცა დედა გარდაეცვალა. სამი წლის შემდეგ ვარდოს მამამ მეორე ცოლი შეირთო. დედინაცვალი ანჩხლი გამოდგა, ვარდოს ვერ იტანდა, ტანჯავდა. საწყალი ვარდო ხან ბუნებას შესჩიოდა, ხან - საკუთარ თავს. ერთხელ საქონლის მოსადენად წასული სახლში არ დაბრუნდა. წავიდა მამა საძებრად. ბევრი ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. ყანის ბოლოს ვარდის ბუჩქი შენიშნა, რომელიც მის ყოველ დამახებზე შეირხეოდა და ნამს გადმოაფრქვევდა. ვერ მიხვდა მამა, რომ ვარდის ბუჩქად ქცეულიყო მისი შვილი. ხალხმა გამოიგლოვა ვარდო და იმ ალაგს, სადაც ასე ხშირად ამოვებდა საქონელს, ვარდონები დაარქვა“ (რესპ. სინო ანტონის ძე ფცქიალაძე).

**ვაკეტყეები** - სათიბები.

**ვასილას მორევი** - მორევი.

**ზედაკუთხე** - უბანი.

**ზოფხერა** - ფერდობი, ნავენახევი.

**ზოფხერასღელე** - ღელე.

**იოკიმესმორევი** - მორევი.

**კალოსერი//კალოსერები** - გორაკი, საძოვარი, ყანები.

**კეკელას ნაძვები** - ნაძვნარი.

**კენაქედები//კენაქედი** - მინდვრები, სერი, ნაძვნარი.

**კენაქედი** - იხ. **კენაქედები**.

**კიკნაძის ვენახი** - ნავენახევი.

**კორდი** - ყანა.

**კორღანო** - ფერდობი, საძოვარი.

**ლაშე** - ნავენახევი.

**მალღარი** - ნავენახევი, სახნავ-სათესი.

**მუხების დელე** - დელე.

**მუხიანი** - ტყე. უზარმაზარი მუხები ხარობს.

**მუხნარი** - უბანი.

**მჭედლიძეების წყარო** - წყარო.

**ნაგუთი** - ფერდობი, სახნავ-სათესი. ადგილის დამუშავება გუთნით წარმოებდა. აქედან მოდის მისი სახელწოდებაც - ნაგუთნი→ნაგუთი.

**ნადიკვარი** - ყანა.

**ნავენახარი** - სახნავ-სათესი.

**ნასახტრები** - ტყე. „ერთ გლეხს ბავშვი გახდომია ავად. ბევრი უწვავლიათ, მაგრამ არაფერმა უშველა. ერთხელ ბავშვის მამას სიზმარში თეთრწვერამოხუცი გამოცხადებია და უთქვამს - ბავშვი მოგირჩება, თუ ტყეში საყდარს ააგებ და ბავშვს ამ საყდარში დაღვრილ ცრემლში აბანავებო. საყდარი სამ დღეში უნდა აეშენებინა. მამამ საყდარი ააშენა და მესამე დღის დამლევს ბავშვი ცრემლში აბანავა. ბავშვი მორჩა, მაგრამ საბრალო მამა დაბრმავებულია. მამა-შვილი სიკვდილამდე დარჩენილან საყდარში“ (რესპ. ევდოკია ფცქიალაძე, 103 წლისა).

**ნაფიცი** - ყანები.

**ნაციხვარი** - კლდე.

**ნაძვები** - ნაძვნარიანი ფერდობი.

**ნესტორას წყარო** - წყარო.

**ოთხზიარები//ოთხზიარი** - სახნავ-სათესი. „ეს ადგილი ეკუთვნოდა დასავლეთ საქართველოდან გადმოსულ ოთხ მძას - მჭედლიძეს. მათ ზიარად აუღიათ ახო, დაუხნავთ, დაუთესიათ და კარგი მოსავალიც მიუღიათ. მოსავლის გაყოფაზე ჩხუბი მოსვლიათ და ერთმანეთი დაუხოცავთ. ორი მძა გადარჩენილა - უფროსი და შუათანა. ერთი სოფლის თავში დასახლებულა, მეორე - ბოლოში. სოფელში ახლაც ცხოვრობენ მათი შთამომავალნი“.

**პავლეს ნაქერალი** - ფერდობი, საძოვარი. პავლე ბარბაქაძე სახნავ-სათესად იყენებდა.

**პარტახი** - მინდორი, გორაკი, საძოვარი. გადმოცემით, ეს ადგილი ერთ დროს მშვენიერი ბაღ-ვენახით დაფარული ადგილი ყოფილა. აქ ყანები ჰქონიათ ფცქიალაძეს და მჭედლიძეს. როცა მახლობელ ხეობაში რკინიგზის გაყვანა დაიწყეს, ნაღმების გრიალი პარტახამდეც აღწევდა. მოვიდნენ მრეწველები და დაიწყეს სოფლის გადასინჯვა. პარტახში აღმოაჩინეს მარმარილო. შეისყიდეს პარტახი და დაუწყეს ნგრევა. მოისპო მშვენიერი ბაღ-ვენახები. გადაითხარა, გაპარტახდა ადგილი. მრეწველებმა მალე მიატოვეს ეს ადგილი. პარტახი ახლა ქვით დაფარულ ადგილს წარმოადგენს.

**პლათორმა** - რკინიგზის ბაქანი და გადასასვლელი რკინიგზაზე. იხ. **გადასავალი**.

**პლატონას წყარო** - წყარო.

**პონტიკოს წყარო** - წყარო.

**სათემო** - ვაკე.

**სათიხე** - ტყე-ჩირგვნარი, გზა-ბილიკი.

**საკანაფე** - ყანები, ჩირგვნარიანი ფერდობი, საძოვარი. ადრე აქ კანაფი ითესებოდა.

**სამზიარი** - სახნავ-სათესი. აქ საზიარო ყანა ჰქონია სამ მძა ფცქიალაძეს.

**სამჭედური** - სამჭედლოს მიდამოები.

**საწყამუთო** - ნავენახევი.

**ტბა** - ტბის შემოგარენი, ტყიანი ადგილი.

**ტბათირი** - სათიბი, სახნავ-სათესი.

**ფეზიას წყარო** - წყარო.

**ფიჭვები** - ფიჭვნარი.

**ფცქიალაძეების უბანი** - უბანი.

**ფცქიალაძეების წყარო** - წყარო.

**ფხაკი** - ტყე.

**ქვედაკუთხე** - უბანი.

**ღელის წისქვილები** - წისქვილის მიდამოები.

ყორანას დელე - დელე.  
 ყორანას წყალი//ყორანას წყარო - წყარო.  
 ყორანას წყარო - იხ. ყორანას წყალი.  
 ჩქეფი - საბანაო ადგილი.  
 ჩხოვი - ჩირგენარი.  
 წითელაშვილების უბანი - უბანი.  
 წითელაშვილების წყარო - წყარო.  
 წისქვილის დელე - დელე.  
 წმინდა გიორგი კოდისწყაროსა - იხ. ბაბის წმინდა გიორგი.  
 ჭალა - მდინარის სანაპირო სკოლის მიდამოებში.  
 ჭრელების წყარო - წყარო.  
 ჭყოტიურა - იხ. ჭყოტურები.  
 ჭყოტურები - ყანები, ნავენახევი. იხ. ჭყოტიურა.  
 ხევანა - დელის ხეობა.  
 ხევანასდელე - დელე.  
 ჯონჯლარი - ფერდობი. ადგილი მთებსშორისაა მოქცეული. იზრდება ჯონჯოლი.

#### წყაროები და ლიტერატურა:

დაყოფა, 1925 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფ., 1925.  
 დაყოფა, 1930 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ტფ., 1930.  
 დაყოფა, 1949 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1949.  
 დაყოფა, 1961 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის. თბ., 1961.  
 ვეფხვაძე, 2014 - ი. ვეფხვაძე, ჩემი ხარაგაული. ქუთ., 2014.  
 კეზევაძე, 2008 - მ. კეზევაძე, ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები. ქუთ., 2008..  
 ქეგლ, I, VIII - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1950, 1964.  
 ქსე, II, 1977 - ბაბი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II, თბ., 1977.  
 Сводь... 1893 - Сводь статистических данных о населении закавказского края, извлеченных из посемейных списковъ 1886 г. Тифлисъ. 1893.

***Igor Kekelia, Izolda Rusadze***  
*Akaki Tsereteli State University*  
**FROM THE TOPONYMY OF CHKHRIMELI VALLEY**  
**RESUME**

Babi is a small village in the upper part of Imereti, in Kharagauli Municipality, in the north mountains of Meskheti Range, on the left bank of the river Chkherimela. The toponymical materials are written down at different times. Toponyms are interesting from the viewpoint of structural semantics. In Babi we can find microtoponyms, with Georgian -eb suffixes, with -sa- prefixes and some words with na- prefixes.

### ვარიანის ტოპონიმია

ვარიანი შიდა ქართლის ვაკეზე მდებარე ისტორიული სოფელია. იგი მდებარეობს ლიახვის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, გორი-ნიქოზი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე. მუნიციპალიტეტის ცენტრს - ქალაქ გორს 12 კმ-ით არის დაშორებული. ვარიანი ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია და მასში ოთხი სოფელი შედის: ვარიანი, არაშენდა, ახალდაბა და საქაშეთი (ქსე, IV, 1979: 302). წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება 1656 წელს. მაჩაბელი ამოწყვეტილა, მის კერძ მამულს შემდეგ პაპუნა ვაშაყაშვილი დაუფლებია, როსტომ მეფეს კი სეხნია მაჩაბლის შვილებისთვის - თამაზისთვის, ლომკაცისა და ბადურისთვის უბოძებია (მსიგტ, I, 1964: 87). 1688-1703 წლებს შორის შედგენილი დოკუმენტის მიხედვით ვარიანელი ხუცესი უჯარმელაშვილი, ბერუკა უჯარმელაშვილი და ხუცო მამულითურთ, ნაზარალიხანის ბრძანებით, იასაულს ბიძინასა და დუშისათვის მიუბარებია მოკლული ნათესავის სისხლის საფასურში (იქვე). სოფელი რომ უძველესი დროიდან დასახლებული იყო, ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური ძიების გზით აღმოჩენილი მასალა. „ფეოდ. ხანაში სოფელი და მისი შემოგარენი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართლის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. აქ განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში ვარიანი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს საქართველოში შემოსული მტრის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. ფეოდალების, ბატონიშვილებისა და მეფის მოხელეებისაგან შევიწროებულმა გლეხებმა 1789 წელს საჩივრით მიმართეს ერეკლე II-ს“ - წერს ისტ. მეცნ. კანდიდატი კ. კახაძე (სიკმა, 5, 1990: 65-66). ვარიანში დაიბადა დიდი ქართველი საბავშვო მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი (1840-1912 წწ.). მუზეუმის სამ დარბაზში განთავსებულია მწერლის ბავშვობის, სტუდენტობისა და მასწავლებლად მუშაობის ამსახველი სურათები და ექსპონატები, მის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები, მწერლის მოთხრობების სიუჟეტზე შექმნილი მხატვრული ტილოები და მემორიალური ნივთები (ბერძენიშვილი, სიკმა, 5, 1990: 66). სოფლის ცენტრში, გორი-ნიქოზის გზის მარცხენა მხარეს დგას იაკობის სახლ-მუზეუმი - ქვითკირის ორსართულიანი და ღია აივნისა შენობა, რაც აუგია სოფლის მღვდელს სიმონ გოგებაშვილს და მის ვაჟიშვილს - ანდრიას. იაკობის ძმას - ზაქარიას სახლისთვის კიდევ ერთი ოთახი მიუშენებია. შემდგომში კიდევ ორი ოთახი მიამატეს და 1930 წელს სკოლა გახსნეს. სახლ-მუზეუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე 1958 წლის 14 დეკემბრიდან ფუნქციონირებს.

რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი აღწერის მიხედვით არსებობდა ვარიანის სოფლის საზოგადოება, მასში შემავალი ექვსი სოფლით:

არადეთი (58 კომლი. მ. შ. 139 კაცი, 107 ქალი; სულ 246 სული. ამათგან ერთი კომლი სომეხია);

ახალდაბა (98 კომლი. მ. შ. 244 კაცი, 239 ქალი; სულ 483 სული. ამათგან 40 კომლი სომეხია);

ვარიანი (120 კომლი. მ. შ. 300 კაცი, 291 ქალი; სულ 591 სული; ამათგან 6 კომლი სომეხია);

ოთარშენი (31 კომლი. მ. შ. 55 კაცი, 37 ქალი; სულ 92 სული. ამათგან 4 კომლი სომეხია);

თედო-წმინდა (29 კომლი. მ. შ. 46 კაცი, 41 ქალი; სულ 87 სული);

ტინისხიდი (62 კომლი. მ. შ. 135 კაცი, 120 ქალი; სულ 255 სული; ამათგან 29 კომლი სომეხია).

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1925 წლის ცნობარის მიხედვით ვარიანი შინდისის თემში შემავალი სოფელია (დაყოფა, 1925: 26). ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარის მონაცემებით არსებობს შინდისის სასოფლო საბჭო, მასში შემავალი თერთმეტი სოფლით: არაშენდა, ახალდაბა, ვარიანი, ნიქოზი ზემო და ქვემო, საქაშეთი, ფხვენისი, ყელქცეული, შინდისი, ხვითი ქვემო და ზემო. ვარიანი ამ დროისთვის 158-კომლიანი (723 სული) სოფელი ყოფილა. ამათგან 719 სული ქართველია, 4 სული - სომეხი (დაყოფა, 1930: 10). 1949 წლის მონაცემებით ვარიანის სასოფლო საბჭოში სამი სოფელია: ვარიანი, არაშენდა და ახალდაბა (დაყოფა, 1949: 34). 1961 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ვარიანის სასოფლო საბჭო აერთიანებს ოთხ სოფელს: ვარიანს, არაშენდას, ახალდაბას და საქაშეთს (დაყოფა, 1961: 32).

სოფლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ტოპონიმები - გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებანი. ტოპონიმებად დადასტურებულია ხეხილის ბაღების, წყაროების, სახნავ-სათესი და სავენახე მიწის ნაკვეთების, საძოვრების, ჭალების, დასახლებული უბნების, თავდაცვითი ნაგებობის (კოშკის), ტბის, წისქვილების, არხების, სასაფლაოსა და სხვათა

სახელწოდებანი. თითოეულ ტოპონიმს (სადაც ეს შესაძლებელი იყო) თან ახლავს ხალხური და მეცნიერული ეტიმოლოგიები და ზუსტი ლოკალიზაცია. სოფლის გეოგრაფიული სახელწოდებანი დალაგებულია საერთო ანბანის რიგზე. ტოპონიმთა ნუსხას წინ უსწრებს ვარიანის მოკლე ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

სოფლის ტოპონიმური მასალა სხვადასხვა დროსაა ჩაწერილი. 1967 წელს ტოპონიმები ჩაუწერია მ. დ. მელითაურს. 1969 წლის ივლისში სესილი გიორგის ასულ მეგრელიშვილს ტოპონიმები ჩაუწერია 56 წლის ბაგრატ გიორგის ძე ბერკაციშვილისაგან, 66 წლის პენსიონერ ეკატერინე ვლადიმერის ასულ მაჩაბლისაგან, 80 წლის კონსტანტინე იაგორის ძე ხიზანიშვილისაგან, 75 წლის ნინა სტეფანეს ასულ ყასუმაშვილისა და მიხეილ კოკაურისაგან. პედაგოგ ბ. მჭედლიშვილის რესპოდენტები 1970 წლის ივნისში ყოფილან მიხეილ ივანეს ძე კოკაური (89 წლის), მარგარიტა ხვედიაშვილი, ელენე სტეფანიშვილი და ო. მეგრელიშვილი. ნ. ოქროპირიძის რესპოდენტები 1971 წლის აგვისტოში იყვნენ სანდრა ივანეს ძე კერესელიძე (70 წლის) და მიხეილ ივანეს ძე კოკაური (90 წლის). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმის ლაბორატორიის თანამშრომლები - მურად კემულარია და გიგი ხორნაული ტოპონიმურ მასალას ვარიანში იწერდნენ 1981 წელს. მათი რესპოდენტი ყოფილა ვარიანის საშუალო სკოლის პედაგოგი, 58 წლის გიორგი ქრისტეფორეს ძე ადუაშვილი.

სწორედ ამ მასალით ვხელმძღვანელობდით 2015 წელს სოფელ ვარიანის გეოგრაფიულ სახელწოდებათა აღწერას, რითაც მოგვეცა შესაძლებლობა ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაციის დაზუსტებისა და დამატებით ახალი მასალების ჩაწერისა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაწერილ ზოგიერთ ტოპონიმს არ ახლავს დაზუსტებული ლოკალიზაცია და თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ვერც ჩვენ შევძელით მათზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვება. თუმცა ახალთან ერთად ძველი, დავიწყებული ტოპონიმებიც ამ აღწერაში სრულად შევიტანეთ.

ვარიანის ტოპონიმთა მცირე ნაწილი, კერძოდ, ჰიდრონიმები, 1999 წელს „საქართველოს ტოპონიმის“ მასალების მეორე ტომში გამოაქვეყნა ს. მელიქიძემ (მელიქიძე, საქ. ტოპ., II, 1999), ხოლო 2012 წელს სოფლის ტოპონიმები თავის წიგნში („გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი“) შეიტანა ნინო ოქროპირიძემ.

**აბოსი** – ვარიანის საჯარო სკოლის ირგვლივ მდებარე მიწის ნაკვეთი. ვინმე გორელ აბოს ცოლად შეურთავს ვარიანელი ქალი, რომელსაც ეს მიწა მზითვად მოჰყოლია.

**აბრამანთეული** – ხეხილის ბაღები რკინიგზის შემოგარენში. ადრე ეს მამული აბრამაშვილებს ეკუთვნოდათ და ამიტომაც აბრამანთ მიწებს ეძახდნენ. შემდეგ კი კოკაურებს შეუსყიდიათ. ნ. ოქროპირიძე დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს სათესის სახელწოდებად (ოქროპირიძე, 2012: 13).

**აგურხანის წყარო** – წყარო. ცხინვალელებმა არხი გაატარეს ამ ადგილზე და გაუქმდა. ს. მელიქიძე ასახელებს ვარიანტს: აგურქარხნის წყარო (მელიქიძე, საქ. ტოპ., II, 1999: 18).

**ადუანი/ადუანთი** – უბანი. ცხოვრობენ ადუაშვილები.

**ადუანთი/ადუანი** – უბანი.

**ალავერდა** – მინდორი. მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით. ალავერდა ყოფილა ბალახი, მაგრამ ღეროთი, ხვნის დროს გლეხს გუთანსაც უტეხავდა.

**ალავერდული** – სახნავ-სათესი ვაკე სოფლის სამხრეთით. მთხრობელის განმარტებით, ეს ადგილი კერესელიძეებს შეუსყიდიათ ბატონისაგან, ვინაიდან აქ ბალახი ალავერდა იცოდა ბევრი. ამიტომაც შეარქვეს ეს სახელი. ალავერდას ქართლ-კახეთში ეძახიან იონჯას (ქეგლ, I).

**ალავერდული ვენახები** – ნავენახევი.

**არაშიძიანთ ნავენახრები** – მინდორი. გვარად არეშიძეების კუთვნილება ყოფილა.

**ასეალას მიწები** – მინდორი. ცხინვალის წყალსადენი გადის ახლა ამ ადგილას.

**ბაგები** – მამული. ტოპონიმი „ბაგები“ გორის მუნიციპალიტეტში ბევრგანაა დამოწმებული. კერძოდ, ატენში, გარდატენში, ქორდში, ბროწლეთში, კირბაღში, დიცში, ტინისხიდსა და სხვაგან (ოქროპირიძე, 2012: 23).

**ბეგისპირები** – ლიახვის ნაპირი. ბეგისპირები ეწოდება აგრეთვე სახნავ-სათესს სოფ. ქორდში (ოქროპირიძე, 2012: 27).

**ბეგისპირები** – მინდორი. ბეგისპირი ეწოდება სახნავს ზ. ახალსოფელში (იქვე).

**ბერკაცანი** – უბანი; სახლობენ ბერკაცაშვილები.

**ბერკაცანთეული** – მიწის ნაკვეთი. ფლობდნენ ბერკაცაშვილები.

**ბლები** – ბლის ბაღი.

**გოგებაანთეული** – ბაღი. გოგებაშვილი გვარია.

**გოგებაანთ წყარო** – წყარო. ეკუთვნოდა გოგებაშვილს.

**გოგებაშვილის წყარო** – წყარო იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმთან.

**გოდორყურები** – ლიახვისპირა ჭალები; წყალდიდობის დროს დაწნავდნენ ხეებით და შიგ ქვებს ყრიდნენ, რომ წყლის მოდიდების დროს ზიანი არ მიყენებოდა.

**გრძელეები** – ბაღ-ვენახები. ამავე სახელწოდებით ადგილები ცნობილია აძვში, ახალდაბაში, ახალუბანში, ბერშუეთში, ბროწლეთში, გორიჯვარში, ზერტში, თერგვისში, მერეთში, სკრაში, ფლაგში, ქვ. ქობისში, ციცაგიანთ-კარში, შერთულში, ხელთუბანში, ჯარიაშენში... (**ოქროპირიძე, 2012: 45**).

**დიდი ლიახვი** – მდინარე. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორ სოფელში – ვარიანსა და ერგნეთში გაედინება.

**ემინები/ემინეები** – ბაღები ლიახვის ნაპირებზე. ადრე სახნავ-სათესი ყოფილა. ნ. ოქროპირიძე იმოწმებს ქველ-ის განმარტებას, რომლის მიხედვით ქიზიყურში ემინი გულუბრყვილოს, უემმაკოს ნიშნავს (**იქვე: 60**).

**ვარიანი** – სოფელი გაშენებულია ვაკე ადგილზე. მას ჩამოუდის მდ. ლიახვი. სოფელში 400-მდე კომლია. ყველაზე გავრცელებული გვარებია: ადუაშვილი, სტეფანიშვილი, კოკაური, კერესელიძე, მაჩაბელი, ბერკაცაშვილი, სირბილაძე. თსუ-ის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ინახება ნინო გიორგის ასული ოქროპირიძის მიერ 1969 წლის ივლისში 90 წლის ვარიანელ მიხეილ კოკაურისაგან ჩაწერილი შემდეგი ხალხური ეტიმოლოგია: სოფლის სახელწოდება ვალიანთან არის დაკავშირებული. ვარიანის მოსახლეობა ყოველთვის სიღარიბეში ცხოვრობდა ადრე. „ვარიანი ვალიანი, უწყალო და ქარიანი“, – ასეთი იყო ჩვენი სოფელიო, აღნიშნავენ მთხრობელები.

**ვარიანის წყალი** – მდ. ლიახვის ის ნაწილი, რაც ს. ფხვენისიდან მოედინება ვარიანისაკენ.

**ვარცლები** – 1. ბაღი; 2. მინდორი. შდრ.: ვარცლაი – 1. სახნავი თედოწმინდაში; ვარცლები – სახნ.-სათ. ოთარშენში; 2. მინდორი სკრაში. „ჩაღრმავებული, ჩაზნექილი ნაკვეთებია. ფორმით ვარცლს წააგავს“ (**ოქროპირიძე, 2012: 63**).

**ზეითუბანი/ზევითუბანი** – უბანი.

**ზევითუბანი** – იხ. **ზეითუბანი**.

**ისაკოს წყარო** – წყარო.

**კოკაურიანთ წყარო** – წყარო. კოკაური გვარია.

**კოშკი/კოშკები** – თავდაცვითი, მრგვალი ნაგებობა, ბაღი, სოფლის დასავლეთით, 0, 4-0, 5 კმ-ის დაშორებით, ყოფილი საბჭოთა მეურნეობის ხეხილის ბაღში, სადედოებთან ახლოს. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ქსე-ში შეცდომით აღნიშნულია, რომ ვარიანში შემორჩენილია გვიანდელი შუა საუკუნეების სამი კოშკის ნანგრევები (**ქსე, IV, 1979: 302**). სინამდვილეში შემორჩენილია არა სამი კოშკის, არამედ სამსართულიანი კოშკის ნაშთი. 6, 7 დიამეტრის მქონე ცილინდრული ფორმის კოშკი რიყის ქვით ნაგები საცხოვრებელი და სათავდაცვო ნაგებობაა. თ. დვალი და ა. ნუცუბიძე ძეგლის შემდეგ აღწერას გვთავაზობენ: „სართულშუა გადახურვებში და კარ-სარკმლების წირთხლებში გამოყენებულია აგური. ნაგებობა დაზიანებულია: აქა-იქ შემორჩენილია პირველი და მეორე სართულის გუმბათოვანი კამარის ქუსლის ნაწილები, თითქმის მთლიანად ჩამოცვენილია სამხრ. კედლის სანაპირე ქვები, დანგრეულია მესამე სართულის უმეტესი ნაწილი.

კოშკს შეისრულთაღიანი შესასვლელი აღმ-ით, მეორე სართულზე აქვს. კარი გარედან მოქცეულია ირიბად შეჭრილ სწორკუთხა შეღრმავებაში, რ-იც დასრულებულია აგურის საფეხურიანი ფრიზით. პირველი სართული შიგნიდან წრიულია (ამჟამად ნანგრევებითაა სავსე), მეორე – სწორკუთხა. კედელში, შესასვლელის გვერდებზე, თითო ფართო შეისრული ნიშია, რ-ებშიც თითო მცირე სწორკუთხა სარკმელია; მათ ქვემოთ თითო სათოფურია. დას. კედლის ცენტრში, ნახევარწრიულ ბუხარში გაჭრილია ერთი სარკმელი-სათოფური. ბუხრის ორივე მხარეს თითო სათოფურიანი და შეისრული თაღით დასრულებული ნიშია. ჩრდ. კედლის ცენტრში იატაკიდან იწყება დიდი შეისრულთაღიანი ნიში, რ-შიც მცირე სწორკუთხა სარკმელია. სარკმლის ქვემოთ მცირე ნიშია. შეისრულთაღიანი და სათოფურიანი თითო ნიში ამავე კედლის კიდეებშიაცაა, ხოლო ერთი შეისრულთაღიანი და შეწყვილებულსათოფურიანი ნიში – სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში. ამავე კედელშია დატანებული მესამე სართულზე ასასვლელი კიბე. მესამე სართული წრიულია. შემორჩენილ კედლებში შეისრულთაღიანი სამი სარკმელი (საზარბაზნეები), ერთი ნახევარწრიული ბუხარი და რამდენიმე სათოფურიანი ნიშია. კოშკის შესასვლელის ზემოთ, აგურის წყობაში გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი. ყველა სართული გადახურული იყო გუმბათოვანი კამარით“ (**დვალი, ნუცუბიძე, სიკმა, 5, 1990: 66**). ამ კოშკს **ლელითავის კოშკსაც** ეძახიან. ლეკიანობის დროს ხალხი აქ აფარებდა ხოლმე თავს. „კოშკი აუშენებით კვალიაშვილებს, მაგრამ ეს გვარი იქიდან აყრილა და სოფელ შინდისში დასახლებულა. ამაზე მეტყველებს „კვალიანთ რუ“ სოფელ არაშენდაში. ამ რუს ნაპირზე ადგილები გაუჭაობებია და ლელი ამოსულა. ამიტომ ხალხი ლელითავებსაც უწოდებს“ (**რესპ. ბაგრატ ბერკაციშვილი. ჩაწერილია 1969 წელს, სესილი მეგრელიშვილის მიერ**).

**ლამები** – მინდორი. ტოპონიმი „ლამები“ ჩაწერილია გორის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში (გარეჯვარი, რეხა, არაშენდა, ბერშეთი, ტირმისი, ქვ. ხვითი, შერთული, ძევერა, მეჯვრისხევი). „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ლამი მდინარის, ტბის ან ზღვის წყლის დანალექი სილაა. ამასთანავე, ლამს ეძახიან ტალახიან ადგილს.

**ლამის მიწები** – ერქვა ბაღს რკინიგზასთან ახლოს, კოშკის გვერდზე. ბაღებიცაა გაშენებული. ლამიანი მამული იყო. ადრე აქ სახნავი ყოფილა და მარტო კვრინჩხი თუ მოდიოდა. ტოპონიმი „ლამის მიწები“ დამოწმებულია აგრეთვე ქვახვრელსა და ოთარშენში (**ოქროპირიძე, 2012: 101**).

**ლეღითავი//ლეღისთავი** – მიწის ნაკვეთი. სოფლის დასავლეთით, კოშკის მახლობლად მდებარე ვაკე ადგილია. სამხრეთიდან სოფ. არაშენდის მთა ესაზღვრება, დასავლეთით – საქაშეთის სახნავი მიწები, ჩრდილოეთით – სოფ. შინდისი. შემდეგ ხილის ბაღები გააშენეს. რიყის ქვით ნაგები შენობების საძირკვლის ნაშთები და მოპოვებული წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის, დიდი ქვევრის ნამტვრევები და სხვ., მიუთითებს აქ ნასოფლარის არსებობაზე. „გადმოცემით მოსახლეობა აქედან ლეკთა შემოსევების დროს (XVIII ს.) აყრილა“ (**დვალი, ნუცუბიძე, სიკმა, 5, 1990: 66**). 2. ნატბევი; უწინ ჭაობითა და ღელის მცენარეებით დაფარული ტბა ყოფილა. ტბა დამშრალა და დაუფარავს ლელიანს. ნიადაგი ჭაობიანია. „ჭანჭრობი ადგილი იყო, მერე გაიწურა, დაშრა მიწა და დაერქვა ლელიანი მიწა“, – აღნიშნა მთხრობელმა, – ნიადაგის ხასიათის გამო, ჩანს ამ ადგილზე ჭაობის მცენარე – ლელიც ხარობდა, რაც საფუძვლად დაედებოდა ამ ტოპონიმის მნიშვნელობას. ვარიანის უწინდელი სახელწოდება ყოფილა. ნ. ოქროპირიძე ასახელებს ვარიანტებს – **ლეღითავი//ლეღისთავი**, და განმარტავს როგორც „ჭაობიან ადგილს“ (**ოქროპირიძე, 2012: 102, 311**).

**ლიკლიკაურები** – ბაღები სოფლის აღმოსავლეთით. ადრე სახნავ-სათესი იყო. მთხრობელის სიტყვით, ამ ადგილზე თავდაცვითი ნაგებობა მდგარა, სადაც ხალხი ლეკიანობის დროს თავს აფარებდა და ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემდა – მტერი შემოგვესიაო. ამიტომ დაერქვა მას ლიკლიკაური. ნ. ოქროპირიძე: „ადრე აქ მაღალი ლელი ყოფილა. ხალხი იქ იმალებოდა და ერთმანეთს ჩურჩულით ატყობინებდა მტრის შემოსევას“ (**ოქროპირიძე, 2012: 103**).

**მაგდანას წყარო** – წყარო. მისი ბაღის ბოლოს ცხოვრობდა მაგდანა კასუმაშვილი.

**მარშლის წისქვილი** – წისქვილი (**ოქროპირიძე, 2012: 311**).

**მაღალიანთ წისქვილი** – წისქვილი.

**მაჩაბლის წისქვილები** – მიწის ნაკვეთი. ამ ადგილზე თავად მაჩაბლების წისქვილი ყოფილა. წისქვილები გზისპირას მდგარა. ერთი წისქვილი ახლაც დგას. შემოფარგლულია ბაღებით.

**მეგრელაანთეული** – ბაღი. ეკუთვნოდათ მეგრელაძეებს.

**მეგრელაანთ წისქვილი** – წისქვილი.

**მეტრეველისეული** – მინდორი. მეტრეველი გვარია.

**მექერიანთეული** – სახნავ-სათესი სოფლის სამხრეთით. გადმოცემით, ეს ადგილი გორელ სომხებს – მექერიანთ ეკუთვნოდათ, რომელთაც იგი მეზატონისგან შეუსყიდათ. ძალიან ღონიერი მამულიაო, – აღნიშნავს მთხრობელი. მექერიანთ ეს მამული რევოლუციამდე შეუსყიდათ. იმდენად კარგი მამული იყო, ხელუკუდმა გასროლილი პურის მარცვლიც კი მოდიოდა ამ ადგილზეო (**ოქროპირიძე, 2012: 110**).

**მექერიანმიწები** – ბაღ-ვენახი; ეკუთვნოდა მექერიშვილს.

**მოკლეები** – ვაკე ვარიანის დასავლეთით. სამხრეთით საზღვრავს სოფელ არაშენდის სახნავი მიწები, დასავლეთით – სოფელ საქაშეთის ხილის ბაღები, აღმოსავლეთით – ვარიანი. თსუ-ის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ინახება სესილი გიორგის ასული მეგრელიშვილის მიერ 1969 წლის ივლისში ვარიანელ ეკატერინე ვლადიმერის ასულ მაჩაბლისგან (66 წლისა) ჩაწერილი შემდეგი განმარტება: ადრე ეს ადგილი ყოფილა მეზატონე ამილახვრის კუთვნილება. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწები დაუყვიათ და მოკლე-მოკლე ნაკვეთებად გლეხებისათვის დაუნაწილებიათ.

**მუხები** – ბაღი. ადგილები ამ სახელწოდებით ცნობილია აგრეთვე ჯარიაშენსა და უფლისციხეში.

**ნაბადრები** – მინდორი, ბაღები ლიახვის მარჯვენა მხარეს. აქ სასმელი წყაროც მოედინება. ირგვლივ ბაღებია გაშენებული.

**ნაკორდლები** – მინდორი.

**ნატბეები** – ბაღ-ვენახები.

**ნაცარგორე(ე)ბი** – ბორცვი, სახნავ-სათესი სოფლის სამხრეთით. მთხრობელის განმარტებით, ამ ადგილს ნაცარგორეებს იმიტომ ეძახდნენ, რომ მჩატე მიწაა, მოუსავლიანი გორაა, არ ირწყვის. მოდის მხოლოდ ხელიკიფება ბალახი.

**პალას ნერგები** – სახნავი. პავლე ადუაშვილს ეკუთვნოდა. ამჟამად ბაღია.

**პეტეტოს ბაღი//პეტეტოსეული** – ბაღი. პეტრე მეგრელიშვილს ეკუთვნოდა.

**პოხრუანთ წისქვილი** – წისქვილი. ფლობდნენ ხიზანიშვილები.

**სადედო/სადედოები** – მინდორი სოფლის აღმოსავლეთით, არაშენდის საზღვარზე. „აქ დედიანი, ანუ კარგი მამული იყო“. თსუ-ის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ინახება ნინო გიორგის ასულ ოქროპირიძის მიერ 1971 წლის აგვისტოში ვარიანელ მიხეილ ივანეს ძე კოკაურისაგან (90 წლისა) ჩაწერილი ტოპონიმ სადედოსთან/სადედოებთან დაკავშირებული შემდეგი განმარტება: „ძველად დიდი ლელიანი იყო ამ ადგილზე ჩალიდან ლელითავი კოშკამდინა. ლეკიანობის დროს, ვინც კოშკში ვერ შესწრებდა, ამ მაღალ ლელიანში შეცვიოდნენ ხოლმე და იქ იმალებოდნენ. დიდი ჭყაპი (ჭაობი) იყო ლელიანში და ბევრჯერ ქალები ბავშვებიანად იმალებოდნენ ხოლმე“.

**სადედოები** - იხ. **სადედო**.

**სადედო ბაღი** - ასახელებს ნ. ოქროპირიძე (**ოქროპირიძე, 2012: 311**).

**სადედო რუ** – არხი.

**სამტრედოები** – ბაღები ეკლესიასთან, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ლიახვის მხარეზე გაშენებულია ხილის ბაღები. ამ ადგილებში ადრე ბევრი მტრედი ბუდობდა. ნ. ოქროპირიძის აზრით, სამტრედოები ველის სახელწოდებაა (**ოქროპირიძე, 2012: 311**).

**საქორე/საქორები** – მინდორი, ბაღი.

**საქორეები** – ბაღები; იხ. **საქორე**. საქორეები სოფლის აღმოსავლეთითაა, ლიახვის მხარეზე, ვაკე ადგილია, გაშენებულია ბაღები. საქორეები ერისთავების მამული იყო, სახელდობრ, ფლაველი ერისთავებისა. შდრ.: საქორეები - მინდორი ახალდაბაში.

**საქორეები** – წყაროების მიმდებარე ტერიტორია.

**სახეთქელები** – მინდორი და ბაღი. ნ. ოქროპირიძე მდ. პატარა ლიახვიდან გამოყვანილი სარწყავი არხის სახელწოდებად სოფ. თერგვისში იმოწმებს ტოპონიმ „სახეთქელას“, რასაც ახლავს შემდეგი განმარტება: წყალი უსწორმასწორო კალაპოტში მოედინება და ნაპირებს ეხეთქება (**ოქროპირიძე, 2012: 167**). მისივე წიგნში სახნავ-სათესის სახელწოდებად სოფ. ძევერაში მითითებულია **სახეთქელები**, შემდეგი განმარტებით: „ადრე აქ საჩეხი ყოფილა. აჩეხვის შემდეგ ხე ისევ მალე ამოიხეთქავდა ხოლმე ნაზარდს“ (**იქვე**).

**სომხების სასაფლაო** – სასაფლაო სოფლისთავეში. მის გარშემო უკვე ხალხი სახლდება, 10-ოდე საფლავიღაა დარჩენილი. სასაფლაოს ტერიტორია თანდათანობით მცირდება.

**ტყემლიმიწები/ტყემლის მიწები** – ვაკე; სამხრეთით ესაზღვრება სოფ. ვარიანი, დასავლეთით – სოფ. საქაშეთის მიწები, ჩრდილოეთით – სოფ. შინდისის ხილის ბაღები, აღმოსავლეთით – ვარიანის ღვთისმშობლის ეკლესია. წინათ ამ ადგილზე გაშენებული ყოფილა სოფელი, რასაც ნასახლარები მოწმობენ; იგი დაფარული ყოფილა უამრავი ტყემლის ხით. ჩანს, ადგილის სახელწოდება აქედანაა წარმოშობილი. ამ ადგილზე ხალხიც ცხოვრობდა, სულ 6 კომლი: ზვედიანები და ბუზალაძეები. მერე ისინიც სოფელში ჩამოვიდნენ და იქ კი ბაღები გააშენეს. ნ. ოქროპირიძე ასახელებს ვარიანტს - **ტყემლის მიწები**, მამულის სახელწოდებად (**ოქროპირიძე, 2012: 311**). შდრ. ტყემლიმიწები - მინდორი ყელქცეულში.

**ტყემლის მიწები** - იხ. **ტყემლიმიწები**.

**უდაბნო** – მინდორი; „სიშორის გამო ჰქვიან“.

**ფოტორი/ფოტორუ** – ბაღი, ვაკე. აღმოსავლეთით ესაზღვრება მდ. ლიახვი, ჩრდილოეთით – სოფ. შინდისი; სამხრეთით ესაზღვრება სოფ. ვარიანის ძველი ღვთისმშობლის ეკლესია. ძველად ამ ადგილზე ლიახვი მოედინებოდა. შემდეგ წყალს კალაპოტი შეუცვლია და დაბალი ადგილი დაუკავებია. ეს ნიადაგი კი მწირ, გამოფიტულ ადგილას დარჩენილა. საფიქრებელია, რომ ხალხმა ამიტომ უწოდა აღნიშნული სახელი, რაც, მათი აზრით, გამოფიტულს, მწირს ნიშნავს.

**ფოტოროები** – ბაღები. ეს ტოპონიმი აღმნიშვნელია ლიახვის ახლომდებარე ადგილისა. ადრე იგი სახნავი მიწა იყო, ახლა კი ბაღებია გაშენებული. ფოტოროები ძველი ნასოფლარია, რაზეც მეტყველებს ამ ადგილებში წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევების, დიდი ქვევრის ფრაგმენტებისა და სხვათა აღმოჩენა. შემორჩენილია აგრეთვე რიყის ქვით ნაგები რამდენიმე შენობის საძირკვლის ნაშთი (**დვალი, სიკბა, 5, 1990: 67**). მთხრობელების განმარტებით, რაკი ეს ადგილი ლიახვთან ახლოს იყო, ამიტომ დაარქვეს ფოტოროები. იგი წყლისგან გამოფიტული მიწაა. ფოტორო (ქართლ.) იგივეა, რაც ფლატე (**ქეგლ, ტ. VIII**). ნ. ოქროპირიძეს 82 წლის საღვა კერესელიძისგან 1971 წელს შემდეგი განმარტება აქვს ჩაწერილი: „ფოტოროებს იმიტომ ეძახიან, რომ მოუსავლიანი და მძატე მიწებია, წყლისაგან გამოფიტული. ლიახვის პირზეა ეს მიწები, მე თვითონ მამიხნამ და ვიცი რა რბილი და ფოტორო მიწებია“ (**ოქროპირიძე, 2012: 188**).

**ფოტორუ** - იხ. **ფოტორი**.

**ფშანები** – წყარო. ამჟამად დამშრალია. ფშა, ფშანი მდინარის პატარა შენაკადია (**ქეგლ**).

**ფშანი** – წყარო. უერთდება დიდ ლიახვს. შდრ. ფშანი - მდინარე ოთარშენში.



**ქარიმიწები** – ბაღი. ნ. ოქროპირიძე სახნავ-სათესის სახელწოდებად სოფ. ფხვენისში მიუთითებს ტოპონიმ „ქარივს“ და იმოწმებს ინფორმანტის განმარტებას: „ეს მიწები იხენის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ქარდაქარ. ასეთ მიწებს ქარივ მიწებს ეძახიან“ (**ოქროპირიძე, 2012: 190**). შდრ.: ქარიმიწები - 1. სახნავ-სათიბი ახალდაბაში; 2. მინდორი ყელქცეულში; ქარის მიწები - სახნავ-სათიბი არაშენდაში (**იქვე**).

**ქარდაქარი** – ბაღი.

**ქებაანთული** – მიწის ნაკვეთი. ქებაძე გვარია. ქებაანთ ციხე კოშკის სახელწოდებაა მეღვრეკისში.

**ქვე(ც)ითუბანი** – უბანი.

**ღვთიშობლის ეკლესია** – ეკლესია სოფლის ცენტრში, ი. გოგებაშვილის მუზეუმის გვერდით. სამშენებლო წარწერის თანახმად აუგიათ 1835 წელს და დაუნგრევიათ 1928 წელს. ესაა რიყის ქვითა და აგურით ნაგები, 13, 9+7, 5 მ ზომის მქონე დარბაზული ეკლესია, რომელსაც შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. თ. დვალის აღწერით, „ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია. სარკმლის მარცხ. მხარეს ორი სწორკუთხა საშუალო ზომის, ხოლო მარჯვ. მხარეს ერთი სწორკუთხა მაღალი ნიშია. შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა ორ-ორი სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. დარბაზის გრძივი კედლების აღმ. მონაკვეთში მდებარე სარკმლების ქვემოთ თითო შეისრული ნიშია. ამ ნიშებსა და აფსიდის მხრებს შორის შელესილობით გამოყვანილია თითო ხატის ჩასასმელი. გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-საც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები. შენობის დას. მონაკვეთში გამართულია ხის პატრონიკე. პატრონიკეში ასასვლელი კიბე დატანებულია დას. კედელში. ეკლ. შიგნიდან და გარედან შელესილია. სამხრ. ფასადზე თაღოვანი შესასვლელი ჩასმულია სწორკუთხა შეღრმავებაში და დასრულებულია სამსაფეხურიანი აგურის ფრიზით. შესასვლელის ზემოთ აგურის წყობით გამოყვანილია შეღრმავებული ჯვარი. ამ ჯვარსა და შესასვლელს შორის ქვიშაქვაზე ამოკვეთილია სამშენ. წარწერა. ფასადებზე სარკმლები დასრულებულია ფრონტონებით. აღმ. სარკმლის ფრონტონზე გამოსახულია ჯვარი. ეკლესიის სახურავზე, დას-ით დგას ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი აგურის პატარა სამრეკლო, რ-საც აგურის პირამიდული სახურავი აქვს“ (**დვალი, სიკა, 5, 1990: 66-67**).

**ღვთიშობელი** – არქიტექტურული ძეგლი; დგას სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ადგილ ფუტურობში, სასაფლაოზე. თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. დიდი ზომის რიყის ქვით ნაგები დარბაზული ეკლესიის ზომებია 12, 3+6, 8 მ. მშენებლობაში გამოყენებულია აგრეთვე მოყავისფრო შირიმის ქვა. ეკლესიის კამაროვანი გადახურვა ჩანგრეულია, დაზიანებულია კონქი და აფსიდიც. დანგრეულია დასავლეთისა და სამხრეთის კედლების დიდი ნაწილი, დარღვეულია იატაკის დონეც. „ეკლესიას სამი შესასვლელი ჰქონდა. ჩრდ. კედლის დას. ნაწილში ტიმპანით გადახურული თაღოვანი კარია. სამხრ-ის და დას-ის შესასვლელების მხოლოდ წირთხლებია შემორჩენილი. ნალისებრი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. მეორე სარკმელი სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთშია. აფსიდის ორივე მხარეს, კედელში, დაახლოებით 2,5 მ სიმაღლეზე, აფსიდიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა, რაც ეკლესიის თავისებურებას წარმოადგენს. აფსიდებში ვიწრო თაღოვანი სარკმლებია. სადიაკვნეში სწორკუთხა ნიშია. დარბაზის ორსაფეხურიანი პილასტრების პირველ საფეხურებზე კედლის თაღები გადადის. აღმ. ფასადზე შემორჩენილია საკურთხეველის სარკმლის მარცხ. ორნამენტირებული საპირე და სადა სათაური ქვა, აგრეთვე მარცხ. მცირე სარკმლის რელიეფურ-თავსართიანი სათაური ქვა. საკურთხეველის სარკმლის მსგავსი ორნამენტირებული საპირეთი იყო მოჩარჩოებული სამხრ-ის სარკმელიც, რ-ისგანაც ქვედა ნაწილებიდან შემორჩენილი. ჩრდ. კარის ტიმპანის ძლიერ დაზიანებული ასომთ. წარწერა X- XI სს. მიეკუთვნება“ (**დვალი, ნუცუბიძე, სიკა, 5, 1990: 67**).

**ყულიანთული** – ვენახი.

**შიმშილა ლამები** – მიწის ნაკვეთი. ძველად შიმშილობის წელიწადს ეს მიწები სხვა გვარის ხალხისგან სტეფანიშვილებს უყიდიათ და ეს სახელი დაურქმევიათ.

**შიმშილა მიწები** – ბაღი (**ოქროპირიძე, 2012: 211, 311**).

**შიმშილეები** – ფართო ვაკე, ბაღი სოფლის დასავლეთით. ირგვლივ შემოსაზღვრულია ვარიანისა და არაშენდის ხილის ბაღებით. გამოფიტულ და ყველაზე მწირ ნიადაგად ითვლებოდა. ამიტომ ხალხს მშიერი მიწები, ანუ შიმშილები დაურქმევია. „უღონო მამული იყო, მოსავალი ცუდი მოდიოდა“. ნ. ოქროპირიძის მიერ სოფ. შინდისში ჩაწერილ ტოპონიმ „შიმშილა მიწებს“ ახლავს ხალხური განმარტება: „ძალიან მოუსავლიანი ადგილია, მარტო ამის იმედით რო იყო, შიმშილით მოკვდება კაცი“. სოფ. ძევერაში ჩაწერილია ტოპონიმი „შიმშილები“. ეს ტოპონიმი ქართლში უღონო, ღარიბი და მოუსავლიანი მიწის ნაკვეთის აღმნიშვნელია“ (**ოქროპირიძე, 2012: 211-212**).

**ჩალები/ჭაობები** – მინდორი, ჭაობიანი ვაკე. შემოსაზღვრულია ვარიანის, ახალდაბისა და არაშენდის სახნავ-სათესებით. უწინ ეს ადგილი დაფარული ყოფილა ჩალით. ხალხი მისგან ჭილობებს ქსოვდა,

რომლებსაც საფენებად იყენებდა. ტოპონიმები - **ჩალები** და **ჩალები** დამოწმებულია გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: დ. გარეჯვარი, ახალდაბა, ბერბუკი, არაშენდა, ფლავი...

**ჭაობები** - იხ. **ჩალები**. ჩალა, ლელი ამოდიოდა.

**ჩალიანი** - ყანა სოფლის სახმრეთით. ნიადაგი ჭაობიანია. ჭაობების დაშრობის შემდეგ სიმიინდი დათესეს. შდრ.: ჩალიანი - სახნ.-სათ. მეჯვრისხევეში; ჩალიანის კლდე - კლდე კირბაღში; ჩალიანის ტყე - ტყე სვრაში; ჩალიანის ქედი - ქედი სვრაში; ჩალიანის წყარო - წყარო ატენში - მიხანანთ უბანში; ჩალიანხევი - სახნ.-სათ. ზ. ქსოვრისში.

**ჩინანთულები** - ბაღი, ფლობდა არჩილ კერესელიძე.

**ჩინანთ წისქვილი** - წისქვილი.

**წყაროსთავები** - მინდორი, ბაღი ლიახვის ნაპირას, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით. ძველი ნასოფლარია, რაც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. შემორჩენილია რამდენიმე სახლის ნანგრევი, რომელთა სამირკვლის ნაშთები რიყის ქვითაა ნაგები. უხვად არის გამოვლენილი გვიანდელი ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი წითლად გამომწვარი, უხეშეკიანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ქვევრები და სხვ. მოსახლეობის ამ ადგილებიდან აყრას უკავშირებენ ლეკიანობის პერიოდს, XVIII საუკუნეს. XIX ს-ის II ნახევარში ამ ადგილებში დასახლებულან რაჭიდან წამოსული კერესელიძეები, რომლებიც მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფ. ვარიანში გადასულან საცხოვრებლად (**ნუცუბიძე, სიკვა, 5, 1990: 66**).

**წყაროსთავი** - მამული სოფლის აღმოსავლეთით. ბაღებიცაა გაშენებული.

**ჭალები** - დაბლობი, სახნავ-სათესი სოფლის შესასვლელში. ლიახვი მარცხენა მხრიდან ყოფს სოფ. კარალეთისაგან; მარჯვნივ შემოსაზღვრულია ვარიანის ხილის ბაღებით, სამხრეთით ესაზღვრება ახალდაბის მთა, დასავლეთით - ფოტორო მიწები. ერთ დროს ამ ადგილზე ლიახვი მოედინებოდა, შემდეგ მდინარე დამშრალა და მის ადგილას ხეები დაზრდილა.

**ჭაობები** - იხ. **ჩალები**.

**ჭაჭიანთუელი** - მიწის ნაკვეთი.

**ხვედაბუნები** - ბაღ-ვენახები.

**ხვედაბუნი** - ბაღები ლიახვის მარჯვენა მხარეს. ვაკე ადგილია. გადმოცემით, ხვედაბუნი კარალეთის ერისთავის მამული იყო, რომელსაც ვარიანელი გლეხები უვლიდნენ და მოსავალს ურმით უზიდავდნენ ბატონს. შდრ.: ხვედაბუნი - სახნ.-სათ. სვრაში.

**ხვედიათ ვენახები** - ბაღ-ვენახი. ფლობდნენ ხვედელიძეები.

**ხრიალე(ე)ბი** - მდინარის ტოტი სოფლის აღმოსავლეთით. ხშირად დამშრალია. წყალი რომ მოვარდება, ისეთი ხმაურით მოდის, რომ სულ ხრიალი გაუდის, ამიტომაც ვეძახით ხრიალებს, - აღნიშნავს მთხრობელი. „წისქვილის წყალი ჩამოჩხრიალებს“; „დამე ლიახვის ხმა ისმოდა“. ნ. ოქროპირიძის ცნობით, ხრიალები მინდვრის სახელწოდებაა: „მაღლობი ადგილია. ბუნებრივი წყალი გადმოდის და თავქვე [მიედინება] ხრიალითა და დიდი ხმაურით“ (**ოქროპირიძე, 2012: 252, 311**).

**ჯაბაროები/ჯაბარუები** - სახნავ-სათესი სოფლის სამხრეთით. ვაკე ადგილია. ტოპონიმის მნიშვნელობა მოსახლეობისათვის უცნობია.

**ჯაბარუები** - იხ. **ჯაბაროები**.

**ჯირკველანთ წისქვილი** - წისქვილი.

**ჯირკველანთ ნაწისქვილარი** - ნაწისქვილარი.

**ჯოხანთ მიწები** - ბაღები სოფლის სამხრეთით. ადრე სახნავ-სათესი ყოფილა. მიწები ჯოხაძეებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ს. ერგნეთში გადასახლებულან, რადგან ბატონის - აბესალომ მაჩაბლის მორჩილება არ სურდათ.

## ლიტერატურა:

**ბერძენიშვილი, სიკვა, 5, 1990** - ც. ბერძენიშვილი, [ვარიანის] იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი. წგნ.: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები)“. ტ. 5. თბ., 1990.

**დაყოფა, 1925** - საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფ., 1925.

**დაყოფა, 1930** - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ტფ., 1930.

**დაყოფა, 1949** - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1949.

**დაყოფა, 1961** - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის. თბ., 1961.

**დვალი, ნუცუბიძე, სიკმა, 5, 1990** - თ. დვალი, ა. ნუცუბიძე, [ვარიანის] კოშკი და ნასოფლარი. წგნ.: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები)“. ტ. 5. თბ., 1990.

**დვალი, სიკმა, 5, 1990** - თ. დვალი, [ვარიანის] ნასოფლარი. წგნ.: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები)“. ტ. 5. თბ., 1990.

**დვალი, სიკმა, 5, 1990** - თ. დვალი, [ვარიანის] ღვთისმშობლის ეკლესია და ნასოფლარი. წგნ.: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები)“. ტ. 5. თბ., 1990.

**დვალი, სიკმა, 5, 1990** - თ. დვალი, [ვარიანის] ღვთისმშობლის ეკლესია. წგნ.: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები)“. ტ. 5. თბ., 1990.

**კახაძე, სიკმა, 5, 1990** - კ. კახაძე, ვარიანი. წგნ.: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები)“. ტ. 5. თბ., 1990.

**მელიქიძე, საქ. ტოპ., II, 1999** - ს. მელიქიძე, ქართლის ჰიდრონიმია. წგნ.: „საქართველოს ტოპონიმია (მასალები). ტ. II. ტომის რედაქტორები: უ. სახლთხუციშვილი, პ. ცხადაია. თბ., 1999.

**მსიგტ, I, 1964** - მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. I წიგნი (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით). გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ. თბ., 1964.

**ნუცუბიძე, სიკმა, 5, 1990** - ა. ნუცუბიძე, ნასოფლარი. წგნ.: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები)“. ტ. 5. თბ., 1990.

**ნუცუბიძე, სიკმა, 5, 1990** - ა. ნუცუბიძე, [ვარიანის] კოშკი და ნასოფლარი. წგნ.: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები)“. ტ. 5. თბ., 1990.

**ოქროპირიძე, 2012** - ნ. ოქროპირიძე, გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი. რედაქტორი თ. უთურგაძე. გორი, 2012.

**ქეგელ, I, VIII** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

**ქსე, IV, 1979** – ვარიანი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. IV, თბ., 1979.

**Igor Kekelia, Kakhaber Kebuladze**  
*Akaki Tsereteli State University*  
**TOPONYMY OF VARIANI**  
**RESUME**

Variani is a historic village in Shida Kartli. It is located in the valley on the river Liakhvi. The village is first mentioned in the written sources in 1656. Variani is the place where a famous Georgian writer, teacher and public figure Iakob Gogebashvili was born. Toponyms -names of geographic places carry important information in terms of studying history and ethnography of a village. Names of orchards, springs, vineyards and arable land, pasture, groves, settled areas, a protective towers, the lake, mills, canals, cemeteries and other names are considered to be toponyms. Each toponymy (where it was possible) is accompanied by folk and scientific etymologies and exact location. Geographic names of villages are sorted alphabetically. The list of toponyms is preceded by short historical and historical-geographical review of the village.

## -ვა დაბოლოებიანი გვარსახელები შუა საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლებში

ქართველურ გვარსახელთა სტრუქტურული ანალიზისა და ისტორიის რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანია შუა საუკუნეებში შედგენილი საეკლესიო-ისტორიული დოკუმენტების შესწავლა. ის თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია ქართველური, კერძოდ, მეგრული გვარსახელების წარმოებისას, კარგად არის წარმოჩენილი კონკრეტული მაგალითების მიხედვით იმ დოკუმენტებში, რომლებიც მოიცავს ისტორიული ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიას. ამ ეტაპზე წარმოვადგენთ X-XIX საუკუნეებში შედგენილ საეკლესიო-ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებულ რამდენიმე -ვა დაბოლოებიან ქართველურ გვარსახელთა ანალიზს.

-ვა დაბოლოების წარმოშობასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ნ. მარი და ი. ყიფშიძე თვლიდნენ, რომ -ვა დაბოლოება მომდინარეობს აფხაზური იფა „მისი ძე“ სუფიქსიდან. კერძოდ, ი. ყიფშიძე ნ. მარზე მითითებით აღნიშნავს, რომ მეგრული გვარის დაბოლოება -ვა იმავე ძირისაა, რაც აფხაზური აფა „ძე“. ეს -ვა გამარტივებულია თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვით. მაშასადამე, -ვა > -ა: პაპავა > პაპაა (ყიფშიძე, 1994 : 437). -ვა სუფიქსის წარმომავლობის საკითხი განიხილა ს. ჯანაშიამაც, რომელიც იმთავითვე უარყოფდა ნ. მარის მოსაზრებას, რომ -ვა მეგრულ ნიადაგზე სახეცვლილი აფხაზურიდან შენათვისები ბა // ფა („ძე“) ელემენტებია. ს. ჯანაშიას მიხედვით, „ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ ანგარიში არ ეწევა მოცემული ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას: აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარისსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში კი - ორივე სქესისას. დაბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული - როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი ასეთი წამლეკავი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე“ (ჯანაშია, 1959: 40).

ს. ჯანაშიას ვარაუდით, -ვა უნდა იყოს შეკვეცილი -ვან, რასაც ასაბუთებს შესაბამისი მაგალითებით: სვან. ფაღაფან > მეგრ. ფაღაფა, სვან. გაღაღაფან > მეგრ. გაღაღაფა... მისივე თქმით, -ნ ჩვეულებრივად იკარგება მეგრული ზმნის ფორმებში: რე < რენ (ჯანაშია, 1959: 41). ეს ვან ვარიანტია საერთოქართველური -ან სუფიქსისა, რომლის ძირითადი და თავდაპირველი დანიშნულებაა კრებითობისა და წარმომავლობის გამოხატვა. ცოცხალ მეტყველებაში მეგრული გვარსახელებისათვის -ვა დაბოლოების მოკვეცა გვიანდელი მოვლენაა და „საფიქრებელია, აფხაზურშიაც იქნეს თავს გვარისსახელთა კრებითობის ფორმის აფიქსში -აა (თუ: □), მაგ., კოზმაა (კოზმავები), ჟენიაა (ჟენიები), მარშანაა (მარშანიები) და სხვ.“ (ჯანაშია, 1959: 40).

თ. გვანცელაძისთვისაც მიუღებელია ნ. მარისა და ი. ყიფშიძის ვარაუდი -ვა დაბოლოებასთან დაკავშირებით. მისი შეხედულებით, „ქართულში -[ვ]ა სუფიქსი არ მომდინარეობს აფხაზურიდან, ვინაიდან ამგვარი ვარიანტი ამ ენაში საერთოდ არ დასტურდება, თანაც ის გვარსახელები, რომლებიც იმერულ, მეგრულ, გურულ, აჭარულ, ლეჩხუმურ, რაჭულ დიალექტებსა და სამწიგნობრო ენაში შეიცავენ ვ თანხმოვანს, ეტიმოლოგიურად არ იხსნება აფხაზურ ნიადაგზე - ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ამ გვარებში სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ ვ თანხმოვნის მომდევნო ა ხმოვანი, რომელსაც წინამავალი ფუძისეული ა ხმოვნისაგან გასამიჯნად მიემატა ბგერათგამყარი ვ ბგერა. ეს წესი, როგორც ჩანს, გავრცელდა უფრო სამეგრელოს აღმოსავლეთითა და სამხრეთით (იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ლეჩხუმსა და რაჭაში), თვით სამეგრელოში კი უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო წმინდა ფუძით, „უსუფიქსოდ“ წარმოდგენილი გვარები: ბიგვა, გერზმა, დუმა, კორტა (შდრ. ამჟამინდელი გვარსახელი კორტი სამეგრელოშივე და იმერეთში), კობრა, კუპრა, ლაგვილა, სიჭინა, სირგინა, ჭითანა...“ (გვანცელაძე, 2011: 142).

-ვა დაბოლოებასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებანიც. პ. ცხადაია წარმოადგენს გ. როგავას მსჯელობას -ვა სუფიქსთან დაკავშირებით, რომელიც იზიარებს ს. ჯანაშიას შეხედულებას (-ვან > -ვა) და აზუსტებს ზოგ დებულებას: ისტორიულად ზოგი სუფიქსის წინ დასტურდება -ავ, -ევ, -ივ, -ოვ, -უვ. მათზე -ან სუფიქსის დართვის შემდგომ გამარტივდა ეს რთული დაბოლოება და მივიღეთ: -ევ-ან > ეან > იან > ია, -ივან > ივა > ია (ჩხეტ-ივ-ან > ჩხეტანი > ჩხეტია) და ა.შ. დასავლეთ საქართველოში პარალელურად ყოფილა გავრცელებული რთული სუფიქსები -ივ-ან და -ავ-ან. გვარსახელების -ავა სამწერლობო ენამ შემოინახა, მაგრამ მეტყველებაში გამარტივდა: ხმოვნებს შორის ვ

დაიკარგა: **ჭით-ავ-ან** > **ჭითავა** > **ჭითაა** > **ჭითა** (ცხადაია, 2000: 20). ჯ. ონიანი თვლის, რომ მეგრული გვარსახელების **-ავა** დაბოლოებაში სუფიქსია მხოლოდ **-ა**, რომელიც, როგორც ამას ს. ჯანაშია ვარაუდობდა, **-ან** სუფიქსის ნაშთია. გვარის მაწარმოებელი სუფიქსი აქ მხოლოდ **-ა** არის. **სოტკილავა**, **ბჟალავა** მეგრულად არის **სოტკილა**, **ბჟალაა** (ონიანი, 1955: 85).

საკვლევ მხარეში, გვარსახელთა მაწარმოებლად, სიხშირის გათვალისწინებით, **-ია** დაბოლოებას მოსდევს **-ვა** სუფიქსი. პ. ცხადაიას გამოკვლევით, იგი მოიცავს ძირითადად სამეგრელოს, სადაც 310-მდე გვარს უჩანს **-ვა** დაბოლოება. ეს დაბოლოება ასევე გავრცელებულია იმერეთში, გურიაში, რაჭაში, ლეჩხუმში (ცხადაია, 2000 : 20). განვიხილავთ შესაბამის მაგალითებს შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-ისტორიული საბუთებიდან, რომელიც მოიცავს ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიას.

გვარსახელი **ასმა-ვა** პირველად მოხსენიებულია 1616-1621 წწ. შედგენილ საბუთში (პალ, I, 190). ფორმა დასტურდება ზეპირმეტყველებაშიც. გვარს სავარაუდოდ საფუძვლად უდევს პირსახელი **ასმან**, რომლიც ალ. ღლონტის მიხედვით დაფიქსირებულია ჩხოროწყუმში (ღლონტი, 1967 : 49).

გვარსახელი **აფხაზა-ვა** იხსენიება 1616-1621 წლების საბუთში. (პალ, I, 192-193). გვარსახელს საფუძვლად უდევს მეგრული **აფხაზა** ვარიანტი, რომელიც ადრე ქართველთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის აღმნიშვნელი იყო, ხოლო XVI საუკუნიდან დაეკისრა აფსუათა აღნიშვნის ფუნქცია. რაკი ძველ საქართველოში ამგვარი თემონიმები და ეთნონიმები არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა პირსახელებადაც, ვვარაუდობთ, რომ ზემოთ დასახელებულ საბუთში ნახსენები გვარი **აფხაზავა-ც** პირსახელ **აფხაზა**-საგან მომდინარეობს. საყურადღებოა, რომ ამ გვარის წარმომადგენელთა ნაწილი გააფხაზებულა (გააფსუებულა): დღეს აფხაზთა შორის არიან ადამიანები, ვინც გვარად ატარებს **აფხაზაა** ვარიანტსაც და მისგან მომდინარე **(ა)ფჰაზოუ** ფორმასაც. თ. გვანცელაძე ყურადღებას აპყრობს პ. ცხადაიას მიერ შენიშნულ იმ ფაქტს, რომ ქართულ საბუთებში დასტურდება **გოგილა // გოგილავა, ფათხა // ფათხაა // ფათხავა** და სხვა ფორმები (ცხადაია, 2000: 21-22) და წერს: „...აფხაზებმა, როგორც ჩანს, ქართულ გვარებში წარმოდგენილი ორი ა ხმოვანი გააიგივეს აფხაზურ კრებითობის მაწარმოებელ **-აა** სუფიქსთან და ასე გაითავისეს ისინი. ამ ვარაუდის მხარდამჭერი გვგონია ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართულ გვარსახელებში არ დასტურდება **-ვა // -აა** სუფიქსი, მაგრამ აფხაზურ გამოთქმაში მაინც არის **-აა** სუფიქსი. ასეთებია: **არსთ-აა < ერისთავ-ი** და **ამბ-აა // ემბ-აა < ქართ. ემზარ-ი < ამილახვარ-ი...** რამდენიმე **-ვა** დაბოლოებიან ქართველურ გვარს აფხაზურში მოჰყვევია ბოლოკიდური ა ხმოვანი, ხოლო **ვ** თანხმოვანი კანონზომიერად ქცეულა **ჟ** თანხმოვნად: **(ა)ფჰაზოუ < აფხაზავა, ებჟნოუ < აბჟნოუ < ბჟინავა, ვაჰაროუ** (ეს ფორმა დასტურდება XIX საუკუნის საბუთებში) **< ვაჰარავა, მამაცოუ < მამაცავა, შეყრილოუ** (დასტურდება XIX საუკუნის საბუთებში...) **< შეყრილავა**” (გვანცელაძე, 2011: 143). ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ გვარსახელი **აფხაზავა** ამ გვარის მტარებელთა აფსუიზაციის შემდგომ საფუძვლად დასდებია **აფხაზ-აა** და **(ა)ფჰაზოუ** ვარიანტებს.

გ. გვანცელაძემ XI-XVIII საუკუნეებში შედგენილი იურიდიული დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე გამოავლინა ის მეორული პირსახელები, რომლებიც წარმოქმნილია კანონიკურ ქრისტიანულ სახელთა ფუძეებისაგან და საყრდენ ფუძეთა სახითაა გამოყენებული ქართულ გვარსახელებში (გვანცელაძე, 2015: 12-13). მკვლევარი ასახელებს ჩვენთვის საინტერესო კანონიკურ **კოზმან** პირსახელს (იქვე, 13), რომელიც საფუძვლად დასდებია სამეგრელოში გავრცელებულ გვარსახელს **კოზმავას**, რომლის **კოზმა** ვარიანტი დასტურდება 1628 წელს შედგენილ დოკუმენტში (პალ, II, 522). სწორედ ამ **კოზმა** პირსახელისაგან მომდინარედ მიიჩნევენ ნ. ჯომიდავა გვარსახელ **კოზმავა-ს**, ადგილობრივი გამოთქმით **-კოზმაა-ს** (ჯომიდავა, 2000: 195). **კოზმავა** და ზეპირმეტყველებაში **-კოზმა** გვარსახელი გვხვდება დღევანდელ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა შორისაც. გარდა ამისა, სოფ. ოქუმში დასტურდება უბანი **საკოზმო**, რომელიც ამ გვარის განსახლების აღმნიშვნელია. იგივე გვარი **კაზმაა // კოზმაა** ვარიანტების სახით დასტურდება აფხაზთა შორისაც, თუმცა სრულიად უდავოა, რომ ორივე ვარიანტი ქართულის ტრანსფორმირების შედეგია და არა პირუკუ.

გვარსახელ **მირცხულა-ვას** აქვს ვარიანტები: **მირცხულა, მერცხულავა**, ხოლო **მორცხულა** აღდგება სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში შემორჩენილი **ლე-მორცხულ-ე** ტოპონიმის მიხედვით (ცხადაია, 2000: 111, 113). პ. ცხადაია წერს: „გვარი დასახელებულია 1706 წელს შედგენილ შეწირულების წიგნში, სადაც ნათქვამია, რომ კათალიკოს გრიგოლ ღორთქიფანიძეს უყიდია და ხატისათვის შეუწირავს ქოჩუა **მირცხულავა** (ქსძ, III, 647). იგი ამავე საბუთში მეორედ მოხსენიებულია როგორც ქოჩუა **მირსხულავა** (იქვე, 648). ამავე პერიოდის სხვა საბუთში დასახელებულია ბოჯოჯია **მისხულავა** (იქვე, 676), ხოლო XVIII ს. პირველი ნახევრის კიდეც ერთ საეკლესიო საბუთში - ხორგას მცხოვრები პაჭკუტია **მისხულავა** (ქსძ, III, 770). ივ. ჯავახიშვილმა გვარი დაუკავშირა მეგრულ სიტყვა **მურიცხს** („ვარსკვლავი“) და მირცხულავა გაიაზრა როგორც ვარსკვლავს შვილი“ (ცხადაია, 2000: 113. ხაზგასმა ჩვენია - ს.კ.). რეალური ჩანს, საყრდენ პირსახელად აღვადგინოთ ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში დადასტურებული **მისხულავა**

ფორმის შემადგენელი **მისხულა** ვარიანტი, რომელშიც, შესაძლებელია, შედის ფუძე ძველქართული სიტყვისა **მისხ-ი** "ნათესავი; თაობა, მოდგმა" (<http://www.ena.ge/explanatory-online>) და კნინობითობის რთული სუფიქსი **-ულ-ა**. მომდევნო ეტაპზე მივიღებდით **მირსხულა** ფორმას, რომელიც აგრეთვე რეალურადაა დოკუმენტირებული გვარსახელ **მირსხულავა**-ში, მესამე საფეხურზე იოლად მივიღებდით **მირცხულა** ვარიანტს, შდრ. **მისხალი** > მეგრ. **მირცხალი** (ქაჯაია, II, 2002: 283). ქრონოლოგიურად ყველაზე ბოლო ფორმებად **მერცხულა** და **მორცხულა** ვარიანტები ჩანს, რომლებიც აღდგება გვარსახელ **მერცხულავა**-სა და ტოპონიმ **ლემორცხულე**-ს საფუძველზე. მაშასადამე, გვარსახელთა ისტორია ასე წარმოდგინება: პირსახელი **მისხულა** > გვარსახელი **მისხულავა** > **მირსხულავა** > **მერცხულავა** // **\*მორცხულავა**. აღსანიშნავია, რომ იგივე გვარსახელი გავრცელებულია აზერულ აფხაზთა შორისაც (ოჩამჩირის რაიონი) **მერცხულა** ვარიანტის სახით, რომელიც, როგორც ითქვა, გვარსახელის გვიანდელი ფონეტიკური ფორმაცაა და არც ეტიმოლოგიზდება აფხაზური ენის საფუძველზე.

**სიჭინავა** პირველად დასტურდება 1621 წ. შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავლობის მოსაკრებელ დავთარში“ (ქსმ, III, 413-414), უფრო მოგვიანებით კი, 1642 წ. შედგენილ დოკუმენტში ვლინდება **სიჭინავას** ამოსავალი, უსუფიქსო ვარიანტი **სიჭინა** (პალ, IV, 176); ასევე 1689 - 1714 წწ. შედგენილ საბუთებში იხსენიება ზემო ხობს მცხოვრები ხოსია **სიჭინა** (პალ, IV, 177). ნ. ჯომიდავა ადასტურებს ამ გვარსახელისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებს: **ლესიჭინესა** და **მეორე ლესიჭინეს** (ჩხოროწყეს რ.). მისი აზრით, **სიჭინა** გვარში გამოიყოფა მეგრ. **სი** „შენ“ და **ჭინ** „ჭანი“, ხოლო გვარსახელი ნიშნავს **ჭანის შვილს** (ჯომიდავა, 2000: 299). ეს ვარაუდი ვერ უძლებს კრიტიკას, ვინაიდან ნაცვალსახელის ამგვარად გამოყენება გვარსახელის საყრდენ ფუძედ არაა დამახასიათებელი ქართველურ ენობრივ სივრცეში. გვარსახელის დამაჯერებელი ეტიმოლოგია დღემდე არ არის დადგენილი, თუმცა, ვფიქრობთ, უყოყმანოა ერთი ფაქტი: გვარსახელს საფუძველად უდევს **სიჭინა** ფუძე, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებელი საგვარსახელო ფორმა იყო XVII საუკუნეშიც და ასეთად რჩება დღესაც ადგილობრივ გამოთქმაში.

ისტორიულ საბუთებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პირსახელი თუ გვარსახელი წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტით. გვარსახელი **ფათხავა**, პირველად იხსენიება „საცაიშლო გამოსავალ მოსაკრებლობის დავთარში“. კერძოდ, ამ დოკუმენტის მიხედვით, ჯგალში გვარსახელი დასტურდება სამი ვარიანტით: **ფათხავა** // **ფართხავა** // **ფათხაა** (ქსმ, III, 471). ფართხავაში **რ** ჩართულია. საკუთარი სახელები **ფართხო**, **ფართხუ** და **ფართხუია** რეალურად აქვს დადასტურებული სწორედ სამეგრელოში ალ. ღლონტს (ღლონტი, 1967: 130). ნ. ჯომიდავას აზრით, გვარსახელს საფუძველად უდევს საკუთარი სახელი **ფართხა** (შდრ. ფართხი, ფართხალი) (ჯომიდავა, 2000: 317). მეგრულში დღესაც აქტიურად გამოიყენება მეტსახელი **ფართხა** // **ფართხალა**. ფართხალას უწოდებენ ადამიანს (ქალს) უკობტაოს - უშნოდ გრძელ, ან ფართო, განიერ კაბაში (ქვედა ბოლოში). ასეთ ადამიანზე მეგრულად იტყვიან: **მიფართხალ** „მოფართხუნოს“. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ წარმოდგენილია როგორც **ფათხა**, ასევე **ფართხა** ფუძით ნაწარმოები სახელები: **ფათხა** ბადის საქსოვი ჩხირი; ბატის ფრთა (ქობალია, 2010: 621) და **ფართხალა** ფართხალა, ფეთხუმი; ფართხუნა. **ფართხალი** ფართხალი, ფართხუნი (იქვე, 622). ვფიქრობთ, საანალიზო გვარსახელის საყრდენი ფუძე **ფათხა** > **ფართხა** თავდაპირველადაც ფართხუნა სამოსში გამოწყობილ პირთა მეტსახელი იყო: იმ დროს გრძელი სამოსი (კაბა, ჩოხა, ახალუხი) მამაკაცებსაც ეცვათ.

**ქუცურავა** დასტურდება 1616-1621 წლის დოკუმენტში (ქსმ, III, 480). გვარსახელში უდავოდ გამოიყოფა **ქუცურა** ფუძე. ამავე ფუძის შემცველ გვარად მიაჩნია პ. ცხადაიას მის მიერ ჩხოროწყეში გამოვლენილი გვარსახელი **ქუცურუა**. მკვლევარი იქვე დასძენს, რომ **ქუცურუა** ცოცხალი სიტყვაა მეგრულში და მისი მნიშვნელობაა: „პატარა ტანისა და გამხდარი, გასაცოდავებული“ (ცხადაია, 2000: 142). ა. ქობალიას მიხედვით მეგრული **ქუცურია** ნიშნავს „პატარა, ქუცუნია ბალღს“ (ქობალია, 2010: 640). ვფიქრობთ, ამ სიტყვათა მატერიალურ-სემანტიკური ურთიერთკავშირი ცხადია.

გვარსახელი **შარინავა** დასტურდება 1621 წ. შედგენილ დოკუმენტში თილთის (ამჟამად ოჩამჩირის რაიონის სოფ. აბაჟუხაუ) მაცხოვრებლად (ქსმ, III, 430). პ. ცხადაიას ცალკე არა აქვს გამოკვლეული გვარსახელი **შარინავა**, მაგრამ იგი მას ახსენებს **შარია**-ს განხილვისას და წერს: „სვანური და მეგრული პირსახელები **შარუ**, **შარმათ**, **შარვან...** გვევარაუდებინებს **შარი** ვარიანტსაც, რაც ჩანს გვარში **შარინავა**“ (ცხადაია, 2000: 146). ნ. ჯომიდავას მიხედვით, გვარსახელი მომდინარეობს **შარინა** მეტსახელისაგან. **შარ-ი** მეგრულშიც იმავე მნიშვნელობისაა, რაც სალიტერატურო ქართულში, **შარი** - **შარიანი**, შარის მომდებო, აცხადებს ავტორი (ჯომიდავა, 2000: 369). ჩვენი აზრით, გამოსარიცხი არ არის **შარინავა**-ს კავშირი გვარსახელ **შარია**-სთან: **შარ-** ძირს ერთ შემთხვევაში ერთვის **-ია** სუფიქსი, მეორეში კი კნინობითისავე **-ინ-ა** სუფიქსი, მაგრამ ასე დარწმუნებით ძნელია **შარინა** ფუძის სემანტიკის დადგენა.

**მიგურავა** დოკუმენტირებულია 1616-1621 წწ. იგი დასტურდება „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ (პალ, V, 297). გვარსახელში გამოიყოფა **მიგურ-** საყრდენი ფუძე, რომლის

ამოსავალი სემანტიკა ცხადი არ არის. დასაშვებია საანალიზო გვარსახელის მატერიალური კავშირი გვარსახელ **მიგუა**-სთან, რომელშიც, პ. ცხადაიას აზრით, აღდგება **მიგ-** ზმნური ძირი. **მიგუ-** (**მიგვ-**) ზმნური ფუძე სამეგრელოში დაკავშირებულია ულაზათობის სემანტიკასთან: **მიგვინანს** - გამხდარია და უშნოდ გამოიყურება. სამეგრელოშივე ფიქსირდება კიდევ პირსახელები: **მიგვალი**, **მიგული** (დლონტი, 1986: 232), რაც აღგვადგენინებს **მიგუ**-საც (ცხადაია, 2000: 158).

**წუწუნა-ვა** ერთ-ერთი უძველეს ქართულ გვართაგანია - საკვლევი დოკუმენტების მიხედვით პირველად იხსენიება 1470-1474 წლებს შორის. **წუწუნავა** ოთარაი - შამადავლა დადიან-გურიელის მიერ იოვაკიმ კათალიკოსისათვის გაჩენილ სარგოს წიგნში მოხსენიებულია ნაწყალობევ ყმათა შორის (პალ, V, 325). გვარსახელი სავარაუდოდ მომდინარეობს შერქმეული **წუწუნა** სახელისაგან - წუწუნა „პიროვნება, რომელიც მუდამ წუწუნებს“.

ვინმე **ხოჭოლა-ვა** ხვიჩია იხსენიება 1689-1714 წლებს შორის შედგენილ საბუთში (პალ, V, 405). პ. ცხადაიას ცნობით, გვარსახელი **ხოჭოლა** ისტორიულ საბუთებში სამ ვარიანტად არის წარმოდგენილი: **ხოჭოლა**, **ხოჭალა**, **ხუჭულა**. მკვლევარი წერს: 1706 წლის შეწირულების სიგელში დასახელებულია ხორგას მცხოვრები სოფიჯუმა **ხოჭოლა** (ქსმ, III, 646). ამავე სოფელში ამაზე ცოტა ადრე ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავთ ბაბაკოჩი **ხოჭალა** და ხვიჩა **ხოჭალა** (იქვე, 612). XVIII ს. დამდეგის სხვა საბუთში კი გვხვდება გვარი **ხუჭულა** (იქვე, 676). ისტორიულად **ხოჭოლა**ები ჩიჩუების აზნაურები ყოფილან. **ხოჭა** პირსახელადაა დადასტურებული (ქსს, 1986). **ხოჭო**, **ხოჭოლა** მეგრულში შავტუხა და გამხდარი ბავშვის მოსაფერებელი სიტყვაა და მეტსახელებადაც გვხვდება (ცხადაია, 2000: 169. ხაზგასმა ჩვენია - ს.კ.). ვეთანხმებით რა მკვლევრის მოსაზრების ძირითად ნაწილს, მიგვაჩნია, რომ უფრო მართებულია **ხუჭულა** ვარიანტის დაკავშირება არა **ხოჭოლა-ხოჭალა** ფორმებთან, არამედ გვარსახელ **ხუჭუა**-სთან: ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ **ხუჭუ-ლ-ა** ფუძე **ხუჭუ** პირსახელის კნინობით-ალერსობითი ვარიანტია. აქვე აღვნიშნავთ, რომ აფხაზოლოგი თ. გვანცელაძე აფხაზურ სოფელ კინდლში ადასტურებს **ხოჭა** პირსახელის ფუძეზე დამყარებული **ხოჭაა** (= **ხოჭავა**) გვარსახელის მონაწილეობით შექმნილ აფხაზურ მიკროტოპონიმს **ხოჭაა იწვა** „ხოჭავას ვაში“. მისი დასკვნით, ეს და სხვა მიკროტოპონიმებიც, რომლებიც გვხვდება კინდლში, ადასტურებს ამ აფხაზურ სოფელში ქართველთა თავდაპირველ სახლობას (გვანცელაძე, 2008: 60; გვანცელაძე, 2011: 178).

XVII ს. დოკუმენტში დასტურდება წყალიძგას მცხოვრები **ხვარავა** (ქსმ, III, 767). **ხვარავა ხორავას** ადრეული ვარიანტია. დღეს **ხორავა** სამეგრელო-აფხაზეთში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია - ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ დღევანდელ აფხაზეთშიც: გალში და სოფ. საბერიოში). **ხვარავა**-სათვის ამოსავალი უნდა იყოს პირსახელი **ხვარა**, როგორც ამას მიიჩნევს ნ. ჯომიდავა, შდრ. მეგრ. **ხვარა** „დაბადებით უწვერულვამო“ (იხ, ჯომიდავა, 2000: 452). ა. ქობალიას მიხედვით, **ხვარა** მეგრულში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: დახმარება, საშველი; ქაალი; ფუჭი; უქნარა; ფშუტე; ხმელი მუნი (ქობალია, 2010: 725). გასაზიარებელია პ. ცხადაიას მოსაზრება, რომელიც მეგრულში გვიდასტურებს მელოტის აღმნიშვნელი **ხვარა** // > **ხორა** „მელოტ“ ვარიანტების არსებობას და სამართლიანად აღნიშნავს, რომ ისინი მეტსახელადაც შეიძლება ქცეულიყვნენ (ცხადაია, 2000: 169). ამრიგად, **ხვარავა** // **ხორავა** გვარსახელის ისტორია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: **ხვარა-ვა** > **ხორა-ვა** ძირისეული ვა მარცვლის **ო** ხმოვნად გარდაქმნის გზით.

შუა საუკუნეების საბუთებში დასტურდება აგრეთვე თანამედროვე -ვა დაბოლოების მქონე გვართა -აა სუფიქსიანი და **ნულოვანი** აფიქსაციის მქონე ვარიანტებიც:

1621 წელს შედგენილ საბუთში სოფ. ხაუჭელში, რომელიც მდებარეობდა ახლანდელ ოჩამჩირის რაიონის ხოჯალის მთის ახლოს, იხსენიება გვარსახელი **კუკაა** (1621 წ.): **კუკაას** და ივანა **კუკას** ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ზეგარა (ქსმ, III, 431-432). ეს ცნობა იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ ერთსა და იმავე სოფელში, ერთსა და იმავე საბუთში დადასტურებულია ერთი და იმავე გვარსახელის ორი ვარიანტი: -აა სუფიქსიანი (**კუკა-აა**) და ნულოვან სუფიქსიანი (**კუკა**). ამჟამად ეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი გვარი ოფიციალურად იწერება როგორც **კუკავა**, მეგრულ ზეპირ მეტყველებაში კი იხმარება ისტორიული **კუკა** და **კუკაა** ვარიანტები. გვარსახელის საყრდენი ფუძეა პირსახელი **კუკა**, რომელიც დღესაც რეალურად დასტურდება დასავლეთ საქართველოში და შეტანილია აღ. დლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ (დლონტი, 1967: 96; ცხადაია, 2000: 101). ამრიგად, გვარსახელის ისტორია ასეთია: **კუკა** (პირსახელი) > **კუკა** (გვარსახელი) > \***კუკა-აა** > **კუკ-აა** > **კუკა-ვა**.

**ტურაა** გატანჯია იხსენიება 1616-1621 წწ. საბუთში ცაიშს მაცხოვრებლად (პალ, IV, 251). გვარსახელის ამჟამინდელი ოფიციალური ფორმაა: **ტურავა**, ადგილობრივი გამოთქმით - **ტურა**. **ტურავა** დასტურდება სამეგრელოში და დღევანდელ აფხაზეთშიც. ვფიქრობთ, გვარსახელს საფუძვლად უნდა ედოს შერქმეული **ტურა** სახელი. როგორც გ. გვანცელაძე აღნიშნავს, სახელრქმევისას ემოციური შემფასებლობა აუცილებელი ნიშანია. იგი უფრო ხელშესახებად შეიგრძნობა მეტსახელებისა და პირსახელთა კნინობით-ალერსობითი ფორმების გამოყენებისას. ამის მაგალითად მკვლევარი ასახელებს

გარეკახეთში დადასტურებულ მეტსახელ **ტურა**-ს, რომელიც ერთ-ერთი პირისათვის შეურქმევიათ ემშაკობისა და მოქნილი ქცევის გამო (გვანცელაძე, 2009: 66). **ტურა**, როგორც მეტსახელი, სამეგრელოში დღეს ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ იგი ზუსტად იგივე, ემშაკის მნიშვნელობით გამოიყენება სამეგრელოში. ხშირად მიმართავენ მოხერხებულ, მოქნილ ადამიანს: **სი ტურა!** „შე ემშაკო!“. ნ. ჯომიდავა ადასტურებს სამეგრელოში **ტურა** სახელისაგან წარმომდგარ ტოპონიმებს: ოტურეხორში (სენაკ. რ.), ოტურე - ნაფიჩხავო (ჩხორ. რ.), ბარლები (გალ. რ.). აქედანაა **ტურაა**. შდრ. გვარები: ტურაშვილი, ტურიაშვილი (ჯომიდავა, 2000: 311). სვანეთის სულთა მატიაწეში დასტურდება **-იან** დაბოლოებიანი გვარი: **ტურიანი**, რომელიც სტრუქტურულად განსხვავდება **ტურა-ვა**-საგან. ორივესთვის საყრდენია **ტურ**-ძირი.

1616-1621 წლების „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ დასტურდება გვარსახელი **ჩიტინ-აა** (პალ, V, 211). უდავოა, რომ გვარსახელს საფუძვლად უდევს ფრინველის აღმნიშვნელი **ჩიტ**-ი სიტყვისაგან მომდინარე პირსახელი **ჩიტ-ინ-ა**, რომელიც შეიცავს კნინობით-ალერსობითის **-ინ-ა** სუფიქსს.

საანალიზო წყაროებში მეტად იშვიათად, მაგრამ მაინც დაგვიდასტურდა ისეთი გვარსახელები, რომლებიც წარმოდგენილია **წმინდა ფუძის სახით, მაგვარსახელებელი აფიქსების დართვის გარეშე, ნულოვანი აფიქსით**, ამჟამად კი იგივე გვარსახელები გაფორმებულია **-ვა** დაბოლოებით. ამითაა გამართლებული მათი განხილვა **-ვა** სუფიქსიან გვარსახელებთან ერთად.

გვარსახელი **სურმა** იხსენიება ნაგუაზაუს სასახლის მოსაკრებელ დავთარში (ქსმ, III, 1970: 412). ამჟამად **სურმა** საკუთარი სახელია (ღლონტი, 1967: 124) და გვარიც მისგან უნდა მომდინარეობდეს.

1621 წ. ჭალაში (ამჟ. სოფ. ჭლოუ) დასტურდება გვარსახელი **ქვაცხა** (ქსმ, III, 435). გასაზიარებელია პ. ცხადაიას ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, **ქვაცხა** უნდა იყოს იგივე **ქვარცხა-ვა** (ცხადაია, 2000: 139): იგულისხმება, რომ **ქვაცხა** ფუძეს ჩაერთო **რ** თანხმოვანი და გაფორმდა **-ვა** დაბოლოებით.

ამრიგად, მასალის ანალიზისას გამოვლინდა **-ვა-ს** გამოყენების სამი ვარიანტი: 1. **-ვა** უცვლელადაა შემონახული (ასმა-ვა, აფხაზა-ვა...); 2. **-აა** სუფიქსიანი (კუკ-აა, ჩიტინ-აა); 3. **ნულოვანი აფიქსით** (სურმა, ქვაცხა...). ვიზიარებთ რა პ. ცხადაიას თვალსაზრისს, დავასრულებთ მისივე სიტყვებით: „...კოლხურ გვარსახელთა **-ავა** დაბოლოებაში წინამავალი **-ა** ფუძისეულია, ხოლო ბოლოვიდური **-ა** საგვარსახელო სუფიქსი, ხოლო **ვ** თანხმოვანი გარკვეული ფუნქციის მქონე ჩანართია ინტერვოკალურ პოზიციაში. ორი სხვადასხვა დანიშნულების მორფემის შეერთებით მიღებული **-ვა** კომპლექსი თავის მხრივ, გვარსახელთა მაწარმოებელ რთულ სუფიქსად იქნა აღქმული“ (ცხადაია, 2000: 22).

## ლიტერატურა:

1. გაგულაშვილი, 1993 - ი. გაგულაშვილი. ქართული გვარები: ძირითადი ლექსიკური ფონდი. საკუთარი სახელები. თბ., 1993
2. გვანცელაძე, 2009 - გ. გვანცელაძე. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები. თბ., 2009
3. გვანცელაძე, 2015 - გ. გვანცელაძე. ქრისტიანულ კანონიკურ ანთროპონიმთაგან მომდინარე მეორეული პირთა სახელები ქართულ გვარსახელებში ისტორიულ იურიდიულ დოკუმენტთა მიხედვით. სსუ შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სერია, XIII, 2015
4. გვანცელაძე, 2011 - თ. გვანცელაძე. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბ., 2011
5. ონიანი, 1955 - ჯ. ონიანი. სვანური ენის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის. მაცნე, ენისა ლიტერატურის სერია, 2. თბ., 1979
6. პალ, I - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991
7. პალ, II - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993
8. პალ, IV - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, თბ., 2007
9. პალ, V - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V, თბ., 2015
10. როგავა, 1955 - გ. როგავა. ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის. აღ. წულუკიძის სახელობის ქსპი შრომები, XIII, ქუთაისი, 1955
11. ქსმ, III - ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1970
12. ქაჯაია, II - ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2002
13. ქობალია, 2010 - ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010
14. ღლონტი, 1967 - ალ. ღლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1967
15. ყიფშიძე, 1994 - ი. ყიფშიძე. რჩეული თხზულებანი. თბ., 1994
16. ცხადაია, 2000 - პ. ცხადაია. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბ., 2000



17. ჯანაშია, 1959 - ს. ჯანაშია. შრომები, ტ. III, თბ., 1959
18. ჯომიდავა, 2000 - ნ. ჯომიდავა. მეგრული გვარსახელები, თბ., 2000
19. <http://www.ena.ge/explanatory-online>

### *Sopio Kekua*

*St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*

## **NAMES ENDING WITH - ვა /VA/ IN THE MEDIEVAL GEORGIAN LEGAL DOCUMENTS RESUME**

The article represents a few Georgian names ending with -ვა /va/ found in the documents spread in the territory of Odishi-Abkhazia during X-XIX centuries. Besides, it covers suggestions concerning the origin of the suffix -ვა /va/.

The material analysis revealed three versions of -ვა/va/: 1. -ვა/va/ is maintained without any changes (Asma-va, Apkhaza-va...); 2. With -აა /aa/ suffix (Kuk-aa, Chitin-aa); 3. With zero affixation (Surma, Kvatskha...). We hereby share the opinion of P. Tskhadaia stating the following: "it is evident that in the names of Colchis origin with -ავა /ava/ ending the first letter -ა /a/ is a part of the stem, the final ა /a/ is the suffix of the name, while ვ /v/ is an insertion in the intervocalic position with a certain function. -ვა /va/ complex compiled from two morphemes with different functions is considered to be a complex suffix forming names" (Tskhadaia, 2000: 22).

**მარიამ კობერიძე**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### **ზურაბ შარაშენიძე ფერეიდნელი „გურჯების“ მეტყველების შესახებ**

ზურაბ შარაშენიძის წიგნი „ფერეიდნელი გურჯები“ დაიბეჭდა 1979 წელს. მასში გაანალიზებულია ფერეიდნელი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და ყოფაცხოვრების ამსახველი ლექსიკა. ნაშრომს თან ახლავს ტექსტები და მცირე ლექსიკონი, სადაც განმარტებულია ზოგიერთი სახეშეცვლილი ქართული სიტყვა და სპარსული გამოთქმები.

განსაკუთრებით საინტერესოა ფერეიდნელი ქართველების - ყოლამ-რეზა ხუციშვილის, ყოლამ-ჰოსეინ ონიკაშვილის, მოჰამედ მაყაშვილისა და სეიფოლა იოსელიანის საქართველოში ჩამოსვლის ამსახველი მასალები („დროება“, 1872; ზ. ჭიჭინაძე, 1995; „დროება“, 1976; ზ. შარაშენიძე, 1969, 1979). აღსანიშნავია, ლადო აღნიაშვილის, ამბაკო ჭელიძის, პ. ლორთქიფანიძის, ნიკო მარისა და სხვა ქართველი მოგზაურების დაკვირვებანი ფერეიდნელ მეტყველებაზე და მათ მიერ ჩაწერილი ტექსტების მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის (ლ. აღნიაშვილი, 1896; ა. ჭელიძე, 1935; „სახალხო ფურცელი“, 1916; ი. მარი, 1936).

ზურაბ შარაშენიძემ „ფერეიდნელ გურჯებში“ თავი მოუყარა სხვადასხვა სტატიებში, პერიოდულ პრესის მასალებსა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ მონოგრაფიებში გაბნეულ მასალებს ფერეიდნის ქართული სოფლების რაოდენობისა და დასახლების შესახებ.

ფერეიდნელი ქართველების შესახებ საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს გვაწვდის ირანელი გენერალ - მაიორი ალი რაზმარა 1949 - 1954 წლებში თეირანში გამოქვეყნებულ თავის ატომიან ნაშრომში - „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი“ („ფარჰაგე. ჯოღრაფაი-ეირან“): **ზემო მარტყოფი // ახორე ბალა, ქვემო მარტყოფი// ახორე ფაინი, სიბაქი, ჯაყ-ჯაყი, ჩუგიურეთი// ჩულურეთი, აფუსი // რუისპირი, ბოინი, დაშქესანა, აღჩა, ბადეჯანა //ახორე, დაჟგანი (დაქგანა), შეშჯავანი.**

ლადო აღნიაშვილი იყო პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც 1894 წელს მოინახულა ფერეიდანი და გაიგნო იქაური ქართველების ყოფა-ცხოვრება. „სწორედ ლადო აღნიაშვილის

დამსახურებაა, რომ მის ნაკვალევზე არა ერთი ქართველი დაინტერესებულა და გადასულა ფერეიდანში“ (ც. ბერიძე, 2004, გვ. 240).

ლადო აღნიაშვილმა შეადგინა ფერეიდანის ქართული სოფლების პირველი რუკა. ის ასახელებს თოთხმეტ ქართულ სოფელს: **ზემო მარტყოფი ანუ ზემო ახორა, ქვემო მარტყოფი, სიბაქი, ჯაღჯაღი, ჩულრუთი, აფუსი//რუისპირი // რუსთავი, თოღერი ანუ დომბეჟამარი, ბოინი, ტაშქესანა (დაშქესანა), ახჩა, შაიურდი, ნინოწმინდა ანუ ქედუბანაქი, დეესური, შაანათი** (ლ. აღნიაშვილი, 1896, გვ. 210-212).

ფერეიდნელი ქართველი სეიფოლა იოსელიანი ასახელებს თხუთმეტ სოფელს: **მარტყოფი, ქ. მარტყოფი, სიბაქი, ჯაღჯაღი, ჩუყურეთი, აფუსი, თოღელი (იგივე თელავი), ბოინი, დაშქესანა, ახჩა, შაიურდი, ნინოწმინდა, დეჰსური, ალაგოლი, ბადიგანი.** ზურაბ შარაშენიძის აზრით, უფრო სანდოა სეიფოლა იოსელიანის მონაცემები, რამდენადაც იგი ფერეიდნელი ქართველი იყო და კარგად იცნობდა ამ მხარეს (1979, გვ. 110).

1923-1929 წლებში ირანში, თეირანის საბჭოთა ბანკში მუშაობდა ამბაკო ჭელიძე. ამ შემთხვევამ შესაძლებლობა მისცა მას მეუღლესთან - სარა ჭელიძესთან ერთად ჩასულიყო ფერეიდანში და გასცნობოდა იქაური ქართველების ყოფა - ცხოვრებას. ამბაკო ჭელიძე თავის მოგონებებში ქართველებით დასახლებული თხუთმეტი სოფლის სახელს ახსენებს. ეს სოფლებია: **ზ. მარტყოფი, ქ. მარტყოფი //ახორე ფაინი, სიბაქი, ჯაღჯაღი, ჩულრუთი (ჩულრეთი), აფუსი // რუისპირი, თოღელი// თელავი //დომბეჟამარი, ბოინი, დაშქესანა, ახჩა, შაიურდი // შავსოფელი, ნინოწმინდა ანუ ქედგუნაქი, ბადიგანი, დარბენდი, სარდაბი.**

იური მარის მონაცემებით ფერეიდანში თორმეტი ქართული სოფელია: **ზ. მარტყოფი, სიბაქი, ჯაყჯაყი, ჩულრუთი, აფუსი, დომბეჟამარი, ბოინი, ტაშქესანა, ახჩა (ახრაი), შაიურდი, ხამის ლიანი, უზუნ ბულაყი.**

მოტანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ამა თუ იმ მოგზაურს თუ მკვლევარს ისეთი სოფლებიც აქვს დასახელებული, რომელიც სხვაგან არ არის მოხსენებული. ლადო აღნიაშვილი ასახელებს - **ალაგოლს**, ამბაკო ჭელიძე ასახელებს - **დარბენდს და სარდაბს**, იური მარიც გვამღერს ორ განსხვავებულ სახელწოდებას - **ხამის ლიანი და უზუნ ბულაყი**; რაზმარასთან ორი ახალი სოფლის სახელს ვხვდებით - **დაჟგანი და შეშჯავანი.** ზურაბ შარაშენიძე გაანალიზებულ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს ასეთ დასკვნას: იმის გამო, რომ ხშირად ერთსა და იმავე სოფელს სხვადასხვა ორი, თუ ზოგჯერ სამი სახელიც ერქვა, შესაძლებელია ერთი და იგივე სოფელი სხვადასხვა სახელით აქვთ მოცემული ავტორებს. მაგალითად, ლადო აღნიაშვილის დროს ერთ სოფელს სამი სახელწოდება ჰქონია: **აფუსი, რუისპირი და რუსთავი**; ამბაკო ჭელიძესთან სოფელი **თოღელი, თელავად და დომბეჟამარადაც** იწოდება და სხვა (ზ. შარაშენიძე, 1979, გვ. 112).

გავრცელებული მოსაზრებების მიხედვით სოფელი **თოღელი //თოღარი თელავის** ადრინდელი სახელწოდებაა. გამოთქმული ვარაუდით, შესაძლებელია, რომ თოღელი // თოღერი უკავშირდება საგარეჯოს ძველ სახელწოდებას - თვალს. ქალაქში ჩამომდინარე ხევს თვალთახევი ჰქვია (უ. სახლთხუციშვილი, 1997, გვ. 130). აქედან ნაწარმოებია თვალელი ←თოღელი//თოღერი. საგარეჯოში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველის - რამანა ონიკაშვილის ნაამბობის მიხედვით, ფერეიდანში თოღელებს თვალელებსაც ეძახიან (თ. უთურგაძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, 2012, გვ. 148).

ზურაბ შარაშენიძე შენიშნავს, რომ ფერეიდანის ზოგიერთ სოფელში ქართველების გარდა სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც ცხოვრობენ. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ფერეიდანის სოფელი არ ითვლება ქართულ სოფლად, მაგრამ იქ რამდენიმე ოჯახი არის ქართული. ქართველები გაბნეულია ამ რაიონის ბახთიხარების თუ ქურთების სოფლებშიც. მისი მონაცემებით, ქართული სოფლებია: **ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, სიბაქი (ვაშლოვანი), ჯაყ-ჯაყი, ჩულრუთი (ჩეგიურეთი, ჩულრუთი), აფუსი (რუისპირი), დომბეჟამარი (თელავი, თოღელი), ბოინი, დაშქესანა, ადჩა შაიურდი, ქედგუნაქი (ნინოწმინდა), ბადიგანი (ბადეჯანა)** (1979, გვ. 113).

მოგვიანებით, 1998 წლის აგვისტოში ქართველმა ენათმეცნიერებმა - თედო უთურგაძემ და დარეჯან ჩხუბიანიშვილმა ფერეიდანში იმოგზაურეს და ადგილზე დააკვირდნენ თორმეტი ქართული სოფლის მეტყველებას. ეს სოფლებია: **მარტყოფი, სიბაქი ანუ ვაშლოვანი, ჯაყჯაყი, ჩულრუთი (ჩულრუთი), შაპრაქი, ხუნვი, ხოიგანი, დაშქესანი, ბოინი, ახჩა, თორელი ანუ თელავი, აფუსი ანუ რუისპირი** (დ. ჩხუბიანიშვილი, 2012, გვ. 172).

ქრონოლოგიურად თუ თვალს მივადევნებთ ქართულენოვანი სოფლების მდგომარეობას, მათი რაოდენობა მცირდება. აღარა ჩანს ლადო აღნიაშვილთან მითითებულ სოფლებში - შაიურდში, დეესურსა და შაანათში ქართულენოვანი მოსახლეობა. ასევე არსად ჩანს სეიფოლა იოსელიანის მიერ დასახელებული ალაგოლი და ბადიგანი. შეცვლილია სოფლების სახელებიც, მათ სპარსული სახელწოდებები ცვლის. სოფელი აფუსი ყოფილა რუსთავი და რუისპირი. ნინოწმინდა ქედუბანაქად

(ქედგუნაქად) იწოდება. ზოგ ქართულ სახელწოდებას სპარსული წყვილი უჩნდება. მაგალითად, ყოფილი ვაშლოვანი - სიბაქი (სპარს. „ვაშლი“) (თ. უთურგაძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, 2012, გვ. 148).

ზურაბ შარაშენიძის ცნობით, ყველაზე კარგად ქართული მეტყველება დაცულია ზემო მარტყოფში. საინტერესოა ამ სოფლის მეტყველებაში შემონახული ადგილის ქართული სახელწოდებები: „წვერას მთა“, „ქალების ქვაბი“, „მენადირეების (მონადირეების) წყარო“, „თათარა მთა“, „ლამაზის გორა“, „მაღალი მწვერვალი“, „სიხე (ციხე)“, „თათარაშვილის გორა“...

ფერეიდნელ ქართველებს ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ ქართული გვარების ძირი სპარსული სახესხვაობით. მაგ.: **ასლანი - ასლანიშვილი, ყაფლანი - ყაფლანიშვილი, გუგუჩანი - გუგუშვილი**. ფერეიდნელებს აქვთ ისეთი გვარებიც, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ქართულ ძირთან, მაგრამ იციან თავიანთი ადრინდელი ქართული გვარიც. მაგ.: „**მოყადასი**“ **რუპიტაშვილი (ალბათ რომიტაშვილი) ყოფილა, „ქარიში“ - გოგიჩაშვილი**.

ფერეიდნულ მეტყველებაში ქართული სახელწოდებები შეუნარჩუნებია მცენარეებს (ძირტკბილო, კამა, მჟაუნა ...), სამეურნეო იარაღებს (კალო, კვერი, ფიწალი, ნიჩაფი, ცხრაცხრილი, ცხრათითი ...), ქორწინებასთან დაკავშირებულ ლექსიკას (სიდედრი, ხელისმომკიდე, დედამთილი, ახანზალი (პატარძალი) ...).

სხვადასხვა დროს ქართველი მოგზაურების მიერ ჩაწერილი მასალები საშუალებას გვაძლევს ქრონოლოგიურად დავაკვირდეთ ფერეიდნულ მეტყველებას და შევისწავლოთ ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობით განპირობებული ცვლილებები.

ლადო აღნიაშვილს შეუნიშნავს ფერეიდნული მეტყველებისათვის დამახასიათებელი 3 ბგერა (ჰელი, ჯორცი), ჩი თანდებული (სახლჩი), ყე ნაწილაკი (უთხრაყე) და წავიდის, მოვიდის ფორმები (1896, გვ. 210-212). მისი შეფასებით, ფერეიდნელები „ჩინებულად ლაპარაკობენ ნამეტნავ რამდენიმე სოფელში. როგორც წუნი არ დეედვის ჩვენ მიერ ქართულ ლაპარაკს ხევსურისას, ქიზიყელი გლეხისას ანუ რომელიმე ტეტია სოფელელისას ქართლ-კახეთის კუთხე - კუნჭულებიდან, აგრეთვე წუნს ვერ დაუდებთ იქაური ქართველების ლაპარაკს“ (ლ. აღნიაშვილი, 1896, გვ. 218).

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ლადო აღნიაშვილის სოფელ დაშქესანაში ფერეიდნელ ქართველთან საუბრის ჩანაწერი: „- ეჰ, შვილო! რაღა ქართველები, რის ქართველები ძლივს გვიდგა პირში სული. დღე - ყოველ პურის ლუკმა გვენატრება. ვისღა აგონდება ქართველობაო. აი, შეხედე ამ პატარებს, ტანზე ნატისუსალი ასდით, ხელისტოლა ჩითი არ გაგვაჩნია, რომ სიტიტკელისა და სიცივისაგან დავიფაროთ (1896, გვ. 210-211).

ფერეიდნული მეტყველების თავისებურებებს წარმოაჩენს 1968 წელს ზურაბ შარაშენიძის მიერ ფირზე ჩაწერილი ფერეიდნელის საუბარი: “მე წაველ და ანჰა ვნახეყე ნოდარი, ვნახე მეთქი, რო მემინდა ანბანი დამიწერო. ნოდარ კოჭლაშვილმაც მე ანბანი დამიწერა. დიდი მადლობა ნოდარ ... ძალიან კარგი საქმე გააკეთა ჩონთისგან. მე იგრე მიყორდა, რო წაილე ეს ანბანი და მუშაობაზე რო მუშაობდი ქუჩაციგა, აგურებზე გაჰვეწერე ანი და ბანი, ელა ეგრე გაჰვეწერე და რო გაიდოდი, შაიდოდი, ვისწავლიდი ანბანსა, იგრე მიხაროდა, რა ვიცი“ (1979, გვ. 103).

ზურაბ შარაშენიძის დაკვირვებით, -ყე ფერეიდნულში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. იგი წარმოადგენს თანდებულს, რომელიც მოითხოვს ნათესაობით ან მიცემით ბრუნვას და მნიშვნელობით ხშირად უდრის -გან (-დან) თანდებულს. მაგ.: „ერთი ქართველიო **თბილისსაყეო** ჩამოსულაო“ (გვ. 158).

ზოგჯერ -ყე დასტურდება -კენ თანდებულის მნიშვნელობით. მაგ.: „კმა მოიდოდა, რო მივიხედეთ **სოფელსაყე**“ (გვ. 163). -კენ თანდებულის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაში -ყე დაკავშირებულია გარე-კახურისა და ინგილოურის -ყე/-ყენ თანდებულთან (არნ. ჩიქობავა, 2010, გვ. 25).

-ყე ნაწილაკი ზმნებთან გამოიყენება სიტყვებისა თუ წინადადებების ურთიერთკავშირის გამოსახატავად. მაგ.: „წეელო წყაროზე სუფრით და მეეზილაყე, მეეტანაყე, ეენტოყე, ჩარსაგანაგები დეეცხელაყე“ (გვ.156). -ყე ნაწილაკი გამოხატავს ობიექტი მრავლობითობას. მაგ.: „ხალხი გაკვირდა, რომ ემათ როგორ **ჩამოურეკიაყე** ცხორიო, გზაჩი ადიებს არ **წოურთომეყო**“ (გვ. 158).

ზურაბ შარაშენიძეს შეუნიშნავს, რომ ფერეიდნელი ქართველები -ყე ნაწილაკს ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე ხმარობენ და მთელ რიგ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა არეულია. ზოგჯერ -ყე ნაწილაკის მნიშვნელობა ხოლმეთი განისაზღვრება. მოვიტანოთ მაგალითები ზურაბ შარაშენიძის მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან: „როდესაც დრო გქონდა, **შემოიყრებითყე** ქართველები და სულ საქართველოზე ვლაპარაკობთ“ (გვ. 143); „ეს ყენის ყორი **ასწავლიდისყე**“ (გვ. 184); „ჰარ დღეთ **მოიტანისყე**“ (გვ. 184).

ზურაბ შარაშენიძე აღნიშნავს, რომ ფერეიდნის ქართულენოვანი სოფლების მეტყველება არ არის ერთგვაროვანი. მაგალითად, თუ ერთ სოფელში იტყვიან „ჩირდილი“ (ჩრდილი), სხვაგან იტყვიან „ქოლდა“-ო. ფერეიდანში გათხოვილ ან განათხოვარ ქალს „ცოლს“ ეძახიან, ხოლო გასათხოვარს - ქალს (ზ. შარაშენიძე, 1979, გვ. 100).

დარეჯან ჩხუბიანიშვილის აზრით, რიგი თავისებურებების საფუძველზე გამოიყოფა ზემო და ქვემო ფერეიდნული, რომელიც შეესაბამება ამ რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობას და ადმინისტრაციულ დაყოფას. ის ზემო ფერეიდნულს უწოდებს ზემო მარტყოფის, სიბაქის, ჯაყჯაყის, ჩულრუთის მეტყველებას, ხოლო ისპაჰანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფლების დამქესანის, ბოინის, ახჩას, თორელის, სოიფანის მეტყველებას - ქვემო ფერეიდნულს (2012, გვ. 172-173).

ფერეიდნულმა ქართულმა გარკვეული ცვლილება განიცადა, შეითვისა სპარსული სიტყვები და გამოთქმები. ხშირია ჩვეულებრივ საუბარში სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევები. მაგ.: „ვაყთი არ გაქს?“ („დრო არ გაქვს?“), „ხომ ნამაი ხარ?“ („ხო ლამაზად, კარგად ხარო“) .... აღსანიშნავია კალკირებული გამოთქმები. მაგ.: „ვაჭრობა ვქენით“ (ვივაჭრეთ) ... სპარსული ენა სახელმწიფო ენაა. ფერეიდნულმა მშობლიურ ქართულთან ერთად უნდა იცოდეს მეორე ენა - სპარსული, რომლის ცოდნაც აუცილებელია არსებობისათვის. ბილინგვიზმი საფრთხეს უქმნის ქართულ ლექსიკას.

ფერეიდნულში ზოგ ქართულ სიტყვას მნიშვნელობა შეუცვლია, დავიწროებულა, ან სხვა მნიშვნელობა შეუძენია. მაგ.: „გაიმტვრა“ (გაიქცა), „აქ რას დაგდებულხარ“ (აქ რისთვის გაჩერებულხარ), „დალაგება“ (დადგომა, გაჩერება, მოთავსება), „დავარდა“ (დარჩა), „მილოცვა“ (მისამძიმრება), „მტერი“ (მტვერი) ... ზოგი სპარსული სიტყვა ფერეიდნულს ქართულით შეუცვლიათ. გამოფენაზე ერთმა ფერეიდნულმა „დურბინდის“ ნაცვლად იკითხა, „სამებარი რა ღირსო“, ხოლო „ფულის“ ნაცვლად იხმარა „სათვალავი“. ქართულში დღეს გავრცელებული ორივე სიტყვა სპარსულად არის მიჩნეული (სპარსული „დურბინ“ - შორს მხედველი, „ფული“ - ფული) (ზ. შარაშენიძე, 1979, გვ. 100).

ფერეიდნულს შემორჩენიათ ქართული ანდაზები, იგავები და გამოცანები. ზოგიერთ მათგანს საკმაოდ შეუცვლია თავისი სახე. მოვიტანოთ საილუსტრაციო მაგალითები ზურაბ შარაშენიძის ჩაწერილი მასალებიდან. **ანდაზები:** „ვარიას თავისი კვერცხი უკვირსო“ ( „ყვავს თავისი ბახალა მოსწონსო“), „ძალი რო დამეტდა, პირაღმა მაჰხნავს“ („ძალა აღმართს ხნავს“), „შიში მაჩვენა და გაქცევა გაჩენო“ („გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“), „წინათ კაწი მეორეს ხიდიით“ („წინა კაცი უკანა კაცის ხიდიო“) ... **გამოცანები:** „დავაბამ დარბის, ავხსნი დადგების (ქალამანი)“ („დავაბამ დადის, აუშვებ დგას“), „ხუთნი მძანია, მუდამ ერთმანეთს თავი ჰკემენ (წინდის ჩხირები)“ („ჩვენ ხუთნი დანი ვიყავით, არც ერთს არ გვქონდა ზრდილობა, იმ თავიდანვე თან დაგვყვა ერთიმეორეს ცილობა“) ...

ამრიგად, ზურაბ შარაშენიძის მიერ გაანალიზებულ მასალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფერეიდნულ მეტყველებაში გარკვეული ვითარებით განპირობებული ენობრივი პროცესების წარმოსაჩენად და ქრონოლოგიურად თვალის მისადევნებლად დღევანდელობასთან მიმართებაში.

#### ლიტერატურა:

- ლ. აღნიაშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები, ტფ., 1896.
- ც. ბერიძე, ლადო აღნიაშვილი და ფერეიდნული ქართველები: კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, #7, თბ., 2004.
- გაზეთი „დროება“, # 13, 1872.
- გაზეთი „დროება“, # 120, 1876..
- გაზეთი „სახალხო ფურცელი“, # 601, 1916.
- უ. სახლთხუციშვილი, ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობს ტოპონიმები, თბ., 1997.
- თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ზემო მარტყოფის ( ქერეიდუნშაჰრის) მიკროტოპონიმის შესწავლისათვის: დარეჯან ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო წერილები, თბ., 2012.
- ზ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნული ქართველების შესახებ, თბ., 1969.
- ზ. შარაშენიძე, ფერეიდნული „გურჯები“, თბ., 1979.
- არნ. ჩიქობავა, ყე- ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოდიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: შრომები, I, თბ., 2010.
- დ. ჩხუბიანიშვილი, ფერეიდნული კილოს შესწავლის ამჟამანდელი მდგომარეობა: საენათმეცნიერო წერილები, თბ., 2012.
- ა. ჭელიძე, ფერეიდნული ქართველები, თბ., 1935.
- ზ. ჭიჭინაძე, ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი, ტფ., 1995.
- Ю. Н. Марр, Статьи сообщения и резюме докладов, I, М –Л., 1936.

*Mariam Koberidze*  
*Gori State Teaching University*  
**ZURAB SHARASHENIDZE ABOUT THE SPEECH OF FEREYDAN „GEORGIANS”**  
**RESUME**

In the present work, the Fereydani speech is analyzed and studied according to Zurab Sharashenidze “Fereydani Georgians”, which was published in 1979. The collected material, written texts, personal views, impressions of Georgian and foreign travelers give us the opportunity to study the Fereydani speech chronologically and follow certain changes, that were stipulated by historical, economic, political and cultural situations.

From the materials analyzed by ZurabSharashenidze, the use of particle -ყ (-ke)with the functions of prepositions -გან (-gan) (-დან) (-dan), -კენ (-ken), and the demonstration of an object's plurality is interesting. The phonological and semantic change of the word is a characteristic feature of Fereydani speech, as well as cases of code-switching, Farsi expressions and specific formation of toponyms. Many Georgian words are proved to be used in Fereydani speech, whose meaning is either weakened or completely disappeared.

**მანანა მიქაძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სახელთა წარმოქმნა ოტია იოსელიანის ნოველებში**

ქართულ ენაში სიტყვაწარმოება მრავალფეროვანი და მდიდარია სადერივაციო საშუალებებით, სხვადასხვანაირია წარმოების ყალიბიც; წარმოქმნილ სახელებს ძირითადად ორ ჯგუფად ჰყოფენ: სუფიქსიანებად და პრეფიქსიანებად. აღნიშნულია ისიც, რომ ქართული ენისათვის ოდენპრეფიქსული წარმოება დამახასიათებელი არ არის. მაწარმოებელი აფიქსების დართვით სიტყვას ეცვლება მნიშვნელობა (მიძიგური, 1956, 88). "ნაწარმოები ფუძის მნიშვნელობა დამოკიდებულია, როგორც იმ ფუძეზე, რომელსაც საწარმოებელი აფიქსი დაერთვის, ისე იმ აფიქსზედაც, რომელიც ფუძეს დაერთვის" (ჩიქობავა 1957, 223-224).

მწერლისათვის ამოსავალი ქართული სიტყვის მდიდარი ლექსიკაა, რომელთა გამოყენებითაც ოტია იოსელიანი მდიდარ ენობრივ სპექტრს სთავაზობს მკითხველს, მისი ენა სადა, გასაგები, ხშირად ამაღლეზელი და მიმზიდველია. მწერალი ქართულ სიტყვას ენობრივ ყალიბში სვამს და უამრავი სადერივაციო საშუალებით ამდიდრებს ქართული ენის ისედაც მდიდარ ლექსიკას.

ქართული ენისათვის დამახასიათებელია წარმოსაქმნიელი 58 აფიქსი: -ა, -კა, -ად, -ანა, -აჰ, -გან, -გვარ, -დელ, -დელ, -ება, -ებრ, -ებურ, -ედ, -ეთ, -ელ, -ელა, -ეულ, -ია, -იან, -იერ, -ივ, -ით, -იკო, -იონ, -ის, -იურ, -კეც, -მაგ, -მე-ე, მე-ურ, -მიერ, -მო-ე, მო-ო, -ნარ, ნა-არ, ნა-ევ, -ნაირი, -ობ, -ობა, -ოდე, -ოდენ, -ოვან, -ოსან, სა-ე, -სა-ეთ, სა-ო, სა-ურ, სი-ე, უ-ე, უ-ეს, უ-ო, უ-ურ, -უა, -უკა, -უნა, -ურ(ულ), -უც, -უჰ, -ფერი (შანიძე, 1953, 120; ტუსკია, 1969, 25).

ენაში ამ აფიქსებს თავისი ფუნქცია გააჩნიათ. როცა მწერლის ენაში სიტყვათა წარმოქმნის საკითხს ვიხილავთ, ამ აფიქსთა მხოლოდ ფუნქციის მიხედვით განვილვა საკმარისი არ არის, საჭიროა იმის გარკვევაც, თუ რა სტილისტური დანიშნულება აქვს ამა თუ იმ აფიქსს მწერლის ენაში, როგორი ინტენსივობით გამოიყენება თითოეული მათგანი, რომელ ფუძესთან მიმართებაში იხმარება ესა თუ ის აფიქსი და ა.შ.

**I. კნინობითი სახელების წარმოქმნა**

"კნინობითია სახელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომით ან სიდიდით ნაკლებია, ვიდრე ძირეული სახელით აღნიშნული (ა. შანიძე). სახელწოდება "კნინობითი" სწორედ ამის მიხედვითაა დარქმეული.

ახალ ქართულში კნინობით სახელთა აღმნიშვნელმა აფიქსებმა მოფერება-ალერსისა და დაცინვის ფუნქციაც შეიძინეს. ახალ ქართულში კნინობით სახელთა მაწარმოებლად დასახელებულია **ა, კა, იკ, ილ, უკ, უნ** (ა.შანიძე), **აჰ, უჰ, ელ-ა, უც** (ტუსკია). მათი ფუნქციები ნაწილობრივ განსხვავებულია.

ოტია იოსელიანის ნოველებში კინოზოოტი სახელების გამოსახატავად პროდუქტიულია სუფიქსი – ა და მას ძირითადადა ადამიანის საკუთარ სახელებში იყენებს:

–ა

**ლევანა** კიკაბიძეს ამქვეყნასთან აღარც საქმით ჰქონდა რაიმე საერთო და აღარც სიტყვით (ლევანა, 47, 3);

შენ, ბიჭო, **ამირანა**, ის ახალთახალი უღელი რამ გაგატეხია, რას მოდევ კავი ამისთანას? (ლევანა, 48, 23);

**ანტონა** ჩემი მეზობელია, ახლო მეზობელი (ხელმოცარული, 71,1);

უფრო იშვიათად გამოიყენებს მას მწერალი უსულო საგნებთან მიმართებაში:

დიდ **დედოფალას** ისე მაინც არ ნახავ? (თამაში, 63, 2);

იქნებ **ბალიშა** კანფეტის გინდა (თამაში, 65, 1).

–ი: ჩემოდნებს, ბადეს, ხელჩანთებს და პურისფკვილიან **ტომსიკას** უმწეოდ გადახედა (დაგვიანება, 80, 5);

მერე ამ უღელს ჯერ ერთი შვილი დააჯდა –**სიმონიკა**, მერე –**გიგოლიკა** (მეწისქვილის ქალიშვილი, 179,7).

–აკ: შებრუნდა, **დილაკს** დაეწყო ძებნა (პირველი ცდუნება, 212, 24);

ან იქნებ ის გგონიათ, ამას წინათ მეორე კლასის მძღოლის **წიგნაკი** ვერ გავიკარი და ჩვენი კოლეგტივის ავტომექანიზაციის გამგედ ვერ ვმუშაობ (აკაციის ყვავილობა, 121, 9)

ო. იოსელიანის ნოველების ენაში პროდუქტიულია –ა სუფიქსი, მეტ-ნაკლებად გამოიყენება –იკ და –აკ სუფიქსები; საერთოდ ვერ დავაფიქსირეთ –ილ, –უკ, –უნ სუფიქსები.

## II. ყოლა-ქონების სახელების წარმოქმნა

ქართულში ყოლა-ქონების სახელების მაწარმოებელი სუფიქსებია –იან, –იერ, –ოსან, –ოვან, –ედ, –ა (შანიძე, 1953, 123). ამათგან ოტია იოსელიანის თხზულებათა ენაში ყველაზე პროდუქტიულია –იან სუფიქსი. მწერალი სახელებს აწარმოებს აგრეთვე –ოსან, –ოვან სუფიქსებითაც. –ედ და –იერ სუფიქსებს კი არც ო. იოსელიანის ენაში აქვს სიტყვაწარმოების უნარი.

–იან სუფიქსიანი სახელები. თანამედროვე ქართულში –იან სუფიქსი ყველაზე პროდუქტიული აფიქსია. ო. იოსელიანი –იან სუფიქსს უმთავრესად იყენებს არსებით სახელთან, ზედსართავ სახელთან და სახელზმნებთან.

თანამედროვე ენაში –იან სუფიქსი ძირითადად დაერთვის საზოგადო არსებით სახელებს. ო. იოსელიანის ენაში მეტად პროდუქტიულია საზოგადო არსებით სახელებთან –იან სუფიქსის გამოყენება:

**წინდიანი** ფეხები ნაპობ შუშაზე გიდევს (წვიმა ორლობეში, 275, 5);

სამსონს კარგი **ხეხილიანი** ეზო აქვს (ხაფანგი, 294, 23);

მწერალი –იან სუფიქსს ურთავს აგრეთვე აბსტრაქტულ სახელებს. ფუძედ აბსტრაქტული სახელია: მყოლოდა ...მამა **გავლენიანი** და ცოლ-შვილის ერთგული ... (ავტობიოგრაფიული ნოველა);

მუდამ **ხალისიანი**, **ალერსიანი**, ქათქათანი, მსუბუქად, საამოდ მიყვებოდნენ ცისას, ბარისას, მთისას, ზღვისას... (შავი და თეთრი ძროხა, 67, 12);

ფიქრიც კი რაღაც ღრმა და **სევდიანი** გაქვს, ფიქრიც არ შეგიძლია (ცეცხლთან თამაში, 144, 9).

მწერლის ენაში –იან სუფიქსი გამოიყენება ზედსართავ სახელთანაც და სახელზმნასთანაც.

**ზედსართავ სახელთან:** ურემი ნელა მიგორავს ოღროჩოღრო, **გორახებიან** გზაზე (ქვრივის ცრემლები, 102, 32);

რა ექნა იმ **შავდღიანსაც**, თავისი უბედურება არ აყენებდა (ავტობიოგრაფიული ნოველა);

ლევზე ამბობენ, **ცოდვილიანი** ხილიაო, მაგრამ ლევდი, მე ცოდვილს, ახლაც მიყვარს (დედულეთი, 60, 132).

**საწყისთან:** მერე უცებ შეიცვალა და მოულოდნელად **ალერსიანი** გახდა (დავა ავტობუსში, 258, 7).

არც თუ იშვიათად მსაზღვრელად გამოყენებული –იან სუფიქსიანი სახელი გამოხატავს საგნის ან მოვლენის თანმხლებ საგანს, თვისებას, მოვლენას:

ეპითეტების მნიშვნელობით ნახმარ ფორმებში –იან სუფიქსიანი სახელები შეიცავენ როგორც ქონების ისე მსგავსება-შედარების შინაარსსაც:

იქ კიდევ **გულიანი** ხალხი დამხვდა (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 45, 10);

უცერად, ერთ **წვიმიან** დღეს აღმოაჩინა (წვიმა ორლობეში, 278, 16);

იქნევდა **მათრახიან** ხელს მახარობელი და დასჩხაოდა ბედაურს (ბასარა, 39, 14);

მაგრამ ამ მოკლე **შარვლიანი**, გატრუსული, თვალატირებული, თითის სიგრძე ჭინკა ბიჭის გადამკიდე, მთელი დღე მუცელცარიელს როგორ ერბინა ?! (შავი და თეთრი ძროხა, 65, 30);

საყანეები, ლაშეების **ჭაობიანი** ჭენჭყო ადგილებიდან მდინარემდე დაცემული ვაკე იყო (შავი და თეთრი ძროხა, 66, 6).

მწერლისათვის იშვიათობას არ წარმოადგენს –**იან** სუფიქსით აწარმოოს კომპოზიტები: და ხან რომელ მოსახვევში დავაფრთხობთ რკინიგზის პირზე მობალახე **თეთრხალეზიან** ძროხას (ჩქარი მატარებლიდან, 18, 16);

მაშასადამე, –**იან** სუფიქსის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი **ო.** იოსელიანის თხზულებათა ენის მიხედვით მეტად ვრცელია. ქონების სახელთა მაწარმოებელი –**იან** სუფიქსი, როგორც წესი, დაერთვის საზოგადო არსებობებს; ოტია იოსელიანი კი ამ სუფიქსს ურთავს ისეთ ფუძეებსაც, რომლებიდანაც ქონების სახელთა წარმოება თანამედროვე ქართულში გავრცელებული არ არის: აბსტრაქტულ სახელებს, ზედსართავებს, სახელზმნებს, კომპოზიტებს.

ასევე მწერალი –**იან** სუფიქსდართული სახელებით გამოხატავს მსგავსება-შედარებასაც.

- **ოსან სუფიქსიანი სახელები:**–**ოსან** სუფიქსით ნაწარმოები სახელები უმთავრესად ცოცხალი არსების ეპითეტებად იხმარება; **ო.** იოსელიანთან –**ოსან** სუფიქსიანი სახელები წინადადების მთავარი წევრები არიან და მათ ტრადიციული გაგება, ანუ ეპითეტად გამოყენების ფუნქცია არ გააჩნიათ:

**ცხენოსნები** ქვეითად გაივლიდნენ (ბასარა, 39, 3);

მოახლოვდა **ცხენოსანი** (ბასარა, 39, 13);

ჩვენ ორლობეში აქაური ჩოჩიალა ურემი თუ ამოზოზდებოდა, ან ორი **ცხენოსანი** თუ გამოეტეოდა ქვებიან და კორტოხებიან გზაზე (ბასარა, 40, 32);

ნაქირავები **ხელოსანი** დავაჯინო? – მეტს მოგცემ, თუ მაინცდამაინც ... (ხელმოცარული, 73, 33);

აგერ კიდევ, **ტყაოსანი**...ესე იგი ქუჩუკი, ვისაც ვეფხვის ტყავი აცვია (ჩემი "ვეფხისტყაოსანი", 75, 2);

–**ოვან სუფიქსიანი სახელები:** **ოვან** სუფიქსი –**ოსან**-ის ტოლფარდია, მაგრამ დღეს იშვიათად იხმარება, შემორჩენილია მხოლოდ ძველი წარმოების რამდენიმე სიტყვაში (დლონტი, 1964, 93); **ო.** იოსელიანის ნოველებში –**ოვან** სუფიქსი ნაკლებპროდუქტიულია, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი დავაფიქსირეთ:

ამ მწელბედობით აღსავსე ქვეყანაში მისი უზარმაზარი სიყვარული, **ცეცხლოვანი** ალერსი, სიბრძნე, "ჭირსა შიგან გამაგრება" და ბედთან შეურიგებლობა მომაკლოს (ავტობიოგრაფიული ნოველა).

–**იერ სუფიქსიანი სახელები:** –**იერ** სუფიქსი დასუსტებულია თანამედროვე ენაში, **ო.** იოსელიანის ნოველებში მისი გამოყენება საერთოდ ვერ დავაფიქსირეთ.

ამრიგად, ოტია იოსელიანი ქონების სახელების წარმოებისას იყენებს იმავე სუფიქსებს, რაც თანამედროვე ქართულშია გავრცელებული, მწერლის ენის თავისებურებანი ამ შემთხვევაში მუდავნდება ქონების სახელების მაწარმოებელი სუფიქსების ინტენსივობაში, ამ მხრივ ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა –**იან**. ნაკლებპროდუქტიულია –**ოსან** და –**ოვან** სუფიქსები, საერთოდ არ გამოიყენება –**იერ** სუფიქსი.

### III. უქონლობის სახელთა წარმოქმნა

თანამედროვე ქართულში უქონლობის სახელებს, ჩვეულებრივ, აწარმოებს **უ-ო** აფიქსი. უქონლობის გამოსახატავად ზოგჯერ იყენებენ აგრეთვე აღწერით წარმოებას "გარეშე" თანდებულის საშუალებით. ეს უკანასკნელი იშვიათადაა გამოყენებული **ო.** იოსელიანის ნოველებში. მაგალითად:

ასე, რომ ჩემი გაჩენის დღიდან დღემდე დიდი ტკივილის **გარეშე** ნამცეცი სიხარული არ მღირსებია (ავტობიოგრაფიული ნოველა);

საერთოდ, მის სულიერ მოძრაობას **გარეშე** თვალი მწელად შეამჩნევდა (ია, 255, 11).

უქონლობის სახელებს მწერალი უმთავრესად აწარმოებს **უ-ო** აფიქსების მეშვეობით. ამ აფიქსს იგი ურთავს:

ა) ძირითადად საზოგადო არსებით სახელებს. მაგალითებიდან მხოლოდ რამდენიმეს მოვიტანთ, მათი სიმრავლის გამო:

ცივია წყალი, უკარება, **უშეღავათო**, ავი, კაპასი (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 44, 15);

საგანგებოდ დაუკვეთეს დიდი, რკინის **უფსკერო** და **უსახურავო** გალია (ეპიტაფია, 45, 28);

ცეცხლიდან ახალამდგარი **უვანში**, **უსაუზმო** ბიჭებისათვის ეს იმდენად მწელი იყო, რომ უნდა გამოგიტყდეთ, მძულდა ბუდუს დანახვა (სიცილი წისქვილის გზაზე, 235, 25);

ხვალამდე **უწყლოდ**? (სიცილი წისქვილის გზაზე, 234, 10)

მე ვიყავი იქ **უმეგობრო** და **უთანატოლო**, თორემ მისთვის ცა ქუდი იყო და დედამიწა – ქალამანი (ჩემი "ვეფხისტყაოსანი", 74, 7).

ბ) **უ-ო** აფიქსითაა ნაწარმოები აგრეთვე რამდენიმე საკუთარი სახელი:

შე **უღმერთო**, აქ მის ჭიშკარზე, სადაც ოცდაათი ფეხის ნაბიჯზე მამამთილი წევს, ლუკაია, რატომ ჰქენი ეს? (ქვრივის ცრემლები, 106, 3);

შენა ხარ ჩემი თეკლა, შე **უღმერთო!**.. (ცეცხლთან თამაში, 169, 17);

ლუკაია, ცხენო, ტყე დაილია, რას აპირებ, ლუკაია, ლუკაია, **უღმერთო**, ორლობები იწყება (ქვრივის ცრემლები, 105, 6).

გ) აღნიშნულ სუფიქსს მწერალი ურთავს ორიოდ აბსტრაქტულ სახელს:

აგერ კლდეები, თითქმის თავზე გადმოხურული და **უსიცოცხლო** (ჩქარი მატარებელიდან, 20, 15);

ვიცით და არაფერ **უწესობას** არ ვხედავ ჩემი მეგობრის საქციელში (დავა ავტობუსში, 261, 19).

დ) იშვიათად იგი გვხვდება ზედსართავ სახელთანაც:

უსაქმური და **უნიათო** დედაკაცების წელკავი იყო (დედა, 51, 6);

**უკმაყოფილომ**, წარბშეკრულმა გატენა და ქისა გადმოგცა (მწისქვილის ქალიშვილი, 176, 24);

ეშინოდა, ვინმეს **უსიამოს** და **უგერგილოს** არ გადაჰყოფდა (ევანა, 52, 10).

ე) რამდენიმე შემთხვევაში **უ-ო** დაერთვის ზმნიზედასაც:

**უგაისოდ** აპირებ მაგ საქმის წამოწყებას? (ცეცხლთან თამაში, 169, 3)

ვ) მწერალს რამდენიმე კომპოზიტიც აქვს გამოყენებული:

კესარია უნდა წასულიყო, ამის საჭიროებას კარგად ხედავდა ლევანა, რადგან **უცოლშვილო** ვაჟკაცებს დედის ხელი კიდევ სჭირდებოდათ (ლევანა, 51, 33).

ოტია იოსელიანის თხზულებებში გვხვდება აგრეთვე **უ-ურ** აფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელები, მაგრამ მათ წარმოებაში რაიმე თავისებურება არ შეიმჩნევა, რადგან ამ აფიქსს ვხვდებით ენაში დამკვიდრებულ უკვე ცნობილ მაგალითებში:

**უსაქმური** და **უნიათო** დედაკაცების წელკავი იყო (დედა, 51, 6);

ამრიგად, მსგავსად სალიტერატურო ენისა, უქონლობის სახელების ძირითადი მაწარმოებელი ო. იოსელიანის ენაშიც არის **უ-ო**. მწერლის ენის თავისებურება ამ სუფიქსის გამოყენებისას შეინიშნება იმაში, რომ გარდა საზოგადო სახელებისა, მწერალი **უ-ო** აფიქსს ურთავს აბსტრაქტულ სახელებს, ზედსართავებს, იშვიათად ზმნიზედებს, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის კომპოზიტებს.

#### IV. დანიშნულების სახელთა წარმოქმნა

დანიშნულების სახელთა საწარმოებლად ოტია იოსელიანი უმთავრესად მიმართავს **სა-ო** აფიქსს; ხშირია **სა-ე** პრეფიქს-სუფიქსის გამოყენების შემთხვევებიც. შედარებით იშვიათად კი ვხვდებით **სა-ურ** აფიქსიან წარმოებას.

ქართულ ენაში **სა-ო** აფიქსის სიცოცხლისუნარიანობა ოტია იოსელიანის ნოველებშიც იგრძნობა. იგი დაერთვის ნაირნაირ ფუძეებს:

**სა-ო** უმთავრესად დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს. მაგალითად: ყველაფერი რომ კარგად ავწონ-დავწონე, ვიშვირე ფეხი და ბაბუა სამსონის **სამეზობლო** ღობეს გადავევლე (ხაფანგი, 294, 19);

მერე ერთხანს ვაკეა, საიდანაც კარგად ჩანს რკინიგზის **საყარაულო** ჯიხური (ღრუბლიან ღამეს, 225, 2);

ამ ველოსიპედს უკან **საბარგო** არა აქვს, რომ გოგო ზედ ჩამოჯდეს (ავტომანქანის გატაცება, 305, 35);

1) **სა-ო** დაერთვის ზედსართავი სახელის ფუძეს. მაგალითად:

დამთავრდა **სამწელო** საქმეები (ჩქარი მატარებელიდან, 20, 35)

ის **სამუშაო** დღეც ჩამთავრდა (ხაფანგი, 123, 4)

2) **სა-ო** გამოყენებულია სახელზმნის ფუძესთანაც. მაგალითად:

მატას მძისაგან მალე მივიღე **სასიხარულო** ცნობა (ხაფანგი, 294, 7).

4) **სა-ო** უმთავრესად დაერთვის კომპოზიტს. მაგალითად:

და იმ მამისეულ **საკარმიდამო** ნაკვეთს ვჩიჩქნით (ავტობიოგრაფიული ნოველა);

რამდენი **საგულდაგულოდ** მოფიქრებული ოინი გამიგო (ხაფანგი, 293, 7).

II. **სა-ე** აფიქსი დანიშნულების სახელების საწარმოებლად უმთავრესად დაერთვის საზოგადო არსებითი სახელის ფუძეს; დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს:

ბრუნდება **სავენახე** (ცხოვრების სიბრძნე, 31, 34);

**სახარედ** არ დაუყენებდნენ, თორემ რას გაყიდდა (დედა, 50, 35)

ქილუქის თავში იცოდა ლევანამ **სააპურე** მოკლე ბაწრის გადადება (ლევანა, 55, 4);

**სასოლე** მოკლე ეკლისა და მუხის გადანაჭრები გამოიტანა იატაკქვეშ შემოშენებულ სახაბაკოდან (ლევანა, 55, 7);

უსათუოდ გამოგვალავს, დღეის იქით სახნისი არ დაეკარება **საყანეს** (ლევანა, 55, 12);

ვაი, შე **სასიკვდილე!**.. (აკაციის ყვავილობა, 123, 18)

ორიოდე შემთხვევაში **სა-ე** მიმღეობის ფუძიდანაც აწარმოებს დანიშნულების სახელებს: სოფელს რამდენიმე ადგილი ჰქონდა **სასამოვრედ** (შავი და თეთრი ძროხა, გვ. 134, 23)



3)სა-ურ აფიქსი როგორც საერთოდ ქართულში, ასევე ოტია იოსელიანის ენაშიც არ გამოირჩევა ახალ-ახალი ფუძეებიდან სახელთა წარმოებით. დავასახელებთ აღნიშნულ სუფიქსიან რამდენიმე მაგალითს:

კავს სახნისი დაჟანგოდა, ერქვნის **სახელური** მონჯღრეულიყო? (ლევანა, 55, 5)

ვისაც ეტყოდა შვილზე **სამდურავს** და ვინც იმედს მისცემდა (წვიმა ოღრობეში, 278, 21)

მაშასადამე, დანიშნულების სახელთა საწარმოებლად ოტია იოსელიანი იყენებს **სა-ო, სა-ე** აფიქსებს. საერთოდ, თანამედროვე ქართულში "გავრცელებულობის მხრივ ყველაზე წინ **სა-ო** აფიქსი დგას, დღევანდელ ქართულში ძირითადად ეს აწარმოებს დანიშნულების სახელებს" (ტუსკია, 1969, 27). მსგავსი ვითარებაა იოსელიანის ენაშიც, სადაც ეს აფიქსი დაერთვის ნაირ-ნაირ ფუძეებს: არსებით სახელს, ზედსართავ სახელს, ზმნიზედას, მიმღეობას, კომპოზიტს.

## V. წარმომავლობის სახელთა წარმოქმნა

ქართულ ენაში წარმომავლობას აღნიშნავენ სუფიქსებით: **-ელ, -ურ, -იურ, დელ**

**-ელ** (შანიძე, 128). ო. იოსელიანის თხზულებებში მწერლის ენისეული თავისებურებანი მჟღავნდება **-ელ, -ურ**, და **-ელ** სუფიქსთა უპირატეს გამოყენებაში.

ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულში სადაურობის აღსანიშნავად იხმარება სუფიქსები **-ელ** და **-ურ**. პირველი აღნიშნავს ადამიანის სადაურობას, ხოლო მეორე – ნივთისას, არაადამიანისას (ჩიქობავა, 1942, 50; შანიძე 122-230)

**-ელ სუფიქსიანი სახელები:** და **შემდგენელი** პირში გაჩრილ სასტვენს აჭვიტინებს (ჩქარი მატარებლიდან, 21, 13);

უთუოდ **კუხელები** ამ ადიდებულ მდინარეს ხე-ტყის ნადავლს სტაცებდნენ წალდ-ნაჯახითა და ბაწრებით (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 45, 5);

მოიწი აქეთ, იმ **ქალაქელ** ქალს ასე უთხარი, მოიცა-თქვა (ლევანა, 48, 28).

**-ურ სუფიქსიანი სახელები:** ოტია იოსელიანის ნოველების ენაში შეიმჩნევა **-ურ** სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა სიუხვე. "წარმომავლობის სუფიქსი **-ურ (-ულ)** გეოგრაფიულ სახელებთან სადაურობას გვიჩვენებს, მაგრამ იგივე სუფიქსი სხვა სახელებთან აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით; კაცური, ქალური (შანიძე, 129; მანჯგალაძე 1953, 511) "ეს უკანასკნელი ფუნქცია უფრო გვიანდელია" (შანიძე, 129) და დღეს ფართოდ გავრცელებულია ენაში.

ოტია იოსელიანის მიერ **-ურ** სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა უდიდესი უმრავლესობა თვისება-მსგავსების გამომხატველია; ამასთან მწერალი თავისებურებას იჩენს ამ სუფიქსით ნაწარმოებ არსებით სახელის ფუძის შერჩევაშიც. მაგალითები:

ჰოდა, ის **აზიური** ჩექმები, შივიოტის გალიფე, ჯიბეებიანი გადმოსაშვები ბლუზა, ვერცხლით გაწყობილი ქამარი, "პოლუმუზკა", ყაბალახი და ნაბადი ქე აქვს (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 43, 24);

-ჯიში როგორ გითხრა, **ჩვენებური** იყო (ბასარა, 38, 17);

**კაცური** კაცი ვინცა ვართ (ხელმოცარული, 74, 23);

ჩემი ქალიშვილია გათხოვილი იმ შენ **ცოლოურს** (ხელმოცარული, 77, 22);

მატარებლები დგას და რაღაც **სულელურ** განრიგს უცდია (ცეცხლთან თამაში, 158, 5).

ამავე დროს ოტია იოსელიანის ნოველებში დავაფიქსირეთ სიტყვა **ნაგზური**, რომელიც ჩვენი აზრით, დღემდე შეუმჩნეველი **ნა-ურ** აფიქსითაა ნაწარმოები:

იწყება დახრამული **ნაგზური** (თეთრი ქალიშვილი, 117, 26);

გავცდი სოფელს, იწყება დახრამული, დაორწოხებული **ნაგზური**, ვალაჯებ, ვხტები, ვუქცევ გვერდს ნაურმალს (თეთრი ქალიშვილი, 108, 35).

თვისება-მსგავსების გამოსახატავად მწერალი **-ურ** სუფიქსით ხშირად აწარმოებს სიტყვებს აგრეთვე ისეთ არსებით სახელთა ფუძეებიდან, რომლებიც აღნიშნავენ მცენარეთა ან ფრინველ-ცხოველთა სახელებს.

ა) **მცენარეულის** სახელთა ფუძეებიდან:

**ზამზახური** გადიმება (ავტობიოგრაფიული ნოველა), **ვარდული** შუქით (ზაფანგი)

ბ) **ფრინველთა და ცხოველთა** სახელთა ფუძეებიდან:

**არწივული** ცხვირი (ბასარა), **შევარდნული** გამოხედვა (ზაფანგი), **ძაღლური** ერთგულებით (თეთრი და შავი ძროხა),

გ) **დროის** აღმნიშვნელი სახელებიდან:

**განთიადური** შემობრწყინებით (ზამთარი), **ცისკრული** შეღიმება (დედა), **გაზაფხულური** ციმციმი თვალთა (ზაფანგი).

ოტია იოსელიანი –ურ სუფიქსით წარმომავლობის სახელების მაწარმოებლად იყენებს ზმნიზედების ან ნაცვალსახელების ფუძეს:

დედაც აქაური ჰყავდა და მამაც (ბასარა, 38, 19);

ო. იოსელიანის ნოველების ენაში წარმომავლობის სახელები ნაწარმოებია აგრეთვე –ეულ სუფიქსით:

ჩვენ მამისეული ეზო, ხე და ქოხი გვექონდა (ავტობიოგრაფიული ნოველა);

ბიძისეული ყამით ხეებს საგაზაფხულოდ ჩამოვუვლიდი ხოლმე (შავი და თეთრი ძროხა, 134, 23)

მაშასადამე, ოტია იოსელიანის ენაში –ურ სუფიქსიანი სახელები რამდენიმე თავისებურებას ამჟღავნებს. სადაურობის სახელების საწარმოებლად მწერალი იყენებს არსებითი სახელის (ხშირად), ნაცვალსახელისა და ზმნიზედის ფუძეებს.

–ეულ სუფიქსიანი სახელები ო. იოსელიანის ენაში არ გამოირჩევა საწარმოებელ ფუძეთა ნაირნაირობით.

მწერალი იყენებს ნა-ურ აფიქსს, რაც ჩვენი აზრით, როგორც აფიქსი საენათმეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებული არ არის.

## VI. ხელობის სახელთა წარმოება

ხელობის, ანუ მოსაქმეობის (ალ. ღლონტი) აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად გამოიყენება მე-ე, მე-ურ(ულ), მო-ე, მო-არ, მე-არ კონფიქსები. ამათგან ძირითადია მე-ე, ასევეა ო. იოსელიანის ნოველების ენაშიც, მაგალითების ჭარბი რაოდენობით არსებობის გამო, მხოლოდ ზოგიერთს გამოვყოფთ.

ა) ფუძედ არსებითი სახელია:

ძლივს გაარჩევ მხოლოდ მენავეს (მენავე, 88, 6)

ზღვა ვერ მოერევა მეთევზეს (მენავე, 89, 16)

იმღერებს, იხუმრებს, ვიღაც მეწისქვილე დათიკას გაიხსენებს (ხელმოცარული, 71,7).

ბ) იგივე აფიქსი დაერთვის კომპოზიტს, თუმცა მაგალითები საკმაოდ ცოტა (სულ 7) შეგვხვდა:

მეკარ-მედროშე ცაგო კარგ ხასიათზე იყო (ხაფანგი, 297,11)

მეპურმარილე იშვიათად თვრებოდა (ბასარა, 37, 12)

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზოგჯერ მე-ე აფიქსთან ფუნქციურად მკაფიოდ გამიჯნული არ ჩანს სიტყვის მაწარმოებელი მორფემა მო-ე. ისინი თითქმის თანაბრად წარმოქმნიან ხელობის აღმნიშვნელ სახელებს (ფოჩხუა, 114; დამბაშიძე, 185). ოტია იოსელიანის ნოველებში დასტურდება ამგვარად ნაწარმოები სახელები:

მონადირე ვარ, ბიძაჩემო – დამნაშასავით დაიწყე თავის მართლება (მექისქვილის ქალიშვილი, 175, 18)

მოსამართლე ხმას არ იღებდა, გოცებულ თვალებში სინათლე ჩადგომოდა (ავტომანქანის გატაცება, 303, 23)

ხელობის აღმნიშვნელ სახელთა ჯგუფში აერთიანებენ სახელზმნისაგან ნაწარმოებ ფორმებსაც. ასეთ შემთხვევაში ამოსავალია ის საქმიანობა, რომელსაც ასრულებს ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენელი:

მწერლები თხზავენ, მაგრამ კი არაფერს იგონებენ, რაც არ უნახავთ, ან არ განუცდიათ (ავტობიოგრაფიული ნოველა)

თანამედროვე ქართულში ხელობის სახელებად შესაბამისი აფიქსებიანი ფორმების გვერდით საკმაოდ ხშირად გამოიყენება ხელობის სემანტიკის აღმნიშვნელი სიტყვები: მეტალურგი, მჭედელი, მსახიობი, მექანიკოსი, ექთანი ამავე ფუნქციით გვხვდება უცხო აფიქსებიანი სახელებიც: არტილერისტი, სტენოგრაფისტი, გასტროლოგი

ამგვარად, ოტია იოსელიანის ნოველების ენაში დასტურდება სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები ხელობის სახელები. განსაკუთრებით შესამჩნევია მო-ე კონფიქსის მოხმარების სფეროს გაფართოების ტენდენცია.

## VII. წინავითარების სახელთა წარმოქმნა

"ნამყოფობის, წინავითარების ჩვენება ქართული სიტყვათწარმოქმნის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა" (ღლონტი, 1964, 90).

ქართული სალიტერატურო ენა წინავითარების სახელების საწარმოებლად იყენებს ნა-არ(ნა-ალ) და ნა-ევ აფიქსებს (შანიძე, 134).

ოტია იოსელიანი წარმატებით იყენებს სიტყვაწარმოების ამ საშუალებას. მის თხზულებათა ენაში მრავლად გვხვდება აღნიშნული აფიქსებით ნაწარმოები სახელები.

ყველაზე ხშირად მწერალს გამოყენებული აქვს ნა-ევ აფიქსი, რომლისგანაც სიტყვები ნაწარმოებია არსებითი სახელის ფუძისაგან, ზმნიზედისაგან და ზედსართავი სახელისაგან.

1) არსებითი სახელის ფუძეა გამოყენებული წინავითარების სახელის მისაღებად: გადმოსულა მინდვრებში **ნაყანეში**, აქეთაც, იქითაც და მიაქვს ადიდებულ წყალს ცა და ქვეყანა (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 44, 2); ნამდვილად ჩემმა რიონამ იკრა სუნი ამ ლომ-კურდღლის **ნაკვალევის**–მეთქი (ბასარა, 36, 23); ჩვენს **ნანადირევს** ახედ-დახედა (ბასარა, 37, 18); მოუთმენლად ველოდით **ნასთველევს** (შავი და თეთრი ძროხა, 64, 17); არც სადამოს ისურვა წამოდგომა, არც გვიან **ნავახშმევს** (ბასარა, 42, 18); იგი არც ძველი ნამამასახლისარი იყო და არც ახალი **ნათავმჯდომარევი** (ეპიტაფია, 43, 5);

2) ზედსართავი სახელის ფუძეა გამოყენებული წინავითარების სახელის მისაღებად: **ნაუშურევს** მილოცავს (თამაში, 66, 31); **ნამწარევი** გემო დაჰკრავდა ჭურის ღვინოს (ბასარა, 44, 23);

3) ზმნიზედაა გამოყენებული წინავითარების სახელის მისაღებად: ნამეტანი **ნადრევი** იყო (ავტობიოგრაფიული ნოველა); **ნაუცბათევი** გადაწყვეტილება აღარ გამოადგა (ავტომანქანის გატაცება, 302მ 22). არც თუ იშვიათია **ნა-არ** აფიქსის გამოყენების შემთხვევები: მე და ბებიაშ შავი ძროხა **ნავენახარის** გადაღმა გადამოვილ, გადაგლეჯილ, დახრამულ მინდორზე მარტონი დაერჩით (შავი დათეთრი ძროხა, 62, 25); იგი არც ძველი **ნამამასახლისარი** იყო და არც ახალი **ნათავმჯდომარევი** (ეპიტაფია, 43, 5) **ნაკაცარს** მაინც არ დაამგვანა ცხოვრებამ (ხელმოცარული, 74, 23). გარდა დასახელებული აფიქსებისა, მწერალი ამ სახელებს აწარმოებს აგრეთვე მხოლოდ **ნა-**პრეფიქსით: მეორე – კოწიას **ნაცოლები** ირინე იყო (აკაციის ყვავილობა, 121, 33); გადაიწია ნიკორაც და **ნახნავში** გადავიდა (ევანა, 56, 28). როგორც ვხედავთ, ოტია იოსელიანის წინავითარების სახელთა საწარმოებლად უმთავრესად მიმართავს **ნა-ევ** აფიქსს, უფრო იშვიათად –**ნა-არ**-საც. მწერლის ინდივიდუალური სიტყვაწარმოების ნიმუშია მხოლოდ **ნა-**პრეფიქსის გამოყენება წინავითარების სახელთა წარმოსაქმნელად.

#### VIII. აბსტრაქტულ სახელთა წარმოქმნა

აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად ქართულ ენაში გამოყენებულია **ეზა, ოზა** სუფიქსები და **სი-ე, სი-ო** კონფიქსები.

-**ეზა** და -**ოზა** აბსტრაქტულ სახელებში მიჩნეულია მასდარისაგან მომდინარედ, კონფიქსებიდან ძირითადად **სი-ე**, ხოლო **სი-ო** მისი ფონეტიკური ვარიანტია. ეს უკანასკნელი მოხმარებითაც შედარებით იშვიათია.

-**ეზა** და **სი-ე** ძირითადად ადიექტივის ფუძეებისაგან აწარმოებენ განყენებულ ცნებას, -**ოზა** კი დაერთვის სუბსტანტივებს, მოქმედებითი გვარის მიმღეობათა ფუძეებს და წარმოქმნის განყენებულ ან კრებით სახელებს.

#### -**ოზა** სუფიქსიანი სახელები:

ოტია იოსელიანის ენაში აბსტრაქტული სახელების უმრავლესობა ნაწარმოებია -**ოზა** სუფიქსით, რომელიც დაერთვის სხვადასხვა ფუძეებს. ამისათვის შეიძლება გამოიყენოს:

1) არსებითი სახელი:

არ გვესმოდა რა იყო სიტყვა მამა, ჩვენ აქამდე არავისთვის არ დაგვიმახნია და ვინ მოთვლის რამდენჯერ გამოგვიგლოვია ... ჩვენი პარტახი **ოზლობა** (ავტობიოგრაფიული ნოველა);

**მწერლობა** ჩემი მეათე "ხელობაა" და ამიტომაც, ყველაზე ნაკლებად რომ ვიცი-მეთქი (ავტობიოგრაფიული ნოველა);

**უმამოზას უდედოზა** დაემატა (ავტობიოგრაფიული ნოველა);

სადგურთან ახლოს, **მემანქანეოზა** იყო ჩემთვის ძილში და ღვიძილში საოცნებო და საფიქრალი (ჩქარი მატარებლიდან, 18, 4);

როგორც ეს **კაცობრიოზას** დღიდან დღემდე ესმის (დედა, 55, 12);

**მასპინძლობა** გაუსინჯა, სტუმრის პატივისცემაში გამოცადა (ეპიტაფია, 44, 34);

გადახადეს **ნიშნოზა** (ეპიტაფია, 45, 2);

სარდიონის ღვიძლი **ძმოზაც** დასწამა და ქერივ-ოხრის განკითხვა მოითხოვა (ხელმოცარული, 75, 24);

მოსვეს ნუნუა და ანტონას სიტყვა ჩამოუგდეს ჯერ ახლო **ნათესაოზაზე**, მოჭარბებულ სიყვარულზე (ხელმოცარული, 75, 35);

**გოგოზა**, ბარე ექვსი წელიწადია, დაამთავრა დარომ (ქერივის ცრემლები, 95, 27);

უყურე შენ ამ უგვანოს, რავა **ეშმაკოზა** იხმარა, არ გადაჯექიო? (ქერივის ცრემლები, 102, 7);

2) ზედსართავი სახელი:

ამ მწელებლობით აღსავსე ქვეყანაში მისი უზარმაზარი სიყვარული, ცეცხლოვანი ალერსი, სიბრძნე, "ჭირსა შიგან გამაგრება" და ბედთან **შეურიგებლობა** მომაკლოს (ავტობიოგრაფიული ნოველა);

ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვი მის **უკეთესობაზე** (ცეცხლთან თამაში, 164, 3);

მან იცოდა მისი ძალა **მიუწვდომლობაში** იყო (ია, 256, 28);

ჩემთვის სულ ერთი იყო: მისი ქალიშვილობა და ჩემი **უცხოობა** (ცეცხლთან თამაში, 168,9).

4) მიმღეობა:

ასე იმედგაცრუებული და გაწილებული სტუმარი შენ გაგიჩერდება და შენს მარტოობას და **მოწყენილობას** დაგიდევს? (ჩემი "ვეფხისტყაოსანი").

ამდენი **უსირცხვილობის** ატანა აღარ შეეძლო (ხაფანგი, 305, 22);

რომ მეშველა, მგონია **მხატვრობის** მიხედვით რაღაც ზღაპარს მოვიგონებ (ჩემი "ვეფხისტყაოსანი", 76,5);

5) ნაცვალსახელი:

მაგრამ სიტბოდან სიცივეში და სიცივიდან სიცხეში შესვლას, – უცაბედ **სხვაობას**, მას აქეთაა, ვერ ვიტან (დედა, 54, 17)

**უჩემობას** რას გაუძლებდა (მეწისქვილის ქალიშვილი, 45, 3)

6) კომპოზიტები:

ჩემთვის სულ ერთი იყო: მისი **ქალიშვილობა** და ჩემი **უცხოობა** (ცეცხლთან თამაში, 168,9);

თქვენი და–მშობაც ვიცით, **ოჯახიშვილობა** (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 41, 14);

ამ კაცისთვის ვინმეს არც სოფლის **თავგაცობა** მიუღწევია და ძალისძალათი არც სოფელზე მზრუნველობა მოუხვევია თავზე (ეპიტაფია, 43,7);

**ბიძაშვილობას**, სახელი არ შეცვალა (ხელმოცარული, 78, 31);

სხვა დროს ბუჭულია უკუღმართი მთლად ფაცვას ამწყემსვინებდა და კიდეც ათას **უკუღმართობას** უწყობდა (ლახტი, 244, 35);

–**ება სუფიქსიანი სახელები**: –ება სუფიქსი ფუნქციით –ობა–ს მსგავსია:

1) იშვიათად აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს არსებითი სახელის ფუძიდან:

არავის აქცევდა **ყურადღებას**, არავის ამჩნევდა (ბასარა, 42, 15).

2) ზედსართავი სახელიდან: მეზობლებს **უსიამოვნება**ც მოსვლიათ (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 45,16);

მაგრამ მწვანე ყანებსა და მას შორის, ესე იგი, მის **ბედნიერებასა** და **უბედურებას** შორის ვიდექი მე, უმწეო არსება (შავი და თეთრი ძროხა, 65, 25);

მამის დაკარგვის ტკივილი და **მწუხარება** არ განგვიცდია (ავტობიოგრაფიული ნოველა);

3) წარმოქმნილი სახელებისაგან: უმთავსრესად –**იერ** და –**ოვან** სუფიქსიანი ქონების სახელებისაგან:

ჩემმა **ახოვანებამ**, ფაქტია თვალი მოჭრა (მეწისქვილის ქალიშვილი, 180, 3);

და დარჩა **წამიერებად** (ხაფანგი, 302, 8)

4) აბსტრაქტული სახელის ფუძედ –**ება** იყენებს მიმღეობასაც:

მაგრამ ჩემი **ცხოვრება** სულ სხვა იყო (ავტობიოგრაფიული ნოველა);

ასეთი უნდა ყოფილიყო ჩვენი **შეუღლება** (ცხოვრების სიბრძნე, 30, 24);

შენ დათვით აგორებულ ცალიანზე იყავი მიყრდნობილი და **გამარჯვებას** ზეიმობდი (მეწისქვილის ქალიშვილი, 179, 26);

როგორც ოტია იოსელიანის ნოველების ანალიზმა გვიჩვენა, მწერალი უპირატესობას –**ობა** სუფიქსს ანიჭებს, რაც ამ სუფიქსის ასპარეზის გაფართოებას უნდა მიეწეროს.

**სი-ე აფიქსიანი სახელები**

გარდა სუფიქსური წარმოებისა აბსტრაქტულ სახელებს ახასიათებს აგრეთვე პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება. ამის მაწარმოებელია **სი-ე**, რომელიც, როგორც წესი, დაერთვის ადიექტივის ფუძეს. ასეთი წარმოება ო. იოსელიანის ენისათვისაც ჩვეულებრივია, ამიტომაც მცირე ნიმუშებით დავკმაყოფილებით:

და ჩემი ობლობა მისი **სიშავის** და სიავის ნაქადები და ნაბოძები (შავი და თეთრი ძროხა);

ჟუჟუს **სიწითლე** გადაჰკრავს, დაიმორცხვებს (თამაში, 63, 9);

მისმა **სითეთრემ** თითქოს თვალიც მომჭრა (თეთრი ქალიშვილი, 109, 6);

1) ფუძედ იყენებს მიმღეობას:

სიცოცხლეს **სიმშვიდე** უნდა (სიცოცხლის შემოქმედი, 34,1).

2) ფუძედ იყენებს არსებით სახელს:

**სიყმაწვილის** ქარი უქროდა თავში (ხაფანგი, 300, 23)

3) ფუძედ იყენებს ზედსართავ სახელს:

- თქვენი **სიგოცხლე**, მუხებო, ვენახებო! (ჩქარი მატარებლიდან, 19, 12);

მოგეცა **სიკეთე**, **სიცივე** არაა, მაგრამ სადამოა, რომ გაცივდეს... (თეთრი ქალიშვილი, 114, 12);

-თქვენ თქვით **სიმართლე**, - უფრო ხმადაბლა დაუმატა, - **სიმართლე** (დავა ავტობუსში, 261, 24);

ბუხრის სითბოს სხეულში რაღაცნაირი საამო **სიზარმაცე** თუ მოთენთილობა შემოაქვს (წვიმა ორრობეში, 275, 8);

შორს ხიდის შემალღება გამოჩნდა და მე კიდევ ვუკელი **სიჩქარეს** (აკაციის ყვავილობა, 132, 32);

ამდენად, ოტია იოსელიანის ენაში აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად ყველაზე გავრცელებულია **-ობა** სუფიქსი; იგი, ფაქტობრივად იჭერს **-ება**-ს საწარმოქმნო უნარს. გამოყენების სიხშირით **-ობა** და **-ება** აფიქსებს ჩამოუვარდება **სი-ე** აფიქსიანი წარმოება.

## IX. ხარისხის სახელთა წარმოება

ხარისხის სახელი საგნის ნიშან-თვისებას წარმოადგენს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ამის მიხედვით გამოჰყოფენ ხარისხის ორ ფორმას: უფროობითსა და ოდნაობითს.

როგორც წესი, უფროობითი ხარისხი ეწარმოება ვითარებით ზედსართავ სახელს. ამ ჯგუფის სახელთა წარმოება თითქმის ერთფეროვანია. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართულში ნიშან-თვისების მზარდი სემანტიკის (უფროობითი ხარისხის) გამოხატვის უნარი შეიძინეს მიმართებითმა ზედსართავმა სახელებმაც (ფეიქრიშვილი, 75).

არც თუ იშვიათად უფროობითის სემანტიკა გაძლიერებულია ზმნიზედებით (უფრო, ძალიან, მეტად) და -ზე თანდებულიანი სიტყვით.

ოტია იოსელიანი ნოველებში ძირითადად ხარისხის წარმოების ტრადიციულ ფორმას აძლევს უპირატესობას:

**უფროობითი ხარისხის სახელების წარმოება:**

მწერლის შემოქმედებისათვის **უდიდესი** მნიშვნელობა აქვს ბიოგრაფიას (ავტობიოგრაფიული ნოველა);

ეს თითქოს **უკეთესიცაა** (ავტობიოგრაფიული ნოველა);

და ჩემს დიდებულ, ქვეყნის **უკეთეს**, **უამეს** და **უკეთილშობილეს** ბებიაზე თავიდანვე არ ვილაპარაკე (ავტობიოგრაფიული ნოველა);

ჯერ ნეფე-დედოფალს უსურვეს მზე და მთვარესავით ერთმანეთს შებერება, მერე მშობლებს **უბედნიერეს** დაწვევებულნი (ეპიტაფია, 45, 8);

**ოდნაობითი ხარისხის სახელების წარმოება:**

ზღვას **მომწვანო-მოლურჯო** ფერი აქვს და უსაშველოდ ღრმაა (მენავე, 86, 15);

ეს **მოტკბო** სუნი მიზიდავდა (ხაფანგი, 297, 5);

**მომყავო** გემოს გამო შევიყვარე ქლიავი ( თეთრი ქალიშვილი, 112, 3).

ოტია იოსელიანი ნოველების ენაზე დაკვირვებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ მწერლისათვის უპირატესობას წარმოადგენს ხარისხის ფორმათა წარმოება ტრადიციული თავსართ-ბოლოსართებით, თუმცა მწერლის ენაში უფროობითის ფორმები რაოდენობრივად ჭარბობს ოდნაობითის ფორმებს.

**მცენარეთა კრებულის სახელები**

ო. იოსელიანი მცენარეთა კრებულის აღსანიშნავად იყენებს –ნარ ბოლოსართს:

**წიფლნარში**, ხშირი **ბუჩქნარი** რომ იწყება, იქ, ერთგან შუა ბარდებში, პატარა თავშლის გაშლა ადგილია (ქვრივის ცრემლები, 104, 4);

ხვალ სადამოს **წიფლნარის** ტყეში დაგიხვდებიო (ქვრივის ცრემლები, 103, 10);

მერე, თვითონ ჩამოვალ **მუხნარში** (თეთრი ქალიშვილი, 113, 23).

გარდა ზემოგანხილული სემანტიკური ჯგუფებისა, წარმოქმნილი სახელები შეიძლება იყოს აგრეთვე გეოგრაფიული, ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით ნაწარმოები, უცხოაფიქსიანი და ორმაგი წარმოებისა, რასზეც ამ ეტაპზე ყურადღებას არ ვამახვილებთ.

თანამედროვე ქართულ ენაში სიტყვაწარმოება ესოდენ პროდუქტიული რომ არის, ამაში უდავოდ ქართული მწერლობის დიდი დამსახურებაა, ქართული ენის განვითარებაში სხვა მწერლებთან ერთად უთუოდ დიდიდა ოტია იოსელიანის წვლილი.

## ლიტერატურა:

ზურაბიშვილი ი. – ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.

მანჯგალაძე ლ. – სუფიქსისათვის ძველ ქართულში, იკე, V, 1953.

ტუსკია მ. – სახელთა წარმოქმნის ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969. №1.

ფეიქრიშვილი ჟ. – სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართულში, თბ., 2008.  
 ფოჩხუა ბ. – ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974.  
 ღამბაშიძე რ. – პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგიერთი საკითხი: ქსკს, VI, 1984.  
 ღლონტი ალ. – ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.  
 შანიძე ა. – ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1953.  
 ჩიქობავა არნ. – ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1957.  
 ჩიქობავა არნ. – სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1941.  
 ძიძიგური შ. – ქართული ენის ლექსიკა, თბ., 1956.  
 ჭიკაძე რ. – ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, თბ., 2014.

#### გამოყენებული თხზულებანი

ოტია იოსელიანი, ნოველები, თბ., 1974.  
 ოტია იოსელიანი, ჩემი ასავალ-დასავალი, თბ., 2009.  
 ოტია იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტომი IV, თბ., 2006.

*Manana Mikadze*  
*Akaki Tsereteli State University*  
**WORD DERIVATION IN OTIA IOSELIANI'S NOVELS**  
**RESUME**

Forms of derivation words of the Georgian language is rich and varied means of diversion. The paper deals with the principles of Georgian word derivation, the frequency of use and features of the language in terms of the writer. At this point we see the principles of word derivation after –Otia Ioseliani's language of novels.

**ნიკოლოზ ოთინაშვილი**  
 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

#### **ლექსიკის ტერმინოლოგიური ძიებანი: სილითი, მტილიანა, ლიპი, წუნარი, ლიხვა**

ზემო ქართლი ძირითადად ფრონეების ხეობას მოიცავს, რომელიც ისტორიულად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამიმოსვლო გზებით აკავშირებდნენ. დღესაც ლიხის მთაზე რამდენიმე გადასასვლელია, ესენია: პერანგას, კორტოხის, დედაბერას, რიკოთის, საქართლის, გომართისა და სხვებისა, რომლებიც ადრე საურმე შემდგომ კი სამანქანო გზებითაც იყო დაკავშირებული.

ფრონეს ხეობა და მათ შორის მთიანი ნაწილი ყოველთვის ქართველი ტომებით იყო დასახლებული, რასაც მოწმობს მთელი რიგი არქეოლოგიური ინვენტარი, რომელიც ამ მხარეშია აღმოჩენილი (ჯაფარიძე ო., გვ. 183).

მხარეში ყურადღებას იქცევს მთელი რიგი ლექსიკოლოგიური ერთეულები, რომლებიც ქართული ენისა და დიალექტოლოგიური მონაცემებით აიხსნება.

ყოფილი ოლქის უკიდურესად დასავლეთით იმერეთის მოსაზღვრედ მოედინება ლოპანის წყალი, რომელსაც სამხრეთით ფრონე ეწოდება. ამ წყლის სათავე ნასოფლარ ზუისხევის ჩრდილოეთით სელითის მთაშია და იქიდან მომდინარე ამ წყალს სილითის დელეს უწოდებენ.

ზუისხევის ვრცელი სანახები დიდი ხანია დაცლილია, უღრანი ტყეები საუკუნოდ გარინდულან.

ხეობა სილითის თვალუწვდენელი მიდამოები ისტორიულად იმერეთის სამეფოს ემეზობლებოდა და იქ ყოველთვის იმერლები მოსახლეობდნენ. ამ ხეობის ისტორიული მნიშვნელობა მისმა

გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა, რადგან აქედან გზა ქართლის სამეფოში გადადიოდა, კერძოდ კი მუხაურსა და თილვანში, სადაც თავადის სამოსახლო იყო და ამავე დროს სავაჭროები იყო მოწყობილი.

სილითის ღელე ლოპანის წყლის მარცხენა შენაკადია და ბზისხეველები ამ ანკარა წყაროს სასმელადაც იყენებდნენ. სახელი სილითი ადგილობრივთა გადმოცემით საუკუნეებიდან მომდინარეობს და ჩვენამდე მოაღწია. საინტერესოა ამ სიტყვის ეტიმოლოგია.

ნიადაგის თვისების აღმნიშვნელი სახელები საკმარისად მოიპოვება ქართულში და ენის დიალექტებში. ტერმინთა ერთ ჯგუფს მიწის შედგენილობის მთავარი ნაწილის სახელი აქვს აღბეჭდილი. ხშირად ნიადაგი მსხვილი თუ წვრილი ქვანარევით არის ხოლმე სავსე, ამიტომ ბუნებრივია, რომ მიწის ასეთი თვისებისათვის ადამიანს ყურადღება მიექცია დამახასიათებელ გარემოებად მიეჩნია და არაერთი ტერმინი სწორედ ასეთი ცნების გამომხატველია.

ზემოხსენებულ ხეობაში სილითის ღელე, სილითის მთა, მსაზღვრელი სიტყვა რამდენიმე ისტორიულ წყაროშია დაფიქსირებული.

სულხან-საბას განმარტებით „სილა არს ქვა ვითარცა გაცრილი, ქვიშა ხვარბალთა ოდენი, კენჭი ცერცვთა ტოლი და უდიდესი“ (ს.საბა, გვ. 222). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც: „სილა, წვრილი ქვიშა“ (ქ.ე.გ.ლ., 1990).

სილასთან დაკავშირებული ნიადაგის დამახასიათებელი ტერმინი ქართული ენის იმერულ დიალექტშია გავრცელებული, სადაც სილასაგან წარმომდგარ ნიადაგს სილა მიწა ეწოდება. ზემოთხსენებულ ლექსიკონში ეს ტერმინი ასეა მოცემული: „სილა აყალოს შემდეგ ქვევრის თავზე დასაყრელი წვრილი ქვიშა. სილა ინახავს სისოვლეს, აყალო, რომ არ გახმეს“ (მოწენიძე ქ., გვ. 258). ეს სიტყვა სხვა მხარეებშიც არის გავრცელებული და გეოგრაფიულ სახელად არის ქცეული. ვუკოლ ბერიძის „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, აღნიშნავს, რომ სილას გარდა გაცრილის მსგავსი ქვიშის აღსანიშნავად ლისაც იხმარება: „ლისა სილა, წვრილი ქვიშა (რაჭა)“ (ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, გვ. 39). ეს სიტყვა რაჭულში ახლაც არის დაცული. ფცის ფრონეს ხეობაში არის ნასოფლარი ლისა - ლისი ორივე სახელით, სადაც არის ხეობა და ეკლესია, ციხე-სიმაგრე. ეკლესიის კედლებზე ნუსხური დამწერლობის ნიმუშებია შემორჩენილი. წარწერები ძნელად იკითხება.

დვანის ფრონეს სოფელ ავნევის ერთ-ერთ მამულს ეწოდება სილაური - სილაურები, სადაც მსგავსი შედგენილობის ნიადაგებია და სრულიად ბუნებრივია, რომ ეს სახელი ეწოდებინათ იქ მცხოვრებ იმერლებს: ჭილაძეებს, კვინიკაძეებს, ნადირაძეებს, ბრეგვაძეებს, რომლებიც აქ დიდი ხანია ცხოვრობენ.

### **მტილიანა**

ამ სახლით ცნობილია მცირე მდინარე დვანის ფრონეს ხეობაში, რომელიც სათავეს იღებს ჩრდილოეთით ფრონესა და დიდი ლიახვის ხეობის წყალგამყოფზე ბარი-რუსთავის სანახებიდან, მოედინება სამხრეთით და სოფელ ავნევთან უერთდება დვანის ფრონეს. ამ პატარა, ლამაზ ხეობაზე რამდენიმე ისტორიული ძეგლია, რომლებიც სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნება, არის ნასახლარები რომელთაგან ერთში რამდენიმე მოსახლემ სახლები ააგო და მას „ავნევის ტილიანა“ ეწოდება. ვახუშტი ბაგრატიონი არ ასახელებს რაიმე დასახლებას თავის „აღწერაში“, მაგრამ მდინარე დატანილი აქვს რუკაზე სახელის გარეშე და ეს მდინარე არის მტილიანა (ბაგრატიონი ვ., რუკები, 1745).

მდინარე მტილიანა ძველი დროიდან სოფელ ავნევის მამულების მრწყველი არტერიაა და რამდენიმე ათეული წლის წინათ აქ ორი წისქვილიც იყო მოწყობილი.

ძველმა ქართულმა მწერლობამ ბოსტნეულისა და ხეხილის შემცველი ერთეულის აღსანიშნავად ორი ზოგადი ტერმინი იცოდა მტილი და სამოთხე. ისე სულხან-საბას მოვუხმობთ, რომელიც ასე განმარტავს: „სამოთხე წალკოტი შვენიერი, გინა ფუფუნება, გინა ყვავილთა მტილი რომელ დაასხა უფალმან აღმოსავლისა მხარესა ქვეყანასა ზედა“ (სულხან-საბა, 1993). გიორგი მერჩულეს „მტილი“ ზალისა და ხეხილის მნიშვნელობით აქვთ გამოყენებული.

„მტილი“ მოხსენიებულია სხვა საერო და სასულიერო მწერლობის ძეგლებშიც და ჩანს, რომ ის ზოგადი ქართული ტერმინი ყოფილა.

სოფელ ავნევის მოსახლეობა მდინარისა და ხეობის აღსანიშნავად ორივე სახელს მტილიანასა და ტილიანასაც იყენებს, მაგრამ თავდაპირველი ფორმა მტილია, თავკიდური ბგერა მ დროთა განმავლობაში ნაწილობრივ დაიკარგა.

მტილი - მტილიანა იმ ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა, სადაც მეურნეს ზაღ-ბოსტანი მოჰყავდა და ინტენსიური მეურნეობა ჩვენში ძველი დროიდან ყოფილა.

აღნიშნული ლექსიკური ერთეულები წმინდა პრაქტიკული საჭიროების ნიადაგზეა წარმოშობილი და კარგად ასახავენ ადგილისა და ხეობის თავისებურებებს, ეს კი ჩვენი ენის ლექსიკური მარაგის სიმდიდრეზე მიუთითებს.

## **ლიპი**

სახელწოდება-ტერმინი ჩაწერილი გვაქვს ლოპანის წყლის სათავეში, ნასოფლარ ბზისხევის მიდამოებში. ეს არის უღრან ტყეში ტყიან-კლდიანი ადგილი, სადაც აგვისტოს თვეშიც კი სიცივეა და თოვლი გვიან დნება. ლიპი უფრო კლდესა და იქიდან გამომავალ წყაროს ეწოდება, რომელიც მერე როცა უკვე მოზრდილ დეღედ იქცევა ეწოდება ცივდელე, რომელიც ხახულის დელეს მარჯვენა შენაკადია, თავის მხრივ აღნიშნულ ხევიც ფრონეს მარჯვენა შენაკადია.

სულხან-საბასთან აღნიშნული ტერმინი ასეა განმარტებული: „ლიპი მთელი ადგილი გაყინული“ (ს.საბა, 1991). ადგილობრივთა განმარტებით აღნიშნული ტერმინი ასევე უხვწყლიანობას უკავშირდება. ეს სახელი შენარჩუნებულია ქართლ-იმერეთის მოსაზღვრე მხარეში.

## **ლია-ლიხვა**

მხარეში მშვილდაურისა და პერანგას მთები და მთისწინეთი არის წყალგამყოფი საჩხერის სოფლებთან. ამ ადგილებიდან რამდენიმე მდინარე და დეღე იღებს სათავეს და ერთ-ერთია მეტეხის წყალი, რომლის სახელი დარქმეულია სოფელ მეტეხის მიხედვით, რომელიც წარსულში საკმაოდ დიდი სოფელი იყო. „1715 წლის რუკის საეპისკოპოსოს დავთრის“ მიხედვით სოფელი მთლიანად ქართულია და ცხოვრობენ: ლაშხები, იარღანაშვილი, ბოჟაძე, კახნიაშვილი, ოდიკაძე, პაპიძე, ნასყიდაშვილი, კიკნაძე, ფუსიანი და სხვა გვარები.

მეტეხის წყლის ანუ ფრონეს მარჯვენა შენაკადია ლიადელე, რომელიც სათავეს იღებს ლიხის მთის აღმოსავლეთის მხარის ქედებიდან, მეორე მდინარე ცნობილია, როგორც ლიხვა, რომელიც ამავე მთაში იღებს სათავეს. აღნიშნული სახელების შესახებ რამდენიმე გამოკვლევაა, რომლებიც დღესაც საინტერესოდ გვეჩვენება.

ს. საბა სიტყვა ლიას განმარტავს, როგორც საფლობი ტალახი (ს. საბა, 1991).

ზემოიმერულ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ლაფი, ტალახი, გუბე, კოკისპირული წვიმა და ლიამპარი“ (მოწენიძე ქ., 1974).

ზურაბ ჭუმბურიძის გამოკვლევით „ლილხუ“ სვანურად თოვლის დნობას, ლხობას ნიშნავს, არსებობს ტოპონიმიც ლია-ხვია (ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, 1987).

ჩვენს გამოკვლევაში მდინარე ლიახვის სახელწოდების შესახებ ვეყრდნობით ზემოხსენებულ შეხედულებებს და მიგვაჩნია, რომ ქართული ენის დიალექტები არის საყრდენი ეტიმოლოგიისათვის.

## **წუნარი**

ეს სახელი ეწოდება სოფელსა და გუმბათოვან ტაძარს, რომლებიც ცხინვალის დასავლეთით თხუთმეტი კილომეტრის დაცილებითაა და დვანის ფრონეს აუზში მდებარეობს.

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში წუნარში ცხოვრობდნენ მჭედლიძეები, რომლებიც მერე სოფელ ზემო ნიქოზში და ცხინვალში ჩასახლდნენ, ასევე სოფელ ფრისში და მერე ამ სოფლიდან ნაწილი მოსახლეობისა შიდა ქართლის სოფელ ხურვალეთში გადავიდა.

1728 წლის თურქული აღწერით წუნარში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ და არც ერთი უცხოტომელი არ სახლობდა.

წუნარი გაიზარდა როგორც „წუნისაგან“ ნაწარმოები დაწუნებულის მნიშვნელობით. ამგვარ სახელწოდებას ხსნიან იმ მიზეზით, რომ ტაძარს უხეიროდ ნაგები გუმბათი აქვს, რის გამოც თამარის ეპოქაში დაწყებული ტაძარს მშენებლობა მისი გარდაცვალების შემდგომ შეეცვინდა, შემდგომ კი დიდმა ბრძოლებმა შეუშალა ხელი და შემდგომ განასრულა დემეტრე თავდადებულმა (1271-1289). ვახუშტი ასახელებს ტაძარს, სოფელს და წუნარის ხევსაც, რაც უეჭველია, რომ ქართული ეტიმოლოგიზება მართებულია.

„ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ მეფე ვახტანგ გორგასალმა „აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა“ ე.ი. წარმართთა სამლოცველოსთან, მართლაც წუნარი და იქ მდებარე „სადეთო ჭალა“ (ტოპონიმი) ამ ადგილებიდან სულ ორიოდ კილომეტრითაა დაცილებული და ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წუნარის მსგავსი ტოპონიმები არაერთგზის გვხვდება ფრონესა და ლიახვის ხეობებში და ისინი წარმოადგენენ ანალოგს ქართული ტოპონიმების მთელი რიგის: დარბაზი, სავანე, ტაძრები, ბაღები და სხვა მრავალი.

ეტიმოლოგიის ბევრი მოყვარული, განსაკუთრებით დღეს იქ მოსახლენი განმარტავენ, რომ თითქოს წუნარი შეერქვა ამ სოფელს იმიტომ, რომ ეს არის (ე.ი. დღევანდელი დასახლება) ნარის ახალშენი. ნარიდან გადმოსულემა, უფრო სწორად ქართველი თავადების გადმოყვანილმა გაოსებულმა დეალებმა თითქოს ახალ სოფელს შეარქვეს პატარა ნარი - „წუნ ნარი“, ხოლო ამ ბოლო სახელიდან შეიქმნა ქართული წუნარი. საცოდაობაა, რომ ამგვარი განმარტება უცხოტომელების სწავლულებისთვისაც მიგნებად, გამოკვლევად ითვლება. ამ ცოტა ხნის წინათ ვლადიკავკაზში დაიბეჭდა ე.წ. „სამხრეთ ისეთის ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“, სადაც ყველაფერია დაბეჭდილი ეთნოგრაფიის გარდა. მათ შორის სოფელი წუნარიც, თითქოს მიღებულია წუნარიდან.



მეცხრამეტე სუკუნის 20-იან წლებამდე ოსური მოსახლეობა არსად ჩანს არც ფრონესა და არც ლიახვის ხეობებში. კომპოზიტი წუნარის მეორე კომპონენტი ნარი არის ერთ-ერთი ძველი დასახლება ცენტრალურ კავკასიონზე, იგი ისტორიულ დვალეთში შედიოდა. ვახუშტის აღწერაში კარგად ჩანს, რომ მის დროს დვალეთის და მალრან-დვალეთის მოსახლეობა ქართული ენის დვალურ დიალექტზე მეტყველებდნენ და მასალებიც დვალებმა ჩააწერინეს. ნარი სრულიად უტყეო ადგილია და მოსახლეობა შემას დიდი ლიახვის სათავეებიდან ეზიდებოდა და განსხვავებას, რასაც მოსახლეობა აშკარად გრძნობდა მთასა და ტყიან დვალეთს შორის, უნდა წარმოეშვა სახელწოდება ტყიანი დვალეთი, რაც ძველ ქართულში წარმოითქმოდა მალრან-დვალეთად.

ს. საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ ნარი სხვადასხვანაირად არის განმარტებული „სახელთა თავის ართრონი ვითარცა ნამეფარი, ნასახლხუცესი, ნაქალაქევი, ნასოფლარი“ (ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1991, გვ. 556).

ზ. სარჯველაძე „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ აღნიშნავს, რომ ნარი არის ტყე (სარჯველაძე ზ., გვ. 164).

ალ. მაყაშვილი ბოტანიკურ ლექსიკონში აღნიშნავს, რომ ნარი არის ტყე (მაყაშვილი ალ., გვ. 120).

#### ლიტერატურა:

1. თსუ შრომები, ტ. 63, თბ., 1956. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში.
2. ორბელიანი ს. საბა, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, თბ., 1990, გვ. 887.
4. ძოწენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
5. ბერიძე ვ., სიტყვის კონა, პეტერბურგი, 1912.
6. ბაგრატიონი ვ., რუკები, 1745.
7. ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, თბ., 1987.
8. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.
9. მაყაშვილი ალ., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991.

*Nikoloz Otinashvili*

*Gori State Teaching University*

#### **TERMINOLOGY SEARCH OF VOCABULARY: SILITI, MTILIANA, LIPI, TSUNARI AND LIKHVA RESUME**

Valley of frone is located in kartli. The valley used to make connected ways the west and east Georgia.

There are important lexical issues in Frone Valley and they are explained accrodiny to Georgian grammer and dialects.

A spring and mountuin of Sileti are located in the source of Lopini water and this is explained as a soil, which is created from sand except sand, they use the following name “Lisa” that means siftee sand and this word still exist in the list of Racna dialects.

Mtiliana is a name of river and this term is used in the vally of Lkani.

Mtiliana is explained as a murnet garden and that in for mation is found through old Georgian writing.

Lipi is a rocky place from where spring flows.

Lia-Likhva has the following definition: stick in the mud.

Tsunarinas the following definition: It is a produced name from “Tsun”.

## რუსულენოვანი ლექსიკისათვის სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში

XIX საუკუნიდან ქართველების ინტენსიურმა ურთიერთობამ რუსეთის იმპერიასთან ასახვა ჰპოვა სალიტერატურო ქართულსა და ზეპირ მეტყველებაში. შემოვიდა და დამკვიდრდა ათასობით რუსული სიტყვა. რუსულენოვანი აპელატივი მეგრულში ან სალიტერატურო ქართული ენიდან არის ნასესხები, ანდა ზეპირი გზით არის შეთვისებული.

დავასახელებთ რუსულენოვანი მასალის ძირითად ნაწილს სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმებიდან:

**აკაცია** → რუს. **Акация** (ლათ. **acacia**) → ქართ. **აკაცია**→მეგრ. **აკაცია, ვაკაცია, ლაკაცია**. ტოპ. **ვაკაციაშჩინჯი** „აკაციის ძირი“ →1. ფერდობი გახომელაში, უჩაღალის ნაპირას; **ნალაკაცუ** → მორევი ეკუსქურზე, სოფელ უფალკარში. მორევის ადგილას აკაციის ხე მდგარა.

**კანავო** → რუს. **Канав** „თხრილი“. ტოპ. **განიშ კანავო/გონთხორილი** →1. არხი სოფელ მუხურში, რაც წარმოადგენს საზღვარს ხობის მუნიციპალიტეტთან; 2. არხი გოლასკურში. რესპოდენტის განმარტებით, განივი არხია, რადგან აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიედინება და იერთებს ყველა არხს (**ცხადაია „ქ. ო. „ V, 2011: 324**). განი მებრულში აღნიშნავს „განივს, გვერდითს“, ხოლო გონთხორილი→„ნათხარს; გათხრილს“.

**ბათარია, ბატარეა** (ფრანგ. **Batterie** → რუს. **Батарея**) → ქართ. **ბატარეა** „საარტილერიო ქვედანაყოფი“. ტოპ. **ბათარია/ბატარეა** – სოფელი და თემის ცენტრი სენაკის მუნიციპალიტეტში, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ცივის მარჯვენა ნაპირას, სენაკ-სოხუმის გზატკეცილზე. სენაკს დაშორებულია 4 კმ-ით. უწინ გოკირილი ერქვა. გ. ელიაშვილი იმეორებს ინფორმაციას განმარტებას: ბათარია დიდი ველია, სადაც რუსეთის ჯარის ბატალიონი იდგა ქვემეხებით. აქედან გაუხსნიათ ცეცხლი თურქებისათვის (**ელიაშვილი 1989: 26**).

პ. ცხადაია განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს: ბათარია, ანუ ქუფე თევზის საჭერი, მოღობილი ძარაა, რაშიც ქვა ჩაყრილი და დამბას ჰგავს (**ცხადაია VII, 2013: 68**).

**ბანკი** – რუს. **Банк** „ბანკი“. ტოპ. **ბანკიშ ტყე** „ბანკის ტყე“ – 1. ტყე ლოგინიასა და საზღვარდალს შუა, სოფელ საგვიჩოში; 2. ტყე სქურეს მარცხენა მხარეს, სოფელ საბესელოში; 3. ტყე სოფ. პატარა ზანაში. იგივე **დადიამ ტყე**. ზანამგასა და ხობისწყალს შუა, საჯიჯაოს საზღვართან მდებარე რამდენიმე ასეული ჰექტარი ეკუთვნოდა მაია დადიანს და ბანკში დაუფორმებია (**იქვე: 166**).

**დამბა**→გერმ. **Damm**→რუს. **Дамба** „ჯებირი, დამბა“→ქართ. **დამბა** „ხელოვნური მიწაყრილი ან ნაგებობა მდინარის ან ზღვის ნაპირების გასამაგრებლად“. ტოპ. **დამბა**→1. არხი. იწყება საგადელიოსა და აეროდრომს შუა. ერთვის „სლუჟის“ არხი და მდინარე ცივი (ს. ახალსოფელი); 2. მორევი მდ. ტეხურზე, სოფ. კოტიანეთში; **დამბაზენი**→სახნავი ცივის მარჯვენა მხარეს, სოფ. სახარბედიოში. მდინარეზე დამბა ყოფილა გაკეთებული, ხოლო იქვე ახლოს იყო რზენი „ვაკე“ (**იქვე: 167**); **დამბაშ ტომბა**→ მორევი მდ. ცივზე, სოფ. ეკში; **ნადამბუ** „ნადამბარი“ – ტბორი რიონის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ისულაში (**იქვე: 243**).

**დუმა, სხოდი**→რუს. **Дума** „სათათბირო“→**Госдума** „სახელმწიფო სათათბირო“; **сход**→ყრილობა; **сельский сход** „სოფლის ყრილობა“. ტოპ. **ნადუმუ/ნასხოდი**→მაღალი გორა სოფელ ხორშის ცენტრის დასავლეთით. პ. ცხადაია იმეორებს რესპოდენტის განმარტებას: აქ იკრიბებოდა ხალხი, ეწყობოდა სხოდი, ანუ დუმა. ეკიდა ზარი და საჭირო დროს დარეკავდნენ ხოლმე, რითაც სოფელს უხმობდნენ ასისტავები და ოცისტავები“ (**იქვე: 244**). შდრ. **სხოდი**→მინდორი სოფელ გეჯეთის ცენტრში, ნაფაცხურთან. „ძველად აქ იკრიბებოდა მთელი სოფელი. ამ შეკრებას ერქვა ცხოდი“ (**იქვე: 398**); **ნაფაცხუ/ნაცხოდი**→მინდორი სოფელ გეჯეთის ცენტრში, სადაც საოფლო საბჭოს შენობა იდგა (**იქვე: 259**).

**ზავოდი**→რუს. **Завод** „ქარხანა“→მეგრ. **ზავოდი**. ტოპ. **ნაზავოდუ**→ნახევარკუნძული მდ. შების ნაპირას, სოფ. ფოცხოში; **ნაზავოდუ**→1. მინდორი რიონის ნაპირას, სოფელ სირიაჩქონში. აქ მდგარა წყალზე მომუშავე ხის სახერხი ქარხანა; 2. მინდორი მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ჯიხაში.

**კაზარმა**→იტალ. **Cazerna** „სამხედრო ნაწილების საცხოვრებელი შენობა“→რუს. **Казарма**→ქართ. „ყაზარმა“. მეგრულ მეტყველებაში „კაზარმა“ ფორმით დამკვიდრებულია. მისი მნიშვნელობაა „ბოსელი, ფარდული, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებით: თამბაქოს ან აბრეშუმის პარკის საშრობი, ჩალის შესანახი, სიცხესა თუ წვიმაში ჩაის მკრეფავთა თავშესაფარი და ჩაის ასაწონი“. ალ.

ქობალია კაზარმას განმარტავს, როგორც ყაზარმული ტიპის გრძელ, გაუტიხრავ, ერთსართულიან ნაგებობას, რასაც სათავსოდ იყენებენ. ო. ქაჯაიას განმარტებით, კაზარმა იგივეა, რაც ბოსელი (მსჯელობისათვის ობ. ცხადიაა „ქ. ო.“ V, 2011: 322). ტოპ. ნაკაზარმუ – 1. სახნავი სოფელ ფოცხოში. აქ მდგარა პარკსაშრობი ფარდული; 2. სახნავი სოფელ ახალსოფელში. ამ ადგილას კოლმეურნეობის სასიმიინდე მდგარა; 3. ჩაის ფართობი დღურუს მარცხენა მხარეს, სოფ. პატარა ზანაში; 4. ჩაის ფართობი სოფ. ეწერში, საზარანდიოში. აქ, ჩაის პლანტაციამ, ყაზარმა „ფარდული“ მდგარა (ცხადიაა V, 2013: 246). კაზარმა მეგრულში აღნიშნავს როგორც ფარდულს, ისე ბოსელს, სასიმიინდეს და დროებით საცხოვრებელს (იქვე: 323).

**კარტოფილი**→გერმ. *Kartoffel*→რუს. *Картофель*→ქართ. **კარტოფილი**. ტოპ. **ნაკარტოფილუ** „ნაკარტოფილარი“ – მინდორი სოფ. საჩიქობავოში, საჩიქობაშ გოლაში.

**კლასი**→რუს. *Класс* (სხვადასხვა მნიშვნელობით)→მეგრ. **კ(ი)ლასი/კლასი** „სკოლა, დაწყებითი სკოლა, რვაწლიანი სკოლა“. ტოპ. **კლასკარი** – ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხენა მხარეს. სოფ. ლეგოგინეში, რვაწლიან სკოლასთან; **ნაკილასუ** – 1. მინდორი კოტიანეთის სასაფლაოთან. XIX საუკუნეში კლასი სამეგრელოში სკოლის აღმნიშვნელი იყო. ნაკილასუ აღნიშნავს ადგილს, სადაც სკოლა იდგა; 2. მინდორი სოფ. ლეგოკაიეში, ლეგაბუნიეში; **ნაკლასუ** – 1. მინდორი ცაცხუგეტახილთან, სოფელ უმაფათში; 2. სახნავი ეკუსქურის მარცხენა მხარეს, სოფელ უფალკარში; 3. მინდორი სოფელ კვაუთში. **ნარმაშ კლასი** – ერქვა სკოლას ქ. სენაკში, რომლის დირექტორი გვარად ნარმანია ყოფილა.

**ლაგერი**→რუს. *Лагерь* „ბანაკი“. მეგრულში ზეპირი მეტყველების გზით შემოსულია XIX საუკუნეში. ტოპ. **ნალანგერუ** – 1. მინდორი გითოკირილთან, ქ. სენაკში, სადაც თურქეთთან ომის დროს რუსის ჯარი მდგარა; 2. ნაციხარი ხორიათზე, სოფელ ციხეთში. 1855 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, აქ თურქების „ლაგერი“ ყოფილა (ცხადიაა VII, 2013: 249).

**მანდარინი** → რუს. *Мандарин* „მანდარინი“. ტოპ. **ნამანდარინუ** – 1. ბაღი ტეხურის მარცხენა მხარეს, სოფ. გეჯეთში; 2. სახნავი ოხვამეფერდის დასავლეთ კალთაზე, სოფ. ფოცხოში; 3. სახნავი ჯიხირთან, სოფ. პირველ ნოსირში; 4. ფერდობი სოფ. კოტიანეთის სასაფლაოსთან.

**მაჩარკა** – ერთწლიანი მცენარე გოგრისებრთა ოჯახიდან. დამუშავების შემდეგ ტანის გასახეხად (დაბანისას) იყენებენ. ქართულში ლუფა (luffa) ეწოდება. რუსული შესატყვისია *Мочалька (мочальная тыква)*. მეგრულს ორი ფორმით შეუთვისებია: **მაჩალ(ი)კა** და **მაჩალ(ი)გა**. ტოპ. **მაჩარკატყა** – ტყე ქ. სენაკში, საკინწურამეილოში. აქვე წყაროს **მაჩარკაშ წყარი** ეწოდება.

**ობში**→**ოფში** რუს. *Овчий* „საერთო, საზოგადო, საყოველთაო, საზიარო“. *Овщина* „თემი“→მეგრ. **ობშინა** . მდრ. *Овчинный* „სათემო, თემისა“. ტოპ. **საო(ბ)შო** – ჭალა-სახნავები ხობისწყლის მარჯვენა მხარეს, ეწერში. რესპოდენტის განმარტებით, სახნავებს ერთად დამუშავებდნენ და იყოფდნენ (იქვე: 331).

**ონტკა**→რუს. *Водка* „არაყი“→მეგრ. **ონტკა**. ტოპ. **საოტკო** „საარყე“ – მინდორი სახარბედიოში, სოფ. შუა ხორში. რესპოდენტის განმარტებით, „მენშევიკების დროს არყის გამოხდა აკრძალული იყო და აქ, ტყეში, ხდიდნენ მალულად“ (იქვე: 332).

**პარონი**→რუს. *Паром* „ბორანი“→მეგრ. **პარონი, პარომი**. პ. ცხადიას აზრით, პარონამდე ბორანს უბრალოდ ნიში „ნავი“ უნდა რქმეოდა. ნაბორნალ ადგილთა სახელებად სამეგრელოში ჩაწერილია ონიშონი, ონიშოლი (ცხადიაა, „ქ. ო.“ V, 2011: 336). ტოპ. **ნაპარონუ** „ნაბორნალი“ – 1. მორევი და სახნავი მდინარე ცივის მარჯვენა ნაპირას, სოფელ ბათარიას ცენტრში. 2. სახნავი ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ პირველ ნოსირში (ცხადიაა VII, 2013: 253).

**პერილა, პერელა, პერულა**. რუს. *Пери́лла* „род однолетних трав“, *перилла масличная* „ზეთის პერილა“→მეგრ. **პერილა/პერელა**. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მიხედვით, პერილა ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარის გვარია, ტუფოსანთა ოჯახისა. პერილას თესლისაგან იღებენ ზეთს, ხოლო ჩენჩოს საქონლის საკვებად იყენებენ. ტოპ. **ნაპერელუ/ნაპერულუ** – სახნავი ტეხურის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ლემაძამეში.

**პრობკა**→რუს. *пробка* „საცობი, კორპი“. ტოპ. **პრობკაშ ჯა** „საცობის ხე“ – ტყე-ნარგავები ეკის მთაზე, სოფ. ძველ სენაკსა და კვარჩხილაში. ეს მცენარე ამ ადგილას გასული საუკუნის 30-იან წლებში დაურგავთ (იქვე: 299).

**რუსი**→რუს. *Русь* „რუსები, რუსობა“. პ. ცხადიას თქმით, „ქართულში რუსი აღნიშნავს რუსი ეროვნების ადამიანს, ან რუსებს“ (ცხადიაა „ქ. ო.“ V, 2011: 341). ტოპ. **ნარუსუ** „ნარუსალი“ – 1. მინდორი ტეხურის მარცხენა ნაპირას, სოფ. გეჯეთში. გადმოცემით, აქ, რუსის ჯარი ყოფილა დაბანაკებული; 2. სახნავი ტეხურის მარცხენა მხარეს, სოფ. პირველ ნოსირში; 3. მინდორი საჩალიგავოში, სოფ. ბათარიაში; 4. ნაგზაური მდ. ცივის მარჯვენა ნაპირას, სოფ. სახარბედიოში. გზა რუსებს გაუყვანიათ (ცხადიაა VII, 2013: 254).

**საჯენი**→რუს. *Сажень*→ქართ. **საყენი**. ტოპ. **ნასაჯენუ** – ტბორი ქ. სენაკში, ხუხუების უბანში. რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ ღრმა ორმოში წყალი ჩამდგარა (ცხადიაა VII, 2013: 256).

**სკოლა.** რუს. **Школа** „სკოლა“. ტოპ. **ნასკოლ(უ)** – მინდორი ქ. სენაკში.

**ტრასა.** რუს. **Трасса** (გერმ. **Trasse**) – გეზ-ნიშანი; გზის, არხის და მისთ. მიმართულების ხაზი. ტოპ. **ტრასა** – ჩაის ფართობი ცივის მარცხენა მხარეს, სოფ. ლეგოგინეში. რესპოდენტის განმარტებით, „აქ გზა არ გადის და მაინც ასე ჰქვია“ (**ცხადია VII, 2013 : 360**).

**ტრუბა.** რუს. **Труба** „მილი“. ტოპ. **ტრუბაშ ბოგა** – ხიდი ქ. სენაკის საზღვართან, სოფ. ძველ სენაკში, უსახელო დელეზე ჩადებულია მილი და ზედ გზა გადადის (**ცხადია VII, 2013: 361**).

**ტუნელი.** რუს. **Тоннель** „გვირაბი“→მეგრ. **ტუნელი** „გვირაბი, მღვიმე“. ტოპ. **ტუნელიშ წყარი** „გვირაბის წყალი“ – დელე, ნახურის მარჯვენა შენაკადი სოფ. ძველ სენაკში.

**ფაბრიკა.** რუს. **Фабрика**→ქართ. **ფაბრიკა**. ტოპ. **ფაბრიკაშ ნადიხუ** – სახნავი მეტერიის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ლეგოგინეში.

**ფერმა, ფირმა.** ფრანგ. **Ferma**→რუს. **ферма**→ქართ. **ფერმა** (ალბათ რუსულის მეშვეობით)→მეგრ. **ფერმა** „მესაქონლეობის ფერმა“. ტოპ. **ნაფერმუ** „ნაფერმალი“ – 1. მინდორი ჰევრგელეს მარჯვენა მხარეს, სოფ. კოტიანეთში, სადაც მდგარა კოლმეურნეობის ფერმა; 2. ჩაის ფართობი გურმემიის მარჯვენა მხარეს, სოფ. კვაუთში; 3. ბორცვი მაღლაკონის მარჯვენა მხარეს, სოფ. დიდ ხორშში; 4. მინდორი ტეხურის პირას, სოფ. ძიგიდერში; 5. ტყე სოფ. მოხაშში... (**ცხადია VII, 2013: 259**); **ნაფირმუ** „ნაფერმალი“ – ხეხილი გრიგოლეთის დასავლეთ კალთაზე, სოფ. ზედა ნაქალაქეში (**იქვე**).

**ფოშტა**→ფრანგული **foste**, თუ პოლონური **poczta** რუსულში დამკვიდრებულია, როგორც **Почта**. გასარკვევია, ფოსტა ფრანგულიდან არის შემოსული, თუ რუსულიდან, მაგრამ ცხადია, მეგრულს იგი იმ რუსებისგან შეუთვისებია, რომლებიც მუშაობდნენ სოხუმ-თბილისის სამხედრო გზის მშენებლობაზე. ამ გზაზე მრავალგან აგებულ ცხენების სადგომს ეწოდა **ფოშტა** (და არა ფოსტა) (**ცხადია „ქ. ო.“ V, 2011: 344-345**). ტოპ. **ნაფოშტარი** „ნაფოსტარი“ – ტყე სოფელ უშაფათში, სადაც საფოსტო გზა გადიოდა; **ნაფოშტუ/ნაფოშტუ** – მინდორი ლეყურულეში, სოფელ ფოცხოში. გადმოცემით აქ მდგარა რუსის ჯარი და აქვე გადიოდა ძველი სამხედრო გზა (**ცხადია VII, 2013: 259**); **ფოშტაშ შარა** „ფოსტის გზა“ – ნახიდარი მდინარე ცივზე, სოფელ სახარბედოში. XIX საუკუნეში რუსეთის ჯარის სამომხრად გზა გაუყვანიათ (**იქვე: 369**).

**შოსე.** ფრანგ. **Chausse**→რუს. **Шоссе** „გზატკეცილი; საავტომობილო ტრასა“→ქართ. **შოსე, შოშე** „საავტომობილო გზატკეცილი“ ტოპ. **ჯვეშ ნაშოსუ** – ნაგზაური წყემის საზღვართან, სოფ. საკილასონიოში.

**ჩაი.** რუს. **Чай** (ჩინ. ჩაი)→ქართ., მეგრ. **ჩაი**. აღნიშნავს, როგორც მცენარე ჩაის, ისე ამ მცენარის პროდუქტს და ჩაის პროდუქტისგან დამზადებულ ცხელ სასმელს. ტოპ. **ალიაშ ჩაი** – ჩაის ფართობი სახარანდიოში (სოფ. ეწერი); **ანტონიაშ ჩაი** – ჩაის ფართობი ლეტორჩინეში (სოფ. მოხაში)...

**ჩერპაკი.** რუს. **Черпак** „ციცხვი, ჩამჩა, ხაპია“. Черпак экскаватора – ექსკავატორის ხაპია – черпалка „ხაპია“. მისი ვარიანტია „ჩორბაქი“. ტოპ. **ნაჩორბაქუ** – ტყე, ხომლაცის ნაწილი სოფ. ახალსოფელში. აქ არხის გაყვანაზე მუშაობდა ექსკავატორი „ჩორბაქი“ (**ცხადია VII, 2013: 263**).

**ციტრუსი.** ლათ. **Citrus**→რუს. **Цитрус**→ქართ. **ციტრუსი** „სუბტროპიკული ხეხილი – ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, ციტრონი და სხვ. (**ქეგლ, VIII**)→მეგრ. **ციტრუსი//ტრიფოლიატა**. „სამეყრა ლიმონი“. ტოპ. **ნაციტრუსუ** – სამოვარი დიდი შხევის საზღვართან, სოფ. საჩიკობავოში, სადაც ციტრუსოვან მცენარეთა სანერგე ყოფილა (**ცხადია VII, 2013: 263**).

**ჰექტარი.** რუს. **Гектар** (ფრანგ. **Hectare**)→ჰექტარი (1000 მ²). ტოპ. **შქვითჰექტარიანი// ნაოხვამუ** – სახნავი ზანათის საზღვართან, სოფ. საოდიშარიოში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში დამოწმებულ რუსულენოვან ლექსებში ორი ჯგუფი გამოიყოფა: ა) რუსული ლექსიკური ერთეულები, რაც დამკვიდრებული იყო ქართულ სალიტერატურო-სამწერლობო ენასა და ოფიციალურ დოკუმენტებში და იქიდან გავრცელდა ქართველურ ენებსა და დიალექტებში; ბ) სიტყვები, რაც უშუალოდ გამოიყენებოდა რუსულად მოსაუბრეთა მეტყველებაში და გავრცელდა მეგრელთა მიერ წარმოთქმის მიხედვით.

რუსულენოვანი ლექსიკის შემოჭრა უნდა დაწყებულიყო ძირითადად XIX საუკუნეში, ანუ მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერია ესწრაფვის საქართველოს შავიზღვისპირეთის ათვისებას, აქ რუსთა დასახლებების დაარსებას და სამეგრელოს მდინარეების სამეწარმეო საქმიანობის კუთხით გამოყენებას, კერძოდ, მთებში მოჭრილი ხეების დასაცურებლად...

რუსულენოვანი ლექსიკის მეგრულში შემოსვლა-დამკვიდრებას ხელი შეუწყო აგრეთვე XX საუკუნის 30-იანი წლებიდან კოლხეთის ჭაობების ამოშრობამ და მისმა გადაქცევამ სუბტროპიკული კულტურების მხარედ, რაც, თავის მხრივ, იწვევდა სადრენაჟო სისტემასთან დაკავშირებული ტექნიკური საშუალებების სახელებისა და სათანადო ნომენკლატურის დანერგვას ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებაში (**მსჯელობისათვის იხ. ცხადია „ქ. ო.“ V, 2011: 351-352**).

#### ლიტერატურა:

- ელიავა 1989: გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია. თბ., 1989.  
ცხადაია „ქ. ო.“, V, 2011: ცხადაია პ., რუსულენოვანი ლექსიკა სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიაში. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, ტ. V, თბ., 2011.  
ცხადაია VII, 2013: ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. (სენაკის რაიონი). თბ., 2013.

*Nana Sulava*

*St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*  
**RUSSIAN VOCABULARY IN SENAKI MUNICIPALITY TOPONYMY**  
**RESUME**

Georgian's intensive relations with Russian Empire since 19th century has reflected in written and spoken Georgian. Thousands of Russian words entered and established. Russian appellatives entered Mengrelian either from written or spoken Georgian. There are presented more than 30 examples from Senaki Municipality toponymy in the dissertation work.

**როინ ჭიკაძე**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

#### **საგრამატიკო თვალსაწიერი იაკობ გოგებაშვილისა**

უაღრესად ფართოა იაკობ გოგებაშვილის ენობრივ-გრამატიკული თვალსაწიერი და ლინგვისტური თვალთახედვა. „დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იაკობის მიერ ქართული ენობრივი სივრცის სწორმა გააზრებამ და სალიტერატურო ენის როლის მართებულმა შეფასებამ ხელი შეუწყო ქართველთა ენობრივი და ეროვნული მთლიანობის შენარჩუნებას“ (გოგოლაშვილი, 2014, გვ. 74). ფასდაუდებელია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი არა მხოლოდ „დედა ენის“ განუმეორებელი სახელმძღვანელოს შექმნაში, არამედ ქართული სალიტერატურო ენის მსახურებაში. „იაკობ გოგებაშვილმა, თავისი სახელმძღვანელოების წყალობით, პრაქტიკულად შეძლო სრულიად საქართველოს მასშტაბით ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება“ (გოგოლაშვილი, 2012, გვ. 10). ღირსაცნობია, რომ, ქართული ენის გრამატიკული სისტემის კვლევისას იაკობ გოგებაშვილი უმთავრესად მართებულ პოზიციაზე დგას, „პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული ენის გრამატიკული წყობის განხილვას უცხო ენათა სტრუქტურის მიხედვით და მოითხოვს ენის კანონების შემუშავება-დადგენას მშობლიური ენის შინაგან ბუნებასა და თვისებებზე დაყრდნობით“ (ჭიკაძე, 2005, გვ. 95). სწორედ ეს თვალსაზრისია გატარებული მის წერილებში: „საგრამატიკო ბაასი“, „მეორე საგრამატიკო ბაასი“, „საგრამატიკო შენიშვნა“, „პასუხი „კვალის“ რაზმსა“, „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ“...

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გრამატიკას, როგორც მეცნიერებას. მას გადაუდებლად მიაჩნდა ენის უტყუარ კანონებზე დაფუძნებული გრამატიკის შექმნა და წუხდა, რომ „ჩვენი გრამატიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, ძალიან ნაკლებად არის შემუშავებული“-ო (გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, 1954, გვ. 89). იგი „უგრამატიკო გრამატიკას“ უწოდებს მშობლიურ ენას

მოწყვეტილი მშრალი გრამატიკული წესების დასწავლას. მისი აზრით, „გრამატიკა უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვედ იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისასა“ (იქვე, გვ. 90).

გოგებაშვილმა თავს იდგა ეს უაღრესად საპასუხისმგებლო მძიმე ტვირთი და „ენის უტყუარს კანონებზე“ დაყრდნობით შეადგინა „**მოკლე გრამატიკა ქართული ენისა**“, რომლის დაუსრულებელი ხელნაწერია შემონახული. ეს სახელმძღვანელო, მსგავსად „დედა ენისა“, მკაცრად ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიურ პრინციპებზეა აგებული და შედგება ორი განყოფილებისაგან: განხილვა მარტივი წინადადებისა და განხილვა სიტყვებისა. ამ განსახილველ სიტყვებს იაკობი სათანადო ადგილს მიუჩენს: „როცა სიტყვები განიხილებიან წინადადებაში, სიტყვების მთელ რიგში, მაშინ მათ ეწოდებათ წინადადების წევრნი; ხოლო როცა განიხილებიან ცალკე, განმარტებით, მაშინ მათ ვუწოდებთ ს ი ტ ყ ვ ბ ს ნაწილებსა“ (გოგებაშვილი, თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 416).

თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის ენათმეცნიერებაში მოძალეულ ლოგიცისტურ მიმდინარეობას, გასაკვირი არ არის, რომ მისი გავლენით გოგებაშვილისათვის წინადადების განმარტებისას ამოსავალია სჯა ანუ აზრი: „ადამიანის ყველა სჯასა ჰქვია აზრი“ და აქედან გამომდინარე „სიტყვით გამოთქმულ სჯასა ანუ აზრსა ჰქვია წინადადება“ (თხზ., ტ. 9, გვ. 375).

იაკობ გოგებაშვილის მართებული დაკვირვებით წინადადებაში წევრებისა და სიტყვების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, ვინაიდან მან იცის, რომ ყველა სიტყვა წევრი არ არის. მისი განმარტებით, წინადადებაში გვაქვს **მნიშვნელობითი** და **დამხმარე** სიტყვები; **მნიშვნელობითია** ის სიტყვა, რომელიც თავისი ფუნქციით **წევრია** და წინადადების გარეშეც აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა; **დამხმარეა** ის სიტყვები, რომლებიც ეხმარებიან სხვა სიტყვებს აზრის გამოხატვაში, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ და არც წევრები არიან წინადადებისა (მანამ, თორემ, და, აღარ...) (გოგებაშვილი, იქვე, გვ. 398). გოგებაშვილი აქვე გამოყოფს ისეთ სიტყვებს, რომლებსაც, მისი აზრით, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ მაინც წინადადების წევრები არიან.; ასეთებად მას მიაჩნია ნაცვალსახელები: ის, იგი, მან...

საინტერესოა წინადადების წევრთა გოგებაშვილისეული კლასიფიკაცია, რის მიხედვითაც წინადადების წევრები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: პირველი ხარისხის წევრები - **ქვემდებარე** და **შემასმენელი**, მეორე ხარისხის წევრები - **გამმარტავი სიტყვები**, რომელშიც იგულისხმება **შემავსებელი სიტყვები** და **განმავითარებელი სიტყვები**.

შემავსებელ სიტყვებში გოგებაშვილი მოიაზრებს ყველა სახის დამატებას - პირმიმართსაც და უბრალოსაც, განმავითარებელ სიტყვაში კი - ოდენ განსაზღვრებას. მეორე ხარისხის წევრებიდან ცალკე გამოყოფს **გარემოებით სიტყვებს**, რომლებიც, მისი აზრით, „არ არის არც განმავითარებელი და არც შემავსებელი“ (გვ. 383).

ამრიგად, იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისით, მარტივი წინადადების შედგენილობა ასეთია:

პირველი ხარისხის წევრები: **ქვემდებარე და შემასმენელი**;

მეორე ხარისხის წევრები - **გამმარტავი სიტყვები**:

ა) **შემავსებელი სიტყვა** (პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატება);

ბ) **განმავითარებელი სიტყვა** (განსაზღვრება);

გ) **გარემოებითი სიტყვანი** (დროისა, ადგილისა, მიზეზისა, მიზნისა, მოქმედებისა ანუ მდგომარეობისა).

ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გოგებაშვილი გრძნობს დამატება-ობიექტების მორფოლოგიურ და სინტაქსურ ძალას, თუმცა პირველი ხარისხის წევრებად ანუ მთავარ წევრებად ოდენ ქვემდებარესა და შემასმენელს მიიჩნევს, რაც, ცხადია, განპირობებულია იმ პერიოდის საგრამატიკო ტრადიციით (იხ. წერილები: „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ“, „ორ-აზროვანი კილო ჩვენს პრესაში“...).

იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი წინადადების წევრთა შედგენილობის თაობაზე არსებითად მართებულია, ვინაიდან, მისი აზრითაც, წინადადების სისრულე-უსრულობას განაპირობებს მთავარი წევრები, ხოლო გავრცობა-გაუვრცობლობას - არამთავარი წევრები. იაკობი განმარტავს: „იმ წინადადებას, რომელშიც არის ქვემდებარე და შემასმენელიც, ეწოდება სრული წინადადება“; „იმ წინადადებას, რომელსაც აკლია ან ქვემდებარე და ან შემასმენელი, ჰქვია უსრული წინადადება“ (გვ. 386). აქედან გამომდინარე, „რომელ წინადადებაშიც მარტო ქვემდებარე და შემასმენელია, იმას ჰქვია მოკლე წინადადება“ (ე.ი. გაუვრცობელი. რ.ჟ.), „რომელი წინადადებაც გამმართავ სიტყვებსაც იპყრობს, იმას უწოდებენ ვრცელ წინადადებას“ (ე.ი. გავრცობილს. რ.ჟ.) (იქვე, გვ. 380).

შემთხვევითი არ არის, რომ იაკობ გოგებაშვილი „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“-ს იწყებს სინტაქსით, რითაც აგრძელებს იმ პერიოდში დამკვიდრებულ ტრადიციას; ოღონდ შემოიფარგლება ოდენ მარტივი წინადადების განხილვით. აქვე უნდა ითქვას: გოგებაშვილისათვის სინტაქსი იმდენად პრიორიტეტულია, რომ მორფოლოგიურ ნაწილშიც - მეტყველების ნაწილთა განხილვისას - თანამდევ

აქცენტირებას აკეთებს მათ სინტაქსურ ფუნქციაზე; კერძოდ, თითოეული მეტყველების ნაწილის დახასიათებისას მიუთითებს არა მხოლოდ იმას, რას აღნიშნავს, არამედ იქვე დააზუსტებს - რა წევრია წინადადებისა:

ა) „მნიშვნელობით სიტყვას, რომელსაც არის სახელი საგნისა ანუ არსებისა და მიუგებს კითხვაზე: ვინ, რა, ჰქვია ს ა ხ ე ლ ი ა რ ს ე ბ ი თ ი.”

„სახელნი არსებითნი წინადადებაში იქნებიან: ქვემდებარეთ, შემავსებლათ, განმავითარებლათ”, გვ. 420.

ბ) „ზედშესრული სახელი ნიშნავს საგნის, ნივთის ან პირის თვისებასა, ანუ ვითარებასა.”

„ზედშესრული სახელი წინადადებაში უფრო ხშირად განმავითარებელია”, გვ. 443.

გ) „რიცხვითი სახელი უპასუხებს კითხვაზედ რამდენი, მერამდენე, ეკუთვნის წინადადებაში არსებითს სახელსა და არის მისი განმავითარებელი”, გვ. 463.

დ) „ნაცვალ-სახელნი ნიშნავენ პირსა, ან ნივთსა, თვისებასა ანუ ვითარებასა, მაგრამ არ ასახელებენ მათ... და წინადადებაში ხშირად არიან ქვემდებარედ, განმავითარებლად და შემავსებლად”, გვ. 469.

ე) „იმ მხლებელ და უცვლელ სიტყვებს, რომელთაც თავისთავად არა მნიშვნელობა არა აქვთ წინადადებაში, დაიდებიან სხვა სიტყვებთან და შევლიან მათ - ჰქმნან წევრობა წინადადებისა.. ჰქვიათ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ნ ი, გვ. 485.

ასე რომ, იაკობ გოგებაშვილის საგრამატიკო ნააზრევით სიტყვა ერთდროულად უნდა განიხილებოდეს როგორც მორფოლოგიური დანიშნულება-აღნაგობით, ისე სინტაქსური ფუნქციით, რადგან, მისი აზრით, „ყველა წინადადებაში არის უთუოთ რაიმე საგანი და ამ საგანზედ არის რაიმე ნათქვამი... წინადადების საგანს ჰქვიათ ქვემდებარე... რაც ქვემდებარეზედ არის ნათქვამი, იმას ჰქვიათ შესმენილი” (თხზ., ტ. 9, გვ. 377).

ბუნებრივია, რომ გოგებაშვილისთვისაც ეს „შესმენილი” , როგორც მეტყველების ნაწილი, არის ზმნა; მიუხედავად იმისა, რომ იაკობისათვის სავესებით ნათელია „სიმდიდრე ქართული ზმნის ფორმებისა” (თხზ., ტ. 2., გვ. 127), სახელმძღვანელოში უღლების პარადიგმები არ შეუტანია, ვინაიდან მიაჩნია, რომ უღლების ტაბულებს „ადვილად შეუძლიან ბავშვები არიოს” (იქვე). თუმცა სახელთა ბრუნების პარადიგმები საკმაოდ ვრცლად წარმოდგენილია; თანაც კატეგორიულად აცხადებს: „ყოველი სახელი არსებითის დაბოლოება შვიდ ნაირად იცვლება. ამიტომ ბრუნვაც შვიდია.” (თხზ., ტ. 9, გვ. 423).

იაკობ გოგებაშვილის ამ კატეგორიულობას ამიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ამ საკითხში იგი პრინციპულია და არ იზიარებს თავის ოპონენტთა შეხედულებას: „ქართულ ენას აქვს არა ოთხი ბრუნვა, როგორც ბრძანებს დიმიტრი ივანესძე (ანუ დიმიტრი ყიფიანი, რ.ჭ.). არა ხუთი, როგორც ამტკიცებს ბატ. ნასიძე, არამედ შვიდი... არც მეტი და არც ნაკლები” (თხზ., ტ. 2, გვ. 101).

ამრიგად, საგრამატიკო თვალსაწიერით იაკობ გოგებაშვილი არსებითად მართებულ პოზიციაზე დგას, პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული ენის გრამატიკული წყობის განხილვას უცხო ენათა სტრუქტურის მიხედვით და მოითხოვს ენის კანონების დადგენას მშობლიური ენის შინაგან ბუნებასა და თვისებებზე დაყრდნობით.

ასე რომ, უნდა ვერწმუნოთ ღვაწლმოსილ „იაკობინელს” - გიორგი გოგოლაშვილს: „**იაკობი იმ დროისათვის ღრმად განსწავლული ლინგვისტია**” (გოგოლაშვილი, 2014, გვ. 75).

#### ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, „საგრამატიკო ბაასი“, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954.
2. ი. გოგებაშვილი, „მეორე საგრამატიკო ბაასი“, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954.
3. ი. გოგებაშვილი, „საგრამატიკო შენიშვნა“, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954.
4. ი. გოგებაშვილი, „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ“, თხზ., ტ. 2, თბ., 1954.
5. ი. გოგებაშვილი, „ბურჯი ეროვნებისა“, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954.
6. ი. გოგებაშვილი, „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“, თხზ., ტ. 9, თბ., 1962.
7. გ. გოგოლაშვილი, ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012.
8. გ. გოგოლაშვილი, სიბრძნე იაკობისა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2014.
9. რ. ჭიკაძე, სინტაქსის საკითხები იაკობ გოგებაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ ნააზრევში, თესაუ შრომები, N2(18), 2005.

*Roin Chikadze*  
*Iakob Gogebashvili Telavi State University*  
**IAKOB GOGEBASHVILI'S GRAMMATIC POINT OF VIEW**  
**RESUME**

Iakob Gogebashvili was the prominent representative of the national-liberation movement, the great teacher, educator and public figure of the sixties of the nineteenth century. He aimed to establish native language in studying process, also to protect purity of the Georgian language and promote study-investigation of its grammatical structure. He dedicated a lot of special articles, letters and books. One of the handwritten guidebook is preserved – “Brief Grammar of the Georgian Language”.

Generally from his grammatical view point Iakob Gogebashvili has mainly correct position. The point is that he is fundamentally contrary to the research of grammatical system of the Georgian language according to the structure of foreign languages. He requires establishing internal rules of the language which would be based on nature and character of the native language.

Consequently we can say that „Iakob is the most educated linguist of that time“ (Giorgi Gogolashvili)

**ელენე ხოჯევანიშვილი**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**რეფლექსიები ესმა ონიანის პოეზიის ენაზე**  
**(ფერთა სიმბოლიკა)**

„მხოლოდ ჭეშმარიტთ ვეჩვენები მრავალფეროვანი და მრავალგული“  
ესმა ონიანი

საოცარი ძალა აქვს ესმა ონიანის პოეზიას. იგი ჩვენს შინაგან განწყობას ეხმაურება და სრულიად განსხვავებული სამყაროს თანაზიარად გვაქცევს. მისი ლექსები ყველაზე უკეთ თავად წარადგენენ თავს, თუმცა, ჩვენ მაინც შევეცადეთ მათში დაუნჯებულ იდუმალებათა ჩვენეული ინტერპრეტაცია წარმოგვედგინა და კიდევ ერთხელ მიგვეხედებინა მკითხველი მათკენ. მით უმეტეს, რამდენჯერაც არ უნდა მიუბრუნდე მის პოეზიას, არასოდეს დაგეუფლება იმის განცდა, რომ იგი ბოლომდე შეიცანი.

წინამდებარე ნაშრომი ესმა ონიანის ლექსების ფერთა სამყაროსთან მიახლოებისა და მისი მხატვრულ სტილისტური ფუნქციის გარკვევის ცდაა.

ფერი ოდითგან იქცევდა არა ერთი დარგის წარმომადგენელთა ყურადღებას, ხოლო ფერის საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებათა (ფიზიოლოგია, ბიოლოგია, ფსიქოლოგია, ფიზიკა და სხვა) შორის ერთ-ერთი ენათმეცნიერებაა. ფერის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების შესწავლას უამრავი გამოკვლევა ეძღვნება და ისინი სხვადასხვა თვალსაზრისითაა შესწავლილი. შექმნილია ფერთა კატეგორიზაციის უნიკალური მოდელი, შემუშავებულია ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით განირჩევა ფერთა ბაზისური და არაძირითადი ტერმინები. საკითხს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

რაც შეეხება ფერთამეტყველებას მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში, მას დიდი ხნის ისტორია აქვს. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ფერთა ტრადიციულად დამკვიდრებული მეტყველების ნიმუშები გამოიყენებოდა. შემდეგი პერიოდის ფერთა ლექსიკა გამდიდრდა და უკვე შუა საუკუნეებისათვის ქართულ მწერლობას, და, საერთოდ, ქართულ ენას, ფერთი ტერმინოლოგიის საკმაოდ მდიდარი სიტყვიერი ფონდი ჰქონდა.

ფერთა სიმბოლიკა ქართულ მწერლობაში ფერწერული ელემენტის შემოტანას და საზღვრების მაქსიმალურ წაშლას ემსახურებოდა ფერწერასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის. ესმა ონიანის შემოქმედება განსაკუთრებით ამ თვალსაზრისითაა საინტერესო, რადგან იგი მკითხველის თვალწინ შლის სამანს პოეზიასა და ფერწერას შორის. ფერთა სახელდება და სიუხვე მის პოეზიაში მწერლის მიერ კარგად გააზრებული და შერჩეული ხერხია, ხოლო მისი პოეზია ფერწერული სიტყვათხელოვნების



გამორჩეული ნიმუში. ესმა ონიანის მიერ ქართული ენის შესაძლებლობების ოსტატური გამოყენება, ფერის აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ორიგინალური ფორმის მოძებნა და სათქმელის ახალი შტრიხით და ფერით აღბეჭდვა ქართული მწერლობის მდიდარი ტრადიციის პოეტურ შეხმანებად აღიქმება და სწორედ ტრადიციულისა და ახლის მისეული ნაზავი ქმნის მის ლექსს განუმეორებელს, საინტერესოს.

ესმა ონიანი ერთნაირად ფლობს ფერსაც და სიტყვასაც. იგი ერთნაირად აღგვაფრთოვანებს როგორც ლექსთმწერი და როგორც ფერმწერი. მის პოეზიაში მკითხველის ყურადღებას იმთავითვე იქცევს ფერთა სიუხვე. მის თითქმის ყველა ლექსში ერთი რომელიმე ფერი მაინცაა ნახსენები. ტრადიციულ, ე.წ. ბაზისურ ფერებთან ერთად მის შემოქმედებაში უხვად გვხვდება საგნობრივი ფერები: ყვავილებთან, ძვირფას ქვებსა და ლითონებთან, ცხოველებთან, მცენარეებსა და სხვა ნივთებთან შედარების საფუძველზე მიღებული ფორმები. ეს საგნებიდან აღძრული, ასოციაციური ფერები, ფერ-კომპოზიციებია, რაც განუმეორებელ „ფერით კოლორიტს“, გარემოს ფერწერულ სახეს ქმნის და ამჯერად სწორედ მათზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება.

ესმა ონიანი თავისი პოეზიით არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ფერის, არამედ უთვალავი ფერით შექმნილი სამყაროს მშვენიერებას შეაგრძნობინებს მკითხველს. ორიგინალურ ფერთა პალიტრა ძირითადად წარმოდგენილია ანტონიმურ ფერთა დაწყვილებით და განსაკუთრებულად საინტერესო ოქსიმორონული ჯგუფები იქმნება, რადგან მოულოდნელი კონტრასტი, რომელიც ორი განსხვავებული ფერის დაკავშირებითაა გამოწვეული, მნიშვნელოვნად ამძაფრებს და ააქტიურებს მათ საერთო მნიშვნელობას. ერთად დაჯგუფებული ოპოზიციური წყვილები საოცარი გამომსახველობით იტვირთებიან. სევდა-მოწყენილობის, ნაღვლიანი იდუმალების შემცველ განწყობილებას აღძრავს „შავ-მწვანე სურობურვილი აივანი“ (5;163), „მჭიდროდ ჩამოწოლილი, ცივ-უფერული, ნესტის სვეტთა სველ დადევნებით დაბნელებული კლდეთა კედლები“ (5; 135) თუ ფანჯრებში მიმავალი „ჩამოხელებულ ცის რუხ-ლურჯი ღელე“ (5; 161)

**თეთრის და შავის, ნათელისა და შავის** - როგორც ორი უკიდურესობის დაზავება, მკითხველს სინათლისა და სიბნელის, სიყვარულისა და სიძულვილის, სიკეთის და ბოროტების განუყოფლობას შეახსენებს:

„ვარ ბერი-ხმაურში, ჩვრად ნაქცევ შავ-თეთრ ფურცლებში“ (5;148)

„ზანზარებს ბნელი მინების შავ-ნათელი სამფლობელო“ (5;161)

**მწვანე** ფერი მხატვრულ ლიტერატურაში სიცოცხლის, განახლების, უკვდავების სიმბოლოა, თუმცა შავ ფერთან მისი დაწყვილება უარყოფითი კონოტაციით მუხტავს და მწუხარე განცდით, ელეგიურობით გამსჭვალავს ფრაზას: „ეს ის საბუა!- მარგალიტა ბუხნიკაშვილი აქედან იყო, ახლა აქ, სადღაც, ამ შავ-მწვანე გორაკებში ამობორცვილა“ (5;53). მკითხველს შეძრავს უპოვარი მარგალიტას საბუეს მუქ მთებში ამბორცვილი საფლავი და უნებურად აღუძრავს გოდერძი ჩოხელის ადამიანად არყოფნის სევდის რემინისცენციას.

პოეტური სტრიქონების ულამაზეს მეტაფორებად გარდასახვაშიც გადამწყვეტ როლს სწორედ პოეტის მიერ მოხმობილი ფერთა ოქსიმორონული წყვილები ასრულებენ:

„შავ-წითელი ფაშვი ბუფეტის შუშის წვრილთავა ყვავილებით მოჭიკნილი სარკმლების ნთებით“ (5;3)

„შავ-შინდისფერი იჩეხება ჩოხის კალთა ხანჯლის ჯვარებით“ (5;36)

„**ჟანგ-მოწითალო** რხევა გვიმრების, როგორც გვირგვინი ბებერ ირმების“ (5;130)

„მივწეწავ ფაფარს **წითელ-რუხ** ფერად“ (5;128)

„თითები დააქვავა **შავ-ლურჯად**“ (5; 183)

აბსტრაქტულ მეტაფორებად ქცეული ეს ფრაზები დახვეწილი პოეტური გემოვნების უტყუარი დასტურია.

სტრიქონებიდან გადმოსული, მონატრებული ბებიის ლანდს სწორედ **შავ-ჭრელი** თავშალი ანიჭებს განუმეორებელ ელფერს:

„და ჩემს ბებიას, ღაბუას და ღაბაბიანს, **შავ-ჭრელ** თავშლიანს, ხელმოცახცახეს ცრემლებით ვნატრობ“ (5; 61)

ორიგინალური ფერთი სახელდება საზღვრული სიტყვის იშვიათ ფერით საუცხოობას და გამორჩეულობას გახაზავს და უხილავი, აუხსნელი ძალით ზემოქმედებს მკითხველზე:

„იბინდება **რუხ-მღვრიედ** საქორიის ბებერი სერი. (5;52)

„ბებერი სერისთვის“ ოსტატურად შერჩეული ეპითეტია **რუხ-მღვრიე**.

ფერისადმი ესმა ონიანის დამოკიდებულება ორიგინალურია. გარკვეულ შემთხვევებში ფერის გაპიროვნება ხდება. ფერი ფრაზაში ამძაფრებს მოქმედების დინამიკას და ერთგვარი მოძრაობის შეგრძნება შემოაქვს მკითხველში. მის ლექსებში ნათლად ხედავ, როგორ ნათდება შავი „ვერცხლისფერი კალმახების ცინცხალ ლაღობით“ (5;36), ასევე, როგორ „იზლანებიან ხეები **შავ-ვერცხლისფრად**“ (5;29),

„აქეთ ეზოში, **რძისფერ** ბუსუსით“ როგორ „ამოყვავილდა, ხე ამოჩნდა, ასცდა სახურავს“ (5;33) და შეიგრძნობ, როგორ „ჩამოამწიფებს“ ყოვლის შემძლე ბუნება „**მწვანედ** მრეკავი ზღმარტლის ზარებს **ლპობის ფერით**“ (5;58).

ლექსებში მეყსეულად გამოჩენილი ფერადოვანი ფრაზები გარკვეულ სტილისტურ როლს ტვირთულობენ პოეტის განწყობის გამოსახატავად. სწორედ სხვადასხვა ფერითაა გამოხატული მისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი: მზეში **ნიორისფრად** განათებული უთმო თავები ადამიანთა (5;183), „შვილი-**ნუშისგულისფერი**“ (5;184), „მამამთილი **იისფერი ლურჯი**“ (5;184), „დედამთილი-**ზიისფერი-ყვითელი**“ (5;184), „მაზლი-**იაგუნდისფერი**“ (5;184), „მული-**შავი**“ (5;184). აქ ფერი სემიონიშნად იქცევა და მეტყველებს პერსონაჟთა ბუნებასა და ხასიათზე. საცნაური ხდება ადამიანის სულიერი სამყარო, შინაგანი თვისებები. ამ შემთხვევაში სწორედ სემანტიკური ნიუანსია წინ წამოწეული და არა რეალური ფერადოვნების გამოვლინება.

ფიროსმანის ქვეყანაში ფერებით ვის გააკვირვებ? თავად ესმა ონიანსაც ფიროსმანის მემკვიდრედ მიიჩნევენ. პოეტი ქართული ენის წიაღში ადვილად მოიძიებს საჭირო ფერს და შთამბეჭდავ ორგოპონენტიან ფერით ლექსემებს ქმნის, რომლებიც მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და საოცარ ასოციაციებს იწვევს. ნიმუშად მოვიყვანთ სხვადასხვა ლექსებიდან ამონარიდ სტრიქონებს:

„ხის გვირგვინებში, სახლ-კედლებს შორის მცირე ჩიხებში მზე მუქდება

**ჩაისფერი** მძიმე სინათლით“ (5;160).

„**სიმაძღრის** ფერი **სიყვითლის** ბურში“ (5;137).

„**უნაბისფერი** კედლები ჩამავალ მზეში **წითლად** შრიალებს“ (5;22).

„**ჭიაფერი**, ტყვიის სურინჯი მე და ჩემს დას **ნარინჯისფერ** კაბეზად გვახსოვს“ (5;63).

„სკდება ფაჩუნით გუდაფშუტი, **მიწისფრად** ბოლავს“ (5;130).

„ხვლიკი გახევდა **მიწისფრად**“ (5;147).

„**კარაქისფერი** ქამოს ნუში გულზე დამკვდარი“ (5;25).

„საუკუნო შებინდებისკენ ჩამუქებული კაკლების ჯგუფი, შემონთქმული **ღვინისფერი** საღამოებით“ (5;34).

„**ბადაგისფერი** მუქი მზეა დამრეცზე ჩუმაღ“ (5;31).

„**აბრეშუმისფერ** კაბაში, სივრცის ყვავილებით გაცრეცილ მარმაშით“ (5; 26).

„გინდა?! მათრობელ სურნელით დამე **იელისფრად** მოგველინო“ (5;107).

„**ცვილისფერ** ნაქსოვის ღარები სიგრძივი“ (5;139).

„თითებს ძაფივით გადაყუნწულებს გუდაფშუტას **გულისფერ** კაბაზე აფათურებს“ (5;140).

„აბზუ! ნუ მოხვალ! **ფისისფერი** თვალი გვაშორე!“ (5;147).

„მოხუცების **თეთრი** ხუხულები, წვერებით **წაქისფერებით**“ (5;147).

„გაკავებული კლდე ზე-ახრილა სენაკებად გადამლილი  
შავგულა, **აბედისფერ** ყვავილებად“ (5;148).

„სავსეა მკრთალი **კაეშნის** ფერით“ (5;156).

ესმა ონიანის ლექსების ყველა სტრიქონი ღირებულია და სტატიაში მოყვანილი ციტატების სიმრავლესაც ეს განაპირობებს. გასაოცარია პოეტის ამოუწურავი თეზაურუსი. მართლაც პოეტური გარდასახვის უჩვეულო უნარის გამოხატულებაა ლექსებიდან მოყვანილი ფრაზები, სადაც წარმოდგენილი ფერები აღრმავებს წარმოსახვის ექსპრესიას. მისი ფერადი სიტყვა სძენს ფრაზას განსაკუთრებულ დატვირთვას, სწორედ ასეთი ფრაზები გვაგვსებენ სულიერად და პოეტის თვალით დანახულ და აღქმულ მშვენიერებას და სილამაზეს გვაზიარებენ.

**ოქროსფერი** - ეს **ყვითელთან** ახლოს მყოფი სემანტიკური ველის მქონე სიტყვაა, მზიური **ყვითელია**, რომელიც უხვად იღვრება ესმა ონიანის ლექსებში: „დამაყენე მზის შუქი **ოქროსფერი** ფოთლებით“ (5;193), „**ოქროსფერი** წიგნის ფურცლები“ (5;19), „ვენახების **ოქროსფერი** ჩხვერით შრიალი“ (5;46), „ოქროს რქა რეკავს, ბრწყინვა-წვრიალით, **ოქროსფრად** რეკავს“ (5; 108)...

**ოქროსფერს ვერცხლისფერი** ენაცვლება:

„**ვერცხლისფერი** გუმბათები მზე-მოციმციმე, მრგვალად ნაფურჩქნი,

ზედ წიბოები, მოღუნული ხმლებისპირება, და მზიანია, და მოშრიალე,

ნაზ-**ოქროსფერი** კედლების და ქუჩების და ამ გუმბათების სამუდამო შეკავშირება“. (5;158).

შეუძლებელია არ აგაღელვოს ამ უწყინარმა ფერმა, როცა პოეტი მიცვალებული მამის **ვერცხლისფერ** თმებზე საუბრობს:

„გაჩერებულ **ვერცხლისფერ** თმებით მოსაზღვრულ შუბლზე

ცხოველმყოფელი იქაურობა გაქვავებული გაცივებით ამოშანთულა“ (5;82).

ესმა ონიანის ბავშვობის დროინდელი მოგონებები ფერად პოეტურ სტრიქონებად ტრანსფორმირდება და დედის საოცარი ხილვა ხან „ყვავილოვან **ცისფერ** ჟორჟეტის“ (5;44) კაბაში

გამოწეობილი წარმოგვიდგება თვალწინ, ხან კი მისივე „ძველი ხავერდის შინდისფერი“ (5;158) კაბით. დედის სახის ამ ფორმით გადმოცემით პოეტმა შეძლო მკითხველის აღფრთოვანება.

**ვარდისფერი** ესმა ონიანის გამორჩეულად საყვარელი ფერია:

„**წითლის** დასაწყისი, **წითლის** ფერმკრთალი შვილივო“ (5;67).

„**ვარდისფერი** ვარდის „როკოკოები“ ღამის პერანგებს, აბრეშუმის ცრეცელ ნაპირებს,

**თეთრ** ტკიცინა საყელოებს, კაბებს დაჰყვავის, **ვარდისფერ** კოკრად დაფენილი ვრცელ  
სივრცეზე აქა იქ ბზუის“ (5;69).

და ისევ დედის გახსენება, „მკერდზე **ვარდისფრად** შლილი, ფარფალა ბაფთით“ (5;68) და თითქოს მასთან ერთად ყოფნით გამოწვეული გამაბრუებელი „სუნი **მოყვითალო, ვარდისფრად** მფრქვევი ტკბილი კოკრებით“ (5;68).

ესმა ონიანის ლექსებს მასში გამოყენებული ფერები ავსებს იდუმალი ხმებით. პოეტურ საიდუმლოთა ბოლომდე ამოხსნა ალბათ შეუძლებელია, მასზე მხოლოდ ვარაუდით შეიძლება საუბარი, რადგან ყველა მკითხველის ფანტაზია და წარმოსახვის უნარი განსხვავებულია, თუმცა გარკვეული ასოციაციები ჩნდება და ყველა მათგანს აქვს არსებობის უფლება. მხატვრული ტექსტის ღირსება კი სწორედ ისაა, რომ ჩააფიქროს მკითხველი და ლექსში დაუნჯებული იდუმალების ამოხსნის სურვილი გაუჩინოს. ძნელი ამოსაცნობია პოეტური სტრიქონები: „რუხში მრგვალდება დაირების **ბრინჯისფრად** ბრაწვა“ (5;36)... ძნელი სათქმელია რა იგულისხმავს პოეტმა ფრაზაში „**ბნეისფერია** დაბურული მუსიკის ზეცა“ (5; 56)... იდუმალებითაა სავსე სტრიქონი: „ჩემი ოთახის მღებავი კედელი, სისხლი ნაჟონი მხარზე **ქანგისფრად**“ (5;23), ასევე უცნაური გამონათების და ფერთა შერწყმის საიდუმლოებითაა მოცული სინტაგმა „**მელნისფერი** ბინდი“ (5;31), რომელიც ფრაზას განსაკუთრებულ მხატვრულ დატვირთვას სძენს.

ესმა ონიანი ბუნებაში გაფანტულ-გაბნეულ უამრავ, ხშირად სხვათათვის უხილავ ფერს შეიგრძნობს. მისი ემოციური ბუნება ვერ ეგუება ფერთა მხოლოდ ტრადიციულ გაგებას და მშვენიერების ძიებაში იქმნება ფერთა მოულოდნელი და ორიგინალური სამყარო. ასე მაგალითად:

„**ჩამომტვრეული ქვების ფერი**“ (5;90), „**ქღრიალა-მომწვანო**“ (5;138), „**ხის გამმგრალი ქერქისფერი**“ (5;90), „**მძალე თხილისფერი ყვითელი ხრიოკები**“ (5;149), „**ჩირქისფერი კლავიშები**“ (5;155), „**ხორცისფრად** კოცნა“ (5;182). არის შემთხვევები, როცა პოეტი არ კმაყოფილდება ერთი ფერთი ლექსებით და მას მსაზღვრელს დაურთავს, რითაც ახალ ფერ-შედარებას ქმნის და გარკვეულწილად ცვლის ფერს და მის მიერ შექმნილ ემოციას: „**სისველის ნაცრისფერი** მონძით მოსილი“ კედელი (5;138), „**მუქი ოქროს, დამწვარი შაქრისფერი** საღამო“ (5; 31), „**ნაზი ჭერმისფერი**“ (5;29), „**ხახვის ფუჩქისფერ** თმების გაფურჩქვნა“ (5;35), „**ნაზ-ვერცხლისფერი, ვარდისფერ** შუქიანი ფაშვი“ (5;35), „**ნადუღარ თაფლისფერი** ფიქრების ლაშქარი“ (5;127), „**ნუშის გულისფერი**“ შვილი (5;184 ), „**სველი მინდვრისფერი** ღაზლი“ (5;186), „**გუდაფშუტას გულისფერი**“ (5;140 ), „**ოქრო-ვარდისფერი** ლაქები“ (5;24), ესმა ონიანის პოეტური სამყარო ყველაფერს იტევს: „**აბრეშუმისფერ** კაბას“ (5;26 ), „**თეთრ** სუფრაში **ქლიავისფრად** ჩაღვრილ სასმელს“ (5;26), მწუხრის მზით გამთბარ „**ჩაისფერ** საღამოებს“ (5;153), „**ტყვიისფრად** კვდომას“ (5; 51), ნათლად აღიქვამს „**ფშატისფერის** სითბო-სიმშვიდეს“ (5;150), ხედავს „**ჭინჭისფერ** თოვლზე ჭყაპით ნავალს“ (5;151), გრძნობს „**მარაოს** ტარის „**წენგოსფერი** ხის სუნის კმევას“ (5;24), „**ატმის ტუჩისფერი** შემპალი გვერდის სუნს“ (5;31)... ამიტომ ვამბობთ, რომ მის ლექსებში ფერსაც ვხედავთ და სურნელსაც მძაფრად შევიგრძნობთ.

ესმა ონიანის პოეზია იმის დასტურია, რომ მართლაც მრავალფერია მისი ხმა, მისი ლექსი. ხმასაც ხომ შეიძლება ჰქონდეს ფერი. აკი ჯერ კიდევ რუსთაველი ბრძანებდა: „**ხმა შაქრის-ფერად** გამოხდა“ - ო. (4,366)

ასეთი ანალიზით, დაშლით, თითქოს ზიანდება პოეტური სიტყვის მთლიანობა, მაგრამ ენათმეცნიერთა საქმე სწორედ მხატვრული ენის კვლევა და მის თავისებურებათა შინაგანი ბუნების გამოვლენაა და, რაკი პოეზია ენის წიაღში იზადება, ქართული ენა და პოეზია განუყოფელია.

ესმა ონიანის ენობრივი სამყარო, მისი მაღალმხატვრული სტილი, მდიდარი ლექსიკა, სიტყვისადმი დამოკიდებულება, დახვეწილი ფრაზები, უჩვეულო მეტაფორები, თვითმყოფადს ხდის მის შემოქმედებას. ამ ყველაფერთან ერთად მისი ლექსებიდან მკითხველისთვის ნანატრი გულწრფელობა ისმის, რაც სძენს მას ძალას ჩაგიყოლიოს, თანაზიარი გაგხადოს.

„ფიროსმანი მხატვარია, ფერმწერი უბრალოდ, ეს მისი გამოხატვის წილხვედრი გზაა“, – წერდა ესმა ონიანი. ამავე სიტყვების პერიფრაზირებით მიიწვია მისი შემოქმედების რეზიუმირება მოვახდინო: ესმა ონიანის წილხვედრი ერთ-ერთი გზა ნამდვილი პოეზიაა, „**ნამდვილები** კი ზემოთ აღმავალ ხაზს კი არ ქმნიან, არამედ ხეივანს. **ნამდვილობის** ხეივანში კი დრო მკვდარია და მუდმივი სიცოცხლე სუფევს“. ამიტომ არც არასოდეს მთავრდება პოეტი, რადგან იგი მისსავე შემოქმედებაში აგრძელებს სიცოცხლეს უსასრულოდ და ლექსით იმარჯვებს სიკვდილზე.

რაკი ესმა ონიანის პოეზია ჩემთვის ზღაპრული სამყაროს ენობრივ-ლიტერატურული რეფლექსიაა, ისევ მის მიერ ქართული ხალხური ზღაპრიდან ნასესხები სტრიქონით მინდა დავასრულო: „მართლაც, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა ან რა იქნება“ (5;161).

#### ლიტერატურა:

1. კვესელავა მ., პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977.
2. მერაბიშვილი ი., გალაკტიონის ენიგმები, თბ., 2003.
3. მირიანაშვილი ნ., ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი II, თბ., 1979.
4. ნასყიდაშვილი ნ., ფერის მხატვრული ფუნქცია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, (ავტორეფერატი). თბ., 2005.
5. ონიანი ე., 100 ლექსი, თბ., 2010.
6. რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, პავლე ინგოროვას რედაქციითა და გამოკვლევით, წიგნი I, 1970.
7. ჯორბენაძე ბ., პოეზიის ენა, თბ., 1999.
8. Гумбольдт В., О различном строении человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества, Избранные работы по языкознанию, М., 1984.

***Elene Khojevanishvili***  
*Gori State Teaching University*  
**REFLEXES IN ESMA ONIANI'S POETRY (COLOR SYMBOLS)**  
**RESUME**

The present study refers to the attempts of approaching to the color world of Esma Oniani's poetry and recognizing of its fictional-stylistic function. It is revealed that color speaking represents for still unknown poet's stylistic characteristic and gains expressive-emotional and esthetic meaning.

Color creation is the conformation of Esma Oniani's individuality and helps the author to deliver her ideas to a reader. Color-composites which are used along with the basic ones create a painted image of the environment and present themselves complex, multifunctional phenomena: they are represented as traditional function as well, filled with new details (a. oxymoron groups which are made by the pairing of contrast colors gain specific expressions, b. the color promotes dynamics, c. fills the poetic rows with some mysterious voices), presents semiotic signs and is one of the elements of structure also.

#### **ლიტერატურათმცოდნეობა** **Literature Studies**

**ორინე არჯევანიძე**  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

#### **ქრისტიანული იდეალი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში**

ნოდარ დუმბაძის პიროვნება და მწერლობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მის შემოქმედებაში ნათლად იგრძნობა ღვთაებრივი ძალის განცდა. მას სწამს, რომ ადამიანის ამქვეყნად მოსვლის მთავარი არსი გამოიხატება იმ ტრადიციების შენარჩუნებაში, რომელიც იცავს სარწმუნოებას, პატიოსნებას, სიყვარულს, თავმდაბლობას. მას სწამს ადამიანის სულიერი განახლების, სიკეთის, სინდისის ძლიერების. “მთელი ჩემი ცხოვრება გამოცდაში ვარ. სულ მცდის მამაზეციერი, ხან მშობლებს წამართმევს და მარტო

დამტოვებს ბავშვს, უმწეოს, ხან შვილს წამართმევს და ხან - ჯანმრთელობას, ხან დიდ ფათერაკს შემამთხვევს... სამაგიეროსაც მამლევს, ხან რას და ხან - რას, მაგრამ უსაზღვრო მწუხარებისათვის სამაგიერო არ არსებობს, არ მინდა, ბატონო, არაფერი არ მინდა, ჩემთვის დამაყენოს..." ეს იყო უზენაესთან საუბარი, - იგონებს ჯანსუღ ჩარკვიანი.

მწერლის მსოფლმხედველობა სრულ თანხვედრაშია ქრისტიანულ მორალთან. ნაშრომებს მუდმივად გასდევს ქრისტიანობისადმი ისტორიული თუ მისტიკური დამოკიდებულება. „თითოეულ ადამიანში დაფარულია ღვთის ნაპერწკალი. საჭიროა მხოლოდ მისი შემჩნევა. ამასთან, უნდა ვცდილობდეთ არა ამ ნაპერწკალის ჩაქრობას, არამედ მის გაღვივებას“ (დუმბაძე, 1989, 31) - ამბობს მწერალი.

ნოდარ დუმბაძის ნაშრომებში ზნეობის გაგება ყველასათვის ერთია. მნიშვნელობა არა აქვს, ვის ეხება ეს, საერო პირს, თუ ღვთის მსახურს. თუმცა, ისიც კარგად იცის, რომ დაცემაც და ამაღლებაც ადამიანის თანამდევით მოვლენება და ერთნაირად ვრცელდება საერო და სასულიერო პირებზე.

რომანში, „მარადისობის კანონი“, ბაჩანა რამიშვილისა და მამა იორამის საუბარი-კამათი ეხება ქრისტიანულ ყოვლისმიტევებლობას. ორივე პერსონაჟი თავისებურად მართალია, ორივე მაღალზნეობრივია, ორივე იცავს თავის იდეალს. მთავარია ისიც, რომ ნოდარ დუმბაძისათვის ბიბლია ზნეობის სფეროში კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოხატულებაა.

ბაჩანა რამიშვილის ხილვა საუბარია ადამიანსა და ქრისტეს შორის, ესაა იმედი, რწმენა, სინანული, რამაც შეიძლება გადაარჩინოს ადამიანი ღმერთთან საბოლოო ჩამოშორებას. მაგრამ ეს ყოველივე სტრიქონებს შორის იკითხება, გმირების მოძრაობაში მოსჩანს, მკითხველმა კი ეს ყველაფერი სტრიქონებს შორის უნდა ამოიკითხოს, დაინახოს. თუ ამას ასე არ აღვიქვავთ, მაშინ იქნება ჩვეულებრივი სიზმრისეული ამბავი და არა გულწრფელი თაყვანისცემა: „შვიდი დღე და ღამე მიაბიჯებდა ბაჩანა მზით დამწვარ უდაბნოში. პირველი ორი დღე ფეხით იარა, შემდეგ მუხლებით იხოხა მეხუთე დღემდე, დანარჩენი ორი დღე კი მუცელზე იფოფხა“ (დუმბაძე, 1989, 528).

„მწერალი შიშობს, იმ ღმერთობის ეპოქაში არ დააფრთხოს ადამიანი ღმერთის არსებობის აღიარებით და დიალოგის ისეთ ფორმას მიმართავს, სადაც კითხვა იმგვარი ფორმითაა დასმული, რომ თავის თავში თანხმობასაც შეიცავს. რეალურად ხილულ ღმერთსაც არ აცემინებს პასუხს, ხილვას, ზმანებაა ის მოპასუხე, რომელმაც ადამიანი უნდა დაარწმუნოს ღმერთის არსებობაში: – იყავი თუ არა შენ ქვეყნად და თუ იყავი, რისთვის განერიდე ადამიანს?“ – ამას კითხულობს არა სრულყოფილ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, არამედ გულწასული მომაკვდავი, რომელსაც პასუხი არ მოეთხოვება“ (ბოჩკოვა-ხვიჩია, ლ. ლიტერატურული ეტიუდები, 64).

მწერალს ღმერთის არსებობა თანდათან, მშვიდად შემოჰყავს ადამიანის რწმენაში. ეშინია, არ დააფრთხოს ისედაც ლამისაა განადგურებული, ურწმუნო მოდგმა.

– და თუ უფალი ხარ შენ, თქვი, რას წარმოადგენ შენ?

– მე ვარ რწმენა, იმედი, ძლიერება, სათნოება, ნიჭი სიყვარულისა და თავისუფლება“ (დუმბაძე, 1989, 609).“ მთავრდება თუ არა ეს ფრაზა, ვგრძნობთ, თუ როგორ ვივსებთ რწმენით, ძლიერებით, სათნოებით, სიყვარულის ნიჭით, თავისუფლებით.

ნოდარ დუმბაძის აზრით, ამქვეყნიური სიყვარულით უნდა ეზიაროს ადამიანი მარადიულ სიყვარულს, ანუ კაცობრივი და საღვთო სიყვარული მისთვის ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია: „რომელსა უყუარს ღმერთი, უყვარს ძმაცა თვისი“ (იოანე, 4, 2) და პირიქით. აქედან გამომდინარე, მწერალი პიროვნების ზნეობრივ მოვალეობაში რამდენიმე ძირითად საკითხს მიუთითებს. მათგან უმთავრესია საკუთარი პიროვნული ღირსების შეგრძნება, მოყვასისადმი დამოკიდებულება და მამულისადმი მოვალეობის შეგრძნება.

მღვდლობის საიდუმლოს არსის ჩვენებისას მწერალი ცდილობს უჩვენოს სრულყოფილი ადამიანის სახე. მღვდელმა ღვთის მცნებების გათავისებით, ირწმუნა სიკეთის ძალა და მისი უპირობო ქმნის უმძიმესი ჯვარი იტვირთა. მღვდლის რწმენით, ყველა ადამიანში ქრისტეა ჩასახლებული და მოყვასისადმი თავგანწირვით უფალს მიაგებს სიყვარულს პრინციპით: „იგი მე ვიყავ“. ამ სიბრძნის ცხოვრებაში განხორციელებით ის ჰგავს „მწყემსს კეთილს“, რომელმაც „სული თვისი დადვა ცხოვრებისათვის“ (იოანე, 10,11). ეს ზეკაცი ქრისტეს სიყვარულია და ბაძვს კიდევ მას შემძლებისდაგვარად. მღვდელმა, როგორც სრულყოფილმა ადამიანმა, მოიპოვა სიყვარული ანუ ღმერთი.

ნოდარ დუმბაძე არის ადამიანი, რომელსაც გასიგრძელებული აქვს თავისი შეცდომებიცა და შეცოდებებიც, მაგრამ ღვთის მოწყალების იმედიტაა სავეს, რადგან მის გულში მუდამ ენთო სიყვარულის ღვთაებრივი ცეცხლი და ამ სიყვარულისათვის შეეძლო სიკვდილი. მისი შემოქმედების მიღმა გამუდმებით შეიგრძნობა მწერალი - მოაზროვნე, რომელიც საკუთარი შემოქმედებით სწორედ ისე წარმოგვიდგება, როგორც უზენაესის სამსჯავროს წინაშე წარსდგებიან ცოდვილთა და მართალთა სულები. ეს შეგრძნება აშკარაა და გვიჩნდება იმის განცდა, რომ ჩვენს წინაშე აღსარებაა და ეს ნაწერები



კახეთს მოჭრილო ისარო, უკვდავებისა წყარო,  
ქალაქს ნაღებო ინიტა. ნადენო ოქროს მილითა,  
წითელო მოვის პერანგო, შენთანამც წოლით გამადლო,  
შვიდგან შეკრულო ღილითა, შენთანამც წოლა-ძილითა...

– ეს ლოცვაა თუ ნატვრა, მარიამ?

– რამ გაჰყო ნატვრა და ლოცვა, ბატონო?! – თქვა მარიამმა და ისევ დაიწყო: მზეო, ამოდი, ამოდი...”

ფაქტია, რომ მწერლისათვის სულიერი საზრდო ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პარტიულობა და თანამდებობები. ქრისტიანობა მისთვის ცხოვრების წესი გახლდათ და არა ზნეობრივ მცნებათა ერთობლიობა.

ნოდარ დუმბაძე ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მწერალია, გააჩია იდეების და შეხედულებების სისტემა სამყაროზე და მასში ადამიანის ადგილზე. მისი კვლევის საგანი სამყაროსთან ადამიანის შემეცნებითი, სოციალურ-პოლიტიკური, ღირებულებითი, ეთიკური და ესთეტიკური ურთიერთობებია.

ნოდარ დუმბაძის სიტყვებია: "არსებობს საზოგადოებრივი ყოფის გარკვეული ნორმები, რომლებსაც თითოეული ჩვენთაგანი ითვალისწინებს. მაგრამ, გარდა ამისა, თითოეულს უნდა გვექონდეს ჩვენი ქმედების მუდმივად წარმმართავი, საკუთარი, შინაგანი დისციპლინაც... სწორედ ეს შინაგანი დისციპლინაა, ჩემი აზრით სინდისი... ადამიანის გული, მისი სული ბუნების ყველაზე სრულყოფილი ქმნილებაა და ტყუილად არ ამტკიცებს ჩემი რომანის „მარადისობის კანონის“ გმირი ბაჩანა რამიშვილი: "ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული. იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე - სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაზამოდ, რამეთ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე" (დუმბაძე ნ., წერილები, გვ. 192). სიცოცხლის პროცესი შეუჩერებელია. ამდენად, კი ჩვენი მსჯელობაც ფუჭია... დიახ, ასეა, მაგრამ კაცობრიობის ცხოვრება საჭიროებს მუდმივ კორექტირებას, უნამუსო ადამიანების მოსპობა არ შეიძლება. გაიხსენეთ ბიბლია. ლიტერატურული თვალსაზრისით ის კაცობრიობის ისტორიაა. ჰოდა, როცა სოდომისა და გომორის მცხოვრებლებმა ზნეობრივი სახე დაკარგეს, ღმერთებმა გაანადგურეს ეს ქალაქები. ადამიანები კი ზეცით მოვლენილი ცეცხლით დანადრეს... კაცობრიობის განვითარებას მეორედ ნოეს კიდობანში დაედო სათავე. ნოე, საფიქრალია, წესიერი კაცი იყო, მაგრამ თვით ღმერთმაც ვერ შეატყო მის ერთ-ერთ ვაჟს, ქამს, უკეთურება...

მინდა ხაზგასმით ვთქვა: ადამიანში სინდისი შეიძლება გაღვივდეს. მე ყურადღებით ვუკვირდები ადამიანებს, ვეძებ მათში სინათლეს, სიმართლეს, რაც შემდგომ ჩემი გმირების დვრიტად იქცევა. დარწმუნებული ვარ, ასეთი ადამიანების გარეშე კაცობრიობა აქამდე ვერ მოაღწევდა, ხოლო თუ მოაღწევდა, რამდენიმე „სოდომი და გომორი“ იქნებოდა საჭირო“ (დუმბაძე, წერილები, 195-196).

ადამიანი მუდმივად დგას ქრისტიანული იდეალების, ცხოვრების საზრისის, ღირებულებების დაკარგვის საშიშროების წინაშე. როცა იკარგება მიზანი, უფასურდება უმაღლესი ღირებულებანი - მორალი, ზნეობა, ეთიკა, სინდისი, სამართალი. იდეალისგან დაცლილი და სიცარიელის განცდით შეპყრობილი ადამიანი ცხოვრების ბრმა მონაწილეა. ეს უკვე გზაა სიცარიელისაკენ, არარაობისაკენ მიმავალი. "სინდისი, ღირსება, რა უცნაური ცნებებია? ...ადამიანის სინდისის გაღვივება და აღზრდა შესაძლებელია... სინდისი გმირობასა ჰგავს, მაგრამ გმირად მე იმას არ ვთვლი, ვისაც არაფრისა ეშინია და ბაქიბუქობს... გმირობად შენთვის და შენი ხალხისათვის აუცილებელი საქმის აღსასრულებლად შიშის დათრგუნვა მიმაჩნია. დაე, იყოს ეს ძნელი და არავითარი პირადული სარგებლობა არ ჰქონდეს, მაგრამ სინდისი გაკრანახობს, სწორედ ასე მოიქცე და არა სხვანაირად... არსებობს საზოგადოებრივი ყოფის გარკვეული ნორმები, რომლებსაც თითოეული ჩვენთაგანი ითვალისწინებს. მაგრამ, გარდა ამისა, თითოეულს უნდა გვექონდეს ჩვენი ქმედების მუდმივად წარმმართავი, საკუთარი, შინაგანი დისციპლინაც... სწორედ ეს შინაგანი დისციპლინაა, ჩემი აზრით სინდისი..." (დუმბაძე, წერილები, 193).

საბჭოთა ეპოქაში, მაშინ, როდესაც ღმერთი და ეკლესია მოძველებული, დრომოჭმული აზროვნების მაგალითად მიიჩნეოდა, ნოდარ დუმბაძე ყოველი ფრაზით, ამბით და ისტორიით აბრუნებდა მკითხველს დიდი ხნის წინ დავიწყებულ ღმერთთან და მას აკეთებდა არა შეგონებებითა და მშრალი ქადაგებით, არამედ უპირველესად საკუთარი პერსონაჟების შინაგანი სამყაროს წარმოჩენით, სადაც წარმმართველი ძალა ყოველთვის მოყვასისადმი გაცხადებული სიყვარული იყო.

#### ლიტერატურა:

1. დუმბაძე ნ., შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები, თბ., 1984.

2. დუმბაძე ნ., თხზ., I, თბ., 1989.
3. დუმბაძე ნ., თხზ., II, თბ., 1989.
4. დუმბაძე ნ., თხზ., III, თბ., 1989.
5. დუმბაძე ნ., თხზ., IV, თბ., 1989.
6. ძველი და ახალი აღთქმა, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989.
7. ბოჩკოვა-ხვიჩია ლ., ლიტერატურული ეტიუდები; საქტ-პეტერბურგი, 1995.

*Irine Arjevanidze*  
*Iakob Gogebashvili Telavi State University*  
**THE CHRISTIAN IDEAL IN WORKS OF NODAR DUMBADZE**  
**RESUME**

In Nodar Dumbadze's opinion, a person receives the happiness by Religious way. This religious way means virtue and moral. Virtuous person is unimaginable without Religion, and the purpose of religious upbringing are four things: virtue, wisdom, knowledge and politeness. Among them virtue is the most important. And the basis of Religion is virtue. If the human loves God, then he will love all of the other humans. The writer believes, that the purpose of upbringing is to develop the moral, conscious person, and the basis of moral and consciousness is Christian Religion.

**თამარ გოგოლაძე**  
 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ეგნატე ნინოშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ისტორიისათვის**  
**(იაკობ გოგებაშვილი)**

„ეგნატე ნინოშვილის ერთ-ერთი გამოცემის ყდაზე დახატულია ეკლის გვირგვინ შემოვლებული გული, რომელსაც სისხლის ცრემლები ჩამოსდის. მხატვრული თვალსაზრისით შეიძლება ეს სიმბოლო შაბლონური იყოს, მაგრამ საგნობრივად, საუკეთესოდ ახასიათებს ჩვენი ბელეტრისტიკის შემოქმედების ბუნებას. ჩვენს ლიტერატურაში ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებში სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ აქ სისხლისაგან დაწურული და ნაწამები გული მეტყველებს“ - წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი XIX საუკუნის ბელეტრისტიკის, უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი მწერლის, ეგნატე ნინოშვილის (1859-1894) შესახებ (ვ. კოტეტიშვილი 1965:625).

ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფია თუ მხატვრული შემოქმედება არაერთგზის გამხდარა სხვადასხვა დროის ლიტერატურათმცოდნეთა შესწავლის ობიექტი, როგორც მის სიცოცხლეში, ისე სადღეისოდ, მაგრამ საკუთრივ ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც პირველად სიმონ ხუნდაძემ 1935 წელს შეიტანა მწერლის თხზულებათა სრული კრებულის III ტომში („პუბლიცისტური წერილები, დოკუმენტები და მასალები“), ერთგვარ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და, ამდენად, მათი ხელახლა გამომხეურება - შესწავლა, ვფიქრობთ, ბევრ საინტერესო მხარეს წარმოაჩენს, როგორც თავად ავტორის, ისე მის გარშემო არსებული საზოგადოების წარმომადგენელთა შესახებაც. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება წინამდებარე სტატიაში მახვილდება იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილ წერილსა და, თავის მხრივ, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის პუბლიცისტურ წერილებზე ეგნატე ნინოშვილის შესახებ.

როგორც მკვლევარი იუზა ევგენიძე აღნიშნავდა, „...უკვე სახელმძღვანელო მწერალ ეგნატე ნინოშვილს 1892 წელს თავისი წიგნისათვის პორტრეტს სთხოვენ, მას კი სურათის გადასაღები ფულიც არ აქვს. მწერალს ჰყავს მეგობრები როგორც პირადი მიმოწერიდან ჩანს, ძალზე დაახლოებული ყოფილა თედო სახოკიასთან, მაგრამ ამ მეგობართაგან ყველას ან თითქმის ყველას უჭირდა ამ დროს. ცნობილ



ქართველ მოღვაწეთაგან მწერლის სიცოცხლეში მხოლოდ ჩვენმა სასიქადულო პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა მოახერხა, „ისე, რომ მისი პრუდონისებური თავმოყვარეობა არ შეელახა“, დახმარების ხელი გაწოდებინა უნუგემო მდგომარეობაში მყოფი მომავლადი მწერლისათვის“. (ხაზი ჩვენია - თ.გ.) (ქართული ლიტერატურა II, 2012:544). (ახალი ქართული ლიტერატურა II 2010:394) (იუზა ევგენიძე I 2000:211).

ამჟამად, ეს არ უნდა ყოფილიყო იაკობის მხრიდან მხოლოდ ერთჯერადი დახმარება, რამდენადაც, როგორც სილიბისტრო ჯიბლამის მიერ 1894 წლის 20 აპრილს, ანასტასია თუმანიშვილისადმი გაგზავნილი პირადი წერილის მინაწერიდან ირკვევა, „P.S. მინდოდა პასუხი მიმეწერა ბ. იაკობ ექვთიმეს მე გოგებაშვილისთვისაც, მაგრამ ვერ ვახერხებ, რადგანაც, სამწუხაროთ, მათი ადრესი დავკარგე. დიდად დამავალებთ თუ აცნობებთ, რომ მისგან გამოგზავნილი ფულებიგი მივიღეთ, ს. ჯიბლამე. (ხაზი ჩვენია - თ.გ.) (ევნატე ნინოშვილი III 1935:150).

და, მართლაც, მხოლოდ იაკობ გოგებაშვილს შეეძლო (მხედველობაში არა გვაქვს მისი ფინანსური მდგომარეობა), ასეთი გულისხმიერების გამოჩენა და საქმით დახმარება ნიჭიერი მწერლისათვის: „მას უხაროდა ახალგაზრდების შეხვედრა, ვინც მწერლობაში იწყებდა გამოსვლას და ასე თუ ისე ნიჭსა და უნარს იჩენდა“ (თ. სახოკია) (იაკობის სამრეკლო 1990:337).

იაკობსა და ევნატე ნინოშვილს ერთი მტკივნეული ფაქტიც აერთიანებთ - ფილტვების მძიმე დაავადება - ამიტომაცაა თავის წერილში, რომელიც 1894 წლის 12 თებერვლითაა დათარიღებული, ევნატე ნინოშვილი ჩვეული გულახდილობით მოუთხრობს იაკობს თავის ავადმყოფობაზე: „რასაკვირველია, ჩემი ავადმყოფობის ისტორიას აქ არ მოვეყვები, რადგან ეს შორს წავგიყვანს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩემი ავადმყოფობა დაიწყო ორი მიზეზის გამო: ერთი - ხშირად ცუდ გარემოში ვცხოვრობდი, მეორე - გაუფრთხილებლად და დაუზოგველად ვეპყრობოდი თავისთავს. მტერსაც კი არ მოეპყრობა კაცი, ისე უდიერად, როგორც მე ჩემს ჯანს ვეპყრობოდი. ამასთან კიდევ დაბადებიდანვე ჯანსუსტი ვიყავი... რადგან ამდენი ვილაპარაკე, დასასრულ ვიტყვი ამასაც: მე არ შემძლია ვუთხრა საზოგადოებას - შენს სამსახურში დაავადმყოფდი-მეთქი, არა, წერის დაწყებამდე ჩემი ჯანი სრულიად გატეხილი იყო, მოუბრუნებლად დარღვეული იყო, არც ბევრი მიწერია: ოთხი წელიწადია აგერ, რაც ვწერ და ერთ მოზრდილ წიგნს კიდევ ვერ შეადგენს ჩემი ნაწერები“. (ევნატე ნინოშვილი III 1935:120-121).

თუ ეს ერთი წერილი, ისიც პირადი, მოგვყავს ევნატე ნინოშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, მისი გარდაცვალების შემდგომ იაკობ გოგებაშვილს სამი პუბლიცისტური წერილი ეკუთვნის ევნატე ნინოშვილზე: ერთი, „წერილი, რედაქციის მიმართ“ დაიბეჭდა 1894 წლის „ივერიის“ №136-ში, მეორე „ნიმუში „კვალის“ სიმართლისა“ „ივერიის“ 1894 წლის №187-ში (ეხება ნინოშვილის ნაწერების გამოცემას) და მესამეც 1904 წელს („ორიოდე სიტყვა დ. ჭონქაძეზე და ე. ნინოშვილზე“), ორი უკანასკნელი თვით იაკობს შეუტანია პუბლიცისტური წერილების I ტომში (1910 წელს), შემდეგ კი „მცირედენი შეკვეცით დაიბეჭდა მისი თხზულებების ათტომეულის II ტომში“ (1954 წელს). ი. გოგებაშვილის პირველი ორი წერილი ეხება ე. ნინოშვილის თხზულებათა გამოცემის საკითხს და მეტნაკლებად ეხმაურება ი. გოგებაშვილისადმი ე. ნინოშვილის მიერ 1894 წელს გაგზავნილს. ამდენად, ჩვენც აღნიშნულ მასალაზე (უფრო ზუსტად, მეორე წერილზე) გავამახვილებთ ყურადღებას.

თავად ევნატე ნინოშვილი თავის პირად წერილში იაკობ გოგებაშვილს დიდ მადლობას უხდის გაწეული დახმარებისათვის: „მხოლოდ გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ ეს ფული შემდეგში გადაგიხადოთ. მართალია, თქვენისთანა ღირსეული და პატივცემული პირისაგან შემწეობასაც ვერ ვითაკილებ, მეტად ისეთი მხურვალე თანაგრძნობით მოძღვნილს, მაგრამ ახლა, როცა ერთი მხრივ საზოგადო ფულს ვხარჯავ, რომელიც შესდგება თქვენ და თქვენისთანა გულშემატკივარი, პატივცემული პირებისაგან გაღებული ფულით, დიდი ურიგობა იქნება რომ კერძოთ კიდევ თითოეული პირისაგან დავიწყო შემწეობის მიღება. უნდა მოგახსენოთ, საზოგადო ფულს რომ ვღებულობ, იმის გამოც შიშის ქრუანტელი მივლის ტანში: თუნდა მოვრჩე კიდევ, შევძლებ კი მიუზღო დანახარჯი? ან კიდევ ახლა რომ მოგვკდე, რა დარჩება საზოგადოებას ჩემგან? რამდენიმე პატარ-პატარა მოთხრობები! ეს არ არის საკმარისი. მე ისიც მეყოფა ჯილდოთ, თუ კი ჩემი ნაწერების კითხვამ ქართულ საზოგადოებას მოუტანა ცოტადენი მაინც ჭეშმარიტი სიამოვნება. მე დაჯილდოვებულად ვსთვლი თავისთავს, როცა თქვენისთანა ღირსეული პირი მეუბნება: შენი ნაწერების წაკითხვით ვისიამოვნეო“. (ხაზი ჩვენია - თ.გ.) (ევნატე ნინოშვილი III 1935:118).

ამჟამად, სწორედ იაკობ გოგებაშვილში ხედავდა ე. ნინოშვილი თავის შემოქმედების ღირსეულ დამფასებელს, ამიტომაც მას ანდობს შემოქმედების გამოცემასაც, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს ამავე წერილში; „ჩემი მოთხრობების გამოცემისათვის თქვენისთანა მზრუნველს მე ვიღას ვიპოვი. მე ამაზე ფიქრსაც ვერ გავხედავდი, რომ თქვენ არ გებრანებინათ. ახლა, რადგან თქვენ ინებეთ, მე სრულიად თანახმა ვარ მოგანდოთ თქვენ ყველა ჩემი მოთხრობები გამოსაცემად და აგრეთვე მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, რომელიც ახლა იბეჭდება გაზ. „კვალში“. ვაჭრობა და ანგარიშები გამოცემის შესახებ მე თავართქილაძესთანაც კი არა მქონია, თორემ ისე ღმერთი როგორ გამიწყრება, რომ თქვენ, რაც მერგება,

არ დამაკლებთ. გამოაცემინეთ ჩემი მოთხოვნებიდან, რომელიც კი გნებავდეთ, იმდენი, რამდენიც დაინახოთ საჭიროდ“ (ეგნატე ნინოშვილი III 1935:118). (ხაზი ჩვენი - თ.გ.).

აღნიშნული წერილი კიდევ იმითაა საყურადღებო, რომ მასში გამოთქმულია, ასე ვთქვათ, ავტორის (იქნებ უკანასკნელი) სურვილიც თავისი ნაწერების გამოცემა მიანდოს იაკობ გოგებაშვილს. მაგრამ როგორც ამ უკანასკნელის „ივერიის“ 187-ე ნომერში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილიდან ირკვევა, „კვალში“ დაბეჭდილმა პატარა წერილმა, „ნინოშვილის თხზულებათა გამოცემის გამო“, საშინლად გაანაწყენა იაკობი, რადგან მას ბრალად დასდეს ე. ნინოშვილის გამოცემის დასაკუთრება. „რედაქციამ ამ წერილს წინ წაუძღოლა ლექსი: „საწყალი დედაბრისასა თავნი ყანასა მკიანო“. პირველი ფრაზა მკითხველს აფიქრებინებს: აქ უთუოდ ვინმე მკის თავისს სასარგებლოდ ოხრად დარჩენილს ნინოშვილის ყანასაო. ეს აზრი რედაქციამ მკითხველს თავში აულაპლაპა რამდენიმე სტრიქონის შემდეგ. ჯერ მოიხსენია, რომ ნინოშვილის ბიძამ გამოაცხადა გაზეთში: ჩემ უნებურად ნურვინ გამოსცემს ჩემის ძმისწულის თხზულებათაო და მერმე ასე განაგრძო: „ჩვენს უკუღმართ დროებაში რა არ ხდება. თუ შენი არ იხარჯებოდეს, ლხინს ნურა გირჩევნიანრაო. ჩვენი მეთაური ამდენად გაკადნიერებულან, რომ სხვისი ჯიბით საქველმოქმედო საქმის წარმოება პირად დამსახურებად და თავის მოწონებადაც მიაჩნიათ, მაგრამ ასეთს საქციელს არა მკითხე მეპატრონობა ჰქვია. ჩვენთვის რომ ვისმე ეთქვა: ასეთი საქციელი იკადრა ბატონმა გოგებაშვილმაო, არ დავიჯერებდით: მაგრამ, დიახ ჩვენი გაცეცხისა, როდესაც მისი ხელმოწერილი განკარგულება წავიკითხეთ „ივერიაში“, (ეს ეხება 184-ე ნომერში დაბეჭდილ წერილს) ნინოშვილის თხზულებათა გამოცემის შესახებ: მერმე მოჰყავს ჩვენი წერილი „ივერიაში“ ამ საგნის შესახებ, და სწყვეტავს სწორედ იმ ადგილზედ, საიდანაც იწყება იმისი ამბავი თუ ნინოშვილმა როგორ დამალა სიკვდილის წინედ მეზრუნა მისი მოთხოვნების რიგაიანად გამოცემაზედ და როგორ და როგორ გამომიგზავნა გასწორებული და შევსებული თავისი მოთხოვნა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ (იაკობ გოგებაშვილი II 1990:109-110)<sup>1</sup>.

შემდგომ გოგებაშვილი იძლევა ე. ნინოშვილის მოთხოვნის შეფასებას, აღნიშნავს ექიმ ტიტე ქიქოძის ნათქვამს, რომ ავტორი მძიმე მდგომარეობაშიაო და თავის სურვილსაც - „ყველა ამ ამბავმა ჩემს გულში დაბადა ძლიერი სიბრალული და თანაგრძნობა. მე გადავწყვიტე, რომ სრული სახსარი ცხოვრებისა აღმომეჩინა ავადმყოფისათვის, მაგრამ ისე - კი, რომ ნამდვილი დემოკრატიული, პრუდონისებური თავ-მოყვარეობა მისი არ შემელახნა. იმ დროს ნინოშვილს სალიტერატურო ფონდიდან მისდიოდა თვეში 15 მანეთი და 5 მანეთსაც უმატებდა ამ ფულს რედაქცია „კვალისა“. მეგობრებსა სწერდა, რომ ამ ორი თუმანიდან წამლების ყიდვას თითქმის აღარაფერი რჩება და გაჭირვებულს ცხოვრებაში ვარო. საჭირო იყო, რომ ორიოდ-სამი თუმანი კიდევ მიმატებოდა ამ ფულსა, რომ შეღავათით და უზრუნველად ეცხოვრა ნიჭიერს ავადმყოფს ბელეტრისტსა. 22 იანვარს მე მას ვრცელი წერილი მივწერე გურიაში, რომლითაც ვატყობინებდი, თუ რა ძლიერს ჩავეჭდილებას სტოვებდა „ყოველს მკითხველში მისი მოთხოვნა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ (მეორე ნაწილმა ჩემი მოლოდინი ვერ გაამართლა, ნინოშვილმა წერილში ამიხსნა, რომ პირველი ნაწილი მამის სიცოცხლეშია დაწერილი და მეორე მამის სიკვდილის შემდეგაო““ (ი. გოგებაშვილი II 1990:111). ამის შემდეგ იაკობი გამოსცემს თავის წერილის შინაარსს და იმასაც, რა კმაყოფილება იგრძნო მისი მოთხოვნების წაკითხვით, უგზავნის „ხუთ თუმანს საკუთარ ჩემს ფულს“ და თანაც უთანხმდება, როცა იშოვის, დაუბრუნოს.

გარდა ამისა შეიძლება სხვა წყაროდანაც იშოვოს ფული, რადგან „Новое обозрение“ თარგმნის მის მოთხოვნებს რუსულად და აქედან შეიძლება ჰონორარი მიიღოს კიდევ როგორც იაკობი წერს, „თანაც განვუცხადე სურვილი, მეკისრა გამგეობა მისი თხზულებების გამოცემისა, პასუხად მივიღე ვრცელი წერილი (რომელსაც გადავცემ მის ბიოგრაფსა), სადაც იგი სიხარულით და მადლობით მიცხადებდა თავისს თანხმობას მას შესახებ ხსენებულის გამგეობისა“ (ი. გოგებაშვილი II 1990:112).

მარტში კიდევ ერთხელ გადაუგზავნია იაკობს საკუთარი ორი თვის 50 მანეთი, „კვალს“ კი დაუმატებია ერთი თუმანი. იაკობს სურდა თურმე, როგორმე გაეგზავნა იგი აბასთუმანში, აგროვებდა მისთვის ფულს, მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა ხელი შეუშალა ამ კეთილშობილურ საქმეში. ამას გარდა დასამარხად გიორგი წერეთელს გაატანა ი. გოგებაშვილმა მისი კუთვნილი ჰონორარი - ოცდახუთი მანეთი.

<sup>1</sup> ამ მოთხოვნის შესახებ ე. ნინოშვილის ზემოთხსენებულ წერილში აღნიშნულია: „როცა ამ მოთხოვნას კითხულობთ, გგონიათ, თითქო გამოუკლიათ, თითქოს თავებიც არეულია და დაუსრულებელიაო და სხვა, მაგრამ ამაში არც გ. წერეთელს და არც „კვალს“-ს რედაქციას ბრალი არა აქვს“, რამდენადაც გარკვეული მიზეზების გამო ე. ნინოშვილს ხშირად უხდებოდა წერის შეწყვეტა და გაგრძელება (მამა ჯერ ავად გაუხდა, შემდგომ - გარდაეცვალა), ამიტომ სთხოვს დაბეჭდვისას გამოიყენონ „კვალის“ ჩასწორებული პუბლიკაცია და არა ხელნაწერი რვეული. (ე. ნინოშვილი III 1935:119-120).

ი. გოგებაშვილი გულისტკივილს გამოხატავს ამ ჭორების გამო, რომელთა მიხედვითაც მას თურმე სურდა ე. ნინოშვილის თხზულებათა გამოცემით აეღო თავისი ათი თუმანიო. ამის შემდეგ იაკობმა „ივერიაში“ მიიტანა წერილი, რომელშიც ბრალდებას უარყოფდა, რედაქტორმა კი მას აღუთქვა, რომ ე. ნინოშვილის გამოცემების მთელი შემოსავალი სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ გადაიდებოდა.

შემდგომ კიდეც მოხდა რამდენიმე ფაქტი რის გამოც იაკობმა თხოვა ქუთათურ გამომცემელ ამხანაგობას განსვენებულის ყველა ნაწერის გამოცემა, იმ პირობით, რომ „ჰონორარის ნაწილი გაუგზავნოს ავტორის მემკვიდრეს და მეორე ნაწილი სალიტერატურო ფონდს“.

იაკობი ცდილობს გაარკვიოს საქმის ჭეშმარიტი ვითარება „კვალში“ დაბეჭდილი პუბლიკაციის გამო და ასკვნის: „მე საჭიროდ და ფრიად სასარგებლოდ მიმაჩნია, რომ ყოველმა ლიტერატორმა და ყოველმა პედაგოგმა ჩვენში ანდერძი დასტოვოს, რათა სიკვდილის შემდეგ მის ნაწერების ჰონორარი მაინც უთუოდ საზოგადო საქმეებისათვის იყოს გადადებული“ (ი. გოგებაშვილი II 1990:114).

თავად იაკობი კი აცხადებს, რომ აღარ გაერევა ნინოშვილის თხზულებების გამოცემაში და გაუგზავნის ალექსი ინგოროყვას გასწორებულ და შევსებულ მოთხრობას „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და მის მიერ მოპოვებულ პორტრეტს მწერლისას.

მართლაც, იაკობი აღარ გარეულა ე. ნინოშვილის თხზულებათა გამოცემის საქმეში, ხოლო 1895 წელს გამოიცა ე. ნინოშვილის ორი მოთხრობა ავტორის სურათით გ. წერეთლის მიერ, გ. „კვალის“ რედაქციით. 1897 წელს მხოლოდ ცალკე მოთხრობა „პარტახი“ („ახალი მკითხველის“ გამოცემა), 1900 წელს „ქრისტიანე“ (ბათუმში კ. თავართქილაძის სტამბაში), 1902 წელს „მოსე მწერალი“ (ბათუმში, კ. თავართქილაძის სტამბაში). ასე, ვიდრე 1904 წლამდე, როდესაც ისევ კ. თავართქილაძის სტამბაში ივ. გომართელის კრიტიკული წერილით, სურათით, ბიოგრაფიითა და სხვა წერილებით დღის სინათლე არ იხილა ე. ნინოშვილის თხზულებათა სრულმა კრებულმა. აი, კიდეც ერთი მაგალითი იმისა, როგორ გაფუჭდა და გაჭიანურდა კარგი საქმე, გარდაცვლილი ნიჭიერი მწერლის ე. ნინოშვილის თხზულებათა სრული გამოცემისა.

დასკვნისათვის შეიძლება აღინიშნოს წინამდებარე სტატიის მნიშვნელობა, რამდენადაც სწორედ ამ წერილების მეშვეობით აშკარა ხდება ორი მწერლის საოცარი მზრუნველი და ურთიერთპატივისცემით აღსავსე დამოკიდებულება, რაც განაპირობა, ერთი მხრივ, ე. ნინოშვილის ნიჭის აღიარებამ იაკობ გოგებაშვილის მიერ და, მეორე მხრივ, მისმა სწორმა პოზიციამ, გამოეცა უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებების სრული კრებული, ავტორის სიცოცხლეშივე დართული ნების შესაბამისად, რაც, სამწუხაროდ „კვალის“ რედაქციის უპასუხისმგებლო და წინდაუხედავი წერილის წყალობით ვეღარ განხორციელდა მწერლის გარდაცვალებიდან 10 წლის განმავლობაში.

### ლიტერატურა:

ქართული ლიტერატურა II 2012: ევგენიძე იუზა, „ეგნატე ნინოშვილი“, კრებულში, „ქართული ლიტერატურა II“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2012;

იაკობის სამრეკლო 1990: სახოკია თ., სამშობლოს მოამაგე და ჭირისუფალი, კრებულიდან „იაკობის სამრეკლო“, „განათლება“, თბილისი, 1990;

ახალი ქართული ლიტერატურა II, 2010: ევგენიძე ი. „ეგნატე ნინოშვილი“, კრებულიდან „ახალი ქართული ლიტერატურა“ II, თსუ, 2010;

ევგენიძე I 2000: ევგენიძე ი. „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, თსუ, 2000;

ვ. კოტეტიშვილი 1965: კოტეტიშვილი ვ. „რჩეული ნაწერები“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965;

ევ. ნინოშვილი III 1935: ე. ნინოშვილი, თხზ. სრ. კრებ., ტ. III, ფედერაცია, თბილისი, 1935;

ი. გოგებაშვილი II 1990: გოგებაშვილი ი. „რჩეული თხზულებათა“, ტ. II, „განათლება“, თბილისი, 1990.

**Tamar Gogoladze**  
*Gori State Teaching University*  
**FOR THE HISTORY OF EPISTOLARY HERITAGE OF EGNATE NINOSHVILI**  
**(I. GOGEBASHVILI)**  
**RESUME**

The biography and creative heritage of Egnate Ninoshvili has always been the subject for literary study as in his life as nowadays. But the epistolary heritage which was first bought in the third volume of the complete collection of his creative work (publicist letters, documents and materials) in 1935 by professor Simon Khundadze, is a kind of bibliographic rarity. That is why their renovation and presenting declares interesting details and facts from the point of studying the writer's relations with the writers and public figures of his epoch.

In the presented article our attention is drawn to 2 letters of Egnate Ninoshvili to Iakob Gogebashvili (letters dating February 12 and March of 1894) in which Iakob Gogebashvili's attention and taking care of a gifted writer is clearly shown. E. Ninoshvili's evaluation and gratitude is shown as well.

I. Gogebashvili's attitude to E. Ninoshvili is shown in his letter about Egnate Ninoshvili (A Sample of Trace of the Truth) which first was published in "The Iveria" #187 in 1894. Here he directly and with deep regret points how Ninoshvili asked him before his death to take care of publication of his creative work. The mentioned point comes from the content of above mentioned letters and clarifies one of the merits of the outstanding teacher and public figure, Iakob Gogebashvili, which is forgotten at present. From this point in our article we presented deep analysis of 2 letters by E. Ninoshvili.

ნინო ვახანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### იაკობ გოგებაშვილი - პროფესიონალი მწერალი

ვინ უნდა მივიჩნიოთ პროფესიონალ მწერლად? რას ნიშნავს მწერლობა, როგორც პროფესია? სად არის საგულვეტელი მწერლობის პროფესიონალიზაციის დასაწყისი, სათავე? ვინ არიან ჩვენში პროფესიონალი მწერლები და ეკუთვნის თუ არა მათ რიცხვს იაკობ გოგებაშვილი? - აი, ამ კითხვებზე პასუხის მოკრძალებული ცდაა ჩვენი წერილი.

ტერმინი „პროფესიონალი მწერალი“, ალბათ, ორი - ვიწრო და ფართო მნიშვნელობით გაიგება. ფართო მნიშვნელობით, პროფესიონალია ყველა მოწოდებით მწერალი. ქართულ ლიტერატურას, მოგეხსენებათ, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს და პირველივე ძეგლიდან (ავტორიდან) მოკიდებული დღემდე ყველა ის მწერალი, რომელთა ნაწარმოებები დარჩა ჩვენი ლიტერატურის და კულტურის ისტორიაში, პროფესიონალია. საუბარი შეიძლება და სავსებით მართებულად და ლოგიკურად, იაკობ ხუცესის, იოანე საბანისძის, მერჩულისა და სხვათა პროფესიონალიზმზე, როგორც მწერლურ ოსტატობაზე. როცა დავით გურამიშვილი ყმაწვილებს სხვადასხვა პროფესიას აცნობს, სულ ათ ხელობას ჩამოთვლის და მათ შორის - პროფესიით ბრძენსაც (ბრძენ-მსიტყველს). სხვებთან შედარებით უპირატესობას სწორედ ამ უკანასკნელს ანიჭებს:

*აქ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია*

*ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია;*

*ბრძენმან არ უნდა იკადროს, ურიგო რაც რამ ფერია,*

*ბრძენის ურიგო ქცევითა ბაძით წახდების ერია* (გურამიშვილი 1989:356).

რუსთაველის მიხედვით, პოეზიას სიბრძნისაა ერთი დარგი, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გურამიშვილისეული ბრძენ-მეტყველი მწერალია.

თუმცა პროფესიების წარმოქმნა რადგან ბურჟუაზიულ ეპოქას უკავშირდება, ამიტომ, ცხადია, მწერლობა, როგორც პროფესია, დამახასიათებელი არ გახლავთ ძველი სამყაროსთვის (თუმცა პარადოქსული აზროვნების ოსტატი ემილ მიშელ ჩორანი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: „პროფესიონალი მწერალი - ბურჟუაზიული ეპოქის გამომგონებელი“. ჟ. „საგურამო“:172). აქ ჩვენ უკვე ვსაუბრობთ მწერლობის პროფესიონალიზაციის ვიწრო მნიშვნელობაზე.

მწერლობის, როგორც პროფესიის გაჩენამ, რა თქმა უნდა, შეცვალა, გადაასხვაფერა თავად მწერლობისა და მწერლის ფუნქცია, მნიშვნელობა. მწერლობის პროფესიონალიზაცია ჯერ ევროპაში, ცოტა უფრო გვიან კი (კერძოდ, XIX საუკუნეში) რუსეთსა და საქართველოშიც იწყება. ჩვენი პროფესიონალი მწერლები აქტიურად მონაწილეობენ მწერლობისა და კულტურის განახლება - გარდაქმნაში, თვისობრივი ხასიათის სიახლეები შემოაქვთ პროფესიაში. მწერლობის პროფესიონალიზება ზემოთქმულს აუცილებლად გულისხმობს.

ახლა ვნახოთ, როგორ არის განსაზღვრული ტერმინი „პროფესიონალიზმი“ იმ მკვლევართა მიერ, რომლებიც ეკონომიკურ კრიტიკასა და ლიტერატურულ კვლევებს წარმატებით აკავშირებენ

ერთმანეთთან. როგორც უილიამ ტოდი წერს თავის გახმაურებულ წერილში „დოსტოევსკი, როგორც პროფესიონალი მწერალი“, მწერლობა, როგორც პროფესია, გულისხმობს სამ აუცილებელ რამეს: 1. ავტორისთვის წერა უნდა იყოს „მოწოდება“, 2. ფინანსურად სტაბილური საქმიანობა და არსებობის ძირითადი საშუალება. 3. უნდა იკვეთებოდეს ავტორის ხაზგასმული პატივისცემა სიტყვისადმი და როგორც კრიტიკოსის პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე (ТОД 2002: НЛО №58).

მწერლობის და კომერციის ურთიერთობით მრავალი მკვლევარი გახლდათ დაინტერესებული. ზოგი მათგანი (მაგალითად, შევიროვი) ლიტერატურული შრომის ფულად ანაზღაურებაში მწერლობის განვითარების პერსპექტივას ვერ ხედავდა. მიაჩნდა, რომ ავტორები შეგნებულად გახდებოდნენ მრავალსიტყვიანნი და საერთოდ, ვაჭრობა (ფულადი ანაზღაურება) დალუპავდა გემოვნებას, აზრს, მორალს, დახვეწილობას, მართალ კრიტიკას. მსჯელობა თითქოს ლოგიკურიცაა, მაგრამ სინამდვილეში ეს ეხება მხოლოდ ლიტერატურასთან შემთხვევით და არა მოწოდებით დაკავშირებულ ადამიანებს.

მართო პირველი ნიშნით, როგორც ვთქვით, ძალიან ბევრი ავტორი გახლავთ პროფესიონალი მწერალი, მაგრამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობა სწორედ სამივე ნიშნის ერთიანობას გულისხმობს. ინდივიდუალურად თითოეულ შემთხვევაში შესაძლებელია კიდევ სხვა ნიშნების გამოყოფაც.

ამ სამივე ნიშნის გათვალისწინებით პირველ პროფესიონალ მწერლად საქართველოში, ვფიქრობ, სოლომონ დოდაშვილი უნდა მივიჩნიოთ.

სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობის შემდეგ ჩვენში ხდება სერიოზული კულტურული წყვეტა. ამიტომ, როგორც სწორად აღნიშნავს მკვლევარი ნონა კუპრეიშვილი (წერილში: აკაკი წერეთელი და ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის პროცესი): „საკმაოდ რთულია საუბარი მწერლობის პროფესიონალიზების პროცესის თანმიმდევრობასა და ლოგიკურობაზე“. დოდაშვილის უშუალო გამგრძელებლად გვევლინებიან „სალიტერატურონი ნაწილის“ გამოცემიდან (1832 წელი) ოცი წლის შემდეგ (1852 წ.) დაარსებული ჟურნალის „ცისკარის“ რედაქტორი გიორგი ერისთავი და მისივე თანამედროვე ზურაბ ანტონოვი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხი კი ამჟამად ისაა, შეიძლება თუ არა პროფესიონალი მწერალი ეწოდოს იაკობ გოგებაშვილს და თუ კი, როგორ, რაში ავლენს იგი ამ პროფესიონალიზმს.

ზემოდასახელებული სამი ნიშნიდან პირველი, „მოწოდება“ რომ ზუსტად შეესაბამება იაკობ გოგებაშვილს, ეჭვს არ იწვევს. გოგებაშვილი, გარდა იმისა, რომ მოწოდებით პედაგოგი იყო, გახლდათ აგრეთვე მოწოდებით მწერალი. ცხადია, არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ იგი საბავშვო მწერალია. ბავშვებისთვის ხომ ისევე უნდა იწერებოდეს, როგორც დიდებისთვის, ოღონდ ოდნავ უკეთ. გოგებაშვილი ავტორია 150-მდე პატარა თუ დიდი, შესანიშნავი საბავშვო მოთხრობისა. მათგან ერთი, „იავნანამ რა ჰქმნა?!“ განსაკუთრებით პოპულარული იყო და არის დღესაც მოზარდებშიცა და მოზრდილებშიც.

ბელეტრიზებულია მისი ისტორიული თხზულებებიც, რომლებიც სამართლიანადაა მიჩნეული ნოველებად. გოგებაშვილის ამ ციკლის ნაწარმოებები როსტომ ჩხეიძემ ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმაწვილო ისტორიას“ შეადარა. ბიოგრაფიულ რომანში „ბურჯი ეროვნებისა“ რ. ჩხეიძე წერს: „შუაგულში აქაც მთხრობელი იდგებოდა თავისი მიმზიდველი ხელოვნებით, ქრონოლოგია სადღაც შორს დარჩებოდა და ერთი-ერთმანეთზე უფრო გულისხმებური ეპიზოდები მოიტანდა ბავშვის გულსა და გონებას იდგომის სულს, ხელშესახებად განაცდევინებდა ეპოქათა დაუსრულებლობასა და შინაგან რიტმს, და იმ უშორეს ხანამდე გადაწვდებოდა, ინგლისის ისტორიის გარიჟრაჟი ლამის ყურისძირში გამოჩნდებოდა“. საგულისხმოა მწერლის იდეა, საერთო სახელწოდებად გოგებაშვილის ამ თხზულებებს, დიკენსის კვალობაზე, ვუწოდოთ „საქართველოს საყმაწვილო ისტორია (ფრაგმენტები)“ (ჩხეიძე 2007:313).

როსტომ ჩხეიძემ იაკობის მოღვაწეობასა და ცხოვრების სტილს ფრანც კაფკას ფორმულა მიუსადაგა, მე არა მაქვს ლიტერატურული ინტერესები, მე შევდგები ლიტერატურისაგანო. ეს იმიტომ, რომ თანამედროვენი მას იგონებენ, როგორც ადამიანს, რომელსაც პირადი ცხოვრება არ ჰქონდა. მთელი მისი ცხოვრება, სიმდიდრე და სიღარიბე, ცოლ-შვილიც, ოჯახიც, გართობაც იყო სწავლა-განათლება, დედა ენა, სამშობლოს სიყვარული „ლაპარაკი, მსჯელობა, აზროვნება მხოლოდ ამ საგნებზე ეხერხებოდა სიყვარულით, ხალისითა და გატაცებით“ (გოგიჩაიშვილი 1990: 456).

იაკობი ხალხში არანაკლები სიყვარულით სარგებლობდა, ვიდრე ილია და აკაკი. ეს გარემოება კი იმის დასტურად გამოდგება, რომ მწერლობას მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. უნდა დავეთანხმოთ დემნა შენგელაიას, რომელიც წერს: „თუ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ილიასთან და აკაკისთან ერთად იბრძოდა ვინმე ასეთი უანგარო თავდადებით, ასე უშიშრად და ზნეობრივად იყო უმწიკვლო, პირველ რიგში ეს იაკობ გოგებაშვილია“ (შენგელაია 1990: 16).

ხალხის უდიდესი სიყვარული დაიმსახურა იაკობმა სიცოცხლეშივე ისევე, როგორც ილიამ და აკაკიმ. სიცოცხლის მიმწუხრს. უთქვამს კიდეც: ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსვე უნდა დაუბრუნდესო.

კიდევ უფრო მეტად ესადაგება გოგებაშვილს პროფესიონალი მწერლის სხვა ნიშანი - წერა, როგორც ფინანსურად სტაბილური საქმიანობა და არსებობის ძირითადი საშუალება.

ახალგაზრდობის (1874 წლის) შემდეგ იაკობ გოგებაშვილს არსად უმსახურია. მან უარი თქვა სახელმწიფო სამსახურზე. დაწვა, გაანადგურა ყველა მოწმობა, დიპლომი, ატესტატი თუ სხვა დოკუმენტი. ამ დროიდან იგი მხოლოდ ჰონორარებით ცხოვრობდა.

1865 წელს შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელო „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, რომელიც 1876 წლამდე გამოდიოდა. სულ 60 000 ეგზემპლარი დაიბეჭდა. თუმცა მარტო ამ წიგნით მიღებული შემოსავალი მცირე იყო. 1876 წელს, როცა იაკობმა პატარა ბინა დაიქირავა ვერაზე, თურმე იგი ძალიან ხელმოკლედ იყო, რასაც ვერ ვიტყვით შემდგომ წლებზე. 1876 წელს გამოიცა პირველი „დედა ენა“. მისი შემოსავლის ძირითადი წყარო სწორედ ეს წიგნი გახლდათ კიდევ ორ სახელმძღვანელოსთან („ბუნების კარი“ და „რუსკოე სლოვო“) ერთად. შემოსავალი არ იყო ძალიან დიდი, რადგან იაკობი არ თანხმდებოდა სახელმძღვანელოების ოდნავ გაძვირებაზეც კი. „დედა ენაშივე“ შეიტანა თავისი „ქართული ენის ანბანი“, წიგნი კი, მიუხედავად იმისა, რომ მალე საღებოდა, არ გაუძვირებია. ამას იმით ხსნიდა, რომ ჩვენი ღარიბი ხალხისთვის წიგნში ძვირის გადახდა სამძიმო იქნებოდა.

იაკობ ბოცვაძის თქმით, იაკობს წელიწადში ცხრაას თუმნამდე ჰქონდა შემოსავალი, ფილიპე გოგიჩაიშვილის გამოთვლით - ექვსასზე მეტი არ უნდა ჰქონოდა. ოღონდ ყველა შემთხვევაში ერთი ცხადია - მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო გამოცემული წიგნები იყო. საინტერესოა, როგორ ანაწილებდა ამ ფულს გოგებაშვილი. როგორც გადმოგვცემენ - უმეტესად საქველმოქმედო საქმეებზე. ხელმოკლე ახალგაზრდებს შეეწეოდა. აი, რას წერს ამის შესახებ ფილიპე გოგიჩაიშვილი: „იშვიათად გამოზრდილა იმ დროში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ისეთი ხელმოკლე ახალგაზრდა ქართველი, რომელსაც თავის მიმართ, ამა თუ იმ გზით, ყურადღება დაემსახურებინოს და რომლისთვისაც ი. გოგებაშვილს, აშკარად ან ფარულად, ერთდროულად ან სისტემატურად, დახმარება არ მიეცეს“ (გვ.454). ანდერძად დაიბარა, აკაკისთვის ყოველ წელიწადს 100 მან. გადაეხადათ იმ ლექსების ჰონორარად, რომლებიც თავის სახელმძღვანელოებში ჰქონდა მოთავსებული.

იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის დრო დაემთხვა იმ ხანას, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება გამოვიდა ლიტერატურული სალონებიდან და უფრო ფართო ხასიათი მიიღო. 1859 წელს რუსეთში შეიქმნა ლიტერატურული ფონდი (მსგავსი ორგანიზაციები ევროპაში მანამდეც არსებობდა, რუსეთში კი ასეთი ფონდების დაარსება აკრძალული იყო). ეს ფონდი შემოწირულობებით არსებობდა და ეხმარებოდა მწერლებს, მეცნიერებს და მათ ოჯახებს. ჩვენთან მსგავსი ორგანიზაციები გვიან ჩამოყალიბდა. 1879 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და 1890 წელს „წიგნის გამომცემელთა ქართველთა ამხანაგობა“. ამათგან პირველის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იაკობ გოგებაშვილი იყო.

იაკობი დაახლოებული გახლდათ იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონთან, სადაც იკრიბებოდნენ საზოგადო მოღვაწეები: დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე, გეგე მაღალაშვილი, ნიკო ცხვედაძე და სხვანი. აქ მსჯელობდნენ საქართველოს ბედზე, არჩევდნენ სხვადასხვა სტატიას თუ წიგნს, კითხულობდნენ რეფერატებს, იმართებოდა დებატები. სწორედ აქ ჩამოყალიბდა აზრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა. თავმჯდომარედ პირველად დიმიტრი ყიფიანი აირჩიეს. შეიმუშავეს წესდება. იაკობის კატეგორიული მოთხოვნით წესდებაში შეიტანეს მუხლი, რომლის მიხედვითაც საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში სწავლება ქართულად უნდა ყოფილიყო. საყოველთაო განათლება ერთი ძირითადი საკითხია, რომელიც ხელს უწყობს მწერლობის პროფესიად გადაქცევას. საყოველთაო განათლების მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ჩვენს მოღვაწეებს. ილია ჭავჭავაძე თვითონ იყო ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი და დამცველი. გასაკვირი არ არის, რომ ილიამ სათავადაზნაურო ბანკს გადაადებინა საზოგადოების სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი და ამით დიდად შეეწია მას სასიკეთო საქმეების აღსრულებაში. იაკობის რჩევით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შემოიღო მასწავლებელთა დაჯილდოების პრაქტიკა. პირველი შენატანი ფონდში, 150 მანეთი, იაკობისა იყო. 1900 წლიდან წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა უფლება „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ გამოცემა-გავრცელებისა. უფრო ადრე (50-იანი წლებიდან) კერძო გამომცემელ-გამავრცელებელნი, შემდეგ კი მათთან ერთად ფონდები თუ ორგანიზაციები ხელს უწყობდნენ მწერლობის პროფესიად გადაქცევას.

პროფესიული მწერლობის კიდევ ერთი ნიშანი თუ სახეობა გახლავთ ჟურნალისტიკა, რომლის გარეშე თითქმის შეუძლებელია მკითხველთა აუდიტორიის შექმნა.

იაკობ გოგებაშვილმა კარგად იცოდა პრესის მნიშვნელობა და აქტიურად თანამშრომლობდა რედაქციებთან. 1863 წელს კიევიდან საქართველოში მისი დაბრუნება, გართულებული ავადმყოფობის გარდა, ერთგვარად განაპირობა იმანაც, რომ ამ წელს დაიწყო ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობის დროს იაკობმა მოსწავლეთათვის დააარსა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა. ამ ჟურნალში მოსწავლეები ათავსებდნენ თავიანთ წერილებს, ამავე ჟურნალისთვის წერდა თვით იაკობიც. ეს იყო ერთადერთი ჟურნალი, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი რედაქტორობდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შორს იდგა ბეჭდური მედიისგან. სულაც პირიქით, იგი თანამშრომლობდა მაშინ გამომავალ თითქმის ყველა ჟურნალთან და გაზეთთან. აქვეყნებდა „დროებაში“, „ივერიაში“, „მოამბეში“, „მეურნეში“, „კვალში“, „ცნობის ფურცელში“, „სახალხო გაზეთში“, „ნაკადულში“, „განათლებაში“ და სხვაგან. მისი უშუალო დახმარებით დაარსდა 1883 წელს პირველი საბავშვო ჟურნალი „ნობათი“. ჟურნალის გამოცემის შესახებ ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა მან გაზეთ „დროებაში“. მიესალმა და გამოეხმაურა აგრეთვე საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემის გადაწყვეტილებას 1889 წელს. რეცენზია ამ ჟურნალის შესახებ დაიბეჭდა „ივერიაში“.

ნიკოლოზ კანდელაკი წერილში „იაკობ გოგებაშვილი“ წერს: „ილიას მოუცვლელობის, ავადმყოფობის ან სამშობლოში არყოფნის დროს გოგებაშვილი წერდა „ივერიისთვის“ მოწინავე სტატიებს, სარედაქციო წერილებს და „შინაურ მიმოხილვებს“ (კანდელაკი 1990: 63).

ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად იაკობი რედაქტორობს „ივერიის“ იმ ნომრებს, ასე ვთქვათ, ცვლის ილიას. ერთი მხრივ, ხელშესახებად ჩანს ილიას სრული ნდობა, დაფასება და განსაკუთრებული პატივისცემა იაკობისა, მეორე მხრივ კი, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იაკობ გოგებაშვილზე, როგორც რედაქტორზე. იგი, ცხადია, „ივერიის“, ესე იგი ილია ჭავჭავაძის სარედაქციო პოლიტიკას აგრძელებს და მთავარი ძარღვი, რომელზეც აგებს ამა თუ იმ ნომერს, რა თქმა უნდა, კვლავ სამშობლოა და მასთან დაკავშირებული საკითხები - განათლება, მამულიშვილობა და სხვა.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ნაკლებადაა მოსალოდნელი მწერლობის პროფესიად ქცევა არისტოკრატიული წარმომავლობის შემოქმედთაგან. მათ მემკვიდრეობითა აქვთ მიღებული საარსებო წყარო, როგორც წესი, არ უწევთ ზრუნვა ფინანსების მოსაძიებლად, ყოველ შემთხვევაში, მწერლობა უფრო საკრალურ მოვალეობადაა და ხელობად მიაჩნიათ და მას არ განიხილავენ, როგორც შემოსავლების წყაროს. იაკობ გოგებაშვილი (ისევე, როგორც სოლომონ დოდაშვილი) არ გახლდათ მაღალი სოციალური წრიდან. მამამისს, სოფლის მღვდელს, არ დაუტოვებია შვილებისთვის დიდი ქონება. მიუხედავად ნივთიერი შეჭირვებისა, სწავლის დიდმა სურვილმა, და ბუნებითმა ნიჭიერებამ წაიყვანა იაკობი კიევში განათლების შესავსებად. ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს გამორიცხული იყოს თავადის მწერლური პროფესიონალიზმი. სრულიადაც არა და ამის ნათელ მაგალითად ჩვენში სხვა რომ არა იყოს რა, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი წარმოდგებიან.

შევცადე, დამესაბუთებინა, რომ იაკობ გოგებაშვილი ნამდვილი პროფესიონალი მწერალია. აქვე დავამატებ - ეკონომიკური სტაბილურობა არ გახლდათ ის ძირითადი ფაქტორი, რის გამოც უარი თქვა იაკობმა სახელმწიფო სამსახურზე. იგი ამ ქესტით მთელ იმპერიას დაუპირისპირდა, პროტესტი გამოხატა საქართველოს უფლებებზე მდგომარეობის გამო. ცნობილია, რომ ისტორიასაც ამ ჭრილში - მხოლოდ ეროვნული სამხერიდან განიხილავდა (ამ ნიადაგზე კამათიც ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან, რომელმაც მოგვიანებით აღიარა იაკობ გოგებაშვილის პოზიციის მართებულობა). ამ პოზიციამ განაპირობა გარკვეულწილად მისი პროფესიული ცხოვრებაც.

#### ლიტერატურა:

1. გოგიჩაიშვილი 1990 - ფილიპე გოგიჩაიშვილი, იაკობ „იაკობის სამრეკლო“, თბილისი.
2. გურამიშვილი 1989 - დავით გურამიშვილი, დავითიანი, „ქართული მწერლობა“, ტ. 7, თბილისი.
3. კანდელაკი 1990 - ნიკოლოზ კანდელაკი, იაკობ გოგებაშვილი, „იაკობის სამრეკლო“, თბილისი.
4. კუპრეიშვილი - ნონა კუპრეიშვილი, აკაკი წერეთელი და ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის პროცესი, ლიტემისია, EKONOMIKURIKONCEPTBI. BLOGPOST.COM
5. შენგელაია 1990 - დემნა შენგელაია, დედა ენა, „იაკობის სამრეკლო“, თბილისი.
6. ჩხეიძე 2007 - როსტომ ჩხეიძე, ბურჯი ეროვნებისა, თბილისი.
7. ჟ. „საგურამო“ 2016 - ჟურნალი „საგურამო, 2016 წ. #1.
8. Тод 2002 – Тод У. Достоевский как профессиональный писатель, НЛО .

*Nino Vakhania*  
*Sokhumi State University*  
**PROFESSIONAL WRITER - JACOB GOGEBASHVILI**  
**RESUME**

Who should be treated as a professional writer? What does it mean, writing as a profession? Where is the beginning of professionalization of writing, origin? Who are our professional writers, is Jacob Gogebashvili among them? - That is a modest attempt to answer just on these questions. The term "Professional writer", may be understood with dubious definition, narrow and broad. Under broad definition, professional is all known writers. To the best of your knowledge Georgian literature has a centuries-old tradition and all writers, from the very first monument (author) up to now, whose creation have remained in our literature and culture are regarded as a professional. Writing professionalization have its source in Europe, a while later (in particular, XIX century) in Russia and Georgia.

Writing, as a profession, means three essential things: 1. Writing must be a "call" for author. 2. Financially stable activity and the main metaphysical possibility. 3. Must evidence author's pointed regard to word and sense of responsibility before readers as a critic.

Taking into account this three things, in my opinion, Solomon Dodashvili should be considered as a first professional writer in Georgia.

The study revealed, that among others, Jacob Gogebashvili appears the professional writer.

Apparently, writing is a calling for Gogebashvili. His children's stories, historical novels written on the historical subject, textbooks enjoy great popularity among people.

Besides, after youth period Gogebashvili's work was not official and his only source of income was fee. And third, Gogebashvili had close relation with the press. As a critic, he is sensible of responsibility to the reader. Ili Chavchavadze trusted only him writing of advanced articles in the "Iveria".

As we can see, according to all three definition Jacob Gogebashvili is a true professional writer.

**ანა იმნაძე**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**აფხაზეთის ომის თემა აფხაზი მწერლების შემოქმედებაში**

გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია, ქართველი და აფხაზი ხალხის გაუცხოება, მას შემდეგ განვითარებული მოვლენები აისახა აფხაზი მწერლების შემოქმედებაში. განვიხილავთ 2007 წელს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მხარდაჭერით ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემულ კრებულს „ხიდი“. მასში შესულია ქართველი და აფხაზი მწერლების ოცი მოთხრობა. კრებული საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში შემავალ ტექსტებში ასახულია კონფლიქტის და ტრაგედიის ორივე მხარე. ნინო ვახანია სტატიაში „ქართველ და აფხაზ მწერალთა თვალთ დანახული ომი (კრებულ „ხიდის“ მიხედვით), აღნიშნავს, რომ „თხზულებათა თემა, რა თქმა უნდა, ერთია - ომი - ორივე მხარისთვის საზარელი. პირველი, რასაც ამ კრებულის გაცნობის შემდეგ ხელშესახებად იგრძნობს მკითხველი, არის ავტორთა ჰუმანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ ომმა ღრმა და მოუშუშებელი ჭრილობა დატოვა ჩვენს გულში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ მოგვეცემია საშუალება ერთმანეთის წინაშე მონანიების, საკუთარი დანაშაულის აღიარებისა, ჯერაც შორს ვართ ერთმანეთისაგან, კრებულში შესული თითოეული ნაწარმოები გამსჭვალულია ზოგადად ადამიანის სიყვარულით, საყოველთაო, ყოვლისმომცველი სიკეთის რწმენით“ [6; 12].

სალომე კაპანაძე სტატიაში „სიცოცხლის დრო ანუ ჟამი ფიქრებისა“ შენიშნავს, რომ მწერლები ახერხებენ იმას, რასაც პოლიტიკოსები ვერ აღწევენ ხოლმე: „ემოციათა დაცხრომის საფეხურზე საზოგადოების გონიერი ნაწილი კრიტიკული თვალთ უმზერს იმას, რაც ცოტაოდენი ხნის წინათ მესიანიზმისა და ეროვნული გამორჩეულობის იდეებით განიცდებოდა. იწყებოდა მტანჯველი კათარზისი. ბრძოლა იმისათვის, რათა არ დაუშვან ამის გამეორება. სამყარო თითქოს პატარავდება და მშვიდობის ელჩების სამიზნე ხდება. ამიერკავკასიის მწერალთა იმ ნაწილმა, რომლებმაც სწორედ ამ მისიით გადაწყვიტეს თავიანთი ხმების გაერთიანება მოთხრობათა კრებულებში „სიცოცხლის დრო“ და



„ხიდი“, იმ ტაძრის გზას დაადგენენ, რომელმაც ამ რეგიონში „კაცთა შორის სიმშვიდეს“ უნდა შეუწყოს ხელი“ [5; 44].

განვიხილავთ კრებულში შესული აფხაზი მწერლების შემოქმედებას. ესენი არიან: ფაზილ ისკანდერი, აბესალომ ლეფსაია, ალექსი გოგუა, დაურ ნაჭყებია. ფაზილ ისკანდერი გაზეთ „Аргументы и факты“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ის რუსი მწერალია, თუმცა ყოველთვის ტრიალებს მშობლიური აფხაზეთის გარშემო „Я русский писатель. Пишу свои произведения на русском языке, воспеваю при этом свою Абхазию. В Москве я не чувствую себя чужаком“ [128]. მოთხრობაში „ბიჭი და ომი“ აღწერილია მოსკოვში მცხოვრები ერთი ოჯახის საღამო, რომელსაც ჰყავს მოზარდი ვაჟი. მათ სტუმრად ეწვიათ მამის მეგობრის ოჯახი გაგრიდან - აფხაზი ასლანი და მისი ვაჟი ვალიკო. სწორედ ეს ერთი საღამო და აფხაზი მამა-შვილის მიერ მოყოლილი ამბავია აღწერილი მოთხრობაში. ავტორი აქცენტს აკეთებს სიკეთესა და ბოროტებაზე. სიუჟეტი მოზარდის, კონფლიქტიდან შორს მდგომი ყმაწვილის ემოციების ფონზე გაშლილი, რომელსაც საკუთარი თვალთა ჰქონდა ნანახი, რას ნიშნავს ქართულ-აფხაზური მეგობრობა და თანაცხოვრება, როგორ განსხვავდება ის მოსკოვის ყოფისაგან და როგორ არ არსებობდა ზღვარი, თუნდაც ერთი ზაფხულით ადრე; გაგრაში მცხოვრებ მეზობლებს შორის - ქართველი იყო თუ აფხაზი - ვის ოჯახშიც არ უნდა გაშლილიყო სუფრა, პროცესში მთელი უბანი მონაწილეობდა, თუ ვინმეს უჭირდა, ესეც ყველას გასაჭირი იყო და ამ ფონზე გაგრიდან შორს, მოსკოვში მცხოვრები მოზარდისთვის გასაოცარი იყო ცხოვრების ასეთი წესი, მის ფსიქიკაში წარუშლელი კვალი დატოვა გაგრაში ნანახმა და გააზრებულმა ურთიერთობებმა. სწორედ ამ შთაბეჭდილებების შემდეგ ბიჭისთვის გაუგებარი გახდა, რა ჰქონდათ გასაყოფი ქართველებს და აფხაზებს, რამ აიძულათ, დაენგრიათ ის იდილია, რაც მოსკოვში მცხოვრებთათვის მხოლოდ ზღაპარი და საოცნებო იყო. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოთხრობის ავტორი აფხაზია, რომელიც აღწერს გაგრაში ყველასათვის საყვარელი და გაჭირვების დროს მშველელი ქართველი ექიმის, გიორგის და მისი მოხუცი სიდედრის მკვლელობის ამბავს. აფხაზი მწერალი ჯერაც შეურყვნელი, 12 წლის ბიჭის ექვებს და კითხვებს გადმოგვცემს: „ვერაფრით გაეგო ამ ამაზრუნე სისასტიკის არსი. ცდილობდა წარმოედგინა, რას ფიქრობდა გიორგი ექიმი, როდესაც ისინი მანქანაში ჩასვეს და ქალაქის განაპირას წაიყვანეს. როდესაც სახლიდან გამოჰყავდათ სიდედრთან ერთად, ხომ მიხვდებოდა, რომ ავადმყოფთან არ მიდიოდნენ? რატომ არ იყვირა? შეიძლება, შეეშინდა, რომ მეზობლები გამოცვივდებოდნენ და მათაც დახოცავდნენ“ [1; 10]. უდანაშაულო ექიმის და მოხუცი ქალის მკვლელობის ამბის მოსმენის შემდეგ ერთადერთი, რაც ბიჭის თავში ტრიალებდა, ეს იყო შეკითხვა: „გაკეთილშობილდა თუ არა ადამიანი?“ [1; 11]. მამის პასუხით უფროსი თაობის პასუხი ისმის. როგორც განმარტავს მარიამ მირესაშვილი სტატიაში „ქართველები აფხაზების თვალთახედვით“ და ასეთ დასკვნას აკეთებს: „ბიჭი მამამისს უზიარებს თავის პესიმისტურ განწყობას და ეს უკანასკნელიც ვერ პოულობს დამაჯერებელ პასუხს. მოთხრობის ფინალში სადარბაზოდან გამოსული მამა-შვილი დაინახავს მოხუც ხეივანს ქალს, რომელიც საქმლის ნარჩენებს აჭმევს უპატრონო ძაღლებს. მამა ეუბნება შვილს, რომ სადღაც თუ ვიღაცა არამზადები ავ საქმეს სჩადიან და უდანაშაულო ადამიანებს კლავენ, ეს მოხუცი ქალი, თავად გაჭირვებაში მყოფი, როგორც შეუძლია, ისე ზრუნავს სხვებზე. მწერლის თანახმად, სწორედ ეს გახდება ბიჭისთვის მაგალითი იმისა, რომ სიკეთე ბოროტებას დაამარცხებს. ჩვენის მხრივ შევნიშნავთ, რომ მოთხრობის ფინალი, მწერლის კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ნაკლებად დამაჯერებელი და ხელოვნურიც კი გვეჩვენება“ [4; 35]. ამ შეფასებაში სრულად ვეთანხმებით ქალბატონ მარიამ მირესაშვილს. აფხაზი ავტორის თითქმის უსუსური მცდელობა იმის დასამტკიცებლად, რომ სიკეთე აუცილებლად გაიმარჯვებს ბოროტებაზე; მანამ კი იქ, აფხაზეთში, უსამართლოდ და უმოწყალოდ ჩახოცილი ქართველი ექიმის და მოხუცი ქალის ცხედრების დაკრძალვაც კი შეუძლებელია, დიდი ქრთამის გარეშე. ერთ-ერთ სტატიაში ავტორი ქართულ-აფხაზური კონფლიქტში, რაღა თქმა უნდა, ქართულ მხარეს ადანაშაულებს და რაც ყველაზე ტრაგიკულია, ყველაზე სამარცხვინო - ქურდობასა და მარადიურობას აბრალებს „Теперь о самом трагическом. Во время неряшливого передела нашей страны между Абхазией и Грузией действительно шли трудные переговоры. Не дожидаясь конца этих переговоров, Шеварднадзе неожиданно вбросил в Абхазию хорошо вооруженную армию. Эта армия без боев прошла в один день пол-Абхазии — от реки Ингури до Сухума. У Абхазии не было войск, и она никак не ожидала военного решения вопроса. Но грузинские войска так долго и тщательно грабили Сухум, отправляя в Грузию потоки грузовиков со скарбом местных жителей, что абхазцы успели укрепиться на реке Гумисте в нескольких километрах от города и нанесли грузинским войскам ряд чувствительных ударов“ [2].

მიუხედავად ამ განცხადებებისა, ფაზილ ისკანდერი განხილულ მოთხრობაში მაინც არ კარგავს ობიექტურობას და ქართველი ექიმის მკვლელობის ამბავს ყოველგვარი შელამაზების გარეშე მოგვითხრობს.

კრებულში შესულია აფხაზი მწერლის, აბესალომ ლეფსაიას მინიატურები, სადაც კარგად ჩანს აფხაზი კაცის ემოციები და განწყობა ომთან მიმართებაში, ასევე აქ აფხაზების და ქართველების მშობა-მეგობრობა შედარებულია მირაჟს და ქიმერას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან: „ო, აფხაზეთო, მითამჟამიდან შენ ქიმერას დაუძმობილდი“ [1; 45]. მინიატურაში ისმის ავტორის შიში დაუცველობის წინაშე, რასაც თესავს ომი:

„შენს მინდვრებზე მაფშალია როდი დაფრინავს,  
არამედ მხოლოდ დაგეზილი ტყვიები ქრიან, ო, ეს სიკვდილის  
წითელი ფუტკრები,  
რომლებიც ფრთებით იტაცებენ სულიერს ყოველს,  
ვინც კი მათ გზაზე  
უცაბედად გადაუდგება.  
და როცა ვწევები შენს ღამეში დასაძინებლად, არ ვიცი,  
ვნახავ კი ნამდვილად შენს ცინცხალ დილას“ [1; 45].

ასეთია აფხაზი ავტორის დამოკიდებულება და ემოციები აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან.

კიდევ ერთი აფხაზი აფხაზი მწერლის, ალექსი გოგუას, მოთხრობა „მზის ჩასვლამდე“ აღწერს აფხაზი მეომრის, ომში დაღუპული ეზუგ აპსას და მისი მეუღლის ესმას სიყვარულის და სიკვდილის ისტორიას, დაღუპული ეზუგის დატირებას ომის ფონზე. ავტორი არ ფარავს თავის აგრესიას და დამოკიდებულებას ქართველების მიმართ. „ცოტანიდა დარჩნენ, მალე სულაც აღარ იქნებიან, ღვთის წყალობით“ [1; 64]. მისთვის მთავარი პერსონაჟის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას ის წარმოადგენს, რომ ეზუგს აფხაზეთის ისტორია აინტერესებდა, ნამდვილი ისტორია, როგორც ავტორი ახსენებს და არა დამახანჯებული და შეთხზული, რომლის სწავლითაც აფხაზებს გარანტირებული უნდა ჰქონოდათ მომავალი კარიერა. აფხაზეთის ამ „ნამდვილის ისტორიის“ ცოდნამ ეზუგი ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად გაიყვანა, ხელში იარაღი ააღებინა: „თავიდან მათ არც იარაღი გააჩნდათ, არც ტყვია-წამალი... ეზუგზე ადრე ესმასთან მოდიოდა მისი ჯგუფის გმირობების ამბები: როგორ დაესხნენ თავს მოწინააღმდეგეს და მოიპოვეს იარაღი, როგორ ჩაიგდეს ხელთ ტანკი და „ზმპ“ [1; 67]. ალექსი გოგუა ქართველების დახასიათებას და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას სულ რამდენიმე ფრაზით აღწევს: „ტანკებში ჩამჯდარი მოწინააღმდეგე სოფლებს იღებდა, სახლებს წვავდა, ხალხს ხოცავდა“ [1; 67]. ტექსტში ვერსად შეხვდებით სიტყვა „ქართველის“ ხსენებას, მაგრამ პირველი ფრაზიდან ბოლომდე ლაიტმოტივი სწორედ ქართველების წინააღმდეგ აფხაზების ბრძოლაა. მთავარი პერსონაჟი ხომ თანაკლასელებისა და თანატოლებისგან თავიდანვე იმით გამოირჩეოდა, რომ არ ცდილობდა იოლი გზით სიარულს და არ ერიდებოდა აფხაზეთის ისტორიაზე „უხერხულ კითხვებს“. შემდეგ კი იარაღი აიღო ხელში და ამ ბრძოლას შეეწირა. ავტორი აფხაზეთის მომავალ თაობასაც მოუწოდებს, არ შეჩერდნენ და, მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა, მაინც გააგრძელონ ბრძოლა მტრის (ქართველების) წინააღმდეგ, თავისუფლების მოსაპოვებლად: „ავტომატის გასროლამ გააყრუა ხეობა და ქვიანი კლდეები, ექოდ გავარდა სადღაც შორს. ეს ტყვია ახალშობილის პატივსაცემად იყო გასროლილი. მისი პაწია სხეული მოულოდნელობისგან შეკრთა. ასე აცნობდა თავს სამყარო; იგი არ პირდებოდა მზამზარეულ თავისუფლებას, თუმცა კარს უღებდა მის მოსაპოვებლად ბრძოლისთვის...“ [1; 85].

შემდეგი ორი მოთხრობა, რომლებიც უნდა განვიხილოთ, ესენია ქართველი ავტორის დათო ტურაშვილის „ტატაშ მარშანი“ და აფხაზი დაურ ზანთარიას „ჩუ-იაკუბის ბედისწერა“. დათო ტურაშვილი, თანამედროვე ქართველი პროზაიკოსი, რომლის მოთხრობაც ეხება გასული საუკუნის დასაწყისის მოვლენებს, თითქოს ამით გვიჩვენებს წინაპირობას, რა შეიძლება ყოფილიყო ქართველების და აფხაზების ურთიერთობაში ასეთი გარდატეხის და ტრაგიკული ისტორიის დასაწყისისა. ტატაშ მარშანი, წარმომავლობით აფხაზი, არისტოკრატის ოჯახიდან იყო. მან განათლება ევროპაში მიიღო და 1917 წელს დაბრუნდა სამშობლოში. მოთხრობაში აღწერილი მოვლენები ძალიან წააგავს XX საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში დაწყებულ-განვითარებულ მოვლენებს, როდესაც სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და გენერალი ჯუღელი, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ტატაშ მარშანი ანუ აფხაზი არისტოკრატია ვერ პოულობენ საერთო ენას, რომ არ დაიწყოს შეუქცევადი პროცესი - ომი. ავტორი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აფხაზურმა მხარემ შესთავაზა ვალიკო ჯუღელს, ჯარი არ შეეყვანათ აფხაზეთში. ისინი თავად გააკონტროლებდნენ სიტუაციას და არავის მისცემდნენ იმის უფლებას, რომ აფხაზები გამოეყენებინათ ქართველების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, გენერალ ჯუღელს არ ეყო არც ტაქტი და არც წინდახედულება და უხეშად უარყო აფხაზების მიერ შეთავაზებული მშვიდობა. შედეგად მიიღო „უხმოდ, მდუმარედ მოახტნენ ცხენებს (ტატაშ მარშანი, ადგურ აჩბა და ასტამურ ხაშიგი) და ღალიძგა გადალახეს უკან. იმავე ადგილას, იმავე სადამოს, ღალიძგის წყალი გადაიარა ქართულმა სახალხო გვარდიამ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით. დილით აფხაზეთში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყებას სათავეში ტატაშ მარშანი ჩაუდგა...“ [1; 115].

ასევე ისტორიულ პირს ეხება დაურ ზანთარიას მოთხრობა „ჩუ-იაკუბის ბედისწერა“ ავტორი დიდი სიყვარულით აღწერს აფხაზი მეომრის ამბავს, რომელმაც მთელი ცხოვრება შესწირა ერთ პრინციპს - თავისუფლებას, პიროვნების თავისუფლებას და ღირსებას.

ამრიგად, ნაშრომში განვიხილეთ გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია და ომის როგორც ისტორიული ფაქტის ლიტერატურული რეფლექსია აფხაზი მწერლების, კერძოდ: ფაზილ ისკანდერის, აბესალომ ლეფსაიას, ალექსი გოგუას და დაურ ნაჭყებიაშვიტის პროზაში. გამოიკვეთა, რომ როგორც ქართველი, ისე აფხაზი მწერლები თანხმდებიან ერთ საკითხში - კონფლიქტში ჩართული ორივე მხარისთვის ეს ომი იყო სულიერების მარცხი, მიუხედავად იმისა, ფიზიკურად ვინ დამარცხდა და ვინ გაიმარჯვა. ომს გამართლება არა აქვს. აქ გამარჯვებული არავინაა.

#### ლიტერატურა:

1. „ხიდი“ ქართულ-აფხაზური მოთხრობათა კრებული; თბ., 2007, 618 გვ.
2. ИСКАНДЕР Ф. ВРЕМЯ АМОРАЛЬНЫХ ПОЛИТИКОВ <http://www.abkhaziya.org>
3. Искандер Ф: «Иллюзии насчёт демократии развеялись без следа» <http://www.aif.ru>
4. მირესაშვილი მ., ქართველები აფხაზების თვალთახედვით (იმაგოლოგიური ძიებანი ორი ლიტერატურული კრებულის მიხედვით; „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი“ (სამეცნიერო კონფერენციის მასალები); თბ., „უნივერსალი“, 2011, 174 გვ.
5. კაპანაძე ს., „სიცოცხლის დრო ანუ ჟამი ფიქრებისა“ „ჩვენი მწერლობა“ 2012, #22 გვ. 44
6. ვახანია ნ., ქართველ და აფხაზ მწერალთა თვალთახედვით დანახული ომი (კრებულ „ხიდის“ მიხედვით); „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი“ (სამეცნიერო კონფერენციის მასალები); თბ „უნივერსალი“ 2011, 174 გვ.

*Ana Imnadze*

*Gori State Teaching University*

#### **ABKHAZETI WAR THEME IN THE WORKS OF ABKHAZIAN WRITERS RESUME**

Thus, in the work we have discussed the tragedy in Abkhazia in the 90s of the last century and the historical fact of the war as a historical reflection of the Abkhazian writers, namely: Fazil Iskander, Abesalom Lepsaia, Alex Gogua and Daur Nachkebia in prose. It was noted that both Georgian and Abkhazian writers agree on one issue - for both parties involved in the conflict this war was a failure of spirituality, even though who physically lost and who won. The war is not justified. There is no winner here.

### მველქართული პროზის ჟანრული რეფლექსია ქართულ კრიტიკაში

ქართული მწერლობა ქართველთა სულისძვრათა მატანეა, სულიერების ანარეკლი. მაღალი პოეზიაა ჩაღვრილი არა მხოლოდ ქართულ ჰიმნოგრაფიაში (რაც სასულიერო მწერლობის ამ დარგისათვის სრულიად ბუნებრივია), არამედ ჰაგიოგრაფიაში, სასულიერო მწერლობის სხვა დარგებში, ქართულ მატანეებში, სამართლის ძეგლებშიც კი.

„უძველესი ქართული პროზა საოცრად დახვეწილია – ყოველგვარი ზედმეტი შტრიხისაგან განტვირთული თხრობა, ფრაზის მხოლოდმა პროზისეული კონსტრუქციები, საოცრად ზომიერად მოხმობილი პოეზია, იმდაგვარად მოხმობილი, თავისი მოკრძალებული დოზის გამო პროზის უფრო სრულყოფილად წარმოჩენას რომ ემსახურება და მხოლოდ ამისთვის დნება მხატვრულ ქსოვილში. თხრობის ამგვარი კულტურის მიღწევა და დამკვიდრება არც ისე იოლი გახლდათ ქვეყანაში, სადაც პოეზიის კულტი დასაბამიდანვე ასე ძლიერი იყო“ [ღვინჯილია, 96].

სოსო სიგუას აზრით, „შუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული, ქართული პროზა პოეტური იყო. ემოციური სულის რომანულ ქარგაში [გადამტანი]. თვით „ვეფხისტყაოსანი“, როგორც რთული სიუჟეტური კონსტრუქციის პოემა, ჩათვლილ იქნა რომანული თხრობის წინაპრად. კონსტანტინე გამსახურდიას ქართულ ჰაგიოგრაფიას, „ქართლის ცხოვრებას“, „სიბრძნე სიცრუისას“, „კალმასობას“ მიიჩნევდა დღევანდელი რომანის შორეულ ნაციონალურ ძირებად [სიგუა, 14].

„დიდ ეპოსად“ მოიაზრებს გრიგოლ რობაქიძე „ქართლის ცხოვრებას“ – ქართველთა მატანეს: „მთელს ქვეყანაზე ძვირად მოიპოვება სადარი „ქართლის ცხოვრებისა“. ეს არის არა მარტო ისტორია, არამედ ნამდვილი ეპოსი – დიდი ეპოსი დიდი ხალხის... აქ ყოველი სიტყვა თითქმის მითოლოგიური ტაციტის მიერ არის დაწერილი და... სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილია უთქმელი, რომელსაც სიტყვა არ სჭირდება და რომელსაც ისუნთქავ მხოლოდ. აქ არის სურნელი გარდასულ ხანების (ნამდვილი ნიშანი გენიის), როგორც ბერძნების „ილიადაში“ და ბაბილონელთა „გილგამეშიანში“... ნუთუ „ქართლის ცხოვრების“ ანნალები გენიის ცეცხლის ნატეხები არ არიან?“ [რობაქიძე, 123].

მკვლევარი რევაზ ბარამიძე, საუბრობს რა ადრეული შუასაუკუნეების ქართული პროზის სპეციფიკურ თავისებურებებზე, ხაზს უსვამს იმ ზოგადსაც, რაც საერთოდ იყო დამახასიათებელი აღნიშნული პერიოდის მსოფლიო ლიტერატურისათვის: „მწიგნობრობა ღვთისმსახურების დონეზე იყო გააზრებული. თვით მწიგნობრობაში იყო ჩაქსოვილი სიწმინდე, სიმართლე და სულის სალბუნი, საყოველთაო ტკივილებისა და საყოველთაო იდეალების გამოვლენა“ [ბარამიძე, 87].

რომანი, როგორც განსაზღვრული ლიტერატურული ჟანრი, თავისი კონკრეტული კანონებით, „საზღვრებით“, კლასიკური სახით გაცილებით გვიან ჩამოყალიბდება (ისევე, როგორც ეს ევროპაში მოხდა), მაგრამ მისი კონტურები უკვე მველქართულ პროზაშიც შესამჩნევია.

ქართული ჰაგიოგრაფია, საყრდენი და უაღრესად მნიშვნელოვანი საფეხური ქართული პროზისა, იმარბავს ეროვნული მწერლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივას. სასულიერო ლიტერატურის ამ დარგის წარმოდგენლად მაღალი დონე, მხატვრული სიღრმე და დახვეწილობა აჩენს აზრს მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიციების არსებობის შესახებ. არც ისაა შემთხვევითი, რომ არსებობს ფორმულა, გეზის მომნიშნავი: „წინ, მერჯულესაკენ!“

კონსტანტინე გამსახურდიას ნაგულისხმევი აქვს სამომავლო გეზი ეროვნული ლიტერატურისა. ხაზგასმულია ჰაგიოგრაფიის უდიდესი შინაგანი სიღრმე, ამ სიღრმითვე განპირობებული ნატივი სისადავე.

ის, რომ სწორედ ჰაგიოგრაფია ესამიკვლეობა მრავალსაუკუნოვან ქართულ პროზას, არაერთგზისაა ხაზგასმული ქართულ კრიტიკაში. „ლიტერატურული ნიადაგი საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობისათვის უსათუოდ შემზადდა ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობის წიაღში“ [ბარამიძე, 7].

რევაზ სირაძე აღნიშნავს, რომ სწორედ „აგიოგრაფიამ მოამზადა მთელი შემდეგდროინდელი მწერლობა“ და მასშივე მოიხაზა ძირითადი თემები ქართული პროზისა, უპირველესად, ეროვნული მეობის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის თავგანწირული ბრძოლის (რწმენით, სიტყვით, მახვილით...) მხატვრული ასახვა. საუბრობს რა ქართული ჰაგიოგრაფიის არსებით ნიშნებზე, მკვლევარი წერს: „სხვა იმდროინდელ მწერლობათაგან განსხვავებით, ნებაყოფლობითი მარტვილობის იდეა ქართულ აგიოგრაფიას არ უქადაგია. ქართულ მწერლობაში მარტვილობა განიხილება არა როგორც

ამა თუ იმ პიროვნების კერძო ბედი, ან ფანატიკური მისწრაფება, არამედ ქვეყანაში შექმნილი ვითარების შედეგი. ვერც „ცხოვრებათა“ ჟანრში ვხედავთ ფანატიკოს განდევილებს... [აგიოგრაფიის გმირები] საქვეყნო საქმეებს ახორციელებენ“ [სირამე (I), 13].

ეროვნული სატკივრის ჭირისუფლობა უმნიშვნელოვანესი თემაა ადრეული შუასაუკუნეების (და საერთოდ, ყოველი ეპოქის) ქართული მწერლობისა, მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავს გრივერ ფარულავა: „გარდა იმისა, რომ ჰაგიოგრაფთა ყურადღების ცენტრში ექცევა თანამედროვეობისათვის საინტერესო მრავალი საკითხი, ამ ნაწარმოებებს (და, საერთოდ, ქრისტიანულ ხელოვნებას) აქვს სხვა – თავისთავადი მნიშვნელობაც – იგი ადამიანის სულის მწერლობაა; იგი აფუძნებს პრინციპს: ადამიანის მთელი სილამაზე, როგორც სულიერი და გონიერი არსებისა, სულშია. სულიერი სამყარო აქ რელიგიურ-მისტიფიცირებული ფორმით გვევლინება. მხერა ადამიანის ახალ, სულიერ ასპექტზეა მიპყრობილი. გამჭვირვალე რელიგიურ სამოსელს მიღმა [ჩანს] ადამიანის სულიერი ახოვანება [ფარულავა, 231].

ჰაგიოგრაფიულ პროზასთან დაკავშირებით გამოითქმის ხოლმე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებანი. ხშირად ჰაგიოგრაფიის ნიმუშები საისტორიო ღირებულების მქონე თხზულებებამდის დაჰყავთ. „ამის საპირისპიროდ, ლიტერატორები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ეს არის თავისთავადი ლიტერატურული ჟანრი და, ამდენად, მხატვრული პროზის ნიმუში“ [ზარამიძე, 4].

ათეიზმის ზეობის ხანაში ქართულმა კრიტიკამ ნაცარში მინავლული ნადვერდალივით შეინახა ძველქართული პროზის სული, წარმოაჩინა უფლისაჲკენ მავალ ადამიანთა სულიერ ძიებათა სიმაღლე და მშვენიერება.

ძველი ქართული მწერლობის მკვლევართა ნაშრომებში წარმოჩნდა სიღრმე და სილამაზე ქართული პროზისა, რომელშიც სქემატურად კი არა, მთელი სიმძაფრითაა ნაჩვენები „თეოზისის გზაზე დამდგარი პიროვნების დაბრკოლებათა სირთულე.“

„ვიცი, რაისთვის ვარ. ჯერ არს, რათა აღვიდე ღმრთისა ჩემსა,“ – ამბობს ქართული ჰაგიოგრაფიის პერსონაჟი.

რევაზ სირამე, ქართული ქრისტიანული კულტურის თავისებურებათა განსაზღვრისას, შენიშნავს ქართული პროზის განვითარების მაგისტრალური ხაზის შესახებ, რომ „მთელი სისტემა V-XI ს.ს. ქართული მწერლობისა მიჰყვება ბიზანტიური მწერლობის სტრუქტურულ მოდელს – კიმენური აგიოგრაფია X-XII ს.-დან იცვლება მეტაფრასულით“ [სირამე, 3] (ზემოთქმული ეხება პროზის გარეგნულ ფორმას, სტრუქტურას. შინაარსის თვალსაზრისით, ნაწარმოებები მუდამ ეროვნული, ხშირად „წყევლა-კრულვიანი საკითხავის“ ამრეკლავი იყო).

უკვე V-XI ს.ს. ქართულ პროზაში შესამჩნევია მძლავრი ბელეტრისტული ნაკადი, ოღონდ, რასაკვირველია, ჰაგიოგრაფიის ჟანრული თავისებურებების დაცვით. ბელეტრისტული წიაღსვლებიც პერსონაჟის სულის სიღრმის წარმოსაჩენად, „გზის სიძნელის“ ხაზგასმისათვისაა მოხმობილი, და არა თვითმიზნურად. სწორედ ამიტომ არ ეთანხმება ს. ცაიშვილი „შუშანიკის წამებს“ ვახტანგ ჭელიძისეულ ანალიზს (ვ. ჭელიძე, ჩარჩოები, „ლიტერატურული საქართველო“, #23, 1976). მკვლევარი მიუღებლად მიიჩნევს მოსაზრებას, რომ „სასულიერო მწერლობა მასში ოდენ საერო ელემენტების არსებობით ფასდება“ და, აბსოლუტურად სამართლიანად, აღნიშნავს, „სწორედ აგიოგრაფიული ჟანრი, მიუხედავად გარკვეული ტრაფარეტის არსებობისა, სასულიერო მწერლობის სხვა დარგთა შორის თავისი ძირითადი მოთხოვნით (გმირი და „სიმართლის აღწერა“) უწყობს ხელს სინამდვილის მხატვრულ ფაქტად გარდასახვას... ჟანრი წარმართავს, თუმცა ვერ იქცევა არტახებად ჭეშმარიტი შემოქმედისათვის“ [ცაიშვილი, 8].

ცურტაველი ჭეშმარიტი შემოქმედი, მაღალი მხატვარი, და ჰაგიოგრაფიული თხზულება ფანატიკოსს კი არა, ადამიანს გვიხატავს, თავისი სულიერი ტკივილებით, სიმაღლითა და განმწმედი ტანჯვით. ეს არ არის „საერო ელემენტი“, – იმის ხაზგასმაა, რომ ადამიანი „იგივეა მარად და მარად.“

გრიგოლ რობაქიძე „წყაროსთვალად“ მიიჩნევდა „შუშანიკის წამებას“ (ჩვენამდის მოღწეული პირველი ნაწარმოების „წყაროსთვალად“ მოხსენიებაც სიმბოლურია), თვლიდა, რომ თხზულებაში მოცემული იყო „ქართული სიტყვა თავიდან ბოლომდე რასსიული დაწმენდით“, შედეგს უწოდებდა ფრაზას: „უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვაილი ჩემი დააჭნო და შუენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა“ – ეს სიტყვა დარჩება ქართული სიტყვის ნამდვილ ფრესკოდ [ტრანსლიტერაცია ავტორისეულია]. აქ არის პირველი მიწა, პირველი ყვაილის სურნელი, პრიმიტივი ღვთიურობის სუნთქვით“ [რობაქიძე, 4].

ჩვენამდის მოღწეულ პირველსავე ნაწარმოებში წარმოჩნდება ფრაზის საოცარი ტევადობა და დაწურულობა – უპირველესი ნიშატი ქართული პროზისა. გრიგოლ რობაქიძე იმავე ესეში აღნიშნავს, რომ მოგვიანებით „მონღოლთა შემოსევამ გასტეხა ქართველთა ხერხემალი, გამწირდა ფსიქიკა, სიტყვა დაავადდა, დაუძლურდა, სინტაქსი შეიცვალა ძირეულად: რასსიული სიწმინდის მაგიერ – ათასნაირი

ნალევი. აქედან – სიტყვასა და თქმაში: მეტხორცი, მეჭეჭი, ხორკლი, ხიწვი, დამძიმება, დამბლა“ [რობაქიძე, 5].

ქართული სიტყვის „წელში გამმართავად“ საბას მიიჩნევს რობაქიძე, პროზისათვის რიტმის დამბრუნებლად კი – ილიას, რომელიც: „ბუნებრივია, ვერ გადალახავდა ისტორიას და პირდაპირ ვერ შეუერთდებოდა ქართული სიტყვის ბუნებრივ, პირვანდელ სიქალწულებს... იგი არ არის სადა, მაგრამ მისი სირთულე დაბრკოლებაში არ გადადის“ [იქვე].

ქართული პროზის სტილურ დახვეწილობას, გამჭვირვალეობასა და სინათლეს უსვამს ხაზს კონსტანტინე გამსახურდიაც: „თანადროული ევროპული რომანისტიკა ვერ დაიკვეხნის ვერც ერთი ძეგლით, რომელიც თავისი მხცოვანებით შეედრებოდეს იაკობ ცურტაველის პროზას. უფრო მეტს ვიტყვით – „წამება წმ. შუშანიკისა“ ან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ უფრო მეტად რომანია, ვიდრე რომელიმე თანამედროვე ხელოვნურად გაბერილი ნარკვევი, ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ რომანის ხარისხზე ატანილი“ [გამსახურდია, 47].

ბუნებრივია, აქ ნაგულისხმევია განცდათა გამოხატვის სიმძაფრე, და არა ბელეტრისტული ნაკადის პრიმატი ჰაგიოგრაფიის ჟანრულ კანონთა საპირისპიროდ, რის მიუხედავად ძველქართულ პროზაში არასწორია და ხელოვნური.

საუბრობს რა ქართული პროზის უპირველეს საყრდენზე, ქართულ ენაზე, კონსტანტინე გამსახურდია წერს: „ქართულ პროზას დიდხანს ასაზრდოებდა ტრადიციები ისეთი ბრწყინვალე ენისა, როგორიცაა ძველბერძნული. დიდი შემოქმედნი ჩვენი ენისა: იაკობ ცურტაველი, გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, პეტრიწონელი და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“... ავტორი, საფიქრელია, ალბათ, რუსთველიც, აღზრდილნი იყვნენ ძველბერძნულის ტრადიციებზე, თანაც: შესანიშნავად იცნობდნენ საკუთარი ენის ბუნებას... [მათ] შექმნეს მაგისტრალური ხაზი ქართული ენისა. ქართული ენის სიტყვიერმა ინვენტარმა იკმარა „ვეფხისტყაოსნის“ დასაწერად, „ვისრამიანის“, შექსპირისა და „ღვთაებრივი კომედიის“, „შაჰ-ნამესა“ და „ნიბელუნგების“ სათარგმნელად...“ (ქართველი პროზაიკოსების დახასიათებისას კონსტანტინე გამსახურდია საგანგებოდ უსვამს ხაზს ერთ დეტალსაც: „ბედმაც გაუღიმა ამ დიდ ხუროთმოძღვართ ქართული ენისა. მათი მოღვაწეობა დაემთხვა უბრწყინვალეს მომენტებს დიდი საქართველოს სახელმწიფოური იდეის აღორძინებისა“ [იქვე].

იკვლევს რა ძველი ქართული პროზის თავისებურებებს, ივანე ჯავახიშვილი, თხზულებათა ისტორიულ ღირებულებასთან ერთად, აღნიშნავს მათ მხატვრულ ღირსებებს, სიღრმესა და სისადავეს, შეგნებულად ხაზგასმულ სიმარტივეს. „მრავალკაცი თანადრეულობა ჰამბისა“ დაუშვებელი იყო. ეფრემ მცირეს აზრით, ნაწარმოებში მხოლოდ „ნივთნი საქმეთანი“ (ანუ არსებითი) უნდა ყოფილიყო წარმოჩენილი და ისიც, ისე მკვრივად, „ვითარცა ჯაჭვი ოქროთა ერთობით შეთხზული“ (გიორგი ხუცეს-მონაზონი). თამარის ისტორიკოსის მრწამსით, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, რომ თხზულება „არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულევანებითა, არცა ნამეტნივ განგრძობითა.“ ჟამთააღმწერლის მოსაზრებითაც, ნაწარმოების ყოველი დეტალის „თვითთულად წარმოთქმა გრძელ არს... არა არს ჟამი მოთხრობად.“ ბასილი ზარზმელის თვალსაზრისით, ამბის გადმოცემისას დაცული უნდა ყოფილიყო „წესი თხრობისაი“ (გადახვევის აღსანიშნავად არსებობდა სპეციალური ტერმინი „წიადსლვაი“) [ჯავახიშვილი, 25-46].

ჯავახიშვილისეული მოსაზრება ადასტურებს ქართული პროზის განვითარების მაღალ დონეს, თხრობის მანერასთან დაკავშირებით უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებების არსებობას. რასაკვირველია, ეს გზის მონიშვნა, მითითება იყო, და არა არტახი.

ჟანრული მრავალსახეობის პოტენცია ქართულ სასულიერო, თუ ისტორიულ პროზაში აშკარაა. მკვლევარ რ. ბარამიძის თვალსაზრისით, „ასწლოვანი მატიანის“ „თხრობის მიმზიდველობის საიდუმლოება იმაშიცაა ჩაქსოვილი, რომ ჟამთააღმწერელი დიდი ოსტატობით ახერხებს ცალკეული ისტორიული ფაქტის კომპოზიციურად შეკრული ნოველის სახით წარმოდგენას. ასეთი ნოველები უხვადაა ჩაქსოვილი მატიანეში და თითოეული მათგანის ამბის დასრულებით, შინაგანი დინამიკით, ლოგიკური მოტივირებით, პერსონაჟების ინდივიდუალური სახის გამოძერწვით, სადა, სასაუბრო სტილით, სიტუაციის უაღრესად ცოცხლად, რეალისტურად წარმართვითა და გადმოსაცემი ამბის არსებითი ძარღვის დაჭერით ჩვენი ისტორიის ესა თუ ის მონაკვეთი შთამბეჭდავად ცოცხლდება... ყოველივე ეს დიდი მხატვრული სხეულის ისეთი თავისთავადი, დამოუკიდებელი უჯრედია, რომ ცალკე გამოკრებით სრულიადაც არ იკარგება მისი სიცოცხლისუნარიანობა... მატიანეში არაერთი ფაქტია ისეთი ნოველის სახით წარმოდგენილი, რომელთა გამორჩევა კი ჭირს“ [ბარამიძე, 110].

რევაზ ბარამიძე საგანგებოდ უთითებს, რომ „შუასაუკუნოვანი აზროვნების სისტემის მიხედვით, სასწაული იგივე რეალობაა და იმდროინდელ მოქალაქეზე ზემოქმედების ყოვლისშემძლე ძალის მქონე იყო“ [ბარამიძე, 111].

ზემოთქმული იმთავითვე ჰქონდათ გაცნობიერებული ქართული ეკლესიის მესვეურთ. შეიქმნა ნიადაგი ერთგვარი „ლიტერატურული შეკვეთისათვის.“

რომანი, მოთხრობა, ნოველა – პროზის უარსებითეს ჟანრთა ნიმუშებით უაღრესად მდიდარია ძველქართული მწერლობა, რაც ჯეროვნად რეფლექსირდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურულ კრიტიკაში.

#### ლიტერატურა:

1. ბარამიძე რევაზ, ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, თბ., 1990;
2. გამსახურდია კონსტანტინე, თხზულებანი 10 ტომად, ტ. VIII, თბ., 1985;
3. რობაქიძე გრ., ქართული პროზისათვის (პროექტი), „ცისკარი“, #10, 1987;
4. სიგუა სოსო, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1987;
5. სირამე რევაზ, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987;
6. სირამე რევაზ, ქართული ქრისტიანული მწერლობა, „ლიტერატურული საქართველო“, 9-16 აგვისტო, 1996;
7. ფარულავა გრ., მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982;
8. ღვინჯილია ჯანსუღ, წერილები კლასიკურ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1990;
9. ცაიშვილი სარგის, ქართული მწერლობა, თბ., 1990;
10. ჯავახიშვილი ივანე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.

*Nana Kutsia, Marine Turava*

*Sokhumi State University*

### REFLECTION OF GENRE PECULIARITIES OF AN ANCIENT GEORGIAN LITERATURE IN GEORGIAN CRITICISM RESUME

The article analyses genre reflection of an ancient Georgian literary criticism by the works of the outstanding Georgian critics, writers and scholars: Ivane Javakhishvili, Grigol Robaqidze, Konstantine Gamsakhurdia, Revaz Baramidze, Revaz Siradze, Grigor Parulava, Soso Siguia, Sargis Tsaishvili, Jansugh Ghvinjilia.

Number of researchers were interested in the issue of genre peculiarities of an ancient Georgian literature (5<sup>th</sup>-11<sup>th</sup> centuries) through the prism of novel, story, short-story narrative structures and constructions.

The central problem studied in the article is the issue of so called “poetic(al) prose” – poetic(al) nature as a main peculiarity of an ancient Georgian narrative.

**მარიამ მარჯანიშვილი**

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

### ქართული ენისა და აზრის ქომაგი

„თუ ერთი დიდი ძლიერი ერი სხვა პატარა ერების დედა ენას ავიწროვებს და ზღუდავს, მაშინ ის თავის დედა ენასაც პატივს არ სცემს და აბილწებს“.

ზემოთ მოყვანილი სიტყვებით ნიკოლოზ ჯანელიძემ ერთგვარი პასუხი გასცა 1978 წლის გაზაფხულზე საქართველოში მიმდინარე პროცესებს, რომელიც რუსული ენის ძალისმიერ მოხვევასა და საქართველოში რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების მცდელობასთან იყო დაკავშირებული.

ემიგრანტმა ნიკოლოზ ჯანელიძემ 1983 წელს იტყვიანად გამოცემილ „საქართველოში“ გერმანულ ენაზე გამოსცა „დედა ენა“.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილი წიგნი ქართული ენის შემსწავლელ სტუდენტებისათვის იყო განკუთვნილი. მის შედგენაში ნიკოლოზ ჯანელიძესთან ერთად მონაწილეობდნენ კილის უნივერსიტეტიდან ულრიკ იუნგი და ჰანს ჰაინრიჰ ნიშანი.

მშობლიურ სამტრედიის საჩუქრად გამოგზავნილ „დედა ენის“ წიგნზე ნიკოლოზს დაუწერია: „ჩემს დიდ საყვარელ და სანატრელ დედიკონას: ივდითი ბასილის ასულ ბაღდავაძე-ჯანელიძეს.“

„მიყვარს მე ენა ჩემი მშობლისა,  
რომლითაც ნანას მეტყოდა  
დედა!“

„ჩემო დედავ, შენ ჩამინერგე -  
ქართული ენის სიყვარული,  
შენ ტკბილი ენის საუბარით  
და, აი, ამან ნაყოფი კეთილიც  
გამოიღო!“

კოცნი ბევრს, შენი შვილი კოლია სილოვანის ძე ჯანელიძე  
1 ივნისი 1983 წ.“

„დედა ენის“ წიგნში გარდა ისტორიული ნარკვევისა „არგონავტებიდან დღევანდელ დღემდე“, ჩართული იყო საქართველოს რუკა და პირველი ქართველი მეფის ფარნავაზის სურათი, რომელიც ნ. ჯანელიძემ დასავლეთ გერმანიაში ღია საფოსტო ბარათების სახითაც გაავრცელა.

ნიკოლოზ ჯანელიძე 1921 წლის 12 თებერვალს დაიბადა, როცა ჯერ კიდევ ტოკავდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს თავისუფლების წუთები: „მე ძველ სამტრედიის ვარ დაბადებული. ოთხწლელი ქალაქის სასწავლებელში სასეირნო ბაღთან დავამთავრე. მერმეთ კი რკინიგზის საშუალო სკოლაში შემეყვანეს. იქ შუშანა და დავით ქართველიშვილები (ძვ. სამტრედიელები) იყვნენ ჩემი მასწავლებლები. პროკლე ტაბიძე გალაკტიონის ძმაც იყო ჩემი მასწავლებელი“ (**ჯანელიძე, იტყეპოე 18.11.1993**).

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მადლზე აღზრდილმა ნიკოლოზ ჯანელიძემ მომავალ პროფესიად პედაგოგობა აირჩია და ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც 1939 წლიდან ფუნქციონირებდა. ნიკოლოზ ჯანელიძეც ამ სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი კურსდამთავრებული გახდა.

მომავალი პედაგოგი გორის ინსტიტუტში საფუძვლიანად ეუფლებოდა საქართველოს ისტორიასა და მშობლიურ ლიტერატურას. მას ასწავლიდნენ ახალგაზრდა ლექტორები, შემდგომში ცნობილი პროფესორები: ალექსანდრე ბარამიძე და შოთა რევიშვილი, ხოლო ალექსანდრე ლლონტი მისი დეკანი იყო.

გორი გახდა მისი ყრმობისა და ლექსების ბუდე. აქ ეწვია მას პირველი სიყვარული თანაკურსელ ქეთევან გუნცაძისა და აქვე დაიწერა მისი პირველი ლექსიც, რომელიც 1940 წლის 18 ივნისს გორში გადაღებულ სურათზე აქვს მინაწერი:

„უმოკლეს დროში...  
დავტოვებ ოჯახს, დავტოვებ მშობლებს,  
დავტოვებ ძვირფას ნაცნობ-მეგობრებს,  
და მთელი გრძნობით, ამასაც ვფიქრობ  
ყველა ესენი თუ მომიგონებს?!“

რა იყო ეს?!... წინასწარმეტყველება თუ წინათგრძნობა?!... გულისკარნახი თუ აფორიაქებული სულის ტკივილი?! ან რატომ უნდა ჩამირულიყო ახლობელთა მოგონებათა ლაბირინთებში ჯერ კიდევ 20 წლის სიცოცხლით სავსე ჭაბუკი?!...

მალე ეს წინათგრძნობა რეალობად იქცა. ახალბედა მასწავლებელმა დიპლომის აღებაც ვერ მოასწრო, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომიც დაიწყო.

სილოვან ჯანელიძის ერთადერთი ვაჟიშვილი ომში პირველ ნაკადშივე გაიწვიეს. დედას, პატარა დებს - ეთერსა და ლიზეტას - აღუთქვა, რომ „გამარჯვებული დაბრუნდებოდა“, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ოჯახმა მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის მაუწყებელი სამკუთხა ბარათი მიიღო.

ორი ათეული წლის შემდეგ მას დიპლომი გერმანიაში ეროვნული ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელმა ილიკო სუხიშვილმა ჩაუტანა, რომელსაც ხუმრობით უთქვამს: „შენც, ნახევრად ჩვენებული გორელი კაცი ყოფილხარო!“...

ომის მოუშუშებელი ჭრილობა, საკონცენტრაციო ბანაკი, ტყვედქმნილის ნარ-ეკლიანი გზა, მიუსაფრობა, ნოსტალგიის მძიმე სენით დასნეულება ასეთი იყო ნიკოლოზ ჯანელიძის ცხოვრების ფურცლები უცხოეთის ცის ქვეშ.

პირველად ნიკოლოზ ჯანელიძემ გერმანულ ენაზე თარგმნა „ნინო მოციქული“, შემდეგ „ქართული სამზარეულოს“ წიგნი, „ქართული ზღაპრები“, „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე პროზაული თარგმანი, შეადგინა „ქართულ-გერმანული“ და „გერმანულ-ქართული“ სასაუბრო და სხვ.



გერმანული პრესა დიდად აფასებდა ქართველი მოღვაწის კეთილშობილურ საქმიანობას ერთა კულტურული კონტაქტების განმტკიცებაში.

საგამომცემლო მუშაობის გარდა ნიკოლოზ ჯანელიძე ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდა. ატარებდა ლექციებს ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტებში, სადაც გოგებაშვილის დედა ენას ასწავლიდა გერმანულ, ამერიკულ და ბასკ სტუდენტებს.

ნიკოლოზ ჯანელიძის დამსახურებაა, რომ გერმანელი ვინფრიდ ბოედერი ქართველოლოგი გახდა: „ჩემმა სტუდენტმა, პროფესორმა ვინფრიდ ბოედერმა დამირეკა. მხოლოდ ქართულად მელაპარაკა და მერე როგორი დაწყობილი, დარბაისლური ქართული იცის! მისი მოსმენა ყოველთვის მახარებს. ძალიან უყვარს საქართველო, უადრესი პატივისცემით ლაპარაკობს ქართველ ხალხზე. ისიც ქართულს ასწავლის ოლდენბურგის უნივერსიტეტში. ეს არის ჩემი სიცოცხლის შინაარსი და განძი. იქნებ ბევრი მეგობარი დაეხარდოს საქართველოს და ამ აღსასრულის წინ მიხარია, რომ ამაში მეც მიმიძღვის წვლილი“ (**„წიგნის სამყარო“ 1984:8**).

დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი რადიოგადაცემა „ქართული ზღაპრების საათი“, აწყობდა გამოფენებს, შეხვედრებს, ეწეოდა ეროვნული მუსიკის პროპაგანდას. ქართულ ხალხურ სიმღერებს ასწავლიდა როგორც ნორჩ თაობას, ასევე მოზრდილებსაც.

„დღეს ქართულმა ენამ ფართოდ მოიკიდა ფეხი უცხოელებთან, - წერდა ნიკოლოზ ჯანელიძე. - ეს მითხრა ტიუბინგენის უნივერსიტეტის ორიენტალისტმა, რომელსაც ლიუბეკის ორიენტალისტმა მე-18 კონგრესზე შევხვდი“ (**„სამშობლო“ 1974**).

იგი ყველგან წარმართავდა ქართული ენის კურსებს, სადაც კი საშუალება მიეცემოდა. დიდი პედაგოგიური ოსტატობითა და ორატორული ნიჭით ახერხებდა საქართველოს სიყვარულის მსმენელთათვის გადადებას.

„გუშინ სადამოს მქონდა მოხსენება საქართველოზე ერთ უბანში, სადაც 65 მსმენელი მესწრებოდა. საათნახევარი დამჭირდა დროით, რომ აუდიო სურათები საქართველოს ბუნებისა და კულტურის შესახებ მეჩვენებია.

მადლობა ღმერთს, რომ შემემლო ფიზიკურად ასეთი მოხსენების ჩატარება. ფეხზე დგომა მთელი ხნის განმავლობაში ვერ შევძელი და დამჯდარი ვიყავი.

დიდი ტაშით დამაჯილდოვეს და გაუხარდათ, რაც მოუყევი საქართველოზე. ამით მეც კმაყოფილი და გახარებული გავხდი...“ (**ჯანელიძე, იტცეპოე 27.09.1986**).

საბავშვო ბაღებში დავდივარ, ბავშვებს ზღაპრებს ვუყვები, რომ იცოდეთ როგორ უყვართ ქართული ზღაპრები! როცა ავად ვარ, ამ საქმეს საავადმყოფოში განვაგრძობ და ავადმყოფები ხუმრობენ: „ქართულმა ზღაპრებმა ფეხზე წამოგვაყენესო!“...

ახლა ბავშვებს ვუკითხავ თქვენს „ფუტკრის ზღაპარს“. ძლიერ მოსწონთ. ერთმა ქალმა მითხრა: „ასეთი კეთილი ხალხი ალბათ მხოლოდ საქართველოშიაო!“...

8 წლიდან 12 წლამდე გერმანულ ბავშვებს ვასწავლი სიმღერებს! „ალილო“, „ციცინათელა“, „სულიკო“, „ჭრელო პეპელა“ და სხვ.

ასევე შევადგინე გუნდი 50 ქალისაგან და ვასწავლი სიმღერებს“ (**„წიგნის სამყარო“ 1984:8**).

მის დამსახურებასა და აღიარებაზე მეტყველებს ჰამბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტის, პროფესორ ფიშერ-აპელის მიერ 1986 წლის 31 იანვრით დათარიღებული მისალოცი ადრესი:

„დიდად პატივცემულო ბატონო ჯანელიძე!

გულწრფელად გილოცავთ აკადემიური სენატისა და პირადად ჩემი სახელით დაბადების 65 წლისთავს. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და უნივერსიტეტის სახელით მადლობას გიცხადებთ თქვენი მრავალწლიანი სასარგებლო კვლევისათვის, რამაც თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა სტუდენტებსა და საერთოდ, მეცნიერებას, ხალხთა მეგობრობის დიდ საქმეს. მიიღეთ ჩემი კეთილი სურვილები თქვენი შემდგომი პირადი კეთილდღეობისათვის.

მადლიერი, ფიშერ-აპელი.“

„ჩემო დიდათ საყვარელო ძვირფასო დედა!

მე გუშინ დავბრუნდი 20 დღიანი შვებულებიდან. ბინაში შვეიცარიიდან წერილი დამხვდა. მეკითხებიან „თუ მსურს ქართული ენა ქალაქ ბაზელში ვასწავლო“. აბა, ეს კი შორს არის...“ (**ჯანელიძე, იტცეპოე 1.01.1978**).

გერმანიაში მოღვაწე ქართველმა პატრიოტმა, მთარგმნელმა და გამომცემელმა ნიკოლოზ ჯანელიძემ მთელი მისი საქმიანობის კრედიო ლაკონურად ასახა გერმანულ ენაზე დაწერილ ლექსში „ჩვენ და ილია“:

„უცხო ცის ქვეშ ვეხეტები,  
ბედის ლახვრით დალახვრული,

მასულდგმულებს საიდუმლო,  
ჩვენს ენაში დამარხული.  
ქართულ სტამბის გამართვაზე  
ჩემი ღონე დაილია...  
გოეტეს ხალხს გავაცანი  
ნინო, შოთა და ილია.  
მე მდიდარი არ გახლავართ -  
წლები ჯაფით დაილია...  
მთელი ჩემი სიმდიდრეა  
საქართველო და ილია.“

(თარგმანი აკაკი გელოვანის)

უცხოეთსა თუ ჩვენში დიდი გამოხმაურება მოჰყვა „ქართული სამზარეულოსა“ და „ქართული ზღაპრების“ გამოცემას, რომლებზეც მრავალი საგაზეთო სტატია თუ პირადი წერილები მოგვითხრობენ:

„დიდად პატივცემულო ბატონო ნიკოლოზ!

დიდ მადლობას მოვახსენებ „ქართული ზღაპრების“ გერმანულ ენაზე გამომცემლებს ამ წიგნის გამოგზავნისათვის. მშვენიერი გამოცემაა.

გისურვებთ შემდგომსა და შემდგომ წარმატებას. ამასთანავე გაახლებ ჩემს მიერ უკანასკნელად გამომცემულ წიგნს.

მადლობით, ა. შანიძე.

(თბილისი. 19.IX.75).“

„...ჩვენი „ქართული ზღაპრების წიგნები“ ქალაქ ჩიკაგოში იყიდეს და ყველას მოსწონს. ეს იყო და არის პატარა საჩუქარი საქართველოს და ქართველი ხალხის, რომელშიდაც ჩვენი საყვარელი დედის მოთმენა, ცდა, ჯავრი, თბილი ცრემლები ურევია და სიყვარული!“ (ჯანელიძე, იტცეპოე 20.10.1975).

იგი იყო პირველი ქართველი, რომელმაც დიდი მეცნიერის შვაციერის სახელობის პრემია მიიღო. მედლის გადასაცემად მასთან იტცეპოეში ჩავიდა რომის პაპის წარმომადგენელი და ჯილდო პირადად გადასცა.

„გერმანიაში ხანგრძლივი ყოფნისას მას არც ბიზნესზე უფიქრია და არც ფულის შოვნაზე, ვერც ქონება ვერ დააგროვა და ვერც კაპიტალი - რასაც შოულობდა თავის წამგებიან გამომცემლობაში წიგნებად აქცევდა ხოლმე. უსახსრობის გამო მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო თავისი გეგმების განხორციელება“, - წერდა ცნობილი გერმანისტი, პროფესორი ნოდარ კაკაბაძე.

იგი ნახევარი საუკუნე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში. რასაც შოულობდა გამომცემლობა „საქართველოში“ წიგნების ბეჭდვის საქმეს ახმარდა. უსახსრობის გამო მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა თავისი თარგმანების გამოქვეყნება, რაზეც პროფესორ ალექსანდრე ლლონტს ერთ-ერთ ეპისტოლეში სწერდა:

„დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

თქვენი ჩემდამი დავალება და ნდობა ეს დიდი საპატიო საქმეა ჩემთვის და საამაყო. წიგნის მბეჭდავ ფირმებს დავურეკე, ისინი სავსე არიან სხვადასხვა დაკვეთებით 5 წლის განმავლობაში.

აქ სტამბის წიგნის მბეჭდავები უდიდეს ხელფასსა და ჯამაგირს ღებულობენ, რაც აძვირებს წიგნებისა და ჟურნალების გამოცემას.

მე მიწოდდა აქ ახალი ჩემი ნათარგმნი ზღაპრების გამოცემა, მაგრამ როგორც აღვნიშნე დაბეჭდვა ძალიან ძვირია. ასევე მზად მაქვს ნ. დუმბაძის „სოფლელი ბიჭი“, მაგრამ სიძვირის გამო გამოცემა არ შემიძლია და დევს თაროზე.

ასეთია აქეთ მდგომარეობა, რის შედეგაც ძნელი იქნება „დედა ენის“ გამოცემა, რის გამოც ძალიან დაჯავრიანებული ვარ.

ვწერ ამ წერილს და თან ტელევიზორში ვუცქერ ლეილა მესხის ჩონგბურთის თამაშს. დიდი მიღწევით თამაშობს. გულს მიკლავს, რომ აცხადებენ: „საბჭოთა რუსი“. მიკვირს, რატომ არ აცნობენ თავიანთ თავს, როგორც „საბჭოთა ქართველი?“

დაწერილი მაქვს და აწყობილი ორი ნოველა გერმანულ ენაზე, მაგრამ გამოცემა მიჭირს. ყველაფერ ამას იმის გამო გწერთ, რომ ძნელია გამოცემა. „ჩემი სამზარეულო“ და „ზღაპრების წიგნი“ დაახლოებით 10 წლის წინ გამოვეცი, მაშინ ცოტა იაფობა იყო დაბეჭდვა და არა ისეთი გადაჭარბებული, როგორც ახლა!“ (ჯანელიძე, იტცეპოე 10.05.1990).

ასე რომ, ნიკოლოზ ჯანელიძემ მთელი თავისი სიცოცხლე გერმანიაში ქართული კულტურის, ქართული ენის, ქართული ხელოვნების გერმანელებისათვის გაცნობისა და შეყვარების საქმეს შეაღია.

იგი იმ მრავალმხრივსა და ქართველი ერისათვის თავშეწირულ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც XIX საუკუნის საქართველომ ჩვენ დროს უანდერძა.

### ლიტერატურა:

1. თურნავა ს. (1984, დეკემბერი 26). ნიკოლოზ ჯანელიძე. წიგნის სამყარო.
2. კუპრავა ვ. (1984, დეკემბერი 26). წიგნის ძალა. წიგნის სამყარო.
3. მარჯანიშვილი მ. (2016). ჯანესი - ქართველი ემიგრანტი. თბილისი.
4. ჯანელიძე ნ. (1993). პირადი წერილები. იტცეპოე.
5. ჯანელიძე ნ. (1964). პირადი წერილები. შვეიცარია.

*Mariam Marjanishvili*

*Kutaisi State Historical Museum*

### THE SUPPORTER OF GEORGIAN LANGUAGE AND THOUGHT RESUME

Each person's step is a history which continues its life even after their death and lasts according to how well they served the needs of their country. In this respect we would like to present the life and creative work of an emigrant Nikoloz-Janezi (Nikoloz Janelidze).

During the World War II, he was taken hostage and stayed in Germany, far from Stalin's repressions. For 50 years he served the destroyed German nation to help it in its spiritual revival, to develop and strengthen the cultural links between Georgia and Germany.

In itzhoe he founded the publishing house "Sakartvelo" where he regularly published German translations of the best works of Georgian writing.

The first book translated into German was "Die Apostolin Nino" which was published in 1961. In 1970, "Sakartvelo" published "The Georgian Cuisine", translated by Lili Papegegelashvili, Ulrich Papes and Nikoloz-Janezi.

His creative list includes: the German translation of "Georgian Tales" published in "Sakartvelo" in 1974, Georgian short stories: Vazha-Pshavela's "The story of the roebuck", "Nature", passages from Ilia Chavchavadze's "The hermit", "The Hunter" published in 1976; in 1983 – "DedaEna" and in 1984 – a short prosaic version of "The Knight in the Panther's Skin" in German and other.

He was the first Georgian whose great contribution was awarded a medal of Albert Schweizer in 1983.

We can certainly say that Nikoloz Janelidze belonged to the group of Georgian creative people who devoted their lives and creative work to their nation.

მაია მელანაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### პიკარესკა - გენეზისი, ევოლუცია და ჟანრული თავისებურებანი

პიკარესკას შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოდ შთამბეჭდავია, რაც დასტურდება ეროვნულ თუ დასავლურ სამეცნიერო წრეებში არსებული კვლევებით. ზემოაღნიშნული ფაქტი განპირობებულია პიკარესკას ჟანრის ასიმილაციით; იმით, რომ იგი წარმოდგენილია დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის ლიტერატურულ პარადიგმებში. დღესდღეობითაც ჟანრის აქტუალობაზე, მის ზეეროვნულობასა და ზეისტორიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ამერიკელი მეცნიერი ა. ბლეკბერნი, რომელმაც მთელ თანამედროვე დასავლურ სამყაროს "პიკარესკული" უწოდა.<sup>1</sup>

ტერმინი *genero picaresco* (გენერო პიკარესკო) ესპანური *el picaresco* (ენ პიკარო) -გან (ცულლუტი, გაიძვერა, თაღლითი) მომდინარეობს და სხვადასხვა ლიტერატურაში ფუნქციონირებს ეროვნულ სუბსტიტუტებთან ერთად: ქართულ ლიტერატურაში - თაღლითური რომანი, რუსულ ლიტერატურაში - плутовской роман, (პლუტოვსკოი რამან) უკრაინულში - шахрайський (შახრაიისკი) ან крутийський (კრუტიისკი) ( რომანი, გერმანულში - shelmroman (შელმენრომან), ინგლისურში - romance of roguery

<sup>1</sup> Blackburn A. The Myth of the Picaresco. - Chapell Hill: UNC Press, 1979. – 276 p. - გვ. 25

(რომანს ოფ როგერი), ჰოლანდიურში - *betreffende schelmen* (ბეტრეფენდე შელმენ) და სხვ. თუმცა, დეფინიცია “პიკარესკა” მოიცავს არა მხოლოდ რომანის ჟანრულ ფორმას; მსოფლიო ლიტერატურულ ტრადიციაში დამკვიდრებულია ამბავი-პიკარესკა, მოთხრობა ან ნოველა-პიკარესკა (ეს უკანასკნელნი ისტორიულად ჟანრის უფრო ადრეულ ნაირსახეობებს წარმოადგენენ). ტრადიციის თანახმად, პიკარესკული ამბავი და პიკარესკული რომანი გადმოგვცემს გმირის - პიკაროს დეტალურ ბიოგრაფიას (დაბადებიდან - “გამეფებამდე”), ამიტომაც ჟანრის ამ ფორმებში წარმოდგენილია მდიდარი ცხოვრებისეული, ისტორიული, გეოგრაფიული მასალა და, შესაბამისად, იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. რაც შეეხება ნოველა-პიკარესკას და მოთხრობა-პიკარესკას, ისინი წარმოადგენენ ვრცელი ბიოგრაფიული თხრობის “ფრაგმენტს” და, როგორც წესი, შეიცავენ პიკარესკული გმირის ცალკეული ავანტიურის აღწერას.

თანამედროვე ეროვნულ და დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში “პიკარესკას” ტერმინის ორგვარი დეფინიციის ტენდენცია შეინიშნება: ისტორიული (ანუ, კლასიკური) და თეორიული (თანამედროვე). პირველი გულისხმობს XVI-XVII საუკუნეების ადრეული ევროპული რომანის მოდელს, რომელიც აღმოცენდა ესპანეთში და “ოქროს ხანის” ესპანური პროზის წამყვან ჟანრად იქცა. ესპანელმა ავტორებმა შეიმუშავეს პიკარესკას მკაფიო ჟანრული კანონი:

- ✓ პირველ პირში წარმოებული თხრობის ფორმა (პიკაროს “ავტობიოგრაფია”);
- ✓ ციკლური და კუმულაციური სიუჟეტური სქემების სინთეზი (ამ უკანასკნელის პრევალირების შემთხვევაში);

- ✓ “ბიოგრაფიული” კომპოზიციური ერთიანობა (გმირის ბავშვობა - ახალგაზრდობა - პიროვნების ჩამოყალიბება - “გამეფება”);

- ✓ მოტივების მუდმივი, კონსტანტური ნაკრები: საყოფაცხოვრებო (გზა, შეხვედრა - განშორება, ფული), ავანტიურისტულ-თაღლითური (სიდატაკე, თვითმარქვობა, ექიმბაშობა, თვალთმაქცობა, ანგარებიანი ქორწინება), ზნეობრივ-ფილოსოფიური (გადარჩენა, დაპირისპირება და ბუნტი, სულიერი მარტოობა), სადღესასწაულო-კარნავალური (ცნობა-არცნობა, გადაცმა).

შუა საუკუნეების პიკარესკას ჟანრის მთავარ აღმოჩენას მარგინალური ანტიგმირის კონცეფცია წარმოადგენს: თაღლითი სურვილის წინააღმდეგ ან თაღლითი მოწოდებით (მოტივაციის მიხედვით), გლეხი-მარგინალი ან გადატაკებული დიდგვაროვანი (სოციალური სტატუსის მიხედვით). ესპანურ ლიტერატურაში ფართოდ წარმოდგენილმა აღნიშნულმა ჟანრულმა მოდელმა მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში გავრცელება პოვა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

XIX საუკუნის ევროპულ რომანისტიკაში გარკვეულწილად, პიკარესკული პროზის კრიზისი შეინიშნება, თუმცა XX საუკუნის დასაწყისში მსხვილმა სოციალურმა კატაკლიზმებმა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ და მსოფლიოს ტრაგიკომიკური აღქმის აღორძინებამ კვლავ დაუბრუნეს სიცოცხლე პიკარესკას ჟანრს.

XX საუკუნის ლიტერატურაში (მათ შორის ქართულში) გავრცელება პოვა პიკარესკულმა ამბავმაც და პიკარესკულმა რომანმაც; ორივე მომდინარეობს ერთი ჟანრული კანონიდან.

XX საუკუნის დასაწყისში გასაბჭოებული რუსეთის პოსტიმპერიული სივრცის (მათ შორის, საქართველოს) სამწერლობო წრეებში შეიქმნა ახალი პოსტრევოლუციური რეალობის გააზრების მწვავე აუცილებლობა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში „ყოფიერების მოდელის“ ასახვის ერთ-ერთ ადეკვატურ ფორმად (როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში) მწერლებმა სწორედ პიკარესკა მიიჩნიეს, რომლის რეინკარნაციისთვის ქართველი მკვლევრები მიიჩნევენ, რომ პიკარესკული რომანის ელემენტები შეინიშნება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“; ხოლო პირველ ქართულ პიკარესკულ ნოველად აღიარებენ ბარბარე ჯორჯაძის „ტიტია და ივანეს“. იმდროინდელ რეალობაში ყველა წინაპირობა ჩამოყალიბდა. რიგი მკვლევრებისა ამგვარ წინაპირობად შემდეგ ფაქტორებს მიიჩნევენ:

**გარდამავალი პერიოდის სოციალური კატაკლიზმები** - 1917 წლის რევოლუციამ გაანადგურა ცხოვრების ყველა არსებული საფუძველი და სოციალური იერარქია. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები სულიერი და ფიზიკური გადარჩენის პრობლემის წინაშე დადგნენ. XVI საუკუნის ესპანეთის მსგავსად, *მაწანწალა* და *უკეთესი ცხოვრების მაძიებელი* საბჭოურ რეალობაში იმდენად ჩვეულებრივ, ყოფით მოვლენად იქცა, რომ ლიტერატურაშიც პოვა შესაბამისი ასახვა. სწორედ ისინი გახდნენ საბჭოთა პიკარესკული მოთხრობებისა და რომანების მთავარი გმირები; რაც ხელს უწყობდა სავაჭრო ავანტიურიზმის აღორძინებასა და „ნეპ“-ის რეალიების - პროფესიონალი აფერისტებისა და პარვენიუების<sup>1</sup> გაჩენას.

<sup>1</sup> თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ წრეებში უგვარტომო პირის აგდებულად მოხსენიება, რომელმაც შეაღწია „უმაღლეს საზოგადოებაში“ და ბაძავს იქ დამკვიდრებულ ცხოვრების წესსა და მანერებს.

**სადღესასწაულო-კარნავალური მსოფლშეგრძნების გამოცემა** - რევოლუციურმა ძვრებმა კარნავალური მსოფლშეგრძნება გამოაცოცხლა. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, რომელმაც მიიღო რევოლუციური სინამდვილე, სამყაროსა და ადამიანის განახლების დღესასწაულად აღიქვამდა მას; ხოლო, ვინც არ გაიზიარა რევოლუცია და მისი თანამდევნი მოვლენები, გარემომცველ სინამდვილეს ინფერნალურ<sup>1</sup> კარნავალად, შაბაშად (გარკვეულწილად, მოლხენად ჟამიანობის დროს) აღიქვამდა.

ამგვარად, რევოლუციურმა დრომ, მოვლენების ალოგიკურობამ და ირეალობამ, რაც შესაბამისად აისახა ბოლშევიკების პოლიტ-კარნავალებში, განაპირობეს კარნავალური მსოფლშეგრძნების გამოცემა. კარნავალის სემანტიკამ ლიტერატურაში შეაღწია როგორც მხატვრული სახეების სტრუქტურის (სატირული, გროტესკული არქეტიპები და სტერეოტიპები), ასევე სიუჟეტური პერიპეტეიების პოეტიკის (მოჩვენებითი სიკვდილი და რეინკარნაცია, გადაცმა, თვითმარქვიობა, ცნობა-არცნობა, თეატრალურ-კარნავალური კომპონენტები) დონეებზე.

**ლიტერატურის ვესტერნიზაცია** - აღნიშნულ ფაქტორთან დაკავშირებით პიკარესკული ჟანრის მკვლევრები ორ ეტაპს გამოყოფენ: საბჭოურს (1920-30-იანი) და პოსტსაბჭოურს (90-იანი და მისი შემდგომი). სატირული და ავანტიურისტული რომანის ჟანრული სახესხვაობის აღმავლობა დაკავშირებული იყო არა მხოლოდ რევოლუციური და პოსტ-რევოლუციური რეალობის მხატვრული ათვისების სპეციფიკასთან, არამედ მკითხველთა მოთხოვნასთან, რაც საბოლოო ჯამში, ლიტერატურის ვესტერნიზაციას უკავშირდება. სიუჟეტური თვალსაზრისით, სწორედ გასართობი პროზის კანონებს პასუხობდა ავანტიურისტული რომანი, ამიტომაც საბჭოთა ავტორებმა ავანტიურისტული სიუჟეტის პრინციპების ასათვისებლად მიმართეს ევროპულ კლასიკასაც.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის სალიტერატურო სივრცეში 1920-იანი წლების ავანტიურისტულ-პიკარესკული ნაწარმოებები ინარჩუნებდნენ ახლოთემატურ ნათესაობას ზემოაღნიშნულ ჟანრულ წარმონაქმნებთან; ამავდროულად, პაროდირულად ამცირებდნენ ამ ჟანრების ყველაზე პრობლემურ „კვანძებს“. ასე რომ, პიკარესკაში სიყვარულის თემა წარმოდგენილია ტრავესტირებული სახით, ადგილის გეოგრაფიული აღწერილობანი შეცვლილია რესტორნებისა და სამიკიტნოების ხატოვანი აღწერით, აგენტი-დეტექტივები და უშიშროების თანამშრომლები ყოველთვის მოტყუებულნი რჩებიან გმირი-პიკაროს მიერ, რომელიც თავად წარმოადგენს პაროდირებას სოციალურ-კრიმინალური რომანის გმირზე. ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1920-იანი წლების საბჭოურ პროზაში პიკარესკული რომანისა და პიკარესკული მოთხრობის აქტუალიზაცია უკავშირდება იმავე გარემხატვრულ და შიდალიტერატურულ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობეს ამ ჟანრის აღმოცენება მე-16 საუკუნის „ოქროს ხანის“ ესპანეთში.

პიკარესკას დიდხანს არ მოუწია საბჭოთა კავშირში „ცხოვრება“. მიგვაჩნია, რომ ამის საგულისხმო მიზეზს წარმოადგენდა პიკარესკას, როგორც კარნავალური კულტურის მემკვიდრის, ერთ-ერთი ნიშნული თვისება - *სიცილი ყველაფრის და ყველას მიმართ*. ასევე გასათვალისწინებელია, რომ პიკარესკას გმირი - პიკარო, როგორც არქაული მასხარას შთამომავალი, ყველა დროში სარგებლობდა *გამასხარავებელი, მაგრამ სამართლიანი სიტყვის თქმის დაუსჯელობის პრივილეგიით*. რამდენადაც 1930-იან წლებში საბჭოთა მწერალს უამრავი ინსტანციის გავლა უწევდა. ა. ბლუმმა, რომელმაც სპეციალური კვლევა მიუძღვნა 1929-1953 წლების ტოტალური ტერორის ეპოქის ცენზურას, გამოყო მაკონტროლებელი აპარატის „ქვემოდან ზემოთ აღმავალი იერარქიის“ რამდენიმე დონე:

- ✓ თვითცენზურა (ავტორის „შიდა რედაქტორი“),
- ✓ სარედაქციო ცენზურა (რომელიც ამოწმებდა ნაწარმოების ქვეტექსტს, აზრებს „სტრიქონებს შორის“),

- ✓ გამოცემებისა და ლიტერატურის მთავარი სამმართველოს კონტროლი - ე.წ. მთავლიტი (ნაწარმოებიდან „ჭრიდა“ ყველაფერს, რაც ეწინააღმდეგებოდა პარტიის იდეოლოგიას); ფაქტიურად წარმოადგენდა საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის ორგანოების (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო - ОГПУ (ოგპუ); შინაგან საქმეთა ეროვნული კომისარიატი - НКВД (ენკავედე); სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტრო - МГБ) (ემგბე) სადამსჯელო ცენზურას;

- ✓ იდეოლოგიური ცენზურა, რომელსაც ახორციელებდა პარტიის ხელმძღვანელობა [ბლიუმ, 2000: 17].

1930-იან წლებში არც თუ ბევრი ავტორი აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნული ინსტანციების მოთხოვნებს. განსაკუთრებით მძიმე დრო დადგა სატირიკოსებისთვის, რის გამოც ისინი ან „იატაკვემეთში“ მიდიოდნენ (მაგ., თარგმანებს მოკიდეს ხელი) ან სასწრაფოდ იცვლიდნენ ამპლუას. ამდენად, ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული კონტექსტის გამო 1920-იანი წლები

<sup>1</sup> დემონური, ჯოჯოხეთური; მომდინარეობს ძვ. ლათინური infernalis - მიწისქვეშა, infernus ქვედა, მიწისქვეშეთი, ჯოჯოხეთი.

პიკარესკული ჟანრის აქტიური ფუნქციონირების პერიოდი აღმოჩნდა, რომლის პიკს რუსეთში ი. ილფისა და ე. პეტროვის დილოგია - “თორმეტი სკამი” (1928) და “ოქროს ხზო” (1931) წარმოადგენს, ხოლო საქართველოში - მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ (1925) და პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ (1929). 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეიმჩნევა ჟანრის კრიზისი, რომელიც გამოწვეული იყო ოფიციალური ბოლშევიკური იდეოლოგიის მხრიდან ავანტიურიზმისა და ინდივიდუალიზმის ტოტალური უარყოფით; იგი 1990-იან წლებამდე გაგრძელდა.

1990-იან წლებში კვლავ ჩამოყალიბდა პიკარესკული პროზის აღორძინებისთვის ხელსაყრელი გარე მხატვრული და შიდა ლიტერატურული ფაქტორების კომპლექსი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ (იხ. გვ. 2-4). სსრკ-ს დამლამ გამოიწვია სოციალური კატაკლიზმები, მასობრივი გადატაცება და გადარჩენის პრობლემის აქტუალიზაცია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას მოჰყვა კომერციული ავანტიურიზმის აქტივიზაციის პროვოცირება. პირველი პოსტ-საბჭოთა ათწლეული ხასიათდებოდა სოციალიზმის იდეალებისა და სალოცავების (ბელადების კულტი) კარნავალური დამხობით. კულტურის საერთო დემოკრატიზაციამ და ვესტერნიზაციამ გამოიწვია პარა-ლიტერატურის გაჩენა, რომლის ერთ-ერთი წამყვანი ჟანრი პიკარესკა გახდა.

პოსტსაბჭოურ პერიოდში გამოქვეყნებული პიკარესკული რომანებისა და მოთხრობების რაოდენობა შთამბეჭდავად გამოიყურება. მართალია, ჟანრის სიწმინდე და მხატვრული ღირებულება ბევრ მათგანში საკამათოა, თუმცა რაოდენობრივი მაჩვენებელი ადასტურებს, ერთი მხრივ, ჟანრის პოპულარობასა და აქტუალობას და, მეორე მხრივ, მის კომერციულ წარმატებას, რაც თანამედროვე მარკეტინგული ინდუსტრიის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. მხატვრული სიტყვის თავისუფლება (გარკვეულწილად, თავაშვებულობა) და ინტენცია<sup>1</sup> ლიტერატურულ სკანდალზე ხელს უწყობდა პიკარესკული ჟანრის ნაწარმოებების გაჩენას, რომელთა შორის გამოვყოფდით აკა მორჩილაძის, მიხო მოსულიშვილის, ლაშა ბულაძისა და სხვ. რომანებს.

ამდენად, პოსტ-საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში პიკარესკული რომანი გახდა მნიშვნელოვანი ჟანრი, რომელმაც საკმაოდ სრულად ასახა „პირველადი დაგროვების ეპოქის“ რეალობა. ამ ლიტერატურული ჟანრის ცალკეული მხატვრული ხერხები, ხელოვნების სხვა ჟანრებშიც გახდა მოთხოვნადი: კინემატოგრაფია, ტელევიზია... უახლესი პიკარესკული რომანის ავტორების ჟანრული აზროვნება, რომელიც ჩამოყალიბდა მასების ცნობიერებაში ძირეული ცვლილებების ზემოქმედების ქვეშ, ხასიათდება ავანტიურისტული ფხიანობისა და ადამიანის აქტიური მსოფლშემოქმედებითი პოზიციის გაპოტურებით, „ახალი“ რეალობის საერთო ოპტიმისტური პათოსით. შესაბამისად, გმირმა-თაღლითმა და ავანტიურისტმა სრულიად ოფიციალურად შეიძინა პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში დადებითი იდეალის თვისებები. როგორც ვხედავთ, გასული საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის პიკარესკული გმირის ტიპოლოგია და ხასიათი საკმაოდ განსხვავებულია, ამდენად აღნიშნულ პრობლემას ცალკე სტატიაში შევხებით.

#### ლიტერატურა:

1. ზახტინი, 1975 - Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. – М.: Художественная литература, 1975. – 504 с.
2. ბერდიაევი 1993 - Бердяев Н. А. Духи русской революции/ Бердяев Н.А. О русских классиках. – М.: Эксмо-пресс, 1993. – С. 116-124.
3. ბლიუმი, 2000 - Блюм А. Советская цензура в эпоху тотального террора, 1929-53 г.г.-СПб.: Академический проект, 2000. – 432 с.
4. ბიცუე, 2000 - Ницше Ф. Рождение трагедии из духа музыки – СПб.: Азбука, 2000. – 232 с.
5. ტინიანოვი 2000 - Поэтика и генезис фольклора. Ритуальный смех в фольклоре. Проблемная хрестоматия/ Сост.: С.З. Агранович. Самара: Изд-во СГПИ, 2000. – 98 с.
6. The Picaresque: A Symposium on the Rogue' Tale/ C. B. Vessels, M. Zappala. - Newark: University of Delaware Press; London and Toronto: Associated University Presses, 1994. - 191 p.
7. The Picaresque: Tradition and Displacement/ Ed. by: G. Maiorino. – Minneapolis (Minnesota), 1996. – XXVIII, 318 p.
8. Wicks U. Picaresque Narrative, Picaresque Fictions: A Theory and Research Guide. - N.Y.: Greenwood Press , 1982. - 383 p.

<sup>1</sup> ლათ. intentio - განზრახვა, მისწრაფება; რაიმე ობიექტზე ადამიანის ფსიქიკური აქტივობის კონკრეტული მისწრაფება.

**Maia Melanashvili**  
*Sokhumi State University*  
**PICARESQUE – GENESIS, EVOLUTION AND GENRE PECULIARITIES**  
**RESUME**

The existing literature on picaresque genre is quite impressive, which is proved by the scientific research in national and western academic studies. The above-mentioned fact is conditioned by the assimilation of picaresque genre; by presenting the genre in western, Asian and Latin American literary paradigms. Currently, American scientist A. Blackburn works on importance of this topic and describes it as ultra-national and ultra-important, and calls the entire western world a picaresque world.

Current article deals with the genesis, evolution and genre specificities on picaresque. Term *genero picaresco* is originated from the Spanish word *el pícaro* and it function with national substitutes in various languages: in Georgian literature *თაღლითური რომანი*, in Russian literature *плутовской роман*, in Ukrainian literature - *шахрайський* or *крийтійський* novel, in German literature - *shelmenroman*, in English - *romance of roguery*, in Dutch - *betreffende schelmen* and etc. However, definition of picaresque does not include only the genre of novel; in the world literature we experience various forms of picaresque writings such as picaresque story, narrative picaresque and novel picaresque (all the mentioned forms are the early historical genres of picaresque writing). As according to the traditions, narrative picaresque and novel picaresque genres describes the story of the main hero of the story (from birth “till now”), therefore in such forms of the genre we witness rich life, historical and geographical materials and that is why it is quite large in volume. With regards to the narrative picaresque, they are presented as long biographical fragments and as usual, they consist information about particular descriptions of the adventures of the main hero.

In post-soviet Georgian literature picaresque novel became an important genre, which totally mirrored the period of “initial gathering”. The artistic methods of the picaresque literature genre are in high demand in other genres of art such as: cinema and television... Modern picaresque writers genre thought, was developed as a result of the changes in the thinking of the people, which is characterized with the adventurous capabilities and with the poetic world vision of the people, with the optimistic aspiration with the “new reality”. Therefore, hero adventurer officially gained a positive feedback from the society in post soviet period. As we see, the typology and characterization of picaresque of the beginning of the past century and the end of the past century is different and from our point of view it is the subject of future research.

**Keywords:** Picaresque genre; picaresque story; narrative picaresque; novel picaresque.

**ციალა მესხია**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მარადისობის ტვირთით**  
**(რენე კალანდიას ფილოსოფიური ლირიკა)**

„იბადებიან ჩემი ლექსები - მეაბოხენი, ხელუკარება. აქ მიწას ტკივა სიღრმე ფესვების, იქ ზეცას რტოთა მშობიარობა“... (1, გვ. 115) ეს ის მისტიკური პროცესია, როცა სიტყვითაა შესამღებელი სულის სიღრმეში, მის ფარულ შრეებში ჩამალული განცდები ამოიტანო ზედაპირზე სრულად, ხელშესახებად. და გრძნობ წარმავალი დროის ნაკადში, კოსმიური სამყაროს ორომტრიალში ჩართული შემოქმედისათვის მარადიული, ზედროული, ზევსივრცული პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმავალი...

რენე კალანდია თავისი მშვენიერი ბუნდოვანებითა და მისტიციზმით მუდმივად რაღაც უჩვეულოსა და უცნაურის შესაგრძნობად განგვაწყობს. ეს მის პოეზიაშია მრავალსახოვანი, განმაცვიფრებელი მხატვრული სიმართლე, სეზანისეული სევდა, სახეებით მოცემული საგნობრიობა, სულის სიღრმეში გავრცობილი მასივისა და სამყაროს ხელშეუხებლობის იდეა, წვდომა მისტერიული საწყისებისა და მაინც, უღმობელი ომით გამოწვეული შავი ღრუბელი, უსასრულოდ სევდიან, მშობლიური საქართველოს იმედგადამწყდარ ცაში, შეუპოვრობა და მარადიული მეამბოხე სული, აფხაზეთის დაბინდული სიდიადით დამთრგუნველი მისტიკა, მაგრამ აქვეა წარმოსახვის შესაშური

უნარით მორთმეული ალიონი ამავე ზღვარზე: სიწმინდე, სისპეტაკე, გულწრფელობა, კეთილშობილება. ერთად დაწყვილებული ორი ფენომენი - სინდისი და ნათელი გონება ... მისი შთაბეჭდილებები უზარმაზარი კოსმიური სულისა და გონების უიშვიათესი განსახოვნებაა, მისი გრანდიოზული მგრძნობიარობის ანარეკლები. ყოფიერების დაურევების ჭინი აძლევს მის პოეტურ ხელოვნებას საყრდენს არსებობისათვის. წესრიგი, სისტემა რენე კალანდისეულ პოეტურ სურათებში უფერული ემოცია, დიდი ხნის გარდაცვლილი ცხედარია, მაგრამ გზაა რეალურიდან სულისაკენ და მისი წარმოსახვის ნერვიულობა სხვა არაფერია, გარდა დიდი არტისტიზმისა, რომელიც სათქმელის ხორცშესხმით სრულდება: „ხილვები შენი მოგლეჯილი ყვავილებია, წამება შენი დასასრულის დასაწყისია, ლექსები შენი ბლავილი და სისხლის ძვლებია, ქვითინი შენი გადუხდელი პარაკლისია“...

„რენე კალანდიას სხვათაგან უთუოდ განასხვავებდა ბიბლიური ჰაბიტუსი, ცხოვრებისა და აზროვნების წესების თვითმყოფადობა და თავისებურებანი, ბოჰემური დარდიმანდობა, დიონისეს კულტთან თამაში“ – წერს ტიტე მოსია წერილში „პოეტი – ავანგარდისტი.“ (2, გვ. 4)

რენეს პოეზიის კითხვისას გჭირდება უჩვეულო ენერგია, ნიჭი და ნებისყოფა, გაუძლო სულიერ ქარიშხალს. აუხსნელი ხიბლი აქვს მისეულ პარადიგმებს, თავისებური მაგია და თვით პროფესიონალ კრიტიკოსსაც უჭირს ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. რამეთუ რენე კალანდიას „პოეტურ რიტორიკაში მტკივნეულად იგრძნობა ტექსტის გაუცხოების შეთანხმება ინტენსიურ აღსარებით ინტონაციებთან.

და ეს გაუცხოება ტექსტშივე ფორმდება უმართავი ტრავმატული იმპულსების გამოაშკარავებით. ეს იმპულსები, რაღაც ინკოგნიტო (და ინკოგნიტურ) მეტაფორათა როლს ასრულებენ.

სხვა ვარიანტია – ნევროზებისა თუ ფობიების რეპრეზენტაცია: და ისინიც მეტაფორული კონოტაციებით გვეძლევიან“. (3, გვ.10).

ჰოდა, გვიყვება პოეტი საოცრებებს კოსმოსურ სამყაროზე, ადამიანის სულზე, სიზმარზე, ზმანებზე, აუსრულებელ ოცნებებსა და დამსხვრეულ იმედებზე ...

„რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგისხნით – წერს ილია, - მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიცა, პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი ....ვიცი, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ღიზითა, ერთის სიტყვით, ხილულთა და არა ხილულთა, ვიცი, რომ მისგან მოხიბლულს „კაცს ავიწყდება საწუთროება“, მის მიერ გატაცებული „გულისთქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ“.....პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი“ (4, გვ. 139).

რენე კალანდია სწორედ ამ უცნაური მადლითაა მოსილი... და მაინც მისი სიდიადე ჩემი ღრმა რწმენით ის არის, რომ შეძლო გამოესახა თანადროული ამღვრეული სამყარო, რომელიც თავის მხრივ შედეგია განვლილი უღმრთოებისა და კიდევ უფრო შორს, დროის სივრცეში უდგას ფესვები. და, რა ძნელია ასეთ დროს მთლიანად და უხინჯოდ შეინარჩუნო სიყვარული ადამიანმა, მითუმეტეს შემოქმედმა, რომელიც თავისთავად ყოველთვის განსხვავებულია და წინააღმდეგობრივი, და მართლაც: „თხულებათა ჭეშმარიტმა მკითხველმა, შეიძლება ითქვას, პროფესიონალმა მკითხველმა, ბრძნულად უწყის ემერსონისეული შეგონება: „შემოქმედებითი წერის გარდა კითხვაც არსებობს“. გადამკითხველთა კი შევახსენებ, რომ რენე კალანდიას ლექსების უმეტესობა, მართლაც სულითაა შესაცნობი, ეს კი „თანაშემოქმედებას“ (რევაზ სირაძის გამოთქმა) ითხოვს. ჩვენ უნდა ამოვხსნათ მისი იდუმალება... სიტყვად და სტრიქონებადმანდობის. „დაუსრულებელი ლიტურგია“, ჭეშმარიტების, სულიერებისა და რეალური სამყაროს შეუდარებლობაა მასთან. მას არც სჭირდება სტილის საგანგებო გამოკვეთა, მან თავისი პოეტური „მე“ ისეთი ფართო მასშტაბით ამოიზიდა სულის უღრმესი ხვეულებიდან, ყველა სხვა პოეტურ სახეთა მიებაზე ფიქრის საშუალებასაც არ გაძლევს და დგას პოეტი ტკივილით მარადისობასთან... როგორი პოეტური სახეა დახატული, ხელოვნების რა სასწაულია: „შე, მართლაც პოეტო, ამ უცნაური ლექსებისთვის ცხრა მთას იქით (როგორც ზღაპარში) გადაკარგულა და ისევ უკან მობრუნებულა შენი ცხოვრება, გაგიფრენია ფასკუნჯები, ჩიტებს ასწავლი ფრენას და მომავალი „წინა გვაქვს“. ალბათ ოფოფებს აუშვებ...დგახარ? იდექი, შე ბედოვლათო! შე, მართლაც პოეტო, – საუკუნის ორინთოლოგო.“ – კითხულობ ამ სტრიქონებს და გახსენდება ოსკარ უაილდი: „ნიღაბს ყოველთვის მეტის თქმა შეუძლია, ვიდრე თავად სახეს...“ რენეს პოეტური ხელწერა გამორჩეულია და ორიგინალური, უჩვეულო ასოციაციებითაა და ხატ-სახეებით დამშვენებული.

რენე კალანდია განერიდა სულიერად დაცლილ, გამოფიტულ სამყაროს, სულში ჩაბრუნებული მზერით, მონანიებით, გაწმენდით, ჭეშმარიტების მიებით ბრძოლა გამართა სინამდვილესთან, ჩაეჭიდა თავის თეორიას, კალანდიური პოეზიის თეორიას: „კეტით უნდა გატყდეს თავი, რომ ბლაოდ ლექსებით, როგორც სასაკლაოს ხარი. ღვთიურ ბახის – მოსმენის ჟამს ფოთოლივით ეკიდო. გენიოსთან გვერდით დგომის გემინოდეს, გეკიდოს ფეხებით .... და ლექსი შენი უფლის ჩამომახილი – ბნელს ფატრავდეს განაჩენის უზენაეს მახვილით“... რენეს არაორდინალური პიროვნული ხასიათი, ნონკონფორმისტული



და ავანგარდისტული ნატურა ჩანს მის პოეტურ ტექსტებში. შემოქმედი, პიროვნება გაუზიარავი და მონოლითური, რომელიც ორი ათეული წლის წინ მეორედ მოვევლინა სრულიად საქართველოს, რაც ჭეშმარიტად ასრულდა.

რენე კალანდიასთვის ლექსი, პოეზია, მისი აზროვნება, მისი არსებობის არსი და პრაქტიკა იყო და არის მასში გულდაგულმომცნილი სიტყვის, აზრისა და ბგერის ერთიანობა, ახალი პოეტური ქვეყანა, ახალი სინთეზი, ის ხომ თავად ძალიან პოეტური იყო, თავისი ბუნებით, აზროვნებითა და სტილით, აკი „სტილის თავისებურებას მწერლის გულახდილობა ქმნის“ (თამაზ ბიბილური). მისთვის მუდამ ლექსი იყო ჩვენი აწეწილ-დაწეწილი სულის მოწესრიგებისა და ბედნიერების უშრეტი წყარო. გამუდმებით ზნებასიათზე მოფიქრალი, მთელი კოსმიური სამყაროს ორომტრიალის მონაწილე, და, წარმავლობაზე გულდაწყვეტილი: „დავეცი: მწუხარში ცახცახებს მდელი – სამოსი ჩემი... უფლის უფლებით, მიწას გამაკრა „სხვა საქართველომ“ და ცისგალიდან გესაუბრებით“... („ტრადიციული პარალელი“) რენე კალანდია ტკივილის პოეტია, ტკივილიანი მზე ანათებს მის ლექსებში. არაფერია იმაზე უფრო გაუნელებელი დარდი და სევდა, ვიდრე სამშობლოს დამხოვით გამოწვეული დიდი ტკივილი. თუკი მართლა არსებობს ტკივილის ესთეტიკა, მაშინ რენე კალანდია ამ ტკივილის საუკეთესო გამომხატველია: „გადაგვარებით გამწარებული მნახონ? – დაუდგათ ისევე გვერდები, თუმც სისხლში ცურავს ბოლო კრებული, – ვერ მიხილავენ! .. მკლავი მომკვეთა ომმა და ველარ აღვდგები მკვდრეთით... უკან მომბლავის ბიბლიოთეკა – ჩემი სამოთხე და ჯოჯოხეთი“ ....(„მე დამესიზმრა: სოხუმში ჩემმა ბიბლიოთეკამ შახმატოვში ალექსანდრ ბლოკის ბიბლიოთეკის მწარე ხვედრი გაიზიარა“).

რენე კალანდია უიტმენით უღრმავდება ცხოვრებისეული მოვლენების საზრისს და არსთა მრავალფეროვნებაში განჭვრეტს მარადიულ ძალას. მისი უჩუქარი, მისტიკური იდუმალებით მოცული შინაგანი სამყარო მხოლოდ მაღალზნეობრივ ღირებულებებში ჰპოვებს გამოხატულებას. ის მუდმივად „სიღრმეების სიღრმეებით ამღვრეული“, „ბოდმის, ბოდმით, ჟამის, სივრცის სივრცით აღერილი“, „სევდისსევდით, ფერის ფერით, ბგერის ბგერით“ მიექანება ქვეყნიერების უცხო მხარის უსასრულობაში. თვალი მივადევნოთ მის საოცარ ჰარმონიულ და რომანტიკულ შედევრებს: (რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს) „ხსოვნის ყვავილი“ (1972), „კონცერტი“ (1975), „გამოფენა“ (1978), „სეზონის დახურვა“ (1981), „ოთხი სიმის ოთხი სხივი“ (1984), „კვადრატული ღრუბელი“ (1984, თბილისი), „ნერვული ქვაფენილი“ (1987), „გამთხოვება ალკოჰოლთან (1990), „მოლოდინის რესტავრაცია“ (1991), „ადგილის დედის ნათელში“ (1992 – 1997), „მთვრობები და პოეტი“ (2008), „კვადრატული ღრუბელი“ – II, „ასი ლექსი“ (2014), „პოეზია“ (მერიდიანი, 2014) ეს უკანასკნელი კი გამოცემულია პოეტის გარდაცვალების შემდეგ. მთელი მისი პოეზია, კერძოდ, თითოეული ლექსი მისი გონებიდან ამოქარგულ აწეწილ ნერვთა ხაზების უხილავი განლაგებაა და მისი არაორდინალური, უჩვეულო ხასიათის ანარეკლი. ნონოკომფორმისტულ და ავანგარდისტულ პოეტურ ნატურასთან ერთად არის მასში შენაკადები ნარატივისა. აშკარად იკვეთება მისი ხასიათი, მისი ბუნება. კითხულობ და გრძნობ როგორი დიდია, როგორი წონადია მისი თითოეული ფრაზა თუ სიტყვა, მისი აზრი, განწყობილება. მისეული აზრები და განწყობილებები რაღაც უცნაური პოეტური ხატებითა და მეტაფორებითაა გადმოცემული, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ-ლაპიდარული სტილის არსებობაში. აი თუნდაც: „კვდები ჩაწიხლული მკერდით, ვალმოხდილი, ფერმიხდილი, საქართველო აღსდგე მკვდრეთით, თუნდაც ჩემი სიკვდილით“! რა საღად, რა უბრალოდ, რა მშობლიურად, ტკივილიანი სევდითაა მოტანილი ჩვენი სამშობლოს ერთგული ჭირისუფლის მარადიული დარდი...

პარადიულ-ირონიული ნარატივის წახნაგი რენე კალანდიას პოეზიაში საინტერესო სემანტიკური დატვირთვითაა გამორჩეული. რემინესცენციები, პოეტური სტრატეგიები, ევფონიები და ასონანსები გვთავაზობენ ბმასა და წყვეტას ტრადიციასთან და რელიგიასთან, ეგზისტენციასთან, ყველაფერთან, რაც პოეტის ინტერესის საგანია, და მისტიკა – როგორც განწყობის ერთ-ერთი შინაგანი მხარე კვლავაც სრულყოფილს ხდის მხატვრულ ქსოვილს... გულწრფელია და სუსხიანი რენეს ირონიის სათავე. ამ მხრივ, ვფიქრობ უფრო „ბოჰემური ფიერვერკით“ დაღლილ შოთა ჩანტლაძეს ენათესავება, ცრემლების თქეშითა და ირონიით რომ ჩხრეკდა გრძნობათა თრთოლაში დაფარულ იდუმალებას: „გენერალი ქალაქიდან დამპირდა გადასახლებას. ვინ იცის? მე ერთი კაცი ვარ უდანაშაულო, ჯიბეში არ მიდევს ჯაყვაც, მაგრამ ორ შაურსაც მუდამ ვერ ვშოულობ, თუმც მნიშვნელოვანი ვარ მოღვაწე“.

რენე კალანდია ტკივილით იტყვის: „რენე არაფერს ამბობს, ბებერ ცხენს ფეხი სტკივა. ზის და არაყში პურს ალბობს, ხედავს თქვენს ქერს და თივას“.. („დაღლილი, დაქანცული ბოლილიწის ტექსტი“).

ან კიდევ: „მე რომ დინებას დაბლა დავუყვე, რუხ მგელს დარდით არ დაემინება, ტურა იფიქრებს: ეს ნიშნავს, უკვე რენეც წილში ზის და ეწყინება“.... პოეტის შინაგანი მე დაუნდობლად ეხეთქება კლდიან ნაპირებს და მისი ალალი გულიდან ამოფრქვეული სიტყვა თითქოს მორევში გვაქცევს, „გარკვეული რეცეპტორებით“ რომ გვაწვდის თანამედროვე სინამდვილეს. ის თანამედროვე პოეტია, თანამედროვეა

იმდენად, რამდენადაც უჭამო ჟამში ჟამობს: „ქართულ მიწებს ხელით მეფისნაცვლის გასხვისებულს გადაჯეგოილს ქოსმენების ნალებით“ ადამიანად ყოფნის პოეზია შეუნარჩუნოს, ყველაფერი ეს (განცდა, აზრები, განწყობილებები, შთაბეჭდილებები) მოგვაწოდოს მხატვრული სიტყვით. და ის, რაც რენე კალანდიამ შექმნა დღევანდელობაა, თავისად დაიგულებს თავის თავს და სამყაროული დიადი ენერგიიდან, „ზეციური მაღალი ნდობის აღჭურვილობით“ ყოველგვარ შურზე მაღლა დგას და საქართველოს, ერთიანი საქართველოსთვის ბრძოლის დიდი ზნეობრივი გაკვეთილებით გვმოდღვრავს. ჩვენი ქაოსური ყოფა, გაუფასურებული ღირებულებები ადამიანურ სევდასა და მწარე ირონიას წარმოშობს და გაკრთება „იყიდება საქართველოს“ მოტივი, რომელიც ეროვნული და მოქალაქეობრივი ცნობიერების კრიზისის თემატიკას აგრძელებს. ლექსს „ვისაც ჰგონია თავი ქუდში აქვს, მაგრამ თავისა რა მოგახსენოთ“ წამმღვარებული აქვს ნ. ლორთქიფანიძის სიტყვები: „იყიდება საქართველო“.

„ვის სჭირდება პოეზია, თვალები მაქვს ცრემლით სველი – იყიდება საქართველო“ – ესაა არეული ისტორიის მარადიული თანმდევი დაღლილი ოცნებების ანარეკლი. უფრო მეტიც. ეს მთელი საქართველოს გამოტირებაა, უფსკრულისაკენ რომ მიექანება მთელი სისწრაფით. პოეტი ხელს უწვდის იმას, ვინც ასცდა ცხოვრების გზას და მიუთითებს სად უნდა ეძიოს მიზანი ლამაზი ცხოვრებისა. და ეს ალბათ იმიტომ, რომ ამით შეიცნო ეპოქის სული. გაიმარჯვა სულიერ სიღარიბესა და ბოღმაზე, მარტოობაზე, მაგრამ ახლა, როცა მის სამშობლოში ტრაგიკული ელემენტი მისი დროის გაბატონებული განცდა გახდა, როცა მოეშალა მშობლიური ბუდე, გაძნელდა თანადგომა და სიყვარული, როცა მოვიდა განმარტოებული ლოთობის, ყაჩაღობის, შურისა და ღვარძლის დრო, რენე კალანდია, პოეზიით, სიტყვის მახვილით დადგა „მარადი მშობლისა და მარადი შვილის“ ურთიერთობიდან ამ მზისქვეშეთში მცხოვრები თითოეული ადამიანის წილი სიყვარულისა და თავისუფლების მოსაპოვებლად...

რენე კალანდია ხილულ და უხილავ გარემოს მძაფრად განიცდის, მთელი ადამიანური დრამაა მისი პოეზია. მიწიერი ფერებითაა მოქარგული მისი სევდა, მაგრამ ყველგან და ყოველთვის ზომიერი პიროვნული სიამაყე და „წმინდანური“ კრძალვაა. შემოქმედი ბეწვის ხიდზე გადის და ქმნის ყველასგან განსხვავებულ პოეტიკას, რომელშიც მთელი სისავსითაა პოეტური ოსტატობა და შეუდარებელი მხატვრულობა.... და მაინც, რენე სიყვარულისა და დიდი ტკივილის პოეტია, რომელიც მარგალიტის მძივებით რთავს და აბრწყინებს მის უკიდვარყო პოეტურ სამყაროს. და მეჩვენება თავისი გამჭირვალე სულით თითქოს ძალიან შორეული, გლობალური და სამყაროსეული სიყვარული, იღვრება მისი ლექსებიდან, ტკივილიანი სიყვარული. და სწორედ იგია სულის მომთვინიერებელი, დამამწყვდეველი მარადიულის მოძრაობით. ჰოდა: „შემოდგომაზე, გამთენიისას, კიპარისების მოშრიალე მდუმარებაში, წითელი ხიდის მოცახცახე აღმოსავლეთით დადის სეზანი და ნისლიან სიმშვიდეს ხატავს“. - ეს მინიატურული ლექსი საკმარისია იმისთვის, რომ ვირწმუნოთ რენე კალანდიას სულის სიმაღლე და მშვენიერება. და კიდევ: თუკი სიკვდილის შემდგომ მომავალზე ნაკლებად ფიქრობს უმრავლესობა, რენე კალანდიამ თავისი სიცოცხლე მთლიანად პოეზიას მიუძღვნა და ჭეშმარიტების ძიებაში დაიფერფლა. მან ბოლომდე შეიგრძნო სამყაროს, ღმერთის, საკუთარი თავის, ზეციური და ადამიანური პოეზიის განუყოფელი და მარადიული ერთიანობა და აჰა: „ქრება სიცოცხლე მოკლე, უკვე იწყება ყოფა, ჩემში ყოველი მოკლეს, დატოვეს უარყოფა“...

ვფიქრობ რენე კალანდიას ყოველი პოეტური ქმნილება, სამყაროსეულ ხილვებთან ერთად სიკვდილის ფენომენის ამოხსნის ურთულესი პროცესია. ის მუდმივად უსასრულობის იქით შორს იხედება და ჩვენთვის მიუწვდომელი შორეულის მინიშნებებით გვანცვიფრებს: „სევდისფერ სიზმარს ეფარება თვალი – ღრუბელი, წკმუტუნებს ქარი .... სივრცეში ვხედავ „დემონს“ ხატავს ფუნჯი ვრუბელის, ჭრიალებს კარი ჯოჯოხეთისა... მე დამრჩენია: აქ მწვადეს ლექსის ხმა – კოცონი მარადიული, იქაც – გენია!“ ან კიდევ: „მივდივარ .... ღმერთმა ასე ინება, და სივრცეების სევდით ვივსები .... გარდავიცვალე.... დასატირებლად მოსულან ჩემთან თეთრი ნისლები“...

უმშვენიერესია რენე კალანდიას სისადავითა და უბრალოებით დაყურსული პოეზია. რენეს შეუძლია გაწამებული, მშობლიურ ოდა, ბუდეს მოწყვეტილი ადამიანის პროტესტი მეტაფორად შემოგვთავაზოს: „ამ ქალაქში ტვინად, თუმცა ღორის ქონი უდევს მრავალს თავში ... ამ მიწაში ვდრუცავ მელოტ თავს და ვერსად წავალ. აი, ჩემი ბედისწერა, სამოთხე და ჯოჯოხეთი, თუმცა შორი ზღვების მჯერა, მაინც ჩხოუშისა ვერთვი“. ჰოდა, ტრაგიკულ სათქმელს იმარხავს მისი თითოეული სტრიქონი. მის ლექსებში განივთულია ეპოქის სულისკვეთება. თავისი პოზიცია მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებისა და ქართული სინამდვილისადმი, უკვდავი სტრიქონებით დაგვიხატა: „გემუდარებით, თქვენ ოღონდ არ ჩაიბაროთ ქალაქი .... „ხელისუფლება“ რომც თოვდეს იასპს, ზურმუხტს და მალაქიტს .... თვით უფალს შევევედრები, რომ ცამ აშოროს სირცხვილი შვილებს. ჩვენს გამო ... ფერდები მტრებს რომ არ დასწყდეს სიცილით... მე დაგიჩოქეთ .... აწი თქვენ და გულის ცეცხლმა იცოდეს: „თუკი ქალაქი გაწირეთ უფალიც არ შეგიცოდებთ“ („ვედრება“).

რენე კალანდიასთვის ნიღაბი სულის გაშიფვრის უცთომელი საშუალებაა. ეს მხოლოდ რენეს ხელწერაა, მხოლოდ მისული, ინდივიდუალური, უჩვეულო ასოციაციებითა და ხატ-სახეებით გამორჩეული. და მასთან ექსპრესიის დოზა მუდმივად შენარჩუნებულია შთაგონების სიწრფელის ხარჯზე. აკი, „მარტოოდენ ხატვის ცოდნით ვერაფერს გახდები, აუცილებელია აზროვნებდე კიდეც“ (სეზანისეული შეგონება) რენეს შემოქმედებითი კრეალობა. ნიღბით, მარადისობის ტვირთით შემოვიდა რენე კალანდია ქართულ პოეზიაში, როგორც ძალზე ორიგინალური და უჩვეულო, საოცრად ტევადი და სუფთა. უანკარესი აზრებითა და გრძნობებით. ნიღაბში უფრო იკვეთება მისი სულის გამჭირვალეობა და თავისუფლება. თუმცა მის სულს მარადჟამს ღრდნის უკმარისობის განცდა. მისი პოეტური სამყარო უძიროა ფანტაზიით, გარემოს შეგრძნებითა და მისი დანახვის სიუხვით: „რამ დაამსგავსა ბერის ცხოვრება – სხივის ჟრუანტელს. უსაზღვროებას? ან სევდის სევდა რად მეორდება? რად მესიზმრება უფლის გალია – საწუთრო, ნეტავ, ვისი ბრალია, რომ ერთმა ჩიტმაც სული დალია, ხედავ?!“... („სევდის აჩრდილი“) რენე კალანდიას პოეტური სევდა ჩვენი, აფხაზეთიდან გამოდევნილი თითოეული ქართველის, სრულიად საქართველოს ტანჯვისა და ტრაგედიის მარადიული სარკეა. თვალია, რომელიც გამჭოლად იმზირება ენგურს გაღმა დარჩენილი საქართველოსკენ, უფრო მეტიც, ყოველი ჩვენგანის იქით, შორეულში, მიუწვდომელში. „წერა-ნავი!... ნეტავ, როდის? იქნებ, ვერც გახვიდე იმ ნაპირზე, სადაც კბოდე, დროა, რომ შუბლს ახლიდე... წამი-სისხლი! გიხმობს ლექსი – ნერვი ოკეანეში... მოცახცახე ნავი კვნესის სიზმარეთის მხარეში“ („ლანდისადმი მიძღვნილი ლექსი, N2).

სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული დარდი და ნაღველით გაჯერებული მისი ლირიკული ლექსები მისი სულის გაუზიარაობის ბიბლიური ხატია: „დაგაგვიანდათ, იმედია, რომ მაპატიებთ და თუ ყოველი მდინარია ლექსის ღვთაება, დავშორდეთ! მე მწამს მელოდება ჩემი ნაპირი, აღორძინება, პოეზია და უკვდავება!“ – ეს იმ პოეტის სიტყვებია, რომელიც გემივით ჩაიძირა ცხოვრების ზღვაში. მდლარე ცრემლების თქემითა და აწიოკებული სულით განერიდა ამქვეყნიურ ყოფას და მარადისობის ტვირთით „დაღლილმა“, მაგრამ მაინც ამაყმა კვლავ მარადისობაში დაივანა...

**P.S.** რენე კალანდია ზღვის ვარსკვლავებში გზა აზნეული პოეტი - მეზღვაური, უცნაური ნიჭისაგან აზორგებული სრულიად საქართველოს დარდი და ტკივილია. რენემ ზღვა და პოეტი ერთმანეთს დაუკავშირა, ზღვა დაუდგრომელი და ბოხოქარი, თავად მეზღვაური მატროსის ქუდით, „ვარსკვლავიანი სულით“ (რენე კალანდია) მარადისობის მაძიებელი, არამიწიერი თვისებებითა და ზეადამიანური სიყვარულით ქმნიდა პოეზიის ულამაზეს შედეგებს და უმადურ, დაუნახავ ქვეყანას მაცხოვარივით ჩუქნიდა... ჰოდა: „ფრთა მოტეხილი ზეცა ქვითინებს, ჩაწითლებია ღრუბელს თვალები... მეორედ მოსვლის რწმენით ითმინე, გულო ეგ ჯილდო, გარდაცვალება!“

ზეციური ხანძრით განათებული მისი შედეგები, რომელთაც ჯვარცმული პოეტი ქმნიდა თაობების ინტერესის საგანი იქნება მუდამ ...

#### ლიტერატურა:

1. კალანდია რენე, პოეზია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014.
2. მოსია ტიტე, პოეტი ავანგარდისტი, გაზეთი „სოხუმის უნივერსიტეტი“, იანვარი, 2015.
3. ანდრიაძე დავით, ქარონის ვალი წიგნში: რენე კალანდია, პოეზია, „მერიდიანი“, თბ. 2014.
4. ჭავჭავაძე ილია, პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთათვის, „ივერია“, 1986.

### *Tsiala Meskhia* *Sokhumi State University* **WITH BURDEN OF ETERNITY** **(RENE KALANDIA'S PHILOSOPHICAL LYRICS)** **RESUME**

Rene Kalandia opened the way to his new aesthetics in Georgia poetry. Being different from his brothers by his nature and lifestyle, shrouded in mystery and uttered silently he established in Georgian poetry ....

Rene Kalandia stepped aside spiritually empty, exhausted universe, he with returned look, confession, purification resisted reality. All its poetry, in particular, each cycle of poems, the enumeration of which will take us away far ("Flower of Remembrance", "Plates of Circular Line", "Concert", "Closing of a Season", "Four Beams of Four Strings" – 1984, "Square Cloud" – 1984, "Nervous Pavement" – 1987, "Parting with Alcoholism", "In Mother of Locality's Light", "Governments and the Poet" – 2008 and etc.) are reflections of his extraordinary character. Together with his non-conformist and vanguard poetic nature is inflow of a narrative.

The fact of parody – ironic narrative poetry is distinguished with interesting semantic burden in Rene Kalandia's poetry. The reminiscences, poetic strategies, euphories, assonances offer the bond and break with tradition, religion, existence, all which is the poet's subject of interest and still mysticism as one of the inner layers of a mood improves its artistic fabric ... And there are astonishing associations of soul in his poetry. Live impressions, inner tragedy and latent conflicts, eternal chaotic history, attendant, tired reflection of dreams, by which he is related to Shota Chantladze.

Rene Kalandia with poetry, witticism, granted with heavenly high confidence and burden of eternity has come to each person's "The eternal parent-child" relationship living in under the sun to get freedom and love.

**მურად მთვარელიძე**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### **„დავითის ქმნანი“, თუ „შოთას მუზა“?**

„ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის მეორე და მესამე სტროფები პოემის აკადემიურ გამოცემებში ასეა წარმოდგენილი:

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის - მზე - მსახურებს სარებლად,  
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,  
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად  
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.  
დავითის ქმნანი ვითა ვთქვენე სიჩაღზე- სიხაფეთანი!  
ესე ამბავი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,  
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,  
ვპოვნე და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყბეთანი.<sup>1</sup>

ვიდრე ტექსტის ანალიზს შევუდგებოდეთ, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმასთან დაკავშირებით, თუ სად უნდა დაისვას „მძიმე“ ციტირებული სტროფის პირველ სტრიქონში. აკადემიურ გამოცემებში მძიმე დასმულია „დავითის“ შემდეგ და ამის მიხედვით ტექსტიც შესაბამისადაა განმარტებული. აღნიშნულ სტრიქონში მძიმეს ტექსტის შიგნით საერთოდ არ ხმარობს პოემის 1966 წლის გამოცემა.<sup>2</sup>

ვფიქრობ, უპირველეს კითხვად რჩება, თუ ვინაა შექმნილი ამ სტრიქონებში, მეფე თამარი და დავით სოსლანი თუ მხოლოდ მეფე თამარი.

პროფ. ნ. ნათაძე პოემის კომენტარებში ციტირებული სტროფების ასეთ განმარტებას იძლევა: „ტაეპის აზრია: დავითის (სოსლანის) სიცოცხლე და მისი ბედი, მისი იღბალი ბრძოლა-ლაშქრობაში თამარს ემსახურება ისე, როგორც ციური ეტლი (თანავარსკვლავედი) - მნათობს.“

თავის დროზე პავლე ინგოროყვა ციტირებულ სტროფთაგან პირველს ასე კითხულობდა:

ქართველთა ღმრთისა, ვის-მზესა-დავით მსახურებს მთვარებლად,  
ესე ამბავნი გავლექსენ მე მათდა საქებარებლად,  
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქ-თამარ-ებლად.

მკვლევარს მიაჩნდა, რომ ნაცვალსახელში „მათად“ მხოლოდ თამარია ნახსენები და სტროფის ასეთ თარგმანს იძლეოდა: „ქართველთა ღვთისა თამარის, რომელიც არის მზე და რომელსაც დავით ემსახურებოდა მთვარის მსგავსად, ეს პოემა შევქმენი მე მისად საქებრად. საქებრად იმ თამარისა,

<sup>1</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1986, გვ. 517

<sup>2</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი მოამზადეს გამოსაცემად გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა, გურამ კარტოიამ, თბ., 1966

რომელიც აღმოსავლეთით (მანათობელი ვით მზე) დასავლეთამდე შუქსა ჰფენს, ორგულთა დასწვავს, ერთგულთ სიხარულს ანიჭებს”<sup>1</sup>

თავისთავად ფაქტი, რომ დიდი მეცნიერი გამორიცხავს სტროფის ტრადიციულ წაკითხვას, მეტად საყურადღებოა. მითუმეტეს, სტროფის პირველივე ფრაზა „ქართველთა ღმრთისა დავითის“ ერთგვარ უხერხულობას ქმნის.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ სტროფში ნაგულისხმევია დავით სოსლანი. „თამარის ლომი შეიძლება იყოს მხოლოდ თამარის მეუღლე. ეპილოგში ეს ლომი მოხსენიებულია უკვე საკუთარი სახელით – დავითი. პოეტი მას აღიარებს ქართველთა ღმერთად”.<sup>2</sup>

პირველ რიგში გვსურს გავარკვიოთ, რამდენად ჰქონდა უფლება სტროფის ავტორს დავით სოსლანი ქართველთა ღმერთად გამოეცხადებინა, ან თუ არსებობდა რაიმე ტრადიცია ამ თვალსაზრისით?!

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგიერთ ხელნაწერში ეს სტროფი რამდენადმე სახეცვლილია და ასე იკითხება:

„დავითის ქართველთ მეფისა, ვის მზე მსახურებს სარებლად.”

(ხელნაწერი # 2829)

„დავითის ქართველთ მეფისა, ვის მზე მსახურებს მარებლად,

ესე ამბავი გავლექსე, მე მათად მოსახმარებლად.”

(1902 წლის ხელნაწერი)

როგორც ჩანს, აღნიშნული ხელნაწერის გადამწერებმა, ერთგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, დავითის ეპითეტად, ნაცვლად „ღმერთისა”, იხმარეს „მეფე”.

საყურადღებოა, რომ ქართულ ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებში თვით დავით აღმაშენებელიც კი არ გამოუცხადებიათ ღმერთად. ეს „პატივი“ – სამების გვერდით მეოთხე ჰიპოსტაზად გამოცხადება – წილად ხვდა მხოლოდ და მხოლოდ თამარს.<sup>3</sup>

როგორც ცნობილია, დავით სოსლანი რუსთაველამდე, ჩახრუხადისა და, სავარაუდოდ, შავთელის ქების ობიექტად იქცა. ეს ავტორები როდი იშურებენ სიტყვებს მის შესამკობად, მაგრამ მიუხედავად თხრობის ჰიპერბოლიზაციისა, ერიდებიან შეუსაბამოებს და დავითის ეპითეტებად, ძირითადად, მისაღებ და თითქმის შესაფერ ტერმინებს იყენებენ. ასე მაგალითად:

„თამარიანი”:

„დავით ძლიერი, მხნე, უძლეველი!”; „ოს დიდმან დავით”; „მხნეო და გმირო”; „კაცი ძლიერი, მხნე, მეცნიერი”; „დავით მხნე, ბრძენი”.

„აბდულმესია”(ცნობილია, რომ დაბეჯითებით თქმა თითქოს ეს ეპითეტები ეკუთვნოდეს დავით სოსლანს, დღეისათვის ვერ ხერხდება. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ სიტყვების ქების ობიექტად მოიაზრებს დავით აღმაშენებელს)

„შემოკრებით ბრძენო, ათინელთ ძენო, დავითს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა.”

„გიხმოზ განასებრ, გიწოდ მეუფებრ, სიტყვით შეგითხზავ ქებას ჯეროვნად”.

„თამარიანის” ავტორს როდი ავიწყდება დავით სოსლანის წარმომავლობა. იგი ამ ფაქტს შეიძლება ითქვას, საგანგებოდაც აღნიშნავს. დავითი ეროვნებით ოსია, ბაგრატიონთა შთამომავალი. გარდა ამისა, იგი მეფე ქალის ქმარია და ოფიციალური მეფე არაა, თუმცა მის სახელთან არაერთი ძლევა-მოსილი გამარჯვებაა დაკავშირებული.

დავით სოსლანი მართლაც იყო დიდი თამარის ღირსეული მეუღლე, მაგრამ ქართველი მოაზროვნე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დაუშვებდა, რომ იგი ქართველთა ღმერთად წარმოედგინა. მითუმეტეს, ქართველებს იმ დროისათვის უკვე ჰყავდათ თავისი „ღმერთი” და ეს იყო მეფე თამარი.

„აბდულმესიანის” ავტორი კი ამბობს, რომ იგი მას მეუფესავით მიაჩნია, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი ადამიანის დამოკიდებულება იკითხება დავითისადმი და თანაც არა ისე, რომ დავითი ღმერთად წარმოედგინოს, არამედ, როგორც ღმერთს, ისე მოუწოდოს და ეს სრულებით ბუნებრივია.

მაშ რაშია საქმე, როგორ გავიგოთ „ვეფხისტყაოსნის” ციტირებული ტაეპი?

ჩვენი აზრით, აქ საუბარი უნდა იყოს არა დავით სოსლანზე, არამედ დავით წინასწარმეტყველზე.

როგორც ცნობილია, ქართველი მეფენი წარმომავლობით იესიან-დავითიანები არიან. მათი ძირი ბიბლიური დავითიდან მოდის. ამიტომაც, რომ ბაგრატიონთა სამეფო გერბზე უფლის კვართთან და წმინდა გიორგისთან ერთად დავითის ქნარი და შურდულია გამოსახული. ეს კი იმთავითვე მიანიშნებდა მათ დამოკიდებულებაზე აღნიშნული სიწმინდეებისადმი. „დავითის ქნარისა” და ამ სიწმინდეთა მიმართ ქართველ მეფეთა მიმართება, ყველა ეპოქაში იყო შეურყეველი. ამის დასტურად, მრავალთა ერთად,

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, 1, თბ., 1963, გვ. 71

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ. 1958, გვ. 31

<sup>3</sup> რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან; თბ., 1978, გვ. 167-174

გამოდგება ვახტანგ მეექვსის პირით წარმოთქმული სიტყვები დ. გურამიშვილის დავითიანიდან: „მან ბრძანა, ვითარ ვიკადრო მეფემან საქმე ქურდული, დაფარო ქრისტეს კვართი და ქნარი დავითის, შურდული“. (209)

როგორც ვთქვით, თამარის ისტორიკოსები მას სამეხის მეოთხე ჰიპოსტაზად წარმოსახავენ, „მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარის სანატრელისა და სამეხისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროვან იქმნა ხელმწიფეთა შორის“. („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“):<sup>1</sup>

ქართველთათვის თამარი სამთა სწორია, მეოთხე ჰიპოსტაზია, ესე იგი უფალთან გათანაბრებულია. ამავე დროს, ის, როგორც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი ბიბლიური დავითის შარავანდედითაა გაბრწყინებული. სწორედ ეს აზრი უნდა იკითხებოდეს აღნიშნულ ტაეპში, თუ სასვენ ნიშანს დავსვამთ არა დავითის შემდეგ, არამედ მის წინ: „ქართველთა ღვთისა, დავითის ვის მზე მსახურებს სარებლად“. აქ საუბარი უნდა იყოს იმასთან დაკავშირებით, რომ თამარს ბიბლიური დავითის მზე ემსახურება. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აღნიშნულ ტაეპში „მძიმეს“ დავითის წინ სვამს პროფ. ნ. ნათაძე, ოღონდ დავითში ის მოიაზრებს თამარის მეუღლეს დავით სოსლანს. რევაზ ნათაძე ამ სტროფის ასეთ განმარტებას იძლევა: „დავითის, ლაპარაკია დავით სოსლანზე. ქმნანი - საქმენი, გმირობანი, ვითა ვთქვენ - როგორ ვთქვა? როგორ აღვწერო? სიჩალხე-სიხაფეთანი - (მისი) სიკაცკასისა და ძლიერებისა, რიხის და ომხიანობისა“.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მეორე ტაეპის ნაცვალსახელში „მათ“-ად პავლე ინგოროყვა გულისხმობდა მხოლოდ თამარს, რომელთან საკამათებლად (შესაძლებელია ეს სიტყვა გაგებულ იქნას არა საწინააღმდეგო აზრის, არამედ ერთგვარად „ცილების“ მნიშვნელობით).

აქვე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ სიტყვაზე „საკამათებლად“. ამ სიტყვას ზოგიერთ გამოცემაში ენაცვლება ლექსიკური ერთეული „მოსახმარებლად“. (რ. ნათაძის, თ. ვასაძის და სხვა გამოცემები). თ. ვასაძე ტექსტს ასე განმარტავს: 1. იგულისხმება: ქართველთა ღმერთის, თამარის, ვისაც დავით სოსლანის სიცოცხლე (მზე) ემსახურება ცხოვრების გზაზე სვლისას. 2. მათად მოსახმარებლად - მათთვის გამოსადეგად. 3. იგულისხმება; თამარი მთელი ქვეყნიერებისათვის შიშის მომგვრელია“<sup>2</sup>

თუ ტექსტის ამგვარ წაკითხვას მივიღებთ, რომ ციტირებულთაგან პირველ სტროფში შექცეულია თამარი, რაც ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანი იქნება, მაშინ უადგილოა მომდევნო სტროფში დავითის მიღმა დავით სოსლანის მოაზრება. ასეთი გააზრებით, სტროფის მეორე სტრიქონი არ წარმოადგენს პირველის ლოგიკურ გაგრძელებას. მაშ რაშია საქმე?

თამარია აღმოსავლეთიდან დასავლეთის ზართა მარებელი, ორგულთა დამწველი და ერთგულთა გამახარებელი და არა მისი მეუღლე დავით სოსლანი, როგორც ამას აკად. ალ. ბარამიძე მიიჩნევდა. შემდეგ სტროფში კი ბიბლიური დავითი უნდა მოიაზრებოდეს, ამ რწმენას გვიმტკიცებს მომდევნო ტაეპი: „დავითის ქმნანი ვითა ვთქვენ სიჩალხე სიხაფეთანი“. ამ ტაეპის პირველ შესიტყვებას „დავითის ქმნანი“ სხვაგვარად კითხულობდნენ ვაჟა-ფშაველა და სვიმონ ქვარიანი. მათ მიაჩნდათ, რომ აქ უნდა ყოფილიყო „დავითის ქნარი“. ამ სტროფებში დავითს ბიბლიურ დავითად მოიაზრებდა პროფ. მერი გუგუშვილი. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარს რაიმე დასკვნა ან მსჯელობა არ მოუცია, მაგრამ ალ. სარაჯიშვილზე დაწერილი წიგნის პირთა საძიებელში ალ. სარაჯიშვილის მიერ ყალბად მიჩნეულ სარეცენზიო სტროფებში მოხსენიებულ დავითს იგი ბიბლიურად მიიჩნევს.<sup>3</sup>

მაშ ასე, „დავითის ქნარი.“

ბიბლიური დავითის სახელი ქართული ლიტერატურის ისტორიას მუდმივად გასდევს, როგორც სულიერებისაკენ ხედვის ერთი უმთავრესი მაჩვენებელი, ხოლო ტერმინი „დავითის ქნარი“ პირველივე ქართულ ლიტერატურულ ძეგლშია დადასტურებული: „და დავითის ქნარითა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით“. ეს შესიტყვება უცხო როდია თვით რუსთაველის ეპოქის ძეგლებისათვის. „ვერ მიგწვდეს ქებად სხდენ თვითვე ვნებად პლატონის ენა, დავითის ქნარი“. („თამარიანი“) „დავითის ქნარი“ არც შემდგომი დროის მწერალთა შემოქმედებაშია უცნობი თემა და ის ყოველთვის ასოცირდება სიწმინდესთან და ამაღლებულის განცდასთან. „დავით ქნარებით, ბუქნა ქნარებით“; ადიდა მამა მის ქნარის ხმამა“... (დ. გურამიშვილი) „ანგელოზთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი“ (ნ. ბარათაშვილი); „მეც მაგონდება ჩემი ბავშვობა, მესმის ღულუნებს დავითის ქნარი“. (გალაკტიონ ტაბიძე)

„ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ტაეპის ტრადიციული გაგება ერთგვარი აბსურდითაა მოსილი. „დავითის ქმნანი ვითა ვთქვენ სიჩალხე სიხაფეთანი“. ბუნებრივია ისმის კითხვა, რას გულისხმობს ეს

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება; ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; II, თბ. 1959, გვ. 3

<sup>2</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და განმარტებები, თბ. 2014 გვ. 279

<sup>3</sup> მ. გუგუშვილი; ალ. სარაჯიშვილი - რუსთაველოლოგი; თბ., 1987; გვ. 20; 107

ტაეპი? პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია.: დავითის საქმენი როგორ უნდა ვთქვა. აქამდე თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ შემდგომი ორი სიტყვა სიჩაღზე - სიხაფეთანი სრულიად არაბუნებრივ კონტექსტშია წარმოდგენილი.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონის მიხედვით სიჩაღზე ფხიანობას, ყოჩაღობას ნიშნავს, ხოლო „ხაფი“ ამავე ლექსიკონის მიხედვით – ზარის დამტევ, შემზარავ ხმას. რ. ნათაძე მას განმარტავს, როგორც „სიკასკასესა და ძლიერებას, რიხსა და ომახიანობას“, თამაზ ვასაძე კი, როგორც „ვაჟკაცურ, მეომრულ საქმეებს“.

ტერმინ „ხაფთან“ დაკავშირებით მკვლევარი ნანი წაქაძე წერს: რო ხაფი სემიტური სიტყვაა და ასოცირდება ძალასთან, ძლიერებასთან. შესაბამისად „ხაფის ხმა“ - მაღალი ხმა, ყიჟინის ხმა: „ხაფი-სიტყვა“ - მკაცრად თქმა, ბრძანება, „ხაფად თავდასხმა“ - ფიცხლად, მოულოდნელად თავდასხმა: „ხაფად წაკიდება“ - სასტიკად დაუნდობლად შებმა.

„ვეფხისტყაოსნის“ ის სტრიქონები, სადაც „ხაფი“ ხმასთან შესიტყვების გარეშე გვხვდება, ასე უნდა განიმარტოს ... „დავითის ქმნანი ვითა ვთქვენ, სიჩაღზე-სიხაფეთანი“ - როგორ ვთქვა დავითის საქმეები, მისი სიმარდე და სიძლიერე.<sup>1</sup>

ტაეპის მნიშვნელობა აშკარად მოკლებულია ლოგიკურ აზრს, ხოლო თუ ჩვენ მიერ წაკითხულ წინა სტროფის შინაარსს გავაგრძელებთ, ვფიქრობთ, ყველაფერს ნათელი მოეფინება: დავითის მზე მსახურებს ქართველთა მეფეს – თამარს, ხოლო მისი ქნარი – დავითის ქნარი (მე – პოეტმა) როგორ ვაჟღერო ასე გამართულად და თავისუფლად?!

ტერმინი „სიჩაღზე“ ამ ტაეპში უფრო მეტად ღებულობს გაჩაღხულის, ე. ი. გამართულის მნიშვნელობას. რაც შეეხება „ხაფს“, აქამდე აღიარებული მნიშვნელობით იგი აქაც დისონანსად შემოვა, მაგრამ, ჩვენის აზრით, აქ საქმე გვაქვს ამ ტერმინის სულ სხვა მნიშვნელობასთან. ზოგიერთ ქართულ დიალექტში სიტყვა „ხაფიფი“ აღნიშნავს „მსუბუქს, თავისუფალს, ნებიერს“<sup>2</sup>.

სწორედ ამ მნიშვნელობით უნდა აიხსნას აღნიშნული სტროფი და აზრიც.

სრულიად ნათელი და გასაგები გახდება. ისევე როგორც პოემის პროლოგში, ავტორი ეპილოგშიც კვლავ ეჭვობს, ვაი თუ ვერ ააჟღერა დავითის ქნარი გამართულად და მსუბუქად და ვერ გამოხატა უცხო ხელმწიფეთა ზნე-ჩვეულებანი, მათი ამბები, საქმენი, ქება, რომელიც ლექსად გარდათქვა და ამით იქნებ მხოლოდ ილაყბა (ცუდად იმეტყველა) და არც არაფერი გამოუვიდა. ესაა პოეტის ის განწყობა, რაც მას პროლოგშივე ეუფლება („მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა“, ან „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“) რუსთაველი სიტყვის საჭეთმპყრობელია, თუმცა, როგორც გენიოსებს სჩვევიათ, ის უაღრესად თავმდაბალი ადამიანია და ეს დაეჭვებაც სწორედ მისი თავმდაბლობის ერთგვარ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს.

**Murad Mtvarelidze**  
*Gori State Teaching University*  
**„DAVIT'S LYRE“ OR „SHOTA'S MUSE“?**  
**RESUME**

According to the spread viewpoint King Tamar and her husband, Davit Soslan are praised in the second and third verses of the epilogue of “The Knight in the Panther’s Skin”. Though Pavle Ingorokva considered that only Tamar was praised here. Instead of the collocation “Davit’s deeds” Vazha-Pshavela and some other scholars thought that it must be read as “Davit’s lyre”. There is no doubt that it is linked to the biblical Davit. If the epilogue of this verse will be discussed from this point we will get an interesting viewpoint, that the object of praise for the author is King Tamar, who as a representative of the descendants of the Bagrationi family could be the descendant of Biblical Davit, and “Davit’s lyre” might be used as a symbol of the worthy of praise to King Tamar.

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; VIII; გვ. 1255

<sup>2</sup> რუსთველოლოგიური ლიტერატურა, ანოტირებული ბიბლიოგრაფია, , თბ. 1981-2000 წლები, თბ., 2012, გვ. 99

## რუსთაველის მიჯნურობის თეორიის ინტერპრეტაციებიდან

სიტყვა „მიჯნური“ თავჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მეორე სტროფშივე („მომეც მიჯნურთა სურვილი“...). პოემაში მოგვეპოვება „მიჯნურის“ სინონიმური ცნებები: სიყვარული, ტრფიალობა, აშოკობა. ტერმინი „მიჯნური“ „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია 39-ჯერ. „მიჯნურობა“ – 22-ჯერ. „სიყვარული“ – 38-ჯერ. „აშოკობა“ – 5-ჯერ „სააშოკო“ – ორჯერ. რუსთაველი პროლოგშივე განგვიმარტავს „მიჯნურის“ არაბულ წარმომავლობას („მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“).

პროლოგისეული მიჯნურობის თეორიაზე გამოთქმულია ურთიერთგამომრიცხველი კონცეფციები. ეს ეხება განსაკუთრებით 20-22-ე სტროფებს და მის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ გააზრებას. ვიდრე საკითხზე საუბარს შევუდგებოდეთ, საჭიროდ ვთვლით იმ ბიბლიურ-ქრისტიანულ წყაროებზე მინიშნებას, რომელიც რუსთაველს უცილობლად ასაზრდოებდა სიყვარულის რაობის გააზრებისას. ეს კიდევ ერთი დასტური იქნება იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად იყო შემოსული შუასაუკუნეობრივი „ვეფხისტყაოსანში“ რენესანსულ აზროვნებასთან შესარწყმელად.

ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ სიყვარულის მშობელი ღმერთია: „სიყვარული ღუთისაგან არს“ (I კათ. ეპ. 4,7), უფრო მეტიც. სიყვარული არა მარტო მომდინარეობს ღმერთიდან, არამედ თავად ღვთაებაც სიყვარულია: „ღმერთი სიყვარული არს“ (I კათ. ეპ. 4,16). პავლე მოციქულის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ ერთმანეთთან შედარებულია სარწმუნოება. სასოება და სიყვარული, რომელთაგან ეს უკანასკნელი შეუვალი უპირატესობით სარგებლობს: „ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. სამი ესე. ხოლო უფროს ამათგან სიყვარული არს“ (I კორ. 13,13).

ძველ აღთქმაში მითითებულია სიყვარულის სწორუპოვრობაზე: „რამეთუ მტკიცე არს, ვითარცა სიკუდილი, სიყვარული, ფიცხელ არს, ვითარცა ჯოჯოხეთი, შური გარემოის მისსა კლდე, გარემოის მისსა კლდე ცეცხლისაი, ცეცხლისა ალთა მისთაი, წყალსა მრავალსა ვერ ძალუც დაშრეტა სიყვარულისა, მდინარენი ვერ წარლუნიათ მას, უკეთუ მისცეს კაცმან ყოველი ცხოვრებაი თვისი სიყვარულსა“ (ქებ. 8,67). ან კიდევ: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ, სიყვარულსა არა ჰშურნ. სიყვარული არა მაღლიონ, არა განლანის, ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ“ (I კორ. 13,4-7). უსიყვარულოდ ადამიანის არსებობას აზრი ეკარგება. არარაობა ხდება: „სიყვარული თუ არა მაქუნდეს, არავე რა ვარ“ (I კორ. 13,1).

საგულისხმოა სიყვარულის დასახვა სულის ნაყოფად: „ხოლო ნაყოფი სულისა არს სიყვარული“ (გალ. 5,22). ბიბლიური საღვთო მიჯნურობის საფუძველს ქმნის უფლის სიყვარულადვე აღიარება, ვინაიდან ხილული და უხილავი არსებანი თუ სამყარო ღმერთი-სიყვარულიდან გამომდინარეობენ. ბიბლიის მიხედვით, ღვთაების შეყვარების უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვისაც ძალუძს მისი მცნებების დაცვა: „რამეთუ სიყვარული ღუთისა, რათა მცენებათა მისთა ვიმარხვიდეთ და მცნებანი მისნი მძიმე არ არიან“ (I კათ. ეპ. 5,3). ამ მცნებათა შორის პირველი ადგილი სწორედ ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარულს უჭირავს: „რამეთუ ესე არს მცნებანი ჩემნი, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყვარენ თქუნ“ (ი. 15,12). ამგვარი სიყვარულის მაგალითი კი მაცხოვრისთვის მამაღმერთს მიუცია: „ვითარცა შემეყვარა მე მამამან. მეცა შეგიყვარენ თქუნ, დაადგერით სიყვარულსა ჩემსა ზედა“ (ი. 15,9).

ქრისტე ასე შთაგონებს ადამიანებს: „უკეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყვარულსა ჩემსა ზედა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყვარულსა ზედა მისსა“ (ი. 15,10). ამ ფრაზის თანახმად სიყვარულისა და მცნებების შენახვა-დაცვის მაგალითი ქრისტესთვის მამაღმერთს მიუცია და როგორც მე ბაძავს მამას, ისე ადამიანებმაც მაცხოვარს უნდა მიჰბაძონ, ვინაიდან მესიის მოვლინებით ღვთის სიყვარული გამოცხადდა ადამიანებს შორის მათივე საცხოვნებლად: „ამით გამოცხადდა სიყვარული ღუთისა ჩუენ შორის, რამეთუ მე თვისი მხოლოდ შობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, რათა ვსცხოვნდეთ მის მიერ“ (I კათ. ეპ. ი. 4,9).

ახალ აღთქმაში მოგვეპოვება უაღრესად საყურადღებო შეგონება: „ღმერთი არა სადა ვის უხილავს, უკუეთუ ვიყუარებოდეთ ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის ჰგიეს და სიყვარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ არს“ (I კათ. ეპ. ი. 4,12). ე.ი. უხილავ, შეუცნობელ ღმერთთან მიახლოება და მისი შეცნობა შესაძლებელია ადამიანთა ერთმანეთის მიმართ სიყვარულის გზით. კიდევ ერთ საინტერესო ნიმუშს დავიმოწმებთ: „საყუარელნო! ვიყუარებოდეთ ურთიერთას, რამეთუ სიყვარული ღუთისგან არს, და ყოველსა, რომელსა უყუარდენ, ღუთისგან შობილ-არს და იცის ღმერთი“ (I კათ. ეპ. 4,7). ამდენად, როგორც მოციქული გვასწავლის, ღმერთის ცოდნა, უწინარესად, ერთმანეთისადმი ადამიანთა



სიყვარულში გამოიხატება. ღმერთის წვდომა და შეცნობა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ადამიანთა სიყვარული ძალუძს, ვინაიდან „რომელსა არა უყუარდეს, მან არ იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარულის არს“ (I კათ. ეპ. ი. 4,8). ამ შეგონების დამახინჯება თუ დარღვევა ზნეობრივი კანონის იავარყოფას მოასწავებს, რომლის მოქმედი მაცდურად ცხადდება: „უკეთუ ვინმე ჰსთქუა, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და მძაი თვისი ჰსძულდეს, მტყუარ არს რამეთუ რომელსა არა უყუარდეს მძაი თავისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალუძს შეყუარებად“ (I კათ. ეპ. ი. 4,20). ვისაც შესწევს ძალა ღვთაების ტრფიალისა, მას, უპირველესად, ძმისა და მოყვასისადმი სიყვარული უნდა ახსოვდეს: „და ესე მცნებაი მოვიღეთ მისგან, რათა რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარდეს ძმაიცა თვისი“ (I კათ. ეპ. ი. 4,21). ამრიგად, უფლის შეყვარებამდე ადამიანმა კაცთა შორის, ძმათა და მოყვასთა შორის უნდა გამოსცადოს სიყვარული. „ვიყუარებოდეთ ურთიერთაში“ წარმატება ღმერთის სიყვარულშიც გამარჯვების საწინდარია: „ყოვლისა წინა ურთიერთას სიყვარული განმარტებული გაქუნდინ, რამეთუ სიყვარულმან დაჰფარის სიმრავლე ცოდუთა“ (I კათ. ეპ. პ. 4,8).

ადამიანთა სიყვარული ერთმანეთისადმი თავისთავში მოიცავს (საჭიროების შემთხვევაში) კაცთათვის საკუთარი სიცლცხლის მსხვერპლად მიტანასაც: „უფროსი ამისი სიყვარულისა არავის აქუს, რათა სული თვისი დაჰსდუას მეგობართა თვისთა თვის“ (ი. 15, 13, შდრ. რუსთაველი: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული–გზად და ხიდად“).

ზემოთ დამოწმებული შეგონებებიდან გამომდინარე, სულხან–საბა ორბელიანი იტყვის: „ვინაითგან ღმერთი არს სიყვარული, რაღა–მე გნებავსთ სიყვარულისა მამიებელნო? რომელმან მოიგოთ სიყვარული, ღმერთი მოგიგიეს და, რომელმაც ჰპოოთ სიყვარული, ღმერთი გიპოვნის. სიყვარული სხვა არღარა რა არს, გარნა მედ მალლისად წოდებად. ნეტარ ხართ, რომელმან მოიგოთ ესე... საღმრთო სიყვარული თავი არს ყოველისა კეთილისა“ (11, გვ. 92-93).

შეიძლება დავასკვნათ: ბიბლიური მოძღვრებით, ღმერთმა ყველაფერთან ერთად სიყვარულიც გააჩინა, თვით ღმერთიც სიყვარულად გამოცხადა ადამიანებს. ღმერთის არსება ადამიანებმა რომ შეიცნონ, შინაგანად იხილონ, მისი ტრფიალი შეძლონ, უწინარესად, ერთმანეთისადმი სიყვარულში უნდა გამოსცადონ საკუთარი თავი–გული, გრძნობა, გონება. ამით დაიახლოებენ ღმერთს და თავიანთ შორის ამყოფებენ მუდამ. ვისაც მოყვასთა, ძმათა, საერთოდ, ადამიანთა სიყვარული არ შეუძლია, მას არც ღვთაებრივი მიჯნურობის ძალა შესწევს, შორს დგას ღმერთის ცოდნისგან და რწმენისგანაც.

დავუბრუნდეთ პროლოგისეული მიჯნურობის თეორიას. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობის გამომწვევი გახდა მე-20 -22-ე სტროფები:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,  
ძნელად სათქმელი, საჭირო, გამოსაგები ენათა;  
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;  
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.  
მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან,  
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;  
ვთქვნი ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან,  
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან.  
მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,  
მით რომე შმაგობს მისისა ვერ მიხვდომისა წყენითა;  
ზოგთა აქვთ საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,  
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა“ (2, გვ. 11).

ამ სტროფების ერთმანეთისაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ვეცნობით სამეცნიერო ლიტერატურაში. უფრო გავრცელებული და პოპულარული შეხედულებით, ილუსტრირებულ მასალაში ერთმანეთს დაპირისპირებულია ღვთაებრივი და მიწიერ–ხორციელი სიყვარული. ამ უკანასკნელის კეთილშობილებას, ამაღლებულობას, ზნეობრივ აღმატებულებას განსაზღვრავს მისი ბაძვა საღვთო სიყვარულისადმი („მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“). „რუსთაველს თავისი შემოქმედების საგნად აუღია არა მისტიკური, საღმრთო, საზეო მიჯნურობა, არამედ საამქვეყნო, მიწიერი, ხორციელი, რეალური, მატერიალური, ბუნებრივი, ადამიანური გრძნობა. რუსთაველი ამით საცილობელს არ ხდის საზეო მიჯნურობის მნიშვნელობას, თვითონ საამქვეყნო სიყვარულიც საზეოს ჰგავს, თუ მან ზნეობის გამაფაქიზებელი, სულიერად ამაღლებელი და ადამიანის ღირსების დამამშვენებელი ფორმა მიიღო (4, გვ. 27).

ციტირებული სტროფების „ზეციურ“ სიყვარულში კ. კეკელიძე სუფიურ ტრფობას გულისხმობდა. ანალოგიური მოსაზრებისა გახლდათ ზ. ავალიშვილი. ნაწილობრივ ასე ფიქრობდა პ. შარიაც: ჩვენი აზრით, აქ ნაგულისხმევიაო სწორედ სუფიების სიყვარული. თუმცა მკვლევარი იქვე აკონკრეტებდა:

სუფიები მხოლოდ ღმერთის მიმართ იჩენდნენ „იდეალურ სიყვარულს“. ხოლო რეალურ ცხოვრებაში სხვა სასიყვარულო პრაქტიკას მისდევდნენ (12, გვ. 95).

შ. ნუცუბიძე რუსთველურ „ზენა გვარში“ („ტომი გვართა ზენათა“) პლატონის ფილოსოფიურ ტერმინს – „იდეას“ ხედავს. პლატონისტურს, განყენებულს. არასამქვეყნო სიყვარულის თეორიას რუსთაველმა დაუპირისპირა სამქვეყნო სიყვარულის თეორიას, რომელიც ხორციანაა დაკავშირებული, ამკარად გულისხმობს პლატონის თეორიას, რომლის მიხედვით მიჯნურობა „გვართა ზენათა“, ე.ი. იდეათა „ტომია“ ანუ მაგვარი და მასთან პირველ იდეათა (10, გვ. 166).

ნ. ნათაძის მიხედვით, რუსთაველის მიერ გამოყენებული ფილოსოფიური ტერმინები პლატონის ცნობილი ცნებებია. „გვარი“ პლატონურ „იდეას“ ნიშნავს. ხოლო „ტომი“ – ზოგადს. იდეათა გამართიანებელ იდეას. პლატონისათვის უმაღლესი იდეა ანუ იდეათა იდეა, სამყაროს იერარქიის მწვერვალი არის სიკეთის იდეა, რომელიც მისთვის აგრეთვე ჭეშმარიტებაცაა და მშვენიერებაც. რუსთაველმა სიკეთის ადგილას ამ იერარქიაში მიჯნურობა ანუ სიყვარული დააყენა. (8, გვ. 134).

მართალია, ე. ხინთიბიძემ სწორად ჩათვალა „ტომისა“ და „გვარის“ ნათაძისეული განმარტება. მაგრამ არასწორად მიიჩნია მკვლევრის მიერ „პირველ“ მიჯნურობაში მიჯნურობის იდეის დანახვა.

ე. ხინთიბიძე „პირველ“ მიჯნურობაში ქრისტიანულ საღმრთო სიყვარულს ხედავს. მისი მტკიცებით, პოემის გმირთა მიჯნურობა არის „საშუალო“ საღმრთო მიჯნურობასა და სიძვას შორის. აქ საუბარია არისტოტელეს „საშუალოს“ თეორიის ანარეკლზე რუსთაველის ეთიკურ შეხედულებებში.

2005 წელს გამოცემულ წიგნში კი ე. ხინთიბიძე წერს: „რუსთაველი პროლოგში არ ლაპარაკობს „პირველ მიჯნურობაზე“ როგორც საღვთო მიჯნურობაზე და მიწიერ, ამქვეყნიურ მიჯნურობაზე. არ მიუთითებს მიჯნურობის პირველ სახეობაზე, რომელიც ემიჯნება შემდეგ დახასიათებულ მეორე და მესამე სახეობებს... პროლოგის მიჯნურობის თეორიაში ის კი არ არის თქმული, რომ ღმერთის სიყვარული პირველი, უმაღლესი სახეა მიჯნურობის, ხოლო ამქვეყნიური, ხორციელი სიყვარული მასზე დაბალი და მისი საპირისპირო სახეობააო, არამედ შემდეგი: მიჯნურობის ღვთაებრივი გამოვლინება. ღმერთის სიყვარული ადამიანური ენით არ გამოითქმის, ადამიანთა გონებით არ მიიხვედრება“ (13, გვ. 79-80). რუსთაველის გამოთქმაში – „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენითა“ – ე. ხინთიბიძეს „გვარი“ ესმის როგორც „წესი“. კანონი, მცნება: „გვართა ზენათა“ – ზეციურ. უმაღლეს წესთა – ღვთაებრივ მცნებათა“ (13, გვ. 79).

ზ. გამსახურდიას თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანში“ ასახული მიჯნურობა არის „ქვენა ხელობა“, რომელიც ბაძავს „პირველ“, „ზენა“ მიჯნურობას. „პირველი“ მიჯნურობა ქრისტიანული საღვთო სიყვარულია. ზ. გამსახურდიას დასკვნით: „რუსთაველისათვის ადამიანურ სიყვარულში გამოსჭვივის საღვთო სიყვარული, სიყვარული მისთვის ერთიანობა“ (5, გვ. 98).

რუსთაველის მიჯნურობის თეორიას ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა ა. აბუადაძემ. საიდანაც ჩანს, რომ მკვლევარმა უარყო ზემოთ მოხმობილი მოსაზრებანი ცნობილი მეცნიერებისა. დამოწმებულ შეხედულებათა გადასინჯვის მიზნით შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „პირველ“ მიჯნურობაში იგულისხმება პოემაში ასახული მიჯნურობა (ანუ ქალაქური სიყვარულის უმაღლესი სახე), რომელსაც ბაძავს სიყვარულის უფრო დაბალი სახე – „ქვენა ხელობა“, ზოგჯერ სიძვაში რომ გადადის. ა. აბუადაძე წერს: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მე-20 და 21-ე სტროფების პირველ ექვს ტაეპში ლაპარაკია პოემის იდეალურ გამირთა მიჯნურობაზე, ბოლო ორ ტაეპში კი დაბალ სიყვარულზე, რომელსაც რუსთაველი „ქვენა ხელობას“ უწოდებს“ (3, გვ. 168).

ალ. ბარამიძის თქმით, მიჯნურობის უმაღლეს სახეობას რუსთაველი უწოდებს საღმრთოს, მაგრამ თვითონ ემიჯნება მიჯნურობის ამ სახეობას. ეს თვალსაზრისი დამკვიდრდა რუსთველოლოგიაში. როგორც ვთქვით, ზ. გამსახურდიამ ცხადყო ამ შეხედულების უმართებულობა. მისი მტკიცებით, რუსთაველისათვის ადამიანურ სიყვარულში გამოსჭვივის საღვთო სიყვარული. სიყვარული მისთვის ერთიანობაა, საღვთო და ადამიანური მიჯნურობა ერთი მთლიანობაა. უფრო ადრე პ. შარია ამბობდა: რუსთაველი სიყვარულს თვით ღვთაებრივი არსის გამოვლენად მიიჩნევდა ადამიანის სულში (12, გვ. 86-107).

ვფიქრობთ, პროლოგის 20-22-ე სტროფები რუსთველოლოგიაში დიდხანს დარჩება განსჯის საგნად. ეს ითქმის. უწინარესად. ერთ-ერთ ტაეპზე: „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“. ამ სტრიქონის პირველი ნახევართაეპი („ვთქვა მიჯნურობა პირველი“) მთაგონებული უნდა იყოს ახალი აღთქმის წიგნით, სადაც ქრისტე თავის თავს უწოდებს „პირველს“: „მე ვარ ანი და ჰოე პირველი და უკანასკნელი, იტყვის უფალი, რომელი არს, რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ. 1,8); „მე ვარ პირველი და უკანასკნელი“ (გამოცხ. 1,17). შესიტყვება „სიყვარული პირველიც“ აქვე ფიგურირებს: „ანგელოზსა ეფესოის ეკლესიისასა მიუწერე. არამედ მაქუს შენდა მომართ, რამეთუ სიყვარული იგი შენი პირველი დაუტყვე“ (გამოცხ. 2, 1-4). აქვე გვახსენდება „ღვთაებრივი კომედიის“ ერთი გამონათქვამი: „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს“.

„ვთქვა მიჯნურობა პირველის“ გამოთქმისას რუსთაველი უცილობლად ბიბლიიდან ამოდის; „ღმერთი სიყვარული არს“ (Iკათ. ეპ. 4,16). რადგანაც ქრისტეს ნაცვალსახელად ჩანს „პირველი“ და უფალი თავად არის სიყვარული, გამოდის, რომ „მიჯნურობა პირველში“ სწორედ მაცხოვრის ხატება უნდა დავინახოთ, რომლისადმი სიყვარულს ალავლენს, უწინარესად, რუსთაველი. მეორე ნახევარტაქში დასახელებული „ტომისა“ და „გვართა ზენათა“ –ში პლატონის ფილოსოფიური ცნების დანახვა თუ მასთან გაიგივება წინააღმდეგობრივია. ამით საფუძველი ეცლება რუსთაველის ბიბლიურ-ქრისტიანულ მსოფლმხედველობას სამყაროსა და ადამიანის შექმნასთან დაკავშირებით. დიდი პოეტი პოემას იწყებს სწორედ ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის აქტით „დაბადების“ (შესაქმმის) საფუძველზე. იგი ნაყოფია ბიბლიური ეპიზოდის თითქმის ლექსად გარდათქმისა:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა.  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“ (2, გვ. 9).

პლატონი ხომ სამყაროს, ქვეყნიერების საფუძვლად სიკეთის იდეას (სამყაროს იერარქიის მწვერვალს) აღიარებს. ნ. ნათაძის მტკიცება, რომ რუსთაველმა სიკეთის ადგილას ამ იერარქიაში მიჯნურობა ანუ სიყვარული დააყენა, გადასასინჯია. ერთ რამეში უნდა დავეთანხმოთ ნ. ნათაძეს–ეს არის „მიჯნურობა პირველის“ და „ტომის“ შინაარსობრივი გაიგივება. ოღონდ აქ არ მოვიაზრებთ „ტომს“, როგორც პლატონის ფილოსოფიურ ცნებას–„გვართა“ იდეათა გამაერთიანებელ ზოგად ანუ იდეათა იდეას. რუსთაველის „მიჯნურობა პირველი“ და „ტომი“ მოცემული ტიპის მიხედვით სინონიმურ ცნებებად უნდა წავიკითხოთ.

„გვართა ზენათა“ ჩვენ მიგვაჩნია პეტრე იბერიელის (ფსევდო–დიონისე არეოპაგელის) მიერ სამ იერარქიად (უმაღლესი იერარქია: სერაფიმი, ქერობიმი, საყდარნი; საშუალო იერარქია: უფლებანი, ძალნი, ხელმწიფეხანი; დაბალი იერარქია: მთავრობანი, მთავარანგელოზნი, ანგელოზნი) დაყოფილ ანგელოზთა ნაცვალსახელად, ისევე როგორც ღვთისმეტყველებაში ანგელოზების საერთო სახელად დამკვიდრებული „ძალნი ზეცისანი“. სწორედ მას ჩაანაცვლა რუსთაველმა „გვარნი ზენანი“. ღვთისმეტყველთა თანახმად. ღმერთმა სამყაროს შექმნამდე გააჩინა ანგელოზნი. „ვეფხისტყაოსანში“ ფიგურირებს ანგელოზნი, როგორც „ცის ძალთა დასი“. ღმერთივით ანგელოზებიც „მიუწოდომელ არს და დაფარულ“. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიქცია ვიკტორ ნოზაძის თვალსაზრისმა, რასაც აბსოლუტურად ვიზიარებთ: „ვეფხისტყაოსნის“ შაირში მოხსენიებული „ტომი გვართა ზენათა“ შემდეგნაირად განიმარტება: „გვარნი ზენანი“ არიან მუდამ მყოფნი“, „სამუდამო“, „საუკუნო ზენანი“, ანუ ანგელოზთა ტომი. „გვარნი ზენანი“ – ანგელოზნი. მათ შეუძლიათ ღმერთის მიმართ სრული სიყვარული“ (9, გვ. 28).

საანალიზო ტაქში „მიჯნურობა პირველი“ ანუ ღმერთი–სიყვარული გვევლინება ასევე ატომად“ როგორც ზეციურ არსებათა – სამ იერარქიად დაყოფილ ანგელოზთა – გამაერთიანებელ ძალად. ასეთი ქრისტიანული ღმერთი–სიყვარულისადმი ადამიანის მხრიდან სატრფიალო დამოკიდებულება პოეტის მიერ მონათლულია „საზეო საქმედ“, რომელიც „აღმაფრენათა მომცემია“. როგორ გავიგოთ „მიჯნურობა პირველზე“ ნათქვამი სიტყვები: „ძნელად სათქმელი, საჭირო, გამოსაგები ენათა“... „ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“. ვფიქრობთ, რუსთაველის მიერ აქ გამოყენებულია ღმერთის შეცნობის, ლოგიკური ცოდნის აპოფატკური გზა: „ძნელად სათქმელი“ ანუ გამოუთქმელი, ენით ვერ გამოთქმული („გამოსაგები ენათა“). პოეტი ამ მეთოდს საკუთრივ პოემის ტექსტშიც მიმართავს: „უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“. ეს ფსევდო–დიონისე არეოპაგელის აპოფატკური ცნებაა: „გამოუთქმელ არს ყოვლისა სიტყვისაგან ზემთასიტყვასა იგი სახიერებაი“. ... (6, გვ. 6). „უინ უძლოს კაცობრივითა სიტყვითა ქებად ცხოვრებისა მის უთქმელისა და გამოუთქმელისა“. მიქაელ მოდრეკილიც იტყვის: „ცათა დაუტევნელი გამოუთქმელი ღმერთი და გარემუქწერელი, მიზეზი ყოველთა მიზეზთაი უსხეულოი“ (7, გვ. 14).

„საჭირო“, ცხადია, არ გაიგება საჭიროების მნიშვნელობით. იგი წარმოებულია სიტყვიდან „ჭირი“. უფლის შეუცნობლობა სიძნელის, ჭირის წინაშე აყენებს რიგით ადამიანს, ამიტომაც მან უნდა იქონიოს დიდი მოთმინების უნარი, გაუძლოს ამით გამოწვეულ წყენას („თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“, იგივე ჭირთა). სწორედ ამიტომაც „მას, ერთსა, მიჯნურობისა ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“. გამოთქმა „ერთსა“ ღმერთის სახელია. რუსთაველი ამაზე უშუალოდ მიგვანიშნებს პოემის დასაწყისის მეორე სტროფის პირველ ტაქშივე: „ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“. პოემის ტექსტშიც ვკითხულობთ: ერთ–არსებისა, ერთისა“. დიდი შემოქმედი უშუალოდ ბიბლიიდან თუ არეოპაგეტიკიდან ამოდის: „ღმერთი შენი უფალი ერთ არს“ (მარკ. 12,7); „ვინაითგან ერთი არს ღმერთი“ (რომ. 3,30); „ყოველთა მოგონებათაგან მოუგონებელ არს ზემთაგონებისა იგი ერთს“.

„მას, ერთსა, მიჯნურობასა“... აქ ამიჯნურობასა“ „ერთის“ ანუ ღმერთის სინონიმია, ვინაიდან სახარების ენით, „ღმერთი სიყუარული არს“. რუსთაველის მიხედვით, სწორედ ამ „ერთს“, „მიჯნურობას“ „ჭკვიანნი ვერ მიხედებიან, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“. ზ. გამსახურდიას უმართებულოდ მიაჩნია „ჭკვიანის“ შინაარსის გაიგივება „ბრძენთან“. მისი აზრით, „ჭკვიანში“ იგულისხმება ჩვეულებრივი ადამიანი, ამსოფლიური ჭკუის კაცი, რომელიც დაყრდნობილია მიწიერ ჭკუა-გონებაზე (5, გვ. 103-106) ა. აბუანდაძეს მიაჩნია, რომ საანალიზო ტაეპის „ჭკვიანი“ არც ბრძენს ნიშნავს და არც ამსოფლიური ჭკუის კაცს. იგი ნიშნავს გაუმიჯნურებელს, გაუშმაგებელს. ამ ტაეპში მას „ჭკვიანი“ „მშვიდის“ სინონიმად ესახება. (3, გვ. 188). საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია. გამოთქმაში – „მას, ერთსა, მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხედებიან“ ის აზრი გამოსჭვივის, რომ ღმერთის შეცნობა ჭკუა-გონებით შეუძლებელია. მისი შეცნობის სხვა გზები არსებობს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ე.წ. ლოგიკური ცოდნის მეთოდები – კატაფატიკურ-აპოფატიკური ღვთისმეტყველება. ვ. ნოზაძის მიხედვით, ასეთი მისტიკური სიყვარული ჭკუისაგან არ არის დამოკიდებული... ჭკვიანნი ღვთისადმი სიყვარულს ვერ შესწვდებიან. ასეთი მისტიკური სიყვარულისთვის ჭკუა არ არის საჭირო, რადგან ღმერთისადმი სიყვარული არის ჭკუის გარეშე, გონების გარეშე. იგი მისტიციზმს ეკუთვნის (9, გვ. 94). მითითებულია, რომ აპოფატიკური ცოდნა არის არცოდნის ცოდნა, მისი უკანასკნელი და უმაღლესი საფეხური, აბსოლუტური უმეცრებისა და ადამიანური გონების სრული უმწეობის აღიარება ღვთაებრივი ბუნების შემეცნებაში (14, გვ. 53).

როგორც შენიშნულია, როდესაც ცოდნის მეთოდები უძლურნი არიან სინამდვილის პირველსაწყისის შესამეცნებლად, სწორედ ამის შემდეგ იწყება მისტიციზმზე გადასვლა. ეს არის ღვთის წვდომის მისტიკური ჭკრეტის გზა, რასაც არეოპაგიტულ მისტიციზმამდე მივყავართ. ასევე, არეოპაგიტიკის მიხედვით, ღმერთთან მისვლისა, მისი წვდომისა და ხილვის ერთ-ერთი მთავარი გზაა ლოცვა.

„მიჯნურობა პირველზე“, „საზეო საქმეზე“ ანუ საღმრთო სიყვარულზე მკითხველისთვის თავისი კონცეფციის გაცნობის შემდეგ რუსთაველი საუბარს განაგრძობს მიწიერ-ხორციელ სიყვარულზე. ამისთჳი არ ემიჯნება პოეტი საღმრთო სიყვარულს, არამედ მის მიმბაძველ, მას მიმსგავსებულ ზნეობრივ მიწიერ მიჯნურობაზე გვიქმნის სრულ წარმოდგენას: „ვთქვენე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხედებიან. მათ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“, არასწორია „ხელობანის“ განმარტება შმაგობად მოცემულ ტაეპზე მსჯელობისას, როგორც ამას მიმართავს ა. აბუანდაძე. ზ. გამსახურდიას თანახმად, საანალიზო სტრიქონში და სხვაგანაც („მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“) „ხელობა“ წმინდა, ამაღლებელი სიყვარულს გულისხმობს. ეს მოსაზრება ვრცელდება, ცხადია, მიწიერ სიყვარულზე, რომელიც საღმრთო მიჯნურობას ბაძავს: „მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“ ანუ შორიდან იდაგებიან ტრფობით.

საანალიზო სტროფში რუსთაველი გამოყოფს ადამიანთა ორ კატეგორიას: „ზოგთა აქვთ საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა, კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა“.

ბუნებრივია, პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან საღმრთო სიყვარულის მიმბაძველნი შეყვარებულნი ანუ ზნეობრივი მიჯნურნი, მეორე კატეგორიას კი სიძვა-მრუშობასთან წილნაყარნი. 23-ე სტროფში რუსთაველმა წარმოაჩინა იდეალური მოყმე-მიჯნურის ზნეობრივი ღირსებანი:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,  
სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყმე და მოცალეობა,  
ენა, გონება, დათმობა, მძლეოთა მებრძოლთა მძლეობა.  
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“ (2, გვ. 12).

პროლოგის მომდევნო სტროფებშიც განფენილია რუსთაველის მიჯნურობის თეორია. პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს ჭეშმარიტ, ამაღლებელ გრძნობას-მიჯნურობას და მის დამამახინჯებელ, შერყენილ სიძვას, სიბილწეს და მრუშობას. ვისაც ეს ერთმანეთში აერევა, შორს დგას სიყვარულის გრძნობის ადამიანური უზადო გაგებისაგან:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი,  
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი.  
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,  
ნუვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი“. (2, გვ. 12).

რუსთაველის გაგებით, ზნეობრიობას დაქვემდებარებული, საღმრთო სიყვარულის მატარებელი ადამიანი უნდა გამოირჩეოდეს „ხანიერობით“ (სიმტკიცით, ერთგულებით), „გული ერთსა დააჯეროს“ უნარით, სატრფოსადმი თავგანწირვით („მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს“). მიჯნურისთვის ყველაფერი უნდა დათმოს, თუნდაც „მისთვის ველთა გამოვარდეს“, უარი უნდა თქვას ამსოფლიურ კეთილდღეობაზე თუ სიამტკბილობაზე („კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“); კარგი მიჯნური გარეგნულად სიყვარულს არ უნდა იმჩნევდეს („არს პირველი მიჯნურობა არ-

დაჩენა). შეეძლოს „ჭირთა მალვა“, არ უნდა შეუშინდეს „შორით ბნედას, შორით კვდომას. შორით დაგვას, შორით ალვას“ (ცეცხლის ალით წვას), სამიჯნურო გრძნობებს, სიყვარულის საიდუმლოებას სათუთად უნდა ინახავდეს („ხამს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს. არ ბედიტად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს: არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს“); არაფრად აგდებდეს განსაცდელს („მისთვის ჭირი ღზინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“)

რუსთაველი გმობს მეძავობას, სიბილწეს, მრუშობას, უგულო სიყვარულს („მძულს უგულო სიყვარული, ხვეწნა–კოცნა. მტლაშა–მტლუში“). მისთვის მიუღებელია ე.წ. შეყვარებული, რომელიც „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა პოეტს უკვირს იმ ადამიანისა, რომელსაც თითქოს იფერებს საყვარლის სიყვარულს, მაგრამ „აყივნებს მისთვის მკვდარი მისთვის წყლულსა. იგი აღშფოთებით კითხულობს: „თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივნებს, რაცა სძულსა?“ თუმცა ასეთი კაცისგან რა უნდა უკვირდეს, როცა გაითავისებს: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“.

შეიძლება დავასკვნათ: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში რუსთაველმა შაირობის (პოეზიის) თეორიის პარალელურად გამიზნულად წარმოგვიდგინა მიჯნურობის თეორიაც. მკითხველის ყურადღება მიაპყრო საღვთო მისტიკურ სიყვარულს, ხორციელ, კაცობრივ ტრფობას. ერთმანეთისაგან გამიჯნა საღვთო („მიჯნურობა პირველი“) სიყვარულს მიმსგავსებული მიწიერი. წმინდა, უბიწო, ზნეობრივი მიჯნურობა და ეროტიკული სიძვა–მრუშობასთან წილნაყარი ტრფიალება.

პოეტის მიერ პროლოგში მოცემული ტაეპი – „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებულად განსჯის საგანი გახდა. „მიჯნურობა პირველი“ სწორედ ღვთიერ სიყვარულს გულისხმობს. ცნებები „მიჯნურობა“ და „ტომი“ სინონიმურ სიტყვებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო „გვართა ზენათა“ – ანგელოზებად. მათთან პლატონის ფილოსოფიური ცნებების (ტომი, გვარი) შინაარსის გაიგივება წინააღმდეგობრივია. ამით საფუძველი ეცლება რუსთაველის ბიბლიურ–ქრისტიანულ მსოფლმხედველობას სამყაროსა და ადამიანის შექმნასთან დაკავშირებით.

პროლოგში საღვთო სიყვარულზე საუბრის დასრულების შემდეგ რუსთაველი მკითხველს საფუძვლიან წარმოდგენას უქმნის იდეალური მიჯნურობის ზნეობრივ და ფიზიკურ ღირსებებზე. გასაზიარებელია კონცეფცია, რომ შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის შერწყმა როგორც დანტეს, ისე რუსთაველის შემოქმედებაში ყველაზე მეტად სიყვარულის გაგებაში გამოვლინდა.

#### ლიტერატურა:

1. ბიბლია (მცხეთური ხელნაწერი). გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელენე დოჩანაშვილმა, თბ., 1981-1986.
2. შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“ (პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გამოცემა), თბ., 1988.
3. აბჯანდაძე ა. „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი, თბ., 1994.
4. ბარამიძე ა. შოთა რუსთაველი, თბ., 1975.
5. გამსახურდია ზ. „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი, თბ., 1984.
6. იბერიელი პეტრე (ფსევდო–დიონისე არეოპაგელი), შრომები (ს. ენუქაშვილის გამოცემა), თბ., 1961.
7. მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ვაჟა გვახარია, თბ., 1978.
8. ნათაძე ნ. რუსთაველი მიჯნურობა და რენესანსი, თბ., 1966.
9. ნოზაძე ვ. „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობითმეტყველება, პარიზი, 1975.
10. ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, თბ., 1958.
11. ორბელიანი სულხან–საბა, თხზულებანი, III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1963.
12. შარია პ. შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი, თბ., 1976.
13. ხინთიბიძე ე. „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული, თბ., 2005.
14. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, I, თბ., 1987.

*Tite Mosia*  
*Sokhumi State University*  
**FROM THE INTERPRETATIONS OF RUSTAVELI'S ROMANCE THEORY**  
**RESUME**

In the prologue of the Knight in the Tiger's Skin Rustaveli intentionally represented the romance theory in parallel with the poetry theory. He attracted reader's attention to the holy or mystical love and the earthly, physical lust. He separated from each other the innocent, sacred and moral love equaled to divine love and erotic, immoral lust.

The verse in the prologue – "I speak of the romance the first and the tribe of the highest families" – has become the subject to diverse discussion in the scientific literature. "The romance first" means the Lord, divine love, while the terms "romance first" and "the tribe" must be considered as synonyms and "the highest families" must be perceived as angels. Identification of the sense of Plato's philosophical terms ("tribe", "family") with them would be contradictory. It takes away the basis from Rustaveli's Biblical-Christian worldview in relation to the creation of the universe and mankind.

After speaking about the divine love in the prologue Rustaveli offers readers the comprehensive vision of the moral and physical values of the ideal lover. He accordingly describes the followers of eroticism. The concept that the mixture of medieval and renaissance epochs both in Dante's and Rustaveli's creations has most apparently been revealed in the perception of love, must also be considered.

**ნელი პეტრიაშვილი**  
ქ. გორის №12 საჯარო სკოლა

**მტრის ხატის პერსონიფიკაცია ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში**

ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში „მტრის ხატი“ სხვადასხვა კუთხითა და ვარიაციებით გვევლინება, ეს შეიძლება იყოს სარწმუნოების, სამშობლოს, კაცობრიობის, სულიერი ფასეულობების და ა.შ. მტერი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყველა მწერალი ინივიდუალურ ვარიანტს გვთავაზობს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ერთი და იგივე მტერი სხვადასხვა ავტორთან განსხვავებული შტრიხებითა და ნიუანსებით იხატება. (მტერი ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში პერსონიფიცირებულია და თავმოყრილია ძირითადად ერთ კონკრეტულ პერსონაჟში)

ამჯერად ჩვენ გვინდა განვიხილოთ ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, (მარტვილობანი) რომლისთვისაც „მტრის ხატი“ სარწმუნოების მტერს ნიშნავს, მიუხედავად მისი ეროვნებისა და რჯულისა. ის, ვინც ებრძვის რელიგიას, ებრძვის სამშობლოსა და ეროვნულ თვითმყოფადობას.

მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი დამპყრობელი ლაშქრობდა საქართველოში და უპირველესი მიზანი ქვეყნის საბოლოოდ დასამორჩილებლად იყო მისი რელიგიური ასიმილაცია, რადგან ქართველი ერის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი სწორედ ქრისტიანული რელიგია გახლდათ.

ქართული მწერლობის დასაწყისი და პირველი ნაბიჯები ემთხვევა იმ ხანას, როდესაც ჩვენი ქვეყანა განიცდიდა ჯერ ირანელთა, მერე არაბთა ბატონობას. რადგან ქრისტიანობა ქართლს პოლიტიკურად აკავშირებდა ირანისა და არაბეთის მოწინააღმდეგე ქრისტიანულ ქვეყნებთან, მტერი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ აღმოეფხვრათ აქ ქრისტიანობა და გაეგრძელებინათ თავიანთი რჯული. აქედან გასაგებია ბრძოლა ჩვენში ქრისტიანობის წინააღმდეგ. (კეკელიძე კ. ბარამიძე ა. გვ. 74)

ქართული ლიტერატურის ათვლის წერტილია იაკობ ხუცესის ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, რომელიც უძველეს ლიტერატურულ ძეგლად ითვლება. „მტრის ხატიც“ ქართულ ჰაგიოგრაფიაშივე იჩენს თავს და, რა თქმა უნდა, ამ საკითხზე საუბარს სწორედ „შუშანიკის წამებით“ დავიწყებთ.

ირანის შაჰები თავიანთი აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად ეძებდნენ დასაყრდენს ადგილობრივ დიდგვაროვნებში, ერთ-ერთი ასეთი დასაყრდენი მათ იპოვეს ვარსკენ პიტიახშის სახით, რომელიც, მართალია, ქრისტიანი მშობლების შვილი იყო, მაგრამ ამპარტავნებამ ერისა და სარწმუნოების მოღალატედ აქცია, „შუშანიკის წამებაში“ იაკობ ხუცესმა შინაური და გარეული მტრის სახეები შექმნა

ვარსკენ პიტიახშისა და ვინმე სპარსისა, რომელიც გაურკვეველი სტატუსით ცხოვრობს ვარსკენის სასახლეში და რეალურად აკონტროლებს სიტუაციას, შაჰის ინტერესების შესაბამისად. სპარსი ერთი შეხედვით ჭკვიანი და მშვიდია, ვარსკენს გონივრულ რჩევებს აძლევს შუშანიკის სასარგებლოდ: „ნურას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნებაი იწრო არს.“ (ქართული პროზა 1982; [10]) დედოფლის უმოწყალოდ ცემისა და ბორკილების დადების შემდეგ სპარსი ისევ შუშანიკს იცავს: „და ვითარ მცირედ დარესცხრა გულისწყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მხურვალედ ევედრებოდა მას, რაითამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაი შუშანიკ.“ (ქართული პროზა გვ. 10)

საინტერესო პასაჟია - სპარსს თითქოს დედოფალი ეცოდება და მის დაცვას ცდილობს, რის გამოც შესაძლოა თანამედროვეთა სიმპატიასაც კი იწვევს, მაგრამ იაკობი კარგად ხვდება, რომ ამ სახით მოსული მტერი კიდევ უფრო საშიშია. ვინმე სპარსი თავად ირანის იდეოლოგიას განასახიერებს, ტკბილი სიტყვითა და გარეგნული ლიბერალიზმით, რაც შეიძლება მეტად მოახვიოს ქვეყანას საკუთარი ინტერესები. სპარსი, როგორც ჩანს, კარგად იცნობს ვარსკენს და მისი ფიცხი ბუნების მართვას ცდილობს, რათა ირანის ინტერესების დამცველი პიტიახში ხალხის თვალში მტარვალად კი არა, შეურაცხყოფილ ქმრად გამოიყვანოს და ასე აარიდოს საკუთარი ხალხის სიძულვილი, სპარსმა კარგად იცის, რომ, თუ ვარსკენი შუშანიკს აწამებს, დედოფალი გმირი გახდება, ვარსკენს კი საბოლოოდ შეიძულებს ერი და მასთან ერთად შეიძულებს მტერს, რომელიც ვარსკენის ზურგს წარმოადგენს. სპარსი ცდილობს პოლიტიკურად გადაწყვიტოს ეს საკითხი და შუშანიკის სახლიდან წასვლა აქციოს ოჯახურ დრამად და არა ეროვნული მნიშვნელობის მოვლენად.

ამრიგად, იაკობ ცურტაველმა საქართველოს სინამდვილეში არსებული მტრის ორგვარი სახე წარმოგვიდგინა პირველი შინაური, ამპარტავანი და ამბიციური მოღალატე - ვარსკენ პიტიახში და მეორე-მლიერი დამპყრობლის იდეოლოგიური მებრძოლი - ვინმე სპარსი.

სპარსელები ქართულ სახელმწიფოებრიობას, ანუ მეფობას ძირს უთხრიდნენ. იმედი ჰქონდათ, რომ თვით საქართველოში მოძებნიდნენ იმ ძალებს, რომელნიც შეებრძოლებოდნენ ქართველ ხელისუფალთ და მოსპობდნენ მეფობას. ქართველი მთავრები და დიდი აზნაურები სპარსელების დახმარებით საქართველოს მეფეს ებრძოდნენ. (ჯანაშია ს., შრომები V, გვ. 91)

მართლაც, VI საუკუნის დასაწყისში მეფობის გაუქმება მთავრებისა და დიდი აზნაურების მეოხებით მომხდარა., რის შემდეგაც „ქართლის მთავრები და დიდი აზნაურები თავს კარგად გრძნობდნენ. მეფობის მოსპობა ქართლში ხომ უმთავრესად მათი საქმე იყო. ძველი ქართული მატთანე ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც ვახტანგის შთამომავლობას მეფობის უფლება წაართვეს, ქართლში უკვე აზნაურები გაბატონდნენო. მართლაც, დიდი აზნაურები ადვილად შეუხმატკბილდნენ სპარსელებს და ეხმარებოდნენ მათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. სამაგიეროდ, სპარსელებიც მათ თავიანთ წყალობას არ აკლებდნენ, მსხვილ თანამდებობებსა და ჯილდოებს ურიგებდნენ და ზოგჯერ მემკვიდრეობითაც უმტკიცებდნენ მიცემულ მოხელეობას.“

მტრის აგრესია ასურელ მამებზეც გავრცელდა, ვერც ისინი გადაურჩნენ ბარბაროსთა რისხვას, მათ შესახებ საყურადღებოდ შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი: „ისინი საქართველოში მოსული იყვნენ საქადაგებლად, ქვეყნის განსამტკიცებლად „სარწმუნოებითა მართლითა“ და „წმიდისა სამებისა“, ე.ი. მართლმადიდებლობის გასამლიერებლად“ (ჯავახიშვილი ი. გვ. 343)

ამ საკითხზე შეგნებულად ამახვილებს ყურადღებას კორნელი კეკელიძე: „აბიბოს ნეკრესელი ეკუთვნის იმ პირთა ჯგუფს, რომელიც, გადმოცემით, 13 კაცისაგან შედგებოდა და მეექვსე საუკუნეში მოსულა ქართლში იმ დევნულებასთან დაკავშირებით, რომელიც მონოფიზიტ ქრისტიანებისათვის აუტენტური სირიაში 571 წელს. (კეკელიძე კ. გვ. 101-102).

ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ თხზულებაზე „*მარტვილობა აბიბოს ნეკრესელისა*“, რომელიც ასურელ მამა აბიბოსზე, ნეკრესის ეპისკოპოსზე მოგვითხრობს, რაც კიდევ ერთი დასტურია სპარსთა აგრესიისა. აბიბოსის სამისიონერო მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმ დროს ჩვენში გაბატონებულ სპარსელებს, რომელთა ზრახვები წმინდანისთვის ხილული იყო. ამიტომ ერთხელ მას საჯაროდ წყალი დაუსხამს სპარსელთათვის მაზდეანობის სიმბოლოდ მიჩნეული ცეცხლისათვის, ეს ფაქტი პოლიტიკურ დანაშაულად მიიჩნიეს და აბიბოსი მარზპანს წარუდგინეს, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა ქალაქ რეზში. მარზპანის სურვილი გაეტეხა ეს კაცი, როგორც მათ სჩვევიათ, მოეკლა მისი რწმენა, მისი სული, არ განხორციელდა. რა თქმა უნდა, ვერაფერი მოალობდა მარზპანის გულს, შეურაცხყოფილმა და იმედგაცრუებულმა სასტიკი სიკვდილი მიუსაჯა, მისი ბრძანების თანახმად „ქვით განტვინეს“, ესე იგი, ჩაქოლეს ის, გვამი მისი მიუგდეს მხეცებსა და ფრინველებს შესაჭმელად.

ეს თხზულება ძალიან საინტერესოა იმიტომ, რომ აქ მტრის ხატი არა მარტო სპარსეთია არამედ ბიზანტიაც, რომელიც მართალია ქრისტიანია, მაგრამ არანაკლებ საშიში და დაუნდობელია და ისიც დამპყრობელია: „...მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი, მიერთგან ერისთავნი იქმნეს მპყრობელ ქართლისა და სხუანი მრავალნი, ვითარცა წერილ არს წიგნსა მას წამებისა მისისასა“

(კეკელიძე კ. ბარამიძე ა. გვ. 83) ამ თხზულებაში პირველად გამოჩნდა მტერი, რომელიც მართალია სარწმუნოების მტერი არაა, მაგრამ ქვეყნის მტერია.

სპარსთა აგრესიის ხანასვე ეკუთვნის ის ამბავი, რომელიც აღწერილია თხზულებაში „**მარტვილობა რაჟდენ პირველმოწამისა**“, ცხადია, ვერც ამ თხზულებას ავუვლით გვერდს, რადგან მასში მტრის ის დამოკიდებულება ნაჩვენებია, რომელიც გამოავლინეს სპარსელებმა თავიანთი თანამემამულის მიმართ, რომელიც ვახტანგ გორგასალის დროს მოვიდა ქართლში და ქრისტიანობისთვის ეწამა ჩვენი დაუძინებელი მტრის ხელით, რომელიც იმ ხანებში შემოესია ქართლს.

„მტრის ხატის“ კუთხით შეგვიძლია განვიხილოთ კიდევ ერთი უძველესი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, „**ეკსტათი მცხეთელის წამება**“, რომელიც ასევე ირანელთა ბატონობის ეპოქასთან არის დაკავშირებული. თხზულებაში გადმოცემულია ამბავი გაქრისტიანებული სპარსი კაცისა, რომელსაც ნათელღებისას „უწოდეს სახელი ეკსტათი“.

უდიდესი ოსტატობით აღწერს ჰაგიოგრაფი სპარსთა აღბორგებას თავიანთი თანამემამულის მიმართ. „მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთას იყვნეს“, შეურაცხყოფილნი და გაბოროტებულნი ეახლნენ **უსტამს**, მცხეთელ ციხისთავს და აცნობეს დაუფარავად: „აქა კაცი ერთი არს ჩვენისა სჯულისაგანი და ჩვენ თანა ტოზიკსა არა მოვიდის და ცეცხლი არა გამოსცის, და ჩვენსა რჩულსა ჰგომოს და ჩვენ გვაგინებს და იტყვის, ვითარმედ – მე ქრისტიანე ვარო“. (**ქართული პროზა; 1982 [გვ. 28]] 10**)

ბრძანებას ჰგავდა ციხისთავის მიმართვა: „არავინ მიტეოს ქრისტეს მსახურ ყოფად და, თუ მშვიდობით არა განუტეო **სიცოფეი** ეგე, ტანჯვაი დიდი მოიწიოს შენ ზედა“, (ამ მონაკვეთში პერსონიფიცირებული მტერი – უსტამი ცდილობს ქრისტიანობა არა იდეოლოგიურ მიმართულებად, არამედ სიგიჟედ გამოაცხადოს, რაც ასევე სპარსეთის პოლიტიკას გვიჩვენებს ქრისტიანობასთან დამოკიდებულებაში) ხოლო, როდესაც მიხვდა, რომ წყალს ნაყავდა საკუთარი უძლურების დასაფარავად, გადაწყვიტა: „ამის კაცისა პატიჟი მე არარაი ხელმეწიფების, არცა აღბმაი ძელსა, არცა პყრობილებაი, არამედ წარუძღვანო ეგე ტფილისს ქალაქსა **არვანად გუშნასპს**, ქართლისა მარზპანსა, და რაი იგი შეჰგვანდეს მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ხელეწიფების სიკვდილი და ცხორებაი“. თავისი თავი რომ წარმოეჩინა, ეკსტათი შვიდ გაქრისტიანებულ კაცთან ერთად შებორკა და „ბრძანა წარცემაი ტფილისს არვანად გუშნასპს, მარზპანსა ქართლისასა და ესრეთ მიჰრქვა: „ესე კაცი ჩვენისა რჩულისანი იყვნეს და ქრისტიანთა რჩული უპყრიეს – ხოლო მე შევიპყრენ და შენ, უფალსა მიგიძღვანენ, რამეთუ ხელგეწიფების მათი განკითხვაი“. (**ქართული პროზა 29**)

ტყვეთა დამცირება-დასახიჩრება განიზრახა მარზპანმა: „დაჰყვინეთ მაგათ თავი და წვერი და განუხვრიტენით მაგათ ცხვირნი და ჯაჭვნი დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერხთა და შესხენით ეგენი საპყრობილესა. და თუ ვინმე აღიაროს მამული რჩული, განუტევეთ და ჩემდა მოაწიეთ და მე განვამდიდრო იგი ბოძითა დიდითა. ვფიქრობ, მკაცრად რომ ეკონტროლებინათ დაპყრობილი ქვეყნები, მტერი ხშირად ცვლიდა თავის ხელდებულ და ნდობით აღჭურვილ პირებს, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა – არვანად გუშნასპი გაიწვია სპარსთა მეფემ. უაღრესად საყურადღებო ფაქტს გვაწვდის თხზულება, იმის შესახებ, რომ წასვლისას გუშნასპი, ალბათ, ავტორიტეტით რომ გამგზავრებულიყო, ასრულებს ერისთავთა და კათალიკოსის თხოვნას და ათავისუფლებს პყრობილთ. ამ დეტალით კარგად იკვეთება მისი ფარისევლური, ანგარებიანი ბუნება: „იგი კაცი მოსაკლავად შეჰგვანდეს, ხოლო თქვენითა ოხითა განუტევენ ეგენი“. ამ ხრიკით მოახერხა მან კათალიკოსისა და ერისთავთა მადლობის დამსახურება და ასე გაემართა თავის ქვეყანაში: „ხოლო მათ მადლი მისცეს მას“ – გვამცნობს ჰაგიოგრაფი.

მტერი მტრობას ხომ არ დაუღუპს კაცს, ახალ მთავარ **ვეჟან ბუზმირთანაც** დააბეზღეს ეკსტათი, მარზპანმა, როგორც მტერთა წესია, ჯერ „სიტყვათა ლიქნისაითა“ (იოვანე საბანისძის „აბოს წამება“) სცადა წმინდანის გატეხა: „შვილო ეკსტათი, ისმინე ჩემი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხოვრებისა შენისა ქრისტიანებისათვის და ნუ ქვრივ სვამ ცოლსა შენსა და ობოლ-შვილთა შენთა და ნუ მოსწყდები მოყვასთა შენთა ამას ცხოვრებისასა“. (**ქართული პროზა 44**)

„ძლიერის სისუსტე ისაა, რომ ძალის მეტი არაფერი სწამს“, რაც უფრო მტკიცე და შეუვალია სამიზნე, ყოველთვის უფრო მძვინვარეა მტერი, შესაბამისად, განაჩენიც მძიმეა: „წარიყვანეთ ეგე საპყრობილედ და იდუმალ ღამით თავი წარჰკვეთეთ, რაითა არავინ ქრისტიანეთა ცნან და პატივ სცენ გვამსა მისსა. და წარიხვენით ხორცნი ქალაქსა გარე, განაზნევიანთ შესაჭმელად მხეცთა და ფრინველთა“, ამ შტრიხითაც ჩანს მტრის გაორკეცებული ბრძოლა წმინდანის წინააღმდეგ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკრძალონ მსხვერპლი ქრისტიანულად, არ უნდა მიიქცეს მიწად, რისგანაც იშვა ის, ურჯულონი ხომ ქრისტიანთა „დაფლვასაც“ ებრძოდნენ დღენიადღა. არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს მკითხველს გაუგონარი ეგოიზმი მტრისა, ეკსტათის თავის კვეთის წინ: „**ჩვენ მოვსწყდებით, უკეთუ ეგე ეგოს ცოცხალი**“.



ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თხზულებაში სპარსელები ერთი და იგივე იდეოლოგიას ატარებენ, „თაფლიანი ალიკაპის“ პრინციპს, ყველა შემთხვევაში „მტრის ხატი“ ერთი და იგივეა, მტერი ყველგან ორგვარია შინაური და გარეული და ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ, ამიტომ „მტრის ხატი“ პაგიოგრაფიულ თხზულებებში სწორედ ამ ორსახოვნებაზეა აგებული.

„თაფლიანი ალიკაპის“ პრინციპით მოვიდნენ არაბებიც საქართველოში იოანე საბანისძის თხზულებაში „აბოს მარტილობა“ მწერალი გვამბობს, როგორ გადაიბირეს ქართველები არაბებმა, „მიერიტგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარდნეს, რომელნიმე-მძლავრებით, რომელნიმე-შეტყუვლით, რომელნიმე-სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით“ (მგ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია გვ. 80-8) ისტორიულად ცნობილი ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის მიხედვით, ის ქართველი, რომელიც ისლამს მიიღებდა თავისუფლდებოდა გადასახადისაგან, მაგრამ ამის მიუხედავად, არაბები ქართველებისაგან მხოლოდ ხარკს და მეგობრობას ითხოვდნენ. აქაც იგივე პოლიტიკაა თავი მოაწონო დაპყრობილ ხალხს, რათა აჯანყების საშიშროება მოიცემა და მოახდინო მისი ასიმილაცია, ისევ და ისევ რელიგიის ხარჯზე. ამ იდეოლოგიის გამტარებელი თხზულებაში არის არაბი ამირა, რომელიც ყველანაირად ცდილობს აბო არ დასაჯოს და პირიქით, ათას სიკეთეს ჰპირდება რჯულის დათმობის სანაცვლოდ, ისევე როგორც სპარსმა ამირამაც იცის, რომ აბოს თუ დასჯის ის გმირად და წმინდანად იქნება შერაცხული, მისმა ხელქვეითებმაც კარგად უწყიან ეს: „ჩუენ ვიცით, რამეთუ ჩუეულებანი არს ქრისტიანეთაი ესრე სახედ: თუ ვინმე თავი მოიკლის ქრისტეს მათისათვის, მოიპარიან გუამი მისი და პატივ სციან დაფლვითა და ტყუვლით რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განსთქუმედ ერსა შორის. და ამით სახითა მრავალნი უცებნი შეიტყუვნიან. აწ ბრძანე გუამი მისი მოცემად ჩუენდა, რაითა განვიღოთ და დავეწუათ იგი ცეცხლითა და განვაქარვოთ იგი და აღვხოცოთ საცთური ქრისტიანეთაი. მაგრამ იძულებულია გაჯიუტებული აბო დასაჯოს, რათა ის არ გახდეს სხვისთვის მაგალითი. რაც შეეხება შინაურ მტერს, ის კონკრეტული სახით არ წარმოგვიდგება ამ ნაწარმოებში, მაგრამ ის ყველგანაა, ნერსეს დამბეზღებლებში, აბოს დამბეზღებლებში, ამირას მეგობრებში, ეს ის მტერია, რომლის გარეშეც უძღურია დამპყრობელი.

ქართველთა საუბედუროდ, ერთმანეთზე ბრახსაც ჩვენს ქვეყანაში თარეშით ინელებდნენ ბარბაროსი დამპყრობლები, ჯავრს ჩვენზე იყრიდნენ. ამის დასტურია, ის, რომ თბილისის ამირა საჰაკ ისმაილის ძე განუდგა თავის ხალიფას და იმის დასასჯელად მუტევაკკილ ხალიფამ წარმოგზავნა დიდი ჯარი ბულა თურქის მეთაურობით. ამ უკანასკნელმა მოკლა საჰაკი და 853 წლის 5 აგვისტოს თბილისი დაიწვა. (კეკელიძე კ. ბარამიძე ა. 1954 გვ. 91.)

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ დროს აფხაზეთის მეფე და მისი მხედრობა საჰაკს ემხრობოდა, ხოლო ბაგრატ კურაპალატი - ბულა თურქს. უეჭველია აფხაზთა მეფის ბანაკში ყოფილა ერისთავი - კონსტანტი კახი.

როგორი ბარბაროსი უნდა იყოს დამპყრობელი, რომ არც მოხუცს დაგიდევდეს და არც ჩვილს?! და, რადგანაც მტერს ხედავს მათში, ისე ექცევა, როგორც კბილებამდე აბჯარში ჩამჯდარ რაინდს, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ოთხმოცი წლის მოხუციც არ დაინდო მტერმა, შებორკა და თბილისს გაამგზავრა საპყრობილეში. ყვედრებით, კადნიერად შეხვდა ბულა: „ანუ არა უწყოდე შენ, რამეთუ განრინებად იყავ სივლტოლითა შენითა ხელთაგან ჩემთა, რამეთუ არავინ არს განდგომილთაგანი, რომელსაცა არა ვსძლე და არცა რომელი განემზადების წყობად ჩვენდა და არა ვერეოდეთ, რამეთუ აჰა ესერა, მოგვცნა თქვენ ღმერთმან დღესა ამას მოსასრველად ხელთა ჩვენთა.

მოხუცი შეკრეს „ფიცხელითა საკრველითა რკინისაითა“ და ბაბილონის ქალაქ სამარაში გაგზავნეს ისმაიტელთა მეფე ჯაფარ აბრაჰამის ძესთან. ოთხმოცი წლის ტყვე ღვთისმგმობელი არგუმენტებით გაჯერებული ულტიმატუმის წინაშე აღმოჩნდა და მტრის სახეც ცხადად გამოიკვეთა: „რამეთუ გონიერად გხედავ შენდა ვითარ აწ ლიტონსა კაცსა, დედაკაცისაგან შობილსა ღმერთად აღიარებ?“ „ვერ შესაძლებელ არს სიტყვად, ვითარ ძეი ესვა ღმერთსა“. პირობა ასეთი გახლდათ: თუ არ დაეთანმებოდა მოხუცი, მახვილით სიკვდილი ელოდა და ფრინველთა კერმად გახდომა. „აღბორგებული“ მტერი რწმენაში განმტკიცებულ მოხუცებულს „სცემდეს პირსა მისსა და მრავლითა ტანჯვითა სტანჯვიდეს მას“, რადგან „ვერ დააბრკოლეს მისი ენა მისი თავიც „იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავივით“ მიაართვეს უფროსს, საკუთარი ბუნების უკეთ წარმოსაჩენად გვამიც შეურაცხევს: „დამოჰკიდეს ძელსა ფრად მაღალსა“ (ქართული პროზა გვ. 152)

დამპყრობელი როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს მაინც მშიშარაა, იდეოლოგიური მტერი მისთვის ყველაზე მიუღებელია, ამიტომაცაა რომ 80 წლის მოხუცი მისთვის უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე კბილებამდე შეიარაღებული რაზმი, სწორედ მის მიერ ნალოლიავე იდეოლოგიას, რომელიც დაპყრობილი ქვეყნის მართვის საფუძველია, ემუქრება ისეთი ადამიანების არსებობა, როგორიც კონსტანტი-კახაა.

„დამოკიდეს ძელსა ფრიად მაღალსა“ მტერს ჰგონია, რომ დაამდაბლა, დაამცირა, დაამარცხა, ის ვერ ხვდება რომ იმ მაღალი ძელით, ასეთი ტანჯვით, მარტვილი ამაღლდა, მიუახლოვდა უფალს, მტერი ვერ ხვდება, რომ ეს სიმაღლე კონსტანტი კახის მისი სულიერი სრულყოფის ნიშანია, მისი უხრწელი გვირგვინის სიმბოლოა.

914 წელს საქართველოსა და სომხეთს შემოესია არაბთა სარდალი აბულ-კასიმი, რომელმაც საშინლად გაანადგურა ორივე ქვეყანა, ძელზე ჩამოჰკიდა სომეხთა მეფე სუმბატი და ალყა შემოარტყა ყველისციხეს, რომელშიც იმყოფებოდნენ აზნაურნი და ერთი მთავარი, **რომელსაც მიქელი ერქვა, ხოლო ზედნართულად გობრონი**, ის დაიჭირეს და მიჰგვარეს **აბულ-კასიმს**, რომელმაც მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა, გობრონის მტკიცე უარით განრისხებულმა აბულ-კასიმმა მას თავი მოჰკვეთა. ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენასა და შემოსეულ არაბთა ხასიათს გასაოცარი სიცხადით ხატავს სტეფანე მტბევერი თავის თხზულებაში **„გობრონის წამება“**:

„მოვიდეს და მოადგეს ციხესა მას ყველისასა, გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი. ამაზრზენია მომხდურთა ზნე: „ესე იყო ჩვეულებანი დადგრომისა მათისათა, ნათესავთა მათ სამაგელთა, უღმრთოთა, ფიცხლად მოისართა, რომელნი ჰამდეს ძაღლთა, თავგსა, კაცსა და ყოველსა არაწმიდასა...“

შემაძრწუნებელია არაბთა ველური ქცევა, მათი მხეცური ბუნება, მათი დამოკიდებულება უიარაღო, უდანაშაულო ყველის ციხიდან გამოყვანილი „ას ოცდაათცამეტი“ აზნაურის მიმართ: „რომელნიმე მახვილითა სცემდეს, რომელნიმე ჰოროლითა და ისრითა შესჩხვებდეს და დასჭრიდეს, ხორცთა მათთა დანებითა განაპებდეს. და ღვიძლები იგი მათი ვითარცა ძაღლთა, პირითა განეტაცა“ (ქართული **ქართული პროზა 164**)

რა თქმა უნდა, არაბთა პოლიტიკას არც ამჯერად ღალატობს ამირა და ნეტარი გობრონი რომ გადაიბიროს აურაცხელ ქონებას სთავაზობს იქნებ დაახარბოს, გააბრიყვოს: „მოგვე შენ, პალატი, კარვები, მონები, ტაძრები, აქლემები, საჭურველთა შვენიერთა სიმრავლეი და გყო შენ ვითარცა ერთი რჩეული. თვალთმაქცობაც სცადა: „საყვარელი შვილივით გასწავებო“- მიმართავს ჰყრობილს. ყველაფერთან ერთად ცდილობს გატეხოს გობრონის სიმტკიცე და გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის თვითმხილველი გახად: „სისხლი მათი ეკურებოდა მას, და რომელი გვამი დავარდის მის წინაშე და რომლისამე გვამი შეგორდის ქვეშე ფერხთა მისთა. და ესრეთ აღესრულნეს წამებანი მათ ყოველთანი საშინელებითა და ვერ შეაძრწუნეს გულნი მისნი“. ყოველივე ამის შემდეგ კიდევ არ ყრის ფარ-ხმალს ამირა და „სიტყვითა ლიქნისაითა“ კეთილისმყოფელივით არწმუნებს განუდგეს ქრისტეს რჯულს, შეჰყრობილს განკურნებასაც კი ჰპირდება გამორჩეული მკურნალებით, მაგრამ წმინდანის სიმშვიდემ და სიმტკიცემ მოთმინების ფიალა აუვსო მას - „წარიყვანეს და წარჰკვეთეს თავი მისი და დააგდეს მოკლულთა მათ თანა“ (ქართული **პროზა 166**)

მურვან ყრუს თარეშის ხანას ეკუთვნის უცნობი ავტორის თხზულება **„მარტვილობა დავითისა და კონსტანტინესი“**, რომლებიც ეწამნენ არაბთა მეორედ შემოსევისას (737-741) მურვან-ყრუს მიერ. ეს მარტვილობა გასაოცარი სიცხადით ხატავს მურვან-ყრუს ხასიათს, მის ბუნებას. როდესაც „ქრისტეს სახელი ფარად მიუჰყრა“ დავითმა მტერს და უკუაქცია, ფრიად მნიშვნელოვანია, ისიც, რომ იმ ფსალმუნს გალობდნენ ქრისტიანები, რომელსაც დავითი გალობდა გოლიათთან შებმის წინ, მაშინ ყრუმ **„პირსა თვისსა იკრნა ხელნი, თვისნი და თქვა, ვითარმედ: ვინ არს მკადრე, რომელმცა წინააღუდგა დიდსა მოციქულსა მუჰამედსა, დედის ძმასა ჩემსა? ესე თქვა და შეუზახა ყოველსავე სიმრავლესა წარმართთასა და წარმოემართნეს ვითარცა ქვიში სიმრავლითა და მოვიდეს ქვეყანად არგვეთისა და შეიცვეს ტყე და ველი და მთანი და ბორცვნი. და შეეწყვიდნეს ხელსა წარმართთასა ერნი ქრისტიანეთანნი, რამეთუ რომელნიმე ტყესა დაიმაღლნეს და რომელნიმე მოსრნეს.“**

საყურდღებოა, რომ ავტორი ბილწს უწოდებს დამპყრობელს: „მაშინ ვითარცა ეუწყა ბილწსა ყრუსა შეჰყრობაი წმიდათაი მათ(დავითისა და კონსტანტინესი), აღიტყველნა ხელნი და დიდად ადიდა დედის ძმაი თვისი მუჰამედ და რჯული მისი გამარჯვებისა მისთვის.“ (ქართული **პროზა გვ. 172**)

თხზულებაში ზედმიწევნითაა დახატული **მურვან-ყრუს** კადნიერება, ქრისტიანთა შეურაცხყოფა: „ვინანი ხართ თქვენ, ქვათა და ძელთა მსახურნი, რომელთა იკადრეთ წინაგანწყობაი ჩემი? ანუ არა იცითა ვითარმედ დიდისა მოციქულისა დისწული ვარ, ყველა მისი მცდელობის შემდეგ შეურყევლად იდგნენ შეჰყრობილნი. თავისი ჯარის სარდლობასაც კი შეჰპირდა: „გყო შენ სპასალარ და წინამძღვარ ყოველსავე ზედა ლაშქარსა ჩემსა“, წმინდანი კი კვლავ შეურყევლად იდგა მის წინ.

ყველა ბოროტესათან ერთად მურვან ყრუს სახით გაუგონარი ღვთისმგმობელი დახატა ჰაგიოგრაფმა: „ქრისტესთვის წერილ არს კურანსა ჩვენსა, რომელ არს ისე, რამეთუ წინაისწარმეტყველი იყო და კაცი მართალი, ძე მარიამისი, და იტყოდა თავსა თვისსა ძედ ღმრთისად, ამისთვის მოჰკლეს ჰურიათა ძელითა.“ ამ საბუთით, ყრუ ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი რჯულის უპირატესობა და მოედრიკა წმინდანთა სიკერპე. როდესაც მიხვდა, რომ უძლური იყო რწმენით განმტკიცებული უშიშარი ადამიანების წინ, მაშინ განრისხებულმა ურჯულომ უსასტიკესი ბრძანება გასცა: „ათ დღემდე არა

იხილონ გემოი არცა პურისაი, არცა წყლისაი და ყოველთა დღეთა სტანჯვიდენ მრავალფერითა ტანჯვითა უსვენებელად“. ამას კიდევ ისიც დაამატა უდმერთომ, რომ „მოგვნი“ და „მისანნი სპარსთაისა“ მიუზღავნა „წმიდათა მოწამეთა მათ“, რომლებიც ფარისევლობით ცდილობდნენ მათ შერყევას, და ვითომ მათი მოკეთენი იყვნენ, განურისხდნენ მწვალებლებს, ეს ფანდიც უშედეგო აღმოჩნდა, როგორც „დიდი საბოძვარი“ და „მრავალფერი ლიქნა“.

პიკს მიაღწია მტავრვალის მოთმინებამ, სასოებადაკარგულმა და გულისწყრომით აღვსილმა ასეთი განაჩენი გამოუტანა: „პირველად ტანჯნენ გვემითა უწყალოთა, ზეკიდებითა თავდამოქცევით, მერმე შეუკრნენ ხელნი და ფერხნი და ქედთა მათთა დაჰკრნენ ლოდნი მძიმენი და ესრეთ შთაყარნენ იგინი მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი“. რომელი მდინარე არ შეღებილა ქართველთა სისხლით და არც რიონი ყოფილა გამონაკლისი, ხმელზე ხომ „გამოიხვნა ციხენი და ქალაქნი და აღაოხრნა და უვალ და უკაცურ ყო ქვეყანაი მეგრელთა და აფხაზთაი“

უფალმა სასჯელი მოუვლინა გაუგონარ დამპყრობელს: ქუხილით, ელვითა და სეტყვით, სასტიკი წვიმებით დაუნგრია სადგომი. საოცარია ასეთი ულმოხელი დამპყრობლის სინანული: „და ვითარცა იხილა ესე ყოველი მურვან ყრუმ მოწვეწული მის ზედა, ფრიად აბრაღა თავსა თვისსა და განმზრახთა მისთა იწროსა და მალნარსა ამას ქვეყანასა მოსვლისათვის“. მის მიერ წამებულ წმინდანთა გვამები კი ნათობდნენ, როგორც „მზის თვალნი“, რომლებმაც იმ ეკლესიაში დაიმკვიდრეს სამუდამო განსასვენებელი, რომელიც „ყრუსა მურვანსა გამოეღო და აეოხრა და დაეწვა, და იყო უკაცურ და დარღვეულ ეკლესიაი“ (**ქართული პროზა გვ. 181**)

საყურადღებოდ შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, რომ მარტვილოლოგიური შრომები, მაჰმადიანთა აგრესიით გამოწვეული, ჩვენში წარმოიდგინეთ ე.წ. აღორძინების ხანაშიც იწერებოდა, ვინაიდან ქრისტიანულ საქართველოს მაჰმადიანთა ფანატიზმისაგან არასოდეს მოუსვენია.

- ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მიმოხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ეპოქის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებიც ძირითადად მარტვილობებს წარმოადგენს, „მტრის ხატი“ ერთი და იმავე კონოტაციის მატარებელია, ის ქრისტიანობის მტერია.
- მტერი ორსახოვანია შინაური და გარეული, თუმცა ერთმანეთის გარეშე ისინი არსებობას ვერ შეძლებდნენ, ამიტომ ისინი ერთ უბედურებად ქცეულან ქვეყნისათვის.
- მტრის იდეოლოგიაც ერთი და იმავე პოლიტიკას ატარებს, მოახდინოს დაპყრობილ ხალხზე ფსევდოჰუმანური და ფსევდო ლიბერალური შთაბეჭდილება, შეუქმნას მას პირობები რელიგიური ასიმილაციისათვის.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ურჩთა დასჯა არ არის მტრისთვის მოქმედების სასურველი ფორმა, ამიტომ ყველანაირ ფასად ცდილობს მათ მოსყიდვას, წამება უკიდურესი ფორმაა, რომელსაც მხოლოდ იმიტომ მიმართავს, რომ სხვასაც არ გაუჩნდეს ურჩობის სურვილი.
- ყველა ზემოთ დასახელებულ თხზულებაში მტერს სხვადასხვა სახელი ჰქვია, თუმცა მათი პოლიტიკა და იდეოლოგია თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ებრძვის მთავარს, სარწმუნოებას, რომელიც იმ ეპოქაშიც და კიდევ დიდხანს ეროვნული თვითმყოფადობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს.
- მტრის ხატი თითქმის ყველა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში პერსონიფიცირებულია ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ პერსონაჟში და წარმოადგენს მტრის საერთო სახეს.

#### ლიტერატურა:

1. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1954.
2. „ქართული პროზა“, წიგნი პირველი (მეხუთე მეთერთმეტე საუკუნეების მწერლობა), 1982.
3. ჯანაშია ს., შრომები V, 1987.
4. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, გამომცემლობა პალიტრა, 2012.
5. კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926.
6. „საქართველოს სამოთხე“ 2010.
7. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2005. 80-81 გვ.
8. სინას მთის ქართული ხელნაწერი N4; ივ. ჯავახიშვილი სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 166, (ეს ცნობა გამეორებულია ნინოს სვინაქსარში, რომელიც ჰელიშურ ვარიანტს შემოუნახავს)

*Neli Petriashvili*  
*Gori #12 Public School*

## THE PERSONIFICATION OF THE ENEMY ICON IN THE HAGIOGRAPHIC LITERATURE RESUME

In Georgian literature “an enemy image” is described in different ways. It can be the enemy of faith, homeland, humanity, moral values and etc. It should be noted that each writer has his own vision of this issue. There are different variations of the same „enemy image“ in different authors’ works.

The “enemy image” almost in all hagiographic works is personified in one or more concrete characters and it creates the common face of the enemy.

სოსო სიგუა

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### ელინოფილური კრიტიციზმი ქართულ მწერლობაში (XI საუკუნე)

X საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ აზროვნებაში ქრისტიანულ-ეთნიკურ მითოსს შეენაცვლა კრიტიციზმი, რაც გამოიწვია ბიზანტიური კულტურის ღრმად გაცნობამ, ბიზანტიური კულტურის წარმატებამ სხვადასხვა სფეროში.

ეს ტენდენცია ჩაისახა ათონის ივერთა მონასტერში.

ელინოფილი ქართველები ცდილობენ მაქსიმალურად აითვისონ ის, რაც ბერძნებს გაუკეთებიათ, ამოწმებენ არა მხოლოდ ქრისტიანული საგანძური, არამედ გადაწვდნენ ანტიკასაც, რადგან, როგორც შენიშნავს იოანე პეტრიწი სოკრატეს დამოწმებით – უმეცრებაზე უფრო საშიშელი სენი არ არსებობს.

როგორც ვთქვით, ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი (ზაგრატოვანთა დინასტიის ღვთაებრივი წარმომავლობა, ლეონტი მროველის ეთნარქების ლეგენდა, მარიამ ღვთისმშობლის, წმ. ნინოს, წმ. გიორგის კულტი, ქართული ენის მესიანისტური წარმოდგენა) განამტკიცებდა ნაციონალურ სიამაყეს, ხელს უწყობდა კულტურულ შეკავშირებას. მაგრამ შემდგომი თაობის მწიგნობრები, როცა კარგად გაეცნენ ბიზანტიელ მოაზროვნეებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ ათონის მთაზე, შავ მთაზე, პეტრიწონში ან სწავლობდნენ მანგანის აკადემიაში – დარწმუნებდნენ, რომ ქართველებს ბევრი რამ აკლდათ.

საჭირო იყო ამ დანაკლისის შევსება, დაუცხრომელი მთარგმნელობითი მუშაობა, ინტელექტუალური თვალსაწიერის გავრცობა.

ამჯერადაც უცხოეთის ძალა და გამოცდილება გახდა სტიმულის მომცემი.

იოანე ათონელი ეუბნება თავის ვაჟს, ექვთიმეს:

„ქართლისა ქვეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან“.

ექვთიმე ცდილობდა, რომ ყველაფერი მოესწრო. ეს სიჩქარე, ეს სისწრაფე მოითხოვდა ტექსტების შემოკლება-შემატებას, თავისუფალ მოპყრობას, რაც უკვე აღარ მოსწონდათ გიორგი ათონელს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს.

ისინი არჩევდნენ მაქსიმალურ სიზუსტეს, მთავარი სააზროვნო მომენტების გათვალისწინებას. ამიტომ თარგმნიდა ეფრემ მცირე ფსევდო-დიონისე არეოპაგელს, იოანე დამასკელს, არსენ იყალთოელი – „დიდ სჯულისკანონს“, იოანე პეტრიწი – პროკლე დიადოხოსს, ნემესიოს ემესელს, გიორგი ათონელი სრულყოფდა ბიბლიურ და საგალობელთა ტექსტებს, თითქმის ყველაფერს თავიდან იწყებდნენ.

კრიტიციზმის გამოხატულება იყო ის, რომ ეფრემ მცირე ქართულ ენას „ლიტონსა“ და „ჩჩვილს“ უწოდებდა, იოანე პეტრიწი „მდაბრიონთა ენას“ წვრთნიდა ნეოლოგიზმებითა და რთული სინტაქსით, ბერძნული კალკირებული კონსტრუქციებით (შდრ – XX საუკუნეში ახალგაზრდა მოდერნისტების მიერ ევროპის აპოლოგია და ქართული კლასიკის კრიტიკა).

ასე ცდილობდა დაედგინა ქართული ენის „დუხჭირობა“. ეფრემ მცირე წერდა: „ხოლო მე ამისათვის დავშუერ, ენამცა ქართული ბერძულისადა მიმეყვანა“. ამ ტენდენციას აძლიერებდა ჰაგიოგრაფიული ტექსტების მეტაფრასირების რთული სტილი და ჰიმნების ასევე რთული მეტრულ-რიტმული კონფიგურაცია.

კონსტანტინეპოლში განსწავლული ბასილ ვაჩეს ძე, ეფრემ მცირის უმცროსი ძმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1090-1100 წლებში, შენიშნავდა: „ნათესავი ქართველთა არს მარტივ და ამასთან ლიტონიცა“ (ვ. კეკელიძე); ხოლო დავითის მემკვიდრე იტყვის: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა“, ე.ი. ქართველობას აკლდა განათლება და ერთგულების გრძნობაც.

ასეთსავე კრიტიციზმს ამჟღავნებდა კიდევ ერთი კათალიკოს-პატრიარქი, გიორგი III-ის პერიოდის მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერის ძე – „უმძვინვარესნი და უველურესნი“ იყვნენ ჩვენი ნათესავები და ამიტომ მოავლინა უფალმა სუსტი ქალი, რათა ჩვენი ქედფიცხელობა დაეცხრო.

ბერძნებს ღმერთმა ენამჭევრობისა და ფილოსოფოსობის ნიჭი მისცა, ქართველებს – მარტივი გონება, სიწრფელე და უმანკოება.

საჭიროა ამ მონაცემთა გააზრება, როცა ამტკიცებენ, რომ ქართული ანბანი და მწერლობა წარმოიშვა ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე.

გიორგი მცირის სიტყვით, „ნაკლულევანებად ენისა ჩუენისაჲ“ შეუვსია ექვთიმე ათონელს, რადგან „ბარბაროზ წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათვის და უმეცრებისათვის ჩუენისა“.

ეს არ იყო ნიჰილიზმი, ეროვნულ ღირსებათა უარყოფა და უცხოურით გატაცება, მორჩილება ბიზანტიური კულტურისადმი, არამედ – რეალური ამაღლების სურვილი.

ექვი და მიება, გაცნობა და დაძლევა მიდიოდა ჭეშმარიტების პრობლემამდე. ამიტომ მოაზროვნენი იხედებოდნენ ქრისტიანული თეოლოგიის მიღმა – ნეოპლატონიზმისა და ანტიკური კულტურისაკენ (შ. ნუცუბიძე).

ცოდნის უარყოფა და ბრმა რწმენა კრიტიციზმით შეპყრობილს, ცხადია, მიუღებლად მიაჩნდა.

მანგანის აკადემიის მესვეურებს, იქ განათლებამიღებულ ახალგაზრდებს დევნიად ექნებოდათ იოანე დამასკელის სიტყვა:

„არაა საჭირო ანტიკური ფილოსოფიური მოძღვრების უგულვებელყოფა. იქნება მათთანაც ვიპოვოთ რაიმე გამოსადეგი და შევიძინოთ რაიმე სულის სარგებელი“.

ამგვარ მითითებათა მიხედვით ქართველმა ელინოფილებმა შეძლეს ქართული კულტურის, ენისა და სტილის, ცოდნისა და აზროვნების უნივერსალიზება.

### *Soso Sigua*

*Gori State Teaching University*

## **HELLENOPHILE CRITICISM IN THE GEORGIAN LITERATURE (XI CENTURY)**

### **RESUME**

In the 11<sup>th</sup> Century parallel to the ethnic Christian myth, in Georgian thinking Hellenophile criticism was formed, which meant at critical attitude towards past and full assimilation of Byzantine Culture. (ref.: George Atoneli, Ephrem Mtsire, Ansen Ikalteli, Ioane Petritsi)

## გალაკტიონ ტაბიძის „ინიესა“ და ლეგენდა ინეს დე კასტროს შესახებ

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, გარდა სხვა არაერთი თავისებურებისა, ნაწარმოებებში დასახელებულ პიროვნებათა სიუჟეტითაც გამოირჩევა: აქ ერთმანეთის გვერდით არიან წარმოდგენილი ისტორიული პირობები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, სხვა ავტორთა თხზულებების მოქმედი გმირები თუ გალაკტიონის მიერ გამოგონილი პერსონაჟები. პოეტის ნაწარმოებების შინაარსის გასაგებად და, მით უფრო, გასაანალიზებლად, აუცილებელია იმ პიროვნების ვინაობის დაზუსტება, რომელიც ტექსტშია დასახელებული. ამგვარი ინფორმაცია, როგორც წესი, აკადემიურ გამოცემაში, კონკრეტული ლექსის კომენტარებში უნდა იყოს წარმოდგენილი, თუმცა, პოეტის თხზულებათა თორმეტტომეულში ამ ასპექტით არაერთი უზუსტობა და ხარვეზია, რაც, თავის მხრივ, ტექსტის სწორ ინტერპრეტაციას ხელს უშლის.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ახალ აკადემიურ თხუთმეტტომეულზე მუშაობისას გაირკვა და დაზუსტდა პოეტის ამა თუ იმ ნაწარმოებში ნახსენებ პიროვნებათა ვინაობა; არცთუ იშვიათად, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კვლევისას გალაკტიონის ლექსის შთაგონების უცნობი წყარო გამოვლინდა.

სწორედ ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევას ეძღვნება ჩვენი მოხსენება.

\* \* \*

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი - „ინიესა“ პირველად 1927 წლის „რჩეულში“ დაიბეჭდა. პოეტმა იგი 1917 წლით დაათარილა, თუმცა, პირველი პუბლიკაციის დროს თუ გავითვალისწინებთ, ნაწარმოები უფრო 20-იან წლებში უნდა იყოს შექმნილი.

გავეცნოთ ლექსს:

### ინიესა

ინიესა ისე შუქს არავის ჰფენს,  
ვით ახალ კუბელს და ძველ კამოენსს,  
მათ არაერთხელ აღმოხდათ კენესა,  
ინიესა, ინიესა.

ეხლა მარტოდენ მკრთალი ჩრდილია,  
იგი ვედრება და კასტილია;  
ოდეს იმ მზიურ ვედრებად ჩანდა  
კარად ინფანტა.

დრონი იცვალნენ, გული კი დღესაც  
იმ სიმღერასთან გადაზრდილია,  
ინიესა, ინიესა.

ავტოგრაფში ტექსტს სათაურად აქვს „ინიესა დე კასტრო“, ხოლო ქვესათაურად – „ლეგენდა“. აშკარაა, რომ ნაწარმოების ადრესატია ისტორიული პიროვნება, პორტუგალიის მეფის - დონ პედრუს მეუღლე ინეს დე კასტრო.

კასტილიელი დიდგვაროვანის - ინეს დე კასტროსა და პორტუგალიელი უფლისწულის დონ პედრუს სიყვარულის ამბავმა, მსოფლიო მასშტაბით, არაერთი ხელოვანი შთააგონა. მათ შორის უნდა ვიგულოთ „ინიესას“ ქართველი ავტორიც.

ევროპაში გავრცელებულ, ლეგენდადქცეულ ამბავს გალაკტიონი, დიდი ალბათობით, უნდა გასცნობოდა რუსი მწერლისა და მთარგმნელის – ტატიანა შჩეპკინა-კუპერნიკის წიგნში „თქმულებები სიყვარულზე“ („Сказания о любви“. М., 1910), სადაც ეს ტრაგიკული ისტორია ნოველის სახით არის წარმოდგენილი.

კასტილიელ დიდგვაროვანთა შთამომავალი - ინეს დე კასტრო საიდუმლოდ იყო დაქორწინებული პორტუგალიის სამეფოს უფლისწულზე - დონ პედრუზე, ვისაც კანონიერ, უკვე გარდაცვლილ ცოლთან

ჰყავდა ვაჟი - ტახტის ოფიციალური მემკვიდრე. სამეფო საბჭო და მეფე აფონსუ IV შიშობდნენ, რომ პედრუსა და ინეს დე კასტროს საერთო ოთხი შვილიდან რომელიმე ერთ დღეს ქვეყნის მართვას მოინდომებდა და კანონიერ მემკვიდრეს ტახტს შეეცდილებოდა. ამ და სხვა მიზეზების გამო მრჩეველთა საბჭომ ინეს დე კასტრო სიკვდილით დასაჯა.

საყვარელი ქალის აღსასრულმა უფლისწული სრულიად შეცვალა, იგი მამის - მეფის მოწინააღმდეგედ იქცა და ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. აფონსუ მალევე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა უფლისწული პედრუ. მან გამოაცხადა, რომ მალე ხალხს თავის ახალ მეუღლეს, პორტუგალიის ახალ დედოფალს წარუდგენდა. ლეგენდის თანახმად, პედრუ პირველის ბრძანებით, ინეს დე კასტროს სხეული საფლავიდან ამოიღეს, სადედოფლოდ მორთეს, გვირგვინით შეამკეს და ტახტზე დასვეს; მეფის სურვილის შესაბამისად, დიდებულებმა „ახალი დედოფლისადმი“ პატივისცემა ხელზე კოცნით გამოხატეს. ასე შეასრულა პედრუ პირველმა საყვარელი ქალისადმი მიცემული დაპირება - ინეს დე კასტრო პორტუგალიის კანონიერ დედოფლად აქცია.

დავუბრუნდეთ გალაკტიონის ლექსს. ნაწარმოების დასაწყისში პოეტი ასახელებს ორ ხელოვანს - „ახალ კუბელს“ და „ძველ კამოენსს“ და პორტუგალიის დედოფლისადმი მათ თანაღმობაზე, განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მიანიშნებს. ეს მინიშნება კიდევ უფრო დაკონკრეტებულია ლექსის ავტოგრაფში:

ინიესა ირგვლივ ლეგენდებსა ფენს,  
არაერთს აღრჩობს სიბრაზის კენესა...  
**იგი უყვარდათ კუბელსს, კამოენსს...**  
ინიესა - ისმის ყველგან - ინიესა.

...  
მარად ოცნებას, ამღერებას და ლეგენდებს ფენს,  
**ქალი, რომელიც აწვალებდა კუბელსს, კამოენსს...**

აკადემიური თორმეტომეულის მეორე ტომში „ინიესას“ ამგვარი კომენტარი ახლავს: „კუბელსი - პორტუგალიელი პოეტი“; „კამოენსი ლუისი (1524-1580) - დიდი პორტუგალიელი პოეტი“. როგორც ვხედავთ, კომენტარში მხოლოდ ლექსში ნახსენებ პირთა ვინაობაა მითითებული, ისე რომ არაფერია ნათქვამი, რა აკავშირებთ კუბელსსა და კამოენსს ინეს დე კასტროსთან. არადა, ავტოგრაფსა და ნაბეჭდ ტექსტში ხომ ამ პიროვნებათა დედოფლისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზეა მინიშნება?!

დავიწყეთ კუბელსით, რომელიც კომენტარში სახელის გარეშეა წარმოდგენილი, აქ მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ კუბელსი პორტუგალიელი პოეტია. სინამდვილეში, როგორც ძიებისას გაირკვა, გალაკტიონის ლექსში დასახელებული პიროვნება არის არა პორტუგალიელი პოეტი, არამედ - უნდა იყოს ესპანელი მხატვარი - **სალვადორ მარტინეს კუბელსი (1845-1914)**, ვინც ინეს დე კასტროსთან დაკავშირებული ლეგენდის სულისშემძვრელი ეპიზოდი სახელგანთქმულ ტილოზე გააცოცხლა: ესაა სცენა, რომელზეც მეფე პედრუ პირველის გვერდით ტახტზე სადედოფლოდ მორთული გარდაცვლილი ქალის სხეულია გამოსახული, დიდებულები კი მოთმინებით ელიან ახალი დედოფლის ვინაობის გაგებას.

„ძველი კამოენსი“ კომენტარში სწორად არის განმარტებული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არაფერია ნათქვამი, რატომ ჰფენდა შუქს ინეს დე კასტრო დიდ პორტუგალიელ პოეტს.

გვიანი რენესანსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის - ლუის დე კამოენსის 1572 წელს გამოქვეყნებული ჰეროიკული პოემის - „ლუზიადების“ - მესამე სიმღერაში (118-137 სტროფები), რომელიც ამ თხზულების ყველაზე ცნობილი, ლირიკული ეპიზოდია, ავტორი თანაგრძნობით გადმოგვცემს ინეს დე კასტროს და პედრუს განუმეორებელი, ამაღლებელი სიყვარულის ამბავს.

როდესაც გალაკტიონის „ინიესა“ იწერებოდა, „ლუზიადები“ ქართულად არ იყო ნათარგმნი (კამოენსის პოემა ქართულად ოცდამეერთე საუკუნეში ითარგმნა. მთარგმნელი: ჯემალ ინჯია), ამ დროისათვის არც პოემის რუსული, სრული პოეტური თარგმანი არსებობდა. კონკრეტული წყაროს ძიებისას გაირკვა, რომ რომ გალაკტიონ ტაბიძის პირად ბიბლიოთეკაში დღემდე ინახება გერმანელი ლიტერატორის - იოჰანეს შერის „ლიტერატურის საყოველთაო ისტორია“ (Шерр, И. Всеобщая история литературы, Т. 1-2., Санкт-Петербург, 1879-1880). აქ ამაღლებულად არის გადმოცემული ლუის დე კამოენსის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ცხოვრების გზა; გარდა ამისა, ამავე წიგნში წარმოდგენილი და განმარტებულია „ლუზიადების“ შინაარსი.

იოჰანეს შერი საგანგებოდ საუბრობს კამოენსის პოემის იმ პასაჟზე, რომელიც ინეს დე კასტროს ეძღვნება, ხოლო ტატიანა შჩეპკინა-კუპერნიკის ზემოთ დასახელებულ ნოველას - „ინესა დი კასტრო“ - ეპიგრაფად უძღვის სტრიქონი „ლუზიადებიდან“: „Ты, которая, после своей смерти стала королевой“ („შენ, რომელიც სიკვდილის შემდეგ დედოფალი გახდი“).

გალაკტიონის ინტერესი სიყვარულისა და ერთგულების ამ განუმეორებელი ისტორიისადმი, შესაძლოა, მხოლოდ თემა არ იყოს ლექსისათვის, ნაწარმოების წერისას, იქნებ, პოეტს კონკრეტული პიროვნული იმპულსებიც ჰქონდა, თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა...

დასასრულს უნდა ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძის „ინესა“ უთუოდ დაამშვენებდა მსოფლიო „ინესიანას“ - ინეს დე კასტროს თემაზე შექმნილი ნაწარმოებების ვრცელ, მრავალფეროვან ბიბლიოგრაფიას.

*Natia Sikharulidze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Research Center of Galaktioni*

## **GALAKTION TABIDZE'S POEM „INESA“ AND THE LEGEND ABOUT INES DE CASTRO RESUME**

„Inesa“, a poem by Galaktion Tabidze is analyzed in the article. This poem is included in the second of the 12 volume scholarly edition of Galaktion Tabidze's works.

Having studied Galaktion Tabidze's „Ines“ we found out that the information provided for readers in the editors' commentary of the scholarly edition was inaccurate.

A recent study of Galaktion Tabidze's „Inesa“ yielded several interesting facts. The poem was inspired by the creative spark the poet received while reading the well known legend about Ines de Castro. This legend is told in the famous epic poem „Lusiadas“ by Luis Vaz de Camoes, who is mentioned in the text of Galaktion's „Inesa“.

Cubells, also mentioned in Galaktion's poem is not portugalian poet. This person must be Salvador Martinez Cubells the famous Spanish painter, the author of famous canvas „Ines de Castro“.

**მარინე ცერცვაძე**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### **საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის სამეგობრო ხიდის საკითხი ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში**

საქართველო-ჩრდილოეთ - კავკასიის მთიელთა შორის სამეგობრო ხიდის გადგმა არაერთი ქართველი მოღვაწის ზრუნვის საგანია. საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა დიდად იყო და არის განპირობებული იმ პოზიციით, რომელსაც ჩრდილო კავკასია აირჩევს მის მიმართ. ეს მტკივნეული საკითხი, სხვადასხვა ასპექტით, ხშირად აისახება ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა - „იანანამ რა ჰქმნა?“ მთლიანად ამ პრობლემას ეძღვნება და მოგვითხრობს ერთი ქართველი დიდებულის ოჯახის ტრაგედიაზე, რომელსაც ორმა „ბაჯაჯღანა ლეკმა“ ერთადერთი ქალიშვილი მოსტაცა და ლეკთა ნაიბს მიაყიდა. ასეთი ტრაგედიები საუკუნეთა განმავლობაში არ აკლდა ქართულ ოჯახებს და არც ზურაბ ქართველადის ტკივილია პირველი და უკანასკნელი. ამ მოთხრობაში, ვფიქრობთ, იაკობ გოგებაშვილი ასეთი აზრისაა: რომ ლეკები დიდ ზიანს აყენებენ ქართველებს, ფაქტია და მას ვერსად გავუქცევით, მაგრამ აქ კარგად ჩანს მცდელობა ქართველ თავადისა და ლეკი ნაიბისა - გასდონ სამეგობრო ხიდი, რადგან, როგორც ნიკო ნიკოლაძეც წერდა 1895 წელს: „დღეს, გვინდა თუ არა, სულ ერთია, მეზობლები უნდა ვიყვნეთო ერთმანეთისა, ერთი და იმავე ჭაპანის მწვევლნი... მეტი საშველი არავისა გვაქვს.... თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება ცხოვრება იყოს და არა უგუნური წეწვა-გლეჯვა ერთმანეთისა, ვინ იცის, ვის სასარგებლოდ“ [3, გვ. 222]

როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში „ალექსანდრე ორბელიანი“, კარგად აღწერს შამილის გაცეზას, მიიღებს რა ალ. ორბელიანის სამეგობრო წერილს და არ სჯერა, რომ ერთი ორბელიანი (გრიგოლი) სამკვდრო - სასიცოცხლოდ ებრძვის, მეორე კი, მეგობრობას სთავაზობს.



განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი ეროვნული ემიგრაციის აზრი ამ საკითხის შესახებ. შევეცდებით, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, მოკლედ მიმოვიხილოთ რამდენიმე მათგანის აზრი ამ საკითხის შესახებ დაფიქსირებული ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ტექსტებში.

„მითხარ შენდობა... ჩემს მხარესა, ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა...“

სოქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე: ძვლებიც კი ჰფიქრობს საქართველოზე“.

კოკი დადიანის ეპიტაფიის „ეს სიტყვები, ალბათ, ყველაზე უფრო მჭერმეტყველურად გამოხატავს სამშობლოდან მოწყვეტილი და ბედის უკუღმართობით უცხოეთის ცის ქვეშ მოხვედრილი ქართული ეროვნული ემიგრაციის ტრაგიკულ სვეს“ [4, გვ. 67]. გურამ შარაძეს მიაჩნია, სხვაც რომ არაფერი დაეწერა ნიკოლოზ დადიანს, ამ სტროფის ბოლო სტრიქონი უკდავყოფდაო სამუდამოდ ქართული ემიგრანტული კულტურის ისტორიაში. იმ სვეგამწარებულ ქართველთა შორის, რომლებმაც ემიგრაციაში დალიეს სული, ზემოთ აღნიშნული სტრიქონები, ალბათ, ყველაზე მეტად ქაქუცა ჩოლოყაშვილს მიესადაგება, იმ ქაქუცას, რომელიც 1921 წლის 17 მარტს არ გაჰყვა ნოე ჟორდანიასთან ერთად იტალიურ გემს, არამედ დარჩა საქართველოში და თავის მიერ შექმნილ მცირე ჯგუფთან „საქართველოს შეთქმულები“, იწყებს წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზებას.

თუ დღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი კარგად არის ცნობილი, 1991 წელს, როცა გამოდის გურამ შარაძის წიგნი „უცხოეთის ცის ქვეშ“ (წიგნი I), მის შესახებ ასე წერია: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერთი იმათგანია, ვისი სახელი ლეგენდასავით გავიდა ხალხში. ამ ლეგენდას კვლავ ახალი ემატება, რისი მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მის სახელს დღემდე ტაბუ აქვს დადებული“ [4, გვ. 155].

1921 წლიდან - 1991 წლამდე, ბევრი რამ შეიცვალა, ტაბუს მოხსნა კი გაძნელდა. მას და მის შეფიცულებს არ ახსენებდნენ და ერიდებოდნენ როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოს პირველი რესპუბლიკის მაღალჩინოსნები: „ჩვენ მათ სამინლად ვძულდით. აი, საიდან მოდიოდა ბრძანებები, ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო მერე მარსელში, რომ რაზმელები როგორმე არ შემოვეშვით საფრანგეთში“ [4, გვ. 383]. ვიკითხავთ - რატომ? ამის ახსნა მარტივია: „ეროვნული მრწამსი გაქვს? ყოველთვის მიუღებლად დარჩები სოციალ- დემოკრატთათვის“ [4, გვ. 384] და, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლებისთვისაც. მაგრამ არის ემიგრანტთა ერთი ჯგუფი, სამწუხაროდ, ისინი მაინცდამაინც ბევრნი არ ყოფილან და არც შესაფერისი შეძლება აქვთ დასახმარებლად, მაინც ეხმარებიან შეფიცულებს და უმსუბუქებენ ემიგრაციის მძიმე წლებს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ „ჟორდანიას მთავრობას ერთი ფრანკიც არ დაუხარჯავს შეფიცულებზე“ [4, გვ. 384].

გურამ შარაძე ფიქრობს, რომ მაშინ, როცა მწირია ისტორიული დოკუმენტები „ხევსურეთის აჯანყების“ შესახებ, იმ აჯანყებისა, რომელიც იწყებს ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიას ძალით თავსმოხვეული საბჭოთა ხელისუფლების დასამხოზად, შედარებით უხვადაა მოგონებები; ემიგრანტული ჟურნალი „სამშობლო“ მდიდარ მასალას იძლევა მთიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნის საკითხზე, რათა „გამთლიანებული ძალებით შემოდნენ წითელი რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიას საბრძოლველად და დამოუკიდებლობის აღსადგენად“ [3, გვ. 221]. აქვე ვხვდებით ცნობას: „შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ჩოლოყაშვილს დროებით უნდა შეენელებინა თავისი მოქმედება. ამით ისარგებლა მან და ჩაჩანში გადავიდა, რათა ჩრდილო კავკასიის მთიელებთან კავშირი გაეზა“ [3, გვ. 321]. ამ კავშირის შესახებ აღარაფერია თქმული, მხოლოდ ის წერია, რომ ღვინობისთვის ქაქუცა ისევ საქართველოში დაბრუნდა. ამკარაა, რომ ქაქუცას იქ თანამოაზრეები ეგულება. საბჭოთა რუსეთი ებრძვის ქაქუცა ჩოლოყაშვილის მომხრეებს „მთელი კავკასიის სივრციდან შემოკრებილი საუკეთესო ძალებით, მაგრამ ანგარიში არას ამბობს მათ სასარგებლოდ“ [3, გვ. 330]. თავის მხრივ, აჯანყებულთა სამხედრო ცენტრიც კატეგორიულად ადგენს - საერთო აჯანყება და ბრძოლა კავკასიის მასშტაბით.

საინტერესოა ამავე ჟურნალში დაბეჭდილი დავით ვაჩნაძის წერილი „კავკასიის კონფედერაცია“ და ნაშრომი „1922 წლის აჯანყება ხევსურეთში“, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ რატომ არის ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსვლები „ხევსურეთის აჯანყების“ სახელით ცნობილი.

„თავგაღუნული, დაღვრემილი“ - ასეთი ისმენს როსტომ მუსხელიშვილი დავით ვაჩნაძის მონაყოლს იმის შესახებ, რომ „ინტერპარტიული კომიტეტის უმრავლესობა წინააღმდეგია ჩოლოყაშვილის შეიარაღებული გამოსვლებისა“ [2, გვ. 540] და არც საზღვარგარეთ მყოფი მთავრობა არ ეხმარება მას, ხოლო კითხვაზე - „მამ ვინ შველის ჩოლოყაშვილს!“ პასუხი ასეთია - ქაქუცას ეხმარება ხალხი, ქართველი ხალხი, მთელი ქართული საზოგადოება თბილისიდან და „ის პოლიტიკური ქართველობა, რომელიც არ იზიარებს პოლიტიკური მეთაურის ამ გაუბედავ პოზიციას“; თუმცა, ყველამ კარგად იცის, რომ ეს წვეთია მოთხოვნილებების ზღვაში. დაღონებული და შეწუხებული კი იმიტომაცა როსტომ მუსხელიშვილი, რომ კარგად იცის - ქართველები

შეიარაღებულ ბრძოლას მაინც ვერ გაექცევინ, აჯანყება მაინც მოხდება და თუ ქართველი ხალხი გაერთიანდება კავკასიაში მყოფი ჯერ კიდევ მცირე ჯარის წინააღმდეგ, გამარჯვებაც მას დარჩება, რადგან აჯანყების სწორი ორგანიზების და წარმართვის შემთხვევაში, კავკასიაში მყოფი წითელი ჯარი განწირულია. ვინ, თუ არა როსტომ მუსხელიშვილმა იცის ეს კარგად, რადგან მას აბარია ჯარის დისლოკაცია და „ჩემს ხელშია ჯარების გადაწევა - გადმოწევის აპარატი ამიერკავკასიის ფარგლებში, ამდენად საშიშია არა ადგილობრივი გარნიზონები, რომლებიც ბოლო დროს სულ გაძლიერებას მოითხოვენ, არამედ ქართული პოლიტიკური წრეების შეუთანხმებლობა“ [2, გვ. 542].

მაგრამ, ჩვენ უფრო მეტად გვაინტერესებს, თუ რატომ არის აჯანყება „ხევსურეთის აჯანყების“ სახელით ცნობილი? როსტომ მუსხელიშვილი, მიაჩნია გურამ შარაძეს, არ არის უბრალო გულშემატკივარი, რომელიც შორიდან უყურებს აჯანყების შესაძლებლობას და მხოლოდ კითხვებით ამოწურავს თავის როლს. მას შემუშავებული ჰქონდა საკუთარი გეგმა აჯანყებისა, რომლის მიხედვით „აჯანყება უნდა დაჰყრდნობოდა თავის ისტორიულ გზას - ხევსურეთის გზა-სიმაგრეებს“. ეს მარტო იმით კი არ იყო განპირობებული, რომ ხევსურეთი მოდარაჯეა საქართველოს სამხედრო გზისა და იცავდა თბილისს, ის ასევე „საქართველო - ჩრდილო-კავკასიის მთიელთა შორის საკავშირო ხიდათ იყო გადებული“ [2, გვ. 543]. წინდახედულმა და ნიჭიერმა ქართველმა მხედარმა, ( როგორც მას გურამ შარაძე უწოდებს) როსტომ მუსხელიშვილმა შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ საქართველოს აჯანყება უნდა დაჰყრდნობოდა ხევსურეთის მაგარ მთა-სიმაგრეებს, გაითვალისწინა რა მათი მდებარეობის განსაკუთრებული თვისებანი. გამარჯვების შემთხვევაში კი თბილისის აღებას და რუსული ჯარის განადგურებას თან მოჰყვებოდა „საქართველოს და მთელ უკვე უჯარო ამიერკავკასიის ერთდროული განთავისუფლება. ზურგ-გამაგრებული ჩრდილო-კავკასიის მთიელებიც ადვილად და სწრაფად იხსნიდნენ თავს მოსკოვის უღელისაგან“ [2, გვ. 545]. ამ ციტატის მოტანა იმიტომ დაგვჭირდა, რომ დავინახოთ, როგორ ხდებოდა შესაძლებელი მთელი ამიერკავკასიის განთავისუფლება. მაგრამ, საუბედუროდ, ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც გათვლილი იყო. 1922 წლის აჯანყება დამარცხდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მცირე რაზმით ალყა გაარღვია და საფრანგეთს შეაფარა თავი, როსტომ მუსხელიშვილის სიკვდილის განაჩენში კი ეწერა: „...დუშეთის ამბოხების დროს რაზმის შტაბის უფროსის თანამდებობაზე კავშირი ჰქონდა ბანდიტებთან და ხელმძღვანელობდა მათ“ [2, გვ. 552].

არ შეიძლება არ აღინიშნოს „ერთი ჟურნალ - გაზეთის ერთი ავტორ - თანამშრომელი“ [3, გვ. 375] - ჟურნალ „ადამიანოსანის“ და გაზეთ „მუზარადის“ რედაქტორი, ავტორი და თანამშრომელი ინდო ინასარი, იგივე ნიკოლოზ ინასარიძე. იგი იმპრესიონისტული მიმდინარეობის წარმომადგენლად ითვლება, „ცდილობს ჩაწვდეს ქართული სიტყვის იდუმალებას“, ამიტომ მისი ნაწერების კითხვისას მთავარია სიტყვის მდინარება და არა ინტრიგა. ნაშრომის ფორმატი არ ითვალისწინებს ინდო ინასარის შემოქმედების განხილვას. ჩვენთვის იმიტომ გახდა საინტერესო მის მიერ ემიგრაციაში გამოცემული ჟურნალი „ადამიანოსანი“, რომ მასში დაიბეჭდა „კავკასიელ ადამიანოსნობის მანიფესტი“. გ. შარაძეს უჭირს თქმა: „ის პოლიტიკური პროგრამაა თუ მწერლის ჰუმანისტური დეკლარაცია“, ასევე ძნელდება გამიჯნო, სად იწყება იგი, როგორც პოლიტიკოსი და სად მთავრდება, როგორც მწერალი. ინდო ინასარს შემუშავებული აქვს „კავკასიის გაერთიანების იდეა“, რომლის ტექსტსაც მთლიანად ბეჭდავს გურამ შარაძე „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის“ მეხუთე ტომში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ლიტერატურული ტექსტი არაფერს მატებს არც მხატვრულ ლიტერატურას, არც საქართველო-ჩრდილო-კავკასიის მეგობრობას.

ზვიად გამსახურდიამ, როგორც მწერალმა და პუბლიცისტმა და როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, კარგად იცის, რომ კავკასიაში მცხოვრები ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრების საკითხები ადგილზე, ამ ხალხთა შორის უნდა გადაწყდეს, ამისათვის კი საჭიროა კავკასიელ ხალხთა შორის დიალოგი, რათა ერთობლივად შეიმუშაონ მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა, რადგან ალ. ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან კარგად ჩანს, რომ ამ ხალხებს შორის მეგობრობას და კავკასიურ რაინდობას მუდამ თან სდევდა რელიგიური ფანატიზმი და შეუწყნარებლობა. ეს ფაქტორი არ არის მათ შორის დაუსრულებელი შუღლის მიზეზი, რადგან „რად გვავიწყდება, რომ თვით ქართველთა ნახევარზე მეტი მუსულმანური სარწმუნოების მიმდევარია, რა ვქნათ გავწიროთ და მოვიკვეთოთ ისინი?“ რაც შეეხება ზ. გამსახურდიას პოლიტიკურ კრედოს, ასეთია: „ჩვენი მიზანი იქნება კავკასიის კონსოლიდაცია, მისი გათავისუფლება იმპერიათა მარწუხებისაგან და დაფუძნება მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა ოჯახში“ [6, გვ. 3].

ასე ასახავს საქართველოს ისტორიის ამ მტკივნეული საკითხს ქართული ლიტერატურის რამდენიმე წარმომადგენელი; საკითხს, რომელიც დღესაც უმწვავესია და სწორ გადაწყვეტას საჭიროებს.

### ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი იაკობ, საგანძური, თბ., 1986.
2. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003.
3. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ., 2004.
4. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბ., 2005.
5. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბ., 1991.

*Marine Tsertsvadze*

*Gori State Teaching University*

## **GEORGIA AS A FRIENDSHIP BRIDGE AMONG THE NORTH-CAUCASUS HIGHLANDERS IN THE GEORGIAN LITERATURE TEXTS RESUME**

Many Georgian scientists try to maintain friendship between Georgia and North Caucasian people. We often meet this question discussed in Georgian Literature. This issue is really hard and requires carefulness to be correctly solved.

**მარინა ხანჯალიაშვილი**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სამონასტრო და საერო ეთიკის საკითხები სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიებში**

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა საყურადღებოა თავისი მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი შემოქმედებიდან კარგადაა ცნობილი საერო თხზულებები. შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი სასულიერო, საეკლესიო ხასიათის ნაწარმოებები, რომლებიც არცთუ ისე მცირე ადგილს იკავებს არა მხოლოდ მწერლის შემოქმედებაში, არამედ მთელი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში.

საბას სასულიერო ხასიათის თხზულებებია: „სწავლანი“, „საქრისტიანო მოძღვრება“ („სამოთხის კარი“), „აღთქმა ქრისტიანეთა, რომელთა ენებოს სწავლებად კეთილისა გზისა ჟამსა სიკვდილისასა“, „შენდობის წიგნი წმიდისა პაპისა რომაელისა მიტევებისათვის ცოდვილთა მონანულისა“, „ვითარ ჯერ-არს აღსარებათა თქმა წინაშე მოძღვრისა მიერ“, „ცოლქმართ ნათესავნი - ქმრისა და ცოლის ხორცთ-ერთობისა და მათთა ნათესავთა ერთობისათვის“, ხოლო „წამება წმიდისა ფლავიოს კლემენტოსისა“ ჯერ ისევ ხელნაწერის სახითაა და ელის დღის სინათლეს.

„სწავლანში“ გაერთიანებულია 46 ჰომილია (ქადაგება) და ისინი წარმოთქმულია დავით-გარეჯის მონასტერში 1698-1710 საბას მოღვაწეობის წლებში.

ქადაგებათა ერთი ნაწილი სადღესასწაულო შინაარსისაა და მისდევნ საეკლესიო კალენდარს: დასაწყისში მოთავსებულია შობის ორი საკითხავი: „სწავლა შობის წინა კვირიაკესა მამამთავართა და მოთმინებისათვის“ და მეორე: „სწავლა შობისათვის უფლის ჩვენისა იესუ ქრისტესი, სიმდაბლისათვის“, შემდგომ მოსდევს სააღდგომო ქადაგება: „სწავლა აღდგომისათვის მკვდართასა“. მათ მოსდევს ბზობის - „სწავლა ბზობასა ამა სოფლისა დიდებისა სიკუდიისათვის“, ახალი კვირიაკის - „სწავლა ახალ კვირიაკესა ძვირის არა-ხსენებისათვი“, ნათლისმცემლის შობის - „სწავლა ნათლისმცემლის შობისათვის“, წმინდა მოციქულთა დღესასწაულის - „სწავლა წმიდათა მოციქულთა დღესასწაულისა“, ფერისცვალების -

„სწავლა აგვისტოს ვ. ფერისცვალებისათვის და საიკვირველისა და არა-საკვირველისა მოსეს მიერ და ელიას მიერ თქმულათვის“, ასევე, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ჰომილია: „აგვისტოს იე. სწავლა მიცვალებისათვის ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი“. მათ გვერდით კრებულში გვხვდება დოგმატიკური შინაარსის მატარებელი ქადაგებანი. ისინი განმარტავენ ქრისტიანული რელიგიის საჭირბოროტო საკითხებს, ქრისტიანულ საიდუმლოებებს. ასეთ ჰომილიებს განეკუთვნებიან „სწავლა ეკლესიისათვის, თუ რა არს შეკრება მუნ“, „სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის“, „სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის, მეორე“, „სწავლა აღსარებისათვის“, „სწავლა ზიარებისათვის“, „სწავლა ჯოჯოხეთის სატანჯველისათვის“, „სწავლა მეორედ მოსვლისათვის ქრისტესა“, „სწავლა აღდგომისათვის მკვდართასა“.

„სწავლანში“, ასევე, შესულია მესამე ტიპის ქადაგებანი. ესენი აშკარად მორალისტურ-სამოძღვრო ხასიათს ატარებენ და განყენებულად დგანან: „სწავლა სიყვარულისათვის“, „სწავლა გლახაკთ-მოწყალებისათვის“, „სწავლა ვერცხლის-მოყვარებისათვის“, „სწავლა უთმინოებისათვის“. „სწავლა ურჩებისათვის, მარხვისა“, „სწავლა მრისხანებისათვის“, „სწავლა მაგინებელთათვის“, „სწავლა სნეულთა მიხედვისათვის“, „სწავლა სიმშვიდისათვის“, „სწავლა სიმთრვალისათვის“ და სხვა.

კრებულში შესულია შერეული შინაარსის ჰომილიები. მათი თავისებურება იმაში ვლინდება, რომ მათში დოგმატიკური საკითხები, ან საუფლო დღესასწაულები გარკვეულ ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული და შეიცავენ მორალისტურ დამოძღვრას. ასეთებია: ზემოთ დასახელებული ქადაგება-სწავლა შობისათვის უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, სიმდაბლისათვის“, აგრეთვე, „სწავლა უცხოთ-მოყვარებისათვის და ვნებისათვის უფლისა“, „სწავლა ქრისტეს ვნებისათვის და გლოისათვის სულისა“, „სწავლა ვნებისათვის უფლისა და იოსების განსყიდვისათვის და ურგების სავაჭრომისათვის“, „სწავლა სიმთრვალისათვის და ნათლისმცემლის თავის კვეთისათვის“.

ჰომილიებში ერთმანეთთანაა დაკავშირებული უფლის შობა და სიმდაბლე, „უცხოთ-მოყვარება“ და ქრისტეს ვნება, მარხვა და ურჩება, ბზობა, „ამა სოფლის სიცუდისა დიდება“ და წუთისოფლის წარმავალობა, გლოვა, ქრისტეს ვნება და პირველქმნილი ადამიანის ცოდვა, აგრეთვე ქრისტეს გაცემა, ვნება განხილულია უსარგებლო, ანუ „ურგებ“ სავაჭროსთან კონტექსტში. ეს კომბინირებული ჰომილიები განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა, ვინაიდან მათში ხდება სხვადასხვა მოტივების ერთმანეთთან დაკავშირება. ავტორი ზოგჯერ მისდევს სასულიერო ტრადიციებს, ზოგჯერ კი, თემების დაკავშირებისას, ორიგინალურ გზას ირჩევს და ამით სიახლე შეაქვს ჰომილეტიკაში.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ მე-19 საუკუნემდე უცნობი იყო მკვლევართათვის. ნაწარმოებმა აღმოჩენისთანავე მიიპყრო ყურადღება. 1899 წელს პ. კარბელაშვილმა და მ. ჯანაშვილმა ვრცელი წერილები მიუძღვნეს მას და გამოაქვეყნეს გაზეთ ივერიაში (N21, 61), გ. ლეონიძემ 1928 წელს შეისწავლა და 1958 წელს „გამოკვლევებში და წერილებში“ მოათავსა საინტერესო მასალები; აღსანიშნავია ლ. მენაბდეს და ივ. ლოლაშვილის, რ. შარაძის, ნ. მახათაძის, ს. სხირტლაძის ნაშრომები. 1958-59 წლებში კ. კეკელიძემ, ა. ბარამიძემ, ნ. კანდელაკმა განიხილეს „სწავლანი“ სხვადასხვა კუთხით. სრული სახით „სწავლანი“ გამოსცა ივ. ლოლაშვილმა 1963 წელს. მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ ძეგლის დიდ ლიტერატურულ ღირებულებას. მართალია, ქადაგებანის უმეტესობა დაწერილია ჰომილეტიკაში დამკვიდრებული, საეკლესიო დღესასწაულების თემატიკის შესაბამისად, მკითხველს მწერლის ფართო ლიტერატურული განათლება აჯადოებს, ყურადღებას იპყრობს მჭევრმეტყველური ოსტატობა, ერუდიცია.

კორნელი კეკელიძე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში, გაგვაცნობს რა ნაწარმოებს, დასძენს: „ამ კრებულში არის განყენებული მშრალი დოგმატიკური ხასიათის ქადაგებანი“ (1980, 557), რაც არ უნდა იყოს მართებული, ჩვენი აზრით. ლევან მენაბდე აღნიშნავს: „საბას გენია მონასტერშიც იჩენდა თავს. ნათლისმცემელში ყოფნისას დაწერა საბამ ძალზე საყურადღებო თხზულება „სწავლა-მოძღვრებანი“, რომელშიც ნათლად ჩანს ავტორის მგზნებარე პატრიოტიზმი და მხურვალე მამულიშვილური გრძნობა“! (1953, 39). ნ. კანდელაკის თქმით, „სულხან-საბა ორბელიანის სამქადაგებლო შემოქმედება ქართული კლასიკური ჰომილეტიკის ძვირფასი საუნჯეა. ის ქრისტიანული სამოძღვრო მჭევრმეტყველების დიდი და საუცხოო შენაძენია“ (1961, 278). „საბას ქადაგებებში ცოცხლად მოჩანს ავტორის ინდივიდუალური ბუნება, მისი პოლიტიკური და რელიგიური ფიქრები. ამ ქადაგებებში საბა გვევლინება, როგორ დიდი მორალისტი და მხურვალე ტრიბუნი“ (გ. ლეონიძე, 1958, 144). ქადაგებანი „საზოგადოებრივი ინტერესების შემცველ თემატიკას ეხება, მხედველობაში გვაქვს ცხოვრებისეული მორალის განხილვა, რომლის დეფიციტმა განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიღო ქრისტიანული ზნეობის დაცემის საქმეში, განსაკუთრებით მე-18 საუკუნეში. თავისი ქადაგებები მას აგებული აქვს ბიბლიურ და საეკლესიო მამათა „სწავლებლებზე“ დაყრდნობით და წარმოადგენს მაღალმხატვრული პროზის ნიმუშებს“ - წერს ე. გაბიაშვილი (2015, 149).

ვიდრე უშუალოდ ჰომილიათა ანალიზზე გადავიდოდეთ, საინტერესოა, გავარკვეოთ როგორია ჰომილეტიკური მწერლობის წარმოშობის წინაპირობები, აგრეთვე მისი დანიშნულება.

ორატორულ ხელოვნებას, ანუ მჭევრმეტყველებას დიდი საფუძვლები და განვითარების დიდი ისტორიული გზა გააჩნია. ეს არის „ზეპირი მეტყველების უმაღლესი სახე, რომელსაც განსაზღვრავს კაზმული ფორმით გამოხატული ღირსშესანიშნავი შინაარსის გამომეტყველებით წარმოთქმა მსმენელთა დასარწმუნებლად“ (კანდელაკი ნ, 1961, 11). თუ ამ განსაზღვრებას ჩავუკვირდებით, მჭევრმეტყველების მთავარი ნიშნებია ღირსშესანიშნავი შინაარსი, სიტყვაკაზმული ფორმა, დამარწმუნებელი აზრი, და ბოლოს გამომეტყველებით გადამცემი მსმენელისთვის, ანუ კარგი შესრულება. აქ ერთიანდება სათქმელის შინაარსი და ფორმა, ასევე, საუბრის მიზანი და ხერხები. ქადაგებას ნ. კანდელაკის აზრით, უნდა ახასიათებდეს საყურადღებო შინაარსი, ლამაზი ფორმა, დამარწმუნებელი აზრი და ოსტატური შესრულება. ყველა ეს ფაქტორი კი ცოცხალი სიტყვით გამოვლენილი, მსმენელის გონებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს, აგრეთვე, მოქმედებს მის გრძნობასა და ნებისყოფაზე.

ორატორული ხელოვნების ფესვები ანტიკურ სამყაროში უნდა ვეძიოთ. ანტიკური რიტორიკის ხერხებს ქრისტიანობის გავრცელების საწყის ეტაპზე იყენებდნენ. მაგრამ ქრისტიანობამ თვისებრივი სიახლეები შეიტანა სამქადაგებლო ტრადიციაში. ქადაგება ახლებური შინაარსით, იდეით, თუ მიზნით განიშქვალა. ქრისტიანული ქადაგება ღვთის სიტყვის გაშლას, განმარტებას, კაცთათვის სულიერი ხნის გზების ძიებას ისახავს მიზნად. ქრისტიანობისთვის მთავარი იყო რწმენა, რასაც აღვივებდნენ მქადაგებლები, ადამიანის სიტყვა კი ღვთის სიტყვად მხოლოდ ეკლესიის და ქრისტეს შუამავლობით ხდებოდა. ქრისტიანული ქადაგება მთლიანად სახარება - ოთხთავზეა დამყარებული. მოციქულების ქადაგებანი იყოფა ორ ჯგუფად: ევანგელური და აპოსტილური, ე. კალანდარიშვილის აზრით, „პირველ ქადაგებათა მთავარი სიახლეა სინანულისადმი მოწოდება, ამის გარეშე ხსნა შეუძლებელია, ქადაგება კი - ფუჭი. მხოლოდ ჭეშმარიტი სინანულით ისახება სულის ხსნის გზა. მეორე რიგის, აპოსტილურ ქადაგებებს სათავეს თვით მაცხოვარი უდებს. „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდეთ მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა (მათე. 28, 19)“. მოციქულთა ქადაგება თანდათან კანონიზირდება და ღვთის სიტყვას უთანაბრდება: „ვითარცა მე მომავლინა მამამან, მეცა წარგავლინებ თქვენ“ (მათე. 28, 18)“.

ქრისტიანული ქადაგება, ასევე, დამყარებულია ნათლისღებაზე, ანუ ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევაზე და აღდგომის საიდუმლოებაზე. მათ ცნობილ ჰომილეტიკოსთა ქადაგებების შემკვიდრებაში ცენტრალური ადგილი უკავიათ.

აღსანიშნავია ქრისტიანული ქადაგების ერთ-ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელიც. მქადაგებელი ხშირად იმოწმებს ცნობილ წინასწარმეტყველს, მათი სიტყვები თავისებურ დროით ორიენტაციას ატარებს და მჭევრმეტყველის ნათქვამში კი მიმდინარე მოვლენათა გარდაუვალობა ცხადდება. ამრიგად, როგორც ვხედავთ, საეკლესიო მჭევრმეტყველება ბიბლიაზე დამყარებული დარგია. როგორც გ. კურბატოვი აღნიშნავს „ბიზანტიის კულტურაში“, ქრისტიანული ღვთისმსახურების სისტემის განვითარებამ ლიტურგიის შექმნამ ჩამოაყალიბა და სრულყო ქრისტიანული ქადაგების ტიპები, ბიზანტიური ლიტურგიკული კალენდარი და სისტემა, შესაბამისად, ქრისტიანული მჭევრმეტყველების ძირითადი ტიპები, ყალიბდება მე-6 საუკუნეში. ქადაგება მკვეთრად დიფერენცირდება სახეებად და ტიპებად: პოლემიკური, ეგზეგეტიკური, თეოლოგიურ-დოგმატური და მორალურ-მომღვრებითი“ (კურბატოვი გ, რიტორიკა, „ბიზანტიის კულტურა“ I, 1984, გვ. 344).

ჰომილია ბერძნული წარმოშობის ტერმინია, სიტყვიდან ქადაგება, რაც ეფრემ მცირის განმარტებით, „არს ზეპირად პირისპირ თქუმა“ (ხელნაწერი A 292, კანდელაკი, 57). ამ ტერმინის მიხედვით, ჰომილია საჯაროდ ზეპირად წარმოსათქმელი ნაწარმოები ან სასულიერო შინაარსის მომღვრება-ქადაგებაა. აქედან მომდინარეობს ჰომილეტიკა - საეკლესიო მქადაგებლობის თეორიული და პრაქტიკული სწავლება. ლათინური ტერმინებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ტერმინი „ორატორი“ (მომდინარეობს სიტყვიდან „ორატორ“-საჯაროდ მოლაპარაკე), რომელიც აღნიშნავს მჭევრმეტყველს.

ორიგინალური ჰომილეტიკის შექმნამდე და მის შემდეგაც ქართული ეკლესია იყენებდა უცხო ენებიდან, უმთავრესად კი ბერძნულიდან გადმოთარგმნილ ჰომილიებს. ისინი ქრისტიანობის გავრცელებისთანავე შესისხლხორცდნენ ქართულ ლიტურგიკასთან. სულხან-საბა ორბელიანი შესანიშნავად იცნობს ქრისტიანობის უდიდესი წარმომადგენლების ჰომილეტიკურ ლიტერატურას. „სწავლანში“ საბა იმოწმებს შემდეგ ავტორებს: ბასილი დიდს (მოხსენიებული ჰყავს ერთხელ გვ.38), გრიგოლ ნოსელს (გვ.327), გრიგოლ ღვთისმეტყველს-ნაზიანზელს (გვ.62, 250, 329), იოანე ბოლნელს (გვ. 198), გრიგოლ ნოსელის დას - მაკრინას (გვ. 327), იოანე ოქროპირს (გვ. 211), ათანასე ალექსანდრიელს (გვ. 191), ეფრემ ასურს (გვ. 80, 334), იოანე სინელს (გვ. 38).

საბას მომღვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანს. მქადაგებელი ყურადღებით ჭვრეტს ადამიანს, როგორც ინდივიდს და როგორც საზოგადოების წევრს, აკვირდება მის სულიერ მხარეს,

განსჯის ცოდვებს, მოუწოდებს ღვთისმისმსგავსებულობისაკენ. „ადამიანის ყველაზე დიდი ოცნება იყო დამსგავსებოდა ღმერთს. ამისთვის საჭირო იყო დაეძლია ყოველგვარი ცოდვა და უკეთურება. ცხადია, ადამიანი ღმერთად ვერ იქცეოდა, მაგრამ მიწიყვ უნდა ცდილიყო დამსგავსებოდა მას“. (სირამე რ, 1987, 4).

საბა მიზნად ისახავს არა მხოლოდ საღვთო წერილის ტექსტის შეცნობას და გაგებას, არამედ მისი მეშვეობით ქრისტიანული მორალის, ზნეობრივი ნორმების, როგორც სამონასტრო, ასევე, საერო ეთიკის საკითხების ქადაგებას, ძმათა კრებულსა და მრევლში, აგრეთვე, მათ გავრცელება-პოპულარიზაციას. ეთიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა ზნეობის და მორალის შესახებ. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა არისტოტელემ ნაშრომში „ნიკომაქეს ეთიკა“. სოკრატემ პირველად გაამახვილა ყურადღება ზნეობის პრობლემების დასმასა და გადაწყვეტაზე. ეთიკური მიდგომით ადამიანის განვითარების ბოლო წერტილია ღმერთის შემეცნება და ამაღლებული სიკეთე.

გადავხედოთ მქადაგებლის ჰომილიებს. ქადაგება „სწავლა შობისათვის უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, სიმდაბლისათვის“ იწყება მიქიას სიტყვებით, რომელშიც გადმოცემულია ქრისტეს, მესიის მოსვლის წინასწარმეტყველება. არგუმენტის გასამყარებლად გვისახელებს ესაიას სიტყვებს: „აჰა, ქალწული მიუდგეს, და შუას ძე და უწოდინ სახელი მისი ემანოელ, რომელი არს თარგმანებით ჩუენ თანა ღმერთი“ (1963, 51)

ბასილი დიდის ქადაგებაში „შობისათვის“ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა წმიდისაგან ქალწულისა ღმრთისმშობლისა“ ვკითხულობთ: „ესერა ქალწული მიუდგეს და შვას ძე და უწოდინ სახელი მისი ემანუელ, რომელ არს თარგმანებით - ჩუენ თანა ღმერთი“ (ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, 2010, 56).

სულხან-საბა მჭევრმეტყველურად ასხამს ხოტბას ქრისტეს შობის დღესასწაულს და ხაზს უსვამს ამ მოვლენის მნიშვნელობას ადამიანთათვის. შემდეგ ავტორი დასძენს: „ქრისტე ოდეს დამდაბლდა და მორჩილებასა ქუეშე მოვიდა, არა ჰყვა უფალი, არცა უპირატესი ვინმე, არცა მოყვასი, არამედ მონათათვისთა დაემორჩილა, აგვისტოს აღწერასა ქვეშე მოსახლე იქმნა, სიმდაბლით ჰეროდეს შიშისაგან ლტოლვილ იქმნა, სიმდაბლით იოანეს თავი მოუდრიკა, ასის თავისა მიხდასა მივიდა, მეზვერეთა და ცოდვილთა თანა ჭამდა, მოწაფისაგან განიყიდა, პილატეს მიერ განიკითხა და სხვანი რაოდენი შეურაცხოზა თავს-იდვა სიმდაბლით“ (1963, 54). ავტორის აზრით, ქრისტეს განკაცება სიმდაბლის (თავმდაბლობის) საუკეთესო გამოვლინებაა და მთელი მისი ამქვეყნიური ცხოვრება თავის მოდრეკის, პატივმოყვარეობის დათრგუნვის არაჩვეულებრივი მაგალითია.

მაცხოვრის შობაზე ქადაგებს იოანე ოქროპირი: „ქრისტე იშვა და სამოთხე განელა. ქრისტე იშვა და ეშმაკი დაისაჯა, ქრისტე იშვა და ჯოჯოხეთი დაირღუა. . . ქრისტე იშვა და ქრისტიანობა განწმირდა . . . ეკლესია განსულნელდა . . . ნაყოფი იგი ღმრთისმეცნიერებისა აღყუავილდა“ (2010, 144) მქადაგებელი, მაცხოვრის შობას აგრეთვე, აკავშირებს სიმდაბლესთან: „ესე არს - ა მეუფე პურიათა? ვინაჲ ესე, ნაცვლად მოწეულისა მჭურითა შეგრანელ არს? ნაცვლად ოქროწახნაგებულისა ცხედრისა ქუეყანასა ზედა დაგდებულ არს? . . . გლახაკისა ვისიმე არს ესე შობილი“ (2010, 149) მეორე ანალოგიურ ჰომილიაში იოანე ოქროპირი გვმოდგრავს: „იყო უკუე ესეცა საკვრელი, გარნა ღმრთისა განკაცება და ესოდენისა სიმდაბლისა თავსდება“, „გონება ხოლო კეთილი და გული შემუსვრილი და მდაბალი, და უკუეთუ მოეგო, ერთსა დღესა შინა წარმატო შენ კეთილად; განეშორე შენ ბოროტსა და შეუდეგ სათნოებასა“. (2010, 183).

სულხან-საბას ანალოგიურად, ბასილი დიდიც მაცხოვრის ქვეყნად მოვლინებას, მის ამქვეყნიურ მოღვაწეობას, თავმდაბლობის გამოვლინებად მიიჩნევს. სულხან საბა ამბობს: „ვინა დაიმდაბლოს თავი, მსგავსება არს ქრისტესა, რომელი პირველ საუკუნეთსა იშვა“ „სადაცა არს სიმდაბლე, მუნ-ქრისტე“, „ქრისტე სიმდაბლით შთავიდა ჯოჯოხეთად“, „სიმდაბლით დგომა მსაჯულისა წინაშე, ყვრიმლისა მცემელისა მეორისა კერძისაგა მიპყრობა, გინება, გმობა, ბასრობა, კიცხვა“ (1963, 55). ბასილი დიდი ჰომილიაში „სიმდაბლისათვის“ წერს: „ყოვლითა საქმეთა უფლისათა სიმდაბლედ მიმყვანებლად ვჰპოვებთ“.

სულხან-საბას სიტყვებით თავმდაბლობა არის „სიმცირის ნდომა“, „არა უდიდესი წადილი“, „აღუზავებლობა“, „ამპარტავნების მოკვეთა“, „მორჩილება“, „ღმრთისა სიტყვისა სრულ-ყოფა“.

მე-17, მე-18 საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში საკმაოდ რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სუფევდა. სულხან-საბა ორბელიანი ამ პერიოდში მრავალმხრივ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა, როგორც საერო, ასევე, სასულიერო სფეროში. „სწავლანში“ ნათლად ჩანს, რომ იმ დროს საზოგადოებაში საკმაოდ „შელახულია ზნეობრივი ნორმები, შერყეულია რელიგიური დოგმები. სინამდვილეში „საბას ქადაგებანი . . . შეიცავენ ნაციონალურ პოლიტიკურ ტენდენციებს“, აქ „ცოცხლად მოჩანს ავტორის ინდივიდუალური ბუნება, მისი პოლიტიკური და რელიგიური ფიქრები. ამ ქადაგებებში საბა გვევლინება, როგორც დიდი მორალისტი და მხურვალე ტრიბუნი“. (ლეონიძე, გ. 78). ორატორის სიტყვაში ჩანს ქვეყნის აშლილობა, ადამიანების აცდენა ზნეობრივ-ეთიკური ნორმებიდან, იგრძნობა

შეშფოთება. მქადაგებელი ვერ დარჩებოდა გულგრილი ყოველივეს მიმართ. მისი სამომდევრო დიაპაზონი მოიცავდა ადამიანთა მანკიერი მხარეების, მიწიერი ვნებების შეუზრალე კიცხვას. მისთვის სრულიად მიუღებელია „ვერცხლის-მოყვარება“, „უთმინობა“, „ურჩება“, „მრისხანება, გინება“, „ძვირის წსენება“, „მემთვრალეობა“, „ზვაობისაგან დაბნელება“, „ქართველთა თათრობა“. საინტერესოა ქადაგება „სწავლა გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის“. ამ ქადაგებით სულხან-საბა ხმას იმაღლებს საზოგადოებაში გამეფებული უსამართლობის და ქვეყნის გამყიდველი ფეოდალების საქმიანობის წინააღმდეგ. საქართველო ამ დროს გმინავს თურქ-სპარს დამპყრობთა უღლის ქვეშ. ქართლ-კახეთის მეფენი, რომელნიც ხშირად ქრისტიანულ რწმენაზე უარს აცხადებენ, შაჰების მარიონეტებს წარმოადგენენ. სამეფო კარის არისტოკრატია განცხრომას მისცემია, სასულიერო პირებს ავტორიტეტი დაუკარგავთ, ხოლო გლეხობა სიღატაკეში იტანჯება, საბა დაუნდობლად ამათრახებს „ჟამთა მჭვრეტ“ დიდებულებს, რომლებიც რწმენის შეცვლით თანამდებობრივ მდგომარეობას იუმჯობესებენ; ამხელს საერო და სასულიერო პირების ზნეცემულობას. „თქვენ წარხვალთ მცირედისა ნიჭისათვის, გინა მეზობელთა შურისათვის და ნებსით თვისით დაუტევებთ სჯულსა ქრისტესსა. ამისთვის გაყვედრებს მოსე . . . განსუქნა, განსხვა, განვრცნა და დაუტევა ღმერთი, შემოქმედი თვისი, ვის დაუტეობთ და სადა წარხვალთ?“ (1963, 176) --განრისხებული მიმართავს ავტორი მოღალატეებს. ამ ქადაგებაში საბა იდეალისტად გვევლინება, რადგან მას საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის აუცილებელ პირობად ქრისტიანული სარწმუნოების და მორალის განმტკიცება მიაჩნია. ნუ დაგაიწყდება, რომ ის ცხოვრების ობიექტურად ასახვის ოსტატიაა. „სწავლანი“, საზოგადოდ, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რის გამოც ეს კრებული „სიბრძნე-სიკრუისას“ ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.

ამ დროისათვის გამეფებული რელიგიური ინდიფერენტიზმი იხსნება არა რაიმე სხვა მსოფლმხედველური ძიებით, ან ათეისტური შემართებით, არამედ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური დაცემით, რასაც ბუნებრივად მოჰყვა საზოგადოების გადაგვარება და ადამიანებში ნიჰილისტური დამოკიდებულების გაღვივება, შედეგად კი ზნეობრივი ტრადიციების რღვევა. ადამიანმა დაკარგა ოლამური ერთობის განცდა წარსულისა და მომავლისა, პასუხისმგებლობა წინაპრების და მომავალი თაობის წინაშე, არიან „ხედვად და სმენად უღონონი“. განვითარება მიმდინარეობს დაღმა სვლით, ხდება სულიერის დავიწყება, დაცემა, რაც უფალთან დაშორების, ცოდვათა მომრავლების გამოხატულებაა. სულხან-საბა თავისი მჭევრი სიტყვით ცდილობს, მე შეცდომილი მამის წიაღში დააბრუნოს.

მოღვწეულები იმდენად დაუდევრად იქცევიან ეკლესიაში, თითქოს შემთხვევით, ან იძულებით მოხვდნენ იქ, ისინი ღვთისმსახურების ელემენტარულ წესებსაც კი არ იცავენ: „ეკლესიასა შინა სდგახართ, ლოცვათა არა ისმენთ და ამათა საუბართა ზრახავთ, წმიდისა სახარებასა სიტყვასა არა ისმენთ, რომელი გიბრძანებს გულისა საუნჯესა შინა შესლვასა და ენისა და ყურთა კართა დაწმვასა და ეგრეთ ლოცვასა“ (1963, 26). სწავლაში „ჯოჯოხეთის სატანჯველისათვის“ მქადაგებელი ცდილობს, დაარწმუნოს მსმენელნი, თუ მკითხველნი, ჯოჯოხეთის რეალურად არსებობაში. „სულის უკვდავების რწმენა და ღვთისმოშიშობა საზოგადოებას ეფემერულად ეჩვენება. მქადაგებელი მიმართავს სამწყსოს: „ჯოჯოხეთი არს, ჰოი ცოდვილნო, უეჭველად, თუმცა მრავალნი არიან, რომელნი არა ჯერან . . . ბოროტისა კაცისათვის საუკუნითა სატანჯველი განმზადებულ არს. ვაი, კაცნო. ჯოჯოხეთი ერთი ბნელი და მყრალი ადგილი არს გულსა შინა ქვეყნისასა, სადა საწყალობელნი იგი სულნი მარადის, დღე და ღამე, მოუთმენლად იტანჯებიან“ (1963, 61). ამ ციტატაში ნათლად ჩანს, რაოდენ „მრავალნი არიან“, ისეთები, ვისაც დავიწყება „მამულისა სლვა“. ამჯერად მქადაგებელი არ მიმართავს წმინდა მამათა დამოწმებას, ის ცდილობს რეალური ფაქტებით დაამტკიცოს ჯოჯოხეთის არსებობა, ამიტომ ასურათხატებს დასავლეთ ევროპის სამ ვულკანს. „ჯოჯოხეთი არის, ამრიგად, ვამტკიცებ, . . . საფრანგეთს სამნი მთანი არიან, . . . რომელთაგან აღმოდინ კვამლი, ნაცარი და ალი ცეცხლისა“. (1963, 62).

სულხან-საბა ორბელიანის სამქადაგებლო მემკვიდრეობა ქართული ორიგინალური ჰომილეტიკის ფასდაუდებელი განძია. ავტორი მხატვრული მეტყველების დიდოსტატია, ის ქრისტიანული ფილოსოფიური აზროვნების ღრმა შრეებს აღწევს, „სწავლანი“ მრავალმხრივ გამოსაკვლევი კრებულია, რომელიც არა მხოლოდ ლიტერატორთა, არამედ სხვა დარგების მკვლევრების მხრიდან დიდ ყურადღებას იმსახურებს.

#### ლიტერატურა:

1. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1963.
2. მენაბდე ლ., „სულხან-საბა ორბელიანი“ საბლიტგამი, 1953.
3. კანდელაკი ნ., „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“, „ხელოვნება“, თბილისი, 1961.
4. ბარამიძე რ., „ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან“, „მეცნიერება“, 1990.

5. ლეონიძე გ. „გამოკვლევები და წერილები“, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1958.
6. ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, I, სასულიერო სამინარისა და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
7. სირაძე რ. „ქართული აგიოგრაფია“ „ნაკადული“, თბილისი, 1987.
8. გაბიძაშვილი ე., „ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია“. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
9. „სკოლა და ცხოვრება“, N2, 1989.
10. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბილისი 1980.

**Marina Khanjaliashvili**  
*Iakob Gogebashvili Telavi State University*  
**MONASTIC AND SECULAR ETHIC PROBLEMS IN SULKHAN SABA ORBELIANIS'S**  
**HOMILLIES**  
**RESUME**

The article focuses on the collection of Sulkhan Saba „Stsavlani“, its ideological and thematic aspects. The rapporteur introduces the subject terms of the origin of homiletics writing, its purpose. In general, the extension of Christian preaching of God's Word, the definition of the spiritual salvation of men in the ways is intended. Gospel-based apostolic preaching is divided into two groups: the Gospel and apostilical. Main idea of preaching is the repentance, and the second row of the sermons of Christ lays in the groundwork for the foundation. Before creation of the homiletics original the Georgian church mainly used the homily translations from Greek. In Sulkhan-Saba's work the central part hold people. Homilshian was observing him, as an individual and as a member of society. He is interested in the spiritual side; he is teaching how to become like God. Sulkhan-Saba explains not only the Gospel, but also he is preaching the Christian morals and morality, monastic and secular ethics. The author teaches us to be humble; he cannot accept greed, drunkenness, swearing, impatience, disobedient, and the betrayal of Christianity. The work has a great literary value, there is also appeared the writer's erudition.

**ნანა ჯალაღონია**  
 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ირონია, როგორც კულტურის საბაზისო ცნება**

როგორც ცნობილია, ირონია ძველ საბერძნეთში წარმოიშვა და ყოველ მომდევნო ისტორიულ ეპოქაში განსხვავებულ როლს თამაშობდა ადამიანთა ყოფასა და სულიერ ცხოვრებაში. ყოველდღიურ ურთიერთობაში ირონიას, პრაქტიკულად, ყოველთვის აფასებდნენ, მაგრამ კატეგორიის სტატუსი მან მხოლოდ რომანტიზმის კულტურაში დაიმკვიდრა. რაც შეეხება *მხატვრულ-კულტურული* კატეგორიის სტატუსს, ლიტერატურის თეორეტიკოსების აზრით, ირონიამ იგი მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს, მოდერნის ეპოქაში მოიპოვა. [Славов, 1979:19]. ირონიის ევოლუციისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებსა და მონოგრაფიებში მეცნიერები არ დავობენ იმ თეზასთან დაკავშირებით, რომ ირონია წარმოადგენს კულტურის განვითარების გარკვეული დონის ილუსტრირებასა და ერთგვარ დადასტურებას. ჯერ კიდევ არისტოფანე მიუთითებდა, რომ „...ბრბოსთვის მისაწვდომია მხოლოდ გარეგნული კომიზმი. მას არ ესმის, რომ არსებობს გადაკვეთის წერტილები, სადაც კომიკური უერთდება ტრაგიკულს და წარმოშობს არა მსუბუქ და მხიარულ, არამედ ავადმყოფურ და მწარე სიცილს... ბრბო ვერასოდეს ჩასწვდება ირონიას...“ [Белинский, 1981:48-49]. დიდი ბერძენი კომედიოგრაფის აღნიშნული მოსაზრება ცხადყოფს კონვენციონალური ირონიის როლს, როგორც „თავისიანების“ გამოვლენის, თვითგამართლებისა და თვითამაღლების ხერხს. ამავე დროს, ირონიის აღმოცენება ანტიკურ



სინამდვილეში ადასტურებს მითოლოგიური ხედვის მთლიანობის რღვევასა და განახლებული სურათის წარმოშობას ისეთ სამყაროში, რომელმაც ამოწურა თავისი განვითარების პოტენციალი აქტუალური პარადიგმების ჩარჩოში.

დიდ მნიშვნელობას იძენს ირონიის ცნება პლატონისა და არისტოტელეს ესთეტიკასა და ფილოსოფიურ ნაშრომებში. ანტიკურ ესთეტიკაში ირონია გვევლინება კატეგორიად, რომელიც „...დაკავშირებულია ისეთ მკვეთრად გამოხატულ ხერხებთან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გამოხატულ იდეას“ [Лосев, 1994:176]. ამ დაპირისპირების ძირითადი მიზანი – უარყოფითი საშუალებებით მაღალი იდეის გამოხატვაა. ანტიკური ირონია, უპირველეს ყოვლისა, რიტორიკის სფეროს მიეკუთვნება, რასაც მოწმობს სიტყვა „ირონიის“ ეტიმოლოგიაც (ძვ. ბერძ. *Eiro* – „ვლაპარაკობ“, „ვამბობ“). როგორც ა. ფ. ლოსევი აღნიშნავს, „ირონიზირება“ თავდაპირველად, უბრალოდ, „ლაპარაკს“ ნიშნავდა; ასევე, *eiro*-სგან მომდინარეობს ლათინური „*verbum*“, გერმანული „*wort*“, ინგლისური „*word*“, რომლებიც აღნიშნავენ „სიტყვას“. აღსანიშნავია, რომ ანტიკური ირონია გაჩნდა იმ ეპოქაში, როცა გაიზარდა ინტერესი ადამიანური შემეცნების პრობლემისადმი. თავის მხრივ, ეს ფაქტი მიუთითებს კავშირზე ირონიასა და სუბიექტურობის კატეგორიას შორის, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ახალი დროის ევროპული კულტურის ჩარჩოებში.

ირონიის პრაქტიკულ გამოყენებაზე მსჯელობას, ჩვეულებრივ, *სოკრატედან* იწყებენ, რომელიც აქტიურად მიმართავდა ირონიას სოფისტებთან კამათისას ამ უკანასკნელთა „ყველაფრისმცოდნეობის პრეტენზიაზე“ დაცინვისა და მათი მსჯელობის ალოგიკურობის გამოაშკარავების მიზნით. სოკრატე ეწინააღმდეგებოდა თვითკმაყოფილებასა და გონებაშეზღუდულობას. ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში იგი სოფისტებთან სწავლობდა და სწორედ ამ სახით, ანუ, სოფისტად გვევლინება არისტოფანეს ერთ-ერთ კომედიაში. როგორც ანტიკური პერიოდის ავტორები მოწმობენ, აღნიშნული კომედიის წარმოდგენისას სოკრატე ფეხზე დგებოდა და მადლობას უხდოდა მაყურებელს იმის მიუხედავად, რომ კომედიაში მისი სახე გროტესკულად იყო წარმოჩენილი. სწორედ ამაში ვლინდება ირონიული გმირის ხასიათი, რომელსაც არ ეშინია იმისა, რომ *იყოს სასაცილო*. აბსოლუტურად გასაზიარებელია მიხეილ ბახტინის მოსაზრება, რომ „სოკრატული სიცილი“ და „სოკრატული დამდაბლება“ „...ხელშესახებს და ფამილარულს ხდის სამყაროს, რათა უშიშრად და თავისუფლად გამოიკვლიო იგი“ [Бахтин, 1975:468].

სოკრატეს ირონიაზე მსჯელობისას თეორეტიკოსები გამოყოფენ მის ბიმოდალურ, ექსტრავერტულ-ინტროვერტულ ხასიათს, რაც ვლინდება სოკრატეს მხრიდან როგორც თავისი თანამოსაუბრეებს, ასევე საკუთარი თავის დაცინვაში. სოკრატეს ფილოსოფიის საწყის პოზიციას წარმოადგენდა ორი თეზა: „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ და „შეიცან თავი შენი“. ანტიკური ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტის, ფეოხარ კესიდის აზრით, „...ძველი ფილოსოფოსის გაგებით, თვითშემეცნება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა შინაგან გამოცდილებას, გააზრებულ ცხოვრებას, სულიერ ჯანმრთელობას, შინაგანი ძალებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ჰარმონიას. სოკრატეს თანახმად, კმაყოფილება ზნეობრივი ქცევისგან უმაღლეს კეთილდღეობას, უმაღლეს ფასეულობას შეადგენს“ [Кессиди, 1976:102]. სოკრატეს თვითგამორკვევა მიზნად ისახავდა იმ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ორიენტირების შემეცნებას, რომელთაც შეეძლოთ ზნეობრივ ფასეულობათა ერთიან სისტემაში მოქცევა. თუმცა, სოკრატეს ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ სოციალური განვითარების პროცესში მან გადააფასა გონებისა და ზნეობრივი განათლების მნიშვნელობა. ცხადია, ირონია ნიადაგს უმზადებს სოციალურ ცვლილებებს, მაგრამ მისი როლის გაზვიადება, როგორც სოციალური მოძრაობის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორისა, არამართებული გამოდგა.

სოკრატეს ირონიის უმნიშვნელოვანეს ხერხად თეორეტიკოსები „ირონიულ მაიეუტიკას“ (ბერძნ. „სამეანო ხელოვნება“) მიიჩნევენ, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სოკრატე შეგნებულად ირგებდა გულუბრყვილო ადამიანის ნიღაბს, რომელიც ესწრაფვოდა ცოდნის მიღებას „ბრძენი“, „გამოცდილი“ თანამოსაუბრისაგან. კამათის დაწყებისას, ის განგებ იზიარებდა ოპონენტის თვალსაზრისს, მის პოზიციას; შემდგომ, მსჯელობის პროცესში, ოპონენტი აბსურდამდე მიყავდა, ყურადღებას ამახვილებდა მისი თვალსაზრისის უსუსურობაზე და პროვოცირების გზით გამოკვეთდა ახალ პოზიციას. ამგვარად, სოკრატესთან, „მაიეუტიკის“ დახმარებით, შემეცნება ფილოსოფიური ეჭვიდან ჭეშმარიტების დაბადებამდე მიდის. პლატონის დიალოგში, „ნადიმო“, ალკიბიადე (ძვ. წ. აღ. 450–404, სოკრატეს მოწაფე, ჰერაკლეს ნათესავი, გამოჩენილი ათენელი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი პელოპონესის ომში) წარმოთქვამს მონოლოგს სოკრატეს ირონიის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე: „როცა მას ვუსმენ, ჩემი გული უფრო მძაფრად სცემს, ვიდრე ალტკინებული კორიბანტებისა (ფრიგიული ქალღმერთის – კიბელას ქურუმი, ნ.ჯ.) და ცრემლი თავისით იღვრება თვალთაგან. მე მინახავს, მისი საუბარი როგორ იტაცებდა სხვებსაც. როცა პერიკლეს ან სხვა დიდ ორატორს ვუსმენდი, ვგრძნობდი, რომ კარგად ლაპარაკობდნენ, მაგრამ არასოდეს მსგავსი რამ არ განმიცდია; არასოდეს შემფრთხილავს სული ჩემი, არც საკუთარი მონური სიმდაბლე დაუგემია მას. ხოლო ამ მარსიას რომ ვუსმენ (ე. ი. სოკრატეს, ნ.ჯ.), ხშირად

გამივლია გულში – ჩემს ყოფნას არყოფნა სჯობს-მეთქი. ასე არ შეიძლება ცხოვრება, როგორც მე ვცხოვრობ“ [Платон, 1993:126]. მოგვიანებით, სოკრატეს ირონიაზე მსჯელობისას ჰეგელი აღნიშნავდა: „სოკრატეს ირონია არის საუბრის გარკვეული მანერა, უცოდველი ხუმრობა და არა გესლიანი სიცილი და თვალთმაქცობა... მისი ტრაგიკული ირონია არის არსებული ზნეობისადმი სუბიექტური რეფლექტორების ანტაგონიზმი... სოკრატე ხელმძღვანელობს არა მახინჯი გონებით, რომ ის თანამოსაუბრეზე მაღლა დგას, არამედ მისი მიზანია ჭეშმარიტი სიკეთის, საყოველთაო იდეის მიღწევა აზროვნების მეშვეობით“ [ჰეგელი, 1978: 78-85].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოკრატეს ირონიაში აისახა ფილოსოფოსის დამოკიდებულება მისი თანამედროვე ბერძნული სამყაროს მიმართ. სოკრატეს არ შეეძლო არსებული ისტორიული რეალობის უაპელაციოდ მიღება, საზოგადოებაში დამკვიდრებული პრინციპების პოზიტიურად ცნობა და ქადაგება. იგი შეეცადა, თავის ირონიაში მიემართა ინდივიდუალური, რეფლექტური ხერხებისთვის, რომელთა დახმარებით, თითქოს, არსებულ სამყაროზე მაღლა დადგა, მაგრამ იმავდროულად, ამ სამყაროს ნაწილად დარჩა. სოკრატეს ირონია გახდა უპირველესი ნიმუში, გარკვეულწილად, ბალავერი, რომელსაც შემდგომ ეპოქებში დაეყრდნო ევროპული სიცილის კულტურა. სწორედ სოკრატეს ირონიაზე დაყრდნობით შეისწავლეს მომდევნო თაობებმა კრიტიკული თვითგააზრებისა და ფასეული რეფლექსიის მეთოდოლოგია.

ირონიის, როგორც კულტურის ფასეულობის, ევოლუციაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით ირონიის როლს *შუასაუკუნეებისა და აღორძინების კულტურაში*. შუასაუკუნეების იერარქიულად ორგანიზებულ საზოგადოებაში კანონების, რელიგიური დოგმატების, ქცევის სხვადასხვა სარიტუალო ფორმების, მათ შორის, *სიცილის როლი* პერმანენტული კვლევის საგანს შეადგენს. მონოგრაფიაში - „ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა“ - მიხაილ ბახტინი აღნიშნავს, რომ შუასაუკუნეების ხალხური სიცილის კულტურაში ირონია აქტიურად გამოიყენებოდა. ამ ეპოქის კულტურისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა „სიცილის სამყაროს“, რომელიც რელიგიური ასკეტიზმის ერთგვარ საპირწონეს, შუასაუკუნეების ჰუმანიზმის თავისებურ გამოვლინებას წარმოადგენდა [Бахтин, 1965: 15-16].

შუასაუკუნეების სიცილი პოლიფუნქციურია; იგი მოიცავს დიდაქტიკურ, ჰედონისტურ, სიცოცხლის განმამტკიცებელ ასპექტებს. შემთხვევითი არ არის, რომ სიცილი მხოლოდ დღესასწაულებზე იყო ნებადართული და სხვა დროს იზღუდებოდა ოფიციალური ხელისუფლების მიერ. საქმე ის არის, რომ ორთოდოქსთა საპირისპიროდ, სიცილი იძენდა არა მტკიცებულების, არამედ უარყოფის სოციალურ-კრიტიკულ ფუნქციას. შუასაუკუნეების ხალხური სიცილის კულტურისთვის დამახასიათებელია ბიმოდალური, ამბივალენტური ხასიათი, ვინაიდან მ. ბახტინის სამართლიანი შენიშვნით, „...სიცილი მიემართება მათ, ვინც იცინის, ხალხი კი, სამყაროს ნაწილია... ამაში მდგომარეობს ხალხური-სადღესასწაულო სიცილის არსებითი განსხვავება ახალი დროის წმინდა სატირული სიცილისგან. სატირიკოსი, რომელიც ცნობს მხოლოდ უარყოფით სიცილს (ექსტრავერტულს), დასაცინი მოვლენის მიღმა იმყოფება; ამდენად, იგი თავადაც უპირისპირდება მას (სიცილს) და არღვევს სამყაროს მთლიანობას; ხოლო ხალხური (ამბივალენტური) სიცილი გამოხატავს ახალგაზრდა, ერთიანი სამყაროს თვალსაზრისს, რომლის ნაწილს წარმოადგენს დამცინავი“ [Бахтин, 1965:15]. გასაზიარებელია ა. გალეს მოსაზრება, რომ შუასაუკუნეების ირონია ხშირად იყო „...მიმტკიცებლობისა და თავისუფლების იარაღი; ფანატიკოსები და ორთოდოქსები იშვიათად იყენებდნენ მას. ცნობილია ჯორდანო ბრუნოს გამონათქვამი: „უვიცობა – მსოფლიოში საუკეთესო მეცნიერებაა, იგი ადვილად მოგვეცემა და არ აწუხებს სულს“ [Галле, 1898:70].

რაც შეეხება აღორძინების ეპოქას, აქ ირონიას მიმართავდნენ როგორც ხალხური სადღესასწაულო კულტურის ტრადიციათა ჩარჩოებში (მასხარები, ჯამბაზები, ტრიკსტერები...), ასევე ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მეტყველებაში. ირონიის, მახვილგონიერებისა და დაცინვის მნიშვნელობაზე მსჯელობისას აღორძინების ეპოქის იტალიურ კულტურაში შვეიცარიელი ისტორიკოსი და კულტურის ფილოსოფოსი იაკობ ბურკჰარდტი (1818-1897) აღნიშნავს: „*დაცინვა* ცხოვრების დამოუკიდებელ ელემენტად მხოლოდ მაშინ შეიძლება და ქვეულიყო, როდესაც განვითარებული ინდივიდი ირონიას რიტორიკულ ხერხად გამოიყენებდა, მსგავსად იმისა, როგორც მასხარები დასცინოდნენ თავიანთ ბატონებს. ამაზე წერდა პეტრარკა: რამდენჯერ ამასხარავებდა მასხარა მასზე დამცინავ ბატონს! რამდენჯერ იგონებდა რაღაცას, თითქოს მაყურებლისთვის, სინამდვილეში კი, საკუთარი თავის გასართობად“ [Буркхардт, 1996:101].

აღორძინების ეპოქაში *კომიკურის* როლზე მსჯელობისას მკვლევრები მიუთითებენ რენესანსული სიცილის ბოროტ ხასიათზეც და ამას რენესანსული ადამიანის სუბიექტური თავისუფლებით ხსნიან, რომელიც თავის უსაზღვრო შესაძლებლობებშია დარწმუნებული. აღნიშნული თვისება განიხილება რენესანსული კულტურის მნიშვნელოვან მიმართულებად, რომელიც სხვადასხვა ფორმაში ვლინდება. ამ

თვალსაზრისით აქტუალურია ირონიის პრობლემის გააზრება შექსპირთან, რომელსაც მკვლევრები განიხილავენ ისტორიის ირონიისა და ზნეობრივ პრობლემათა ჭრილში. შექსპირის აზრით, ჰუმანისტური ზნეობის წინაშე ჩადენილი დანაშაული ისჯება ისტორიის ირონიით. აღსანიშნავია, რომ ცოცხალ, სალაპარაკო ენაზე დაყრდნობით, იუმორისა და ირონიის გადმოსაცემად შექსპირმა გამოიყენა გამოთქმებისა და სიტყვების მრავალმნიშვნელობაზე დაფუძნებული მეტაფორები და კალამბურები, რომლებიც მიემართებოდნენ ირონიულ კონტექსტს.

აღსანიშნავია ირონიის, როგორც კულტურული ფასეულობის კატალიზატორის როლი გარდამავალ პერიოდში. მის შესანიშნავ ილუსტრირებას წარმოადგენს მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტი“, რომელშიც ასახულია ფეოდალურ-რაინდული ღირებულებების გადაფასების პროცესი. ბურჟუაზიულმა ეპოქამ უარი თქვა ამ ფასეულობებზე, როგორც ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისთვის მიუღებელ, შეუსაბამო ორიენტირებზე. ამასთან ერთად, ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ უარი თქვა რაინდული კეთილშობილების იდეალებზეც; ჩანაცვლა ისინი თავისუფალი მეწარმეობის „იდეალებითა“ და პრაქტიციზმით. სერვანტესის რომანი ერთგვარ გაფრთხილებასაც წარმოადგენს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ გადაფასებებს; ამიტომაც, მწერლის ირონია ნაწარმოებში ტრაგიკულ ჟღერადობას იძენს.

განსაკუთრებული როლი მახვილგონიერებამ *ბაროკოს ეპოქაში* შეიძინა, შემთხვევითი არ არის აღნიშნულ პერიოდში მახვილგონიერების ფენომენისადმი მიძღვნილი თეორიული ტრაქტატების გამოჩენა. ბაროკოს დროს მახვილგონიერება სალონური ურთიერთობის აუცილებელ ელემენტად იქცა. ამგვარად, გვიანი რენესანსის სიცილი, თავისი ამბივალენტური ბუნების გამო, ფასეულობების გადაფასებისა და კულტურული შემოქმედების შესანიშნავ ინსტრუმენტად იქცა, რომლის ძირითადი თეზა შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: დასცინის რა საკუთარ თავს, რენესანსული ადამიანი იწმინდება მოძველებული და მავნე ჩვევებისგან, ხოლო როცა დასცინის სხვებს, იგი მაღლდება მათ ნაკლოვანებებზე.

უფრო მარტივი ხასიათის იყო *განმანათლებლური სიცილი*; სატირული ხასიათის გამო მასში მოკრძალებული ადგილი რჩებოდა ირონიას. განმანათლებლური ირონია ხშირად მიმართული იყო რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ. აღნიშნულ კონტექსტში შეგვიძლია გავიხსენოთ ჯონათან სვიფტის პამფლეტი „ზღაპარი კასრზე“, რომელშიც ირონიულად არის წარმოადგენილი სამი ქრისტიანული ეკლესიის დაპირისპირება და მხილებულია „ფანატიზმის უმსგავსოზა და ცრუმორწმუნეობა“. ასევე, იეზუიტების სიყალბე და პირფერობაა მხილებული ბლუზ პასკალის თხზულებაში „წერილები პროვინციელისადმი“, რომელშიც ავტორი აკრიტიკებს ტოტალურ კონტროლსა და თვალთვალს ადამიანების აზროვნებასა და სინდისზე. რაც შეეხება ვოლტერს, მისი ნაწარმოებები კარგად გადმოსცემენ ავტორის ირონიულ, სარკასტულ ხასიათსა და კრიტიკული აზროვნებისადმი მიდრეკილებას; გესლიანი ჭკუის გამჭირაზობასა და ადამიანებთან ურთიერთობებსა და რეალურ სამყაროში წინააღმდეგობების წარმოჩენისადმი სწრაფვას. თუმცა, ლიტერატურის თეორეტიკოსები მიუთითებენ დასავლური კულტურის დამახასიათებელ ერთ ტიპურ მომენტზე; მხედველობაშია ის გარემოება, რომ როდესაც აღმოსავლელი ბრძენი ჩასწვდება ყოველდღიური სამყაროს უაზრობასა და ამაოებას, ის აღარ იძლევა მის შეფასებას; უბრალოდ დუმს და ამით თავის სიმაღლეზე მიაწვდის; ანუ, მდუმარე ბრძენი იმდენად მაღლდება ემპირიულ სამყაროზე, რომ მას ირონიულ შეფასებასაც კი აღარ აძლევს. ვოლტერი კი ტიპური დასავლელი მოაზროვნეა; ის არც ისე მაღლა დგას იმ სამყაროზე, რომელშიც ცხოვრობს; ამიტომ, ვოლტერს შეუძლია სხვების ირონიზირება და აბუჩად აგდება. ამდენად, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ვოლტერის შემოქმედებაში სრულად წარმოჩინდა განმანათლებლობის ეპოქის სატირული ირონიის ყველა ნიშანი [Ермоленко, 2004 (ელექტრონული რესურსი)].

*რომანტიზმის ესთეტიკაში* ირონია მოიაზრება *შემქმნელი გონის* თავისუფლების ილუსტრირებად. რომანტიკული ირონია, მისი თეორია და კონცეფცია შეიმუშავა ფრიდრიხ შლეგელმა, რომლის აზრით ირონია, როგორც განსაკუთრებული ხედვა სამყაროზე, ეხმარება ადამიანს ყოფიერების წინააღმდეგობებზე ამაღლებაში. რომანტიკული ირონია მიმართულია არა კერძო მოვლენათა წინააღმდეგ, არამედ მასშტაბურად - სამყაროში არსებულ წინააღმდეგობათა გასაკრიტიკებლად. შლეგელის თანახმად, ირონია დასცინის სამყაროს; მასში გაერთიანებულია სახუმარო და სერიოზული, „გულწრფელი“ და „ღრმად დაფარული“, რადგან ირონია, რომანტიკული კონცეფციის თანახმად, არის „მუდმივი მოძრაობის, უსაზღვროებით აღსავსე ქაოსის ნათელი შეგნება“ [Шлегель, 1983:36]. შლეგელი მიუთითებს ირონიის დუალისტურ ბუნებაზეც, რომელიც ეხმარება ადამიანს, ერთი მხრივ, შეიგნოს „ღვთაებრივი იდეა“ და, მეორე მხრივ, გაანადგუროს ის, „...რასაც თვითონ მისცა სიცოცხლის გარეგნული სახე“ [Шлегель, 1983:46].

მოგვიანებით ჰეგელმა გააკრიტიკა ირონიის რომანტიკული კონცეფცია. იგი ეწინააღმდეგებოდა იმ თვალსაზრისს, რომ ირონია ერთგვარი ფარია, რომლითაც შეგვიძლია წმინდა იდეალების დაცვა ფილისტერების ბინძური ხელებისგან. ჰეგელი ხაზს უსვამდა რომანტიკული ხელოვნების

წინააღმდეგობრივ ხასიათს, რომელიც მდგომარეობდა „უსასრულო სუბიექტურობასთან“ შეუსაბამობაში. ამდენად, იგი არ იზიარებდა თვალსაზრისს, რომ ირონია - ნილაბია, რომლის ქვეშ მგრძნობიარე სული იმალება; რომ ირონია იცავს გარემომცველი სიბინძურისგან იდუმალ, ტრანსცენდენტალურ ფასეულობებს, ოცნებებს, იდეალებს, მათ შორის, რელიგიურსაც და ა.შ. [ჭეგელი, 1978: 78-85].

რომანტიკული ირონიის თეორიულ გაგრძელებად განიხილავენ ცნობილი დანიელი ფილოსოფოსის, *სორენ კიერკეგორის* კონცეპტუალურ ხედვას. თავისი შეხედულებები ირონიაზე მან ჯერ კიდევ სამაგისტრო დისერტაციაში - „ირონიის ცნება, განხილული სოკრატეზე დაყრდნობით“ - ჩამოაყალიბა, რომელშიც გამოავლინა არა მარტო პლატონის სოკრატესეული დიალოგების ზედმიწევნითი ცოდნა, არამედ ჭეგელის ფილოსოფიის ცოდნაც. კიერკეგორმა გააანალიზა რომანტიკული კონცეფციის ჭეგელისეული კრიტიკა და მიანიშნა ირონიის ჭეგელისეული გაგების სუსტ მხარეზე. კიერკეგორის კონცეფციის თანახმად, ირონია მიმართულია არა ცალკეული მოვლენის წინააღმდეგ, არამედ „ყველაფერი არსებითი ხდება უცხო ირონიული სუბიექტის მიმართ, რომელიც თვითონ ხდება უცხო ყოველი არსებითისთვის“ [Кьеркегор, 1993: 71]. როგორც ისტორიული სინამდვილე კარგავს „კანონიერებას“ ირონიულ სუბიექტთან მიმართებით, ასევე თავად ირონიული სუბიექტიც, გარკვეულ დონეზე, „არანამდვილი“ ხდება. კიერკეგორი მიუთითებს: „ჭეგელი ყოველთვის საუბრობს ირონიაზე, როგორც ურჩხულზე... მასში ხედავს ხელოვნების კრიზისის ნიშნებს, მის გაუცხოებას სუბსტანციონალური შინაარსისაგან“ [Кьеркегор, 1993:71-72]. „სოკრატული ირონიის“ არსის კიერკეგორისეული ხედვა ჭეგელისგან განსხვავდებოდა; კიერკეგორისთვის ირონიის არსი მდგომარეობდა ინდივიდის მიერ სამყაროში თავისი ადგილისა და მნიშვნელობის თავისუფალ განსაზღვრაში, პიროვნების სუვერენიტეტის განსაზღვრაში, ინდივიდუალობის განუმეორებელ გამოვლინებაში; უფრო მეტიც, კიერკეგორი ამტკიცებდა: „როგორც ნამდვილი მეცნიერების არსებობა არის შეუძლებელი ეჭვის გარეშე, ასევე, ცხოვრებაც შეუძლებელია ირონიის გარეშე“ [Кьеркегор, 1993:71].

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპულ კულტურაში, ფილოსოფიასა და ლიტერატურაში იწყება ირონიის „ტრაგიკული“, „საშინელი“ მხარის გააზრება, რომელიც ნიჰილიზმისა და სულიერი სიცარიელის სახით გვევლინება. აღნიშნულ პერიოდში ირონიის ცნება გამსჭვალულია დეკადანსის გრძნობით, საყოველთაო კატასტროფით „ევროპის დასასრულთან“ დაკავშირებით. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ირონიის პრობლემას, როგორც ისტორიული პესიმიზმის, დაღლილობისა და მელანქოლიის გამოხატვას, მიმართავდა *ფრიდრიხ ნიცშე*, რომლის ირონია - იმედგაცრუებული რომანტიკოსის ირონიაა. ფასეულობების ტრადიციული სისტემის აბსურდულობის ანალიზისას ნიცშე ხელმძღვანელობდა ნიჰილისტური მისწრაფებებით: ტრადიციული ფასეულობების, როგორც მოძველებული სისტემის დანგრევითა და ახალი ფასეულობების დამკვიდრებით, რომლებიც უფრო შეესაბამებოდნენ რეალურ ცხოვრებას. ევროპული ნიჰილიზმის ისტორიაში ნიცშემ გამოყო ოთხი პერიოდი:

- გაურკვევლობის/ბუნდოვანების პერიოდი, როდესაც შესამჩნევი ხდება „ძველის კონსერვირების“ (რაც გულისხმობს ზნეობრივი აბსოლუტების რწმენას) და „ახლის წინ წამოწევის“ არდაშვებისა და მორალური შეგნების გახრწნის ცდები;
- სიცხადის/მკაფიოობის პერიოდი, როდესაც ადამიანებმა უკვე იციან, რომ „ძველი“ და „ახალი“ - ფუნდამენტური წინააღმდეგობებია; რომ ძველი მორალური ფასეულობები შობილია დაღმავალი, ხოლო ახალი - ამორალური, აღმავალი სიცოცხლით;
- სამი აფექტის პერიოდი („დიდი სიძულვილის“, „დიდი სიბრალულის“, „დიდი ნგრევის“) - ისინი ხასიათდებიან როგორც „სრულყოფილი ნიჰილიზმის“ სიმპტომები;
- კატასტროფის პერიოდი, რომელიც აიძულებს „სუსტებს“ ისევე მიიღონ გადაწყვეტილებები, როგორც „ძლიერებს“ (ნიცშე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს სწავლება თავად შექმნა).

ასე რომ, ნიცშეს ნიჰილისტური ირონია – უკიდურესი იმედგაცრუებისა და სუბიექტურის ნგრევის ნიმუშია, როდესაც ირონიული გმირის სულში უკვე აღარ რჩება არაფერი წმინდა და აბსოლუტური, გარდა სიცოცხლისა [Ницше, 1994:279].

საინტერესო განვითარება პოვა ირონიამ *მოდერნიზმის* ეპოქაში. მოდერნისტული ირონიის ტრაგიკული ჟღერადობა განსაზღვრა აბსურდმა, როგორც ადამიანური ყოფიერების ძირითადმა პრინციპმა. ნ. ტომაშევსკის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში *აბსურდი* განიხილება როგორც „...გადაულახავი წინააღმდეგობა გონის ტელეოლოგიურობასა და მატერიის მუდმივი ორომტრიალის უაზრო ქაოსს შორის“ [Томашевский, 1996:116]. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოს სურათი იცვლება, რთულდება და ამ პროცესების წინაშე საზოგადოებრივი შეგნება მოუშვადებელი აღმოჩნდა. აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვიეს წინააღმდეგობრივი რეაქცია: ერთნი გატაცებულნი იყვნენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობებით და აღტაცებით მიესალმებოდნენ ახალ საუკუნეს; სხვები - შემოფოთებას გამოთქვამდნენ ჩვეული ფასეულობებისა და საფუძვლების ნგრევის გამო. აქედან

გამომდინარეობდა კონვენციონალური ირონიის დეკადანსი და დაღლილობა. ასეთი განწყობის ტიპური გამომხატველი იყო ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი შარლ ბოდლერი; მხედველობაში გვაქვს მისი შეფასებები კრებულში „ბოროტების ყვაილები“, რომელთაც პროვოკაციული ელფერი დაჰკრავდათ. რა თქმა უნდა, ბოდლერის ირონია აგრძელებს რომანტიკული ირონიის ტრადიციებს; ასევე, ნიცმეს ნიჰილისტურ ირონიას, მაგრამ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ფრანგ ნეორომანტიკოსებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიმბოლო, რომლის ამოცანას წარმოადგენს ადამიანის გადამისამართება ტრანსცენდენტურ აბსოლუტურ ფასეულობებთან. ამიტომ, მწერალი-სიმბოლისტი ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენს მხოლოდ ჩვეულებრივი სამყაროს ბინადართა მიმართ. ამის საფუძველზე კი ყალიბდება სამყაროში შემოქმედის დანიშნულების, ფასეულობების კრიზისისა და გააზრების ცდები კონცეპტუალური ირონიის ჭრილში. აქვე შევნიშნავთ, რომ მოდერნიზმის ეპოქაში მხატვრის ირონიული თვითგამართლებისა და თვითგანწმენდის მნიშვნელოვან დოკუმენტად იქცა სალვადორ დალის „ერთი გენიოსის დღიური“, სადაც პარადოქსულად არის გაერთიანებული, ერთი მხრივ, თვითდამცირებისა და თვითმხილების ირონია და, მეორე მხრივ, თვითშეფასების ამპარტავნება. დალი ცალსახად ენდობოდა ფროიდის სწავლებას ადამიანის ფსიქიკაზე მავნე და დესტრუქციული კომპლექსების შემოქმედების შესახებ, რაც მოგვიანებით სხვა შემოქმედებმაც გაიზიარეს [Дали, (ელექტრონული რესურსი)].

ამგვარად, XX საუკუნის მოდერნისტული ირონიის თანახმად:

- ✓ ირონია ინტელექტუალიზმის გამოვლენის ფორმაა, რომელიც ქმნის წინააღმდეგობრივი და ურთიერთთავსებადი გეგმის აზრობრივ სტრუქტურას; მქადვნდება ბიმოდალობასა და ორმომართულებიანობაში;
- ✓ აქვს მდიდარი ინტელექტუალური გამოცდილება, რათა ზუსტად აითვისოს ცნობიერებაში გამოვლენილი ირონიის განზომილებანი; ამიტომაც, ხშირად ინტელექტუალებში ირონიას „თავისიანის“ შემეცნების კონვენციონალური აზრი აქვს, ანუ, ირონია „საცდელი ქვაა“, რომლითაც ცდიან „სხვისიანს“, სანამ საკუთარ წრეში მიიღებენ;
- ✓ XX საუკუნის ინტელექტუალურ რომანში (თ. მანის „ჯადოსნური მთა“ და „დოქტორ ფაუსტუსი“, ჯ. ჯოისის „ულისე“...) მოდერნისტული ირონია განსაზღვრავს ტრადიციული ჰუმანიზმის კრიზისს; შეიცავს „ძველი“ ფასეულობების/ღირებულებების გადაფასების, პარადიული „მოხსნის“; ახალი ჰუმანისტური საფუძვლების, „ახალი ჰუმანიზმის“ ძიების პროცესს.

რაც შეეხება ირონიის როლს XX საუკუნის მეორე ნახევარში, *პოსტმოდერნისტულ კულტურულ პარადიგმაში*, როგორც ცნობილია, პოსტმოდერნისტულ ტექსტებში ირონიული აზრის წარმოჩენის ძირითად ინტელექტუალურ ხერხებად მოიაზრებენ ციტატებს, ალუზიებს, სხვადასხვა კულტურული ტექსტებიდან ახალ კონტექსტში გაჟღერებულ რემინესცენციებს, რომლებიც ახალი კულტურული კოდების მატარებლები ხდებიან და ა. შ. ეს გლობალური „თამაში“ ჩნდება სხვადასხვა დისკურსების გადაკვეთისას; მხატვრული სტრუქტურის ელემენტები კოლაჟის პრინციპით ერთიანდებიან და ქმნიან ეკლექტურობის ეფექტს, კონტრასტული და არათავსებადი მოვლენების პარადოქსულ თანაფარდობას. სტილისადმი უნდობლობა, რელატივიზმსა და ჭეშმარიტების არგამოხატვაზე დაყვანა, ორიენტაცია თამაშზე, როგორც არსებობის ფორმასა და მსოფლმხედველობაზე, რეალობის პარადიული ინტერპრეტაცია ხორცშესხმულია თანამედროვეობის მხატვრულ თვითშეგნებაში. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ ჯეიმზ ჯოისის, ჯონ ფაულზის, უმბერტო ეკოს, მილან კუნდერასა და სხვა პოსტმოდერნისტ ავტორთა შემოქმედება.

ამგვარად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, ირონია სუბიექტურ კატეგორიად გვევლინება, რამდენადაც გარკვეული სოციალური ჯგუფის ღირებულებითი ორიენტირების გამომხატველია და, მეორე მხრივ, ობიექტური კატეგორიაა, რამდენადაც საზოგადოების განვითარების რეალური წინააღმდეგობების შეფასების გამომხატველია; თავად ამ შეფასებას კი შეუძლია ობიექტურად არსებობდეს საზოგადოებრივ შეგნებასა და კულტურაში.

#### ლიტერატურა:

1. Славов И., Иронията в структурата на моденизма. София. 1979. 290 С.
2. Белинский В. Г., Собр. соч.: В 9 т. Т. 7. М. 1981.
3. Лосев А. Ф., История античной эстетики: Итоги тысячелетнего развития. В 2-х т. Т. 2. М. 1994. 604 С.
4. Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. М. 1975. 506 С.
5. Кессиди Ф. Х., Сократ, М., 1976. 198 С.
6. Платон. Пир// Соч: В 4 т. М. 1993. Т. 2. 539 С.
7. ჰეგელი. ესთეტიკა. გამომც-ბა „ხელოვნება“. თბ. 1978. 599გვ.
8. Бахтин М. М., Творчество Франсуа Рабле и народная култура средневековья и Ренессанса, М., 1965, 262 С.

9. Галле А., Ирония. Новый журнал иностранной литературы, Искусства и науки. 1898, Т.3, N7.
10. Буркхардт Я. Культура Возрождения в Италии. М. 1996. 592 С.
11. Ермоленко Г. Н. Формы и функции иронии в философской повести Вольтера - XVIII век: Искусство жить и жизнь искусства, М. 2004,  
<http://www.philology.ru/literature3/ermolenko-04.htm>.
- ელექტრონული რესურსი გადამოწმებულია. 22/08/2016 წელი.
12. Шлегель Ф., Эстетика, Философия, Критика: В 2-х т., Т.1, М., 1983. 480 С.
13. Кьеркегор С. О. О понятии иронии, Логос. Философско-литературный журнал, 1993. №4.
14. Ницше Ф, Избр. произв: В 3 т. М, 1994. Т. 3. 279 С.
15. Томашевский Б. В. Поэтика, М. 1996, 334 С.
16. Дали, „Дневник одного гения“ <http://book-online.com.ua/read.php?book=5050&page=2> ელექტრონული რესურსი დაზუსტებულია. 22/08/2016 წელი.

*Nana Jalaghonia*  
*Sokhumi State University*  
**THE IRONY, AS A BASIC CONCEPT OF CULTURE**  
**RESUME**

The concept of irony was viewed differently by different cultural and historical period. Life's happenings personality ironic attitude clearly shows the entire history of European culture, which allows us to talk about irony, as universal category of human thinking. when discussing about irony, as a cultural value, the problem should be considered the different types of historical irony spread in European culture, ranging from antiquity to the 21th century; In particular, we consider the Socratic irony, medieval folk laughter culture, the revival of irony, the irony of the Baroque, the Enlightenment satirical irony, romantic irony, an understanding of Kierkegaard's irony, Friedrich Nietzsche's nihilistic irony, modern conceptual irony and finally, postmodern irony. This paper will briefly review the main trends and typologies of historical irony and its signature qualities.

**გულნარა ჯიოშვილი**  
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლა

**აკაკის თანამშრომლობა იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“**

ილიას, აკაკისა და იაკობის იდეალური ურთიერთობა ამშვენებს ქართული კულტურის ისტორიას. გოგებაშვილი დიდად აფასებდა და უფრთხილდებოდა ამ ურთიერთობას და ყოველთვის თავისუფლად აყენებდა ამ დიდი მამულიშვილების დამსახურებას ერისა და მწერლობის წინაშე.

1900 წელს, როცა განიზრახეს იაკობ გოგებაშვილისათვის სალიტერატურო და პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავის საიუბილეო სადილის გამართვა, მან პრესაში („ივერია“, N95) ცნობა მოათავსა, რომლითაც იუწყებოდა, რომ წინააღმდეგი იყო საიუბილეო სადამოსი. ამ ცნობას ასე ამთავრებს დიდი პედაგოგი: „ჯერ იალბუხსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებს, თუ არ დაუშლიათ“. „მყინვარად“ ილიას გულისხმობდა „იალბუხად“ - აკაკის. იაკობი და აკაკი თანატოლები იყვნენ, ერთმანეთისა კარგად ესმოდათ, მათ მეგობრობაზე, საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის ურთიერთდაფასებაზე, თავაზიან

ურთიერთდახმარებასა და პატივისცემაზე დიდძალი ფაქტობრივი მასალა არსებობს. აქ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს დავასახელებ.

1884 წლის გაზაფხულზე აკაკის გამოუქვეყნებია ჟურნალ „ნობათში“ მთელი რიგი საბავშვო თხზულებებისა: გამოცანები, ლექსები, მოთხრობები, რომელთა შესახებაც იაკობ გოგებაშვილი წერდა: „აკაკის პატარა ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“ შემკულია ყოველი ღირსებით, რომელიც კი მოეთხოვება საუკეთესო საბავშვო ლექსს... აკაკის ლექსი ზედ გამოჭრილია საბავშვო ჟურნალის დანიშნულებაზედ. იგი ადვილი, ფრიად ადვილი შესათვისებელია ბავშვისთვის, როგორც შინაარსით, ისე ფორმით... ეს ლექსი საუკეთესო საბავშვო ლექსია და შეადგენს ნამდვილ მარგალიტს...“

რაც შეეხება აკაკის გამოცანებს „იშვიათი გონების სიმახვილე და მშვენიერი ცოდნა ხალხური ენისა სრულს შეძლებას აძლევდნენ აკაკის, გაამდიდროს ჩვენი ლიტერატურა მშვენიერად შედგენილი გამოცანებით.“ („დროება“ N41).<sup>1</sup>

აკაკიმ გაამდიდრა იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ორიგინალური, ნათარგმნი თუ გადმოკეთებული ლექსებით, რითაც აამაღლა ამ სახელმძღვანელოს მხატვრული დონე.

იაკობ გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოში დიდ ადგილს უთმობდა ქართველი კლასიკოსების თხზულებებს, მაგრამ ქართული სასწავლო და საკითხავი მასალის სიმცირე ქართველ პედაგოგს აიძულებდა თვითონ დაეწერა ან გადმოექართულებინა ზოგი საბავშვო ლექსი, რომელთა ნაწილი მან „დედაენის“ პირველ გამოცემაში დაბეჭდა 1876 წელს.

იაკობ გოგებაშვილი ვერ დაუკმაყოფილებია თავისივე თარგმნილი ლექსების მხატვრულ ღირსებას და მას აკაკისათვის უთხოვია „დედაენისათვის“ ახალი ლექსების დაწერა.

იაკობ გოგებაშვილმა 90-იან წლებში აკაკი წერეთელს გაუგზავნა „დედაენის“ წინა გამოცემებში მოთავსებული საკუთარი ლექსები, აგრეთვე ნაწილი თარგმნილი ლექსებისა, რომლებიც აკაკიმ ხელახლა გალექსა. ამ ლექსების უმეტესობა დაიბეჭდა „დედაენის“ 1891 წლის გამოცემაში იაკობ გოგებაშვილის მცირეოდენი შესწორებით.

იაკობ გოგებაშვილს აკაკი 1889-1891 წლებში მიუწევია „დედაენაში“ თანამშრომლად. აკაკის ხელმოწერად გაულექსავს „დედაენის“ 1891 წლამდე დაბეჭდილი ლექსები: „ვანო და ფრინველები“; „თხა“; „მწყერი და მწყემსი“; „კატა“; „მინდორში გასვლა“; „შევარდენი და მტრედი“; „ბალი და ჩიტები“; „ვაშლი“; „გაზაფხული“; „მერცხალი“; „მაისის დილა“; „მახეში გაბმული ჩიტი“; „თოვლი“; „გიორგობისთვის დღე“; „მდინარე“.<sup>2</sup>

მკვლევარი პავლე ინგოროყვა, რომელიც პირველად შეეხო „დედაენაში“ აკაკის მონაწილეობის საკითხს, ფიქრობს, რომ ამ სახელმძღვანელოსათვის დაწერილი აკაკის ლექსებიდან „ზამთარი“, იგივე „თოვლი“, არ ეკუთვნის იაკობ გოგებაშვილის თემატურ ქარგაზე შექმნილ ლექსთა რიცხვს. ამ შემთხვევაში მკვლევარი ცდება, რადგან ლექსი „ზამთარი“ (სხვა სათაურით „თოვლი“) იაკობ გოგებაშვილს მოთავსებული აქვს თავისი „დედაენის“ წინა გამოცემებში. იაკობ გოგებაშვილის „თოვლის“ საფუძველზე აკაკის შეუქმნია თავისი ლექსი „ზამთარი“, რომელიც 1892 წლიდან იბეჭდებოდა „დედაენაში“ ოდნავი ცვლილებებით.

იაკობ გოგებაშვილმა აკაკის გალექსილი ზოგი მასალა არ შეიტანა „დედაენაში“ და თავისი პირვანდელი ლექსები დატოვა. ამ ლექსებიდან ერთ-ერთია „ბალი და ჩიტები“.

იაკობის „ბალი და ჩიტების“ აკაკისეული ვარიანტი ასეთია:

„ბალი დამწიფდა ლალის-ფრად, ძირს დაუხრია ტოტები,  
აბუჩა სტუმრად წვეული გარს ეხვევიან ჩიტები.  
ენაფებიან სიამით, გაუდისთ ჟივილ-ხივილი.  
თავბრუ ეხვევით, არ ესმით მებაღის გულისტკივილი.  
გამოდნენ... მეტიც არ უნდათ! თავს ანებებენ საჭმელსა,  
ჭიკჭიკითა და ფრთქიალით მოედვენ ტყესა და ველსა“

იაკობის ვარიანტი, რომელიც გადასაკეთებლად მისცა აკაკის გახლავთ ეს:

„დამწიფდა ბალი, დამაქრდა, გამოსჩანს ვითა ბროლია,  
და მის გარშემო შეუდგათ ჩიტებსა სიხარულია.  
ჩიორაები სტუმრად დახუნძულს ხეხილს სწვევიან  
და ლხინით, ნაზი ჭიკჭიკით ტკბილს მარცვლებს შეექცევიან.  
არ იწყნარებენ ცელქები გლეხის თხოვნასა, ჩივილსა,  
ხილსა ჰკენკავენ, არ სწყვეტენ ხმამაღლა ჟივილ-ხივილსა.“

<sup>1</sup> ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთელისა“, ფედერაცია, თბილისი, 1940, გვ. 352-353.

<sup>2</sup> ამ ლექსების თანრიგი აღებულია აკაკის ხელნაწერიდან, რომელიც დაცულია აკად.სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში - 20.

აგერ გამოძღნენ ყველანი, ბალიდგან წამოიშალნენ

და მწვანე მინდორს და კორდსა ტკბილი სიმღერით მოედნენ"<sup>1</sup>

ამ ორი რედაქციიდან უპირატესობა იაკობისას უნდა მიენიჭოს. ამას გრძნობდა დიდი პედაგოგი და ამიტომ აღარ შეცვალა „დედაენაში“ ეს ლექსი აკაკის ლექსით.

იაკობ გოგებაშვილი აკაკის სთხოვდა აგრეთვე რუსულიდან ეთარგმნა რამდენიმე საბავშვო ლექსი „დედაენისათვის“.

„დედაენაში“ დაბეჭდილი ლექსის „მახეში გაბმული ჩიტი“ პირველწყაროა პლემნიკოვის ლექსი „Пойманная птичка“, რომელიც აკაკი წერეთელს გოგებაშვილის ადრინდელი თარგმანის საფუძველზე გადაუკეთებია. ასევე, პლემნიკოვის ლექსის თარგმანია „პატარაობისას ქრისტემ“. (Христос младенец и еврейские дети). წინა გამოცემებში ეს ლექსი მიჩნეული იყო ინგლისურიდან თარგმნილად. (იხ. აკ. წერეთლის თხზულებათა საიუბილეო გამოცემა, ტ. II, გვ. 521-ე).

იაკობ გოგებაშვილის თარგმნილი და ორიგინალური ლექსები აკაკიმ რომ ხელახლად გალექსა, ამას უცილობდნად ასტურებს აკაკის ლექსების შედარება იაკობ გოგებაშვილის მიერ პოეტისათვის გაგზავნილ ლიტერატურულ მასალასთან, აგრეთვე რუსულ დედნებთან. ამის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის თვით დიდი პედაგოგი თარგმანების გამო დაწერილ ერთ საპოლემიკო სტატიაში:

„რაც შეეხება აკაკის, მას რუსულიდან როდი გადაუთარგმნია... ლექსები. ესენი, ჩვენ მიერ თარგმნილი, ჩვენ ამოვწერეთ „დედაენიდან“, გაგვუგზავნეთ აკაკის და ვსთხოვეთ თავისებურად შეეცვალა მათი რედაქცია. მანაც შეასრულა თხოვნა და გამოგვიგზავნა თავისი ხელთნაწერი, თეთრად გადაწერილი, რომელიც დღემდის დაცული გვაქვს, მაგრამ ეს ხელთნაწერი ჩვენ ხელუხლებლად ვერ დავბეჭდეთ, მასში, თანახმად პედაგოგიურის მოთხოვნებისა და ბავშვის ფსიქიკის, ჩვენ მოვახდინეთ შიგა და შიგ ზოგიერთი ცვლილებანი... ძალიან ვეცადენით, რომ ყოველი ჩვენ მიერ მოხდენილი ცვლილება ყოფილიყო აკაკისებური. რომ ჩვენს წადილს სავსებით მივაღწიეთ, პედაგოგიური მოთხოვნილებაც დავაკმაყოფილეთ და აკაკის ლექსის ღირსებაც დავიცავით, აშკარად ჩანს იქიდან, რომ ეს ლექსი შეტანილია აკაკის თხზულებათა ცალკე გამოცემებში არა ისე, როგორც მის ხელნაწერებშია, არამედ რა სახითაც „დედაენაშია“ დაბეჭდილი.“<sup>2</sup>

იმის მაგალითად, თუ როგორი ძალით ხდებოდა დიდი პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიაში ნედლი მასალის მხატვრულ სიმღლეზე აყვანა, მოვიტან ლექსს „კატა“ იაკობ გოგებაშვილის ავტორობით და აკაკი წერეთლის ავტორობით.

„კატა“

(იაკობ გოგებაშვილისა)

„სახლის უკანა დედა კატუნა

იჯდა კუნჭულში დაღონებული;

მივიდა მასთან ხვადი ღრუტუნა

და ჰკითხა, რად ხარ დამძარებული?

ახალმა რძალმა ჩუმად შეჭამა

დილით შემწვარი ბატის ბარკალი,

ბრალი მე დამდო, ცილი დამწამა,

მიმაბეგვინა ალალ-მართალი.“

„კატა“

(აკაკი წერეთლისა)

„დედა კატა კარს უკან ცუცქს,

გრძელ-კუდ-ამოძუებული,

თვალში ცრემლი მოჰრევია,

სიმწუხარით სწყდება გული.

ხვადი მიდის, შეჰკრუტუნებს:

– „ჩემო კარგო ციცუნია!

ვიზედა ხარ გაბუტული

და ან ვინ რა გაწყენია?

– კოტემ თევზი მოიპარა,

შეშინდა და გადაჰფიცა;

მე ქურდობა შემომწამა,

<sup>1</sup> „ბალი და ჩიტების“ აქ წარმოდგენილი რედაქცია ერთადერთი კი არაა, არამედ 1876 წლიდან „დედაენის“ სხვადასხვა გამოცემაში იცვლებოდა, უმჯობესდებოდა მხატვრული თვალსაზრისით.

<sup>2</sup> „დედაენა“, 1876, 1886 წ.წ.



ურცხვად ღმერთი დაიფიცა.  
ის გადარჩა, მე გამკიცხეს,  
ის მტყუანი, მე მართალი,  
ამისთანა სამართალს-კი  
დაუდგება ორივე თვალი."

აკაკი წერეთელმა თავისი ლექსებით დაამშვენა ქართული პედაგოგიური აზროვნების შესანიშნავი ძეგლი „დედაენა“, მისი სახალხო მნიშვნელობა, სახელოვანი ქართველი პედაგოგის თაოსნობა კი ძლიერი სტიმული გამხდარა ქართველი პოეტისათვის, რათა მას ახალი შედეგებით გაემდიდრებინა ეროვნული საბავშვო ლიტერატურა.

იაკობ გოგებაშვილი თავად აღნიშნავდა, რომ ამდენი დახმარება პოეტური ნაწარმოებებით აკაკის გარდა სხვა პოეტს არ გაუწევია. ბუნებრივია, რომ აკაკი წერეთელი, რომელიც ბავშვობიდანვე წუხდა გიმნაზიაში გამეფებული რეჟიმის გამო, სიამოვნებით თანამშრომლობდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ ყველა გამოჩენილ მოღვაწეზე მეტად.

იაკობ გოგებაშვილი სიკვდილამდე თავის სცემდა აკაკის, მოხიბლული იყო მისი ღვთაებრივი პოეტური ნიჭით, სახელმძღვანელოში უხვად შეჰქონდა მისი პოეტური შედეგები, ზრუნავდა პოეტის ჯანმრთელობაზე და ეხმარებოდა მატერიალურად. თავად აკაკიც დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ამჟღავნებდა იაკობისადმი. ამის ნათელი დასტურია აკაკის მიერ იაკობისადმი მიწერილი წერილი. „ძმაო იაკობ! ამ დღეებში, მარია ივანოვნა დემურიასგან (ცნობილი საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ დამაარსებელი და რედაქტორი) წერილი მომივიდა. საყმაწვილო წიგნები უნდა გამოვსცეთ ქალებსა და დაგვცხმარეო!.. მე რა ავტორიტეტი ვარ, რომ აქ მომწვდნენ? შენ მანდ არა ხარ? შენ უკეთ არ მოუხერხებ საყმაწვილოსაც და სავაშკაცოსაც?... გეთაყვა, თუ მოგმართონ, ზურგს ნუ უჩვენებ!..."<sup>1</sup>

აკაკის საამაყოდ მიაჩნდა იაკობთან სიახლოვე, დიდად აფასებდა მის ღვაწლს ერის წინაშე და ამიტომ მიმართა მას ასე: „წარსულის შვილო, მომავლის მამავ, მყოფადის გადიაჲ!"

#### ლიტერატურა:

1. ლევან ასათიანი; „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, ფედერაცია, თბილისი, 1940, გვ. 352-353.
2. აკაკი წერეთლის ხელნაწერები, ავ. ს. საჯიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება - 20.
3. აკაკი წერეთლის თხზულებანი 7 ტომად; ტ. II. 1941, გვ. 721.
4. აკაკი წერეთლის თხზულებათა საიუბილეო გამოცემა, ტ. II, 1941, გვ. 521.
5. „ნიშადური“, 1908 წ., N42, გვ. მე-5, მე-6.
6. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, 1876 წ., 1886.
7. აკაკი წერეთელი, ტ. XV, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963, გვ. 117-ე. (წერილი დათარიღებულია 1898 წლით).

**Gulnara Jioshvili**

*LEPL - Gori Municipality Village Ateni Public School*

### **COOPERATION OF AKAKI IN THE “DEDAENA” (MOTHER LANGUAGE) OF IAKOB GOGEBASHVILI RESUME**

As we see, Akaki Tsereteli had carried out the creative work for the literature materials supplied by Iakob Gogebashvili for taking them up to the height of poetry. With his poem he has adorned the monument of Georgian Pedagogical mentality “Deda Ena”, has spread it’s public meaning, but at his end, the initiative of the famous pedagogue has become the strong stimulus for the Georgian poet, as he should have enriched the children’s literature with the new masterpieces.

<sup>1</sup> აკ. წერეთელი, ტ. XV, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963, გვ. 117-ე. (წერილი დათარიღებულია 1898 წლით).

ორი სასწავლო საგნის – ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის  
ინტეგრირებული სწავლების ზოგიერთი ასპექტი სკოლაში

ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა დისციპლინებისა და სასწავლო საგნების ინტეგრირებულ სწავლებაზე. თვით ტერმინი „ინტეგრაცია“ კარგად გამოხატავს ინტეგრირებული სწავლების შინაარსს (ინტეგრაციონ - აღდგენა; რაიმე ნაწილების ერთ მთლიანობაში გაერთიანება).

მეცნიერები, მეთოდისტები, ფსიქოლოგები, მასწავლებლები აღარ კამათობენ იმაზე, რომ ინტეგრირებული სწავლება დროის მოთხოვნილებაა და გლობალიზაციის საუკუნეში მას განიხილავენ, როგორც სწავლების, განათლების მიღების თანამედროვე მეთოდს, რომელსაც ძალუძს, ახალი ტექნოლოგიების პირობებში, უზღვავე ინფორმაცია და ცოდნა ეფექტურად მიაწოდოს შემსწავლელს.

ინტეგრირებული სწავლების პოზიტიურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

ა) ის აფართოებს მოსწავლეთა განათლების დონეს, ხელს უწყობს მათი ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას;

ბ) ინტეგრირებული სწავლება სინთეზური აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებაა. ერთი მხრივ, იგი ეხმარება მოსწავლეს ცოდნის განზოგადებაში, ხოლო მეორე მხრივ, ის ახდენს ცალკეულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის სინთეზს.

გ) მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებელი მუშაობისა და აზროვნების უნარ-ჩვევებს, - იძენს გამოცდილებას, სწავლობს ერთმანეთთან როგორ დააკავშიროს სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნა, როგორ გამოიყენოს ერთი საგნის წინარე ცოდნა, მეორე საგანში ასათვისებელი მასალის საფუძვლად.

დ) მასწავლებლები, სპეციალისტები ხაზს უსვამენ ინტეგრირებული გაკვეთილების აუცილებლობაზე, ბილინგვური სწავლების პირობებში. კერძოდ: ბილინგვური განათლების ეფექტურ ფორმად მიიჩნევა ენის სწავლება შინაარსზე დაფუძნებით, ანუ **საგნობრივი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლება**, რომელიც აფართოებს ენობრივ კომპეტენციას ისეთი კონკრეტული საგნების (საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, ესთეტიკური) შინაარსზე დაყრდნობით, რომელიც სცილდება ენის სწავლების ჩვეულებრივ, ტრადიციულ გაკვეთილს. მასწავლებელი კონკრეტული საგნის სწავლებასთან ერთად, იმ ენის ცოდნის გაღრმავებაშიც ეხმარება მოსწავლეს, რომელ ენაზეც ხორციელდება სწავლება (1).

ერთი სიტყვით, ინტეგრირებული სწავლება დროის მოთხოვნაა და ვერც ერთი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება გვერდს ვერ აუქცევს ამ პროცესს. აღსანიშნავია, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგიერთი სასწავლო დისციპლინის შიგნით უკვე განხორციელდა ინტეგრაცია, მაგალითად, მათემატიკაში: ცალ-ცალკე და ერთმანეთისგან მოწყვეტით აღარ ისწავლება ალგებრა, გეომეტრია, ასევე, საბუნებისმეტყველო საგნები პირველი ექვსი წლის განმავლობაში ინტეგრირებულად ისწავლება.

აქვე უნდა ითქვას იმაზეც, რომ მიუღებელია „ხელოვნურად შეკოწიწებული“ ინტეგრირებული გაკვეთილები. ის სწავლების მეთოდია და ვიყენებთ მაშინ, როცა **სასწავლო მასალა ერთი საგნის მეორესთან თემატური კავშირის დამყარების საშუალებასა იძლევა**.

ჩვენი აზრით, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს სხვა სასწავლო დისციპლინებთან დანათესავების ყველაზე ფართო არჩევანი აქვს: - საბუნებისმეტყველო საგნებთან (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე), ისტორიასთან, სამოქალაქო განათლებასთან, ხელოვნებასთან და სხვ. ეს ცალკე კვლევის თემაა. ამჯერად, ჩვენი პოლემიკის საგანს წარმოადგენს **ორი დამოუკიდებელი საგნის -**

ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება, ანუ ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის სწავლების ამოცანების წარმოდგენა ინტეგრირებული, კოორდინირებული სახით. იმ პირობებში, როცა წამყვანი პრინციპია საგნის (ენისა და ლიტერატურის) შინაარსობრივი ერთიანობა (2).

სკოლის რეფორმის საქმეში მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული როლი ენიჭება სასწავლო გეგმებს, საგნობრივ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს. ცვლილება, შეიძლება ითქვას, რადიკალური, სწორედ ამ სფეროში მოხდა - თვისებრივად და შინაარსობრივად შეიცვალა ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები. ეს კარგად ჩანს „სტანდარტების“ პრეამბულაში, სადაც ვკითხულობთ: „ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცენტრალური ადგილი უკავია ქართული ენას, რომელიც საქართველოს სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სახელწოდებით ისწავლება“ (3).

**აღნიშნული ფორმულირებით კარგად ჩანს, რომ საქართველოს სკოლებში ისწავლება არა ორი საგანი - ქართული ენა და ქართული ლიტერატურა, არამედ ერთი - ქართული ენა და ლიტერატურა.**

როგორი სახის განმარტებაც არ უნდა დავუერთოთ პროგრამას, აშკარაა, რომ **ეროვნული სასწავლო გეგმა მნიშვნელოვნად ზღუდავს მშობლიური ენის კონსტიტუციურ უფლებას**; რბილად რომ ვთქვათ, უგულებელყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ **ქართული ენა ჩვეულებრივ, რიგით საგნად ვერ ჩაითვლება, იგი ის ბალავერია, რომელზედაც იგება ცოდნის მთელი სისტემა. ეროვნული სკოლა მოწოდებულია, მშობლიურ ენაზე შეასწავლოს მოსწავლე ახალგაზრდობას მეცნიერების საფუძვლები, გზა გაუხსნას სხვა ენების ღრმად დაუფლებისკენ.** (დამტკიცებულია, რომ ყველა საგნის, მათ შორის სხვა ენების, ათვისება დედაენაზე სწავლებისას, ე. ი. მშობლიური ენის საფუძველზე, გახლავთ ყველაზე ეფექტური).

მასწავლებლებს, ამ პრობლემით დაინტერესებულ პირებს კარგად ახსოვთ, ის ვნებათღელვა, რაც „საგანმანათლებლო კონცეფციის“ განხილვას მოჰყვა. (2007 წ.) პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა, მეცნიერებმა, მეთოდისტებმა ერთხმად უარყვეს „კონცეფციის“ ე.წ. სამუშაო ვარიანტის ერთ-ერთი თეზისი, რომლითაც ქართული ენა და ქართული ლიტერატურა ერთ საგნად მოიაზრებოდა სახელწოდებით „ქართული“.

ორი საგნის ამდაგვარი „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ თვით მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოთა ავტორები გამოვიდნენ. რომლებიც ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ ამ ორი საგნის გაერთიანება სწავლების უფროს საფეხურზე, ორივეზე უარის თქმას ნიშნავდა.

სამწუხაროდ, დრომ აღნიშნული მოსაზრების ჭეშმარიტება დაამტკიცა. ჩვენ არ ვუარყოფთ ინტეგრირებული სწავლების სფეროებს, პირიქით, მართლწერის, სწორმეტყველებისა და პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების სწავლება შინაარსზე დაფუძნებით უაღრესად ეფექტურია და ის შესაძლებელია არა მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის, არამედ სხვა (საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, ესთეტიკური) საგნების სწავლებისას. ცალკე საუბრის თემაა, რამდენადაც ეფექტურია ინტეგრირებული სწავლება ბილინგვურ კლასებში. ის ხელს უწყობს არა მარტო მეორე ენის, არამედ სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე ათვისებას (4).

აქვე გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ორი საგნის ინტეგრირებით ერთ-ერთი აუცილებლად „დაიჩაგრება“ (ასეთია ინტეგრაციის კანონი). ეს „დაჩაგრვა“ გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლეები ვერ მიიღებენ სისტემურ და მყარ ცოდნას ქართული ენის ისეთ პრაქტიკულ საკითხებზე, როგორიცაა მართლწერა და სწორმეტყველება.

არადა, სპეციალისტებს მოეხსენებათ, რომ საგანი „ქართული ენა“ და არა „გრამატიკა“ (როგორც ადრე იწოდებოდა) ითვალისწინებს სისტემურ და ქრონოლოგიურ შესწავლას ისეთი საკითხებისა, როგორიცაა: ფონეტიკა და ორთოეპია, ლექსიკა და ფრაზეოლოგია, გრაფიკა, პრაქტიკული სტილისტიკა და სხვ.

ეს ის ელემენტარული საკითხებია, რომელთა შესწავლაც აუცილებელია, რათა მოსწავლემ, და არა მარტო მოსწავლემ, შეძლოს ნორმალურად წერა და მეტყველება. სხვათა შორის, ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება ახალი არ არის. აუცილებელია, ქართული ენისა და ლიტერატურის, რომელიც სკოლაში დომინირებული ფუნქციის მქონე სასწავლო საგანია, სხვა საგნებთან ინტეგრირებული სწავლება. შემთხვევითი არაა, რომ საუკუნეს ითვლის ინტეგრირებული მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელოები (იხ. ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, შ. თაბუკაშვილის, ვ. რამიშვილისა და თ. ჩერქეზიშვილის „მშობლიური ენა (მე-3 კლ.); კ. ლორთქიფანიძის „ჩონგური“ (1884); მ. ნასიძის „ქართული ქრესტომათია“ (1885) და სხვ.).

ქართული ენის, განსაკუთრებით მართლწერისა და სტილისტიკის საკითხების ტექსტებზე დაყრდნობით სწავლების აუცილებლობაზე არაერთი მეთოდური წერილი და რეკომენდაცია არსებობს. უნდა ითქვას იმაზეც, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე (2007 წ) მოქმედ ყველა პროგრამაში ცალკე იყო გამოყოფილი რუბრიკა - ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარება, რაც

კიდევ უფრო ნათელს ხდიდა ენის სწავლების მიზანსა და დანიშნულებას, ასევე მოცემული იყო რეკომენდაციები კონკრეტული ენობრივი საკითხების ტექსტთან კოორდინაციის შესახებ.

დრომ, გლობალიზაციამ, ახალი ტექნოლოგიების „შემოჭრამ“ კიდევ უფრო აქტუალური და მძაფრი გახადა მშობლიური ენის სწავლებისადმი წაყენებული მოთხოვნები, კერძოდ, ქართული ენის სწავლებამ უნდა გამოუმუშაოს მოსწავლეებს სწორი, დახვეწილი ზეპირი და წერიტი მეტყველება, მტკიცე ორთოეპიული და პუნქტუაციური ჩვევები... მისცეს გარკვეული ცოდნა გრაფიკის, ფონეტიკის, ლექსიკისა და სტილისტიკის საკითხებზე.

სწავლების პროცესის ზედაპირული ანალიზითაც კარგად ჩანს, რომ ქართული ენის სწავლების დღევანდელი მდგომარეობა ძალიან დაშორებულია ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, პირდაპირ რომ ვთქვათ, საგანგაშოა. ჩვენ ბავშვები, და არა მარტო ისინი, ცუდად წერენ და მეტყველებენ, ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმის ავტორები, ზოგადად, განათლების რეფორმის მესვეურები, ერთგვარ ხარკს უხდიან ინტეგრაციისა და საყოველთაო გლობალიზაციის იმ პოლიტიკას, რაც დღეს ჩვენში ხორციელდება. ჩვენი შრომის შეზღუდული მოცულობის გამო, არ ხერხდება დაწვრილებითი ანალიზი ყველა იმ ნეგატიური ასპექტისა, რომელიც ქართული ენის გრამატიკის, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო საგნის, უგულებელყოფამ, უფრო სწორედ, გაუქმებამ გამოიწვია (სამაგიეროდ, სრულად ისწავლება ინგლისური ენის გრამატიკა (!) ), მაგრამ რამდენიმეს მაინც გამოვყოფთ:

ქართული ენის, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო საგნის ქართულ ლიტერატურასთან (ტექსტთან) ინტეგრირების შედეგია:

- ა) ენის უსისტემოდ სწავლება;
- ბ) ენობრივი მასალის ხელოვნურად „მიზმა“ ტექსტზე;
- გ) ენის კანონებისა და წესების უსისტემო სწავლება;
- დ) სასკოლო სახელმძღვანელოებში ენობრივი მასალის იგნორირება (თუმცა იმაზეც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ალტერნატიულ გრიფირებული სახელმძღვანელოები ამ თვალსაზრისით უკეთესად გამოიყურება).

ფაქტია, ტექსტებზე დართული ერთი-ორი გრამატიკული სავარჯიშოთი, უფრო მოვალეობის მოხდას რომ ჰგავს, ვერ მიიღწევა მოსწავლეთა სრულყოფილი ენობრივი განვითარება. ჩვენ არავის მოვუწოდებთ გრამატიკული ცოდნის თვითმიზნური დაგროვებისკენ, მაგრამ მართლწერის მთელი რიგი აუცილებელი წესებისა და კანონებისადმი ზედაპირული მიდგომა სასურველი შედეგს რომ არ მოგვიტანს, ფაქტია.

ქართული ენის გრამატიკა ზუსტი მეცნიერებაა. მას აქვს თავისი წესები და კანონები. ამ წეს-კანონებს ექვემდებარება გამართული წერა და მეტყველება. მასწავლებლის, სახელმძღვანელოს პირდაპირი დანიშნულებაა მოსწავლეთათვის მისაწვდომი გახადოს ის წესები და კანონები, რომელთა გაცნობიერებითაც მიიღწევა სრულყოფილი ენობრივი განათლება (მაგალითად, შეუძლებელია ვასწავლოთ მიმატება-გამოკლება, გამრავლება-გაყოფა, მარტივი კვადრატული განტოლების ამოხსნა, შესაბამისი წეს-კანონების გარეშე).

ენის შესწავლა შეუძლებელია გარკვეული ქრონოლოგიის გარეშე, მაგალითად, როგორ შეიძლება გავარკვიოთ მოსწავლე რთული წინადადების კონსტრუქციებში, თუ მას ელემენტარული ცოდნა არ აქვს მარტივ წინადადებაზე, წინადადების შედგენაზე და სხვ. უნდა გვახსოვდეს, რომ ენის შესწავლა ერთი მთლიანი უწყვეტი, ყოველი გაკვეთილის თანმხლები პროცესია.

გთავაზობთ რამდენიმე მეთოდიკურ რეკომენდაციას, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების პირობებში.

ა) უპირველესად უნდა გამოვკვეთოთ სწავლების სტრატეგია, რაც **გულისხმობს ენის მიზნობრივ სწავლებას**. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეთა ნაკლები დატვირთვითა და გონივრული გამეორებით შევძლოთ სასურველი შედეგის მიღწევა. მოსწავლეთა აქტიუზაციით, მიზნობრივი ვარჯიშით, პრაქტიკული ხასიათის დავალებებით განვამტკიცოთ შესწავლილი და მივცეთ კონცეპტუალური ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხზე.

ა) ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების პირობებში შესაძლებელია, მოსწავლემ შეძლოს თავის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება. გარდა თვითკონტროლისა, სასურველია მოსწავლეები მიეჩვიონ ურთიერთკონტროლს, დაწერონ მცირე რეცენზიები, დაასაბუთონ შესწორებული ვარიანტი და სხვ.

ბ) ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებისას მიმართავენ მაგალითად, ისეთ აქტივობას, როგორიცაა **მრავალფეროვანი ინფორმაციის მატარებლის გამოყენება**, რაც გულისხმობს იმას, რომ ენის მასალა შეძლებისდაგვარად მარტივად აღსაქმელი გახდეს. ინფორმაცია მრავალფეროვანი მასალის გამოყენებით უნდა მიეწოდოს მოსწავლეებს: რეალური საგნების, ცხრილების, გამოსახულებების, დიაგრამების, ასევე დემონსტრირების, წინასწარ წაკითხვისა და წერის სტრატეგიების გამოყენებით.

გ) მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ორგანიზება - სწავლების ცენტრში უნდა იყოს მოსწავლე, მისი ინტერესები და საჭიროებები.

დ) დაწყებითი სწავლების საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსწავლეთა **ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებას**. ამისთვის აუცილებელია მოსწავლეებმა კარგად გააცნობიერონ წერა-კითხვის სწავლების ხუთი სფერო. ესენია: **ფონემური ცოდნა (ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება), ასო-ბგერების მიმართების ცოდნა; კითხვის მოქნილობა; ლექსიკური მარაგი; წაკითხულის გააზრება**. აქ ჩამოთვლილი ყველა სფეროს განხილვა არ ხერხდება, მაგრამ მოკლედ შევხებით ფონოლოგიური ცოდნას, რომელიც უმნიშვნელოვანესი ეტაპია ენობრივი უნარების განვითარებისათვის.

სიტყვა შედგება ბგერებისგან. ბგერა მეტყველების უმცირესი (დაუშლელი) ნაწილია. მას ბერძნულად **ფონემას** უწოდებენ. ფონემაც სიტყვის შემადგენელი ნაწილია და მნიშვნელობით შეესაბამება ბგერას.

ფონემები - ისეთი სამეტყველო ბგერებია, რომელთა ურთიერთჩანაცვლებით იცვლება სიტყვის მნიშვნელობა. ბავშვები, რომლებსაც კარგად აქვთ განვითარებული ფონემების გაცნობიერების უნარი, ადვილად ითვისებენ კითხვას და მართლწერას. ბავშვი ფონოლოგიური ცნობიერების განვითარების რამდენიმე ეტაპს გაივლის:

1. ბგერების დიფერენციაციის სრული უუნარობა;
2. მეტყველებაში ბგერების აღქმის საწყისი ეტაპი - არჩევს აკუსტიკურად კონტრასტულ ბგერებს, ვერ არჩევს აკუსტიკურად ახლოს მდგომ ბგერებს. აღიქვამს სიტყვებს გლობალურად, მთლიანი ჟღერადობისა და ინტონაციურ-რითმული ნიშნების მიხედვით;
3. იწყებს ბგერების გარჩევას. არჩევს სწორად და არასწორად წარმოთქმულ სიტყვას.
4. შეუძლია სიტყვაში პირველი და ბოლო ბგერის გამოყოფა, ბგერების სიტყვად გაერთიანება, სიტყვის ბგერებად დაშლა.

ფონემის უნარის გაცნობიერებისათვის საჭირო სასწავლო მეთოდები:

- ა) ფონემის იზოლაცია;
- ბ) სიტყვაში ერთი ბგერის ცნობა;
- გ) ფონემის იდენტიფიკაცია (სხვადასხვა სიტყვაში ერთი და იმავე ბგერის ცნობა);
- დ) ფონემის კატეგორიზაცია - (სხვადასხვა სიტყვაში საწყისი ბგერის გამორჩევა და ამის მიხედვით სიტყვების კლასიფიკაცია; )
- ე) ფონემის გაერთიანება. (ფონემის თანმიმდევრობით მოსმენა და მათი ერთ სიტყვად გაერთიანება);
- თ) ფონემის სეგმენტაცია - სიტყვების ბგერებად დაშლა ან სიტყვაში შემავალი ბგერების დაშლა;
- ზ) ფონემის გამოკლება (წაშლა) - ახალი სიტყვის მიღება სიტყვაში ერთი ფონემის გამოკლებით (შველი - ველი);
- თ) ფონემის დამატება - ახალი სიტყვის შექმნა სიტყვაზე ფონემის დამატებით (ალამი - კალამი);
- ი) ფონემის შეცვლა - ახალი სიტყვის შექმნა ერთი ფონემის შეცვლით (ქვა - რვა) (5).

საერთოდ მიგვაჩნია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა სრულიად ახალი ტიპის, ინოვაციური დოკუმენტია. ის ორიენტირებულია მოსწავლის დამოუკიდებელ მუშაობაზე (ზოგჯერ ზომაზე მეტადაც). მასში კარგად ჩანს, ფსიქოლოგების ენით რომ ვთქვათ ის, რომ „სწავლა მთლიანობითი ადამიანის მოქმედებაა“, რომ სწავლა არ არის მასწავლებლის „ცოდნით სავსე ჭურჭლიდან“ მოსწავლის ცნობიერების „ცარიელ ჭურჭელში“ ცოდნის „გადასხმის“ პროცესი... სწავლა არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მეხსიერებისა და გონიერების ფუნქციის იზოლირებული მოქმედების შედეგი... შესწავლილი მასალა მოსწავლის მთლიან პიროვნებას ღრმად უნდა განმსჭვალავდეს და მის პიროვნებაში ფართო გავლენასა და გავრცელებას აღწევდეს, სხვადასხვა ინტერესის სფეროს უნდა უკავშირდებოდეს (5).

როგორც დიდი ილია იტყოდა, „სამი ღვთაებრივი საუნჯიდან ” ენა ერთ-ერთია, რომელიც დაგვრჩა. „იგი საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხო“.

მოდით, ჩვენც ნუ გავიმეტებთ მშობლიური ენას „ინტეგრირებისთვის“, „განტვირთვისა“ და „სწავლის ძირის“ შემსუბუქებისთვის. მას დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება დაცვა და მოფრთხილება, ის ხომ ქართველი ერის ისტორიული განვითარების ყველაზე დიდი მონაპოვარია. მან ხომ „წარსულში სტიქიონური ძალების შემოტევისა და ქართველებს გაუძლო. მას ძალიან მაგარი ჩონჩხი აქვს“ (გ. ქიქოძე).

მოდით, ყველამ ერთად ვიფიქროთ, როგორ გამოვსტაცოდ მოძალადეს პირიდან ჩვენი „ენის ჩონჩხი“.

#### ლიტერატურა:

1. ი. ივეინა, 2009, საგნობრივი შინაარსისა და სწავლების ენის ათვისების ინტეგრირება გაკვეთილზე: ბილინგვური განათლება: სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისთვის.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული ენა და ლიტერატურა, 2007.
3. ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული ენა და ლიტერატურა, 2007, გვ. 6.
4. გაბუნია კახა, ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების თავისებურებები ბილინგვურ კლასში. [www.npig.gov.ge](http://www.npig.gov.ge)
5. როგორ ვასწავლოთ კითხვა (დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის), ქრესტომათია. (პროექტის ავტორი, რედაქტორი; ია კუტალაძე,) 2010.
6. ფრანგიშვილი ა. სწავლების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, წიგნში „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, თბ., 1975, გვ. 422-423.

*Jambu Avaliani*

*Akaki Tsereteli State University*

### **SOME ASPECTS OF INTEGRATED TEACHING IN TWO SUBJECTS- GEORGIAN LANGUAGE AND GEORGIAN LITERATURE RESUME**

The work deals with the studies of the integrated teaching in two subject -Georgian language and Georgian literature.

Practicing teachers, in general, the public does not share one of the thesis in the national curriculum, which is considered to be the subject of one of the Georgian language and literature-called "Georgian."

Integrated learning is demand of the time, but the result of the integration of these two independent subjects is concerned us today: teaching a language without any system, language material artificially "cohesion" of texts, the neglect of chronological sequence in teaching and etc.

Georgian language and literature in schools have to be taught separately as two independent subject, with its special programs and hours. Georgian language cannot be considered as an ordinary subject. It is the basis, which built the knowledge of the entire system. National school is committed to teach Youngers the basics of science in native language and pave the way for other languages to master deep.

**ციური ბაქრაძე**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### **ზნეობრივი აღზრდის ქცევის მოტივები და პედაგოგიური საშუალებანი**

გონება და ზნეობა ადამიანის პიროვნული ღირსებისა და საზოგადოების კულტურის დონის კრიტერიუმად განიხილებოდა ყოველთვის, ყველა დროსა და ყველა ქვეყნის საზოგადოებაში. ამასვე მიანიშნებს დიდი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „ადამიანის ღირსება განიზომება გონებრივი სიმაღლით, ზნეობრივი სისპეტაკით და სიკეთით, რომელსაც თესავს იგი თავისი მოღვაწეობით“. [1.104]

ზნეობა ანუ მორალი არის საზოგადოებაში დადგენილი ქცევისა და მოქმედების ნორმების და წესების ერთობლიობა, რომელსაც სწავლობს ეთიკური მეცნიერება. ზნეობრივი აღზრდა კი ემსახურება ამ ნორმებისა და წესების ათვისებასა და დაცვას. ზნეობა ქართული სიტყვაა და წარმოდგება „ზნე“-დან. მასში წინა პლანზეა წამოწეული მოქმედების გარეგნული ფორმა და შედეგი, თვალთ დასანახი და ხელშესახები საგნობრივ-ობიექტური ვითარება, მოქმედება და ჩვევა?! „ზნეობა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ხასიათის არსებითი ნიშანია“. [2.18]

ხშირად ერთმანეთთან ურევენ ზნეობასა და მორალს, ზნეობრივსა და მორალურს. მაგ. „ზნეობრივად და მორალურად აღზრდილი ადამიანი“, „მორალურად და ეთიკურად“, ან „ზნეობრივად სუფთა, მორალურად მაღალი, ეთიკურად ჩამოყალიბებული ადამიანი“ და ა.შ., რაც ზნეობრივი აღზრდის პროცესზე ერთგვარ გამაბუნდოვნებელ გავლენას ახდენს. ზნეობა და მორალი იდენტური სიტყვებია, ოღონდ პირველი ქართული სიტყვაა, ხოლო მეორე - ლათინური.

ზნეობის შემსწავლელ მეცნიერებას ეწოდება ეთიკა.

ანტიკური და შემდგომი ხანის უდიდესი ფილოსოფოსები: დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, რომაელი ორატორები, სენეკა, ციცერონი, პედაგოგიკის კლასიკოსები: კვინტილიანე, კომენსკი, ჯონ-ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ა. დისტერვეგი, დ. უშინსკი, ი. გოგებაშვილი და სხვები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ზნეობრივ აღზრდას პიროვნების ფორმირების საქმეში. დემოკრატემ პირველმა გამოყო ეთიკა, როგორც ცოდნის ცალკეული დარგი. მას ზნეობრივი სრულყოფის საფუძვლად სრულყოფილი განათლება მიაჩნდა. სოკრატეს კი - ზნეობრივი აღზრდის დანიშნულებად სიკეთისა და ბოროტების არსში გარკვევა. მისი აზრით, ბავშვი უნდა „დარწმუნდეს სიკეთის მშვენიერებაში და ბოროტების სიმახინჯეში“.

იან ამოს კომენსკი აღნიშნავდა: „ადამიანი ვალდებულია იყოს არა მარტო გონიერი, არამედ ზნეობრივი და ღვთისმომიმი“. [3.46]

ჯონ-ლოკის იდეალი ზნეობრივი ადამიანია. მას ზნეობრივი აღზრდის საფუძვლად გონებრივი აღზრდა, მრავალფეროვანი განათლება მიაჩნია. „მე სრულებითაც არ ვუარყოფ, რომ მეცნიერებათა შესწავლა ხელს უწყობს ადამიანებში სათნოებისა და სიბრძნის განვითარებას, კარგი სულიერი მონაცემების საფუძველზე, მაგრამ უნდა დავეთანხმოთ იმასაც, რომ ვისაც არა აქვს ასეთი მონაცემები, მათ მიყვავართ მხოლოდ იქითკენ, რომ ისინი ხდებიან სულელი და ცუდი ადამიანები“. [4.18]

ჟან-ჟაკ რუსო ზნეობრივი აღზრდის მთავარ ამოცანებად თვლის შრომით და რელიგიურ აღზრდას. მისი თქმით, „ყველა უსაქმური ადამიანი გაიძვერაა განურჩევლად იმისა, მდიდარია თუ ღარიბი, ძლიერია თუ სუსტი“. [5.620]

უშინსკის აზრით კი, ზნეობრივი აღზრდა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გონების ფართო ცოდნით გავსება.

იაკობ გოგებაშვილის აზრით „პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში უფრო მეტად საჭიროა და ძვირფასი, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნით“. [1.294]

ილია ჭავჭავაძე გონებრივ აღზრდაზე უფრო მაღლა ზნეობრივ აღზრდას აყენებდა, რადგან მისი აზრით, „ისევ გონება განუვითარებელი და ზნე-ხასიათის გაწვრთნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათის გაუწვრთნელი“. [6.209]

ზნეობრივი აღზრდა პედაგოგიკის მეცნიერებაში წარმოდგენილია, როგორც აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც გულისხმობს ეთიკური ნორმებისა და წესების ათვისებას და დაცვას სამშობლოსთან, საზოგადოებასთან, სხვა ქვეყნებთან, ბუნებასთან, სულიერ და მატერიალურ ღირებულებებთან, ადამიანებთან, საკუთარ თავთან. ეს ურთიერთობები განზოგადოებული სახით წარმოგვიდგება ზნეობრივ კატეგორიებში, როგორიცაა: ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, სიმართლე, სამართლიანობა, პატიოსნება, სიყვარული, მეგობრობა, გულწრფელობა, მიუკერძოებლობა, გულისხმიერება და ა.შ., რაც სიკეთის ცნებაში თავსდება და ათ ბიბლიურ მცნებას ეხმიანება.

იმისათვის, რომ გავიგოთ ზნეობის სიკეთე, უნდა ვიცოდეთ მისი საპირისპირო, უზნეობის არსი, რომელიც ბოროტების სფეროში მოიაზრება. ესენია: კაცთმოძულეობა, ღალატი, სიძულვილი, სიხარბე, მკვლელობა, ძალადობა, ქურდობა, მრუშობა, ცილისწამება, სიცრუე, შური, სიხარბე, ეგოიზმი, ჭორიკნობა, კორუფცია, მექრთამეობა, მლიქვნელობა, ბილწსიტყვაობა, სიზარმაცე, მათხოვრობა, ლოთობა, გარყვნილება და ა.შ.

ზნეობა სიკეთის, ბედნიერებისა და მშვიდობის წყაროა. უზნეობა კი ბოროტების, უბედურების, სიძულვილის, ავადმყოფობის, ნადრევი სიბერისა და სიკვდილის მშობელი.

ზნეობა და სამართალი - ორივე ქცევისა და მოქმედების კანონებს არეგულირებს, მაგრამ მათ შორის სხვაობა ის არის, რომ სამართლებრივ - ადმინისტრაციულ ნორმებსა და წესებს სავალდებულო ხასიათი აქვს მაგრამ მათი დამრღვევის, შემთხვევაში იურიდიულ - ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება და კანონით ისჯება. იურიდიული ნორმები და კანონები ცოდვებისგან შემდგომი გარეგანი ძალაა, რომელიც დასჯის შიშზეა დამყარებული.

ზნეობის სფეროში განსხვავებული ვითარებაა. ზნეობრივი ნორმებისა და წესების დაცვა იძულებით ხასიათს არ ატარებს, ის პიროვნების შინაგანი მოთხოვნილებაა და შეგნებულობის პრინციპს ემყარება.

ზნეობრივი აღზრდა ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ზნეობრივი აღზრდის მიზანია ეთიკური ნორმებისა და წესების მოსწავლის ინტელექტუალურ საკუთრებად, მის შეხედულებებად, რწმენად და მოქმედების უნარ-ჩვევად გარდაქმნა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა: ზნეობრივი შეგნება, ზნეობრივი გრძნობა და მოთხოვნილება, ზნეობრივი მოქმედების პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

შეგნების ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია როგორც ყოფიერების ცნობიერებაში ასახვა. ზნეობრივი შეგნება ნიშნავს ეთიკური ნორმებისა და წესების შესაბამისად ცხოვრების აუცილებლობის გაცნობიერებას. ზნეობრივ შეგნებას საფუძვლად უდევს ზნეობის შინაარსის ანუ ეთიკური ნორმებისა და წესების ცოდნა.

ზნეობრივი მოქმედების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით იკვრება მოქმედების ზნეობრივი აღზრდის წრე. სწორედ პრაქტიკა არის ის ასპარეზი, სადაც პიროვნება ახდენს თავისი ინტელექტუალური და პრაქტიკული შესაძლებლობების რეალიზაციას, რომლის მეშვეობით ხდება საზოგადოების წევრი. ზნეობრივი მოქმედების უნარ-ჩვევები გულისხმობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობებს, პროფესიული, მოქალაქეობრივი, შრომითი, ოჯახური და სხვა მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებას.

როგორც ცნობილია, ზნეობრივი ქცევა და მოქმედება ყოველთვის არ არის ზნეობრივობით ნაკარნახევი. ზნეობრივობას ზნეობრივი აქტივობის მოტივები განსაზღვრავს. მოტივები შეიძლება იყოს შემდეგი: ანგარება, გამორჩენა, პირველობისა და ლიდერობის სურვილი, დაწინაურება, კარიერა, გამდიდრება, უპირატესობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა. ყველაფერი, რაც ყალბად კეთდება. ამ მოტივებით ჩადენილი ქცევა, რაოდენ სასარგებლოც არ უნდა იყოს, ზნეობრივობის კატეგორიაში არ ჯდება.

ზნეობრივობის განსაზღვრული კრიტერიუმებია ღვთისა და მოყვასის სიყვარული, მაღლიერება, უანგარო დახმარება, სიხარულის მინიჭება, უბრალოდ, სიკეთის ქმნის შინაგანი მოთხოვნილება, რომ ასე უნდა და სხვანაირად არ ძალუძს.

პედაგოგიკა ეთიკიდან, როგორც მისი მოსაზღვრე მეცნიერებიდან იღებს ზნეობისა და მისი კატეგორიების შესახებ ცოდნას და პედაგოგიური საშუალებებით მას აქცევს აღსაზრდელის ინტელექტუალურ საკუთრებად, მსოფლმხედველობად, მრწამსად, ეთიკური მოქმედების პრაქტიკულ უნარ-ჩვევად.

განვიხილოთ პედაგოგიკის მექანიზმები:

ზნეობრივი აღზრდა, როგორც აღზრდის შემადგენელი ნაწილი და მისი განუყოფელი კომპონენტი კომპლექსური ხასიათისაა და ყველა პედაგოგიურ სისტემებსა და პროცესებს მოიცავს. ეს იქნება საკლასო, საგაკვეთილო სისტემა, კლასგარეშე და სკოლის გარეშე სისტემები და, რაც მთავარია, ოჯახი. სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესი ძირითადად ამ ოთხ ფაქტორზეა. თითოეულ ამ სისტემას თავისი როლი აკისრია პრობლემის გადაწყვეტაში, მაგრამ უმთავრესი, მაინც სწავლებაა, რადგან აღზრდა, უპირველეს ყოვლისა სწავლების ფუნქციაა. ყოველ კლასში, ყოველ სასწავლო დისციპლინას გააჩნია მეტ-ნაკლებად ზნეობრივი აღზრდის შესაძლებლობა, რაც აუცილებლად უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ურთიერთშეთანხმებულად და უნდა აისახოს ყოველი გაკვეთილის გეგმაში.

კლასგარეშე პედაგოგიური სისტემები ქმნის პედაგოგიურ პირობებს სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესის უწყვეტობისა და უკვე მიღებული ინფორმაციების გაღრმავება - განმტკიცებისათვის.

სკოლის გარეშე აღმზრდელობითი მუშაობის მიზნობრივ ორგანიზაციას გარკვეული წვლილი შეაქვს ზნეობრივ აღზრდაშიც. სხვადასხვა გარემოში ადაპტაციის პროცესი მოსწავლეს მუდმივად აყენებს ეთიკური ქცევების რეჟიმში და ახდენს მთელი ეთიკური ცოდნა-გამოცდილების მობილიზება-კონცენტრაციას თვითდამკვირვებისა და თვითრეალიზაციის, ასევე გარკვეული იმიჯის მოპოვების მიზნით.

ოჯახის როლი აღზრდაში განუზომელია, განსაკუთრებით ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით. აქ იღებს აღსაზრდელი საწყის ელემენტებს იმ თვისებებისა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი პიროვნებისათვის.

სასწავლო-აღმზრდელობითმა პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ ჩამოყალიბდეს ჰუმანისტური პიროვნება, რომელსაც ადამიანებისადმი კეთილგანწყობის, სულიერი სიმდიდრის, გულმოწყალების, ემპათიის, გულწრფელობის, სამართლიანობის და სხვა თვისებები ექნება და უფრო მეტად მოძებნის არა კონფრონტაციას, არამედ კომპრომისს.

ზნეობრივი აღზრდის პროცესში სიძნელე ვლინდება. იმიტაც, რომ გარშემომყოფების პიროვნული მაგალითები ყოველთვის არ ემთხვევა საზოგადოების ზნეობრივ წარმოდგენებს. ზნეობრივი წარმოდგენები მთლიან პიროვნებას გულისხმობენ, ანუ პიროვნულ თვისებათა ჰარმონიულ ერთიანობას ითვალისწინებენ.



ზნეობრივი აღზრდა ადამიანის პიროვნებად ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური პროცესია, სადაც ბიოლოგიური და სოციალური გარემოს ფაქტორების კოორდინაციის საფუძველზე, მასწავლებელი უზრუნველყოფს დიდი სიყვარულის, პატიოსნების, სამართლიანობის, თვინიერების, შრომისმოყვარეობის, მშვიდობისმოყვარეობის, ყოველგვარი სიკეთისა და ღირსეული თვისებებით აღჭურვილი, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებას, ზნეობრივი შეგნების, ზნეობრივი გრძნობების და ზნეობრივი ქცევის უნარ-ჩვევების აღზრდას.

#### ლიტერატურა:

1. გ. ბანძელაძე, ეთიკა, თბ., 1985.
2. ი. გოგებაშვილი, საგანძური (კრებული), თბ., 1982.
3. იან ამოს კომენსკი, რჩეული პედ. თხზ. თბ., 1999.
4. ჯონ-ლოკი, ფიქრები აღზრდაზე, თბ., 1994.
5. ჟან-ჟაკ რუსო, თხზ. ტ. III, 1952.
6. ი. ჭავჭავაძე, რჩ. ნაწ. ტ. II, თბ., 1985.

*Tsiuri Bakradze*

*Gori State Teaching University*

### **PATTERNS OF MORAL EDUCATIONAL BEHAVIOUR AND TEACHING FACILITIES RESUME**

Moral education is one of the most important pedagogical process of the formation of human personality.

Based on coordination of biological and social environmental factors an teacher provides to form an mentally moral, honest and educated human being.

The principal objective of moral education is to transform student's ethical norms into their intellectual property, belief and behaviour. To achieve these goals, it is important to work out issues such as: a moral consciousness, sense and the skills of ethical behaviour.

მაია გოგიჩაიშვილი

ქ. თბილისის კერძო სკოლა „ლამპარი“

### **აკადემიური კონკურსების როლი და მნიშვნელობა განათლებაში**

კონკურენცია აუცილებელია სწავლის პროცესში?

განათლება და კონკურსი ორი უნივერსალური ინგრედიენტია ყველა ადამიანურ კულტურაში, ფაქტობრივად, თითქმის ყველა ცხოველის მთელს ცხოვრებაშიც. ადამიანები ყოველთვის მოისაზრებდნენ განათლებას და კონკურენციას მნიშვნელოვან საკითხებად, როგორც წარსულში ასევე დღემდე. რა თქმა უნდა, ყოფილა მნიშვნელოვანი ძვრებიც და შედეგად ბევრი რამ შეიცვალა საუკუნეების განმავლობაში.

ამ სტატიაში, მე ვაპირებ, განვიხილო აკადემიური კონკურსების როლი როგორც განათლებაში, ასევე სტუდენტურ ცხოვრებაში. მე მინდა დავიწყო განათლებისა და კონკურსის მიმოხილვით.

განათლება:

ყველა ცოცხალ არსებას დედამიწაზე სჭირდება ცოდნა და უნარები, მათი გადარჩენისა და გამრავლებისთვის. ცოცხალი ქმნილებების უმეტეს სახეობას ცოდნა და უნარები გადაეცემა გენეტიკურად თაობიდან თაობას, მაგრამ ადამიანის უნარები და ცოდნა, ძირითადად, დამოკიდებულია განათლებაზე. მართლაც, განათლება არის ის, რაც ადამიანს ხდის დომინანტს.

კონკურსი:

ეჭვი არ არის, რომ განათლება არის საიდუმლო გასაღები ადამიანის წარმატებისკენ მიმავალ გზაზე და განათლების ფესვები სწორედ კონკურსიდან მოდის. ბავშვი იზადება ცოდნისა და უნარების გარეშე, და ისინი ცხოვრების ყოველ ეტაპზე მუდმივად მონაწილეობენ რაღაც ტიპის კონკურსებში, რაც ანვითარებს მათ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას სასწავლო პროცესში. რეალურად ადამიანის ცხოვრება სავსეა კონკურსებით. ბავშვი ასპარეზობს სკოლაში, კოლეჯსა და უნივერსიტეტში და, ბოლოს, ის კონკურენტუნარიანია საკუთარ პროფესიულ არეალში.

კონკურსი განათლებაში:

განათლება და სრულყოფა ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან ისევე, როგორც კონკურსები ჩადებულია განათლებაში, რათა განავითარონ საგანმანათლებლო უნარ-ჩვევები. მართლაც, კონკურსების გარეშე, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია განათლება. სტუდენტს უწევს ბრძოლა ტესტზე მუშაობისას და ერთხელაც როდესაც დაძლევის მას და გავიდა მომდევნო ეტაპზე, ის მიიღებს აღიარებას შესაბამისი დაწესებულებისგან. შემდეგ ეს დაწესებულება აწყობს სხვადასხვა სახის კონკურსებს, რომელიც აძლიერებს სტუდენტის როგორც ცოდნას, ასევე უნარებს. გამოცდა თავისთავად არის ყველაზე დიდი კონკურსი, სადაც სტუდენტი კონკურენტუნარიანს უწევს სხვებს.

რა არის თავად კონკურსი?

ადამიანთა კონკურსი ეს არის შეჯიბრი, სადაც ორი ან მეტი ადამიანი იბრძვის გარკვეული მიზნისთვის, რომელშიც როგორც წესი არ არსებობს გამარჯვებული და დამარცხებული. ინდივიდები და / ან ჯგუფები ისეთ პოზიციებში არიან, სადაც მათ უნდა მიაღწიონ შედეგს. მაგალითად, სპორტული გუნდის შეჯიბრებებში, გუნდი ერთვება იმ მიზნით, რომ მოიგოს მატჩები, მიიღოს პირველი ადგილი ტურნირზე.

საკამათოა საკითხი - შეჯიბრებები/კონკურსები დადებითია თუ არა განათლებაში. აქედან გამომდინარე, მაგალითად, Verhoeff (Verhoeff, 1997) არის კონკურსების ძლიერი მხარდამჭერი, ამტკიცებს რა, რომ კარგად ორგანიზებული კონკურსის გამოწვევები მის მონაწილეებს უზიძვებს, რათა მათ გამოავლინონ საკუთარი საუკეთესო შესაძლებლობები და აკადემიური მიღწევები, და ამით იგი აძლიერებს სტუდენტის მოტივაციას და სწავლას. Lawrence (Lawrence, 2004) ეთანხმება ამ მოსაზრებას და აცხადებს, რომ კონკურსი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და ზრდის მოტივაციას. Fulu (Fulu, 2007) ასევე აღიარებს გარკვეულ შანსებს შეჯიბრებებში, როგორიცაა აღიარების მომატება და უფრო მეტი მოტივაცია და თავმოყვარეობის გაზრდა. უფრო მეტიც, Fasli და Michalakopoulos (Fasli & Michalakopoulos, 2005) მიიჩნევენ, რომ კონკურენტული ელემენტი მოქმედებს, როგორც სტიმული ყველა სტუდენტისთვის, იმისათვის, რომ მათ უფრო მეტი ძალისხმევა ჩადონ და ამასთან შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებიც კი იღებენ მონაწილეობას. ამ მიმართულებით, Siddiqui, Khan და Katar (Siddiqui, Khan და Katar, 2007) წარმოადგინა კვლევა, რომელიც ცხადყოფს, რომ არსებობს მაღალი კონკურენტუნარიანობა სტუდენტებს შორის. Lam et al. (Lam et al., 2001), აცხადებს, რომ კონკურენტუნარიანობა აზიანებს სასწავლო პროცესს რამდენადაც აიძულებს სტუდენტებს სწავლის პროცესის ნაცვლად ფოკუსირება მოახდინონ თავად კონკურსის მიზნებზე. Vockell (Vockell, 2004) ასევე ამტკიცებს, რომ სტრესს, რომელიც სტუდენტს გასდევს კონკურსის მიმდინარეობისას, გააჩნია უარყოფითი გავლენა, რომელიც აღემატება მიღებულ სარგებელს. გარდა ამ კონტრასტისა, არსებობს უფრო ზოგადი შეთანხმება, რომ გუნდური შეჯიბრებები ნაკლებად საზიანოა სტუდენტებისთვის, და შეუძლია გააუმჯობესოს მათი სწავლის უნარი. Thousand et al. (Thousand, Villa & Nevin, 1994) აცხადებს, რომ ერთობლივი მიზნები სტუდენტებს უზიძვებს მეტად იზრუნონ საკუთარ პასუხისმგებლობებზე და ამოცანებზე თავიანთი ჯგუფისთვის. Yu et al. (Yu et al., 2002) ამბობს, რომ თუ ჩვენ მოსწავლეებს შევთავაზებთ არჩევანის საშუალებას, დავინახავთ, რომ მათი უმრავლესობა ინდივიდუალური შეჯიბრებების შემთხვევაში უპირატესობას მიანიჭებს ანონიმურად დარჩენას ვიდრე უშუალო კონკურენტუნარიანობა, რაც უფრო სავარაუდოა, რომ შეამცირებს სტრესს და სხვა მსგავს უარყოფით ემოციებს. უფრო მეტიც, Shindler (Shindler 2007) განსაზღვრავს "ჯანსაღ" კონკურსს, როგორც მოკლე აქტივობას, სადაც შედეგები უნდა იყოს ტრივიალური (უბრალო, ყოველდღიური) და რომელიც უნდა იყოს ორიენტირებული პროცესზე, ვიდრე შედეგებზე.

ზემოთ მოცემული შეპირისპირება მიზნად ისახავს, გაარკვიოს და ცდილობს განავითაროს ჯანსაღი კონკურენტუნარიანობის მიდგომა მარტივ სასწავლო გარემოში.

კონკურსი სასწავლო გარემოში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ განხილვის თემად რჩება რომ კონკურსი შეიძლება არ იყოს ჯანსაღი პროცესი საგანმანათლებლო პროცესში, მიუხედავად ამისა, რაც ცხადია, არის ის, რომ არსებობს თვისებები, რომლებიც კონკურენტულ საქმიანობას უნდა ჰქონდეს, რათა ის გახდეს მეტად სასარგებლო, ან სულ ცოტა ნაკლებად ზიანის მომტანი (Shindler, 2007; Thousand, Villa & Nevin, 1994; Yu et al., 2002). ამ

სექციაში, მოკლედ განვიხილავ ზოგიერთ ამ თვისებათაგანს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან განმარტებასთან - ჯანსაღი კონკურენცია.

პირველი, პრიზები გამარჯვებულებისთვის უნდა იყოს სიმბოლური, ან ძალიან მცირე მნიშვნელობისა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა შიდა ძალისხმევის მობილიზება, შინაგანი მოტივირება და არ ამოდრავდეთ მათ მოსალოდნელი შედეგები. როდესაც ვაძლევთ სტუდენტებს აზრიან ჯილდოს გამარჯვებისთვის, ჩვენ ვხდით გამარჯვებას მნიშვნელოვანს რამდენადაც ვაფასებთ ამაში მათ ძალისხმევას, შრომას, ბრძოლას ხარისხიანი განათლების მიღებისთვის. კერძოდ, ჩაწერილი მაღალი შეფასება, მატერიალური ღირებულების ნივთები და ნებისმიერი სახის შეღავათები ნებისმიერ ფასად თავიდან უნდა იქნას აცილებული. მეორე, კონკურსი უნდა იყოს ხანმოკლე. კონკურსის ხანგრძლივობა მისი მნიშვნელობის შეგრძნებას ზრდის და ამცირებს მის ინტენსივობასა და ხალისს, ორივე რასაკვირველია არასასურველი ეფექტებია. მეორეს მხრივ, კონკურსი უნდა იყოს საკმარისად ხანგრძლივი, რათა თავიდან ავიცილოთ სტუდენტის დემოტივაცია პირველადი ნეგატიური შედეგების გამო და დაარწმუნოს, რომ ყველა მონაწილეს ბოლომდე აქვს კარგი შანსი ამ აქტივობაში, რათა მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას.

და ბოლოს, კონკურსის მიზანი უნდა იყოს ნათლად მითითებული პროცესში და არა შედეგში, ნათელყოფით, რომ საბოლოო გამარჯვება ან დამარცხება ძალიან დაბალი მნიშვნელობისაა ვიდრე თავად სწავლა და განვითარება. იმისათვის, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ, პირველი საკითხი (სიმბოლური პრიზები) შეიძლება ჩაითვალოს როგორც წინაპირობა მას შემდეგ, რაც დაწესებულმა ღირებულებამ პრიზმა კონკურსში შეიძლება ადვილად გამოიწვიოს სტუდენტების მასზე ფოკუსირება.

როდესაც მივიღებთ ერთად ამ სამი თვისებების მქონე კონკურსს, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველაზე ჯანსაღი და სასარგებლო კონკურსები არიან სწორედ ისეთები, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობის დაჯილდოებით (მაგ, შექება, თავაზიანი ტაში გამარჯვებულებისთვის და ა.შ.), მოკლედ, ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ მათ აქვთ შანსი, რომ გაიმარჯვებენ.

კონკურსის დადებითი მახასიათებლები:

როდესაც ყველაზე მეტად თავად კონკურსზე ფიქრობენ, მისი მონაწილეები არ იაზრებენ, რომ რაღაც შეიძლება იყოს მომგებიანი. როგორც წესი, ჩვენში კიდევ მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ფიქრობენ, რომ ნებისმიერი სახის კონკურსი ცუდია მათთვის ან მათი მოსწავლეებისათვის. თუმცა არსებობს კონკურსის ბევრი პოზიტიური ასპექტი და მათი შესწავლით, შეეძლება საუკეთესოდ მომზადებული იყვნენ, რათა გამოიყენონ ეს სარგებელი საკუთარი თავისა და საკუთარი მოსწავლეების სასარგებლოდ:

მუდმივად მზადყოფნის რეჟიმს გინარჩუნებთ.

კონკურსის გარეშე, იქნებოდით ადამიანი სრულიად მოდუნებული რომელსაც არ აწუხებს, არ აღელვებს არაფერი დედამიწის ზურგზე. ეს გხდით თქვენ დაუცველს იმ შეცდომების მოლოდინში, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს დაუშვან და ამასთან ძვირად დაგიჯდეთ. კონკურსის მოლოდინში, უფრო სავარაუდოა, რომ ფართოდ გახეილილი თვალებით აფიქსირებთ ყველა დეტალს ისე, რომ თქვენ კვლავ ინარჩუნებთ დომინირებას თამაშში. კონკურსი გაიძულებთ დაინახოთ ისეთი რამ, რისი შემჩნევისთვისაც კი თავს არ შეიწუხებდით უწინ.

გეხმარებათ შეაფასოთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები.

თუ გავყვებით ლოგიკურად წინა ქვეთავში მოცემულ აზრს შემჩნევასა და დანახვაზე, ეს ნიშნავს იმას რომ თქვენ ამჩნევთ და შეგიძლიათ ობიექტურად განსაზღვროთ თუ რას აკეთებთ სწორად და რას მცდარად. კონკურსის საშუალებით, თქვენ ზომავთ რამდენად კარგად ან ცუდად აკეთებთ რაიმეს. იმის გაგება, თუ რაში ხართ ძლიერი და რაში არა, არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან წარმატება არის ის, რაც ხაზს უსვამს თქვენს ძლიერ თვისებებს და იმავდროულად მაღავს თქვენს სუსტ მხარეებს. რამდენად კარგად აღწევთ მიზანს განსაზღვრავს, თუ რამდენად შორს წახვალ.

გხდით შემოქმედებითს.

რომ არა კონკურსი, ჩვენ ალბათ ისევ ქვის ხანაში ვიქნებოდით. მიმოიხედეთ თქვენს გარშემო, ყველაფერი, რასაც ხედავთ, არის პროდუქტი გარკვეული სახის კონკურენციისა. შეხედეთ, თუ რამდენად შორს წამოვიდა ადამიანი. შემოქმედებას მოაქვს ყველაფერი საუკეთესო ყველა ჩვენგანისთვის.

გეხმარება მივაღწიოთ წარმატებას.

რა თქმა უნდა, ნებისმიერ კონკურენტულ გარემოში, ყოველთვის იქნება თვენი ადგილი წარმატებებისკენ. როგორ გავუმკლავდეთ დაბრკოლებებს ნამდვილად განსაზღვრავს და აყალიბებს თქვენს ხასიათს. თუ ყველაფერი ყოველთვის მზა იქნება ჩვენს გზაზე, რას ვისწავლით ჩვენ ოდესმე? ამასთან, ცხოვრებაც მიიღებს საკმაოდ მოსაწყენ სახეს ძალიან სწრაფად! კონკურსი გვაიძულებს გაუმკლავდეთ მონეტის ორივე მხარეს და სწორედ ამიტომ არის სასკოლო კონკურსები დიდი სასწავლო

გამოცდილება ბავშვებისათვის. იგი ეხმარება მათ, გაუმკლავდნენ დამარცხებას და ასწავლის, თუ როგორი რეაქცია ჰქონდეთ, რაც არის გადამწყვეტი უნარი, რათა თქვენ შეგეძლოთ სრულწლოვანებაში მართოთ თქვენი ცხოვრება.

ზრდის ხარისხს.

კონკურსი გაიძულებთ გაზარდოთ სწავლის ხარისხი. გაუმჯობესება და წინსვლა ევოლუციის ნაწილია. რაც უფრო მეტს იღებთ, მით მეტ პატივისცემას ნახავთ თქვენს მიმართ, რომელიც არის ერთ-ერთი მუდმივი რამ, რისთვისაც ჩვენ ყველა მივისწრაფვით: მიმღებლობა, აღიარება. როდესაც სხვა სტუდენტს ეჯიბრები გიწევს, რომ იმუშაო მეტი, ამ გზით ყველა სტუდენტი აუმჯობესებს საკუთარ ცოდნას ამგვარად ყალიბდება პროგრესი სტუდენტთა ჯგუფში. რომ არ ყოფილიყო კონკურენცია, მაშინ მხოლოდ კლასის საუკეთესო მოსწავლე გაიმჯობესებდა ცოდნას.

როგორ შეუძლია კონკურსებში მონაწილეობამ მოუტანოს სარგებელი თქვენს სტუდენტურ ცხოვრებას?

კონკურსები თამაშობს მნიშვნელოვან წამახალისებელ როლს სტუდენტებისთვის, რათა წარმოჩინდეს და შესთავაზოს კიდევ ბევრი ჯილდო, ვიდრე უზრალოდ გამარჯვების პრიზი. კონკურსები სთავაზობენ მონაწილეებს შანსს, რათა მიიღონ დიდი გამოცდილება, გამოავლინონ უნარები, გააანალიზონ და შეაფასონ შედეგები და თვალსაჩინო გახადონ საკუთარი დამოკიდებულებები. კონკურსები ასევე წახალისებს სტუდენტებს, რათა ადაპტირდეს ინოვაციურ ტექნიკასთან და განავითარონ თავიანთი იდეები და უნარები.

მიიღონ მნიშვნელოვანი გამოცდილება.

ძალიან ცოტა შესაძლებლობები თუ უზრუნველყოფს საშუალო ასაკის სტუდენტური ცხოვრებისთვის ისეთ ექსპოზიციას და რეალისტურ მსოფლმხედველობას კონკურენტული ბუნების მიმართ რეალურ ცხოვრებაში ასეთ მოკლე დროში, როგორსაც კონკურსები სთავაზობთ. სტუდენტები არაერთხელ გადიან მთელ რიგ ვირტუალურ სესიებს, პრობლემის სწრაფად გადაჭრის მოკლევადიან სემინარებს, გადიან სრულიად მრავალფეროვან სასწავლო მასალას, რომელიც, როგორც წესი, პრაქტიკაში არ გამოიყენება საკუთარ სკოლებში ან უნივერსიტეტებში.

ხდის ეფექტურს თქვენს რეზიუმეს.

კონკურსებში მიღებულ მიღწევებს შეუძლიათ დატოვონ მნიშვნელოვანი კვალი თქვენს რეზიუმეში. ისინი უზრუნველყოფენ თქვენი განსაკუთრებული უნარების მტკიცებულებას და ნათელყოფენ თქვენს გამორჩეულობას თანაკლასელებისგან. ისინი უპირატესობას მოგანიჭებენ, როდესაც გამოეხმაურებით უმაღლეს სასწავლებელს და დაგჭირდებათ კონკურენტუნარიანობა სამუშაო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, მათ შეუძლიათ შემოგთავაზოთ მტკიცე სარგებელი.

ახალი მეგობრების გაჩენა.

კონკურსები გთავაზობთ შანსს შეხვდეთ ახალ ადამიანებს და დაიმეგობროთ ისინი სხვა დისციპლინებიდან და გეოგრაფიული ადგილებიდან. ეს ინტელექტუალები დაგეხმარებიან გაიგოთ მეტი სხვადასხვა სფეროების შესახებ, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან და იმ ქვეყნების შესახებ, სადაც ისინი ცხოვრობენ.

გამოავლინოთ თქვენი უნარები.

კონკურსები უზრუნველყოფენ დიდ პლატფორმას, რათა გამოავლინოთ თქვენი ცოდნა და უნარები რაზეც თქვენ შესაძლოა წლები დაგხარჯვოდეთ. გამოცდილ ჟიურის შეუძლია კრიტიკული ანალიზი და უკუკავშირი მოგცეთ. ამ მხრივ, კონკურსები შეიძლება მშვენიერი საშუალება აღმოჩნდეს სტუდენტების თვითშეფასებისთვის და დამხმარე, რათა გააგრძელონ გაიღრმავონ ცოდნა და მიიღონ მეტი გამოცდილება.

ფინანსური სარგებელი.

კონკურსები ზოგადად გთავაზობთ ფინანსურ სარგებელს გამარჯვებულისთვის, ზოგიერთი ჯილდო აღწევს ათასობით დოლარზე მეტს. ეს აუცილებლად მოითხოვს ბევრ მუშაობას სტუდენტთა მხრიდან. თანხა, რომელსაც როგორც ამა თუ იმ კონკურსის გამარჯვებული იღებთ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც თქვენი მომავალი ბიზნეს გეგმების განმახორციელებელი ან სხვა კონსტრუქციული იდეებისთვის.

კონკურსები გთავაზობთ სხვა მრავალ დადებითსაც და შეჯიბრებებში გამარჯვების შანსმა შეიძლება მხოლოდ გააუმჯობესოს თქვენი უნარები და გაქციოთ როგორც მეტად კონკურენტუნარიანი უფრო და უფრო მეტი კონკურსებისთვის.

### ლიტერატურა:

Becker, K. 2001. Teaching with Games: The Minesweeper and Asteroids Experience. Journal of Computing in Small Colleges, 17(2), 23-33.

- Chang, L. J., Yang, J. C., Yu, F. Y., Chan, T. W. 2003. Development and Evaluation of Multiple Competitive Activities in a Synchronous Quiz Game System. *Journal of Innovations in Education & Teaching International*, 40(1), 16-26.
- Fasli, M., Michalakopoulos, M. 2005. Supporting Active Learning through Game-like Exercises. In *Proceedings of the 5th IEEE International Conference of Advanced Learning Technologies (ICALT 2005)*, 730-734.
- Fulu, I. 2007. Enhancing Learning through Competitions. School of InfoComm Technology, Ngee Ann Polytechnic.
- Lam, S., Yim, P., Law, J., Cheung, R. 2001. The Effects of Classroom Competition on Achievement Motivation. In *Proceedings of the 109th Annual Conference of American Psychological Association (APA 2001)*.
- Lawrence, R. 2004. Teaching Data Structures Using Competitive Games. *IEEE Transactions on Education*, 47(4), 459-466.
- Philpot, T. A., Hall, R. H., Hubing, N., Flori, R. E. 2005. Using Games to Teach Statics Calculation Procedures: Application and Assessment. *Computer Applications in Engineering Education*, 13(3), 222-232.
- Regueras, L. M., Verdú, E., Verdú, M. J., Pérez, M. Á., de Castro, J. P., Muñoz, M. F. 2008. Motivating Students through On-Line Competition: an Analysis of Satisfaction and Learning Styles. In *Proceedings of the 7th International Conference on Web-based Learning (ICWL 2008)*, 167-177.
- Siddiqui, A., Khan, M., Katar, S. 2007. Supply Chain Simulator: A Scenario-based Educational Tool to Enhance Student Learning. *Computers & Education*, 51(1), 252-261.
- Shindler, J. 2007. *Transformative Classroom Management*. Pearson Allyn & Bacon Press.
- Thousand, J., Villa, A., Nevin, A. 1994. *Creativity and Collaborative Learning*. Brookes Press.
- Verhoeff, T. 1997. The Role of Competitions in Education. In *Proceedings of the Future World Educating for the 21<sup>st</sup> Century Conference and Exhibition*.
- Vockell, E. 2004. *Educational Psychology: A Practical Approach*. Purdue University.
- Yu, F. Y., Chang, L. J., Liu, Y. H., Chan, T. W. 2002. Learning Preferences towards Computerised Competitive Modes. *Journal of Computer-Assisted Learning*, 18(3), 341-350

***Maia Gogichaishvili***

*Tbilisi Private School "Lampari"*

## **THE ROLE AND IMPORTANCE OF ACADEMIC COMPETITIONS IN THE EDUCATION SPHERE RESUME**

Education:

All live forms on the earth need knowledge and skills for their survival and propagation. Knowledge and skills are transmitted genetically from generation to generation for most of the species, but in human, skills and knowledge are mostly depends on the education. Indeed, education is what makes human superior.

Competition:

There is no doubt education is secret key of human success and the roots of education lie on competition. A child is born without knowledge and skills, and they continuously participate in competitions every part of the life, developing skills and knowledge through a learning process.

A child competes in the school, college and university and finally he/she competes in his/her professional area. Actually human life is full of competitions.

Competition in education:

Education and completions are very closely related as competitions are put in education for the development of educational skills. Indeed, without competitions, we cannot imagine education. A student has to fight in admission tests and once he/she has passed, he/she admitted in the institution. Then the institution arranges several kinds of competitions that enhance the knowledge as well as skills of a student. The exam itself is a biggest competition where a student competes to surpass others.

"Of all human powers operating on the affairs of mankind, none is greater than that of competition" -Henry Clay

When most think of competition, they do not associate it with something that can be beneficial. We tend to think that competition of any kind is bad for us. However, there are many positive aspects to competition and by learning about them, you can best be ready to use those benefits to your advantage. This applies for business as well as in your personal life:...

Human competition is a contest where two or more people strive for a goal that cannot be shared, usually resulting in a victor and a loser. It is still controversial whether competition in education is positive or not.

## განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების თანამედროვე პროცესში

დღეს მასწავლებელი დიდი გამოწვევის წინაშე დგას. მას მუდმივად მიემატება, კვლევება, კრეატიულობა, ძალა და ცოდნა სჭირდება, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოს და საგნობრივი ცოდნის გადაცემასთან ერთად მოსწავლეს რეალურად შესძინოს ცხოვრებაში გამოსაყენებელი უნარ-ჩვევები. თანამედროვე ეტაპზე ეფექტური და წარმატებული სწავლების ხარისხის ამაღლება, მასწავლებლის სისტემატიური პროფესიული განვითარების გზით, მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად უწყვეტი განვითარება და პროფესიული ზრდა მოსწავლეთა შეფასების სისტემის ახლებურ ცოდნასაც ითვალისწინებს. მოსწავლეთა შეფასების თანამედროვე მოთხოვნების სწავლება მომავალი მასწავლებლებისთვის დიდ ყურადღებას და ძალისხმევას საჭიროებს, რადგანაც მომავალმა მასწავლებელმა, სწორედ, განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების გააზრებული ცოდნით უნდა შეძლოს ახალი მეთოდებიტ სწავლება საკლასო ოთახში, რადგანაც თანამედროვე სკოლა არ არის თხრობასა და ზეპირობაზე დაფუძნებული რუტინული ადგილი. ახლებური, ინტერაქტიური მიდგომები ახლებურ შეფასების სისტემას და განმავითარებელ სწავლაზე ორიენტირებას მოითხოვს.

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასება არის საგნის, მოვლენის ან პროცესის შესაბამისობის განსაზღვრა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან. შეფასების საშუალებით, მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისობას სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

შეფასება მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას მოსწავლეების წინსვლის, მიღწევების და პრობლემების შესახებ, ანუ იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად სწავლობენ მოსწავლეები. მეორე მხრივ, შეფასება მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას იმის შესახებაც, თუ რამდენად კარგად ასწავლის თვითონ მასწავლებელი და რამდენად შედეგიანია ის მეთოდიკა, რომელსაც იგი იყენებს. აქედან გამომდინარეობს შეფასების ორი უმთავრესი მიზანი:

1. მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა.

2. სწავლების კონკრეტული მეთოდიკის და სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და სრულყოფა. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავს მოსწავლის შეფასება, ასევე ის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ინფორმაცია, რომელსაც მოსწავლის შეფასების შედეგად იღებს.

სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა, როდის, რატომ და როგორ უნდა შეაფასოს. მასწავლებელი, პირველ რიგში, გეგმავს, თუ რა შედეგს (ან შედეგებს) სურს, რომ მიაღწიოს; შემდეგ გეგმავს, თუ როგორ შეაფასოს, ადწევს თუ არა იგი ამ შედეგს და, ბოლოს, განსაზღვრავს იმ საშუალებებს, რომლითაც იგი ამ შედეგის მიღწევას შეეცდება. აქედან გამომდინარე, შეფასების როლი უმნიშვნელოვანესია სწორედ იმიტომ, რომ მისი საშუალებით მასწავლებელი განსაზღვრავს და ადგენს იმ საშუალებებს, რითაც მან სასურველ შედეგებს უნდა მიაღწიოს.<sup>1</sup>

განმავითარებელი შეფასების ძირითადი დანიშნულებაა სწავლის მოტივაციის გაზრდა და სასწავლო პროცესისთვის გზის გაკვალვა, ასევე მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის საჭირო უკუკავშირების მიწოდება. შემაჯამებელი შეფასების ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, რომლებიც სასწავლო მიზნის მიღწევის შესახებ საბოლოო მონაცემებს იძლევიან, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ისეა შემუშავებული, რომ მასწავლებლებს მოსწავლეების აკადემიური ზრდის დინამიკის შესახებ მიმდინარე ინფორმაცია მიაწოდონ. სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად განმავითარებელი ინსტრუმენტი სასწავლო მასალას უფრო ღრმად უნდა ჩაწვდეს და ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების ჯეროვნად წარმოჩენა შეძლოს. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი მკაფიოდ ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნისკენ მოსწავლის მოძრაობის დინამიკას უნდა ზომავდეს. ასეთი შეფასებით მიღებული მონაცემები (ქულები თუა ტექსტური ანგარიშები) სასწავლო მიზნებთან მიმართებაში უნდა ასახავდეს მოსწავლის აკადემიური მოსწრების მიმდინარე მდგომარეობას. ტექსტური ანგარიშები განსაკუთრებით სასარგებლო მაშინაა, როცა მათი შედეგების საფუძველზე სწავლების დაგეგმვა შესაძლებელი.

<sup>1</sup> სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2008. გვ. 74.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, “მოსწავლის შეფასების მიზანი სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას”. ამასთანავე, “მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი; მან ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას”.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმავითარებელი შეფასების შესახებ ცნობილია ის, რომ “განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა”.<sup>1</sup>

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ქვეთავში “შეფასების მეთოდები” ჩამოყალიბებულია მოთხოვნები მასწავლებლის სამეფასებლო კომპეტენციებისადმი: “მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა, აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის; იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის; მასწავლებელმა იცის და იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას; მასწავლებელი აცნობიერებს შეფასების ძირითად პრინციპებს და იცავს მათ საკუთარ პრაქტიკაში; მასწავლებელმა იცის და იყენებს შეფასების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად; მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოსაყალიბებლად, სხვათა შესაძლებლობების შეფასება/აღიარებისთვის და საკუთარი შედეგების გასაუმჯობესებლად”.<sup>2</sup>

მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტებში ეს კომპეტენციები კიდევ უფრო დაზუსტებულია. მაგალითად, მათემატიკის მასწავლებლის სტანდარტის მიხედვით, მათემატიკის მასწავლებელს უნდა შეეძლოს: “განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მოსწავლის კომპეტენციის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. პროცედურის წვდომა; II. პროცედურაში გავარჯიშება; III. პროცედურის დაუფლება), კონკრეტული პრობლემებისა და მათი წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად; განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე ფაზაში; სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეულის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით; შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (შემოქმედებითობა, თანამშრომლობის უნარი, ორგანიზებულობა და სხვა); მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და მასალის არასწორ/არასრულყოფილ გააზრებაში კანონზომიერებების აღმოჩენა. კორექციის შესატანად შესაფერისი პროცედურების გამოყენება და სასწავლო პროცესის ადეკვატური მოდიფიკაცია; მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნისა და მაღალი დონის საზოგადო კომპეტენციების შესაფასებლად ადეკვატური ხერხების შექმნა და გამოყენება”.<sup>3</sup>

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მის კონტროლს გულისხმობს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში განირჩევა საკლასო შეფასების ორი სახესხვაობა: **განმსაზღვრელი და განმავითარებელი**. პირველი ფართოდ გამოიყენება სკოლაში, თუმცა კი მისი ხარისხი დახვეწას საჭიროებს. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, ის ნაკლებადაა ცნობილი ჩვენი პედაგოგებისთვის და მისი არსი, სტრატეგიები თუ ტექნიკა სპეციალურ განმარტებას მოითხოვს.

განმავითარებელი შეფასება არის უწყვეტად მიმდინარე პროცესი, რომლის მიზანია:

1. დაგროვდეს ფაქტები/მონაცემები მოსწავლეთა სწავლის შესახებ;
2. უზრუნველყოფილ იქნეს უკუკავშირი სწავლის შესახებ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის;
3. შეივსოს “ლიობები” მოსწავლის არსებულ კომპეტენციებსა და სასურველ/სამიზნე კომპეტენციებს შორის.

<sup>1</sup> <http://ncp.ge/>. ესგ-ს პორტალი. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011–2016. თავი IV.

<sup>2</sup> [http://tpdc.gov.ge/?action=page&p\\_id=109&lang=geo](http://tpdc.gov.ge/?action=page&p_id=109&lang=geo). მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თბ., 2008.

<sup>3</sup> <http://ncp.ge/>. ესგ-ს პორტალი, ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი სტანდარტი მათემატიკაში, გვ. 5.

განმავითარებელი შეფასება:

- ცხადად და უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული სწავლების მიზნებთან;
- დაკავშირებული უნდა იყოს სწავლებასთან;
- მოიცავდეს მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს;
- განაპირობებდეს ცვლილებებს მოსწავლეთა განვითარების მიმართულებით.

განმავითარებელი შეფასება სამი სახისაა:

- მასწავლებლის მიერ ექსპრომტად შესრულებული;
- ინტერაქციისთვის დაგეგმილი;
- სწავლებასთან შერწყმული.

განმავითარებელი შეფასება შეიძლება დაკავშირებული იყოს:

- მოსწავლის ქცევაზე დაკვირვებასთან (მასწავლებელი აკვირდება, როგორა სრულებს მოსწავლე, მაგალითად, პრეზენტაციას ან კვლევას);

• წერითი დავალებების შესრულებასთან (მასწავლებელი აანალიზებს, მაგალითად, მოსწავლის მომზადებულ საშინაო დავალებას ან პროექტს);

• დისკუსიასთან (კლასში მიმდინარეობს ერთმანეთისთვის კითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა მსჯელობა-დასაბუთების თანხლებით, საკითხის განხილვა მცირე ჯგუფებში ან მოსწავლეთა მინიკონფერენციები მასწავლებლის მონაწილეობით);

- ტესტირებასთან (მასწავლებელი ატარებს ქვიზს, სკრინინგულ/მიმოხილვითან დიაგნოსტიკურ ტესტირებას);
- მოსწავლეთა თვითშეფასებასთან.

იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით ამოიცნონ და შეავსონ ცოდნასა და უნარ-ჩვევებში არსებული მათთვის უხილავი “ლიოზები”, მასწავლებელმა კლასთან უნდა შეასრულოს აქტივობათა ციკლი, რომელიც მოიცავს:

1. სწავლის შესახებ ინფორმაციის შეკრებას მასწავლებლის მიერ შესრულებული შეფასებისა და მოსწავლეთა თვითშეფასების გზით;
2. მონაცემთა ანალიზსა და განმარტებას;
3. მოსწავლეთა კომპეტენციებში არსებული “ლიოზების” დადგენას;
4. სწავლების მიზნების დასახვას;
5. წარმატების კრიტერიუმების ჩამოყალიბებას;
6. მოსწავლეთა საჭიროებებისადმი სასწავლო აქტივობათა მისადაგებას ანუ სწავლების დიფერენცირებას;
7. სკაფოლდინგს მოსწავლეთა განვითარების უახლოეს ზონაში.

ამ ციკლის დასრულების შედეგი იქნება გაურკვევლობათა აღმოფხვრის გზით ცოდნასა და უნარ-ჩვევებში არსებული “ლიოზების” ამოვსება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა მოსწავლეს სხვადასხვა “ლიოზი” ექნება და მათიშევესება მოსწავლეთა საჭიროებებს მისადაგებულ სასწავლო აქტივობათა საშუალებით უნდა მოხდეს. ეს აქტივობები მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული და მასწავლებელიც ამ ზონის ფარგლებში უნდა აწარმოებდეს სკაფოლდინგს მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობისთვის. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ სწავლის ინტენსივობისა და შედეგიანობის მაქსიმალურად გაზრდისთვის მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდაზე უფრო უნდა გამახვილდეს ყურადღება, ვიდრე სხვებთან მის შედარებაზე.<sup>1</sup>

ცნობილია, რომ განმავითარებელ და შემაჯამებელ შეფასებებს შორის ძირეული განსხვავება შეფასების პროცედურის ჩატარების დროა. მაგალითად, შემაჯამებელი ტესტირება ტარდება სასწავლო კურსის ბოლოს, ხოლო განმავითარებელი ტესტირება - კურსის დასაწყისში და მისი მიმდინარეობისას. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ისეა შექმნილი, რომ უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ სწავლის პროცესსა და სასწავლო მასალასთან, ამიტომ მათ უფრო ხშირად და დინამიკურად იყენებენ. განმავითარებელი შეფასების პროცედურა ისეთ დროს უნდა განხორციელდეს, რომ მასწავლებელს მის საფუძველზე სწავლების პროცესში შესაბამისი ცვლილების შეტანა შეეძლოს; მოსწავლეს კი უნდა შეეძლოს, სწავლის პროცესში შესაბამისი ცვლილება შეიტანოს, ან შეფასებიდან მიღებულმა უკუკავშირმა მას მოტივაცია გაუძლიეროს.

განმავითარებელი შეფასების არსი სწორედ ისაა, რომ მან სწავლების პროცესის მოდიფიცირებისა და მოსწავლის შედეგის გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოს. ამასთანავე, ინფორმაცია ისეთ დროს უნდა იყოს მიწოდებული, რომ მოსწავლემაც და მასწავლებელმაც

<sup>1</sup> გ. ნოზაძე, კვალიფიციური საკლასო შეფასების ინდიკატორები, mastsavlebeli.ge/uploads/nozadze.pdf. ბოლო ნახვა:10.09.2016.



გააცნობიერონ, რა ცვლილებების შეტანაა საჭირო სწავლასა და სწავლებაში, რათა სასწავლო მიზნისკენ სვლა წარმატებით გაგრძელდეს.

განმავითარებელ და შემაჯამებელ ტესტირებებს შორის კიდევ ერთი ძირეული განსხვავებაა. მართალია, გაზომვა განმავითარებელი შეფასების საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ მის ინსტრუმენტებში შესაბამისი საზომი კომპონენტი შეიძლება საერთოდ არ იყოს. ამასთანავე, ეს ინსტრუმენტები ხშირად ქულების მინიჭებასაც არ ითვალისწინებენ. განმავითარებელი ტესტირების ინსტრუმენტებიდან მიღებული მონაცემები, ძირითადად, უკუკავშირისა და გეზის მიმცემის ფუნქციას ასრულებს; თავად შეფასების პროცესს კი უფრო პრაქტიკული სამუშაოს სახე აქვს, ვიდრე ტესტირებისა.

როდესაც მოზარდი რაიმე მასალის სწავლას იწყებს, ხშირად მაღალი შედეგი თავიდანვე არ ჩანს. ამიტომ, საჭიროა სწავლის პროცესშივე მოზარდის აკადემიური პროგრესის ზუ-სტი გაზომვა და ისეთი გზების დასახვა, რომლებიც მოზარდებს სასწავლო მიზნისაკენ სვლას გაუადვილებს.

შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების მიზანი და დანიშნულებაა მოსწავლისა და პედაგოგის ინფორმირება სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ და ამ გზაზე მათთვის მიმართულების მიცემა.

განმავითარებელ და შემაჯამებელ შეფასებებს შორის კიდევ ერთი განსხვავება მოსწავლის როლს უკავშირდება. განმავითარებელი შეფასება მოსწავლის აქტიურ ჩართულობას მოითხოვს და შეიძლება ითქვას, რომ მის აქტიურობაზე მნიშვნელოვნადაც არის დამოკიდებული. შემაჯამებელი შეფასებისას ეს როლი, როგორც წესი, მხოლოდ გამოცდებსა და ტესტირებებში მონაწილეობით შემოიფარგლება. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლეები საკუთარი სწავლის პროცესის შემოწმებაში აქტიურად უნდა ჩაერთონ და შეფასების ინსტრუმენტიდან მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით, საკუთარი ქცევა გარკვეულწილად უნდა შეცვალონ. უკუკავშირი, რომელიც შეფასებას, სწავლებასა და სწავლას აკავშირებს, განმავითარებელი შეფასების ცენტრალური კომპონენტი. კვლევები აჩვენებს, რომ ამ პროცესში მოსწავლეების ჩართულობა სწავლის მოტივაციას აძლიერებს. პედაგოგებს შეუძლიათ, მათი ჩართულობა აღწერილობითი უკუკავშირებით უზრუნველყონ, ან საკუთარი აკადემიური პროგრესის გრაფიკული გამოსახვა დაავალონ, ან თანატოლების შეფასება და უკუკავშირის მათთვის მიწოდება სთხოვონ. მოზარდების უშუალო ჩართულობა იძლევა ღირებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა იცის მოსწავლემ და რისი გაკეთება შეუძლია, რისი სწავლა სჭირდება და რა ნაბიჯებია გადასადგმელი სწავლის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განმავითარებელი შეფასება განსაკუთრებით შედეგიანი დაბალი მოსწრების მოზარდებისთვისაა. კვლევების თანახმად, იქ, სადაც განმავითარებელ შეფასებას იყენებენ, დაბალი და მაღალი მოსწრების მოსწავლეებს შორის განსხვავება მცირდება, ზოგადად, სწავლის ხარისხი კი იზრდება. შეიძლება ითქვას, რომ განმავითარებელი შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია მოზარდს – სწავლის, მასწავლებელს კი სწავლების გზებს აჩვენებს.<sup>1</sup>

როგორც მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი სწავლების დროს შეფასების გამოყენებაზე მიგვითითებს:

სასწავლო პროცესის შეფასება არის სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხის დამდგენი მონაცემების შეგროვების, აღრიცხვისა და ანალიზის მუდმივი პროცესი, მოსწავლეთა მიღწევების თანამიმდევრული შესწავლა. შეფასება აღნუსხავს იმ შედეგებს რომლებსაც იძლევა მთლიანი სასწავლო პროცესი, ხოლო ამ შედეგების ანალიზი აუცილებელია იმავე სასწავლო პროცესის კორექტირებისა და უკეთ წარმართვისათვის. შეფასების საფუძველი ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო გეგმა და საგნობრივი პროგრამა (სტანდარტი). შეფასების მიზანი იმის დადგენაა, რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა მიღწევები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამებით (სტანდარტებით) განსაზღვრულ შედეგებს. ამავდროულად, შეფასების შედეგები მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ.

შეფასება გამოიყენება არა მხოლოდ მოცემულ მომენტში ცოდნის შესაფასებლად, არამედ მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, მისი განვითარების ხელშესაწყობად. მასწავლებელი სისტემატურად უწევს მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლას და საჭიროების შემთხვევაში აწვდის მათ უკუკავშირს. უკუკავშირი – ეს არის კომენტარი კონკრეტულ სასწავლო ქმედებაზე, რომელიც აძლევს მოსწავლეს ინფორმაციას, თუ რა შეასრულა მან კარგად და რა არა. ხარვეზების შემთხვევაში ის იღებს რეკომენდაციებს, თუ რა გზებით უნდა აღმოფხვრას ეს ხარვეზები. უკუკავშირი შეიძლება მისცეს მასწავლებელმა მოსწავლეს/მოსწავლეებს, მოსწავლემ მოსწავლეს/მოსწავლეებს. სპეციფიკურ,

<sup>1</sup> გ. ნოზაძე, განმავითარებელი შეფასების შესახებ, [mastsavlebeli.ge/uploads/nozadze.pdf](https://mastsavlebeli.ge/uploads/nozadze.pdf). ბოლო ნახვა: 10. 09. 2016.

გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ, მაღალი ხარისხის უკუკავშირის მოსწავლე უმტკივნეულოდ იღებს როგორც მასწავლებლისგან, ასევე თანაკლასელებისგან.<sup>1</sup>

უკუკავშირი უწყვეტი პროცესია, რომელიც ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს და სხვ. უკუკავშირი შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი. ეფექტური უკუკავშირისათვის მასწავლებელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს მკაფიო კრიტერიუმები (რუბრიკები), რომლებსაც ის აცნობს არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს (მშობლებს, კოლეგებს, ადმინისტრაციას).

მასწავლებელი მოსწავლის სწავლის პროცესში გამოყოფს მნიშვნელოვან ეტაპებს, განსაზღვრავს თითოეულ ეტაპზე მისაღწევ შედეგებს და აძლევს მოსწავლეს უკუკავშირის (განმავითარებელ შეფასებას), რათა მოსწავლემ კარგად დაინახოს საკუთარი პროგრესი. თავად მოსწავლესაც დამოუკიდებლად შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობისათვის თვალის მიდევნება. მასწავლებლის მიერ მიცემული საკლასო თუ საშინაო დავალებებზე დაკვირვება მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეაფასოს საკუთარი სასწავლო საქმიანობა, აღმოაჩინოს ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ ამისათვის მას უნდა ჰქონდეს შეფასების მკაფიო კრიტერიუმები, რომლებსაც ის დაეყრდნობა. სხვაგვარად ძნელია თვითშეფასებას შევაჩვიოთ მოსწავლეები.

შეფასების მრავალმხრივობისათვის მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვადასხვა საშუალება: ზეპირი გამოკითხვა, წერიტი სამუშაო, კითხვები, პრეზენტაცია, პროექტი, ჩათვლა ან გამოცდა, საქალაქო, ანუ ე.წ. „პორტფოლიო“, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, სხვ.

განმავითარებელი შეფასება შესაძლებლობას გვაძლევს რეაგირება მოვახდინოთ ცვლილებებზე, კონსტრუქციულია, ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მათ ინფორმაციას იმის თაობაზე, როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგების გაუმჯობესება, ეხმარება საკუთარი თავისა თუ სხვისი ადეკვატური შეფასების უნარის ფორმირებაში და შესაძლებლობებს ხდის წარმატების დაფიქსირებას.<sup>2</sup>

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ეფექტური და წარმატებული სწავლების მისაღწევად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, რაშიც დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა ობიექტური შეფასება, შეფასების მრავალმხრივი მიდგომა, შეფასების რუბრიკების გამოყენება მუშაობის პროცესში. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები სრულ და ამომწურავ ცოდნას უნდა აძლევდნენ მომავალ მასწავლებელს სასკოლო ცხოვრების და სწავლა-სწავლების მნიშვნელოვან მხარეებზე. შეფასების სისტემა დღემდე რჩება ყველაზე პრობლემურ საკითხად ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში და შესაბამისად, მუდმივი განვითარებისა და დახვეწის პროცესშია, მომავალ მასწავლებლებს თეორიულ ცოდნასთან ერთად უნდა განუვითაროთ არსებულ პრობლემებთან გამკლავების უნარი და გაააზრებინოთ შეფასების ინსტრუმენტის კრეატიულად გამოყენების ეფექტურობის არსი.

***Rusudan Pipia, Brolisa Tsulaia***

*Sokhumi State University*

## **THE IMPORTANCE OF THE DEVELOPMENTAL EVALUATION IN THE MODERN PROCESS OF LEARNING AND TEACHING RESUME**

The developmental evaluation gives us the opportunity to react to the changes, it's constructive, supports the students' motivation, provides them with information about how possible it is to improve the learning results, it helps in the formation of adequate self-assessment or assessment of others and gives the opportunity to fix the success.

Teachers training educational programs must give full and exhaustive knowledge to the future teachers about the important sides of school life, learning and teaching. The assessment system remains the most problematic issue in our school life and accordingly, it is in the process of permanent development and refinement. Together with the theoretical knowledge we should make the future teachers develop the ability to deal with existing problems and consider the essence of the efficient use of the evaluation tool.

<sup>1</sup> მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ნაწილი I, თბ., 2015. გვ. 104.

<sup>2</sup> ნ. ლაბარტყავა, რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასება, [http://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/nino\\_labartyava.pdf](http://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/nino_labartyava.pdf). ზოლო ნახვა: 12. 05. 2016.

## მოთხოვნები სახელმძღვანელოებისადმი იაკობ გოგებაშვილის მიხედვით

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმძღვანელო ეს არის წიგნი, რომელშიც გადმოცემულია მეცნიერული ცოდნის საფუძვლები კონკრეტულ სასწავლო საგანში, სასწავლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით, სასწავლო გეგმით განსაზღვრული შინაარსისა და შესაბამისი მეთოდოლოგიური კანონზომიერებისა და მეთოდიკის შესაბამისად. სახელმძღვანელოებში მოცემული მასალის მოცულობა, სტრუქტურა და სისტემატიზაცია, ასევე განისაზღვრება სწავლების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით თუ რა უნარები და ჩვევები უნდა განუვითაროთ მოსწავლეს წინასწარ შერჩეული აქტივობების საშუალებით.

სახელმძღვანელოების შექმნის ისტორია მომდინარეობს ჩვენს წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულიდან ძველი ჩინური აბრეშუმზე შესრულებული დამწერლობიდან, შუმერული თიხის ფირფიტებიდან და ეგვიპტური პაპირუსებიდან. ჩამოყალიბებული ცალკე მეცნიერული დარგების მიხედვით სახელმძღვანელოების ისტორია კი მოგვხსენებათ მომდინარეობს ანიკური ხანიდან, ბერძნულ-რომაული კულტურიდან. ეს ის პერიოდია, როდესაც პლატონის, პითაგორეს, არისტოტელეს და კვინტილიანეს ტექსტების გამოყენება დაიწყო სასწავლო სახელმძღვანელოდ. მას შემდეგ კაცობრიობის მეცნიერების და კულტურის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა სახელმძღვანელოები იცვლებოდა და იხვეწებოდა მისადმი მოთხოვნები. ხსენებული მოთხოვნები სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი მეცნიერულ პედაგოგიურ დონეზე მოგვცა პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელმა ი. ა. კომენსკიმ. კომენსკიმ მკვეთრად განსაზღვრა სახელმძღვანელოს როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, რომელშიც რეალიზირებული უნდა იყოს ზოგადიდაქტიური პრინციპები: სისტემატიურობის, თანმიმდევრობის, მისაწვდომობისა და თვალსაჩინოებისა. ამ პრინციპებით მან შექმნა უნიკალური სახელმძღვანელოები, ისეთები როგორიცაა „გრძნობადი სამყარო სურათებში“ და „ენათა და მეცნიერებათა ღია კარები“. ეს სახელმძღვანელოები მრავალი საუკუნეების მანძილზე იყვნენ სამაგალითოები სახელმძღვანელოთა ავტორებისათვის და რა თქმა უნდა სხვა პედაგოგ კლასიკოსთა სახელმძღვანელოებთან ერთად მან შეიძლება ითქვას ძირითადი როლი ითამაშა და გავლენა მოახდინა იაკობ გოგებაშვილის ასევე გენიალურ სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაზე.

ახლა მოკლეთ შევხვით მოთხოვნებს ახალი ინოვაციური, თანამედროვე სახელმძღვანელოებისადმი და შემდგომ გავავლოთ პარალელები იმ მოთხოვნებთან, რასაც ი. გოგებაშვილი უყენებდა სასკოლო სახელმძღვანელოებს. თანამედროვე ახალი თაობის სახელმძღვანელოებისადმი მოთხოვნები მოკლედ შეიძლება ასეთნაირად წარმოვიდგინოთ:

### შინაარსობრივად

1. თანამედროვე, მეცნიერების განვითარების დონესთან შესაბამისობა;
2. სისტემატიზაცია საგნობრივ, ლოგიკურ და ფსიქოლოგიური ასპექტით;
3. სასწავლო პროგრამებთან და გეგმებთან შესაბამისობა;
4. დასახელებების უნიფიცირება, განსაზღვრებათა მკაფიოთ, გარკვეულად წარმოჩენა;
5. შესაბამისობა ტერმინებსა და დასახელებებს შორის თანამედროვე საგნობრივ მეცნიერების ფუნდამენტალურ ტექსტებთან;
6. ინფორმაციის გადაცემის მრავალსახეობა (სიტყვა, ნახაზი, ნახატი, ფოტო, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიპოვოთ შემდგომი დამატებითი ინფორმაცია);

### მეთოდურად

1. შესაბამისობა თანამედროვე დიდაქტიკისა და ენობრივი გამართულობის მიმართ;
2. კონკრეტული საგნის სწავლების მეთოდიკისადმი შესატყვისობა;
3. ავტორის მიერ შემოთავაზებული, შერჩეული საილუსტრაციო მასალის მრავალფეროვნება;
4. განვლი მასალის მიმართება მოსწავლეთა შეძენილი გამოცდილებასთან;
5. სასწავლო სავარჯიშოების ნაირსახეობა;

6. სხვადასხვა დონის სიმწიფეების გამოყოფა სახელმძღვანელოს შინაარსიდან.

#### სტრუქტურულად

1. ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებთან და სიტუაციებთან შესაბამისობა;
2. განმეორებითი მასალის ელემენტების მკაფიოდ წარმოდგენა;
3. შინაარსის სტრუქტურის რეალიზება გონებრივი მუშაობის მეთოდების მიხედვით: დასათაურების განლაგება სახელმძღვანელოს დასაწყისში და არა ბოლოში, საგნობრივი და სხვა სახის ცნობარების, მითითებების გამოყენება;

#### პოლიგრაფიული შესრულება და გაფორმება

1. სახელმძღვანელოს მოხერხებულად გამოყენებადობა;
2. გარეკანის პრაქტიკულობა, ინფორმაციულობა და ესთეტიურობა;
3. სახელმძღვანელოს, ქაღალდის ხარისხი;
4. ილუსტრაციების მრავალსახიერობა.

ეს, რაც შეეხება თანამედროვე მოთხოვნებს სახელმძღვანელოებისადმი. თუ კარგად დაუკვირდებით ი. გოგებაშვილის დროის სახელმძღვანელოებისადმი მოთხოვნებს აქ შეიძლება ითქვას: სახელმძღვანელოს აგების მეთოდურ და სტრუქტურულ ნაწილში არ არის დიდი, მნიშვნელოვანი ცვლილებები, ხოლო, რაც შეეხება პოლიგრაფიულ ნაწილს და ინფორმაციულობის მოცულობითობას, აქ, რა თქმა უნდა, არის განსხვავება და ეს კანონზომიერია და ასეც უნდა იყოს.

თავის პუბლიკაციებში სახელმძღვანელოების შესახებ საუბარს ი. გოგებაშვილი იწყებს მათი განსაკუთრებულ მნიშვნელობის შესახებ, მიუთითებს თუ, როგორ უნდა იქნას აგებული სახელმძღვანელოები, რომ ის გასაგები და მიმზიდველი იყოს მოსწავლისათვის. ი. გოგებაშვილი განსაკუთრებით თავის პუბლიკაციებში ყურადღებას ამახვილებს მის ორმაგ ქმედებაზე ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე და, საერთოდ, მთელს საზოგადოებაზე. სახელმძღვანელოებისადმი მოთხოვნებში სხვა დანარჩენთან ერთად იგი დიდ ყურადღებას უთმობს ეროვნულობის პრინციპს, რომელზეც დაშენებული უნდა იყოს შემდგომში ყველა ის მოთხოვნები (მეთოდური, შინაარსობრივი, სტრუქტურული ...), რაც აუცილებელია, სახელმძღვანელოებისათვის. აი, რას წერს ამის შესახებ ი. გოგებაშვილი: „სახელმძღვანელო წიგნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის განათლების მსვლელობაში. ყოველი მიმართულება ამ საქმეში ცოტად, თუ ბევრად უძლურია, უფესვო და წარმავალი, ვიდრე, იგი არსებობს მხოლოდ პროგრამებში, პლანებში, და არ არის განხორციელებული სახელმძღვანელოებში. ამ მდგომარეობაში მყოფი მიმართულება პირველივე წინააღმდეგი მოძრაობის, პირველივე მოპირდაპირე ქარის მსხვერპლი შეიქმნება ხოლმე. მაგრამ თუ რომელიმე მიმართულება გადავიდა პროგრამებიდან და პლანებიდან სამოსწავლო წიგნებში, იგი ღრმად სდგავს ფესვებს, შეიძენს სიმტკიცეს და მისი აღმოფხვრა ძალიან ძნელი ხდება. ამ სახით სახელმძღვანელო ორპირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლია დიდი სიკეთეც დასთესოს და დიდი ბოროტებაც ჩანერგოს სკოლის და ხალხის ცხოვრებაში.“ ( 1, 456 )

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოებისადმი მოთხოვნებში ერთ-ერთი ძირითადი და ქვაკუთხედი მისი ტექსტის ენობრივი გამართულობა, რაც გულისხმობს შესასწავლი მასალის მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე, ოპტიმალურად გასაგებ ენაზე გადაცემას. აქ იგულისხმება არა მარტო უცხო სიტყვების გამოყენება ტექსტში, არამედ წინადადების მშობლიურ ენობრივ-გრამატიკულ აზრობრივ წყობას. ე. ი. ქართულად აზროვნებას. ამიტომ, გოგებაშვილის აზრით, აუცილებელია სახელმძღვანელოები ისეთნაირად იქნას შედგენილი, რომ მისი გამოყენებისათვის აუცილებელი იყოს ჯერ პირველ პლანზე მშობლიური ენის გრამატიკის ღრმა ცოდნა. ამ უკანასკნელს ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ი. გოგებაშვილი და თავის პუბლიკაციებში პარალელურად ავლენს ევროპული ქვეყნების გამოცდილებასთან. „ნასწავლთა დასი, რომელიც წინამძღოლია და გზის გამკვლევი ხალხისა, ყოველთვის სიფრთხილით იქცეოდა ამ საქმეში, მეტადრე იმ ქვეყნებში, სადაც სკოლა სურდათ გაეხადათ პოლიტიკურ იარაღად. იგი იყო დაუძინებელი მცველი პედაგოგიურისა და ეროვნულის პრინციპებისა და არც ერთს სახელმძღვანელო წიგნში მას ვერ შეეპარებოდა უკუღმართი მიმართულება.... დედა-ენის სახელმძღვანელოებს ვრცელს საფუძველზედ აყენებდნენ, ფართო თვისებას აძლევდნენ მაშინაც კი, როდესაც ზემო სფეროთა მიმართულება თხოულობდა მის ვიწრო კალაპოტში მოქსევასა; სახელმწიფო ენის სახელმძღვანელოებს ადგენდნენ ისე, რომ შეუძლებელი გაეხადათ მისი დაწყება, ვიდრე დედა ენის, სამშობლო წერა-კითხვას და გრამატიკას არ შეისწავლიდნენ მოსწავლენი. ვისაც დაახლოებით აქვს

გაცნობილი ხალხის განათლების თავგადასავალი, მაგალითად სლავიანთა ტომთა და ვენგრიელთა შორის ავსტრის იმპერიაში, მან კარგად იცის, რავედნად მართალია ჩვენი სიტყვები.“ (1, 457 )

იაკობ გოგებაშვილი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმძღვანელოების შემდგენელთ. მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მოსწავლეთა არა ერთ კონკრეტულ ჯგუფზე, არამედ მთელს თაობებზე. ამდენად, სახელმძღვანელო წიგნებს უნდა ადგენდნენ განსაკუთრებული ნიჭისა და დიდი პედაგოგიურ-მეცნიერული მუშაობის გამოცდილების მქონე მეცნიერნი და მასწავლებლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საქმიანობა მხოლოდ მავნებლური ხასიათის იქნება. „ყველაზე მავნებელი ეს მიმართულება მაშინ არის, ვიმეორებ, როდესაც იგი ხორციელდება სამოსაწავლო წიგნში, სახელმძღვანელოში. როდესაც რომელიმე სკოლას ჰყავს მასწავლებელი, ამ მიმართულებით დამახინჯებული, მაშინ ვნება, ამ გვარი პირისა თავდება ამ სკოლით; მაგრამ თუ ეს პირი ადგენს რაიმე სამოსაწავლო წიგნსა სკოლებისათვის, მაშინ იგი ყოველს სკოლას სწამლავს იმავე სენითა, რომელიც მისადმი მინდობილს სკოლას ტანში გასჯდომია. ზოგს კარგად შეუგნია ესა და ცდილობს სრულიად განთავისუფლდეს ჩანერგულ მიმართულებისაგან, სწავლობს ხალხის განათლებას უცხო ქვეყნებში.“ ამ ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ იაკობ გოგებაშვილი მომხრეა ჩვენმა პედაგოგებმა მიღონ განათლება მოწინავე საზღვარგარეთის ქვეყნებში უპირატესად იგულისხმება ევროპული განათლება, რომელიც მოგვიანებით კოსტანტინე გამსახურდიას და გრიგოლ რობაქიძის თაობამ მიიღო. რაც შეეხება იაკობ გოგებაშვილის გენიალურ სახელმძღვანელოებს „დედა ენას“, „ბუნების კარს“ ისინი პრაქტიკულად აკმაყოფილებენ ყველა იმ ძირითად მოთხოვნებს, რაც დღესაც აქტუალურია თანამედროვე ინოვაციური სახელმძღვანელოებისათვის. იაკობ გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებს ადგენდა იმ ალზრდის მიზნის შესაბამისად, რომელიც მას თავის დროის ქართული საზოგადოების აუცილებელ პრიორიტეტად მიაჩნდა, იაკობ გოგებაშვილის აზრით სწავლის მიზანს წარმოადგენდა ყოველმხრივ განვითარებული „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდა. და ბოლოს იაკობ გოგებაშვილის მოწოდება იმის შესახებ, რომ ჩვენმა პედაგოგებმა და სახელმძღვანელოს ავტორებმა მიიღონ მოწინავე უცხოური განათლება, მოგვხსენებათ, დღეისათვის უფრო მეტ აუცილებლობას და აქტივობას იძენს. ის ყველაფერ სხვასთან ერთად, რა თქმა უნდა, ეხება თანამედროვე ევროპულ დიდაქტიკას, კერძოდ, სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენის მეთოდოლოგია და სტრუქტურას.

#### ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი თხზულებანი, ტომი პირველი, თბილისი, 1955, გვ. 456-457
2. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ნათელა ვასაძე, თბილისი, 1998, გვ. 287-306
3. Педагогическая Энциклопедия, том 4, Москва, 1968. 157

*Paata Kurdadze*

*Gori State Teaching University*

#### **REQUIREMENTS TO THE TEXTBOOKS ACCORDING TO IAKOB GOGEBASHVILI RESUME**

The basic demands towards the manuals are discussed generally in the paper. The opinions of Classical teachers and writers such as Komensky, Ushinsky and others, are briefly discussed here. The list of demands required towards temporary manuals are also given in the paper. Considering this, the approach of I. Gogebashvili towards the manuals is analyzed in the paper within the theoretical, methodical and practical aspects, as they are given in his works.

**მედეა ღლონტი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას  
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## **„დედა ენის“ ფუნქციური იგავთმეტყველება (თემატიკის არჩევანი და მიზანდასახულობა)**

### **I. იაკობ გოგებაშვილის ანდერმნამაგი:**

**„მე უნდა დავიცვა დედა ენა,  
რადგანაც იგი არის უძვირფასესი საუნჯე ადამიანისა,  
და მასთან შესისხლბორცებულია ჩემი ერის აზრი, შემოქმედებითი ძალა.  
მე უნდა აღვზარდო სრულყოფილი ქართველი, ანუ ახალი ტიპის ქართველები,  
ნამდვილი კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნითა,  
რომელნიც უნდა გახდნენ ბატონნი ჩვენის მდიდარის ცხოვრებისა,  
გარდააქციონ იგი დაუშრეტელ წყაროდ გონებისა და  
იცხოვრონ ღირსეულად, დამოუკიდებლად და სასარგებლოდ ქვეყნისათვის“**

**იაკობ გოგებაშვილი**

ჩვენი სასიქადულო წინაპრის ეს ანდერმნამაგი დღემდე საჭირობოროტო საქმედ რჩება ყოველი კეთილგონიერი ქართველისათვის, ვინც საქართველოს მომავალი თაობის და, მაშასადამე, ქართველთა მომავალი გადარჩენისა და გამარჯვების უზენაესი მისია იტვირთა, რომლის ღირსეულად აღსრულების ჩინებული მაგალითი თავად იაკობ გოგებაშვილის ყოველდღიური ჯაფითა თუ ღვაწლით აღბეჭდილი ცხოვრებაა. ყოველივე ამის სრულქმნილი გამოხატულება გახლავთ ჩვენი უძვირფასესი საუნჯე - უკვდავი „დედა ენა“.

ამავე გოგებაშვილისეულ ანდერმნამაგში კონკრეტულადაა წარმოჩენილი ერისათვის სასიცოცხლო ის სულიერ-ზნეობრივი დებულებები, რომელთა გადაუდებლად აღსრულება მარადჟამ იყო და დღესაც უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის ვალი ღვთისა და ქვეყნის წინაშე, კერძოდ:

- \* მშობლიური ქართული ენის, ვითარცა ღვთივბოძებული საუნჯის, დაცვა;

- \* ერის ცნობიერების, აზროვნების წესის („ერის აზრის“) და შემოქმედებითობის ამაღლება-განვითარება;

- \* „ახალი ტიპის“, ანუ ფიზიკურად და სულიერად ყოველმხრივ სრულყოფილი ქართველი მოქალაქის აღზრდა-ჩამოყალიბება როგორც სიტყვით („კონკრეტული ცოდნით“), ისე საქმით („ცოცხალის ცოდნით“) - საპატრონებლად ჩვენი მდიდარი, მაღლიანი ქვეყნისა („ქართველნი... გახდნენ... ბატონნი ჩვენის მდიდარის ცხოვრებისა“), რომლის მასაზრდოებლად კვლავაც უნდა იქცეს მაღალი ქრისტიანული სულიერება („დაუშრეტელი წყარო გონებისა“);

- \* ყოველივე ეს, მთლიანობაში, ემსახურება ერის მარადიულ უზენაეს მიზანდასახულობას: იმგვარი ქვეყნის კეთილმოწყობას („სასარგებლოდ ქვეყნისათვის“), რომელიც მოიპოვებს და დაიცავს საკუთარი არჩევანის უფლებას („იცხოვრონ... დამოუკიდებლად“) და იცხოვრებს ღვთივმოსაწონად („ღირსეულად“).

### **II. „დედა ენაში“ გაცოცხლებული იაკობის ანდერმნამაგი:**

წინამდებარე მოხსენებაში წარმოდგენილი ანალიზის ცდა გვარწმუნებს, რომ ამ და მათგან მომდინარე დებულებებს იაკობ გოგებაშვილი შესაშური ოსტატობით აცოცხლებს თავის „დედა ენაში“, რომლის დროსაც მან გენიალური სიმარტივით აამოქმედა და დანერგა „აზრის პრინციპიდან“ ამოზრდილი თავისი ორიგინალური მეთოდოლოგია (იქნება ეს წინასწარი ვარჯიში ანბანის სწავლებაში, წერა-კითხვის სწავლების პრინციპები, შესასწავლი და საკითხავი მასალის შედგენა-განლაგება თუ ჰიგიენური მოთხოვნებისა და ტექნიკური გამართულობის გათვალისწინება) [იხ.: აი ია; თალაკვაძე; გოგოლაშვილი; არაბული, ღლონტი; კონფერენცია].

ასევე საყოველთაოდაა აღიარებული, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“: „უმთავრესად ავტორის მრავალი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგია“ (ზურაბ კიკნაძე) [იხ. გოგოლაშვილი: 113], რასაც

თავად „დედა ენის“ ავტორი გვიმოწმებს: „დედა ენის“ შედგენაში ჩვენ მივსდევდით საკუთარ მოსაზრებას, საკუთარ გზას“ [იქვე].

ამ „საკუთარ მოსაზრებას, საკუთარ გზას“ ჩვენი დიდებული წინაპარი მეტად საგულისხმოდ ათვალსაჩინოებს „დედა ენის“ საკითხავი და შესასწავლი მასალის თემატიკის არჩევანითა და მისი გადანაწილების მიზანდასახულობით.

ამ თვალსაზრისით, გავიხსენოთ გოგებაშვილის მიერ მოხმობილი შეგონება „ბუნების კარის“ წინათქმიდან („მასწავლებელთა და მშობლებისათვის“): „სამშობლოს შესწავლა საძირკველია მისი სიყვარულისა“ [ბუნების კარი: III]. ჩვენს დიდ მოძღვარსა და მასწავლებელს მხედველობაში აქვს „სამშობლოს სიყვარულისა და შესწავლის“ მთლიანობად შეკრული 4 კონკრეტული საგანი: **ბუნებისმეტყველება** (ღვთივმონიჭებული მდიდარი და მრავალფეროვანი ცოცხალი ბუნების ქმნილებანი და მოვლენები), **ქართული „სალიტერატურო“ სიტყვა** (საუკეთესო საყმაწვილო ლექსები, მოთხრობები, ანდაზა-გამოცანები და შეგონებანი), **საქართველოს გეოგრაფია და ეთნოგრაფია** (საქართველოს მხარეები - შიგნით და გარეთ, ზნე-ჩვეულებებითა და წიაღისეულის ჩვენებით, ილუსტრაციების აუცილებელი ჩართვით) და **საქართველოს ისტორია** (კეთილი და მოსარიდებელი „გაკვეთილების“ მომცემი ეპიზოდური მოთხრობები ჩვენი ერის წარსული ცხოვრებიდან), რომელიც „მოძღვარია ერისა“ [იქვე].

ამჯერადაც, იაკობმა „დედა ენისთვის“ შერჩეულ საკითხავ და შესასწავლ მასალას „სამშობლოს სიყვარულისა და შესწავლის“ იგივე კონკრეტული საგანი, ანუ **მიზანდასახულობა** განუკუთვნა - ეს არის **ქართველი ყმაწვილის ჯანსაღი ცხოვრების წესის საძირკვლის ჩაყრა, რათა საქართველოს მომავალი პატრონი სრულყოფილ მოქალაქედ აღიზარდოს.**

თავისი ჩინებული სახელმძღვანელოს აგებისას მან სწორედ ამ უზენაეს საქმეს ამსახურა საუკუნეობრივად ნაცადი **იგავურ-ალეგორიული მეტყველება**, რომელიც **საგანგებო ფუნქციით** აღჭურვა: არჩეული თემატიკის შემცველი მასალის (ბუნების ქმნილებანი და მოვლენები+წარსული და დღევანდლობა) **კონკრეტული მიზანდასახულობით** გადანაწილება (ადამიანის ცხოვრების წესი+სათნოებანი).

### III. „დედა ენის“ საანბანე ნაწილში გაცხადებული ფუნქციური იგავური მეტყველება:

„დედა ენის“ პირველი, **საანბანე ნაწილისათვის** ავტორმა შეარჩია ორგვარი საკითხავი და შესასწავლი მასალა, რომელთაგან მცირე წილი განეკუთვნა **დღევანდლობის** (უფრო კი ყოველდღიურობის: საოჯახო ნივთების, შრომის იარაღების, ნათესაობის და კალენდარული ლექსიკის, ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო საქმიანობის) **ამსახველ მასალას**, ზემოხსენებული „სამშობლოს სიყვარულისა და შესწავლის“ პირველი კომპონენტი, ანუ **ბუნების ქმნილებებისა და მოვლენების თემატიკა** კი თვალში საცემად დაწინაურდა:

ია, თხა, ხე, ძუა, მუხა, შეშა, სოკო, იხვი, ოფოფი, თევზი, ხარი, ღორი, კალია, კურდღელი, ქათამი, ბუდე, პეპელა, ბაყაყი, წიწილა, კაჭკაჭი, ტოროლა, ჩიტო, კრუხი, ვარია, დედალი, ძროხა, ფაფარი, ჩოჩორი, კვიცი, ძაღლი, თავგი, ღამურა, ობობა, გუგული, ქორი, ყვავი, ბულბული, შვარდენი, მტრედი, ფუტკარი, ჭია-მატლი, ღანძილი, ცერცვი, თუთა, კამა, კომში, წაბლი, კევი, ფისი, ხილი, მოსავალი, ნუში, რკო, ჩირი, ჭანჭური, ფუჩეჩი, მწვანელი, ჯეჯილი, სიმინდი, ლობიო, წაბლი, ღომი, ქერი, ვენახი, ღვინო, ფულურო, თივა, ჟანგი, ვაკე, ხევი, ტყე, ბუჩქი, ჭაობი, ლერწამი, მდინარე, მეხი, აპრილი, მაისი, თვე, მზე, თოვლი, წვიმა, ღამე, დღე, ზამთარი, ზაფხული, შემოდგომა, ქუხილი, და მისთ. [იხ.: გოგებაშვილი 1900; გოგებაშვილი 1912].

საანბანე ნაწილისთვის საგანგებოდ შერჩეული ეს თვალსაჩინო მასალა „დედა ენაში“ **კონკრეტული მიზანდასახულობით** გადანაწილდება: ყმაწვილი უწინარესად აღიქვამს **ცოცხალ ბუნებას** და, ამავე დროს, აცნობიერებს როგორც **ბუნების ქმნილებათა დანიშნულებას** (ხეხილი - ნაყოფს გვაძლევს; შინაური ცხოველები - საზრდოს გვაწვდიან; ფრინველები - ჭიკჭიკითა და გალობით, ყვილითა და კრიახით გვეხმიანებიან...), ისე მათ ღვთივმონიჭებულ საქმიანობას, მათი **არსებობის წესს** (ცხოველები იკეთებენ ბუნაგს, სოროს და ხვრელს, ფრინველები კი ბუდეს; ჰყავთ შვილები და მათ თავდადებით ზრდიან; დაუღალავად შრომობენ და თვითონ მოიპოვებენ საზრდოს...).

თავის მხრივ, ამ მასალის დაწინაურება და მისი თემატიკის ამგვარად გადანაწილება, **იმავე მიზანდასახულობით**, ემსახურება ყმაწვილის მაღალი სულიერებითა და ზნეობრიობით შემოსვის საშურ საქმეს. ყმაწვილს უღვივდება ბუნებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, სიყვარული ბუნების ყოველი ქმნილებისადმი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი ნიშანდობლივად მიახლოება ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების საიდუმლოს, რის შედეგადაც ყმაწვილი პირველად შეუდგება იმის სათანადოდ გაცნობიერებას, რომ ბუნება მის (ადამიანთა) საპატრონებლადაა გაჩენილი და თავადაც უნდა უპატრონოს მას.

რა თქმა უნდა, საანბანე ნაწილში, სადაც მასალის „ინფორმაციულობა“ ჭარბობს, ხსენებული **ფუნქციური იგავური მეტყველება** ფრაგმენტულადაა მომარჯვებული. მაგალითად, ბუნების ქმნილებისადმი ადამიანის დამოკიდებულების ამსახველ საკითხავში „ვანო და ჩიტი“ ცოცხალი მაგალითით (ხეზე თავდადმა ჩამოკიდებული ჩიტის მიმართ გამოვლენილი ვანოს შეუბრალებლობა და კეკეს სიბრალოლი) გოგებაშვილი ყმაწვილს იგავურად, „ფარულად“ შეაგონებს თანაგრძნობასა და ლმობიერებას; ასევე, ყოველდღიურობის ამსახველ საკითხავში „სანდროს ლოცვა“ ყმაწვილი არა მარტო ლოცვის უდიდეს ძალაში რწმუნდება, არამედ მშობელი დედისადმი განუზომელ სიყვარულსა და გულშემატკივრობაში გამეცადინდება [გოგებაშვილი 1900: 48-49,52].

ამისგან განსხვავებით, ამავე თემასა და მიზანდასახულობას გოგებაშვილი „დედაენის“ **მე-2 ნაწილში** („ანბანის შემდგომ საკითხავი“) უფრო განავრცობს და **ფუნქციური იგავური მეტყველებას** უკვე თავის არაერთ ორიგინალურ საკითხავში საგანგებოდ მიმართავს: „ვანო და ფრინველები“ (შდრ.: „ვასო და ჩიტები - [აკიდო: 6]), „ბალი და ჩიტები“, „მალყურძენა“, „მერცხალი და მეცხვარე“, „მწყერი და მწყემსი“, „მერცხალი და ღამურა“, „ბავშვი და ჭრიჭინა“, „ვაშლი და შაქარა“, „ხეების ბაასი“ და სხვა მრავალი [გოგებაშვილი 1900: 90,122-123,135,157-160...].

აღარაფერს ვიტყვით „დედა ენაში“ უხვად მოხმობილ **ანდაზებზე**, მათგან იმ მნიშვნელოვან ნაწილზე, რომლებიც ამავე მიზანდასახულობითაა შერჩეული და, მცირერიცხოვანი „საწუთისოფლო“ ანდაზებისგან განსხვავებით, სწორედ სულიერ-ზნეობრივ შეგონებებად ერთვის ყოველ სასწავლო-საკითხავ მასალას და სასაუბროებს [იხ.: გოგებაშვილი 1900: 34, 37, 39, 41, 43... ; გოგებაშვილი 1912: 17,20, 21-23...].

ცალკე ყურადღებას იქცევს ანდაზებიდან ამოზრდილი ოთხ ათეულამდე საკითხავი, რომელთაგან ნახევარზე მეტი ავტორისეულია [იხ.: გოგებაშვილი 1900: 90, 92-93, 109, 123, 129, 133, 135-136, 139, 144, 166, 183, 195, 201, 215, 217], დანარჩენი, ე.წ. ანდაზური საკითხავები კი გოგებაშვილის მიერ ოსტატურადაა მისადაგებული ხალხურ და კლასიკოს ავტორთა ლიტერატურულ ნიმუშებთან [იხ.: გოგებაშვილი 1900: 81, 116, 122, 124, 142, 176, 208, 226].

#### **IV. „ანბანის შემდგომ ნაწილში“ გაცხადებული ფუნქციური იგავური მეტყველება:**

„დედა ენის“ მეორე, ანბანის შემდგომი საკითხავი ნაწილის თავკიდურ მასალად გოგებაშვილმა ოსტატურად შეარჩია „ხალხური სიმღერა“ („მოდო, ვნახო ვენახი“) [გოგებაშვილი 1900: 68], რომელიც სახელმძღვანელოს პირველი და მეორე ნაწილების (ანუ I და II კლასების) შემაკავშირებელია, ე.წ. გარდამავალი მასალაა. ეს მშვენიერი ქართული ლექსი ხალხურ სალაღობო-გასართობ ჟანრს მიეკუთვნება და პოეტური რეჩიტატივის („წართქმითი გალობის“) უზადლო ნიმუშია, რომელიც აგებულია ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი რიტმით ( $14\text{-მარცვლოვანი}=4+3/4+3$ ), გარეგანი, შინაგანი და მოსაზღვრე ალიტერაციულ-ასონანსური რითმების კანონზომიერი მონაცვლეობით.

ამასთან ერთად, „ხალხურ სიმღერაში“ ზემოაღნიშნული ფუნქციური იგავთმეტყველებით წარმოჩნდება იგივე ავტორისეული მიზანდასახულობა - ბუნების ქმნილებათა (თხა, მგელი, ჟანგი, მიწა, თავგი, კატა) და მათი არსებობის წესის აღქმა-გაცნობიერება. ლექსში შესაშური დინამიკურობით ცხადდება ბუნების ქმნილებათა შორის „გაჩაღებული“ ურთიერთდამოკიდებულებანი, რომლის სათანადო გააზრებით ყმაწვილი მათი არსებობის წესის ახალ წახნაგებს შეიცნობს და, საგნის პედაგოგის შემწეობით, პარალელის გავლებას შეეცდება ადამიანთა ურთიერთობა-დამოკიდებულების გარკვეულ ფორმებთან. ეს ლექსი, თავისი ამგვარი მხატვრული ფორმითა და მიზანდასახულობით, „დედა ენაში“ ეხმიანება ხალხურ ლექსებს „რწყილი და ჭიანჭველა“, „ჩიტი და ფეტვი“ და „ჩიტი და მელა“ [გოგებაშვილი 1900: 81-86; 94; 105-108], ასევე ხალხურ ზღაპარს „მებადურის შვილი“ [გოგებაშვილი 1900: 230-239], რომელიც ადამიანთა კეთილგონივრული ურთიერთდამოკიდებულების მრავლისმეტყველ გაკვეთილებს შეიცავს.

შესწავლილი მასალის მიზანდასახულობასთან ერთად, „დედა ენის“ მეორე ნაწილში გოგებაშვილი იმგვარი მასალის თემატიკაზე მიაპყრობს ყმაწვილის ყურადღებას, რომლებშიც საგანგებოდაა წარმოჩენილი:

ერთი მხრივ, ადამიანის ზნეობრივად ჯანსაღი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი მახასიათებლები:

**სიყვარული** (სამშობლოსი, მშობლებისა, ოჯახისა, მეგობრისა, ბუნების ქმნილებისა...),

**მოწყალება, შემწეობა და თანადგომა** (დაჩაგრულისა, სნეულისა, გასაჭირში მყოფი მტრისა თუ ბუნების ქმნილებისა...),

**სიკეთე** (სწავლისა, შრომა-გარჯისა, სიხანულისა საკუთარი ცოდვების გამო, სხვისი პატიებისა, კეთილგონიერებისა, მოთმინებისა და თავმდაბლობისა, სულგრძელობისა, სამართლიანობისა, ერთობისა, სამშობლოს სამსახურისა, მადლიერებისა, თანა-სიხარულისა, თავშეკავებისა, გამჭირაობისა, გონიერებისა);



და, მეორე მხრივ, ღვთისათვის სამაგელი და კაცთათვის მიუღებელი:

**უსიყვარულობა და სიძულვილი** (ბუნების ქმნილებისა, ადამიანისა - გვერდით მდგომისა თუ მტრისა),

**დაზარება-სიზარმაცე** (სწავლისა, შრომა-გარჯისა),

**ბოროტება** (მტრობისა, უმადურობისა, დაყვედრებისა, სიხარბისა, შუღლისა და დავა-ჩხუბისა, სხვისი დაჩაგვრისა და დაცინვისა, უსამართლობისა, შურისა, ამპარტავნებისა, კვეხნისა, ფუჭმეტყველებისა და ავსიტყვაობისა, უსაქმურობისა, უსწავლელობა-უცოდინრობისა, ნაყროვანებისა).

ფრიად საგულისხმო, შეიძლება ითქვას, კანონზომიერი დაკვირვების მოწმენი ვართ: „დედა ენის“ საკითხავების თემატიკა თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვება ქრისტიანული საეკლესიო სატნოებებსა და მოწყალების საქმეებს, ანუ მართლმორწმუნე ქრისტიანის ცხოვრების წესის განმსაზღვრელ და განმაპირობებელ მახასიათებლებს [იხ.: ლოცვანი].

იაკობ გოგებაშვილს, წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძის) სულიერ შვილს, როგორც ვიცით, უმადლესი სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და ღრმად იყო განსწავლული საეკლესიო-საღვთისმეტყველო საკითხებში. ვფიქრობთ, „დედა ენის“ მასალის თემატიკის არჩევანისა და მისი გადნაწილების მიზანდასახულობისთვის იგი უთუოდ გაითვალისწინებდა და, ხშირ შემთხვევაში, იხელმძღვანელებდა კიდევ ქრისტიანული საეკლესიო სატნოებებით, ხორციელი და სულიერი მოწყალების საქმეებით, მომაკვდინებელი ცოდვებითა და მათგან განსაკურნებელი სატნოებებით, უფრო კი -სულიწმიდის ცხრა ნაყოფით, რომელთა ერთობლიობა ქრისტიანული ცხოვრების, ანუ ადამიანის მაღალი სულიერებისა და ზნეობრიობის ერთგვარ კატეხიზისურ კოდექსს შეადგენს.

ამ „კოდექსის“ შემადგენელ მახასიათებელთა არჩევანი გოგებაშვილის მიერ, ცხადია, ყმაწვილის ასაკის (სწავლების საფეხურის) გათვალისწინებით განხორციელდა, რის გამოც „დედა ენის“ საკითხავი მასალის თემატიკა სრულად არ ემთხვევა ხსენებულ კატეხიზისურ კოდექსს, არამედ სულიერ-ზნეობრივი ცხოვრების მხოლოდ იმ კომპონენტებს აღბეჭდავს, რომელთა აღქმისა და გაცნობიერებისათვისაც მზადაა ყმაწვილი.

ამჯერად წარმოვადგენთ „დედა ენის“ საკითხავების „კეთილ-აზროვანი“ თემატიკისა და ხსენებული კატეხიზისური კოდექსის მიმართების ამსახველ თვალსაჩინოებას, რომელშიც წყვეტილი ხაზით მონიშნულია არარეალიზებული მახასიათებლები, კვადრატულ ფრჩხილებში კი მითითებულია საკითხავის გვერდი [გოგებაშვილი 1900]-ის მიხედვით:

9 ნაყოფი სულიწმიდისა:	„დედა ენის“ საკითხავები:
<b>სიყვარული</b>	ნუცას სკოლა; მოსიყვარულე ამხანაგი[70]; ყაყაჩო და ყმაწვილი[72]; ვანო და ფრინველები[90]; კეთილი ძმა[183]; დაკარგული ბავშვი[189]
<b>სიხარული</b>	ვანო და ფრინველები[90]; ორი ირემი[108]
<b>სიმშვიდე</b>	-----
<b>სულგრძელება</b>	მეთევზე და თევზი[125]; მახეში გაბმული ჩიტები[203]; ყმაწვილი და პეპელა[209]
<b>სიტკბოება</b>	ორი ირემი[108]
<b>სიკეთე</b>	კეთილი სანდალა[79]; ორი სახნისი[93]; გვრიტი[98]; ბოროტისათვის სიკეთე[212]; მეფე და მისი ვაჟები[244]; სამნი ძმანი[239]; მორჯულებული ზარმაცი[241]; მარგალიტი[168]
<b>სარწმუნოება</b>	-----
<b>მყუდროება</b>	-----
<b>მოთმინება</b>	მოთმინება კაი საქონელია [193]

„დედა ენის“ საკითხავები:	7 საქმე სულიერი მოწყალებისა:	7 საქმე ხორციელი მოწყალებისა:	„დედა ენის“ საკითხავები:
-----	ცოდვითამოქცევა	მშვიერთა დაპურება	-----
სწავლაზე ზარმაცი, ცეკვაზე მამაცი; მოწვევა სწავლაზე[72];	<b>უმეცართა სწავლება</b>	მწყურვალთა სმევა	-----
ვანო და ჩიტი[52]; გვრიტი[98]; გაშვებული	<b>დაბრკოლებულთა განმართვა</b>	შიშველთა შემოსვა	

ჩიტი[185]; კოჭლი და ბრმა[202]; ცუდი მეზობელი[152]			-----
ერთგული პატარა ქალი[181]; კეთილი ძმა[183]	<b>მწუხარეთა ნუგეშინისცემა</b>	უცხოთა შეწყნარება	-----
-----	უსამართლობის მოთმენა	სნეულთა მიხედვა	სანდროს ლოცვა[49]; ერთგული პატარა ქალი[181]; კეთილი ძმა[183]
-----	შემცოდეთა პატიება	პატიმართა მოკითხვა	-----
-----	ვედრება ღვთისადმი მოყვასის საცხონებლად	მიცვალებულთა დამარხვა	-----
<b>„დედა ენის“ საკითხავები:</b>	<b>7 ცოდვა - მომაკვდინებელი: ამპარტავნება</b>	<b>7 სათნოება - წამალი მათი</b>	<b>„დედა ენის“ საკითხავები:</b>
მკვებარა ქოთანი[74]; მკვებარა[116]; გვრიტი და მტრედი[124]; ბუზი და ეტლი; პეპელა და ფუტკარი[133]; ცხვირს მალა ვინ იწევს[150]; მუქარა[171]; ცრუპენტელა[188]; ჩხუბი ადამიანის ასოებისა[197]; თავნება თავგი[201]; სამი მგზავრი[226]		სიმდაბლე	-----
მწყერი და მწყემსი[122]; ჭიანჭველა და ფუტკარი[136]; ბებერი და გოგოები[148]; მოსამართლის ლექსი[190]	<b>ანგარება</b>	<b>მოწყალება</b>	რწყილი და ჭიანჭველა[81]; კატო და კატა[120]; ბავშვი და ჭრიჭინა[135]; ლომი და აგვი[164]; ფუტკარი და მტრედი[208]
-----	სიძვა	უმანკოება	-----
ღორმუცელა და ბეჯითი[78] ჩხუბი არაფერზე[93]; მელია და მამალი[117]; ბაყაყი და თავგი[130]; ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს[149]	<b>მრისხანება</b>	სიმშვიდე	-----
ძალდი და კატა[99]; დედაბერი და ქათამი[114]; ქორი და იხვი[121]; ერთი და ორი[202]	<b>ნაყროვანება</b>	<b>მარხულობა</b>	ძალდი და კატა[99]; ერთი და ორი[202]
სამი მგელი[108]	<b>შური</b>	<b>სიყვარული</b>	ნუცას სკოლა; მოსიყვარულე ამხანაგი[70; ყაყაჩო და ყმაწვილი[72];

			ვანო და ფრინველები[90]; ბერიკაცი და ნამყენი[156]; კეთილი მძა[183]
-----	სასოწარკვეთილება	სასოება	-----

დაბოლოს, დავაკვირდეთ „დედა ენის“ I და II ნაწილებში შემავალი საკითხავი მასალის ავტორთა სიხშირის კოეფიციენტს:

**I ნაწილში ჭარბობს** მასალა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან (30), დანარჩენი (12) - გოგებაშვილისეულია;

**II ნაწილში** კი ჭარბობს გოგებაშვილისეული (55), მას მოსდევს კლასიკოს ავტორთა (სულხან-საბა, ეზოპე, აკაკი, რაფიელ ერისთავი, ტოლსტოი და სხვ.) რედაქტირებული მასალა (27) და ხალხური (15).

ეს, ერთი შეხედვით, მშრალი სტატისტიკური მონაცემებით კიდეც ერთხელ ვრწმუნდებით ქართული საანბანე სახელმძღვანელოს იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდოლოგიის სიბრძნესა და გენიალურობაში, კერძოდ:

საკითხავი მასალის თემატიკის არჩევანისა თუ ამ მასალის მიზანდასახულობის სათანადოდ განხორციელებისათვის, „დედა ენის“ ავტორი ამჯერადაც ზედმიწევნით ხელმძღვანელობდა საანბანე სახელმძღვანელოს აგების საკუთარი მეთოდოლოგიით და, **თემატიკის შერჩევის, შემოქმედებითობისა და ზნეობრიობის პრინციპებიდან მოკიდებული**, ასევე ზედმიწევნით ითვალისწინებდა: **აზრის, სწავლების თანმიმდევრობის, დიდაქტიკურ, ნაცნობიდან უცნობზე, მარტივიდან რთულზე, ადვილიდან ძნელზე, შეგნებულობის - პრინციპებს.**

#### ლიტერატურა:

**აი ია - აი ია**, ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი DEDAENA. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. თბ., 2014.

**აკიდო** - აკიდო, ანუ კრებული საყმაწვილო მოთხრობათა, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. თბ., 1901.

**არაბული** - ავთანდილ არაბული, ტექსტების ადაპტაციის პრობლემა სასწავლო მიზნებისათვის იაკობ გოგებაშვილთან. იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენცია: იაკობის „დედა ენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა, 2008 წლის 27 ოქტომბერი (მასალები). გამომცემლობა „დედაენა“. თბ., 2008, გვ. 22-27.

**ბუნების კარი** - იაკობ გოგებაშვილი, ბუნების კარი, მესამე და მეოთხე წლისათვის. ოცდამეერთე გამოცემა, შევსებული ახალი განყოფილებით - „კაცობრიობა“; მრავალი სურათით, საქართველოს ახასლი ვრცელი ქარტით და ევროპის პატარა ქარტითა. თბ., 1912.

**გოგებაშვილი 1900** - იაკობ გოგებაშვილი, დედა ენა, ანბანი და საკითხავი წიგნი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, I, II, III კლასი, მეთოთხმეტე გამოცემა, თბ., 1900; საიუბილეო (მეორე ახალი) გამოცემა. გამომცემლობა „დედაენა“. თბ., 2013.

**გოგებაშვილი 1912** - დედა ენა, პირველი ნაწილი, ქართული ანბანი, პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით, ყველა სარწმუნოების ქართველთათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ, ოც-და-მეცამეტე გამოცემა, მრავალი სურათით და დედნით. ტფილისი, 1912.

**გოგოლაშვილი** - გიორგი გოგოლაშვილი, სიბრძნე იაკობისა. თბ., 2014, გვ. 103-131.

**თალაკვაძე** - მარიამ თალაკვაძე, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები. თბ., 1952, 190 გვ.

**იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი** - ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, თქმულნი 1860-1870 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მეოთხე. ქუთაისი, 1913, გვ. 512-531.

**კატეხიზმო** - სახელმძღვანელო მართლმადიდებელ ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად (იბეჭდება 1911 წლის გამოცემის მიხედვით). საქართველოს ეკლესიის კალენდარი - 1989. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1989 გვ. 102-193.

**კონფერენცია** - იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენცია: იაკობის „დედა ენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა, 2008 წლის 27 ოქტომბერი (მასალები). გამომცემლობა „დედაენა“. თბ., 2008.

**ლოცვანი** - ლოცვანი, ლოცვად ნათელ არს სულისა. „გამომცემლობა დედაენა“, დაიბეჭდა გამომცემლობა „ალილოს“ მონაწილეობით. თბ., 2013, გვ. 349-352.

**მ. ღლონტი** - დოდო (მარიამ) ღლონტი, გოგებაშვილის მეთოდოლოგიის სიბრძნე. იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენცია: იაკობის „დედა ენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა, 2008 წლის 27 ოქტომბერი (მასალები). გამომცემლობა „დედაენა“. თბ., 2008, გვ. 14-21.

**Medea Glonti**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics*

## **THE FUNCTIONAL ALLEGORICAL SPEECH OF “DEDA ENA”**

### **RESUME**

The essay analyses the selection and distribution of material's thematic through functional allegorical speech in Iakob Gogebashvili's alphabet teaching textbook “Deda Ena” (“Native Language”). There is discussed the main motive of the alphabet teaching textbook's author: providing the bases for the child's sound lifestyle, upbringing the future protector of Georgia as a perfect citizen.

**ფატიმა შოთაევი**

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლა

**მაია გოგიჩაიშვილი**

ქ. თბილისის კერძო სკოლა „ლამპარი“

## **მსგავსების და განსხვავების გამოვლენა - როგორც თანამედროვე სწავლების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი**

ჩვენ, განათლების სპეციალისტებს, საინტერესო დროს გვიწევს ცხოვრება. რატომ? თანამედროვეობას თან ახლავს ბევრი სიახლე, რასაც ხშირად ახალი ათწლეულის, საუკუნისა და ათასწლეულის დადგომას უკავშირებენ. ჩვენთვის უმთავრესი სიახლეა ის, რომ მომსწრენი ვართ ახალი ეპოქის, რომელშიც სწავლების „ხელოვნება“ სწავლების „მეცნიერებად“ იქცევა.

ზოგიერთი მკითხველი შეიძლება გაოცდეს, როცა გაიგებს, რომ მხოლოდ ოცდაათი წლის წინ დაიწყო სწავლების მეთოდების საფუძვლიანი სამეცნიერო კვლევა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ 1970 წლამდე არ იცნობდნენ სწავლების ეფექტურ გზებს; მასწავლებლები სოკრატეს მეთოდს მთელი ორნახევარი ათასი წლის მანძილზე იყენებდნენ. მკვლევარები მხოლოდ 1970-იანი წლების დასაწყისში დაინტერესდნენ სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირით. 1960-იან წლებში კი მიაჩნდათ, რომ მოსწავლის აკადემიური მოსწრება საერთოდ არ იყო დამოკიდებული სწავლების მეთოდოლოგიაზე. ასეთ დასკვნამდე მივიდა განათლების მკვლევარი ჯეიმს ქოულმანი. იგი და მისი კოლეგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სკოლის მოსწავლეთა შორის აკადემიურ მოსწრებაში არსებული განსხვავება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მოსწავლის ნიჭი ან უნარები, მისი სოცო-ეკონომიური სტატუსი და ოჯახური გარემო. სამწუხაროა, რომ სკოლას ამ სამი ფაქტორიდან არ ერთის შეცვლა არ შეუძლია. ანალოგიური შედეგით დასრულდა 70-იან წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტში ქრისტოფერ ჯენქსის კვლევა.

ჯ. ქოულმანისა და ქ. ჯენქსის დასკვნები განსაკუთრებული იმედის მომცემი არ არის განათლების სპეციალისტებისა და განათლების სფეროს კვლევებში ჩართული მეცნიერებისათვის. თუ იმ ფაქტორთა უმეტესობა, რაც მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე ახდენს ზეგავლენას, სკოლის გარეთაა, მაშინ ღირს კი განათლების სპეციალისტების მხრიდან რაიმე ღონისძიების გატარება?

ჯერ კიდევ 1970-იან წლებში მივიდა მეცნიერება იმ დასკვნამდე, რომ ნაკლებად ეფექტურ სკოლებშიც კი მასწავლებელი შეიძლება დიდ გავლენას ახდენდეს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ამ აღმოჩენის გაკეთება შესაძლებელი გახდა ეფექტური სწავლების მეთოდების შესწავლით და კვლევით. დასკვნა, რომელიც ამ კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს, შემდეგია: მასწავლებელთა ეფექტურობის ზრდაზე მიმართული ღონისძიებები შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად ტარდება. ჩვენი ნაშრომი პრაქტიკულია, მასში წარმოდგენილია ინფორმაცია ეფექტურ სწავლებაზე ორიენტირებული მეთოდების შესახებ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეფექტური სწავლება სამ ელემენტს მოიცავს, ესენია: 1. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები, 2. მასწავლებლის მიერ გამოყენებული კლასის მართვის სტრატეგიები, 3. საგნის სწავლების გეგმა, რომელსაც მასწავლებელი ადგენს. ჩვენს ნაშრომში სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდის განხილვით შემოვიფარგლებით:

მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა.

როგორც მკვლევარები ასკვნიან, მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაცია ადამიანის აზროვნების საბაზო ელემენტებთან დაკავშირებული პროცესია. მეთოდები, რომლებიც მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას უკავშირდება, შეიძლება სწავლის „ქვაკუთხედად“ ჩაითვალოს.

ის, თუ რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენაზე მიმართულ სწავლების მეთოდს, კარგადაა წარმოდგენილი მ. გიქისა და ქ. ჰოლიოაქის ექსპერიმენტში. მკვლევარებმა ექსპერიმენტში მონაწილეებს შემდეგი პრობლემა მიაწოდეს:

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ექიმი. თქვენს პაციენტს კუჭის ავთვისებიანი სიმსივნე აქვს და ოპერაცია შეუძლებელია. სიმსივნის მოსასპობად არსებობს სხივებით მკურნალობის მეთოდი. სათანადო სიმძლავრის სხივები სიმსივნესთან ერთად ჯანსაღ ქსოვილებსაც გაანადგურებს. ნაკლები სიმძლავრის სხივები კი სიმსივნეს ვერ მოსპობს. რა პროცედურა უნდა გამოიყენოს ექიმმა იმისთვის, რომ სიმსივნე გაანადგუროს და, ამავდროულად, არ დააზიანოს დანარჩენი ქსოვილები?

ამ პრობლემის გაცნობის შემდეგ, გადაწყვეტის გზას მონაწილეთა 10 % პოულობს. მკვლევარებმა ექსპერიმენტში მონაწილეებს შემდეგი პრობლემაც მიაწოდეს: ერთ პატარა ქვეყანას ციხე-სიმაგრიდან მართავდა დიქტატორი. ბევრი გზა მიდიოდა ციხე-სიმაგრემდე. აჯანყებულმა გენერალმა ციხე-სიმაგრის ასაღებად საკმარის ჯარს მოუყარა თავი. თავდასხმამდე მან მიიღო ინფორმაცია, რომ მისადგომები დანადგული იყო და თუ ადამიანთა დიდი რაოდენობა გზაზე ერთბაშად იმოდრავებდა, ეს გზა აფეთქდებოდა. გენერალმა შემდეგი გეგმა შეიმუშავა: მან დაყო თავისი ჯარი პატარა ჯგუფებად და ისინი ციხე-სიმაგრისაკენ მიმავალ სხვადასხვა გზაზე განლაგა. საბოლოოდ, ციხე-სიმაგრესთან მთელი არმია აღმოჩნდა. ასე მოახერხა გენერალმა ციხე-სიმაგრის აღება. ამ უკანასკნელი მაგალითის გათვალისწინებით, სიმსივნის განადგურების ამოცანის ამოხსნა ექსპერიმენტში მონაწილეების 90 %-მა შეძლო. საინტერესოა, რატომ გაუადვილა გენერლის შესახებ მოთხრობამ ექსპერიმენტის მონაწილეებს ამოცანის ამოხსნა? პასუხი მარტივია: მას შემდეგ, რაც ადამიანი ხედავს მსგავსებას ამოცანაში წარმოდგენილ პრობლემასა და მოსმენილ ამბავს შორის, პრობლემის გადაჭრის გზებს უფრო ადვილად პოულობს.

გამოვლენის მეთოდთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ შემდეგი ოთხი ზოგადი დასკვნა:

1. იდენტიფიკაციის პროცესში მოსწავლეებისათვის პირდაპირი დახმარების აღმოჩენა მათში ცოდნის გააზრებისა და გამოყენების შესაძლებლობას ზრდის.

2. მოსწავლეებისაგან მოთხოვნა იმისა, რომ მათ დამოუკიდებლად იპოვონ მსგავსება და განსხვავება, მათში ცოდნის გააზრებისა და გამოყენების შესაძლებლობას ზრდის.

3. მოსწავლეებისათვის მსგავსებისა და განსხვავების გრაფიკული ან სიმბოლური წარმოდგენა მათში ცოდნის გააზრებისა და გამოყენების შესაძლებლობას ზრდის.

4. მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენის პროცესი სხვადასხვაგვარად შეიძლება წარიმართოს და საკმარის ძალისხმევას საჭიროებს.

არსებობს ამ მეთოდის ოთხი სხვადასხვა, ყველაზე ეფექტური ფორმა:

- შედარება
- კლასიფიკაცია
- მეტაფორები
- ანალოგიები

შედარება წარმოადგენს საგნებს ან იდეებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების იდენტიფიკაციის პროცესს.

კლასიფიკაცია წარმოადგენს საგანთა კატეგორიებად დაჯგუფების პროცესს, რომელიც ეფუძნება მათ მახასიათებლებს.


მეტაფორების შექმნა წარმოადგენს კონკრეტულ თემაში ზოგადი ან საბაზო პარადიგმის იდენტიფიკაციის პროცესს და შემდეგ ისეთი სხვა თემის მოძიებას, რომელიც სრულიად განსხვავებულია, მაგრამ იმავე, ზოგად პარადიგმას ემორჩილება.

ანალოგიების შექმნა წარმოადგენს ცნებათა წყვილებში ურთიერთკავშირების იდენტიფიკაციის პროცესს.

შედარების სავარჯიშოები, რომლებშიც მთავარი როლი მასწავლებელს ენიჭება, საჭიროა მასწავლებლებმა შედარებებისათვის კარგად სტრუქტურირებული სავარჯიშოები გამოიყენონ. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს მიუთითებს, თუ რა საგნები ან მოვლენები უნდა შეადარონ მათ და რომელი მახასიათებლების მიხედვით. ასეთი სავარჯიშოები საშუალებას იძლევა, მოსწავლეთა ძალისხმევა საჭირო ტიპის დასკვნებზე მივმართოთ. მსგავსებაზე და განსხვავებაზე პირდაპირი მითითება არ ნიშნავს იმას, რომ სწავლება დიდაქტიკური უნდა იყოს. მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენას თან მოსწავლეთა შორის სასარგებლო დისკუსიები და კითხვა - პასუხი (ინტერაქცია) ახლავს.

მოსწავლეებისაგან მოთხოვნა იმისა, რომ მათ დამოუკიდებლად იპოვონ მსგავსება და განსხვავება, მათში ცოდნის გააზრებისა და გამოყენების შესაძლებლობას ზრდის. შედარების სავარჯიშოები, რომლებიც მთლიანად მოსწავლეთა ძალისხმევაზეა მიმართული, არის ის სავარჯიშოები, როცა ისინი თავად ირჩევენ ა) რომელი მახასიათებლების მიხედვით შეადარონ ან ბ) რომელი საგნები თუ მოვლენები შეადარონ ერთმანეთს და რა მახასიათებლების მიხედვით. სწავლების მეთოდთა ამ კატეგორიაში მეტად მნიშვნელოვანია მსგავსებისა და განსხვავების გრაფიკული და სიმბოლური წარმოდგენა.

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში გრაფიკულ მეთოდს მეტად ეფექტურად ვიყენებ რიცხვით სიმრავლეებს შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოსავლენად. რიცხვით სიმრავლეებზე მოქმედებების შესწავლისას, ვენის დიაგრამების გამოყენება მოსწავლეთათვის თვალსაჩინოს ხდის სიმრავლეთა თანაკვეთას, გაერთიანებას და სხვაობას. ვენის დიაგრამა ეხმარება მოსწავლეებს, ორი წრის გადაკვეთაში საგნებს თუ მოვლენებს შორის მსგავსებები ჩამოთვალონ. წრეების დანარჩენ ნაწილებში კი განსხვავებები.



კლასიფიკაცია გულისხმობს ელემენტების ჯგუფებად დაყოფას, მათ შორის მსგავსების საფუძველზე კლასიფიკაციისას მთავარია იმ წესების იდენტიფიკაცია, რომელიც კლასსა და კატეგორიაში კუთვნილებას განსაზღვრავს. კლასიფიკაციის სავარჯიშოებში, რომლებშიც მთავარი როლი მასწავლებელს ენიჭება, მოსწავლეებს იმ კატეგორიების შესახებ ეძლევათ ინფორმაცია, რომელთა მიხედვითაც მოცემული ელემენტების კლასიფიკაცია უნდა განახორციელონ. ასეთ სავარჯიშოებში მთავარია, მოსწავლემ ზუსტად განსაზღვროს ელემენტის კატეგორია და გაიაზროს, თუ რატომ მიეკუთვნება ესა თუ ის ელემენტი ამა თუ იმ კატეგორიას. კლასიფიკაციის სავარჯიშოების გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი საგნის სწავლებისას. მაგალითად, მათემატიკის გაკვეთილზე მოსწავლეებს ასეთი სავარჯიშო შევთავაზეთ: დაფაზე ჩამოწერილია ნამდვილი რიცხვების საკმაოდ გრძელი მწკრივი. მოსწავლეებმა თითოეული რიცხვი უნდა მიაკუთვნონ ან რაციონალურ, ან ირაციონალურ რიცხვთა სიმრავლეს. ანუ მოახდინონ რიცხვების კლასიფიკაცია.

სავარჯიშოებში, რომლებიც მთლიანად მოსწავლეთა ძალისხმევაზეა მიმართული, რიცხვების ჩამონათვალში, კლასიფიკაციაც მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს და დაადგინოს.

კლასიფიკაციის სავარჯიშოებშიც მოსწავლეები უნდა წავახალისოთ, რომ გრაფიკული სქემები სხვადასხვა ტიპისა და კლასიფიკაციის სავარჯიშოს შესრულების დროს გამოიყენონ.

მეტაფორების შედგენისას ყველაზე მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რომ მეტაფორის ორი შემადგენელი სახე ერთმანეთს აბსტრაქტულად ან არაპირდაპირ უკავშირდება. მაგალითად, “სიყვარული არის ვარდი” მეტაფორაა. ერთი შეხედვით, პირდაპირი კავშირი სიყვარულსა და ვარდს შორის არ არსებობს. აბსტრაქტულად თუ შევხედავთ, ასეთ კავშირს დავინახავთ.

სავარჯიშოებში, რომლებშიც მთავარი როლი მასწავლებელს ენიჭება, მოსწავლეებს შესთავაზებენ მეტაფორის ერთ-ერთ ელემენტს და იმ აბსტრაქტულ ურთიერთობებსაც, რომელიც მეტაფორის ელემენტებს შორის არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი ქმნის „ხარაზოს“, სამშენებლო სამუშაოები კი მოსწავლეებს ევალებათ. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები აბსტრაქტული პარადიგმის ან

ურთიერთკავშირის არსს გაიაზრებენ, შეიძლება მივცეთ სავარჯიშო, რომელშიც მეტაფორის მხოლოდ ერთი ელემენტია მოცემული და ვთხოვთ მოიფიქრონ მეორე ელემენტი და აღწერონ ამ ორ ელემენტს შორის არსებული აბსტრაქტული ურთიერთკავშირი.

გრაფიკული სქემები მეტაფორებთან დაკავშირებულ სავარჯიშოებში ისე ხშირად არ გამოიყენება, როგორც კლასიფიკაციისა და შედარებაზე ორიენტირებულ დავალებებში. ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდან თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ შეიძლება მასწავლებელმა გრაფიკული სქემა გაკვეთილზე გამოიყენოს. დაწყებითი კლასის მასწავლებელი ცდილობდა მოსწავლეებისთვის აეხსნა, თუ როგორ უნდა დალაგდეს წინადადებები აბზაცებში. „სენდვიჩის მომზადება“ დაწერა მასწავლებელმა მარცხნივ და „აბზაცის ჩამოყალიბება“ მარჯვნივ. სენდვიჩის მომზადებისთვის საჭირო ქმედებები მოსწავლეებმა აბსტრაქტულ, ზოგად კითხვებად აქციეს და შუა სვეტში მოათავსეს. პირველ ორ სვეტში ჩამოყალიბებული შეკითხვების საფუძველზე მოსწავლეებმა მესამე სვეტში ის შეკითხვები ჩამოაყალიბეს რომელთა პასუხებიც აუცილებელია აბზაცის მომზადებისთვის.

#### გრაფიკული სქემა

სენდვიჩის მომზადება	იმავეს თქმა სხვანაირად	აბზაცის ჩამოყალიბება
რა გსურთ მიირთვათ?	რა არის ჩემი მიზანი?	რა არის აბზაცის ჩამოყალიბების მიზანი?
როგორი პური მჭირდება?	როგორ შევკრათ ერთ მთლიანობად?	რა იქნება ჩემი პირველი და ბოლო წინადადება?
რა ჩავდო სენდვიჩში?	რა იქნება შუაში?	კიდევ რა წინადადებები დამჭირდება?
გასაუმჯობესებლად კიდევ რა დავამატო?	როგორ შეიძლება კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ?	როგორ გავხადო აბზაცი უფრო საინტერესო?

ანალოგიები მეტაფორების მსგავსად, იმ საგნებს ან მოვლენებს შორის მსგავსების აღმოჩენაში გვეხმარება, რომლებიც, ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან განსხვავდებიან. როცა მთავარი როლი ენიჭება, მას უფრო სტრუქტურირებული სავარჯიშოების გაკეთება უწევს. მაგალითად, შემდეგი ანალოგია: თერმომეტრი იგივეა ტემპერატურისთვის, რაც ოდომეტრი მანძილისთვის. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ახსნან, თუ რითი ჰგავს თერმომეტრსა და ტემპერატურას შორის კავშირი იმ კავშირს, რომელიც ოდომეტრსა და მანძილს შორის არსებობს. თერმომეტრიც და ოდომეტრიც საზომი ხელსაწყოებია.

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს ანალოგიების ოთხი ელემენტიდან მხოლოდ სამი წარმოუდგინოს და მეოთხის მოძიება მათ დაავალოს.

სავარჯიშოები, რომლებიც მთლიანად მოსწავლეთა ძალისხმევაზეა მიმართული, მასწავლებელმა შეიძლება ანალოგიების პირველი წყვილი მისცეს და მეორე წყვილის მოფიქრება სთხოვოს. მოსწავლეს მოუწევს იმის არგუმენტირებული დასაბუთება, თუ რატომ შეარჩია ეს კონკრეტული წყვილი.

მსგავსებისა და განსხვავების ძიება სხვადასხვა სავარჯიშოს საშუალებით შეიძლება განხორციელდეს. მოსწავლეები შეიძლება ჩავრთოთ დავალებებში, რომლებიც შედარებებს, კლასიფიკაციას, მეტაფორებს და ანალოგიებს უკავშირდება. კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული ეს მეთოდები აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას.

#### ლიტერატურა:

- 1) რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი „ეფექტური სწავლება სკოლაში“, 2009.
- 2) მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებლისათვის, ზოგადი განათლების პროფესიული კავშირი, თბ., 2013.

**Patima Shotaevi**

*LEPL - Mtskheta Municipality Village Ksani Public School*

**Maia Gogichaishvili**

*Tbilisi Private School "Lampari"*

### **ELICITATION OF SIMILARITIES AND DIFFERENCES - AS ONE OF THE EFFECTIVE METHODS OF MODERN TEACHING RESUME**

Modernity is accompanied by a lot of innovations. For the education specialists the main novelty is that we are witnessing a new era, in which the "art" of teaching becomes "science" of teaching. Only thirty years ago started a comprehensive scientific study of teaching methods. Still in the 1970s the science went to the conclusion that

even in less effective schools the teacher can be a profound effect on students' academic success. The study of effective teaching methods was able to make this discovery. Our research discusses one of the most efficient teaching method, and related interesting exercises. Usage of teacher's effective teaching methods for students of different age, subject or academic excellence groups efficiency increases teaching effectiveness.

**ჯულიეტა ძაძუა**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **კვლავ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკაზე**

ქართული პედაგოგიკური აზროვნების დიდი წარმომადგენელი - იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის სწავლების განხილვისას მიუთითებდა: „ვინც ზედმიწევნით არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასოდეს ვერ მიეწევა ჯეროვან სიღრმეს აზრისას<sup>1</sup>“. ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელმა ამ გამონათქვამით მშობლიური ენის სწავლების საკითხი წინ წამოსწია და პირველი რიგის პრობლემათა შორის დააყენა. იაკობ გოგებაშვილი ყოველი ქართველისთვის ასოცირდება ქართულ ენასთან.

სამოციანელთა კონცეფციით ერის უმთავრეს ნიშანს, ანუ „ეროვნების ბურჯს“ (ი. გოგებაშვილი) ენა წარმოადგენს. „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა<sup>2</sup>“. მათ ენის ერთობა კულტურის ერთობად წარმოედგინათ, რაც, საბოლოოდ, ნაციონალური ერთობის ნიშნად ესახებოდათ. „ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისა<sup>3</sup>“.

მაღალი პედაგოგიური და ენათმეცნიერული ცოდნით შეიარაღებულმა იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც დაუღალავი შრომითა და რუდუნებით შეძლო ქართული წერა-კითხვის, ტექსტის ენობრივი ანალიზის, ელემენტარული გრამატიკის, მართლწერისა და სტილისტიკის სწავლებისა და მეტყველების განვითარების საკითხების კვლევა, პირველმა შექმნა ქართული ენის სწავლების მეთოდიკა<sup>4</sup>. მისმა შექმნილმა სახელმძღვანელოებმა აღაფრთოვანა არამარტო ქართველი პატრიოტები (მაგალითისათვის გავიხსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები, რომელიც „დედაენის“ ავტორს უწოდებდა: „წარსულის შვილს, მომავლის მამას და მყოფადის გადიას“, „ერის ბურჯს“, „უზადო მამულიშვილს“<sup>5</sup>), არამედ ევროპაშიც შეფასდა არაერთი მკვლევრის მიერ „დედაენა“ და „ბუნების კარი“.

თავის დროზე ცნობილი მოგზაური და მკვლევარი არტურ ლაისტი წერდა: ქართველი მოზარდი თაობა სწავლობს თავის ეროვნულ ენას უმთავრესად ორი სახელმძღვანელოს მეშვეობით: „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“. ეს ორი ქართული სახელმძღვანელო დგას იმავე სიმაღლეზე, რომელზედაც დგანან საუკეთესო ევროპული სახელმძღვანელოები<sup>6</sup>“.

ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართული განათლების სისტემას. ამაზე არაერთი ნაშრომი შექმნილი, მაგრამ იმდენად ამოუწურავია მისი მეცნიერული პედაგოგიკა, რომ მასზე კვლევა, ალბათ, არასოდეს შეწყდება. მისი წიგნები, როგორც აკად. არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავდა, „ენის ბურჯი და განათლების ფარ-ხმალი“ გახდა. მან, ასევე, თავისი პროგრესული პედაგოგიური მოღვაწეობით, სრულიად მოულოდნელად გარდაქმნა მაშინდელი განათლების „დამუხრუჭებული“ სამყარო, სადაც „ჯოხის დისციპლინასთან“ ერთად უაზრო დაზეპირება ცოდნის შეძენად ითვლებოდა. ამაზე არაერთხელ „დაისაჯა“ კიდევ (იაკობ გოგებაშვილს ყოველგვარი მშობლიურის დაცვისა და გაფრთხილების გამო სასტიკად დევნიდნენ). მიუხედავად ამისა, ერთი წუთითაც არ უფიქრია ბრძოლის შეწყვეტა.

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. I, გვ. 510.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 107.

<sup>3</sup> მისივე, თხზ. ტ. IV, გვ. 29.

<sup>4</sup> [Htt://feb-web.ru/pms/pms-OO1-.ftn](http://feb-web.ru/pms/pms-OO1-.ftn)

<sup>5</sup> აკ. წერეთელი, თხზ. ტ. XV, გვ. 116.

<sup>6</sup> [Htt://feb-web.ru/pms/pms-OO1-.ftn](http://feb-web.ru/pms/pms-OO1-.ftn)



მოწინავე პედაგოგიური იდეებით შეიარაღებულმა იაკობ გოგებაშვილმა მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული უნიკალური საანბანო წიგნი შექმნა, რითაც გადაარჩინა ქართული ენა. „დედა ენაში“ ჩართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, „რის შეთვისებაც შეეძლოთ ბავშვებს სრული შეგნებით და ხალისითა“<sup>1</sup>, გოგებაშვილის აზრით, ამდიდრებს მოსწავლეთა ლექსიკურ მარაგს და ამკობს მათ მეტყველებას, „აჩვევს ჰარმონიას, უსუსტებს ხეპრობას და ზრდის მის სულსა და გულში სინაზესა და სიფაქიზეს, ერთი სიტყვით, აკეთილშობილებს მის ბუნებას“<sup>2</sup>.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უნიკალური წიგნის „დედაენის“ შექმნამდე იაკობ გოგებაშვილმა ჩანაფიქრი შეასრულა. მან სწავლების ძველი ჩვევები აღმოფხვრა. „სემინარიის გამგეობას სწავლის მთლიანად გარდაქმნის პროექტიც წარუდგინა და სრულად გააუქმა დასჯა“<sup>3</sup> - ისეთი უაზრო „სწავლებაც“, როგორსაც აღწერს აკაკი წერეთელი თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“. ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ მომდევნო გამოცემებითა და დიდაქტიკით, ფაქტობრივად, ახალი ქართული პედაგოგიკის მეთოდების დანერგვა გახლდათ საქართველოში.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებითი ნიჭი კარგად ჩანს მის აღმზრდელობითი ხასიათის საბავშვო მოთხრობებში, რომლებიც საოცარი ლოგიკური აზროვნებით გამოირჩევა. გამომდინარე აქედან, მან შეძლო შეექმნა 8 სახელმძღვანელო. „ქართული ანბანი“ იაკობ გოგებაშვილის პირველი, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომია, რომელიც შედგენილია თავისი დროისათვის პროგრესულ-დიდაქტიკურ თვალსაზრისზე<sup>4</sup>. ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის . . . დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ილიასა და აკაკის თანამებრძოლი ქართველი დიდაქტიკოსი ლოგიკურია, რომ ზედმიწევნით იცნობდა ევროპელი განმანათლებლების (ჯონ ლოკის, პესტალოცის, დიდროს . . .) იდეებსაც. აქედან გამომდინარე, კარგად ესმოდა სწავლა-განათლებაში აღმზრდელის როლი, აფასებდა აღსაზრდელში ყოველგვარი მშობლიურის ჩამოყალიბებაში მასწავლებლის განსწავლულობას<sup>5</sup>. ამას კი, როგორც თავად ამბობდა, „ოსტატის“ ხელი სჭირდებოდა. ასევე, დახელოვნებული მასწავლებელი ადვილად გაართმევდა თავს სწავლებას, თუ მას ექნებოდა ისეთი გზამკვლევი (სახელმძღვანელო), რომელიც თავისი შინაარსით დაუპირისპირდებოდა საქართველოში დანერგილ არამეცნიერულ პედაგოგიკას<sup>6</sup>. ამას მოწმობს „ქართული ანბანის“ ანოტაცია, რომელიც იხსნება შესავლით „მასწავლებლისათვის“, სადაც არამხოლოდ წერა-კითხვის სწავლების ახალ სისტემაზეა ავტორის ყურადღება გამახვილებული, არამედ ქართული ენის სახელმძღვანელოს აგების ახალ პრინციპებსა და ქართული ენის სწავლების პროცესის ძირეულად შეცვლა-გაუმჯობესებაზე მსჯელობს<sup>7</sup>.

ავტორმა „ქართულ ანბანში“ პირველად გამოიყენა „ბგერითი ანალიზური მეთოდი და ამით შეძლო საუკუნეების მანძილზე გაბატონებული სქოლასტიკური მეთოდების განდევნა. ეს აქტი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ ქართული ანბანის სწავლების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში<sup>8</sup>.

როგორც ცნობილია, ქართული ენის სწავლება და, საერთოდ, წერა-კითხვის დაუფლება დააფუძნა „შეგნებულობის, მისაწვდომობის, თვალსაჩინოების და სისტემატურობის დიდაქტიკურ პრინციპებს, ნაცნობიდან უცნობზე, ადვილიდან ძნელზე, მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის წესებს. ამგვარი სისტემის შემოღება იმდროისათვის დიდი ნოვატორობა იყო“<sup>9</sup>, რითაც ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა. ამით ქართველმა დიდაქტიკოსმა დაანგრია მეფის რუსეთის მიერ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული გაუაზრებელი სწავლება.

მეცნიერული არგუმენტებით ავტორი აკრიტიკებს წერა-კითხვის სწავლების „სინთეზური მეთოდების არსს და მოითხოვს ბგერა-ასოს სწავლების დაწყებას არა ასოებიდან, რომელიც „არა ჰაზრს არ ხატავს“, არამედ „სიტყვიდან, რომელიც ყოველთვის „ხატავს“ რაიმე ჰაზრსა“. აზრიანი მასალა ხალისიან განწყობას უქმნის მოსწავლეს, შეაყვარებს სწავლას, გაუხალისებს გონებას, რის შედეგადაც კითხვას უფრო გონივრულად და ჩქარა სწავლობს, - ეჩვევა კითხვას მარცვლების შერწყმით, გაბმით და არა ასო-ასო ჩათვლით<sup>10</sup>.

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი, რჩეული პედ. და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. 1, გვ. 169.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 170.

<sup>3</sup> ი. გოგებაშვილი, რჩეული პედ. და პუბლიცისტური ნაწერები, გვ. 274.

<sup>4</sup> გ. ჯიბლაძე, ახალი ქართული პედაგოგიკის მამა, გვ. 56.

<sup>5</sup> ჯ. ძაძუა, ი. გოგებაშვილი პიროვნების ფორმირებაში მშობლიური ენის მნიშვნელობაზე, გვ. 61.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 62.

<sup>7</sup> დ. ლორთქიფანიძე, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, გვ. 127.

<sup>8</sup> მ. თალაკვაძე, გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, გვ. 98.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 99.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 100.

ორიგინალურადაა აგებული კითხვის განსამარტი სავარჯიშოების სისტემა. ავტორი ადვილად ახერხებს მათი კომბინაციით შეადგინოს „ორსიტყვიანი ფრაზა (ძმა მკის), სამსიტყვიანი ფრაზა (კუ ფეხს ჰყოფს), ოთხსიტყვიანი ფრაზა (კუ რუს თავზე ზის) და ა.შ. ასევე დამარცვლილ ფრაზებს სთავაზობს, რომელთაც მოსდევს დაუმარცვლავი ორსიტყვიანი, სამსიტყვიანი, ოთხსიტყვიანი ფრაზები. იაკობი დასძენს: ამ სიტყვებშიც (თითოთორთა) ასო გამორჩენილია. ეს იმიტომ, რომ ყმაწვილი ცოტ-ცოტა შრომას შეეჩვიოს. პირველი ყურადღება მასწავლებლისა იმაზე უნდა იყოს დამყარებული, რომ ყმაწვილმა რაც წაიკითხოს, ეყურებოდეს. როცა მოსწავლე კარგად გაიგებს იმას, რაც წაიკითხა<sup>1</sup>, შემდგომ ისე თავისუფლად დაიწყებს კითხვას მოსწავლე, რომ მასწავლებლის შველა კითხვაში არც დასჭირდება, ე. ი. დამოუკიდებელ კითხვას შეეჩვევაო.

იაკობ გოგებაშვილის მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდა პედაგოგის დიდაქტიკურ-მეთოდური კონცეფცია პოზიტიურ თვალსაზრისს ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, მისი პედაგოგიური მოძღვრება ამხელს და ააშკარავებს ავტორის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მანკიერებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დედა ენა“ გამოიცა 1876 წელს. ხალხი ისე დამუხტა მან, წიგნი ზედიზედ გამოდიოდა გოგებაშვილის თვალწინ, რასაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება უწყობდა ხელს<sup>2</sup>. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურების მიერ შექმნილ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში იაკობ გოგებაშვილი თავად ჩაერთო და მალე ილიასა და აკაკის მიერ დაწყებული „უწიგნურობის ლიკვიდაცია“ მისმა „დედა ენამ“ გადაწყვიტა. ფრიადმნიშვნელოვანია, რასაც იაკობი წერდა: „დედა ენის შექმნის დროს ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გული“<sup>3</sup>.

იაკობ გოგებაშვილის „ქართული გონება და ქართული გული“ ნათლად ჩანს მის თავგადადებულ ზრუნვაში ქართველ ახალგაზრდებსა და ერის მოჭირნახულე ადამიანებზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალი ქართული პედაგოგიკის მამის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთი საჩინო უბანი ქველმოქმედებაც გახლდათ. სასიქადულო მამულიშვილი გულწრფელად, ნივთიერად, უანგაროდ ეხმარებოდა სხვადასხვა ქალაქებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, ხელმოკლე მოსწავლეებსა და მწერლებს. ღარიბ, ნიჭიერ სტუდენტებს უნიშნავდა მუდმივ სტიპენდიებს, მატერიალურად ეხმარებოდა ეგნატე ნინოშვილს, თედო სახოკიას, აკაკი წერეთელსა და სხვას. იაკობის ახლობელი ფილიპე გოგიჩაიშვილი მოგვითხრობს: „თავისი შემოსავლის სულ ცოტა, ნახევარს იაკობ გოგებაშვილი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა . . . იშვიათად გამოზრდილა იმ დროში საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში ხელმოკლე ქართველი, რომლისთვისაც იაკობ გოგებაშვილის აშკარად თუ ფარულად დახმარება არ მიეცეს“<sup>4</sup>. მსგავს ცნობებს გვაწვდიან იაკობის ახლობელი, ნინო ცხვედაძის ასული გოგიჩაიშვილისა, საზოგადო მოღვაწე ალ. მიქაბერიძე და სხვ.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ენის მოვლა-პატრონობა, მშობლიური მწერლობისა და აზროვნების შინაარსი და მიმართულება ფაქტობრივად სამი ბუმბერაზი წარმომადგენლის - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობამ განაპირობა. ამ უკანასკნელმა ახალი ქართული პედაგოგიკის შექმნით ენის გადარჩენის უმთავრეს ნიშნად მშობლიური ენის ზედმიწევნით ცოდნა და მისი მეცნიერულად გამართული მეთოდოლოგიით სწავლება აღიარა.

ბოლოს და ბოლოს, მისმა წიგნებმა დაუდო საფუძველი განათლების ფართოდ გავრცელებას საქართველოში. „დედაენამ“ სრულყო არა მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება მეცნიერულ საფუძველებზე, არამედ დახვეწა სასაუბრო მეტყველება, გაამდიდრა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი და ხელი შეუწყო ორთოეპიულად და ორთოგრაფიულად სწორი ფორმების გამოყენებაზე ზრუნვას.

#### ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი, 1955 - ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. I, IV, VI. თბილისი.
2. ჭავჭავაძე, 1955 - ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI.
3. წერეთელი, 1963 - აკ. წერეთელი, თხზ. ტ. XV.
4. თალაკვაძე, 1952 - მ. თალაკვაძე, გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბილისი.
5. ჯიბლაძე, 1976 - გ. ჯიბლაძე, ახალი ქართული პედაგოგიკის მამა, თბილისი.
6. ლორთქიფანიძე, 1960 - დ. ლორთქიფანიძე, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბილისი.

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. IV, გვ. 243.

<sup>2</sup> ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. VI, გვ. 143.

<sup>3</sup> ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. IV, გვ. 147.

<sup>4</sup> კრებ. იაკობ გოგებაშვილი, გვ. 74.

7. ძაძუა, 1990 - წ. ძაძუა, ი. გოგებაშვილი პიროვნების ფორმირებაში მშობლიური ენის მნიშვნელობაზე. სოხუმი.

8. [Http://feb-web.ru/pms/pms-OO1-.ftn](http://feb-web.ru/pms/pms-OO1-.ftn)

**Julietta Dzadzua**  
*Sokhumi State University*  
**STILL ABOUT IAKOB GOGEBASHVILI PEDAGOGY**  
**RESUME**

Iakob Gogebashvili has created the new Georgian pedagogy. It was written to save the Georgian people. His "Deda Ena" got in love the Georgian people with the Georgian language. The Georgians already had the read and write study guide in the 19th century. That is why the Georgians accepted the "Deda Ena" with love.

Iakob Gogebashvili had written the eight guides. Each one was serving to patriots teaching. His books were based on scientific pedagogy. They have justified themselves. I. Gogebashvili's "Deda Ena" and its pedagogy is still irreplaceable in Georgia now.

Iakob Gogebashvili is the Georgian pedagogy father.

**მარინე წიკლაური**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**გოგებაშვილის მეთოდოლოგიური სწავლანი**  
(„ბუნების კარის“ წინათქმისათვის)

სასკოლო სახელმძღვანელოს ავ-კარგზე მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, მისი შედგენის პრინციპების დადგენას მოითხოვს. ცოდნის მიწოდებისა და საგნობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავების გარდა, სახელმძღვანელოს აკისრია უმნიშვნელოვანესი მისია, მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების, მოქალაქის აღზრდას.

ვინ უნდა აღზარდოთ? - პედაგოგიკის ამ უპირიბადეს შეკითხვას უაღრესად მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციიდან უპასუხებს ქართული და მსოფლიო პედაგოგიკის თვალსაჩინო ფიგურა - იაკობ გოგებაშვილი. მესამე და მეოთხე წლისათვის (კლასისათვის) განკუთვნილ საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოს - „ბუნების კარის“ - 21-ე გამოცემას (1912 წელი) იაკობ გოგებაშვილმა წაუძღვარა მეთოდოლოგიური ხასიათის წინათქმა საგულისხმო სათაურით - „მასწავლებელთა და მშობელთათვის“. მასში ჩამოყალიბებული თეორიული და მეთოდოლოგიური მითითებები ძლიერ აქტუალურია თანამედროვე ეპოქაშიც. წინდაწინვე უნდა აღინიშნოს, რომ გოგებაშვილის მემკვიდრეობაში მოძველებულად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ზოგიერთი საილუსტრაციო მასალა თუ ინფორმაცია, მაგრამ აღმზრდელობითი პრინციპები არათუ მოძველებული, არამედ უაღრესად ყურადსაღები და გასათვალისწინებელია თანამედროვე განათლების სისტემაში.

„ბუნების კარის“ სტრუქტურა, ცალკეული განყოფილების მიმართულება ავტორის მრავალწლიანი ფიქრისა და დაუღალავი შრომის ნაყოფია. წინათქმაში ზედმიწევნითაა ჩამოყალიბებული ხუთივე ნაწილის - საბუნებისმეტყველო, სალიტერატურო, გეოგრაფიული („მოკლე გეოგრაფია საქართველოსი“), საისტორიო და საკაცობრიო („კაცობრიობა“) განყოფილებების მიზნები და ამოცანები. ყოველი მათგანი გამომდინარეობს უმთავრესი მიზნიდან, რომელსაც გოგებაშვილი შემდეგნაირად აყალიბებს - მათ (სახელოვანი მწერლების მოთხრობებმა და ლექსებმა-მ.წ.) „მოზარდს თაობაში უნდა აღზარდონ, ენის ცოდნის გარდა, ღირსეულის ადამიანის და მზრუნველ მამულიშვილის თვისებანი“ (გოგებაშვილი 1989 :

2). იაკობ გოგებაშვილი პრაქტიკული მაგალითებით ათვალსაჩინოებს, რას გულისხმობს და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს „ღირსეული ადამიანი“ და „მხურვალე მამულიშვილი“.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ღირსეულ ადამიანად და მხურვალე მამულიშვილად ჩამოყალიბებისა არის სამშობლოს შესწავლა, მისი ბუნების ცოდნა. გოგებაშვილი ამბობს: „ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისა“ (გოგებაშვილი 1989:1). ავტორის თქმით, დაწინაურებულ ევროპულ ქვეყნებში ბუნების შესწავლას დიდ ადგილს უთმობენ სკოლასა და ოჯახში. ამისთანა აღზრდის წყალობით, „ევროპიელმა კაცობრიობამ თანდათან გაიხადა უმორჩილეს მოსამსახურედ მძლავრნი ძალნი ბუნებისანი და დღითი დღე ზრდის თავის კეთილდღეობას მათ შემწეობით“ (იქვე). ქართველებს კი არაფერი გაგვეგება ჩვენი მრავალფეროვანი და მდიდარი ბუნებისა, რომელთანაც, იაკობ გოგებაშვილის თქმით, ევროპის ბუნება „ნარცხადაც არ მოვა“ (გოგებაშვილი 1989:1). ჩვენი უვიცობის გამო საქართველოს ბუნებას უცხოელნი ეპატრონებიან, დიდძალ ქონებას იძენენ და ჩვენ ხახამშრალნი ვრჩებით. უმთავრესი მიზეზი ამისა კი, ავტორის აზრით, უკუღმართი აღზრდაა.

რას გულისხმობს გოგებაშვილი „უკუღმართ აღზრდაში“? იგი წუხს, რომ ბიუროკრატიულ ქართულ სკოლებსა და ოჯახშიც „უსულ-გულოდ“, „უძლურად“ და „მკვდრად“ ასწავლიან ბუნებისმეტყველებას, „ბუნების ჩონჩხს“ ასწავლიან ცოცხალი ბუნების შემეცნების მაგიერ: „ჭკუის განმავითარებელი და განმაფხიზლებელი საგნები... ცხოველი ბუნება, ჩვენებურს მშობლებს სრულიად მივიწყებულნი აქვთ“ (იქვე).

ასეთ „მშრალ“ და „უძლურ“ მაგალითად მიიჩნია გოგებაშვილმა მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციისა და ანატომიური აგებულების სწავლება: „რათა უფრო მიმზიდველი გაგვხადო ყმაწვილებისათვის „ბუნების კარი“, მის შედგენის დროს გვერდი ავუქციეთ იმისთანა მშრალ მხარეებს საგნებისა, როგორც არის კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველებისა და მათი ანატომიური აგებულება, რაც შეადგენს პირდაპირ საგანს ბუნების-მეტყველების სახელმძღვანელოსი“.

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ გოგებაშვილი კლასიფიკაციისა და აღწერის მეთოდს მხოლოდ ერთი მიზნით უგულვებელყოფს - რათა უფრო „მიმზიდველი“ გახადოს სწავლების პროცესი ყმაწვილთათვის. იგი თავად კლასიფიკაციის მეთოდს როდი უარყოფს, არამედ ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის შეუფერებლად, მშრალად და უინტერესოდ მიიჩნევს. სწავლების მესამე-მეოთხე წელს ყმაწვილს უფრო მეტად აინტერესებს არა განყენებული, არამედ ცოცხალი, როგორც გოგებაშვილი ამბობს, „სადის მსჯელობის აღმზრდელი“, „გონების განმაფხიზლებელი“ მაგალითები, რომელთაც ეძებს და პოულობს იაკობ გოგებაშვილი: „სამაგიეროდ დიდი ყურადღება მივაქციეთ მას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მცენარეთა და ადამიანთა შორის, როგორ სცხოვრობს ცხოველი, როგორ იბრძვის არსებობისთვის, რა ადგილი უჭირავს ბუნებაში, რა დამოკიდებულება აქვს სხვა ცხოველებთან და მეტადრე ადამიანთან და თვით თავის სამშობლოსთან“ (გოგებაშვილი 1989:2).

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ავტორის მიერ შერჩეულ მასალაში **დამოკიდებულებებისა და ურთიერთობების თემა** დომინირებს და ეს შემთხვევითი არ არის. გოგებაშვილი ბუნების კანონზომიერებების შეცნობის მომხრეა - ყველა ცოცხალი არსება ერთმანეთზე, სამშობლოსა და გარემომცველ სინამდვილეზეა დამოკიდებული. გარიყულად ბუნებაში არაფერი არსებობს და ამიტომ ეს „ცოცხალი“ მაგალითები, რა თქმა უნდა, უფრო სწორი და ბუნებრივი მიმართულებით წაიყვანს ბავშვის შეგნებას, ვიდრე მშრალი ცოდნა, რომელიც მხოლოდ „ცოდნად“ რჩება და არავითარ დამოკიდებულებებს არ უყალიბებს მას.

მასალის მიწოდებისას იაკობ გოგებაშვილი ირჩევს ყმაწვილთა ბუნებისათვის შესაბამის ფორმას - თხრობას და არა ანალიზს: „რათა გაგვეადვილებინა ამოდენა წიგნის გათავება ორი წლის განმავლობაში, ჩვენ წერილებს მივეცით უმეტეს ნაწილად მოთხრობითი ფორმა, რომელიც ერთი ორად და სამად უადვილებს მოსწავლეთ საგნის შეთვისებას“.

ამასთან, საინფორმაციო ტექსტების შედგენისას ავტორი არ დასჯერდა მხოლოდ საკუთარ ცოდნას და მოიძია იმ დროის საუკეთესო მეცნიერთა წერილები: „საბუნებისმეტყველო წერილები შეტანილია ჩვენ მიერ საუკეთესო წყაროების მიხედვით“. ავტორი ჩამოთვლის ავტორებს: ბრემი, კარლ ფოხტი, ბოგდანოვიჩი, ვაგნერი და სხვები.

ამრიგად, სახელმძღვანელოს საბუნებისმეტყველო ნაწილის შედგენისას იაკობ გოგებაშვილმა იხელმძღვანელა შემდეგი პრინციპებით:

- აირჩია **ბავშვისთვის მიმზიდველი მასალა** (უარყო მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციის სწავლება და აირჩია სხვა „ცოცხალი“, საინტერესო და აქტიური მასალა - ადამიანისა და ცხოველს შორის ურთიერთობა).

- მოიძია **საუკეთესო (კლასიკური) წყაროები**, ძირითადად, წამყვან უცხოელ მეცნიერთა მასალა.
- მასალის ადვილად შეთვისების მიზნით აირჩია **თხრობის ფორმა**.

თუკი გავითვალისწინებთ თანამედროვე საქართველოს მდგომარეობას, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბუნების შემეცნება და მის ძალთა დამორჩილება დიდ პრობლემად რჩება დღესაც. ბუნებაში უხეში ჩარევა და გარემოს დაბინძურება გადაულახავ დაბრკოლებებს გვიქმნის და, თუ გოგებაშვილს ვერწმუნებით, პასუხისმგებლობა განათლების სისტემამ, უპირველესად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ უნდა იტვირთოს. გოგებაშვილის აზრით, სამშობლოს სიყვარული წარმოუდგენელია მისი შემეცნების გარეშე. სამშობლოს შესწავლა „მზურვალე მამულიშვილის“ აღზრდის აუცილებელი წინაპირობაა.

როგორ წარმოუდგენია იაკობ გოგებაშვილს „სამშობლოს შესწავლა“? წიგნის წამყვან ნაწილს - საბუნებისმეტყველო განყოფილებას, მოცულობით თითქმის უთანაბრდება სალიტერატურო ნაწილი და, რა თქმა უნდა, არც ეს არის შემთხვევითი. მაღალმხატვრული ნაწარმოების ზემოქმედების ძალა გაცილებით დიდია, ვიდრე დიდაქტიკური შეგონებისა, და იგი სასწავლო პროცესში ეფექტური გზაა, რათა ყმაწვილმა გარკვეული დასკვნა თუ ზნეობრივი სენტენცია რიგიანად მიიღოს. გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა პირველი კრიტიკოსი - იაკობ მანსვეტაშვილი, თავის რეცენზიაში საგანგებოდ აღნიშნავდა „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ფასდაუდებელ პედაგოგიურ მნიშვნელობას: „თუ გასურთ ყმაწვილის გულში სიბრალული აღძრათ, რომელიც დასაბამია კაცთმოყვარეობისა, მიეცით ხელში ამგვარი მოთხრობა. ეს ცხოველი და მართალი სურათი უფრო ღრმად ჩაებჭდება მის გულს, უფრო ძლიერ დააფიქრებს ნორჩ გონებას, ვიდრე გრძელი და მძიმედ დალაგებული ქადაგება“ (კრებული 1982:206).

იაკობ გოგებაშვილმა სახელმძღვანელოს ლიტერატურულ ნაწილში მოათავსა საუკეთესო ქართველ ავტორთა ლექსები და მოთხრობები, რომლებიც „დაწერილი არიან ნამდვილი და წმინდა ენით, საესენი არიან მაღალი მისწრაფებით, მხატვრული სურათებით“. როგორც ცნობილია, გოგებაშვილი გამუდმებით სთხოვდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, რაფიელ ერისთავს, ვაჟა-ფშაველასა და სხვა უნიჭიერეს ქართველ მწერლებს, „დედა-ენისა“ და „ბუნების კარისათვის“ დაეწერათ მასალა, რომელიც, მისი თქმით, „ფრიად სასარგებლო“ იყო მოსწავლეთათვის.

დღევანდელ საქართველოში, საგანმანათლებლო რეფორმის პირობებში, ნაჩქარევად შედგენილ სახელმძღვანელოებში ზოგჯერ ხვდებოდა უსარგებლო, ენობრივი შეცდომების შემცველი და, ხანდახან, მდარე მასალაც. აღნიშნული ხარვეზები I კლასის სახელმძღვანელოთა ფონზე დაწვრილებითაა განხილული იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების 2008 წლის 27 ოქტომბრის კონფერენციის მასალებში პროფესორების - გიორგი გოგოლაშვილის, იოსებ ჭუმბურიძის, ავთანდილის არაბულის, აკაკი ბრეგაძის, მედეა ღლონტის, ლუიზა ცომაიას, დარეჯან ხაჩიძის, თინათინ თიაბაშვილისა და რუსუდან მირცხულავას მიერ (იხ. მასალები 2008). ამგვარი ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენი აზრით, აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოთა კრიტიკული შესწავლა და მუდმივი დახვეწა-გაუმჯობესება. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ აუკეთესებდა თავის წიგნებს გოგებაშვილი და სთხოვდა ყოველ სწავლულ ქართველს, კრიტიკული შენიშვნები მიეწოდებინათ მისთვის. რუსთაველის ენით რომ ვთქვათ, იგი არ „უცილობლობდა“, „ჩემი სჯობსო“, არამედ უკეთესი სახელმძღვანელოს შექმნის შემთხვევაში, თავის წიგნს თაროზე შემოედებდა და სხვისას დაუთმობდა ასპარეზს.

ჩვენ საგანგებოდ დავინტერესდით საკითხით, რამდენადაა შესწავლილი და შეფასებული ჩვენს დროში ქართული სახელმძღვანელოები. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია ლევან ბრეგაძისა და ამირან გომართელის წიგნი „სასკოლო „წარმოდგენის“ შინაარსის სახელმძღვანელო განსაზღვრავს“ (2005 წ.) - ეს არის ერთ-ერთი ზედმიწევნითი, სკრუპულოზური კვლევა საშულო სკოლების სახელმძღვანელოებისა, რაც აუცილებელი და დღესდღეობით უსამართლოდ მივიწყებული საკითხია ქართული განათლების სისტემაში. ავტორები მიმოიხილავენ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს (გამომცემლობა „საარი“, დაწყებითი საფეხური), ანალიზებენ მათს ნაკლსა და ღირსებებს. უაღრესად საყურადღებო შენიშვნებს გამოთქვამენ სახელმძღვანელოში ერთიანი ენობრივი ადაპტაციის პრინციპის არქონისა და, ცალკეულ შემთხვევაში, შეკითხვების არაეფექტური ფორმულირების, სქოლიოში ზოგიერთი სიტყვის არასწორი განმარტების გამო. ავტორებს მოსწონთ ლიტერატურის თეორიისადმი მიძღვნილ მომცრო სტატიები, ზოგიერთი ოსტატურად ჩამოყალიბებული დავალება და ა.შ. ყველა შენიშვნა თუ დაკვირვება სათანადოაა გამყარებული მაგალითებით. წიგნის შესავალში ავტორები აღნიშნავენ: „დღეს ხომ, ფაქტობრივად, არავინ იცის, ვის ხელშია სასკოლო სახელმძღვანელოების ბედ-იღბალი. თუმცა, ყველა შემთხვევაში, სახელმძღვანელოები, მათი შედგენის პრინციპები თუ ე.წ. სტანდარტი ფართო მსჯელობის საგანი უნდა იყოს... უამრავი საზრუნავით დატვირთულმა ჩვენმა საზოგადოებამ როგორმე უნდა მოიგალოს სკოლისთვის. საკითხის აქტუალობა წაყრუების უფლებას არ გვაძლევს - საქმე ჩვენს მომავალს ეხება“ ( ბრეგაძე/გომართელი 2005:3-4).

როგორი იყო სახელმძღვანელოს შედგენის სტანდარტი იაკობ გოგებაშვილის დროს და როგორი არის იგი ახლა? სახელმწიფოს და განათლების სამინისტროს ოფიციალურ მოთხოვნებს ვერც ერთი ავტორი ვერ აუვლის გვერდს. მაგრამ იაკობ გოგებაშვილი საოცარი ძალით ახერხებდა, რუსული ცარიზმის დროს ქართველთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებაზე ეზრუნა. „ბუნების კარის“ მესამე განყოფილებას საქართველოს გეოგრაფია და ეთნოგრაფია შეადგენს. იაკობი წერს: „ქართველობა იმ გვარ პირობებში არის ახლა ჩაყენებული, რომ სახალხო სკოლის მოსწავლენი უვიცნი დარჩებიან სამშობლოს გეოგრაფიისა და ისტორიისა, თუ მათ ეს ცოდნა არ მივაწოდეთ იმ სახელმძღვანელოებში, რომელნიც დანიშნულნი არიან მესამე და მეოთხე წლისათვის“ (გოგებაშვილი 1989:3). გეოგრაფიულ ნაწილში იაკობი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მრეწველობაზე, მანგანუმის მოპოვებაზე ჭიათურაში, ქვანახშირის წარმოებაზე ტყიბულში. ფერეიდნელი, ე.წ. „სპარსეთის ქართველების“ მდგომარეობასაც აცნობს ყმაწვილებს. ავტორის მიზანი თვალსაჩინოა - იგი ცდილობს, აქტიური მოქალაქის აღზრდას, რომელიც იცნობს თავისი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრესა და მრეწველობას.

მეოთხე, საისტორიო ნაწილში, იაკობ გოგებაშვილი რთავს ეპიზოდებს ისტორიულ პირთა ვაჟკაცობის, თავდადებისა და საქმიანობის შესახებ. ის ხელმძღვანელობს პრინციპით, რომ ისტორია მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დამაკმაყოფილებელი როდია, არამედ მოძღვარია ერისა: „მოდვრებას ისტორიული მოთხრობები მაშინ გაუწევენ მოსწავლეთა, როცა იგინი გარკვევით და ნათლად დაუხატავენ მათ თვალ-წინ, თუ რა უშლიდა და რა უმართავდა ხელს ჩვენს ერსა წარსულში, რისგან სუსტდებოდა და ძალ-ღონით იცვებოდა. მხოლოდ ამისთანა მოთხრობებს შეუძლიან მისცენ ნაციონალური გაკვეთილები მოსწავლეთა და ჩააგონონ მათ, თუ რას უნდა ერიდოს ჩვენი ერი აწმდგომში“ (გოგებაშვილი 1989:3). გოგებაშვილი წიგნის ამ ნაწილს წერს იმ უმთავრესი მიზნით, რომ „ნაციონალური ერთობის გრძნობა“ გააღვივოს ყმაწვილებში. იგი წუხს, რომ „ამ ერთობას ასუსტებს და ენებს ამ ჟამად განხეთქილება გლეხთა და მემამულეთა შორის და მერე პროვინციალიზმი, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენში ახლაც არ გამქრალა“ (გოგებაშვილი 1989:4). იაკობის დიდმა თანამოაზრემ - ილია ჭავჭავაძემ ხიდჩატეხილობად მონათლა ის პრობლემა, რომელზეც იაკობ გოგებაშვილი მსჯელობს და, ამასთან, იმდენად დიდ დაბრკოლებად მიაჩნია, რომ სახელმძღვანელოდანვე ცდილობს მის აღმოფხვრას.

ამრიგად, იაკობ გოგებაშვილი ჩვენ იმასაც გვასწავლის, რომ სახელმძღვანელო უნდა უპასუხოდეს კონკრეტული ეპოქის მოთხოვნებს. ამიტომ მას წიგნში მიზანმიმართულად შეაქვს „ნაციონალური ერთობის“ განმამტკიცებელი მაგალითები. ამასთანავე, იაკობი სამყაროსგან მოწყვეტით არ განიხილავს საქართველოს და „ბუნების კარის“ უკანასკნელ გამოცემას დაურთავს ახალ განყოფილებას - „კაცობრიობა“, რომელშიც შეაქვს დაწინაურებული ქვეყნების ისტორიის, კონსტიტუციური წყობისა და მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებების ამსახველი მასალა. ყველა საუკუნესა და ეპოქაში უმთავრესია „ღირსეული ადამიანისა“ და „მხურვალე მამულიშვილის“ აღზრდა, რაც უნდა ხორცილდებოდეს სამშობლოს ბუნებისა და ისტორია-გეოგრაფიის შესწავლით. ამ პროცესში ეფექტურია არა მშრალი და „მკვდარი“ მასალა, არამედ „ცოცხალი“ და ყმაწვილის გონების განმაფხიზლებელი ცხოვრებისეული მაგალითები.

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ წინათქმა ყველა ამ პრინციპს ხელშესახებად ათვალსაჩინოებს. აქედან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ **„დედა ენის“ და „ბუნების კარის“ ავტორი გახლავთ ქართული დაწყებითი სახელმძღვანელოს კლასიკური მეთოდოლოგიის ფუძემდებელი.** იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას ვრცელი და უაღრესად საინტერესო წიგნი მიუძღვნა პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა - „სიბრძნე იაკობისა“ (2014 წელი). აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა მართლაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა და ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ უცხოელ მეცნიერთა შეფასებები, არამედ ის ფაქტიც, რომ „გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილმა სახელმძღვანელომ 1960 ვენესუელაში, ქალაქ კარაკასში, საანბანე წიგნების მსოფლიო გამოფენაზე გაიმარჯვა“ (გოგოლაშვილი 2014:247). ალბათ იშვიათ ავტორთა ხვედრია სახელმძღვანელოს ამგვარი დაფასება თითქმის საუკუნის შემდეგ.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ დღევანდელი სასკოლო სახელმძღვანელოები ერთიანად უვარგისია და არ ითვალისწინებს იაკობ გოგებაშვილისა და ქართული პედაგოგიკის სხვა კორიფეების პრინციპებს, მაგრამ ნაჩქარევად გატარებული საგანმანათლებლო რეფორმის, გლობალიზაციის თანამდევრი მოთხოვნებისა თუ საბაზრო ეკონომიკის პირობების გამო ბევრი მიუტყევებელი შეცდომა დაგუშვით და სახელმძღვანელოების შედგენა ზოგჯერ მხოლოდ ბიზნესისა და სარგებლის მიღების საშუალებად ვაქციეთ.

პრობლემა დღესაც არ არის მოგვარებული. ეს სფერო გაცილებით ღრმა და მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვს და მისი ამოწურვა წარმოუდგენელია ერთი ან რამდენიმე მოხსენების ფარგლებში. წინდაწინ იმის თქმა შეიძლება, რომ სწორად და გონივრულად განსაზღვრული სტანდარტი გარკვეული

წინაპირობაა კარგი წიგნის შედგენისა (მაგ., სახელმძღვანელოს შედგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ენიჭებოდეს ე.წ. გენდერულ პრინციპს - რაც გულისხმობს ქალი და მამაკაცი ავტორების თანაბრად წარმოდგენას, ეს გახლდათ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სახელმძღვანელოს შედგენისას), სახელმძღვანელო უნდა გახდეს მეცნიერთა ინტენსიური კვლევის და არა მხოლოდ რამდენიმე ექსპერტის შეფასების საგანი. აუცილებელია ასევე სკოლის მასწავლებლების რჩევებისა და რეკომენდაციების მიღება-გათვალისწინება, რაც აქამდე ზერელედ და არაეფექტურად ხორციელდებოდა.

საშური საქმეა, რომ სახელმძღვანელოს ავტორებმა სწორედ „ბუნების კარის“ წინათქმის მსგავსი განმარტება აახლონ თავიანთ წიგნებს, მიმართული „მშობლებისა და მასწავლებლებისადმი“ და არა ექსპერტთა მცირე ჯგუფისადმი. წარმოაჩინონ ის პრინციპები და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც აირჩიეს თავიანთ სახელმძღვანელოში. იაკობი ამ მხრივ ჩვენს სპეციალისტებს ნამდვილ მეგზურობას გაუწევს.

იაკობ გოგებაშვილს ურთულეს პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა, მაგრამ არ გადაუხვევია ზნეობრივი, მოქალაქეობრივი და ეროვნული პოზიციებიდან. ასეთი თავგანწირვა მხოლოდ ღვთივრჩეულთა ხვედრია. ჩვენი მოვალეობა კი გოგებაშვილის მემკვიდრეობის ღირსეულად დაცვაა, რაც „დედა ენის“ ავტორისა და ჩვენი მომავალი თაობის წინაშე გვავალებულებს, მის მიერ გაკვალიერებული გზა კი არ უგულებელვყოთ, არამედ გოგებაშვილისეული „გაუკეთესობის“ პრინციპი სათანადოდ მოვიხმოთ და „გავაცოცხოთ“. ამით ჩვენი დიდებული მასწავლებლისა და მოძღვრის მიერ გაღებული მაღლი აუცილებლად გაგვიმრავლდება, რადგან, როგორც წმიდა ილია მართალმა უტყუარად ჩამოაყალიბა: „მაღლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან - შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მაღლიც არ არის, ესე იგი - გულიცა“ (ქავჭავაძე 1988:301).

#### ლიტერატურა:

1. **ბრეგაძე/გომართელი 2005**, ლევან ბრეგაძე, ამირან გომართელი, სასკოლო წარმოდგენის შინაარსს სახელმძღვანელო განსაზღვრავს, ნაკვ. I, თბილისი, 2005
2. **გოგებაშვილი 1989**, იაკობ გოგებაშვილი, „ბუნების კარი“, ფაქსიმილური გამოცემა, დაბეჭდილია 1912 წლის გამოცემის მიხედვით, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989.
3. **გოგოლაშვილი 2014**, გოგოლაშვილი გიორგი, „სიბრძნე იაკობისა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
4. **კრებული 1982**, ვაჟა-ფშაველას კრებული II, თბილისი, 1982.
5. **მასალები 2008**, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების I კონფერენციის მასალები, გამომცემლობა „დედაენა“, თბილისი, 2008.
6. **ქავჭავაძე 1988**, ილია ქავჭავაძე, თხზულებანი, ტომი II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1988.

*Marine Tsiklauri*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **THE METHODOLOGICAL TEACHING OF IAKOB GOGEBASHVILI (INTRODUCTION OF A SCHOOL-BOOK “BUNEBIS KARI”)**

#### **RESUME**

Composing school-books requires to create and follow well-determined standards and methodological principles. The great Georgian teacher - Iakob Gogebashvili (1840-1912) prefaced an important introduction to the 21-th edition (1912) of his school-book in natural studies named “Bunebis Kari” (“The door to nature”). The essay reviews Gogebashvili’s prediction, in which he writes about the structure of his book, its materials and teaching methods. The main goal of the author is to bring up a “worthy person” and “eager patriot”. The book is composed according to the following principles:

- The material of natural studies must be attractive and interesting for the children (at the III and IV years of study), thus, Gogebashvili chooses the vivid life examples – the relationship of plants and animals, animals and human (instead of “dry” method of their classification).

- Iakob Gogebashvili chose the best (classical) scientific sources

- He introduced the way of telling stories to make easier the process of understanding the book.

In 1960 at the world exhibition contest of alphabet teaching textbooks held in Caracas, Venezuela, the textbook composed by Iakob Gogebashvili was awarded the first prize. Without any exaggeration, it can be said that the author of “Dedaena” (the alphabet teaching textbook) and “Bunebis Kari” is a founder of classical Georgian primary school methodology.

## **სკოლის დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობი ფაქტორები და მათი განხორციელების გზები**

დღეს პოლიტიკური და აკადემიური სამყაროს დიდი ნაწილი და საზოგადოებრიობა სულ უფრო აცნობიერებს სრულყოფილი და წარმატებული განათლების სისტემის განმტკიცება-გაფართოების აუცილებლობას. კერძოდ, მისი ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური განზომილებების გაერთიანებასა და გაძლიერებას. განათლება და საგანმანათლებლო თანამშრომლობა გადამწყვეტი ფაქტორია სტაბილური, მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისათვის. ზოგადი განათლების სისტემის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა გაანალიზდეს საქართველოს ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა და მისი ინტეგრირება მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში, ანუ განათლების სისტემის ევროპული სტანდარტების უზრუნველყოფელი დეცენტრალიზაცია და ლიბერალიზაცია, ღია და გამჭვირვალე განათლების სისტემის ჩამოყალიბება, განათლების სისტემის მართვის, აგრეთვე, სკოლის ინტენსიური ფუნქციონირების დემოკრატიული მოდელის დამკვიდრება. დემოკრატიულ საზოგადოებაში სკოლა, როგორც საზოგადოებრივი დაწესებულება, სამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს, კერძოდ:

1. სკოლა არის დემოკრატიის ლაბორატორია,
2. სკოლა არის ფუნქციონალური წიგნიერების ლაბორატორია. განათლების პროცესი.
3. სკოლა კულტურული თვითიდენტიფიკაციისა და კულტურათშორისი დიალოგის ლაბორატორია.

საქართველოში განათლების სისტემა კვლავ ახალ გარდაქმნებს გვთავაზობს: ცვლილებები ეროვნული სასწავლო გეგმაში, დემოკრატიულობა და ღიაობა სკოლის მართვის სისტემაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები: მასწავლებელთა სერტიფიცირება, მასწავლებლის მომზადების ახალი პროგრამების დანერგვა და სხვა.

საქართველოს მოსახლეობის განაცხადი ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე საზოგადოების ყველა სექტორსა და სფეროს შეეხება. ამდენად მისი რეალიზების საკითხიც ყველა დონეზე აქტუალურია. ამ თვალსაზრისით, განათლების სექტორი სტრატეგიული მნიშვნელობისაა. დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ბერკეტები განათლების სექტორს უპყრია ხელთ. ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ურთულესი მისია მან უნდა იტვირთოს და საქართველოს მოქალაქეთა მონაპოვარი გაამდიდროს. სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოქალაქეობის უნარის განვითარება, პასუხისმგებლობის განმტკიცება განათლების ძლიერ სისტემაზეა დამოკიდებული. განათლების სისტემამ საქართველოს საზოგადოების წინაშე ვალდებულებების ზრდას და უფრო აქტიურ ჩართვას უნდა შეუწყოს ხელი. დემოკრატიული საზოგადოების განათლების მიზნების განსაზღვრისათვის აუცილებელია ორ უმნიშვნელოვანეს საკვანძო ცნებაზე: თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე ყურადღების მიპყრობა. „პედაგოგები მუდამ ვფიქრობთ, რომ ჩვენი აღზრდილნი მომავლის გამოცდებს მომზადებულნი შეხვდნენ. გვსურს, არა მხოლოდ „გადარჩნენ“, არამედ წარმატებულნი იყვნენ, გზა ბედნიერი და ნაყოფიერი ცხოვრებით განვლონ. დემოკრატიული საზოგადოებაში შესაბამისი უნარ-ჩვევები და ცოდნა დასჭირდებათ. მათ საკუთარ თავზე უნდა აიღონ საქმე, ამოცანების გადაწყვეტას მრავალმხრივ და შემოქმედებითად მიუდგნენ, აზრი მრავალგვარი შეხედულებების გარემოში ჩამოაყალიბონ, ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მისაღებად სხვებთან შეთანხმდნენ.“ [1-23] სკოლამ უნდა ასწავლოს სწორედ ის, რაც ცხოვრებაში დასჭირდებათ. დიდი მეცნიერული კვლევა არ გვჭირდება იმაში დასარწმუნებლად, რომ ადამიანმა ბედნიერი ცხოვრებისათვის საკუთარი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრა უნდა ისწავლოს. მაქსაინ გრინი (1994) საუბრობს ისეთ „ეთიკურ თანასაზოგადოებაზე“, რომელიც ერთი მხრივ ინდივიდუალიზმის გამოვლინებებით არ გათიშულა, მეორე მხრივ კი, სრული უნიფიცირებისაკენ არ ისწრაფვის. ასეთი იდეალური თანასაზოგადოების ყოველი მონაწილე საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვას შესძლებს და დიალოგს მხარს დაუჭერს. ამ უკანასკნელი წყალობით კი საზოგადოების წევრები გულგრილობის შემზღუდველ ნაჭუქს თავს დააღწევენ. დიალოგის მხარდამჭერ თანასაზოგადოებას



ჩაკეტილი სივრცის მოთხოვნილება აღარ უჩნდება. გრინის მოწოდება მასწავლებლებისათვის – ესაა საკლასო ოთახებში მსგავსი „ეთიკური თანასაზოგადოების“ ჩამოყალიბება. მოსწავლეს ექნება საკმარისი თავისუფლება, რათა მოქმედებაზე თავისი წილი პასუხისმგებლობა თვითონ აიღოს, იქნება ეს ცოდნა, იდეები, თუ მათი კლასელებისათვის გაზიარება, საზოგადოებაში საკუთარი ადგილისა და როლის შეცნობა. ასეთი „ეთიკური“ თანასაზოგადოების ჩამოყალიბებას თითოეული ბავშვისათვის თვითგამოხატვისა და თვითგანვითარების პირობების შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყნის განათლების სისტემა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. მისი მუშაობა სამომავლო წარმატებებზეა ორიენტირებული. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ სკოლა ყოველდღიური, რუტინული ქმედება ზოგად, ნათელ მიზნებს არ დაექვემდებაროს ცხადია, თუ დღევანდელი სკოლა ჯერ კიდევ მოქმედი, მაგრამ მოძველებული პრინციპებით გააგრძელებს მუშაობას, ძველი წესებითა და შინაარსით იხელმძღვანელებს, ძირითად ამოცანას სათანადოდ ვერ გადაჭრის.“ [2-221] რუსიფიკატორული წნეხის ქვეშ მოქცეული ქართული სკოლის შესახებ იაკობ გოგებაშვილი გულისტკივილით წერდა: „...ჩვენში ეთიკური ცხოვრების არავითარი საყრდენი აღარ არის... სახალხო სკოლა წესიერი აღზრდის ნაცვლად უფრო ამახინჯებს ბავშვებს“ [3-229] იგი ძალისხმევას არ იშურებდა, რომ სკოლა ბავშვის გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფის ადგილად ქცეულიყო. ეცნობოდა რა მსოფლიო მოწინავე პედაგოგიურ პრაქტიკას, იაკობ გოგებაშვილი განათლების მთავარ დანიშნულებად თვლიდა, რომ სკოლას „ოსტატობითა და სიადვილით: გაემდიდრებინა მოწაფეების გონება, ესწავლებინა “ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარება“, აეცნო მათი გულები “მაღალის ადამიანურის გრძნობებით“, მიენიჭებინა მტკიცე ხასიათი, აღეზარდა მათში საკუთარი თავის რწმენა, პასუხისმგებლობა საზოგადოების, ხალხის, ქვეყნის წინაშე. ამაში იაკობ გოგებაშვილი უდიდეს როლს მასწავლებელს აკისრებდა. იაკობ გოგებაშვილის მსგავსად, ილია ჭავჭავაძეც სწავლობდა თავისი დროის მსოფლიო პედაგოგიკის მოწინავე გამოცდილებას, რათა ქართულ სკოლაში საუკეთესო პრაქტიკა დაენერგა. ილიასთვის მისაღები იყო ისეთი საგანმანათლებლო (ილია იყენებს ტერმინს “საპედაგოგო“) სისტემა, რომელიც ბავშვს მისცემდა საშუალებას, სრულად გამოეცნა საკუთარი შესაძლებლობები, იგი ამ საქმეში მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ოთხ პრინციპს, „ოთხს დედა-აზრს“: პირველი ის, რომ პიროვნების აღზრდისას მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მისი შესაძლებლობები - “საგანი აღზრდისა ის არის, რომ რიგსა წესზედ წარმატებულ იქნას ყოველნი ძალნი და ნიჭნი ადამიანისა, როგორც გონებითნი, ისე ზნეობითნი, როგორც სულიერნი, ისე ხორციელნი; მეორე ის, რომ სწავლება-სწავლის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი და წლოვანება მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი“; მესამე ის, რომ ყოველგვარ დარიგებაზე მეტად, მოსწავლეზე წინაპრთა სახელოვანი ცხოვრების მაგალითები ახდენს გავლენას-„რადგანაც ბავშვის ცოცხალსა მკვირცხლსა და ადვილად აღმტყდავ ბუნებაზედ ცოცხალი მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედებს, ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება, ამიტომაც ყველაზედ უკეთესი ღონე ის არის, რომ მოწაფეს წინ გადაუშალოს ოსტატმა ცხოვრება დიდ-ბუნოვანთა კაცთა, რომელნიც ასე ბევრნი მოიპოვებიან ძველ დროში“; მეოთხე ის, რომ სწავლა – აღზრდაში უდიდესი როლი ენიჭება თავისუფალ აზროვნებასა და ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებების შესწავლას-„სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალ მეცნიერებათა შესწავლაზედ. ამ მეცნიერების სათავეში სდგას ფილოსოფია, რომელის ადამიანს გონებითად თავისუფალს ხდის. მას მოსდევს მეცნიერება, მჭერმეტყველება... მერე მოდის ბუნებისმეტყველება, რომელიც გვაგებინებს ჰარმონიას ყოველ მისას, რაც არსებობს. და, ბოლოს, ისტორია, რომელიც მოგვითხრობს სვლასა და განვითარებას მეცნიერებისას და მრავალს სასარგებლო მაგალითს თვალ-წინ გვიყენებს“ [4-218] ილია ჭავჭავაძე დარწმუნებული იყო, ქვეყნის ძლიერების გარანტი პროფესიონალი მასწავლებელი და კარგად მოწყობილი სკოლაა. იგი წერდა: “1870 წელსა, როცა გერმანიამ თავ-ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა... სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო... როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევა მოსილობისა იგივე სკოლის მასწავლებელია, იგივე სწავლა და განათლება“. [4-32]

დღევანდელი სკოლის უმთავრესი ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაში; ჩამოაყალიბოს მოსწავლე სამოქალაქო ღირებულებები მატარებელ პიროვნებად, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მოვალეობები კაცობრიობისა და ბუნებრივი გარემოს მიმართ (იხ. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები). ამის მიღწევა შესაძლებელია ეთიკური თვალსაზრისით ჩამოყალიბებული, სამაგალითო პიროვნების დახმარებით. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში პროფესიონალი და კომპეტენტური მასწავლებლის ფუნქცია შეუცვლელია. „მონაწილეობითი მართვა არის პროცესი, რომლის მეშვეობით ადამიანები დემოკრატიულად წყვეტენ სკოლის კოდექსის პრაქტიკაში დანერგვისათვის საჭიროებო საკითხებს“ [6-38]

მონაწილეობითი მართვა სამ ძირითად პრინციპებს ემყარება:

1. გადაწყვეტილების მომზადების და მიღების პროცესში ჩართვის უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელზეც აისახება ეს გადაწყვეტილება;

2. მონაწილეობა არ არის აუცილებელი და იძულებითი;

3. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას ყველა მხარს უჭერს, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა მომზადების ან მიღების პროცესში;

მონაწილეობითი მართვის პროცესში გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები წინასწარ შეთანხმებულია; ადმინისტრაციის წარმომადგენლების, მასწავლებლების, სხვა თანამშრომლების, წინასწარ განსაზღვრულია. ამდენად, გადაწყვეტილების მიღებამდე მონაწილეობითი მართვის სამუშაო წესები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები დემოკრატიული გზით არის მიღებული და დანერგილი. მათი მომზადებაც ურთიერთშეთანხმებით მიმდინარეობს. მართვის სხვადასხვა ტიპებისგან განსხვავებით, მონაწილეობითი მართვის პროცესში ჩართულია სკოლის ცხოვრებაში მონაწილე ყველა რგოლის წარმომადგენელი. მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ უკავშირდება სწავლებისა და სწავლის პროცესს. მონაწილეობითი მართვის პროცესში პასუხისმგებლობის არეები განისაზღვრება სკოლის კოდექსის საფუძველზე;

დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს სკოლებში ფართოდ ინერგება მონაწილეობითი მართვის პრინციპები, რასაც, პირველ რიგში, სამეურვეო საბჭოს ამოქმედება დაედება საფუძვლად. ამ ორგანოს წევრთა უფლება–მოვალეობები, წევრობის ვადები და მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები ზოგადი განათლების შესახებ კანონით, სამეურვეო საბჭოს დებულებითა და სკოლის წესდებით განისაზღვრება. მონაწილეობითი მართვის ორგანომ არა მარტო უნდა მიიღოს სტრატეგიულ გადაწყვეტილებები, არამედ მუდმივად თვალყური უნდა ადევნოს, რომ სკოლაში ყველას მიეცეს აზრის გამოხატვისა და სკოლის მუშაობის გაუმჯობესების პროცესში მონაწილეობის საშუალება. მონაწილეობითი მართვის პრინციპების რეალიზებას ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითმართველობის, პედაგოგიური საბჭოს, მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის ურთიერთშეთანხმებული, ეფექტური მუშაობა. სკოლის სურვილი, გააუმჯობესოს და განაახლოს სკოლის მუშაობა, მეტწილად დამოკიდებულია მის შესაძლებლობებზე, მოტივაციაზე და გულწრფელობაზე – შეისწავლოს არსებული მდგომარეობა და გადადგმული ნაბიჯების შედეგნილობა. მდგომარეობის კრიტიკული კვლევა და ანალიზი სკოლას შესაძლებლობას აძლევს მიჰყვეს არსებულ სტრატეგიას, ხოლო გადაწყვეტილებების მიმღებს აცნობებს, თუ რა არის შესაცვლელი და რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება სამომავლო მუშაობისას.

სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებია:

- სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა;
- მიზნების დასახვა და ეფექტური შეფასება;
- მშობლებისა და თემის ჩართულობა;
- უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო;
- თანამშრომელთა კოლეგიალობა და პროფესიონალიზმი.

ნაშრომში მოცემული რეკომენდაციები ეფუძნება წინაპირობას, რომლის თანახმადაც, დღეს, საჯარო საშუალო განათლების სისტემა იმდენად მოქნილია, რომ დემოკრატიული ჩართულობის ხარისხის ამაღლება და გაძლიერება სირთულეს არ წარმოადგენს.

#### ლიტერატურა:

1. ქერთის ს. მერედითი, „ჟურ.“წიგნიერი“, ანთოლოგია, 2009.
2. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, თბ., 1989.
3. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1988.
4. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, 1989
5. სკოლების განახლება საქართველოში, გზამკვლევი სკოლის განვითარებისათვის, თბ., 2005.
6. პაატა პაპავა, „დიალოგი მკითხველთან“, ჟურნალი: წიგნიერი, ანთოლოგია, 2009.
7. ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბ., 2009.

*Neli Champuridze*  
*Gori State Teaching University*  
*Megi Bibiluri*

*Adam Mickiewicz University (Poland)*

## **SUPPORTING FACTORS OF THE PROCESS OF SCHOOL DEMOCRATIZATION AND THE MEANS OF THEIR IMPLEMENTATION**

### **RESUME**

The education system should continue to increase the liabilities and more active involvement. The involvement of civil society in the educational system is so flexible that their participation, strengthening of research and monitoring will contribute to improving democracy in school education. Development of a wide variety of programs will help to renovate public schools.

**Натела Хинчагашвили, Нино Маркарова, Нино Илуридзе**  
Горийский государственный учебный университет

## **ИГРА КАК МЕТОД ОБУЧЕНИЯ РУССКОМУ ЯЗЫКУ КАК ИНОСТРАННОМУ**

В 2015 году по инициативе Министерства образования Грузии "Дом учителя" провел 18-часовой тренинг по методике обучения РКИ, посвященный современным методам изучения русского языка как иностранного. Особое внимание тренеры уделили методу лингвистической игры, разнообразию её использования (на занятиях, при проведении мероприятий, конкурсов, проектов). В ходе дискуссий педагогами – практиками было отмечено, что несмотря на то, что технология игрового обучения достаточно изучена, в практике обучения ИЯ игровой метод используется не достаточно активно и проблема использования игровых технологий в практике рассматривается как актуальная, требующая анализа.

Цель нашей статьи – выделить организационно- структурные принципы игровых заданий, их обучающие возможности и функции.

Лингвистической обучающей игрой мы называем вид учебной деятельности, предназначенный стимулировать и поддерживать интерес учащихся к предмету, что позволяет им практиковаться в слушании или говорении в целях обучения языку в атмосфере радости и оживления. Обучающая игра имеет три главные характеристики:

- 1) цель (выигрыш);
- 2) набор критериев для определения победителей и проигравших (соревнование);
- 3) правила, которые управляют действиями игроков. Обучающие цели таких игр заключаются в развитии и закреплении навыков устной (письменной) речи, на основе повторения, тренировки моделей, подлежащих овладению учащимися.

Подобные игры являются ситуативно-вариативными упражнениями, где создается возможность для многократного повторения речевого образца в условиях, максимально приближенных к реальному речевому общению с присущими ему признаками - эмоциональностью, спонтанностью, целенаправленностью речевого воздействия».

В итоге, чем увлекательней и интересней лексические задания, тем лучше они запоминаются; изучаемый материал «приклеивается» и у учащихся появляется чувство определенного достижения, стимулирующие мотивацию к дальнейшему обучению. Это актуально как для начинающих учащихся детского возраста, так и для учеников постарше. Этот процесс вызывает позитивное отношение к изучению русского языка, что является одним из самых важных задач преподавателя.

Современная методика обучения неродному языку ориентирована на реализацию практической цели обучения («научить ученика общаться») с опорой на коммуниктивно-деятельностный подход к обучению, предусматривающий максимально возможный учет личности участников обучения.

Психологические особенности младших школьников дают им преимущества при изучении иностранного языка. Дети 7-10 лет впитывают ИЯ как губка опосредованно и подсознательно. Они понимают ситуацию быстрее, чем высказывание на иностранном языке по данной теме. Объем внимания и время сосредоточенности

очень коротко, но с возрастом они увеличиваются. У младших школьников хорошо развита долговременная память.

Игра – это уникальный феномен общечеловеческой культуры, ее исток и вершина. Ни в одном из видов своей деятельности человек не демонстрирует такого самозабвения, обнажения своих психофизиологических и интеллектуальных ресурсов, как в игре. Именно поэтому она взята на вооружение в системе профессиональной подготовки людей, именно поэтому игра расширяет свои принципы, вторгаясь в ранее непредсказуемые сферы человеческой жизни. Игра обучает, воспитывает, развивает, социализирует, развлекает, дает отдых, не внося в содержание досуга бесконечные сюжеты и темы жизни и деятельности человека, сохраняя при этом самооценку. В игре выявляется характер обучаемого, его взгляды на жизнь, его идеалы. Сами того не осознавая, учащиеся в процессе игры приближаются к решению сложных жизненных проблем. Игру можно применять на любом этапе, как с начинающими, так и с владеющими материалом на достаточно хорошем уровне и с любыми возрастными категориями учащихся. Главной задачей учителя со своей стороны заинтересовать детей предметом, возбудить в них желание работать, игра же является хорошей мотивацией интереса.

Учитывая тот факт, что интерес является лучшим стимулом к обучению, необходимо стараться использовать каждую возможность, чтобы разгрузить ученика посредством игровой деятельности в процессе обучения языку.

С точки зрения Г.А.Чесновицкой, методика обучения иностранному языку на раннем этапе базируется на четырех видах работы: игре, музыке, движении и наглядности. Они влияют на качество обучения, помогают добиться лучших результатов при взаимодействии между собой. Поскольку у детей игровая деятельность является ведущей, обучение языку, в частности лексике, должно основываться на большом количестве разнообразных игр. Изучением данного вопроса занимались лингвисты Н.В. Имададзе, Н. Павлович, Н.В. Агурова и др. Эти авторы видят основу усиленного обучения младших школьников иностранным языком именно в специфике психофизиологических возможностей детей.

Другого взгляда придерживаются Л.Б. Беккер, С.И. Гоздецкий, Е.И. Матецкая, которые пытаются создать языковую среду с самого начала обучения, рекомендуют занятия по иностранному языку с 6-летними детьми проводить только иностранным языком, и на помощь к родному языку обращаться только в исключительных случаях. Более того, они считают, что преподаватель вообще не должен разговаривать с детьми родным языком, преподавая иностранный. У детей может сложиться мнение, что учитель не понимает их языка. Эти авторы предлагают проводить уроки по рисованию, пению, физкультуры на иностранном языке. Е.И. Матецкая считает, что проведение занятий по рисованию иностранным языком открывает еще одну возможность обучения детей, используя обобщение и сами действия детей.

Анализ учебно-методической литературы по вопросам игрового обучения русскому языку показал, что игры группируются по цели использования (лексика, грамматика, перевод, страноведение), по функциональной значимости (речевые навыки и умения), по сюжетной линии (инструментальные игры, ролевые игры, деловые игры и так далее). Порою в пособиях заметно расхождение между содержанием игры и её авторской классификацией, что приводит к заключению, что игровые задания четче определяются по внутреннему организационному механизму.

Проведенный нами анализ научно-методической литературы об использовании игровых приемов в обучении, позволил разделить игровые задания на две основные группы:

1. игры соревновательного характера, содержащие организационные установки и правила для достижения успеха, величина которого определяется по количественным критериям (кто больше, кто быстрее, кто правильнее, с наименьшим количеством ошибок выполнит задание), а также по качественным критериям (кто, точнее, кто оригинальнее, кто интереснее, кто разнообразнее и тому подобное построит речевое высказывание). Внутри этого типа игр можно выделить различные виды и подвиды в зависимости от обучающих целей задания, языкового наполнения, используемого реквизита, содержания и характера действий, что мы, однако, считаем вторичными признаками, учитываемыми лишь в частных группировках;

2. задания, в которых «проигрываются» различные ситуации. К этой группе мы относим: моделирование – проигрывание от своего имени ситуаций бытового или условного характера. (В зарубежной методике в рамках моделирования различают социодраму - исследование какого-либо события, случая, и психодраму, имеющую психотерапевтическую направленность.); ролевое исполнение проблемной ситуации бытового или условного характера с заранее заданными параметрами речевых действий; драматизацию – действие по готовому сценарию познавательного характера предполагают формы естественной деятельности, основанной на мотивах инстинктивного поведения и рефлексивного усвоения языковых форм и правил. Игры второй группы требуют исполнения ситуаций в опоре на воображение, социальный и эмоциональный опыт, фоновые знания участников.

Игры можно разделить на несколько видов;

- организационно-деятельные игры, предусматривающие организацию коллективной мыследеятельности на основе развертывания содержания обучения в виде системы проблемных ситуаций и взаимодействия всех субъектов обучения в процессе их анализа. Задача руководителя «сплотить» группу при условии сохранения личной позиции каждого. Ролевые игры, которые характеризуются наличием задачи или проблемы и распределением ролей между участниками ее решения;

- деловые игры, представляющие собой имитационное моделирование реальных механизмов и процессов. Это форма воссоздания предметного и социального содержания, какой-либо реальной деятельности (профессиональной, социальной и т. д.), необходимые знания усваиваются участниками игры в реальном для них процессе информационного обеспечения игровых действий, формировании действенного образа той или иной реальной ситуации;

- познавательно-дидактические игры, в которых создаются ситуации характеризующиеся включением изучаемого в необычный игровой контекст. Следует различать дидактические игры, построенные на внешней занимательности, и игры, требующие действий, которые входят в состав деятельности подлежащей усвоению;

Среди обучающих игр особое внимание уделяется ролевой игре, поскольку она в значительной степени определяет выбор языков средств, способствует развитию речевых навыков и умений, позволяет моделировать общение учащихся в различных речевых ситуациях. Другими словами, ролевая игра представляет собой упражнение для овладения навыками и умениями в условиях межличностного общения. В этом плане ролевая игра обеспечивает обучающую функцию. В ролевых играх воспитываются сознательная дисциплина, трудолюбие, взаимопомощь, активность, готовность включаться в разные виды деятельности, самостоятельность, умение отстоять свою точку зрения, проявить инициативу, найти оптимальное решение в определенных условиях, то есть можно говорить о воспитательной функции ролевой игры.

Большинство зарубежных учебников для учеников младшего возраста содержат дополнительный набор игр, помимо традиционных упражнений. Наиболее распространенные игры основываются на вопросах и ответах. Главная цель – ребенок должен правильно понять вопрос. Таким образом, ролевая игра выполняет в учебном процессе по иностранному языку следующие функции: мотивационно-побудительную, воспитательную, ориентирующую и компенсаторную. Успешность обучения во многом зависит от того, как реализуются эти функции в учебном процессе.

Ролевая игра обладает большими обучающими возможностями:

- ролевую игру можно рассматривать как самую точную модель общения, так как она подражает действительности в самых существенных чертах и в ней, как и в жизни переплетается речевое и неречевое поведение партнеров;
- ролевая игра обладает большими возможностями мотивационно-побудительного плана;
- ролевая игра предполагает усиление личностной причастности ко всему происходящему. Ученик входит в ситуацию, хотя и не через собственное «Я», но через «Я» соответствующей роли и проявляет большую заинтересованность к персонажу, которого он играет;
- ролевая игра способствует расширению ассоциативной базы при усвоении языкового материала, так как учебная ситуация строится по типу театральных пьес, что предполагает описание обстановки, характера действующих лиц и отношений между ними. За каждой репликой мыслится отрезок смоделированной действительности;
- ролевая игра способствует формированию учебного сотрудничества и партнерства. Ведь ее исполнение предполагает охват группы учащихся, которые должны слаженно взаимодействовать, точно учитывая реакции товарищей, помогать друг другу. При этом удачно найденный жест, немое действие, если оно соответствует ситуации, поощряется всей группой. В результате учащимся с более слабой подготовкой удастся преодолеть робость, смущение и со временем полностью включиться в ролевую игру;
- ролевая игра имеет образовательное значение. Учащиеся, хотя и в элементарной форме, знакомятся с технологией театра. Учитель должен побуждать их заботиться о простом реквизите. Поощряется всякая выдумка, так как в учебных условиях возможности в этом отношении ограничены, а для изобретательности открываются новые просторы.

В процессе исследования нами выявлены преимущества и недостатки использования ролевой игры при обучении иностранному языку.

Преимущества использования ролевой игры:

- максимальная активность обучаемых. Все учащиеся принимают участие в игре, тесно взаимодействуя между собой, что способствует созданию благоприятного климата в межличностных отношениях между учащимися и учителем: коллективная творческая деятельность;
- речевые партнеры определяются в игре не только по желанию преподавателя, но и произвольно;
- учащиеся имеют возможность меняться ролями, что позволяет использовать языковой материал в более полном объеме, совершенствовать навыки и умения в общении на языке;
- на уроке царит атмосфера интереса и дисциплины: умственная и физическая активность; сосредоточенность и интерес.

Недостатки использования ролевой игры:

- до сих пор не существует разработанных комплексов упражнений, которые бы четко определяли:
- целевое назначение игр;
- их количество и качество;
- использование ролевой игры в процессе обучения иностранному языку нецеленаправленно и бессистемно;
- игра используется в основном как развлекательный момент на уроке.

Вышеизложенное позволяет сделать следующие выводы: игра- универсальное средство, помогающее учителю превратить достаточно сложный процесс обучения в увлекательное и любимое учащимися занятие; позволяет вовлечь в учебный процесс даже слабого ученика, так как в ней проявляются не только знания, но и сообразительность и находчивость; чувство равенства, атмосфера увлеченности и радости, ощущение посильности задания – все это дает возможность обучающимся свободно высказываться на чужом языке.

#### ЛИТЕРАТУРА:

1. Крючкова Л.С., Мошинская Н.В. Практическая методика обучения русскому языку как иностранному. М., 2011
2. Новые педагогические и информационные технологии в системе образования (Под ред. Е.С. Полат). М., 2000
3. Русский язык как иностранный. Методика обучения русскому языку / под ред. И. Лысаковой, М., 2004
4. Шукин А.Н. Методика преподавания русского языка как иностранного. М., 2003
5. <http://www.languages-study.com/russian-as-foreign-language.html>

*Natela Khinchagashvili, Nino Markarovi, Nino Iluridze*  
*Gori State Teaching University*

### THE GAME AS THE METHOD OF LEARNING RUSSIAN AS FOREIGN LANGUAGE RESUME

This article discusses the problem of teaching Russian as a foreign language, particularly using games as one of the main methods of learning Russian at any level. The role of playing games during the teaching process, methodological value and practical significance have been considered as well.

მამუკა ჯოლბორდი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

#### ფსიქოლოგიური ცოდნის ელემენტები „ქართლის ცხოვრებაში“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთნის“ მაგალითზე)

თამარ მეფის პირველი ქრონიკის – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთნის“ უცნობი ავტორი თავისი თხზულების დასაწყისში, რომელიც ქალი-მონარქისა და მისი საგვარეულოს (ბაგრატიონები) ხოტბას წარმოადგენს, წერს ხუთი გრძნობის შესახებ (მათ შორის იესო ქრისტეს მიაწერს), რითაც ავლენს ანტიკური ფილოსოფიის, კერძოდ, არისტოტელეს შრომების ცოდნას. ქართული მატიაზე ასე იწყება: „თამარისა ვიტყვ, კელმწიფეთა სახელისასა და დიდებისა დავით მას პირველისა. არსთა დამწყისათა კელით-ქმნულებით მოქადულ-მყოფელისა ღმრთისა, რომელი სახუველთაგან აღმსჭულავს შორის სულსა, გულსა შინა. ერთმთავრობა-ერთუფლებასა ერთისა კაცისასა, ერთისა ღმრთისასა და კაცისა სრულისა მიერ სრულ კაცად აღმოჩენით აღმოჩენილსა და ამობრწყინებულსა, ვინაცა ამან შეაყო თჳსისა სულის წყარო ხედვათა ამასა წყაროსა ქრისტესა, ნათელსა მამისასა, რომელმან მოიგონა ხუთნი საგრძნობნი: ხედვა, სმენა, შეხება, გემოსხილვა და განჩქევა. (ხაზგასმა ჩვენია - მ. ჯ.)“ (ქ. ცხ.)

საინტერესოა, საიდან ჩნდება ქართულ საისტორიო თხზულებაში ცნობა გრძნობათა ორგანოების შესახებ და რა ნაშრომს (თუ ნაშრომებს) ეყრდნობოდა ქართველი მემკვიდრე?

როგორც არაერთხელ აღინიშნა მკვლევართა მიერ, „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებს შორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთნი“ ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი თხზულებაა. მისი ავტორი, ჩანს, შესანიშნავად იცნობდა როგორც აღმოსავლურ, ისე ელინურ-ბიზანტიურ მწერლობასა და ისტორიოგრაფიას და ამ ცოდნას საჭიროებისამებრ ფართოდ იყენებდა ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების შეფასებისას (ამ საკითხებზე ვრცლად იხილეთ: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ

ტომად, ტ. VIII, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977, გვ. 224; თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში (თამარის ისტორიკოსები), მაცნე, ისტორიის სერია, №3, 1974, გვ. 102-103). სწორად შენიშნავს მ. კარბელაშვილი: „თამარის ეპოქაში ქართული პოლიტიკური თეოლოგიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის ურთიერთმორგება და ურთიერთმორიგება - მათი „შეზავება“ - ცხადად აისახა თამარის ისტორიკოსთა და მეხოტბეთა თხზულებებში, ხოლო ყველაზე თანმიმდევრული თეორიის სახე თამარის პირველი ისტორიკოსის ნაშრომში ჰოვა... თამარის ეპოქამდე „გარეშეთა ფილოსოფოსთა“ სახელებს არცერთი ისტორიკოსი არ ახსენებს... დავითის უგანათლებულესი ისტორიკოსი ერთხელაც არ ახსენებს სოკრატეს, პლატონს ან არისტოტელეს... ამ ვითარების ფონზე ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა მოხსენიება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შეგნებაში დიდი მსოფლმხედველობრივი ცვლილებების მომასწავებელია (იხ. მ. კარბელაშვილი, „უმბროს, პლატონ სიტყვა დამატონ“ - მამული, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, №5 (59), მარტი, 1992; იგივე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ XII საუკუნის საქართველოს „ოქროს ხანის“ იდეოლოგია და მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები (მასალები ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის), ლიტერატურული მივანი, 2001, №21, ელექტრონული ვერსია).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ მემატანის თხზულებაში დაცული ფსიქოლოგიური ცოდნის ელემენტების წარმომავლობა და საფუძველი ანტიკური მეცნიერული მემკვიდრეობაა. ფსიქოლოგიის ისტორიაში პირველ ფსიქოლოგიურ ნაშრომად მიჩნეულია არისტოტელეს (ძვ. წ. 394-322) თხზულება „სულის შესახებ“, რომელიც თვლიდა, რომ სული სხეულის არსია და ის, რაც ცოცხალ არსებაში ხდება, სულის მოქმედების გამოვლინებაა, ანუ ფსიქიკური პროცესებია (შეგრძნება, მეხსიერება, გრძნობები და სხვ.). არისტოტელე ლაპარაკობს „საერთო გრძნობის“ არსებობის შესახებ, ოღონდ იგი, მისი აზრით, სხვადასხვა გრძნობის ორგანოსთან დაკავშირებით სხვადასხვა სახით გვევლინება (დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 207).

შუა საუკუნეებში ანტიკური ეპოქის ავტორების და მათ შორის არისტოტელეს თხზულებების საფუძველზე გრძნობათა ორგანოების აღწერა მოახდინეს ნემესიოს ემესელმა (V ს., „ბუნებისათვის კაცისა“, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ, ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად გაამზადა და ლექსიკონ-სამიუბელი დაურთო ს. გორგაძემ, ტფ., 1941) და იოანე დამასკელმა (დაახ. 674-753 წწ.) ნემესიოს ემესელის ტრაქტატი ქართულად თარგმნა იოანე პეტრიწმა\* (ლათ. პირველად თარგმნა ბურგუნდიო პიზანელმა 1194 წ.). ამ ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის დროინდელი ფიზიოლოგია-ანატომიის მონაცემები, ასევე არისტოტელეს და „სტოელთა ფსიქოლოგიის მონაპოვარი (ფრან. 113-114). ცნობილია, რომ ნემესიოსის ამ ნაშრომმა უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ შემდგომდროინდელ ქრისტიანულ ანთროპოლოგიაზე. რაც შეეხება იოანე დამასკელს, მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომა „წყარო ცოდნისა“ (დაიწ. დაახ. 742 წ.), ქართულად ბევრჯერ ითარგმნა (ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი), რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან („დიალექტიკა“, ასი ერესის შესახებ (ძვ. ქ. წვალებათათვის) და მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა (ძვ. ქ. - გარდამოცემა) ძირითადად ეყრდნობა პატრისტიკის წარმომადგენელთა (კლიმენტი ალექსანდრიელი, წმ. ანასტასი სინელი, წმ. ათანასე ალექსანდრიელი, წმ. კირილე ალექსანდრიელი, წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ნაზიანელი, წმ. გრიგოლ ნოსელი, წმ. დიონისე არეოპაგელი, წმ. მაქსიმე აღმსარებელი) შრომებს. უშუალოდ „წყარო ცოდნისა“ შუა საუკუნეების საქართველოში ორჯერ ითარგმნა - ჯერ ეფრემ მცირეს, მეორედ არსენ იყალთოელის მიერ, სავარაუდოდ, ორი განსხვავებული ბერძნული დედნიდან და აგრეთვე განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდით.

იოანე დამასკელის თანახმად: „გრძნობა სულის ძალაა... გრძნობა არის ხუთი. მსგავსადვე გრძნობის ორგანოც ხუთია: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება“ (იხ. მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თავი ოცდამეთორმეტე, გრძნობის შესახებ, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, [www.orthodoxy.ge](http://www.orthodoxy.ge))

„გარდამოცემა“, როგორც ქართველი მკვლევრები აღნიშნავენ (ს. ყაუხჩიშვილი, რ. მიმინოშვილი) კომპილაციური თხზულებაა და სასულიერო მწერლობის გარდა, მასში განსაკუთრებით იგრძნობა

---

\* ცნობილია, რომ იოანე პეტრიწმა ასევე თარგმნა არისტოტელეს ორი თხზულება: „ტოპიკა“ და „პერი-ჰერმენეია“ („განმარტებისათვის“), მაგრამ ამ თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ვახუშტი ბატონიშვილს, მისივე ცნობით, განზრახული ჰქონია ეთარგმნა არისტოტელეს თხზულება „სულის შესახებ“, მაგრამ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, „არ მოჰყვა ზურაბა“ (შანშიანი).

ალ. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში: XVII-XVIII და XIX ს-ის დასაწყისი, თბ., 1959.

არისტოტელეს გავლენა. რაც შეეხება უშუალოდ „წყარო ცოდნისა“-ს, მასში ქრისტიანული თეოლოგია დაკავშირებულია ანტიკურ ფილოსოფიასთან (არისტოტელე, პორფირიოსი და სხვ.) (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963, გვ. 168-170; რ. მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966).

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ აღორძინების პერიოდის ქართველი მოაზროვნეები ეყრდნობიან იოანე დამასკელის გრძნობათა ორგანოების აღწერას (ამავე ნაშრომის არსენ იყალთოელისეულ თარგმანს ეყრდნობოდა სულხან-საბა ორბელიანიც თავის განმარტებით ლექსიკონში. იხ. ალ. ფრანგიშვილი, დასახ. ნაშრ., მფ. 146-147) და უნდა ვივარაუდოთ, რომ XII ს-ის ქართველი ქრონისტის წყაროს (თუ უშუალოდ არისტოტელეს თხზულება არა) სწორედ იოანე დამასკელის ნაშრომი წარმოადგენს.

#### **ლიტერატურა:**

1. კარბელაშვილი მ., „უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ“ - მამული, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, №5 (59), მარტი, 1992.
2. მიმინოშვილი რ., იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966.
3. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940.
4. ფრანგიშვილი ალ., ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში XVII-XVIII სს. და XIX ს. დასაწყისი, თბ., 1959.
5. „ქართლის ცხოვრება“, 2008.
6. ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში (თამარის ისტორიკოსები), მაცნე, ისტორიის სერია, №3, 1974.
7. ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963.
8. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977.

***Mamuka Jolbordi***

*Gori State Teaching University*

### **ELEMENTS OF PSYCHOLOGICAL KNOWLEDGE IN THE “LIFE OF KARTLI” (ON THE EXAMPLE OF QUEEN TAMAR'S HISTORIAN) RESUME**

Notification on the organs of senses is studied in the Georgian chronicle of the XII century - "Historian and Azmi Sharaavanddatani". It is suggested that the classification about human sense organs established by Aristotle in antique Greece was reflected in the works of John of Damascus (and in others) and we suppose it got into the Georgian chronicle in this way.